ზურაბ ძლიერიშვილი

ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებათა სამართლებრივი ბუნება

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი – 2010

UDC (უაკ) 347.23 + 347.44
ძ – 651

ნაშრომი შეეხება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთ ხელშეკრულებებს, როგორიცაა: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სესხი, სამისდღეშიო რჩენა. ნაშრომში შედარებითი – სამართლებრივი მეთოდის გამოყენებით განხილულია აღნიშნულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხები.

ნაშრომი განკუთვნილია იურიდიული ფაკულტეტის (სამართლის სკოლა) სტუდენტებისა და პედაგოგებისათვის. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ასევე აღნიშნული საკითხებით დაინტერესებულ როგორც თეორეტიკოს, ისე პრაქტიკოს მუშაკებს.

ნაშრომი იბეჭდება „საქართველოს უნივერსიტეტის“ აკადემიური საბჭოს რეკომენდაციით.

რედაქტორი საამართლის დოქტორი,
პროფესორი მარიამ ცისკაძე

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2010
© ზ. ძლიერიშვილი

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ISBN 978-9941-10-210-3

წინათქმა

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის დაშლამ და თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძო სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის ნათელ გამოხატულებას წარმოადგენს საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება (მიღებულია 1997 წლის 26 ივნისს, ძალაშია 1997 წლის 25 ნოემბრიდან), სადაც გამოიხატება მანამდე არსებული სამართლებრივი სისტემისათვის უცხო ფორმით ახსნილი კერძო სამართლის ცნება, არსი და საერთოდ ნების ავტონომია.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-10 მუხლის მე-2 ნაწილი აღიარებს კერძო სამართლის ერთ-ერთ ფუძემდებლურ პრინციპს – მხარეთა კერძო ავტონომიას, რომლის თანახმადაც, სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეებს შეუძლიათ განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება, მათ შორის ისეთიც, რომელიც კანონით პირდაპირ არაა გათვალისწინებული.

კერძო ავტონომია ეწოდება კონკრეტულ პირთათვის სამართლით მინიჭებულ და უზრუნველყოფილ შესაძლებლობას ერთმანეთს შორის ურთიერთობა განსაზღვრული ფარგლების შიგნით მოაწესრიგონ გარიგებების, განსაკუთრებით კი ხელშეკრულებების მეშვეობით.

სამოქალაქო საზოგადოებისა და საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა წარმოების საშუალებებზე, მათ შორის მიწაზე, კერძო საკუთრება არსებობს, კერძო ავტონომია ეკონომიკური წინსვლისა და კეთილდღეობის საფუძველი ხდება. სამოქალაქო სამართალი კერძო ინტერესებსა და

ინიციატივებს ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის. უპირველეს ყოვლისა, ეს გამოიხატება ხელშეკრულების თავისუფლებაში, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი განამტკიცებს, კერძოდ: „კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომელიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი თავის გამოხატულებას პოულობს ორი ფორმით: ა) ხელშეკრულების დადების თავისუფლება, ბ) ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნი ეთმობა ვალდებულებით სამართალს, სადაც მოცემულია როგორც ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებანი, აგრეთვე სახელშეკრულებო, დელიქტური და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები (სამოქალაქო კოდექსის 316–1016 მუხლები).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ხელშეკრულებები პირობითად შეიძლება დავყოთ ოთხ ჯგუფად: 1) ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებები; 2) ქონების სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებები; 3) სამუშაოს შესრულების ტიპის ხელშეკრულებები; 4) მომსახურების ტიპის ხელშეკრულებები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებები, როგორიცაა: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სესხი, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება.

ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებები წარმოადგენენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სახის

ხელშეკრულებებს, რამეთუ ხელშეკრულების მხარის მიერ კანონით მინიჭებული უფლებამოსილების – როგორიცაა ქონების განკარგვა-განხორციელება, იწვევს ხელშეკრულების საგანზე კონტრაჰენტისათვის საკუთრების უფლების გადაცემას.

წინამდებარე ნაშრომში განხილულია ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობის მქონე საკითხები.

ნაშრომი წიგნად ვერ იქცეოდა და დღის სინათლეს ვერ იხილავდა მეგობრებისა და კოლეგების დახმარების გარეშე.

განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით მინდა მოვიხსენიო შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტის" რექტორი, პროფესორი მანანა სანაძე, რომელმაც მომაწოდა ამ ნაშრომის დაწერის იდეა და ხელი შემიწყო ნაშრომის წიგნად გამოცემაში.

უღრმესი მადლობა შპს ,,საქართველოს უნივერსიტეტის" სამართლის სკოლის დეკანს, ბატონ ნუკრი გელაშვილს,ამავე სკოლის ასოცირებულ პროფესორს მარინა მარინაშვილს და საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს, ქალბატონ ნუნუკა კვანტალიანს, რომლებთანაც საუბრები დამეხმარა ჩამომეყალიბებინა ჩემი შეხედულებები ქონების საკუთრებაში გადაცემის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ზოგიერთი პრობლემური საკითხის მიმართ.

2009 წლის ზაფხულში შესაძლებლობა მქონდა მემუშავა იენის უნივერსიტეტის (გერმანია) მდიდარ ბიბლიოთეკაში და იქ დამეწერა ნაშრომის გარკვეული ნაწილი. განსაკუთრებული მადლობა კილის უნივერსიტეტის (გერმანია) დოქტორანტს გიორგი სვანაძეს, იენის უნივერსიტეტის (გერმანია) მაგისტრანტს ირაკლი რობაქიძეს და კონდრად ადენაუერის ფონდის (იენა, გერმანია) სტიპენდიანტ დოქტორანტს მაგდა

ტატიშვილს იმ ფასდაუდებელი დახმარებისათვის, რომელიც მათ გამიწიეს უცხოენოვანი ბიბლიოგრაფიის მოძიებასა და ტერმინოლოგიური საკითხების დაზუსტებაში.

რასაკვირველია, წიგნი არ იქნება დაზღვეული ხარვეზებისაგან. მკითხველთა შენიშვნებს სიამოვნებით გავიზიარებ შემდგომ გამოცემებში.

ზურაბ ძლიერიშვილი
იენა-თბილისი
2009-2010 წელი

ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

I თავი

ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა

ნასყიდობის ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლის ერთერთი უმნიშვნელოვანესი და უძველესი ინსტიტუტია. ნასყიდობის ხელშეკრულება მიეკუთვნება ხელშეკრულებათა იმ ჯგუფს, რომელშიც ნათლადაა გამოხატული ქონების გადასვლა ერთი პირიდან მეორე პირის საკუთრებაში. ამით აიხსნება ის, რომ ნასყიდობას ფართო გამოყენება აქვს სასაქონლო ბრუნვაში.

ნასყიდობის ხელშეკრულებას დიდი ხნის ისტორია გააჩნია. ჯერ კიდევ რომის სამართლის კონტრაქტების კლასიკურ სისტემაში მას ძირითადი ადგილი ეკავა. რომის კლასიკურ სამართალში იგი ჩამოყალიბებული იყო კონსენსუალური სახის კონტრაქტის ფორმით emptio et venditio, რომლის თანახმადაც ერთი მხარე გამყიდველი (venditor) ვალდებული იყო მეორე მხარის – მყიდველისათვის (emptor) გადაეცა ნივთი, საქონელი (merx), ხოლო მყიდველი კი ვალდებული იყო გადაეხადა გამყიდველისათვის ნივთის ფასი (premium). ხელშეკრულების არსებით პირობებს წარმოადგენდა გასაყიდი საქონელი და მისი ფასი. რომის სამართლისათვის ცნობილი იყო მომავალი მოსავლის გაყიდვის ხელშეკრულებებიც. ასეთ შემთხვევაში გამოიყენებოდა მომავალი ქონების გაყიდვის მომწესრიგებელი ნორმები (mei futurae sive speratae), ხოლო გაყიდვა კი ითვლებოდა გადადების პირობით განხორციელებულად. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება ყოფილიყო ასევე არასხეულებრივი ნივთი (res incorporalis), ანუ არამატერიალური ქონებრივი უფლება (მოთხოვნის უფლება, უზუფრუქტის უფლება და ა.შ.)[1].

---

[1] Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996. с. 285.

რევოლუციამდელ რუსეთში ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ მოძრავი ნივთები. რაც შეეხება უძრავი ნივთების ყიდვა-გაყიდვას, კანონის მიერ იგი მიეკუთვნებოდა არა ხელშეკრულებებს, არამედ ქონებაზე საკუთრების უფლების შეძენის სამართლებრივ საშუალებებს. გარდა ამისა, კანონმდებლობითა და დოქტრინით დადგენილი იყო, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გამოყენების სფერო მოიცავდა მხოლოდ ფიზიკურად არსებულ ნივთებს და არ შეიცავდა ქონებრივ უფლებებს, რამეთუ ამ უკანასკნელ შემთხვევაში ადგილი არა აქვს სამართლებრივი მნიშვნელობით ყიდვას ან გაყიდვას, არამედ ადგილი აქვს მხოლოდ უფლების დათმობას, გადაცემას[2].

საბჭოთა პერიოდში სასაქონლო წარმოება ემყარებოდა რა წარმოების საშუალებებზე სახელმწიფოს საკუთრებას, მოქცეული იყო გეგმურობის ჩარჩოებში, რაც ხელს უშლიდა ნასყიდობის სამართლებრივი ურთიერთობების ნორმალურ განვითარებას[3].

თუ თვალს გადავავლებთ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების განვითარების ისტორიას, თვალნათელი გახდება, რომ მრავალი ხელშეკრულება აღმოცენდა და განვითარდა სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე. უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში სახელშეკრულებო სამართლის ფორმირებასა და განვითარებას. ამჟამად შეიძლება ითქვას, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება ყველაზე მეტად გავრცელებული ხელშეკრულებაა. იგი სასაქონლო ფულადი ურთიერთობების უნივერსალური ფორმაა.

საქართველოში საბჭოური სამართლის სისტემის ნგრევამ და თავისუფალ საბაზრო მეურნეობაზე გადასვლამ განსაკუთრებით შეუწყო ხელი კერძოსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. ამის თვალსაჩინო მაგალითია საქართველოს ახალი სამოქალაქო კოდექსის მიღება, რომელშიც განსაკუთრებული ადგილი უკავია ნების ავტონომიას. ნასყიდობის ხელშეკრულება დაიდება მხოლოდ მაშინ, თუ ყოველი მონაწილე მხარე მისგან მოელის სარგებელს. ვინც რაიმე საქონლისათვის ფულს გასცემს, ამას აკეთებს იმიტომ, რომ საქონელს უფრო მეტ ღირებულებას

---

[2] Мейер Д.И., Русское гражданское право. в 2-х т. 1902. ч. II. М., 1997. с. 18.

[3] Иоффе О.С. Обязательственное право. М., 1975. с. 287.

ანიჭებს, ვიდრე ფულს და, პირიქით, გამყიდველი იმიტომ ყიდის საქონელს, რომ ფულს უფრო მეტ ღირებულებას ანიჭებს, ვიდრე ამ საქონელს. ხელშეკრულების შესრულების შემდეგ ორივე მხარე უფრო უკეთეს მდგომარეობაშია, ვიდრე უწინ: ორივემ შეიძინა რაღაც, არც ერთი არ კარგავს. თუ წარმოვიდგენთ, რომ ასეთი ოპერაციები მილიონობით ხორციელდება, მაშინ ადვილი მისახვედრია, თუ როგორ იზრდება მონაწილეთა სარგებლის ოდენობა. ვიდრე საქონლისა და მომსახურების დეფიციტი არსებობს, ხოლო ადამიანის მოთხოვნილება უსაზღვროა, შედარებით უკეთესი შედეგების მიღწევა შეიძლება იმით, რომ ნებადართულია ხელშეკრულების დადება და ამით შესაძლებელია გაცვლითი ოპერაციები, რომელთა მეშვეობითაც დეფიციტური საქონელი და მომსახურება იმის ხელში აღმოჩნდება, ვისთვისაც მას ყველაზე მეტი ღირებულება აქვს. ადგილს, სადაც ეს გაცვლითი ოპერაციები ხორციელდება, ეწოდება ბაზარი, ხოლო ეკონომიკურ წყობილებას, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს აღიარებს, ეწოდება საბაზრო ეკონომიკა.[4]

ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რომელსაც დათმობილი აქვს მესამე წიგნის — ვალდებულებითი სამართალი — კერძო ნაწილის კარი პირველი — სახელშეკრულებო სამართლის მეორე ნაწილის პირველი თავი, მუხლი 477-520-ე. შემძენის უფლებების დაცვის თვალსაზრისით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე საქართველოს კანონს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ.

ნასყიდობის ხელშეკრულებას საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებშიც წამყვანი ადგილი უკავია. მის რეგულირებას ემსახურება მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულება, შეთანხმება თუ კონვენცია. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებად მიიჩნევა ისეთი ხელშეკრულება, რომლისთვისაც დამახასიათებელია

---

[4] Kötz Hein, Europäisches Vertragsrecht, Bd. I. (ციტატა მოყვანილია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001 გვ. 57).

მოწვევად. ე.წ. საცალო ვაჭრობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება მყიდველისათვის საკასო ან სასაქონლო ჩეკის ანდა საქონლის ღირებულების გადახდის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტის მიცემიდან.

ნასყიდობის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ გამყიდველმა მყიდველისათვის ნივთის გადაცემის სანაცვლოდ უნდა მიიღოს ამ უკანასკნელისაგან შემხვედრი დაკმაყოფილება მიღებული საქონლის ფასის გადახდის სახით.

ნასყიდობის ხელშეკრულების არსის ორმხრივი ხელშეკრულება, რამეთუ ხელშეკრულების თითოეულ მხარეს (ანუ როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს) გააჩნიათ უფლებებიცა და მოვალეობებიც, ანუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ადგილი აქვს შემხვედრი ვალდებულებების არსებობას: გამყიდველის მიერ ნივთის გადაცემა და მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის ფასის გადახდა. ეს ორი ვალდებულება ერთმანეთს განაპირობებენ და ეკონომიკურად ეკვივალენტურნი არიან. ამიტომაც ნასყიდობის ხელშეკრულება არის სინალაგმატური ხელშეკრულება („sunallagma" – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ორმხრივ მავალდებულებელს").

ნასყიდობის ხელშეკრულების სინალაგმატური ხასიათი გამოიხატება იმაში, რომ გამყიდველის მიერ თავისი ვალდებულებების, რაც დაკავშირებულია ნივთის გადაცემასთან, ჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, მყიდველს ეკისრება შემხვედრი ვალდებულების შესრულება, ანუ ნაყიდი ნივთის ფასის გადახდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა, ანუ ჩვენს შემთხვევაში, თუკი გამყიდველი არ შეასრულებს მყიდველისათვის ნივთის გადაცემის ვალდებულებას, მყიდველს უფლება აქვს არ გადაიხადოს ნივთის ფასი გამყიდველის მიერ საქონლის

გადაცემის ვალდებულების შესრულებამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველს ფასი წინასწარ უნდა გადაეხადა.

ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს თავისუფლად ბრუნვაუნარიანი ნებისმიერი ქონება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

ნასყიდობის ხელშეკრულების ყველაზე გავრცელებული საგანია ნივთები, როგორც მოძრავი, ისე უძრავი; გვაროვნული ან ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული, სამომხმარებლო და არასამომხმარებლო, ნაყოფი და შემოსავალი, მთავარი ნივთი და საკუთვნებელი, ფასიანი ქაღალდები.

მართალია, არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები არ მიეკუთვნება ნივთებს, მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დასაშვებია საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენება ქონებრივი უფლებების (მოთხოვნის უფლება, ინტელექტუალური საკუთრებიდან წარმოშობილი უფლებები) ნასყიდობის მიმართ, თუკი ამ უფლებების შინაარსიდან ან ხასიათიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. დოქტრინაში გაბატონებულია მოსაზრება, რომ მოთხოვნის უფლების ყოველგვარი სასყიდლიანი დათმობა (ცესია) წარმოადგენს ამ უფლების გაყიდვას. თუმცა კი ასეთი ურთიერთობების მიმართ საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულების ზოგად ნორმებთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება კრედიტორის მოთხოვნის უფლების დათმობის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 320-ე მუხლის თანახმად, ბათილია ხელშეკრულება, რომლითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას მთელი თავისი მომავალი ქონება ან ამ ქონების ნაწილი გადასცეს სხვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა

ხელშეკრულება დადებულია მომავალი ქონების ცალკეულ ნივთებზე. მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს გამყიდველის მომავალი ქონების ცალკეული ნივთი, ანუ ის ნივთი, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ჯერ არ არსებობს. ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს გამყიდველის მთელი ამჟამინდელი ქონება ან ამ ქონების ნაწილი. ასეთი სახის ნასყიდობის ხელშეკრულება, სსკ-ის 321-ე მუხლის თანახმად, უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხდება ცალკეული ნივთის გადაცემა.

მომავალი ქონების ცალკეული ნივთების გაყიდვისაგან უნდა განვასხვაოთ იმ ნივთების გაყიდვა, რომლებიც პრინციპში შეუძლებელია რომ გამყიდველმა გადასცეს მყიდველს. საუბარია ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთებზე, რომლებზეც გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში უკვე დაკარგული აქვს საკუთრების უფლება მათი განადგურების, მოსპობის ანდა მესამე პირისათვის მათზე საკუთრების უფლების გადაცემის გამო. მაგალითად, ხელშეკრულება იდება საცხოვრებელ სახლზე, რომელიც უკვე იმყოფება სხვა პირის საკუთრებაში. მოცემული სიტუაცია სამოქალაქო-სამართლებრივი დოქტრინის მიერ განიხილება, „ვალდებულების საგნის შეუძლებლობის“ პრობლემის ფარგლებში. მაგალითად, გ. შერშენევიჩის აზრით, იმ ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც უკვე აღარ არსებობდა ხელშეკრულების დადების მომენტში, ჩაითვლება ბათილად[6].

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპები ითვალისწინებს დებულებას იმის შესახებ, რომ თავისთავად ის ფაქტი, როცა ხელშეკრულების დადების მომენტში ნაკისრი ვალდებულების შესრულება უკვე შეუძლებელია, ეს გავლენას არ ახდენს ხელშეკრულების ნამდვილობაზე. ეს დებულება გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულების შესრულების თავიდანვე შეუძლებლობა (მაგალითად, მყიდველისათვის გადასაცემი ნივთის

[6] Шершеневич Г.Ф. Учебник русского гражданского права, СПб 1902, М., 1998. с. 281.

განადგურება, დაღუპვა) უთანაბრდება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობას, რომელიც დგება ხელშეკრულების დადების შემდეგ გამყიდველზე დამოუკიდებული გარემოებების შედეგად. ამიტომაც მსგავს შემთხვევებში საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება გამყიდველის მიერ თავისი ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების ნორმების შესაბამისად[7].

არარსებული ნივთის თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბედის გადაწყვეტის საკითხი, ჩვენი აზრით, გადაჭრილ უნდა იქნეს იმის შესაბამისად, იცოდა თუ არა ამის შესახებ მყიდველმა. იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში მყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი აღარ არსებობს, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება არდადებულად იმის გამო, რომ არ არსებობს მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგნის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველმა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ იცოდა, რომ ის ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების საგანს, აღარ არსებობს (განადგურდა), მაშინ მას შეუძლია მოითხოვოს ასეთი ხელშეკრულების ბათილად ცნობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 73-ე მუხლის „გ“ პუნქტის შესაბამისად, კერძოდ, „შეცდომა არსებითი ხასიათისაა, თუ არ არსებობს ის გარემოებები, რომელთაც მხარეები კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, განიხილავენ გარიგების საფუძვლად“. რადგან ასეთი ხელშეკრულება წარმოადგენს საცილო გარიგების ნაირსახეობას, მყიდველს ხელშეკრულების ბათილად ცნობის ნაცვლად, უფლება აქვს გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება დადებულია, მოითხოვოს გამყიდველისაგან ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

---

[7] Принципы международных коммерческих договоров, пер. с англ. Комарова А.С., М., 1996. с. 29.

ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსს შეადგენს მისი პირობების ერთობლიობა. ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც მასზეა დამოკიდებული უფლებებისა და ვალდებულებების წარმოშობის თავისებურებანი, ვალდებულების ჯეროვანი შესრულება და სხვა.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში ყველა იმ პირობის გათვალისწინება, რომელიც ხელშეკრულების შინაარსს ქმნის, სავალდებულო არ არის. ამ თვალსაზრისითა და იურიდიული მნიშვნელობის მიხედვით, ხელშეკრულების პირობები იყოფა არსებით, ჩვეულებრივ, შემთხვევით და სტანდარტულ პირობებად.

არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომელიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ, აუცილებელია მოცემული სახის ხელშეკრულებისათვის და ასევე ის პირობები, რომლებზეც თუნდაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, როდესაც მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმდნენ სააქისოდ გათვალისწინებული ფორმით.“ ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით არსებითად ჩაითვლება მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანსა და ფასზე. არსებითი პირობები აუცილებელი და საკმარისია ხელშეკრულების დასადებად. თუ მხარეები ყველა არსებით პირობაზე არ შეთანხმდნენ, ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლება, თუნდაც მიღწეულ იქნეს შეთანხმება სხვა პირობაზე. ამასთან, მხარეებმა შეიძლება ღიად დატოვონ ესა თუ ის არსებითი პირობა და შეთანხმდნენ მომავალში მისი განსაზღვრის საშუალებაზე. მაგალითად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებით გაყიდული საქონელი მყიდველისათვის ხელშეკრულების დადებიდან განსაზღვრული დროის გასვლის შემდეგ უნდა იქნეს მიწოდებული, მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ, რომ საქონლის ფასი განისაზღვრება მიწოდების დროს ბაზარზე ანალოგიური სახის საქონელზე არსებული საშუალო ფასის მიხედვით.

არსებითი პირობისაგან განსხვავებით, ჩვეულებრივია პირობა, რომელიც შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ხელშეკრულებით,

მაგრამ არაა აუცილებელი, ხელშეკრულების ნამდვილობა არაა დამოკიდებული იმაზე, შეთანხმდნენ თუ არა მხარეები ასეთი პირობის თაობაზე. ჩვეულებრივი პირობები, როგორც წესი, სამართლის დისპოზიციური ხასიათის ნორმებითაა გათვალისწინებული და ავტომატურად მოქმედებს ხელშეკრულების დადებისთანავე. იგულისხმება, რომ თუ მხარეები შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებაზე, ამით ისინი დაეთანხმნენ იმ პირობებს, რომლებსაც შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტები. აღნიშნული იმას არ ნიშნავს, რომ მხარეებს არც ერთ შემთხვევაში არ შეუძლიათ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ისეთი პირობის შეტანა, რომელიც აუქმებს ან ცვლის კანონის დისპოზიციური ნორმით გათვალისწინებულ ჩვეულებრივ პირობას. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ,,გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან“. მაშასადამე, ამ ნორმაში მოცემული ჩვეულებრივი პირობა რისკის გადასვლის შესახებ, შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით.

შემთხვევითი პირობები ცვლიან ან ავსებენ ჩვეულებრივ პირობებს. ისინი, მხარეთა შეთანხმებით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულებით. მაგრამ თუ შემთხვევითი პირობა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის, ჩვეულებრივი პირობის მსგავსად, თავისთავად არ იგულისხმება. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მხარეებს არ გაუთვალისწინებიათ თუ რა სახის ტრანსპორტით უნდა მიეწოდოს მყიდველს საქონელი, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება ამ შემთხვევითი პირობის გარეშეც.

რაც შეეხება ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს (აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში სტანდარტულ პირობებს საბაზისო პირობებს უწოდებენ), საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 342-ე მუხლის თანახმად, ,,ხელშეკრულების სტანდარტული პირობები წინასწარ ჩამოყალ-

იბებული, მრავალჯერადი გამოყენებისათვის გამიზნული პირობებია, რომელთაც ერთი მხარე (შემთავაზებელი) უდგენს მეორე მხარეს და რომელთა მეშვეობითაც უნდა მოხდეს კანონით დადგენილი ნორმებისაგან განსხვავებული ან მათი შემვსები წესების დადგენა. თუ ხელშეკრულების პირობები მხარეთა მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად. უშუალოდ მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭებათ სტანდარტულ პირობებთან შედარებით".

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის პირობებში, როცა ყოველდღიურად მილიონობით ხელშეკრულება იდება მომხმარებელთან, წარმოუდგენელია, რომ ყოველ მათგანთან გაიმართოს ცალკე მოლაპარაკება და მხოლოდ ამის შემდეგ გაფორმდეს ხელშეკრულება. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ელექტროენერგიით ან გაზით მომმარაგებელი ორგანიზაციები ყველა მომხმარებელთან ცალკე მოლაპარაკებებს მართავდნენ და თითოეულთან დებდნენ ინდივიდუალური ხასიათის ნასყიდობის ხელშეკრულებას. ურთიერთობათა გაიოლების მიზნით ცხოვრებაში დამკვიდრდა ე.წ. ხელშეკრულების სტანდარტული (საბაზისო) პირობები, რომელსაც წინასწარ გამზადებული სახელშეკრულებო ფორმულარების ფორმით გამყიდველი სთავაზობს მომხმარებელს. შესაბამისად, მყიდველი ყოველგვარი ინდივიდუალური მოლაპარაკების გარეშე უერთდება ამ პირობებს და ისე დებს ხელშეკრულებას. ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ჩვეულებრივ, ისეთ წესებს შეიცავს, რომელიც ხშირად კანონში არ არის გათვალისწინებული და შემთავაზებლის საქმიანობის სპეციფიკას გამოხატავს. მაგალითად, მარკეტი თავისი სტანდარტული პირობით მომხმარებელს აფრთხილებს, რომ „გაყიდული საქონელი უკან არ მიიღება". ამგვარ წესებს კანონი პირდაპირ არ შეიცავს, თუმცა გამყიდველს შეუძლია შეიტანოს იგი სტანდარტულ პირობებში. როდესაც საუბარია კანონის ნორმებისაგან განსხვავებული წესების დადგენაზე, იგულისხმება მხოლოდ კანონის დისპოზიციური ნორმები. რაც შეეხება იმპერატიულ ნორმებს, ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილეებს მათი შეცვლა არ შეუძლიათ.

მართალია, სტანდარტული პირობები ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა შორის ურთიერთობის წესებს ადგენენ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენენ სამართლის ნორმებს, ვინაიდან მათი მიზანი მხოლოდ კონკრეტულ პირთა შორის ურთიერთობის მოწესრიგებაა, მიუხედავად იმისა, რომ მრავალი პირის მიმართ გამოიყენება.

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები მხარეების მიერ დეტალურად არის განსაზღვრული, მაშინ ეს არ მიიჩნევა ხელშეკრულების სტანდარტულ პირობად. მხარეთა მიერ შეთანხმებულ პირობებს უპირატესობა ენიჭება სტანდარტულ პირობებთან შედარებით. პრაქტიკულად ეს იმას ნიშნავს, რომ დავის შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობების მოსაწესრიგებლად გამოყენებული უნდა იქნეს არა სტანდარტული პირობების წესები, არამედ ის წესები, რომლებზეც მხარეები ხელშეკრულებაში შეთანხმდნენ. ასე, მაგალითად, თუ სუპერმარკეტში ამა თუ იმ საქონელზე გამყიდველის მიერ წინასწარაა განსაზღვრული ფასი, რომელსაც სთავაზობს მყიდველს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მხარეები შეთანხმდნენ სხვა ფასზე, მაშინ ასეთი პირობა აღარ იქნება სტანდარტული პირობა და შესრულების დროს უპირატესობა მიეცემა მხარეთა შორის შეთანხმებულ ფასს.

იმისათვის, რომ გამყიდველის მიერ თავს მოხვეულმა ხელშეკრულების სტანდარტულმა პირობებმა მყიდველი მძიმე მდგომარეობაში არ ჩააყენოს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია სტანდარტული პირობების სამართლებრივი რეგულირება (სსკ-ის 342-348-ე მუხლები).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს რაიმე სპეციალურ ნორმას ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა იქნეს ის ნორმები, რომლებიც ზოგადად გარიგების (ხელშეკრულების) ნამდვილობისთვისაა საჭირო. ასეთია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე და 328-ე მუხლები. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ

გათვალისწინებული ფორმით. მაშასადამე, ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია დადგენილი ფორმის დაცვა. კერძოდ, სსკ-ის 328-ე მუხლის თანახმად, „თუ კანონით ხელშეკრულების ნამდვილობისათვის დადგენილია განსაზღვრული ფორმა ან მხარეებმა ხელშეკრულებისათვის გაითვალისწინეს ასეთი ფორმა, მაშინ ხელშეკრულება ძალაში შედის მხოლოდ ამ ფორმის შესახებ მხარეთა მოთხოვნის შესრულების შემდეგ".

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განამტკიცებს ზოგადად ხელშეკრულების ფორმის თავისუფლების პრინციპს. კანონით ზუსტად განსაზღვრული შემთხვევების გარდა, მხარეებს დამოუკიდებლად შეუძლიათ შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე. ხელშეკრულებათა აბსოლუტური უმრავლესობა ზეპირად იდება. ეს ზუსტად შეესაბამება მხარეთა მოთხოვნილებას ერთმანეთთან ურთიერთობები მოაწესრიგონ ზედმეტი ფორმალობების გარეშე. მაგრამ იქ, სადაც აუცილებელია მეტი წინდახედულობა, სიფრთხილე და მხარეთა უსაფრთხოების დამატებითი გარანტიები, კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს.

კანონი ერთმანეთისაგან განასხვავებს მარტივ წერილობით ფორმასა და რთულ (სანოტარო) წერილობით ფორმას. მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების ნამდვილობისათვის მასში მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. იმ პირს, ვინც თვითონ ვერ მოაწერს ხელს გარიგებას წერა-კითხვის უცოდინარობის, ფიზიკური ნაკლის ან ავადმყოფობის გამო, შეუძლია გარიგებაზე ხელმოწერა მიანდოს სხვას. ამ უკანასკნელის ხელისმოწერა დამოწმებულ უნდა იქნეს ოფიციალურად. ამასთან, უნდა აღინიშნოს ის მიზეზი, რომლის გამოც გარიგების დამდებმა ვერ შეძლო გარიგებაზე ხელის მოწერა. თუ გარიგების დადებისას შედგენილია ერთი და იმავე შინაარსის რამდენიმე დოკუმენტი, მაშინ საკმარისია თითოეულმა მხარემ ხელი მოაწეროს იმ დოკუმენტის ეგზემპლარს, რომელიც განკუთვნილია შესაბამისი მხარისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 68-ე-71-ე მუხლები).

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს თვითონაც შეუძლიათ

შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფორმაზე. მაგრამ მათ უფლება არა აქვთ შეცვალონ კანონით დადგენილი სავალდებულო ფორმა. თუმცა მათ უფლება აქვთ სანოტარო ან მარტივი წერილობითი ფორმა გამოიყენონ იქ, სადაც ამას კანონი არ მოითხოვს.

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეთანხმდნენ მარტივ წერილობით ფორმაზე, ამ დროს ხელშეკრულების დასადებად საკმარისია ხელმოწერა მათ მიერ შედგენილ დოკუმენტზე. ხელმოწერა უნდა განხორციელდეს საკუთარი ხელით და მითითებული უნდა იყოს ხელმომწერის სახელი და გვარი გარკვევით. დოკუმენტზე ხელის მოწერა დასაშვებია წარმომადგენლის მეშვეობით[8].

ამრიგად, ხელმოწერა გულისხმობს წერილობითი დოკუმენტის არსებობას. ამასთან, სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რა საშუალების გამოყენებით არის ეს დოკუმენტი შედგენილი: იგი შეიძლება იყოს ხელით ნაწერი, დაბეჭდილი როგორც სტამბურად, ისე მანქანაზე ან კომპიუტერზე. მთავარია, რომ ხელმოწერა შესრულებული იყოს საკუთარი ხელით. ხელმოწერა უნდა მოსდევდეს ტექსტს და არა პირიქით, ანუ ხელმოწერა უნდა მოთავსდეს ტექსტის ბოლოს.

სატელეგრაფო შეტყობინება (დეპეშა), ტელეასლი ან წერილების ურთიერთგაცვლა მხოლოდ მაშინ ჩაითვლება წერილობით ფორმად, თუ მხარეები ამაზე წინასწარ არიან შეთანხმებული (სსკ 328-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია ხელშეკრულების დამოწმება ნოტარიუსის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ[9].

უძრავი ნივთების (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლის თანახმად, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული

---

[8] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997. გვ. 349-351.

[9] ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005. გვ. 227.

მცენარეები, ასევე, შენობა-ნაგებობები, რომლებიც მყარად დგას მიწაზე) განკარგვასთან დაკავშირებული ხელშეკრულებები ყველაზე მნიშვნელოვან ქონებრივ გარიგებებს განეკუთვნება. ამიტომაც სრულიად ბუნებრივია, რომ კანონი ამ ხელშეკრულებებს განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება და სპეციალურ ფორმასაც კი აწესებს. უძრავი ნივთების გასხვისებისა და მათი უფლებრივი დატვირთვის მომწესრიგებელი ნორმები სამოქალაქო კოდექსში რამდენიმე ადგილას გვხვდება. მათგან აღსანიშნავია სსკ-ის 183-ე მუხლი, რომელიც უძრავ ნივთებზე საკუთრების შეძენის საკითხებს აწესრიგებს, სახელდობრ, „უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში“.

მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 323-ე მუხლი შეიცავს იმპერატიულ ნორმას, რომელიც უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულების ფორმას განსაზღვრავს, ხოლო 183-ე მუხლი კი ამ ფორმასთან ერთად განამტკიცებს უძრავ ნივთზე საკუთრების გადასვლის აუცილებელ წინაპირობას – რეგისტრაციას საჯარო რეესტრში.

ამიტომაც თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია უძრავი ნივთი, ხელშეკრულება უნდა დაიდოს სსკ-ის 183-ე და 323-ე მუხლების მოთხოვნათა დაცვით, წინააღმდეგ შემთხვევაში, სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

ზოგიერთ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია სახელმწიფოს ნებართვა. თუმცა კი სამოქალაქო სამართალი კერძო პირთა სამართალია და ისინი დამოუკიდებლად წყვეტენ ერთმანეთთან ურთიერთობის საკითხებს, თანამედროვე მართლწესრიგი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც საჯარო ხელისუფლების (სახელმწიფოს) ჩარევა აუცილებელი ხდება

ამ კერძო ხასიათის ურთიერთობებში. სახელმწიფოს მხრიდან ამგვარი ჩარევის ერთ-ერთი საშუალება, გარდა საკანონმდებლო მოწესრიგებისა, არის სპეციალური ნებართვის დაწესება ამა თუ იმ ხელშეკრულების (მათ შორის ნასყიდობის ხელშეკრულების) დადებისას. ასეთი ჩარევის შესაძლებლობას განამტკიცებს სსკ-ის 319-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მესამე წინადადება, რომლის თანახმად, „თუ საზოგადოების ან პიროვნების არსებითი ინტერესების დაცვისათვის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია სახელმწიფოს ნებართვაზე, მაშინ ეს უნდა მოწესრიგდეს ცალკე კანონით.“ მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია კულტურული მემკვიდრეობის სფეროს მიკუთვნებული ძეგლი „კულტურული მემკვიდრეობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე და 56-ე მუხლების შესაბამისად, აუცილებელია წინასწარი შეტყობინება კულტურის სამინისტროსადმი. თუ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები დაარღვევენ კანონის მოთხოვნას, ხელშეკრულების დასადებად სახელმწიფოსაგან ნებართვის მიღების შესახებ, მაშინ დადგება სამოქალაქო კოდექსის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მეორე წინადადებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, „ბათილია ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისათვის საჭიროა ნებართვა“.

ნასყიდობის ხელშეკრულება განსხვავდება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა: გაცვლა, ჩუქება, ქირავნობა, ნარდობა, სამისდღეშიო რჩენა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლის თანახმად, გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა. გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და, იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან თავისი სამართლებრივი ბუნებით ყველაზე ახლოს დგას სწორედ გაცვლის ხელშეკრულება, მაგრამ მათ შორის მაინც არსებობს განსხვავება, სახელდობრ: 1) ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, რომელშიც ერთი მხარეა გამყ-

იდველი, ხოლო მეორე კი – მყიდველი, გაცვლის ხელშეკრულებაში ყოველი მხარე ერთდროულად გამყიდველიცაა და მყიდველიც, ანუ თითოეული მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმ ქონების მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს; 2) ნასყიდობის ხელშეკრულებაში გადასაცემი საქონლის ეკვივალენტად გამოდის ფულადი თანხა, მაშინ, როდესაც გაცვლის შემთხვევაში გასაყიდი ფასის ადგილს იკავებს ნივთი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. მაშასადამე, ჩუქების ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას მისი უსასყიდლო ხასიათი წარმოადგენს, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, რომელიც ყოველთვის სასყიდლიანია. ჩუქების უსასყიდლობა ვლინდება იმაში, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული შემხვედრი ეკვივალენტობის მატარებელი, მაშინ, როდესაც გამყიდველი გადაცემული ქონების სანაცვლოდ მყიდველისაგან ღებულობს შემხვედრ დაკმაყოფილებას ნივთის ფასის გადახდის ფორმით. გარდა ამისა, ნასყიდობა ყოველთვის არის ორმხრივი და კონსენსუალური ხელშეკრულება, მაშინ, როდესაც ჩუქება წარმოადგენს ცალმხრივ და რეალურ ხელშეკრულებას[10].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 531-ე მუხლის თანახმად, ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა დამქირავებელს სარგებლობაში გადასცეს ნივთი განსაზღვრული ვადით. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს გადაუხადოს დათქმული ქირა. მაშასადამე, მთავარი განსხვავება ნასყიდობასა და გაცვლას შორის იმაში მდგომარეობს, რომ 1) ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველს ნაყიდ ნივთზე წარმოეშობა საკუთრების უფლება, მაშინ, როდესაც ქირავნობის ხელშეკრულებით დამქირავებელს ნივთი გადაეცემა სარგებლობის უფლებით. ამ დროს არ შეიძლება ქონების საკუთრებაში გადაცემა. უფრო მეტიც, გადაცემული ქონებით

[10] ლ. ნადიბაიძე, საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2001. გვ. 58

სარგებლობაც კი შეზღუდულია ქონების დანიშნულებისამებრ გამოყენების ფარგლებით. 2) ქირავნობა ყოველთვის ატარებს დროებით ხასიათს და ხელშეკრულების ვადის ამოწურვისთანავე ნივთი უკან უნდა დაუბრუნდეს გამქირავებელს. ე.ი. ქონებით სარგებლობის უფლება ერთი პირიდან მეორეზე გადადის არა მუდმივად (სამუდამოდ), არამედ განსაზღვრული დროით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ნარდობა ითვალისწინებს რაიმე ნაკეთობის დამზადებას და მენარდე მას ამზადებს თავის შეძენილი მასალით, მაშინ იგი შემკვეთს გადასცემს საკუთრებას დამზადებულ ნაკეთობაზე. თუ დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ გამოიყენება ნასყიდობის წესები.

წ

ა) პირველ რიგში, ნარდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს, როგორც წესი, ინდივიდუალურად განსაზღვრული ნაკეთობის დამზადება, რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, იგი უმრავლეს შემთხვევებში გვაროვნული ნივთია (ამიტომაც მიუთითებს სამოქალაქო კოდექსი, რომ თუ ნარდობის ხელშეკრულებით დამზადებულია გვაროვნული ნივთი, მაშინ ანალოგიით გამოიყენება ნასყიდობის წესები).

ბ) მეორე რიგში, ნარდობის ხელშეკრულების პირობები, უპირველეს ყოვლისა, მიმართულია სამუშაოთა შესრულების პროცესში მხარეთა ურთიერთობის განსაზღვრისაკენ, ხოლო ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად შინაარსს წარმოადგენს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ხელშეკრულების საგნის გადაცემა.

ამ სფეროში წარმოშობილი სხვადასხვა პრაქტიკული სიტუაციის გადასაწყვეტად საჭიროა ასევე მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების სხვა პირობების განმარტება (საგნის გადაცემა, ანგარიშსწორების წესი და ა.შ).

იმ შემთხვევაში, როდესაც ნარდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ერთი და იმავე სახის რამდენიმე ნაკეთობის დამზადებასა და მის გადაცემას შემკვეთისათვის, იბადება კითხვა: ასეთი

ხელშეკრულების მიმართ რომელი ნორმები უნდა იქნეს გამოყენებული – ნარდობის თუ ნასყიდობის? ამ კითხვაზე პასუხს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ნარდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები განსხვავდება იმ ნორმებისაგან, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულებას შეეხება.

ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ მოცემულ სიტუაციაში, მდგომარეობს იმაში, რომ გამყიდველი რეალიზაციას უკეთებს ნაკეთობას, რომელიც დამზადებულია მისი მასალით, ხოლო მენარდე კი იმ ნაკეთობას, რომელიც დამზადებულია მისი ან შემკვეთის მასალით. აღნიშნული საკითხი 1980 წლის 11 აპრილს გაეროს ვენის კონვენციის საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ გაწყვეტილ იქნა შემდეგნაირად: აღნიშნული კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულებები, რომლებიც დამზადებულ ან წარმოებულ უნდა იქნეს, ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად იმ პირობით, თუკი საქონლის შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მწარმოებელს თუ დამამზადებელს იმ მასალის არსებითი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დასამზადებლად ან საწარმოებლად“[11].

მაშასადამე, თუკი შემკვეთმა (მყიდველმა) შეუკვეთა რა განსაზღვრული რაოდენობის საქონელი, ასევე თავის თავზე აიღო შეკვეთილი საქონლის დამზადების უზრუნველყოფა მის მიერ მიწოდებული მასალით, მაშინ ხელშეკრულების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ამ მასალის რაოდენობაზე, კერძოდ, არის თუ არა მასალის რაოდენობა არსებითი (და მაშინ სახეზეა ნარდობის ხელშეკრულება), თუ ეს მასალა არ არის საკმარისი და არარსებითი ხასიათისაა (მაშინ სახეზეა ნასყიდობის ხელშეკრულება)[12].

გარდა ამისა, ჩვენს შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით დიდი

---

[11] United Nations Convention Contracts for the Internacional Sale of Goods _ http://www.cisg.ru. /content/ download /cisg.ru.pdf

[12] Розенберг М.Г. Гражданский кодекс и договор международной купли-продажи товаров, М., 1996. с. 138.

მნიშვნელობა ენიჭება ნარდობის ერთ-ერთ ისეთ არსებით ნიშანს, რომ ნარდობა მოიცავს არა მარტო სამუშაოს შედეგს (რეზულტატს), როგორც ასეთს, არამედ მის შესრულებასაც (მენარდე კისრულობს ვალდებულებას შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო). აქედან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ ნარდობის ხელშეკრულება მოიცავს ასევე სამუშაოთა შესრულების მთელ პროცესს. ნასყიდობაში კი ასეთი რამ არ არის, რამეთუ ხელშეკრულება განსაზღვრავს მხოლოდ სამუშაოს შედეგს – ნასყიდობის საგნის გადაცემას (თვით ნივთის დამზადება კი ნასყიდობის ხელშეკრულების ფარგლებს გარეთაა)[13].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ნასყიდობის ხელშეკრულების მსგავსად, წარმოადგენს ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას, თუმცა მათ შორის არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებაც:

1) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, პირველ რიგში, განსხვავდება სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით. ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები – გამყიდველი და მყიდველი, შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში კი, მართალია, მარჩენალი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, მაგრამ სარჩენი კი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

2) მეორე რიგში, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე

---

[13] ზ. ძლიერიშვილი, ნარდობის სამართლებრივი რეგულირება. თბ., 2002, გვ. 9.

მყიდველს ნაყიდ საქონელზე წარმოეშობა საკუთრების უფლება და შეუძლია ნაყიდი ნივთი განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, მაშინ როდესაც მარჩენალს სარჩენის იმ ქონებაზე, რომელიც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაეცემა, წარმოეშობა საკუთრების უფლება, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით, რამთუ ხელშეკრულების მოქმედების ანდა სარჩენის სიცოცხლის განმავლობაში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე.

3) მართალია, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი და მიზნად ისახავს მომავალში მარჩენალის საკუთრებაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარჩენის ქონების გადასვლას განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით, მაგრამ, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან იგი არსებითად არ მოიცავს ისეთ პირობას, როგორიცაა ფასი და არ ხასიათდება გადასაცემი მატერიალურ სიკეთეთა ეკვივალენტურობით. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარჩოს ოდენობა შეიძლება შეადგენდეს მარჩენალისათვის გადასაცემი ქონების ღირებულების უმნიშვნელო ნაწილს ანდა, პირიქით, ზოგჯერ შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს კიდევაც გადასაცემი ქონების ღირებულებას. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ, მართალია, სამიდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ვადიანი ხელშეკრულება, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ არის განსაზღვრული, არამედ დადგენილია სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით, თუმცა მხარეები ხელშეკრულებით შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრულ დროზეც, რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს სარჩენისათვის სარჩოს გადახდას.

სამისდღეშიო რჩენისას შემხვედრი ანაზღაურების ოდენობა წინასწარ არაა ცნობილი და შესაბამისად, შეუძლებელია, რომ განსაზღვრულ იქნეს ხელშეკრულების დადებისას, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, რომლის ერთ-ერთი არსებითი

პირობა არის გასაყიდი ნივთის ფასი, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას ანდა მხარეები შეთანხმებულნი არიან მისი განსაზღვრის საშუალებაზე მაინც. მარჩენალმა სარჩენის სასარგებლოდ შეიძლება განახორციელოს არაქონებრივი ხასიათის მოქმედებებიც, რაც არ ახასიათებს ნასყიდობის ხელშეკრულებას (მაგალითად, მოვლა, კვება, ბინით უზრუნველყოფა და სხვა).

4) განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რჩენის მოვალეობა ატარებს განგრძობად, ხანგრძლივ ხასიათს. იგი შეიძლება გაგრძელდეს წლობითაც კი. ამიტომაც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ძირითადი შინაარსი განისაზღვრება არა განსაზღვრული ფასით ქონების გადაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით, არამედ სარჩოს გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით. აქედან გამომდინარეობს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სხვა თავისებურებებიც, როგორიცაა მომავალში გარემოებების შეცვლასთან დაკავშირებით ურთიერთობების მოწესრიგება, კერძოდ, თუკი მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს, ანდა შეუძლებელს ხდის მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობების შემდგომში გაგრძელებას. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობა ითვალისწინებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ.

II თავი

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები და მათი უფლება-მოვალეობანი

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ გამყიდველი და მყიდველი, რომლებიც შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები (კერძო სამართლის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირები). რამდენადაც ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს ნაყიდ ნივთზე მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემას, ამიტომ გამყიდველი, როგორც წესი, ქონების მესაკუთრე უნდა იყოს. კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ნივთის გაყიდვის უფლებამოსილება შეიძლება მიენიჭოს არამესაკუთრესაც. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 503-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ, როცა მყიდველი დროულად არ მიიღებს ნაყიდ ნივთს (იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ნაყიდი საქონელი მყიდველის საკუთრება ხდება ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისთანავე), გამყიდველს, რომელიც ინახავს ნივთს, შეუძლია ამ ნივთის გაყიდვა სათანადო წესების დაცვით. ასევე, როდესაც ნივთის გაყიდვა ხდება გირავნობის, იპოთეკის დროს აუქციონზე ან სხვა საჯარო ვაჭრობის წესებით, ნივთს ყიდის არამესაკუთრე. ასევე, კომისიონერის მიერ საქონლის გაყიდვისას სახეზეა არამესაკუთრის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების დადება, რამეთუ კომისიონერი მართალია, გამოდის საკუთარი სახელით, მაგრამ კომიტენტის დავალებით.

არამესაკუთრის მიერ ნივთის გაყიდვის შესაძლებლობას ითვალისწინებს ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 725-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმადაც, მინდობილი მესაკუთრე მინდობილი საკუთრების თაობაზე მესამე პირებთან ურთიერთობაში სარგებლობს მესაკუთრის უფლებამოსილებით. ასევე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 798-ე მუხლის თა-

ნახმად თუ შენახვის ვადის გასვლის შემდეგ სასაწყობო მოწმობის მფლობელი თავს არიდებს საწყობიდან საქონლის წაღებას, შემნახველმა უნდა დაუნიშნოს მას საქონლის წაღების დამატებითი ორკვირიანი ვადა. თუკი მოწმობის მფლობელი ამ ვადაშიც არ წაიღებს საქონელს, შემნახველს უფლება აქვს გაყიდოს იგი. სსკ-ის 684-ე მუხლი ითვალისწინებს ასევე გადამზიდველის უფლებას, გაყიდოს გადასაზიდად ჩაბარებული ტვირთი, გაყიდვის წესი განისაზღვრება იმ ადგილის კანონებითა და ჩვეულებებით, სადაც იმყოფება ტვირთი.

მყიდველი შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერი სუბიექტი, ანუ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი, ასევე ის პირები, რომლებიც არ სარგებლობენ იურიდიული პირის სტატუსით (ამხანაგობა, არარეგისტრირებული კავშირი და ა.შ.).

იმისათვის, რომ მხარეებმა დადონ ნასყიდობის ხელშეკრულება, დაცულ უნდა იქნეს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები მათი სამართალსუბიექტურობასთან (უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა) მიმართებით[14].

ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველსა და მყიდველს ერთმანეთის მიმართ წარმოეშობათ განსაზღვრული უფლებები და მოვალეობები.

გამყიდველის ძირითადი მოვალეობაა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ქონება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 147-ე მუხლის თანახმად, არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუ ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. სსკ-ის 152-ე მუხლის თანახმად, არამატერიალური ქონებრივი სიკეთე არის ის მოთხ-

[14] ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005. გვ. 210.

ოვნები და უფლებები, რომლებიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირს ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

მეტად მნიშვნელოვან სამართლებრივ შედეგებთან არის დაკავშირებული გამყიდველიდან მყიდველზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტის განსაზღვრა. ამ საკითხის გადაწყვეტისას უნდა ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომელიც ეხება საკუთრების შეძენას საერთოდ. შემძენზე ნაყიდ საქონელზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტთან დაკავშირებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ერთგვარად განსხვავებულ წესს ადგენს იმის მიხედვით, თუ რა არის ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი – მოძრავი თუ უძრავი ნივთი.

უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, ასევე შენობა-ნაგებობები, რომელიც მყარად დგას მიწაზე. კანონით დადგენილია, რომ უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და მყიდველზე ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. საჯარო რეესტრში შემძენის რეგისტრაციისათვის აუცილებელია ასევე განცხადების შეტანა საჯარო რეესტრის სამსახურში. განცხადების შეტანა შეუძლია როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს. უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის ურთიერთობაში მხარეები ან ერთ-ერთი მათგანი შეიძლება მონაწილეობდეს წარმომადგენლის მეშვეობით (მაგალითად, დავალების ხელშეკრულებით); წარმომადგენლის მონაწილეობის შესახებ აუცილებლად უნდა აღინიშნოს სანოტარო წესით გაფორმებულ საბუთში. მოძრავია ყველა ნივთი, რომელიც არ მიეკუთვნება კანონმდებლობით დადგენილ უძრავი ნივთების ჩამონათვალს[15]. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 186-ე

[15] ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005. გვ. 245.

მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასაცემად აუცილებელია, რომ მესაკუთრემ ნამდვილი უფლების საფუძველზე გადასცეს შემძენს ნივთი.

მოძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების შეძენასთან დაკავშირებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ძველი რომაული ტრადიციებისადმი ერთგულება ჩანს. რომის სამართლის თანახმად, ნივთის შეძენა როდი იყო შესაძლებელი მარტოოდენ შეთანხმების ფაქტით. იმავდროულად საჭირო იყო მხარეთა შეთანხმებული ნება მისი გადაცემის თაობაზე. რომის სამართალში ერთმანეთისაგან განასხვავებდნენ საფუძველსა (titulus) და შეძენის გზას (modus). საფუძვლად ითვლებოდა ხელშეკრულება, ხოლო საშუალებად – გადაცემა[16]. ხშირად ეს პროცესი ერთიან აქტად აღიქმება ხოლმე, რომელშიც ერთმანეთს ემთხვევა მხარეთა ნება, აქედან ერთი მიმართულია ნივთის გასხვისებისაკენ, მეორე კი – მისი შეძენისაკენ. დიგესტების თანახმად, შეთანხმება წარმოშობს მხოლოდ ნივთის გადაცემის ვალდებულებას, ხოლო თვით ამ ნივთზე საკუთრების უფლება წარმოიშობა ნივთის გადაცემის (traditio) მომენტიდან[17].

თანამედროვე განვითარებულ ქვეყნებში საკუთრების უფლების გადაცემის ყველაზე განსხვავებული წესი დადგენილია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 929-ე – 935-ე პარაგრაფებში. საკუთრების გადაცემის ამ წესს „აბსტრაქციის პრინციპი“ ეწოდება და მისი არსი მდგომარეობს შემდეგში: საკუთრების გადაცემისათვის არაა საკმარისი ვალდებულებით-სამართლებრივი ხელშეკრულება, რითაც გამყიდველი ვალდებული ხდება ნივთი გადასცეს მყიდველს. საჭიროა მხარეთა დამატებითი შეთანხმება ამ ნივთის გადაცემის თაობაზე, ანუ იმაზე, რომ ამიერიდან ნივთი მყიდველის საკუთრება იქნება, რასაც სანივთო-სამართლებრივი, აბსტრაქტული სანივთო ხელშეკრულება ჰქვია. ამრიგად ის, ვინც საკუთრებას იძენს, დებს ორ გარიგებას მაინც დამოუკიდებლად: ვალდებულებით-სამართლებრივსა და

---

[16] Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского. М., 1996. с. 369.

[17] ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი მეორე გამოცემა, თბ., 2003. გვ. 145

სანივთოს, თუ პირველით საკუთრების დათმობა ხდება, მეორე მის რეალურ გადასვლას უწყობს ხელს[18].

აბსტრაქტული გარიგების მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ მისი ნამდვილობა არაა დამოკიდებული ვალდებულებით გარიგებაზე. ვალდებულებითი გარიგება ბათილიც რომ აღმოჩნდეს, სანივთო გარიგება მაინც ნამდვილი იქნება. მაგრამ, რადგანაც მყიდველი უსაფუძვლოდ მდიდრდება, ის ვალდებულია ამ მიზეზით დაუბრუნოს ნივთი გამყიდველს[19].

ამრიგად, გერმანული სამართლის მიხედვით, საკუთრების შესაძენად საჭიროა არა მარტო ვალდებულებითი სამართლებრივი ხელშეკრულების დადება, არამედ აუცილებელია იმავდროულად ნივთის გადაცემის თაობაზე მხარეთა სანივთო-სამართლებრივი შეთანხმება[20].

ქართულმა სამოქალაქო სამართალმა სრულიად საფუძვლიანად უარი თქვა აბსტრაქციის პრინციპზე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მოძრავ ნივთზე მყიდველის საკუთრების უფლების შეძენის სამ შესაძლებლობას, როგორიცაა: 1) მესაკუთრის (გამყიდველის) მიერ მყიდველისათვის ნივთის ჩაბარება პირდაპირ მფლობელობაში (ე.ი. ნივთი გადადის მყიდველის ხელში მის ფაქტობრივ მფლობელობაში). 2) არაპირდაპირი მფლობელობის გადაცემა ხელშეკრულებით, რომლის დროსაც წინა მესაკუთრე შეიძლება დარჩეს პირდაპირ მფლობელად. მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ შემძენი ნივთის მესაკუთრე გახდება ხელშეკრულების დადების მომენტიდან, მაგრამ გაყიდული ნივთი განსაზღვრული დროის განმავლობაში დარჩება გამყიდველის მფლობელობაში. ასეთ შემთხვევაში წინა მესაკუთრე (გამყიდველი) პირდაპირი მფლობელია, ხოლო შემძენი

---

[18] ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი მეორე გამოცემა, თბ., 2003. გვ. 146.

[19] ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება გერმანული სამართლის მაგალითზე, თბ., 1994.

[20] Dr. Hans – Werner Eckert, Dr. Ian Meifeld, Dr. Michael Matthiessen. Handbuch des Kaufrechts: der Kaufvertrag nach Bürgerlichem Recht, Handelsrecht und UN – Kaufrecht. Verlag C. H. Beck München, 2007. S. 86-199.

(მყიდველი) კი არაპირდაპირი მფლობელი. 3) ნივთის გადაცემად ითვლება ასევე მესაკუთრის (გამყიდველის) მიერ შემძენისათვის მესამე პირისაგან მფლობელობის მოთხოვნის უფლების მინიჭება; მაგალითად, თუ მესაკუთრეს (გამყიდველს) უფლება აქვს გამოითხოვოს თავისი ნივთი, რომელსაც სხვა ფლობს, მაშინ მას შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი ისე, რომ მყიდველს გადასცეს არა უშუალოდ ნივთი, არამედ გადასცეს ამ ნივთის გამოთხოვის უფლება (მოთხოვნის უფლების დათმობა). თუ მოხდა ისე, რომ ნივთი მისი გასხვისების ხელშეკრულების დადების მომენტისათვის შემძენის მფლობელობაშია, მაშინ იგი გადაცემულად ითვლება ხელშეკრულების დადების მომენტიდან. მაგალითად, თუ მყიდველი შეიძენს დაქირავებულ ნივთს, რომელიც ქირავნობის ხელშეკრულებით მის მფლობელობაში იყო[21].

ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმაზეც, რომ მყიდველი ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლებას შეიძენს ფასის გადახდის შემდეგ, სახელდობრ, სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, „თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების უფლების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება რომ საკუთრება გადავა შემძენზე საფასურის სრულად გადახდის შემდეგ.“ ასეთი პირობადებული საკუთრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დათქმული პირობის თანახმად, მყიდველი მესაკუთრე ხდება მხოლოდ ნივთის საფასურის მთლიანად გადახდის შემდეგ. შემძენზე გადაცემული ნივთი საფასურის სრულად გადახდამდე რჩება გამყიდველის საკუთრებად. გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი მყიდველი გააჭიანურებს ფასის გადახდას. ასეთ შემთხვევაში მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უკან უნდა დაუბრუნდეთ (ორმხრივი რესტიტუცია). საფასური გადახდილად ჩაითვლება და მყიდველი მესაკუთრე გახდება, თუ გამყიდველი ნებისმიერი სხვა გზით

[21] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი II, თბ., 1999. გვ. 122.

დაკმაყოფილდება. მაგალითად, გამყიდველი ნივთის საფასურის სანაცვლოდ მყიდველისაგან მიიღებს სხვა შესრულებას (ნივთს, გაწეულ მომსახურებას, სამუშაოს და სხვ.). დათქმული პირობა შესრულებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ გამყიდველმა გაუშვა მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადა.

მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველის ძირითადი მოვალეობაა არა მარტო მიაწოდოს მყიდველს საქონელი და მასთან დაკავშირებული საბუთები (საქონელგანმკარგავი დოკუმენტები, ინსტრუქცია, სერტიფიკატი და ა.შ.), არამედ გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ნაყიდ ქონებაზე.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს უფლება აქვთ თვითონ განსაზღვრონ ნასყიდობის ხელშეკრულების პირობები.

ხელშეკრულების ძირითად პირობებთან ერთად, როგორიცაა: გასაყიდი საქონლის დახასიათება, ფასი, ზომა, წონა, ხარისხი და ა.შ., შეიძლება განისაზღვროს ასევე გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, სახელდობრ, აწონვის, გაზომვის, შეფუთვის, ასევე საქონლის მიღებისა და სხვა ადგილზე გაგზავნის ხარჯები, მათი შესრულების წესი და პირობები. მაგრამ, თუ მხარეებმა ნასყიდობის ხელშეკრულებით ეს არ გაითვალისწინეს, მაშინ სამოქალაქო კოდექსის 478-ე მუხლის თანახმად, გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ, აწონვის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები ეკისრება გამყიდველს, ხოლო ხელშეკრულების დადების ადგილიდან სხვა ადგილზე საქონლის მიღებისა და გაგზავნის ხარჯები კი — მყიდველს, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

რაც შეეხება უძრავი ნივთის გაყიდვასთან დაკავშირებულ ხარჯებს, სკ-ს 479-ე მუხლის თანახმად, მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის გამყიდველს ეკისრება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები, თუ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტთანაა დაკავშირებული ასევე ისეთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი შედეგის დადგომა, როგორიცაა ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან გაფუჭების რისკის გადასვლა. სსკ-ის 482-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად მყიდველზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი მყიდველს აწევს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი აყოვნებს ან აფერხებს ნივთის მიღებას. ამის თვალნათელი მაგალითია სსკ-ის 393-ე მუხლის „ბ“ პუნქტი, კერძოდ, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად, მას ეკისრება ნივთის შემთხვევითი გაფუჭების ან დაღუპვის რისკი.

თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გაგზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს. მაგალითად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს მყიდველისათვის ნივთი უნდა გაეგზავნა გორში, მაგრამ მყიდველის თხოვნით საქონელი გააგზავნა ბათუმში, ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი ამ შემთხვევაში მყიდველზე გადავა იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა საქონელი ჩააბარა სატრანსპორტო ორგანიზაციას (გადამზიდველს) ანდა მყიდველის წარმომადგენელს.

მიწის ნაკვეთის გამყიდველი ვალდებულია გადაიხადოს ამ ნაკვეთის ათვისებისა და მსგავსი ღონისძიებების გატარებისათვის ხელშეკრულების დადებამდე გაწეული ხარჯები, მიუხედავად გადახდის ვალდებულების წარმოშობის მომენტისა. ამ დროს მთავარი ისაა, რომ ხარჯები გაწეული იყო ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე, ხოლო ხარჯების გადახდის ვადა კი დადგა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების შემდეგ. მიუხედავად ამისა, ასეთ

ხარჯებს გადაიხდის არა მიწის ნაკვეთის ახალი მესაკუთრე (მყიდველი), არამედ წინა მესაკუთრე (გამყიდველი).

ნასყიდობის ხელშეკრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემის ვადის საკითხს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით ეს საკითხი სპეციალურად არაა გადაწყვეტილი, არამედ გამოიყენება კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ზოგადად აწესრიგებენ ვალდებულების შესრულების დროსთან დაკავშირებულ საკითხებს. კერძოდ, სსკ-ის 365-ე მუხლის თანახმად, „თუ ვალდებულების შესრულებისათვის არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს შეუძლია ნებისმიერ დროს მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალეს შეუძლია იგი დაუყოვნებლივ შეასრულოს. „შესრულების დროს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: კრედიტორისათვის იგი მნიშვნელოვანია იმ გაგებით, თუ როდიდანაა იგი უფლებამოსილი მოითხოვოს შესრულება, ხოლო მოვალისათვის იგი მნიშვნელოვანია იმ გაგებით, თუ როდიდან ხდება იგი ვალდებული განახორციელოს შესრულება“. შესრულების დრო განისაზღვრება კანონით, მხარეთა შეთანხმებით, ანდა შეიძლება გამომდინარეობდეს სხვა გარემოებათაგანაც[22].

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევა, როდესაც ნივთის გადაცემის ვადა განისაზღვრება მყიდველის მიერ. ასეთ შემთხვევაში კანონმდებლობის ერთ-ერთი არსებითი მოთხოვნა ისაა, რომ ვადა უნდა განისაზღვროს სამართლიანობის საფუძველზე. ამდენად, ერთი მხარის მიერ დაწესებული ვადა მეორე მხარის ინტერესებსაც უნდა შეესაბამებოდეს. დავის შემთხვევაში საკითხს წყვეტს სასამართლო.

ვადა შეიძლება ცალმხრივად განისაზღვროს მოვალის (გამყიდველის) მიერაც, კერძოდ, სსკ-ის 517-ე მუხლის მიხედვით უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში.

---

[22] თ. ზარანდია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, თბ. 2005. 39-40.

თუ ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების ვადები, მაშინ ვადა უნდა განისაზღვროს გონივრულად. „გონივრული ვადა“ წარმოადგენს შეფასებით კატეგორიას. ყველა შემთხვევაში, მისი ფარგლები მოიაზრება შესრულების თავისებურებით. გონივრულია ისეთი ვადა, რომელიც ასეთად შეიძლება ჩათვლილიყო როგორც კანონის ობიექტური ნების, ისე მხარეთა ნების გამოვლენის საფუძველზე. ეს გარემოება მხარეს, რომელსაც ევალება შესრულება, უადვილებს მის შეფასებას[23]. შეიძლება იგი გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვის ტრადიციებიდანაც, კერძოდ, სსკ-ის 339-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები.

რაც შეეხება ვალდებულების დაუყოვნებლივ შესრულებას, იგი გულისხმობს მოვალის უშუალო რეაქციას. მან იმდენად ჩქარა უნდა იმოქმედოს, რამდენადაც ეს შესაძლებელია ობიექტური მასშტაბის მიხედვით, კერძოდ, საჭიროა, რომ მოვალე საამისოდ მოემზადოს, რათა შესრულება განხორციელდეს. დაუყოვნებლივ მოქმედებს მხოლოდ ის, ვინც გარკვეული, ობიექტურად საჭირო დროის ფარგლებში მოქმედებს ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. „დაუყოვნებლივი“ შესრულება გულისხმობს გარკვეულ დღეს ან დღის გარკვეულ მონაკვეთში მოქმედებას. აღნიშნული ვადა ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესრულების განსახორციელებლად. ასეთ დროს კრედიტორი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს მოითხოვოს შესრულება[24].

თუ განსაზღვრულია ნივთის გადაცემის დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ მყიდველს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო გამყიდველს კი შეუძლია ვალდებ-

---

[23] თ. ზარანდია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, თბ. 2005. გვ. 64.

[24] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 291.

ულების შესრულება ვადაზე ადრე (სკ-ის 366-ე მუხლი).

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია რაიმე პირობის დადგომაზე, მაინც ვალდებულება შესასრულებელია იმ დღიდან, როდესაც ეს პირობა დგება. მაგალითად, შპს „ლომისი" და „ხინკლის სახლი" შეთანხმდნენ იმაზე, რომ „ხინკლის სახლი" შეიძენდა „ლომისისაგან" 5000 ბოთლ ლუდს, თუკი „ლომისი" გაიმარჯვებდა საერთაშორისო კონკურსში, 2005 წლის 10 მაისს. აქ სწორედ ის შემთხვევაა, როდესაც ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია კონკურსის შედეგებზე. თუ „ლომისი" გაიმარჯვებს, მაშინ იგი გამარჯვების დღის მეორე დღიდან ვალდებულია მიაწოდოს ლუდის შეთანხმებული რაოდენობა „ხინკლის სახლს". ამასთან, თუ მხარეები მიწოდების ვადაზეც შეთანხმებული იყვნენ, მაშინ სწორედ შეთანხმებული ვადიდან მოხდება მიწოდება და არა პირობის დადგომის დღიდან.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე მყიდველისათვის ნაყიდი საქონლის გადაცემის ადგილის დადგენას. ზოგადად, ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. ეს ადგილი განსხვავდება იმ ადგილისაგან, სადაც შესრულების შედეგი დგება[25]. ამასთან, ხშირია შემთხვევები, როდესაც „ვალდებულების შესრულების ადგილი" და „შედეგის ადგილი" ერთმანეთს ემთხვევა. მაგალითად, როდესაც პირი მაღაზიაში პროდუქტს ყიდულობს, აქ როგორც შესრულების ადგილი, ისე შედეგის ადგილი იქნება მაღაზიის ადგილსამყოფელი.

შესრულების ადგილი მრავალგვარია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების ადგილთან მიმართებაში არ ადგენს რაიმე სპეციალურ მოთხოვნებს. ამ დროს გამოიყენება ზოგადად ვალდებულების შესრულების ადგილის მარეგულირებელი ნორმები.

შესრულების ადგილი შეიძლება განსაზღვრულ იქნეს კანონით,

[25] Peter Gauch, Walter R. Schluep, Tercier Pierre. La partie générale du droit des obligations. tome II, 2-émé èdition revue et completéé, Zurich, 1982. S. 17.

მხარეთა შეთანხმებით ან გამომდინარეობდეს საქმის გარემოებიდან. ასე, მაგალითად, სსკ-ის 362-ე მუხლის თანახმად, თუ შესრულების ადგილი განსაზღვრული არ არის და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება უნდა მოხდეს შემდეგნაირად: ა) ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იმ ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტში იმყოფებოდა; ბ) გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში – იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო; თუ ასეთი არ არის, მაშინ – მოვალის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

შესრულების ადგილი შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით. შეთანხმება უნდა იყოს აშკარა (მაგალითად, წერილობითი ფორმით) ანდა დუმილით (მაგალითად, შესრულების ადგილი სავაჭრო ჩვეულებების გამოყენებისას). ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი გულისხმობს კერძო საქართველოს სუბიექტების უფლებას დადონ ნებისმიერი შინაარსის შეთანხმებანი[26],[27].

საგულისხმო შესრულებას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც განსაკუთრებულ გარემოებათა და ვალდებულებით ურთიერთობათა ბუნებიდან გამომდინარე, ცხადი ხდება შესრულების ადგილი. მხედველობაში მიიღება ყველა გარემოება, რომელიც საყოველთაოდ მიღებული ჩვეულებებით, სავაჭრო ბრუნვის ტრადიციებით, კეთილსინდისიერების გათვალსწინებით, შეიძლება მივიჩნიოთ ასეთად[28]. პირველ რიგში, ასეთი გარემოებაა თვით ვალდებულების ბუნება. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 501-ე მუხლის შესაბამისად, „თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის. მყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, სანამ გამყიდველი

---

[26] И. А. Покровский. Основные проблемы гражданского права. М., 2000. с. 250.

[27] ბ. ზოიძე. ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005. გვ. 271.

[28] თ. ზარანდია სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, თბ., 2005. გვ. 4-5.

არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს". ცხადია, ასეთ შემთხვევაში ნაყიდი საქონლის უკან დაბრუნების ადგილი იქნება გამყიდველის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი.

შესრულების ადგილის ერთ-ერთი სახეა გაგზავნის ადგილი. ამ დროს შესრულებული მოქმედების ადგილი და შედეგის ადგილი ერთმანეთს არ ემთხვევა. გამყიდველი კისრულობს გარკვეულ ადგილზე ნივთის გაგზავნის ვალდებულებას. სწორედ გამყიდველის საცხოვრებელი ადგილი (იურიდიული მისამართი) ითვლება შესრულების ადგილად, რამეთუ მან ამ ადგილიდან უნდა გააგზავნოს ნივთი მყიდველისათვის დათქმულ ადგილას. შედეგი ამ უკანასკნელ ადგილას დგება. მაგალითად, სსკ-ის 482-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როცა გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდველს ან ამის შესასრულებლად პასუხისმგებელ პირს.

იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულების შესრულების წინ გამყიდველი ან მყიდველი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს, დადგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 363-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, „თუ ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და კრედიტორს ამის გამო წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მოვალემ ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს კრედიტორს. თუ ვალდებულების შესრულებამდე იცვლება კრედიტორის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ კრედიტორს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც".

თუ გამყიდველი ხელშეკრულებით გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე ნიშნით გამოკვეთილად არ არის აღნიშნული, ასეთ შემთხვევაში გამყიდ-

ველი ვალდებულია საქონლის იდენტიფიკაციისათვის გაგზავნილ დოკუმენტებში, კერძოდ, კონოსამენტში, ზედნადებში, ქვითარში შეიტანოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი და ამის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს მყიდველს. მყიდველისათვის გაგზავნილ დოკუმენტში გათვალისწინებულ უნდა იქნეს სსკ-ის 674-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, გადამზიდველის სახელი და მისამართი, ტვირთის გადაცემის დღე და ადგილი, ასევე ტვირთის მიტანის ადგილი, ტვირთის სახეობა, რაოდენობა და ა.შ.

კანონმდებლობა არ ითვალისწინებს, თუ რა ვადაში უნდა შეატყობინოს გამყიდველმა მყიდველს საქონლის გაგზავნის თაობაზე. სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებული კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, შეტყობინება გაგზავნილ უნდა იქნეს გონივრულ ვადაში, იმისათვის, რომ მყიდველმა შეტყობინება ძიიღოს ტვირთის მიტანამდე.

თუკი გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომელიც აუცილებელია ტვირთის შეთანხმებულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის. ტვირთის გადაზიდვის დროს მისი გაფუჭების, დაზიანების ან განადგურების რისკის თავიდან აცილების მიზნით, გამყიდველმა, როგორც წესი, უნდა დადოს ე.წ. სატრანსპორტო რისკების დაზღვევის ხელშეკრულება. თუ ხელშეკრულებით გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს მყიდველისათვის გაგზავნილი საქონელი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ეს არის კანონმდებლობით გათვალისწინებული იმპერატიული ხასიათის ნორმა.

ნივთი ნივთობრივად უნაკლოა, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში გასაყიდი ნივთის ხარისხი მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებული არ არის,

ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. გაყიდული ნივთის ხარისხთან დაკავშირებით სსკ-ის 488-ე მუხლთან ერთად გამოიყენება სსკ-ის 380-ე მუხლის მოთხოვნაც, კერძოდ, თუ შესრულების ხარისხი დაწვრილებით არ არის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული, მაშინ მოვალე ვალდებულია შეასრულოს სულ ცოტა, საშუალო ხარისხის სამუშაო და გადასცეს საშუალო ხარისხის ნივთი.

თუ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს ერთმანეთთან ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ, ნივთის ხარისხთან მიმართებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციებიც.

ნივთობრივ ნაკლად ჩაითვლება, ასევე, თუ გამყიდველი გადასცემს მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ არა მთლიან საქონელს, არამედ მცირე რაოდენობით (მაგალითად, 20 ტონა ხორბლის ნაცვლად, რომელიც ერთდროულად უნდა მიეწოდებინა, მიაწოდა 10 ტონა). ეს წესი არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუკი სახეზეა სსკ-ის 378-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ, „მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, თუ კრედიტორი ამაზე თანახმაა“.

ნივთობრივ ნაკლს უთანაბრდება ასევე, თუკი გამყიდველი მყიდველს შეთანხმებული ნივთის ნაცვლად გადასცემს სულ სხვა ნივთს (მაგალითად, ცემენტის ნაცვლად მიაწოდა თაბაშირი) ან გადასცემს ნივთის მხოლოდ ერთ ნაწილს (მაგალითად, არა მთელ სამშენებლო მასალას – ცემენტი, ქვიშა, არამედ მხოლოდ ერთ ნაწილს – ქვიშას), ასევე თუკი მიწოდებული ნივთის ერთი ნაწილი ნაკლის მქონეა (მაგალითად, მიწოდებული ქვიშისა და ცემენტიდან ცემენტი გამოუსადეგარი აღმოჩნდა), გარდა იმ შემთხვევისა, როცა ნაკლი არსებით გავლენას ვერ მოახდენს შესრულებაზე[29].

გაყიდული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ

[29] მ. მესხიშვილი, „ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში“, ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბ., 2004.

შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. მაშასადამე, ნივთი უფლებრივად ნაკლის მქონედ ჩაითვლება, თუ იგი დატვირთულია მესამე პირის სანივთო ან ვალდებულებითი უფლებებით, რაც მესამე პირს ანიჭებს კანონიერ უფლებას მიმართოს სარჩელით სასამართლოს და მოითხოვოს ნივთის უკან დაბრუნება მყიდველისაგან, ანუ გამოიწვიოს გაყიდული ნივთის ევიქცია (ევიქცია – ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ნივთის გამოთხოვას). მაშასადამე, თუ უფლებრივი ნაკლის გამო მესამე პირის მოთხოვნის საფუძველზე მყიდველს დაეკისრება მისთვის ნივთის გადაცემა, გამყიდველმა კეთილსინდისიერ მყიდველს უნდა აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი. მყიდველი ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მან არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ გასაყიდი ნივთი დატვირთული იყო მესამე პირის უფლებებით.

უფლებრივ ნაკლს უთანაბრდება ასევე, თუკი გასაყიდი ნივთის მიმართ საჯარო რეესტრში რეგისტრირებულია არარსებული უფლება, მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია რაიმე ნაგებობა და საჯარო რეესტრში ეს ნაგებობა რეგისტრირებულია როგორც იპოთეკით დატვირთული, ეს თუნდაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდეს, საპირისპიროს დამტკიცებამდე გასაყიდი ნაგებობა ითვლება უფლებრივად ნაკლის მქონე ქონებად.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, რომ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდოს, ე.ი. რამდენიმე პირთან ერთსა და იმავე საქონელზე დადოს სხვადასხვა ნასყიდობის ხელშეკრულება. მოტივს, თუ რატომ განახორციელა გამყიდველმა ეს ქმედება (საქონლის უფრო მომგებიანად გაყიდვა, მყიდველის მოტყუება თუ სხვა), არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ გამყიდველის სურვილის მიუხედავად, კანონის ობიექტური ნებით, ამ დროს უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს (და შესაბამისად იგი ითვლება ნივთის მესაკუთრედ), რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა ნივთი (იგულისხმება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მფლობელობა). თუ გაყიდული

ნივთი არც ერთ მყიდველს არ გადასცემია, მაშინ უპირატესობა ენიჭება იმ მყიდველს, ვისთანაც უფრო ადრე დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება.

ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის ძირითადი ვალდებულებაა მიიღოს ნაყიდი საქონელი და გამყიდველს გადაუხადოს შეთანხმებული ფასი. საქონელი მიღებულად ჩაითვლება, თუ მყიდველი შეასრულებს ისეთ მოქმედებას, რაც მოწმობს მის მიღებას. მაგალითად, როდესაც გაგზავნილი ტვირთი ჩავა მყიდველთან, მყიდველი ვალდებულია გადმოტვირთოს იგი, მოათავსოს საწყობში, შეამოწმოს და ა.შ. ნაყიდი საქონლის მიღების კონკრეტული პირობები, როგორც წესი, ნასყიდობის ხელშეკრულებით ან სპეციალური ნორმატიული აქტითაა განსაზღვრული. საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ვაჭრობის შესაბამის სფეროში დამკვიდრებულ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში გასაყიდი საქონლის ფასი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ფასი, როგორც წესი, განისაზღვრება გარკვეული ოდენობის ფულადი თანხის გადახდის ფორმით. ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას. საქართველოში ასეთ ვალუტას წარმოადგენს ლარი, რომელიც ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. უცხოური ვალუტა საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნებია (ევრო, დოლარი, ფუნტი), რომლებიც საქართველოში არ წარმოადგენენ საგადამხდელო საშუალებას. თუმცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლი, შესაძლებლობას აძლევს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს ფასი განსაზღვრონ უცხოურ ვალუტაშიც. კეროდ, შეიძლება ამა თუ იმ საქონლის გასაყიდი ფასი დადგინდეს უცხოურ ვალუტაში, მაგრამ გადახდა აუცილებლად უნდა მოხდეს ქართულ ვალუტაში შესაბამისი კურსით. სხვანაირად რომ ვთქვათ, ასეთ შემთხვევაში უცხოური ვალუტა იქნება ვალის

ვალუტა, ხოლო ქართული ლარი კი იქნება გადახდის ვალუტა. მაშასადამე, ვალის ვალუტაა ის ფულადი ერთეული, რომელშიაც გამოითვლება ფულადი ვალდებულების თანხა, ხოლო გადახდის ვალუტაა ის ფულადი ნიშნები (ერთეული), რომელიც ითვლება ფულადი ვალდებულების შესრულების საშუალებად[30].

თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში გასაყიდი საქონლის ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე. მაგალითად, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ, რომ ფასის გადახდა მოხდეს გადახდის მომენტისათვის ანალოგიურ საქონელზე ბაზარზე არსებული საშუალო ფასის მიხედვით[31].

ნასყიდობის ხელშეკრულება, როგორც აღვნიშნეთ, არის სინალაგმატური, ანუ ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულება, შესაბამისად, მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობის საფუძველი კონტრაჰენტების შემხვედრი ურთიერთმოქმედებაა, რაც გამოიხატება გამყიდველის მხრიდან საქონლის გადაცემაში და მყიდველის მხრიდან როგორც საქონლის მიღების, ისე მისი ფასის გადახდაში. საქონლის მიღების კონკრეტული პირობები განისაზღვრება კანონით, მხარეთა შეთანხმებით ან სავაჭრო ჩვეულებებითა და ტრადიციებით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 493-ე მუხლი ითვალისწინებს მყიდველის უფლებას, უარი თქვას საქონლის მიღებაზე, სახელდობრ: მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას საქონელის მიღებაზე, თუ გამყიდველმა მას მიაწოდა საქონელი იმაზე ნაკლები რაოდენობით, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. თუ მყიდველი მიიღებს ასეთ საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად (მაგალითად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა ათი ტონა ცემენტი, ხოლო მყიდველს კი უნდა გადაეხადა ერთი ტონა ცემენტისათვის 100 ლარი.

---

[30] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 331.

[31] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001. გვ. 99.

თუ გამყიდველმა მყიდველს შეპირებული ათი ტონა ცემენტის მაგივრად მიაწოდა შვიდი ტონა ცემენტი, მყიდველს უფლება აქვს, საერთოდ, უარი თქვას საქონლის მიღებაზე, მაგრამ თუ მყიდველი მაინც მიიღებს ნაკლები რაოდენობის საქონელს, შესაბამისად ფასს გადაიხდის სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ანუ 1000 ლარის ნაცვლად 700 ლარს).

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამყიდველის მიერ მყიდველისათვის მიწოდებული საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს. მაგალითად, ათი ტონა ცემენტის ნაცვლად, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მიაწოდა მყიდველს 15 ტონა. ასეთ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია მიიღოს ზედმეტი რაოდენობაც და ვალდებულია გადაიხადოს ფასი სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად (ანუ თუ ერთი ტონა ცემენტის ღირებულებაა 100 ლარი, მყიდველი შეთანხმებული 1000 ლარის ნაცვლად გადაიხდის 1500 ლარს ანუ ზედმეტი ხუთი ტონისათვის დამატებით 500 ლარს).

ზედმეტად მიწოდებული საქონლის მიღების შესაძლებლობა არის კანონით გათვალისწინებული მყიდველის უფლება და არა მოვალეობა. შესაბამისად, თუკი მყიდველს სურს მიიღოს მხოლოდ საქონლის ის რაოდენობა, რომელიც ნასყიდობის ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, მან ასეთ შემთხვევაში ზედმეტი რაოდენობა უკან უნდა დაუბრუნოს გამყიდველს ამ უკანასკნელის ხარჯზე.

მყიდველის ერთ-ერთი მოვალეობაა შეამოწმოს ნაყიდი ნივთი. თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონე აღმოჩნდება, გამყიდველმა უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი. თუ ნაკლის მქონე აღმოჩნდება გვაროვნული ნივთი, გამყიდველმა უნდა შეცვალოს იგი საამისოდ აუცილებელ ვადაში. გამყიდველს ეკისრება ნაკლის გამოსწორებისათვის აუცილებელი ხარჯების ანაზღაურება, მათ შორის ტრანსპორტირების, გზის, სამუშაოს შესრულებისა და მასალის ღირებულების ხარჯები.

გამყიდველს შეუძლია უარი თქვას როგორც ნაკლის გამოსწორებაზე, ასევე ნივთის შეცვლაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ

დიდ ხარჯებს. თუ რა ჩაითვლება შეუსაბამოდ დიდ ხარჯებში, ეს არის შეფასებითი ფაქტის საკითხი და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გადაწყდეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველმა ნაკლის გამოსწორების მიზნით მყიდველს გადასცა უნაკლო ნივთი, მაშინ გამყიდველს შეუძლია მყიდველს მოსთხოვოს ნაკლის მქონე ნივთის უკან დაბრუნება.

თუ მყიდველი არ ითხოვს ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასები (ამ საკითხზე უფრო დაწვრილებით იხილეთ)[32].

მოქმედი კანონმდებლობა მყიდველს არ ავალდებულებს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს მისი ხარისხი. ამ მხრივ გამონაკლისია დადგენილი იმ მყიდველისათვის, რომელიც ეწევა სამეწარმეო საქმიანობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის თანახმად, თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი. მეწარმე ვალდებულია ან თვითონ შეამოწმოს ნაყიდი ნივთი ან უზრუნველყოს მისი შემოწმება სპეციალისტის მიერ საქმის გარემოებების გათვალისწინებით შესაბამისად მაქსიმალურად მოკლე დროში. თუ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მიაწოდოს ნივთი, მაშინ მეწარმე მყიდველმა ნივთი უნდა შეამოწმოს დანიშნულების ადგილზე მიტანისთანავე. თუკი მეწარმე მყიდველი ნაკლის აღმოჩენის შესაბამის ვადაში (ეს ვადა დგინდება, როგორც წესი, ხელშეკრულებით) ანდა იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა (ე.წ. გონივრული ვადა, რომელიც განისაზღვრება ყოველ კონკრე-

[32] ს. ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებით-სამართლებრივი ანალიზი, „ქართული სამართლის მიმოხილვა" – სპეციალური გამოშვება, თბ., 2004.

ტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით), არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება. იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა გაყიდული ნივთის ნაკლის შესახებ და შეგნებულად დუმდა ამის თაობაზე, მაშინ მყიდველს ყველა შემთხვევაში წარმოეშობა ნივთის ნაკლის მიმართ კანონით დადგენილი მოთხოვნების გამოყენების უფლება.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევები, როდესაც გამყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრავს ნივთის ვარგისიანობის ვადას, ანუ ე.წ. საგარანტიო ვადას. ამ შემთხვევაში ივარაუდება, რომ, თუკი ამ ვადის განმავლობაში გაყიდულ საქონელს აღმოაჩნდება ნაკლი, მაშინ მყიდველს წარმოეშობა ნაყიდი ნივთის ნაკლთან მიმართებით სამოქალაქო კოდექსით დადგენილი მოთხოვნების უფლება.

თუ მყიდველმა გადააცილა ნივთის მიღების ვადას ან თავის დროზე არ გადაიხადა მისი ფასი, მაშინ გამყიდველი, რომელთანაც იმყოფება ნივთი ანდა ახორციელებს მასზე კონტროლს, ვალდებულია შეინახოს იგი (აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ნაყიდი ნივთი მყიდველის საკუთრება ხდება ხელშეკრულების დადების მომენტიდანვე, ხოლო ნივთის გადაცემა კი ხდება მოგვიანებით). მაშასადამე, ივარაუდება, რომ გამყიდველმა შეასრულა ნივთის მიწოდების თაობაზე მის მიერ ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მყიდველის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა კი გამოიხატება იმაში, რომ მან დროულად არ მიიღო ნივთი ან თავის დროზე არ გადაიხადა მისი ფასი. არსებულ სიტუაციაში გამყიდველის უფლებების დაცვის გარანტიაა მისთვის კანონით მინიჭებული უფლება დააკავოს გზაში უკვე გაგზავნილი საქონელი ანდა ვალდებულია შეინახოს ნივთი (კანონისმიერი შენახვის მოვალეობა), ვიდრე მყიდველი მას არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, იმის გამო, რომ გამყიდველმა არ შეასრულა თავისი მოვალეობა (მაგალითად, გადასცა ნაკლის მქონე ნივთი), ნივთის უკან დაბრუნებამდე მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის.

ნივთის უკან დაბრუნების განზრახვა მყიდველმა უნდა გამოამჟღავნოს ნივთის მიღების მომენტში, ფაქტობრივად მაშინ, როდესაც მან დაათვალიერა ნივთი, აღმოაჩინა მისი ნაკლი და გადაწყვიტა მისი უკან დაბრუნება. ამ მომენტიდან აღმოცენდება მყიდველის ვალდებულება, შეინახოს ნივთი იმ ვადით, რომელიც საჭიროა გამყიდველისათვის პრეტენზიის გაგზავნისა და მასზე პასუხის მიღებისათვის. მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს იმ გონივრული დანახარჯების კომპენსაცია, რომელიც მან გასწია ნივთის შენახვისათვის. ამასთან, მას უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი იმ დრომდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 502-ე მუხლი ითვალისწინებს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებას, მეორე მხარის ხარჯზე ნივთი შეინახოს მესამე პირის საწყობში, თუ აქედან არ წარმოიშობა არამართლზომიერი ხარჯები, მაშასადამე, მესამე პირის საწყობში ნივთის ჩაბარება არის ხელშეკრულების მხარის უფლება და არა მოვალეობა. მხარე ამას მიმართავს იმიტომ, რომ დაიცვას როგორც საკუთარი ინტერესები, ასევე კანონის მოთხოვნა უზრუნველყოს კონტრაჰენტის ინტერესების დაცვა.

თუ სხვადასხვა მიზეზების გამო ვალდებული მხარე ნივთს არ აბარებს საწყობში, მაგალითად, იმის გამო, რომ საწყობში არ არის ადგილი ან შენახვისათვის საჭირო პირობები, ანდა საწყობში ნივთის შენახვა დიდ და გაუმართლებელ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაშინ მან დამოუკიდებლად უნდა უზრუნველყოს მისი შენახვა.

ნივთის შენახვის ხარჯები (მესამე პირის საწყობში შენახვიდან წარმოშობილი ხარჯები), რომელიც ვალდებულმა პირმა გაიღო, შემდგომში უნდა აანაზღაუროს კონტრაჰენტმა. ამიტომაც კანონმდებელი იცავს რა კონტრაჰენტის ინტერესებს, მიუთითებს, რომ შენახვამ არ უნდა გამოიწვიოს არათანაბარზომიერი ხარჯები, ანუ ხარჯები გონივრულად უნდა იქნეს გაწეული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 503-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამყიდველს ან მყიდველს, ვისაც ეკისრება გაყიდული ნივთის შენახვის ვალდებულება, უფლე-

ბა აქვს გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით (ანუ ასეთ შემთხვევაში ნივთის გაყიდვის უფლება აქვს არამესაკუთრეს). ეს უფლება მხარეს წარმოეშობა მაშინ, როცა ხელშეკრულების მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ანდა ნივთის შენახვის ხარჯების ანაზღაურებას. ნივთის გაყიდვის უფლების რეალიზაციისათვის საჭიროა, რომ უფლებამოსილმა პირმა აცნობოს კონტრაჰენტს ნივთის შესაძლო გაყიდვის შესახებ. თუ დათქმულ ვადაში კონტრაჰენტი კვლავ არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, მიიღოს ნივთი ან აანაზღაუროს შენახვის ხარჯები, ანდა არ აცნობებს პასუხს უფლებამოსილ პირს, ამ უკანასკნელს უფლება აქვს გაყიდოს ნივთი სათანადო წესების დაცვით – როგორც წესი, აუქციონზე ან საჯარო ვაჭრობის სხვა წესების მიხედვით.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეს, რომელმაც მართლზომიერად გაასხვისა (გაყიდა) ნივთი, უფლება აქვს ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს, დანარჩენი თანხა კი უნდა გადასცეს მეორე მხარეს.

იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი არის მალფუჭადი ნივთი, ან თუ მას გაუფასურება მოელის, ანდა მისი შენახვა დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, მაშინ მხარე, რომელსაც ევალება ამ ნივთის შენახვა, ვალდებულია გაყიდოს იგი დაუყოვნებლივ. აღნიშნულ შემთხვევაში მხარეს არ ევალება ნივთის შესაძლო გაყიდვის შესახებ შეტყობინება გაუგზავნოს კონტრაჰენტს, რადგან ეს პროცესი გარკვეულ დროს საჭიროებს, რომლის განმავლობაშიც ნივთი შეიძლება გაუფასურდეს. მალფუჭადი საქონლის რეალიზაციაც უნდა მოხდეს იმ სათანადო წესების დაცვით, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 503-ე მუხლით.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 499-ე მუხლის თანახმად, თუ ნივთი რამდენჯერმე იყიდება, ვალდებულების უზრუნველმყოფი უფლება გადაეცემა ყოველ მომდევნო მყიდველს. მყიდველს შეუძლია თავისი უფლებების ფარგლებში მოთხოვნები წაუყენოს შესაბამის გამყიდველს ნასყიდობათა ამ რიგში. მაგალითად, გაიყიდა იპოთეკით დატვირთული სახლი. სახლის იპოთეკით დატვირთვის შესახებ მყიდ-

ველისათვის ცნობილი იყო. ვინაიდან იპოთეკა აქცესორული უფლებაა, სახლთან ერთად მყიდველზე გადავა იპოთეკაც, თუკი მოხდება მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუ იპოთეკით დატვირთული სახლი რამდენჯერმე გაიყიდა იპოთეკის მოთხოვნის დაკმაყოფილებამდე, იპოთეკის შესახებ აღნიშვნა უნდა გაკეთდეს ყოველ ახალ დოკუმენტში და გატარდეს საჯარო რეესტრში, ხოლო თუ ბოლო მყიდველს ნასყიდობის თაობაზე რაიმე პრეტენზია წარმოეშობა, მან პრეტენზია უნდა წარუდგინოს იმ გამყიდველს, ვისგანაც სახლი შეიძინა და არა სახლის თავდაპირველ გამყიდველს[33].

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 498-ე მუხლის თანახმად, ნივთის ნასყიდობის მომწესრიგებელი წესები შესაბამისად გამოიყენება უფლების ან სხვა ქონების ნასყიდობის მიმართაც. მაშასადამე, ამ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ანუ ის მოთხოვნები და უფლებები, რომელიც შეიძლება გადაეცეს სხვა პირებს, ან გამიზნულია საიმისოდ, რომ მათ მფლობელს შეექმნას მატერიალური სარგებელი, ანდა მიენიჭოს უფლება მოსთხოვოს სხვა პირებს რაიმე.

ნივთის ნასყიდობის წესები გამოიყენება არამატერიალური ქონებრივი უფლების (მოგების მიღების უფლება, წილის მიღების უფლება და ა.შ.), ნასყიდობის მიმართაც. ქონებრივი უფლებების გაყიდვა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამყიდველის მიერ შესრულებულია უფლების გადაცემასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ამასთან, გამყიდველს ეკისრება როგორც გასაყიდი უფლების ნამდვილობის დასაბუთება, ასევე ამ უფლების გადაცემის ხარჯებიც. თუ გაყიდულია უფლება (მაგალითად, ინვენტართან ერთად მიწის ნაკვეთის იჯარის უფლება), რომელიც იძლევა ასევე ნივთის ფლობის შესაძლებლობასაც, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მყიდველს გადასცეს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი.

---

[33] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001. გვ. 44.

III თავი

პასუხისმგებლობა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების დარღვევისათვის

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 484-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულების ყოველ მხარეს შეუძლია უარი თქვას თავისი ვალდებულებების შესრულებაზე, თუკი ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მეორე მხარე თავის მოვალეობათა მნიშვნელოვან ნაწილს არ შეასრულებს. მაშასადამე, კანონმდებლობა ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ უნდა არსებობდეს მოვალეობათა შეუსრულებლობის რეალური და არა მოჩვენებითი საშიშროება. მაგალითად, რეალური საშიშროება იქნება, თუკი მყიდველი გადახდისუუნარო გახდა და აღარ შეუძლია გადაიხადოს ნაყიდი საქონლის საფასური, ანდა ის ქონება, რომელიც გამყიდველს მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა, განადგურდა, აღარ არსებობს, ანდა ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად მყიდველისათვის, მაგრამ მყიდველი გარდაიცვალა.

ნასყიდობის ხელშეკრულებაზე უარი აღნიშნული საფუძვლით დაუშვებელია, თუ მხარის უსაფრთხოება უზრუნველყოფილია, ანუ ვალდებული პირი უფლებამოსილ პირს შესთავაზებს უზრუნველყოფის კანონით გათვალისწინებულ საშუალებებს (გირავნობას, იპოთეკას, საბანკო გარანტიას, თავდებობას და ა.შ).

გაყიდული საქონლის ნაწილ-ნაწილ მიწოდებისას, თუ ერთი მხარის მიერ მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო შეიქმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება, მაშინ მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მაგალითად, გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველისათვის უნდა მიეწოდებინა

ასი ტონა ცემენტი ხუთ ნაწილად ოც-ოცი ტონის რაოდენობით. გამყიდველმა წარმოებაში მომხდარი უბედური შემთხვევის გამო ვერ შეძლო შეთანხმებული პირველი ოცი ტონა ცემენტის მიწოდება. გაირკვა, რომ უბედური შემთხვევის შედეგების ლიკვიდაციას დასჭირდებოდა დიდი დრო, რამაც შექმნა რეალური საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდებოდა. ასეთ შემთხვევაში მყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მესამე წინადადების თანახმად, „თუ ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ დაკარგა ინტერესი“. ხელშეკრულებიდან გასვლის ზოგადი ხასიათის ნორმა, შეიძლება რომ გამოყენებულ იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებითაც[34].

იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველმა გადასცა მყიდველს ნაკლის მქონე ნივთი, მაშინ მყიდველს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მიხედვით, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა[34¹]. კერძოდ, თუ ხელშეკრულების ერთი მხარე (ჩვენს შემთხვევაში გამყიდველი), არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან (ჩვენ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება) გამომდინარე ვალდებულებას (ჩვენს შემთხვევაში უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება), მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს (ჩვენს შემთხვევაში მყიდველს) შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებითი განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე გამყიდველმა გადასცა მყიდველს ნივთობრივი ან უფლებრივი ნაკლის მქონე

---

[34] Palandt – Burgerliches Gesetzbuch 67. Neubearbeitete Auflage. Verlag C.H. Beck, München, 2008. S. 542.

[34¹] მზია თოდუა, პუუბ ვილემსი. ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006. გვ. 54.

ნივთი, მყიდველს, როგორც წესი, არ შეუძლია ხელშეკრულებიდან დაუყოვნებლივ გასვლა. მან თავდაპირველად უნდა მისცეს გამყიდველს, როგორც წესი, ნაკლის გამოსწორებისათვის ან ნივთის შეცვლისათვის საჭირო აუცილებელი დამატებითი ვადა. თუ ამ დამატებით ვადაშიც გამყიდველი არ გამოასწორებს ნაკლს ან არ შეცვლის ნაკლის მქონე ნივთს უნაკლო ნივთით, მაშინ მყიდველს შეუძლია ხელშეკრულებდან გასვლა, ანუ მხარეებს უკან უნდა დაუბრუნდეთ მიღებული შესრულება და სარგებელი. გამყიდველს ასევე ევალება აუნაზღაუროს მყიდველს გაწეული დანახარჯები (შენახვის, ტრანსპორტირების და ა.შ.). ქართული სამოქალაქო კოდექსის არსებითი სიახლეა ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის შემოღება. იგი წიგნში გერმანიის სამოქალაქო კოდექსიდანაა გადმოღებული და ბევრად ეხმარება ევროგაერთიანების სამართალს.[35]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნივთის ნაკლით ან ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული სხვა პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით.

სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამოიხატება დამრღვევი მხარის მოვალეობაში აანაზღაუროს ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანი ნატურით ან ფულადი სახით, ანუ ვალდებულების შეუსრულებლობისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი სანქციები, როგორც წესი, ატარებენ ქონებრივ ხასიათს. კონტინენტური ევროპის სამართლის მიხედვით, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა განიხილება ვალდებულების ნატურით შესრულების მოთხოვნასთან მიმართებით როგორც დამატებითი ხასიათის და იგი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუკი ვალდებულების ნატურით შესრულება საერთოდ შეუძლებელია ანდა კრედიტორმა დაკარგა ინტერესი

[35] ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005. გვ. 266.

ასეთი შესრულების მიმართ. ინგლისურ-ამერიკული სამართალი კი ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას განიხილავს როგორც დაცვის ძირითად საშუალებას და კრედიტორს ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს ფულადი კომპენსაცია ვალდებულების შეუსრულებლობის (დარღვევის) შემთხვევაში.

ზიანის ანაზღაურების საკითხთან მიმართებით როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნები ადგენენ საერთო ზოგად პრინციპებს: ფულადი ანაზღაურების მიზანია დაზარალებული მხარის ქონებრივი დანაკარგების კომპენსაცია. კრედიტორი არ უნდა დაზარალდეს მატერიალურად მოვალის მიერ თავისი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში. მოვალის მხრიდან ზიანის ანაზღაურებამ უნდა გამოიწვიოს კრედიტორის აღდგენა იმ მდგომარეობაში, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი მოვალე ვალდებულებას ჯეროვნად შეასრულებდა. დოქტრინაში ასეთ მიდგომას უწოდებენ დადებითი სახელშეკრულებო ინტერესის დაცვას, განსხვავებით უარყოფითი სახელშეკრულებო ინტერესის დაცვისაგან, რომლის მიზანსაც წარმოადგენს კრედიტორის იმ მატერიალური მდგომარეობის უზრუნველყოფა, რომელშიც იგი იქნებოდა, თუკი ხელშეკრულება საერთოდ არ დაიდებოდა და რომლის დაცვაც, როგორც წესი, ხდება იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულება ცნობილი იქნება ბათილად.

შეუსრულებლობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება, წარმოადგენს დამრღვევი მხარისათვის, ასე ვთქვათ, ახალი ვალდებულების დაკისრებას (ანუ თავდაპირველი ვალდებულების ტრანსფორმაციას) შეუსრულებელის სანაცვლოდ ანდა არაჯეროვნად შესრულებული ვალდებულებისადმი (მაგალითად, ვადის გადაცილება) დამატებითი სახის ვალდებულებას. აქედან გამომდინარეობს ძირითადი პრინციპი იმის შესახებ, რომ ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებით დაზარალებული მხარისათვის მიყენებული ზიანი უნდა სრულად აანაზღაუროს მისმა კონტრაჰენტმა.

როგორც კონტინენტური ევროპის, ისე ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში ზიანის მიყენებისათვის განასხვავებენ პასუხისმგებლობის საერთო საფუძვლებს (ელემენტებს): 1) ზიანი; 2) ქმედების მართლწინააღმდეგობა; 3) მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმდეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის; 4) ზიანის მიმყენებლის ბრალი[36].

1) ზიანი წარმოადგენს სამართალდარღვევის შემადგენლობის აუცილებელ ელემენტს. თუ არაა ზიანი სახეზე, შესაბამისად არ დადგება არც ქონებრივი პასუხისმგებლობა. ზიანი წარმოადგენს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფის შედეგს, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ანაზღაურებიანი ზიანი. ზიანი, რომლის ანაზღაურებაც შეუძლებელია, ვერ ჩაითვლება ასეთად. შემთხვევითი არაა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი ადგენს, რომ „ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს". მოვალისათვის სავარაუდო ზიანი ეს ისეთი ზიანია, რომელიც სავარაუდო იქნებოდა სამოქალაქო ბრუნვის საშუალო მონაწილისათვის. ამდენად, ზიანის სავარაუდობა ობიექტური მასშტაბით ფასდება და არა კონკრეტული მოვალის სუბიექტური შესაძლებლობებით. მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმის ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო, ზიანი მისთვის გონივრულად უნდა იყოს სავარაუდო. სავარაუდო უნდა იყოს საერთოდ ზიანი და არაა აუცილებელი ეს მოთხოვნა გავრცელდეს ზიანის სიდიდეზე, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება დადგინდეს.

როგორც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, ასევე ყველა განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა, ერთ-

---

[36] Handbuch des Kaufrechts: der Kaufvertrag nach Bürgerlichem Recht, Handelsrecht und UN – Kaufrecht. Dr. Hans – Werner Eckert, Dr. Ian Meifeld, Dr. Michael Matthiessen. Verlag C. H. Beck München, 2007. S. 422-427.

[36'] Dieter Medicus. Bürgerlichem Recht. 19 neibearbestende Auflage. Verlag C. H. Beck München, 2002. S. 401-402.

მანეთისაგან განასხვავებს ქონებრივ და არაქონებრივ ზიანს.[36] ქონებრივი ზიანი ქონებრივი სიკეთის ხელყოფით შემოიფარგლება. არაქონებრივი ზიანი ეტიმოლოგიურად მორალური ზიანის იდენტურია, რომელსაც საერთო სამართლის ქვეყნებში „ფსიქოლოგიურ ზიანს“ უწოდებენ. მორალური ზიანი გულისხმობს იმ ზნეობრივ-ფსიქოლოგიურ თუ ფიზიკურ ტანჯვას, რასაც სამოქალაქო ბრუნვის მონაწილე განიცდის არამატერიალურ ფასეულობათა ხელყოფით.[37]

ზიანი უნდა ანაზღაურდეს არა მხოლოდ ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის, არამედ მიუღებელი შემოსავლისთვისაც.[37¹] მიუღებლად ითვლება შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა, ვალდებულება რომ ჯეროვნად შესრულებულიყო. განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა განასხვავებს დადებით ზიანსა და მიუღებელ შემოსავლებს (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 252-ე პარაგრაფი, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1140-ე მუხლი, ამერიკის ერთიანი სავაჭრო კოდექსის 2-708-ე მუხლი). შვეიცარიის ვალდებულებითი კანონი არ შეიცავს მითითებას ანაზღაურებას ქვემდებარე ზიანის სახეების შესახებ. შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 43-ე მუხლის თანახმად, ზიანის სახეებისა და ოდენობის საკითხის გადაწყვეტა წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იყენებს ტერმინს „დადებითი ზიანი“. ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 411-ე მუხლის თანახმად, „ფაქტობრივად დამდგარი ქონებრივი დანაკლისისათვის“ სწორედ რომ დადებითი ზიანის ანაზღაურებას გულისხმობს. დადებითი ზიანი ვალდებულების დარღვევის თანმხლები შედეგია. იგი შესრულების საგნის უშუალო ხელყოფის შედეგია. პირის მიერ დადებითი ზიანის სახით გაწეული ხარჯები გულისხმობს

---

[37] შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 2002. გვ.47.

[37¹] მზია თოდუა, ჰუუბ ვილემსი. ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006. გვ. 38.

როგორც დაზარალებული მხარის აქტივების შემცირებას, ისე მისი ვალდებულებების (პასივების) გაზრდას. მაგალითად, იმის გამო, რომ კრედიტორს მოვალემ დროზე არ დაუბრუნა ვალი, იგი იძულებულია სხვისგან ისესხოს ფული, რათა შეასრულოს თავისი ვალდებულება[38].

რაც შეეხება მიუღებელ შემოსავალს, ესაა ანაცდური მოგება ანუ ის შემოსავალი, რომელიც არ მიუღია პირს და რომელსაც იგი მიიღებდა ვალდებულება ჯეროვნად რომ შესრულებულიყო. მაშასადამე, მიუღებელია შემოსავალი, რომელიც შეიძლება დამდგარიყო სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარების შემთხვევაში. მიღებული შემოსავალი სავარაუდო შემოსავალია, ამიტომაც დავის შემთხვევაში სასამართლომ ყურადღება უნდა გაამახვილოს იმაზე, რამდენადაც მოსალოდნელი იყო მისი მიღება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 414-ე მუხლის თანახმად, ზიანის ოდენობის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ის ინტერესი, რომელიც კრედიტორს ჰქონდა ვალდებულების ჯეროვანი შესრულების მიმართ. ზიანის ოდენობის დასადგენად გათვალისწინებულ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების დრო და ადგილი.

განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა ადგენს მეტად მნიშვნელოვან პრინციპს, რომლის თანახმადაც კრედიტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობის შედეგად მან მართლაც განიცადა ზიანი. მაშასადამე, ზიანის სავარაუდობა ობიექტური მასშტაბით ფასდება და არა კონკრეტული მოვალის სუბიექტური შესაძლებლობით. მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს იმისი ანაზღაურება, რისი გათვალისწინებაც მას არ შეეძლო. ზიანი მისთვის გონივრულად უნდა იყოს სავარაუდო.[39] ზიანის ოდენობის განსაზღვრისას განვითარებული ქვეყნების დოქტრინასა

---

[38] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 463.

[39] Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте. М., 1999. с. 139.

და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება ე.წ. „აბსტრაქტული“ ზიანის ცნება. იგი გამოითვლება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს შესრულების სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის. მყიდველს, რომელმაც ვერ მიიღო საქონელი, ყოველთვის შეუძლია კომპენსაციის სახით მოითხოვოს სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა“.[40]

ინგლისურ-ამერიკულ სამართალში არსებობს ნომინალური ზიანის (nominal damages) ინსტიტუტი. მოვალეს ამ შემთხვევაში ეკისრება ნომინალური თანხის გადახდა (ამერიკაში, როგორც წესი, 1 დოლარი, ინგლისში – 2 ფუნტი სტერლინგი). ამ ინსტიტუტის ძირითადი ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ სასამართლოს მიერ, ამგვარად, ფორმალურად ხდება კრედიტორის უფლებების დარღვევის ცნობა და მოვალისათვის ამ საფუძვლით პასუხისმგებლობის დაკისრება.

როგორც თვითონ ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე განცდილი ზიანის ოდენობის დამტკიცების ტვირთი აწევს დაზარალებულ მხარეს, ანუ კრედიტორს, რომელიც სასამართლო პროცესში წარმოადგენს მოსარჩელე მხარეს. ზიანის ანაზღაურების ოდენობა ისე უნდა განისაზღვროს, რომ ამას არ მოჰყვეს რომელიმე მხარის უსაფუძვლო გამდიდრება. ამიტომაცაა, რომ თუკი მიუღებელი შემოსავლების მისაღებად კრედიტორს უნდა გაეწია გარკვეული ხარჯები, მაშინ ეს ხარჯები უნდა გამოაკლდეს მიუღებელი შემოსავლის ოდენობას. კრედიტორისათვის ამ ხარჯების დაკისრება ემყარება იმ ფაქტს, რომ ვალდებულების შესრულების შემთხვევაში ეს ხარჯები მას უნდა გაეწია.

ზიანის ანაზღაურების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს რეალურად განცდილი დანაკარგების ჯამს. ის არ უნდა ატარებდეს მოვალის მიმართ სადამსჯელო ხასიათს და არ უნდა წარმოადგენდეს საჯარიმო სანქციას, რამეთუ ვალდებულების დარღვევისათვის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის არსი მდგო-

[40] Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте, М., 1999. с. 140.

მარეობს კრედიტორისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურებაში და არა გამოუსწორებელი მოვალის დასჯაში. ყველაზე უფრო მკაცრი წესებია დადგენილი ამის შესახებ ინგლისურ-ამერიკული სამართლით, სადაც ზიანის ოდენობის განსაზღვრისას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წინასწარ შეთანხმებულ და გამოთვლილ ზიანს. ამგვარად, ინგლისურ-ამერიკული სამართლით საჯარიმო პირგასამტეხლო არაა დაშვებული.

იმისდა მიხედვით, თუ ვალდებულების დარღვევა რა სახით ხდება, განვითარებული ქვეყნების დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში განასხვავებენ საკომპენსაციო და მორატორიულ ზიანს.

საკომპენსაციო ზიანი შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას, ის ცვლის შესრულებას. ამიტომაც კრედიტორს არ შეუძლია ერთდროულად მოითხოვოს როგორც ვალდებულების შესრულება, ისე საკომპენსაციო ზიანის ანაზღაურება.

მორატორიული ზიანი მოვალის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილებას ახლავს. თუკი მოვალე ვალდებულებას, მართალია, ასრულებს, მაგრამ ვადის გადაცილებით, იგი ვალდებულია აანაზღაუროს კრედიტორისათვის ამით მიყენებული ზიანი. განსხვავება მორატორიულ და საკომპენსაციო ზიანს შორის იმაში მდგომარეობს, რომ საკომპენსაციო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების შესრულება, ხოლო მორატორიული ზიანის დროს კი, მართალია, ვალდებულება სრულდება, მაგრამ ვადის გადაცილებით.

ფრანგული, ინგლისური და ამერიკული სამართალი გამოდის იქიდან, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო საკარაუდო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის (მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1150-ე მუხლი). ამასთან ერთად, ფრანგული კანონმდებლობით გათვალისწინებული ეს შეზღუდვა არ გამოიყენება, თუკი მოვალემ ვალდებულება განზრახ დაარღვია.

ყველა სამართლებრივი სისტემის მიხედვით, ანაზღაურებას ექვემდებარება პირდაპირი ზიანი და არა არაპირდაპირი ზიანი. პირდაპირ ზიანს მიეკუთვნება როგორც დადებითი, ისე მიუღებელი შემოსავალი. ფრანგულ სამართლებრივ დოქტრინაში აღნიშნულია, რომ ძნელია დადგინდეს რაიმე მკაცრი პრინციპები პირდაპირი და არაპირდაპირი ზიანის გასამიჯნავად. შეიძლება ჩამოყალიბდეს მხოლოდ ზოგადი პრინციპები, რომლითაც უნდა იხელმძღვანელოს სასამართლომ აღნიშნული საკითხის გადასაწყვეტად. არაპირდაპირი ზიანი ისეთი ზიანია, რომელიც გონივრული ვარაუდის ცნებიდან გამომდინარე, ვერ იქნებოდა სავარაუდო საერთოდ მოვალისათვის.[41]

სავაჭრო ბრუნვაში ზიანის გამოთვლის საშუალების მიხედვით, განასხვავებენ კონკრეტულ და აბსტრაქტულ ზიანს. კონკრეტული ზიანი – ესაა ის რეალური ზიანი (როგორც დადებითი ზიანი, ისე მიუღებელი შემოსავალი), რომელიც ერთმა მხარემ განიცადა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების დარღვევის შედეგად. ზიანის ოდენობა უნდა დაამტკიცოს დაზარალებულმა მხარემ.

რაც შეეხება აბსტრაქტულ ზიანს, იგი გამოითვლება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს შესრულების სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის. ასეთ შემთხვევაში, როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს კონტრაგენტის მიერ თავისი ვალდებულების დარღვევისას ყოველთვის შეუძლია მოითხოვოს კომპენსაციის სახით სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობის ანაზღაურება. სავაჭრო ბრუნვის პრაქტიკაში ჩამოყალიბებულმა ზიანის ოდენობის განსაზღვრის ამ საშუალებამ ასახვა პოვა გერმანიის სავაჭრო სჯულდების 376-ე პარაგრაფის მე-2 აბზაცში, შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 191-ე მუხლის მე-3 აბზაცსა და 215-ე მუხლის მე-2 აბზაცში, საქონლის გაყიდვის შესახებ ინგლისის კანონის 50-ე, 51-ე მუხლებში, ამერიკის ერთიანი სავაჭრო კოდექსის 2-713-ე მუხლებში. ამასთან, ფრანგული

[41] Гражданское и торговое право зарубежных стран. под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского. М. 2004. с. 300.

კანონმდებლობა არ იცნობს აბსტრაქტული ზიანის ცნებას. ზიანის ოდენობის გამოთვლის ეს საშუალება აღიარებულია სასამართლო პრაქტიკის მიერ და ფართოდ გამოიყენება სავაჭრო ბრუნვაში.

უმრავლეს ქვეყნებში სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ფასს შორის სხვაობა გამოითვლება იმ მომენტისათვის, როცა ხელშეკრულების შესაბამისად უნდა მომხდარიყო ვალდებულების ჯეროვანი შესრულება. მხოლოდ ამერიკის ერთიანი საავაჭრო კოდექსი ადგენს განსხვავებულ წესს, რომლის მიხედვითაც ასეთ მომენტს წარმოადგენს გამყიდველის მიერ ხელშეკრულების დარღვევა, ხოლო მყიდველისათვის კი – როდესაც მან შეიტყო დარღვევის შესახებ. საერთაშორისო ნასყიდობის (ყიდვა-გაყიდვის) შესახებ ვენის კონვენციის 75-ე მუხლი ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც დაზარალებული მხარე იძულებულია დადოს სანაცვლო გარიგება იმის გამო, რომ შეამციროს ის ზიანი, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგად შეიძლება დადგეს. ამ შემთხვევაში ზიანი იქნება ხელშეკრულების ფასსა და სანაცვლო გარიგების ფასს შორის სხვაობა. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სანაცვლო გარიგება ნამდვილად იდება და არა მაშინ, როდესაც დაზარალებული თვითონ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც მოვალეს უნდა შეესრულებინა.[42]

2) ქმედების მართლწინააღმდეგობა. ზიანი მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით უნდა იყოს მიყენებული, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც წესი, ზიანის ანაზღაურების საკითხი არ დადგება. მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამართლებრივ დანაწესებს, სამართლის ნორმათა მოთხოვნებს. მართლწინააღმდეგობა ობიექტური ნიშანია სამართალდარღვევისა და მისი არსებობა არაა დამოკიდებული მოვალის ცნობიერების ხასიათზე, ანუ მოვალე აცნობიერებდა თუ არა თავისი მოქმედების სამართლებრივ ხასიათს, მთავარია, რომ მოქმედება არ შეესაბამება კანონის მოთხოვნებს. მოვალე თავის ვალდებულებებს ბრალეულად

[42] Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте. М., 1999. с. 26.

დაარღვევს თუ ბრალის გარეშე, ვალდებულების დარღვევა მაინც მართლსაწინააღმდეგო იქნება, მართლსაწინააღმდეგო მოქმედებით სახელშეკრულებო ურთიერთობებში მოვალე ძირითადად კრედიტორის შეფარდებით (რელატიურ) უფლებებს არღვევს. გარდა ამისა, მართლსაწინააღმდეგოდ იქცევა არა მარტო ის, ვინც აქტიურად მოქმედებს, არამედ ისიც, ვინც თავისი უმოქმედობით არღვევს ვალდებულებებს. როცა პირი არ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მაშასადამე, იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებს. შესაბამისად, მართლწინააღმდეგობა გულისხმობს როგორც აქტიურ მოქმედებას, ისე უმოქმედობასაც.[43]

3) იმისათვის, რომ მოვალეს დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს, წარმოადგენს თუ არა ზიანი მოვალის მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ არსებობს თუ არა მიზეზობრივი კავშირი მოვალის მართლსაწინააღმეგო ქმედებასა და კრედიტორისათვის მიყენებულ ზიანს შორის. მაგალითად, თუ გამყიდველმა მყიდველს საქონელი გაუგზავნა სარკინიგზო ტრანსპორტით, რომელიც მყიდველთან დაზიანებული მივიდა, აუცილებელია იმის გარკვევა, თუ ვინ მიაყენა ზიანი მყიდველს ანუ გამყიდველმა გაუგზავნა დაზიანებული ტვირთი, თუ ტვირთი დაზიანდა ტრანსპორტირების დროს.[44]

ზოგიერთ შემთხვევაში მიზეზობრივი კავშირის არსებობის დადგენა ძნელი არ არის. მაგალითად, მიზეზობრივი კავშირის არსებობა ნათელია, თუ გამყიდველმა დათქმულ დროზე არ მიაწოდა მყიდველს ნედლეული და ამის გამო მყიდველმა შეაჩერა პროდუქციის წარმოება, რამაც ზიანი გამოიწვია. ზოგჯერ კი მიზეზობრივი კავშირის არსებობის საკითხის გადაწყვეტა სიძნელეებთან არის დაკავშირებული. მაგალითად, მყიდველმა შემოწმების გარეშე გამოიყენა გამყიდველის მიერ მიწოდებული უფრო ნაკლები ხარისხის ნედლეული, ვიდრე ხელშეკრულებით

---

[43] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 365.

[44] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001. გვ. 68.

იყო გათვალისწინებული, რის გამოც დამზადებული პროდუქცია ნაკლის მქონე აღმოჩნდა. აქ აუცილებლად დგება საკითხი იმის შესახებ, თუ ვისმა მოქმედებამ გამოიწვია უარყოფითი შედეგი (ზიანი) – გამყიდველისამ, რომელმაც დაბალი ხარისხის ნედლეული მიაწოდა, თუ მყიდველის მოქმედებამ, რომელმაც შემოწმების გარეშე გამოიყენა ეს ნედლეული.[45]

მეცნიერებამ მიზეზობრივი კავშირის მრავალი თეორია შეიმუშავა (აუცილებელი და შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის თეორია; შესაძლებლობისა და სინამდვილის თეორია, ეკვივალენტურობის თეორია, უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორია და სხვა).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უპირატესობას ანიჭებს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირის, ანუ უშუალო მიზეზობრივი კავშირის თეორიას. კერძოდ, სსკ-ის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ ამ თეორიის თანახმად მიზეზობრივი კავშირის დადგენისას გადამწყვეტი მნიშვნელობა უნდა მიეცეს მოვლენებს შორის ობიექტური კავშირის არსებობას და იმას, რომ მიზეზსა და შედეგს მნიშვნელობა აქვს მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში. პირის მართლსაწინააღმდეგო ქმედება მხოლოდ მაშინაა ზიანის მიზეზი, როცა ის პირდაპირ (უშუალოდ) დაკავშირებულია დამდგარ ზიანთან.

4) ბრალი სამართალდარღვევის შემადგენლობის უმნიშვნელოვანესი სუბიექტური ელემენტია. საერთო წესის მიხედვით სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეიძლება მხოლოდ ზიანის მიმყენებლის ბრალეული მოქმედების შემთხვევაში. სწორედ ამაზე მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლი, რომელიც ადგენს, რომ ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო. ბრალი შეიძლება გამოიხატოს განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

---

[45] ზ. ახელედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001. გვ. 69.

395-ე მუხლის თანახმად, მოვალეს პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული და ვალდებულების არსიდანაც სხვა რამ არ გამომდინარეობს.

განზრახვის ცნების დეფინიციას სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა. ცივილისტურ დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება ის ცნება, რომელიც სისხლის სამართალშია შემუშავებული, განზრახ მოქმედებს ის, ვინც აცნობიერებს თავისი მოქმედების როგორც შედეგს, ისე მისი მოვალეობებისადმი წინააღმდეგობას და ამას აკეთებს საკუთარი სურვილით.[46] ამდენად, განზრახვა ეს არის მართლსაწინააღმდეგო შედეგის ცოდნა და სურვილი. მაშასადამე განზრახვა არის შედეგის ცოდნა და სურვილი მართლწინააღმდეგობის შეგნებით.[47]

განზრახვის ცნებას ახასიათებს ორი ელემენტი: ინტელექტუალური (კოგნიტური) და ნებელობითი (ვოლუნტატიური). ინტელექტუალური ელემენტი სამართალდამრღვევის ცნობიერების შეფასებაა, ანუ სამართალდამრღვევი უნდა აცნობიერებდეს როგორც თავისი მოქმედების ხასიათს, ისე მის შედეგებს. ვისაც წართმეული აქვს საამისო უნარი, მისი მოქმედება ვერ შეფასდება განზრახ მოქმედებად. განზრახ მოქმედებს ის, ვისაც შეგნებული აქვს თავისი მოქმედების მართლწინააღმდეგობა. სამოქალაქო სამართალში შეცდომა გამორიცხავს განზრახვას, თუმცა შეცდომა არ აბათილებს მართლწინააღმდეგობას, მაგრამ აქარწყლებს განზრახვას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, კანონის არცოდნა ან მისი არასათანადო გაგება არ შეიძლება იყოს კანონის გამოუყენებლობის ანდა ამ კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი.

---

[46] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 382.

[47] Wolfgang Fikentsher. Schuldrecht, 8. Auflage, Berlin-New-York, 1992. S. 146.

განზრახვის მეორე ისეთი ნიშანი, როგორიცაა ნებელობითი, გულისხმობს, რომ სამართალდამრღვევს სურს ამა თუ იმ შედეგის დადგომა. განზრახვა შეიძლება იყოს ორი სახის: პირდაპირი და არაპირდაპირი. სამოქალაქო სამართლისათვის განზრახვის ფორმებად დაყოფას არა აქვს რაიმე არსებითი მნიშვნელობა, რამეთუ განზრახვა პირდაპირი იქნება თუ არაპირდაპირი, მიყენებული ზიანი სრულად უნდა ანაზღაურდეს.[48]

გაუფრთხილებლობა ბრალის ყველაზე გავრცელებული ფორმაა სამოქალაქო სამართალში. სამოქალაქო კოდექსი არც გაუფრთხილებელი ბრალის დეფინიციას იძლევა. თუ განზრახვასთან მიმართებაში ცივილისტიკა მთლიანად სისხლის სამართალს ემყარება, გაუფრთხილებლობაში მას გარკვეული კორექტივები შეაქვს. გაუფრთხილებლად მოქმედებს ის, ვინც არღვევს სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ აუცილებელ ყურადღებიანობას. გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში განისაზღვრება მოთხოვნის ობიექტური მასშტაბებით.

გაუფრთხილებლობა სამოქალაქო სამართალში იყოფა ორ სახედ: უხეში გაუფრთხილებლობა და მარტივი გაუფრთხილებლობა. უხეში გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც თავისი მოქმედებით აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს უჩვეულოდ მაღალი ხარისხით. მარტივი გაუფრთხილებლობით მოქმედებს ის, ვინც აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნებს არღვევს შედარებით დაბალი დონით. მაშასადამე, უხეშ და მარტივ გაუფრთხილებლობას შორის განსხვავება აუცილებელი ყურადღებიანობის დარღვევის ხასიათშია. მარტივი გაუფრთხილებლობა გამორიცხავს, როგორც წესი, სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას. სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელი აუცილებელი ყურადღებიანობის მოთხოვნების დარღვევა უხეში თუ მარტივია, უნდა გადაწყდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით.

---

[48] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 383.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევაში ბრალი მიუძღოდეს როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს. ასეთ შემთხვევაში სახეზეა შერეული ბრალი. ასეთ შემთხვევაში ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა განისაზღვრება მხარეთა ბრალეულობის ხარისხით, კერძოდ იმით, უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის ზიანი გამოწვეული. მოკლედ რომ ვთქვათ, რაც მყიდველის ბრალით არის გამოწვეული, ის არ შეიძლება ტვირთად დააწვეს გამყიდველს და, პირიქით, ყველა პასუხს აგებს მხოლოდ საკუთარი ბრალეული ქმედებისათვის. ამაზე მიუთითებს სსკ-ის 415-ე მუხლი, რომლის თანახმადაც, „თუ ზიანის წარმოშობას ხელი შეუწყო დაზარალებულის მოქმედებამაც, მაშინ ზიანის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ანაზღაურების მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ უფრო მეტად რომელი მხარის ბრალით არის გამოწვეული ზიანი“. მაშასადამე, ასეთ შემთხვევაში, ზიანის სრული ანაზღაურება უსამართლო იქნებოდა და გამოიწვევდა დაზარალებულის უსაფუძვლო გამდიდრებას. ეს წესი გამოიყენება მაშინაც, როდესაც დაზარალებულის ბრალი გამოიხატება მის უმოქმედობაში — თავიდან აეცილებინა ან შეემცირებინა ზიანი.

ქართული სამოქალაქო სამართალი, მართალია, ზოგადი პრინციპის სახით აფუძნებს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს, მაგრამ გამონაკლისის სახით ითვალისწინებს ასევე ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის შესაძლებლობასაც. ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს გათვალისწინებული როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებში. სახელშეკრულებო ურთიერთობებში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია სამოქალაქო კოდექსის მთელი რიგი ნორმებით, კერძოდ, სსკ-ის 393-ე მუხლის თანახმად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებისას მისი ბრალის მიუხედავად: ა) იგი ვალდებულია აუნაზღაუროს მოვალეს ხელშეკრულების საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები; ბ) მას ეკისრება

ნივთის შემთხვევითი გაფუჭების ან დაღუპვის რისკი; გ) მას აღარ აქვს ფულადი ვალდებულებისათვის პროცენტის მიღების უფლება. ანალოგიურ სამართლებრივ შედეგებს ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე, 482-ე, 502-ე, 503-ე მუხლები, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მხარეთა ცალკეულ ურთიერთობებს აწესრიგებენ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ მან ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ამის შესახებ. მაშასადამე, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამყიდველის მიერ ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, უნდა გაირკვეს, იცოდა თუ არა მყიდველმა ნივთის ნაკლის შესახებ. თუკი მყიდველმა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდა ამის შესახებ და მაინც მიიღო ნივთი, მაშინ მას ნივთის ნაკლის გამო აღარ წარმოეშობა გამყიდველის მიმართ კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების წაყენების უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლის თანახმად, „ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძლება შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთი შეთანხმება ბათილი იქნება, თუ გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ". განზრახვისას მხარეთა წინასწარი შეთანხმება პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების შესახებ ძირს უთხრის ზოგადად ვალდებულების საფუძველს, ამსხვრევს იმ ფასეულობებს, რაზედაც ვალდებულებითი ურთიერთობაა დაფუძნებული. ამიტომაც არის, რომ სსკ-ის 497-ე მუხლი კატეგორიული ფორმით ადგენს, რომ დაუშვებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმება გამყიდველის მიერ განზრახი მოქმედებით ვალდებულების დარღვევისას ზიანის ანაზღაურებისაგან მისი გათავისუფლების თაობაზე. საპირისპიროს დაშვება იმას ნიშნავს, რომ გამყიდველის ნებაზე დამოკიდებული გავხადოთ ვალდებულება შესრულდება თუ არა. ამის დაშვება ძირს უთხრის იმ ზოგად დებულებას, რომ ვალდებულება უნდა შეს-

რულდეს ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას. ამიტომაც ასეთი შეთანხმება გამყიდველსა და მყიდველს შორის პრინციპულად ეწინააღმდეგება სამოქალაქო ბრუნვისათვის დამახასიათებელ მხარეთა ურთიერთობისა და კეთილსინდისიერების პრინციპებს, რამთუ მას სამოქალაქო ბრუნვაში შემოაქვს ვალდებულების შეუსრულებლობის განწყობა. თუკი გამყიდველი დარწმუნებული იქნება, რომ მას ვალდებულების შეუსრულებლობისათვის (ანუ გადასცეს მყიდველს უნაკლო ნივთი) პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ის არც მისი შესრულებისათვის გაირჯება და ვალდებულების შესრულების ბედ-იღბალი მხოლოდ მის სინდისზე იქნება დამოკიდებული.

IV თავი

ნასყიდობა გადახდის განვადებით

ნასყიდობა გადახდის განვადებით წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ ნაირსახეობას. იგი ძირითადად მომხმარებელთა უფლებების დაცვას ემსახურება. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ გამყიდველი (როგორც წესი, მეწარმე, რომელიც თავისი სამეწარმეო საქმიანობის შედეგად დამზადებულ საქონელს ყიდის საცალო წესით) და მყიდველი (რომელიც შეიძლება იყოს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის ნებისმიერი სუბიექტი).

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას წარმოადგენს ის გარემოება, რომ ჩვეულებრივი ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, განვადებით ნასყიდობისას გამყიდველი ვალდებულია გადასცეს მყიდველს ნივთი ფასის გადახდამდე, ხოლო შემდგომ კი მყიდველის მიერ ფასის გადახდა უნდა მოხდეს ნაწილ-ნაწილ დროის განსაზღვრულ შუალედებში.

მაშასადამე, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დადები-

სას მყიდველი ნაყიდი ნივთის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე ნივთის ფასის მხოლოდ ნაწილის გადახდის მომენტიდან, ხოლო ფასის დარჩენილ ნაწილს კი იხდის მოგვიანებით დადგენილი პერიოდულობით. შესაბამისად, ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი განვადებით ნასყიდობისას მყიდველზე გადადის ნივთის გადაცემის მომენტიდან, ანუ ფასის ნაწილის გადახდისთანავე, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 506-ე მუხლი ითვალისწინებს განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების სპეციალურ ფორმას – ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობითი ფორმით და მასში სავალდებულო პირობების სახით უნდა აღინიშნოს:

1) ნაღდი გადახდის ოდენობა, ე.ი. განვადებით. ნასყიდობის ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს ის თანხა, რომელიც მყიდველმა უნდა გადაიხადოს ხელშეკრულების დადების მომენტში, ანუ ნივთის მთლიანი ღირებულების ნაწილი. მაგალითად, მაღაზია „X“-ში სარეცხი მანქანა ღირს 1000 ლარი. მყიდველმა იგი შეიძინა განვადებით. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს თანხის ის ნაწილი, დავუშვათ, 400 ლარი, რომელიც მყიდველმა თავიდან უნდა გადაიხადოს.

2) ნაწილ-ნაწილ გადასახადი თანხის ოდენობა და გადახდის დრო. ჩვენს მაგალითში, მყიდველმა ხელშეკრულების დადებისთანავე გადაიხადა 400 ლარი. დარჩა გადასახდელი 600 ლარი. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა აღინიშნოს, თუ რა ვადის ფარგლებში და რა ოდენობით უნდა იქნეს გადახდილი დარჩენილი 600 ლარი, დავუშვათ, 6 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 100 ლარი ან სამი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 200 ლარი.

3) წლიური პროცენტის ოდენობა. ანუ ის გარკვეული პროცენტი, რომელიც უნდა გადაიხადოს მყიდველმა ნივთის განვადებით ყიდვისათვის. სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა პროცენტის ცნების რაიმე განმარტებას. დოქტრინაში მიღებული განმარტებით, პროცენტი ეს არის პერიოდული საზღაური კაპიტალის სარგებლობისათვის, რომლის სიდიდეც განისაზღვრება ამ კაპიტალში

არსებული წილით. პროცენტის გადახდა არაა დამოკიდებული შემოსავალზე, საამისოდ საკმარისია კაპიტალით სარგებლობა. საპროცენტო ვალდებულება დამატებითი ვალდებულებაა და იგი ეფუძნება მთავარ ვალდებულებას, როგორიცაა კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულება. თუ არ წარმოიშობა მთავარი ვალდებულება ანდა მისი საფუძველი ბათილი იქნება, არც საპროცენტო ვალდებულება, წარმოიშობა. მაშასადამე, საპროცენტო ვალდებულება აქცესორული, ანუ დამატებითი ხასიათისაა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 2007 წლის 29 ივნისს განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად გაუქმდა კანონით დადგენილი პროცენტის ინსტიტუტი. ამჟამად სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს მხოლოდ ხელშეკრულებით დადგენილ პროცენტის ინსტიტუტს. „ღაგამმიშვებულმა“ პროცენტმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას მხარეთა თანასწორობასა და მათ ქონებრივ თავისუფლებას. ამიტომაცაა, რომ საპროცენტო ვალდებულებებში „სახელშეკრულებო თავისუფლების“ პრინციპი შეცვლილია „სახელშეკრულებო სამართლიანობის“ პრინციპით.[49]

საერთო წესის მიხედვით, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებულია იმაზე, დაიცავენ თუ არა მხარეები კანონით გათვალისწინებულ ფორმას. მაგრამ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 507-ე მუხლი გამონაკლისის სახით ითვალისწინებს, რომ თუ განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ იქნება დაცული ზემოთ აღნიშნული რეკვიზიტები, ეს არ გამოიწვევს ხელშეკრულების ბათილობას, არამედ დადგება სხვა სამართლებრივი შედეგები, სახელდობრ: ა) განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება არა მხარეთა მიერ შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, არამედ გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთის გადაცემის მომენტიდან; ბ) მყიდველი ვალდებული იქნება გადაიხადოს მხოლოდ ნივთის ფასი ყოველგვარი პროცენტების გარეშე.

[49] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 336.

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გამყიდველის უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ შემთხვევაში, როცა მყიდველი არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს (მაგალითად, ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში არ იხდის ფასს). თუ გამყიდველი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ ორივე მხარემ, ანუ გამყიდველმა და მყიდველმა, უნდა დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც მათ ხელშეკრულებით მიიღეს, ანუ უნდა მოხდეს ორივე მხარის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში (ორმხრივი რესტიტუცია). ამის საწინააღმდეგო შეთანხმება ჩაითვლება ბათილად. ხელშეკრულებაზე უარის თქმა მყიდველის გამოუსწორებლობის მოტივით, გამყიდველს არ ართმევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების დარღვევით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება ზოგადი წესების მიხედვით (ცოტა განსხვავებულად აწესრიგებს ანალოგიურ სიტუაციას რუსეთის ფედერაციის სამოქალაქო კოდექსის 489-ე მუხლი, რომლის თანახმადაც მყიდველის მიერ ფასის ნაწილის გადახდის ვადის გადაცილების შემთხვევაში გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუკი მყიდველის მიერ უკვე გადახდილი თანხა აღემატება ნივთის ღირებულების ნახევარს).[50]

განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა განვასხვაოთ პირობადებული საკუთრებისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 188-ე მუხლის თანახმად, „თუ გამსხვისებელმა პირობად დათქვა საკუთრების გადასვლა შემძენზე მხოლოდ ნივთის საფასურის გადახდის შემდეგ, ივარაუდება, რომ საკუთრება შემძენზე გადავა საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. თუ შემძენი გააჭიანურებს საფასურის გადახდას, ხოლო გამსხვისებელი უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, უკვე ორმხრივად განხორციელებული შესრულება მხარეებმა უნდა დააბრუნონ. პირველ ნაწილში აღნიშნული პირობა

[50] Брагинский М.И., Витрянский В.В. "Договорное право. книга вторая. Договоры о передаче имущества". М., 2000, стр. 39.

შესრულებულად ითვლება მაშინაც, თუ გამსხვისებელი ნებისმიერი სხვა გზით, ვიდრე საფასურის გადახდა, დაკმაყოფილდება ანდა შემძენი მიუთითებს მოთხოვნის ხანდაზმულობაზე.“

მაშასადამე, პირობადებული საკუთრების არსი იმაში მდგომარეობს, რომ დათქმული პირობის თანახმად, შემძენი მესაკუთრე ხდება მხოლოდ საფასურის სრულად გადახდის შემდეგ. შემძენზე გადაცემული ნივთი საფასურის სრულად გადახდამდე გამსხვისებლის საკუთრებაა. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულების დროს კი შემძენი მესაკუთრე ხდება ნივთის საფასურის ნაწილის გადახდისთანავე, ხოლო ფასის დარჩენილ ნაწილს კი იხდის მოგვიანებით ნაწილ-ნაწილ დადგენილი პერიოდულობით.

V თავი

გამოსყიდვა. უპირატესი შესყიდვის უფლება

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს უფლებას აძლევს ხელშეკრულებაში გაითვალისწინონ პირობა იმის შესახებ, რომ გარკვეული დროის განმავლობაში გამყიდველს შეუძლია უკან გამოისყიდოს გაყიდული ნივთი. გამოსყიდვა არის გამყიდველის უფლება და არა მოვალეობა, რამეთუ ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე, ანუ გამყიდველის სურვილზეა დამოკიდებული გამოისყიდის თუ არა ნივთს.

გაყიდული ნივთის უკან გამოსყიდვა, როგორც წესი, ხდება თავდაპირველ ფასში, ანუ იმ ფასით, რაც მყიდველმა მასში გადაიხადა. თუმცა ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში შეუძლიათ მოითხოვონ გამოსყიდვის დროს ფასის გაზრდა ან შემცირება იმის გათვალისწინებით, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება გამოსასყიდი ნივთი. კერძოდ, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხა, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე სასარგებლო

დანახარჯების შედეგად (მაგალითად, ნივთის შეკეთებით, ნივთის გაუმჯობესებით). მაშასადამე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ ითვალისწინებს გამოსასყიდი ფასის გაზრდის შესაძლებლობას, თუ გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაიზრდება გამოსასყიდი ნივთის საბაზრო ფასი. თავის მხრივ, გამომსყიდველს, ანუ თავდაპირველ გამყიდველსაც შეუძლია მოითხოვოს საქონლის ფასის შემცირება იმ თანხის ოდენობით, რომლითაც შემცირდა საქონლის ღირებულება მის გამოსყიდვამდე (მაგალითად, ნივთის ნორმალური სამეურნეო გამოყენება, ნივთის გაცვეთა).

გამოსყიდვის შემთხვევაში მყიდველი ვალდებულია ნივთი დააბრუნოს საკუთვნებელთან ერთად. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 151-ე მუხლის თანახმად, საკუთვნებელი არის მოძრავი ნივთი, რომელიც, თუმცა არ არის მთავარი ნივთის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ განკუთვნილია მთავარი ნივთის სამსახურისათვის, დაკავშირებულია მასთან საერთო სამეურნეო დანიშნულებით, რის გამოც იგი სივრცობრივ კავშირშია მთავარ ნივთთან და დამკვიდრებული შეხედულების მიხედვით ითვლება საკუთვნებლად. მაგალითად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია ავტოსამრეცხაო თავისი მოწყობილობებით, მისი გამოსყიდვისას მყიდველი ვალდებულია დაუბრუნოს გამომსყიდველს ავტოსამრეცხაო მთლიანობაში, ანუ სამრეცხაო მოწყობილობებით, რომელიც ავტოსამრეცხაოს საკუთვნებელს წარმოადგენს. გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს. ამ ვადის გაგრძელება დაუშვებელია.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როდესაც მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გააფუჭა ნივთი ანდა იგი შეცვალა. ასეთ შემთხვევაში მას დაეკისრება სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა გამყიდველის მიმართ, კერძოდ, მყიდველმა უნდა აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი. ანუ სახეზე უნდა იქნეს სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ოთხივე საერთო საფუძველი: ზიანი, ქმედების მართლწინააღმდეგობა, მიზეზობრივი კავშირი მართლსაწინააღმ-

დეგო ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის, მყიდველის ბრალი.

როგორც აღვნიშნეთ, გამოსყიდვის შესაძლებლობა ეს არის გამყიდველის უფლება და არა მოვალეობა. გამორიცხული არ არის, რომ გამყიდველს სულაც არ სურდეს ამ უფლების გამოყენება. მიუხედავად ამისა, მყიდველს უფლება არა აქვს გამოსყიდვის უფლების ვადის გასვლამდე გაასხვისოს ნაყიდი ნივთი (გაყიდოს, გაცვალოს, გააჩუქოს). თუ მყიდველი ნივთს მაინც გაასხვისებს, ასეთი გასხვისება იქნება ბათილი, ანუ არ წარმოშობს იმ სამართლებრივ შედეგებს, რასაც მხარეები (თავდაპირველი მყიდველი და ახალი მყიდველი) გარიგების დადებისას ითვალისწინებდნენ. ასეთი ბათილი გასხვისების სამართლებრივი შედეგი იქნება ორივე მხარის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში, რამეთუ სახეზეა უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის გასხვისება.

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ იმის შესახებ, რომ მყიდველს ცალმხრივად უფლება აქვს ესა თუ ის საგანი შეიძინოს განსაზღვრულ დრომდე ან განსაზღვრულ მოვლენამდე (შესყიდვის ოფცია) ანდა იმავე პირობებში გამყიდველს უფლება აქვს საგანი მყიდველს მიჰყიდოს (გაყიდვის ოფცია). ოფციის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების ნორმები, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. მაშასადამე, ოფციაში იგულისხმება უფლება, რომლის შესაბამისად, ცალმხრივი განცხადებით (ნების გამოვლენით) შეიძლება იმ ხელშეკრულების განხორციელება, რომლის შინაარსიც სხვა ხელშეკრულებით იყო განსაზღვრული. გამოსყიდვის უფლება არის ერთ-ერთი ოფციური უფლება, ანუ ეს არის უფლება, რომელიც პირს შესაძლებლობას აძლევს ცალმხრივი მოქმედებით გამოიყენოს ხელშეკრულებით მისთვის წინასწარ მინიჭებული უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ნასყიდობასთან მიმართებით ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როდესაც კონკრეტულ პირს სხვა პირებთან შედარებით აქვს საგნის უპირატესი შესყიდვის უფლება. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ

უფლების განხორციელება, თუკი ვალდებული პირი მესამე პირთან დებს მოცემული ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებას.

უპირატესი შესყიდვის უფლება განისაზღვრება კანონით ან ხელშეკრულებით. ასე, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 933-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხელშეკრულების დანარჩენ მონაწილეებს აქვთ მესამე პირისთვის გადასაცემი წილის უპირატესი შესყიდვის უფლება.

ვალდებულმა პირმა (ანუ ნივთის გამყიდველმა) დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს უპირატესი უფლების მქონე პირს იმ ხელშეკრულების შინაარსი, რომლის დადებასაც ის აპირებს მესამე პირებთან. უპირატესი შესყიდვის უფლება ხორციელდება უფლებამოსილი პირისათვის შეტყობინებით. შეტყობინების მეშვეობით უფლებამოსილ პირსა და ვალდებულ პირს შორის იდება ნასყიდობის ხელშეკრულება იმ პირობებით, რომელიც ვალდებულმა პირმა მესამე პირს შესთავაზა. უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს შეუძლია ამ უფლების განხორციელება მხოლოდ ვალდებული პირის მიერ დადგენილ ვადაში. მაგალითად, ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო დამქირავებლის მიერ დაქირავებული ბინის უპიტესი შესყიდვის უფლება, თუკი იგი ბინაში იცხოვრებდა სამ წელზე მეტი ვადით. პირი დაქირავებულ ბინაში ცხოვრობს ოთხი წელი, ბინის მესაკუთრემ (ვალდებულმა პირმა) გადაწყვიტა ბინის გაყიდვა. ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს დამქირავებელს (უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირს) ბინის მოსალოდნელი გაყიდვის შესახებ და გააცნოს ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსი იმ პირობებით, რომლითაც იგი აპირებს ბინის გაყიდვას მესამე პირზე, და მისცეს უფლებამოსილ პირს (დამქირავებელს) პასუხის მისაცემად გონივრული ვადა (სსკ-ის 325-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულების პირობები უნდა განისაზღვროს ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის ან მესამე პირის მიერ, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ ასეთი განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე. თუ მხარე პირობებს

არ მიიჩნევს სამართლიანად ან მათი განსაზღვრა ჭიანურდება, გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო). სახელშეკრულებო ურთიერთობებში სამართლიანობის პრინციპთან მიმართებით უფრო დაწვრილებით იხილეთ.[51] თუ დადგენილ ვადაში უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირი გამყიდველს არ აცნობებს თავის პასუხს, ანდა, მართალია, აცნობებს პასუხს, მაგრამ შეცვლილი პირობებით (მაგალითად, უფრო ნაკლებ ფასად ყიდვის სურვილი), მაშინ ვალდებულ პირს (ანუ გამყიდველს) შეუძლია მესამე პირთან დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როდესაც უფლებამოსილი პირი (ანუ უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირი) თანახმაა დადოს ნასყიდობის ხელშეკრულება ვალდებულ პირთან (ანუ გამყიდველთან) იმ პირობებით, რაც გამყიდველმა მესამე პირს შესთავაზა, მაგრამ მესამე პირი კისრულობს დამატებით ვალდებულებასაც. თუ უფლებამოსილ პირს ასეთი დამატებითი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობა არა აქვს, მაშინ მან ვალდებულ პირს (გამყიდველს) დამატებითი ვალდებულების ნაცვლად უნდა გადაუხადოს მისი ღირებულება. მაგალითად, მესამე პირმა ვალდებულ პირს (გამყიდველს) დამატებით შესთავაზა, რომ ერთი თვის ვადით ზაფხულში დაასვენებს ოჯახთან ერთად აგარაკზე. თუკი უფლებამოსილ პირს არ შეუძლია, რომ გამყიდველის მიმართ შეასრულოს ასეთი დამატებითი ვალდებულება, მაშინ მან უნდა გადაუხადოს მისი ღირებულება, ანუ ის თანხა, რომელიც საჭიროა ანალოგიური აგარაკის ზაფხულში დაქირავებისათვის.

შესაძლებელია, რომ მესამე პირის მიერ ნაკისრი დამატებითი ვალდებულება ატარებდეს პირად ხასიათს და შეუძლებელი იყოს მისი ფულადი შეფასება. მაგალითად, მესამე პირი არის ცნობილი მხატვარი და გამყიდველს ჰპირდება მისი პორტრეტის დახატვას. ასეთ შემთხვევაში უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენება დაუშვებელია და ვალდებულმა პირმა (გამყიდველმა)

[51] ბ. ზოიძე, ევროპული კერძო სამართლის რეცეპცია საქართველოში, თბ. 2005. გვ. 280-283.

ხელშეკრულება უნდა დადოს მესამე პირთან, რომელმაც პირადი ხასიათის დამატებითი ვალდებულების შესრულებაც იკისრა.

არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როდესაც გამყიდველი და მესამე პირი დამატებითი ვალდებულების შესრულების თაობაზე თანხმდებიან მხოლოდ მოსაჩვენებლად იმ მიზნით, რომ გვერდი აუხვიონ უპირატესი შესყიდვის უფლების გამოყენების შესაძლებლობას. მაგალითად, ბინის ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო დამქირავებლის მიერ უპირატესი შესყიდვის უფლება. ბინის მესაკუთრეს არ სურს, რომ თავისი ბინა მიჰყიდოს დამქირავებელს, რომელიც უკვე სამ წელზე მეტია ცხოვრობს გასაყიდ ბინაში. ამ მიზნით გამყიდველი მოსაჩვენებლად უთანხმდება მესამე პირს (ვისაც სურს რომ ბინა მიჰყიდოს) რაიმე დამატებით ვალდებულებაზეც. აღნიშნულის დამტკიცების შემთხვევაში დამატებითი ვალდებულების თაობაზე ვალდებულ პირსა (გამყიდველი) და მესამე პირს შორის შეთანხმება ძალას კარგავს და ნივთი უნდა მიყიდულ იქნეს უპირატესი შესყიდვის უფლების მქონე პირისათვის (უფლებამოსილი პირი).

უპირატესი შესყიდვის უფლება არც სხვა პირს გადაეცემა (ანუ დაუშვებელია ამ უფლების გასხვისება) და არც მემკვიდრეობით გადადის, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ნივთის მოწონების პირობით, თუ მყიდველი შეთანხმებულ ვადაში არ დაიწუნებს ნივთს. ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს სსკ-ის 94-ე და 520-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევას, კერძოდ, თუ გარიგება დადებულია იმ პირობით, რომ რაიმე მოვლენა არ დადგება განსაზღვრულ ვადაში, მაშინ პირობა შესრულებულად ითვლება, თუკი აღნიშნული ვადა გავა მოვლენის დადგომის გარეშე. პირობა შესრულებულად ითვლება მაშინაც, როცა ვადის გასვლამდე აშკარაა, რომ მოვლენის დადგომა შეუძლებელია.

მაშასადამე, ნივთის მოწონების პირობით ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას, მყიდველი ნაყიდი ნივთის მესაკუთრე ხდება ხელშეკრულების დადებისთანავე და მასზე გადადის ნივ-

თის შემთხვევითი დაზიანების ან დაღუპვის რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან. თუ დათქმული ვადის გასვლის შემდეგ მყიდველი მოიწონებს ნივთს, ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში დარჩება. იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველი დათქმულ ვადაში დაიწუნებს ნაყიდ ნივთს, მაშინ მხარეებმა ერთმანეთს უკან უნდა დაუბრუნონ ის, რაც ნასყიდობის ხელშეკრულებით მიიღეს, ანუ მოხდება ორივე მხარის აღდგენა პირვანდელ მდგომარეობაში (ორმხრივი რესტიტუცია).

VI თავი

ნასყიდობის ხელშეკრულება განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით

§1. ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება

ნასყიდობის ხელშეკრულება (Vente, Kaufvertrag, Sale), ისევე როგორც მრავალი საუკუნის განმავლობაში, თანამედროვე პირობებშიც წარმოადგენს საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ და მნიშვნელოვან ხელშეკრულებას. ხშირად ნასყიდობის ხელშეკრულება წარმოადგენს სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე სუბიექტებს შორის დამყარებულ ეკონომიკური კავშირურთიერთობების ბირთვს. საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში სასაქონლო ხასიათის ოპერაციებს ყველაზე დიდი ადგილი უკავიათ საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის სხვა სახეებთან შედარებით, ამიტომაც ნასყიდობის ხელშეკრულება ხელშეკრულების სხვა სახეებთან შედარებით უფრო ხშირად განაპირობებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს შორის ორმხრივი ურთიერთკავშირის დამყარებას.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები თავმოყრილია

ისეთ კოდიფიცირებულ საკანონმდებლო აქტში, როგორიცაა სამოქალაქო კოდექსი. ასე, მაგალითად, საფრანგეოში ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 1582-ე-1694-ე მუხლებში, გერმანიაში კი — გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 433-ე-479-ე პარაგრაფებში. ამასთან ერთად, შვეიცარიაში ნასყიდობის თავი მოცემულია არა სამოქალაქო კოდექსში, არამედ ვალდებულებით კანონში, რომელსაც გააჩნია იგივე მნიშვნელობა სამოქალაქო სამართლის სფეროში. ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში, ნასყიდობის ხელშეკრულება მოწესრიგებულია სპეციალური კანონებით, ანუ არსებობს ამ ტიპის ხელშეკრულების უნიციფირებული მოწესრიგება.

პრეცედენტული სამართლის სისტემის (ინგლისურ-ამერიკული სამართალი) ქვეყნებში, ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები ასევე ძირითადად მოცემულია საკანონმდებლო აქტებში. ამ ნორმების დიდ ნაწილს შეადგენენ დებულებები, რომლებიც ჩამოყალიბდნენ პრეცედენტული სამართლის ფორმირების პროცესში და ასევე ნორმები, რომლებიც მიღებულ იქნა კანონმდებლის მიერ იმ პრობლემების გადასაწყვეტად, რასაც ადგილი აქვს თანამედროვე პირობებში ეკონომიკური ურთიერთობების ინტენსიური განვითარების პროცესში. ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ ამ ქვეყნებში სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს ასევე სამართლის ძირითად წყაროს.

ინგლისში ნასყიდობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მომწესრიგებელ ძირითად საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს 1979 წლის კანონი ნასყიდობის შესახებ (Sale of Goods Act), რომლის პირველი რედაქციაც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ 1893 წელს როგორც XIX საუკუნეში ინგლისში განხორციელებული პრეცედენტული სამართლის ნორმების სისტემატიზაციის სამართლებრივი რეფორმის შემადგენელი ნაწილი. დღესდღეობით ინგლისში ნასყიდობასთან მიმართებით გამოიყენება არა მარტო 1979 წლის კანონის ნორმები, არამედ ასევე უფრო მოგვიანებით მიღებული საკანონმდებლო აქტებიც, სახელდობრ, 1994 წლის

კანონი საქონლის მიწოდებისა და მომსახურების შესახებ (Supply of Goods and Services Act).[52]

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნასყიდობასთან დაკავშირებული ურთიერთობების მოწესრიგება მათი ჩამოყალიბების დასაწყისში ხდებოდა ინგლისური პრეცედენტული სამართლის მიხედვით. ის შედიოდა ცალკეული შტატების კომპეტენციაში და თავმოყრილი იყო, როგორც წესი, თითოეულ შტატში მოქმედ საკანონმდებლო აქტში. ამ საკანონმდებლო აქტებს, მართალია, გააჩნდათ სხვადასხვა სახელწოდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თავიანთი შინაარსით წარმოადგენდნენ ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსს, რომელშიც ნასყიდობის მომწესრიგებელ ნორმებს დათმობილი ჰქონდა მე-2 თავი — ნასყიდობა (Article).

კომერციული ურთიერთობების ფართომასშტაბიანმა და დინამიკურმა განვითარებამ ამერიკის შეერთებულ შტატებში, განაპირობა ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსში, რომლის პირველი რედაქციაც მიღებულ იქნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის შუა წლებში, ახალი დებულებების შეტანაც. ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მეორე თავი — ნასყიდობა, წარმოადგენს იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას, რომლებიც არეგულირებენ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა ურთიერთობების მრავალრიცხოვან ასპექტებს.[53] ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ აშშ-ის ზოგიერთი შტატის სასამართლოები, რომელთა კომპეტენციასაც მიეკუთვნება ნასყიდობის ხელშეკრულების მონაწილეთა შორის წარმოშობილი დავების გადაწყვეტა, ზოგჯერ უპირატესობას ანიჭებენ არა ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით დადგენილ ნორმებს, არამედ ამ შტატში მოქმედ პრეცედენტული სამართლის ნორმებს იმ მოტივით, რომ ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის ნორმები არ არიან ადეკვატური ამ შტატში მოქმედ ნორმებთან, რომლებიც დაფუძნებულია ამ შტატში მოქმედ სასამართლო პრაქტიკაზე.

---

[52] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елисеев И. В., СПб., 2005.

[53] Единообразный торговый кодекс (ЕТК) США, М., 2004.

თუმცა ეს გარემოება არ აკნინებს აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის, როგორც ერთიანი უნიფიცირებული სამართლებრივი აქტის მნიშვნელობას, რამეთუ ამ აქტში მოცემული ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები ფაქტობრივად ერთგვაროვანია ყველა სხვა ცალკეულ შტატში. იქიდან გამომდინარე, რომ აშშ წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში ეკონომიკურად ყველაზე განვითარებულ ქვეყანას, ამიტომაც აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით დადგენილი ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ნასყიდობასთან დაკავშირებულ საკითხებს, ასახვას პოვებენ ასევე საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებისათვის გათვალისწინებულ სამართლებრივ დოკუმენტებშიც.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში, კერძოდ, გერმანიასა და საფრანგეთში, სამოქალაქო სამართალთან ერთად არსებობს სავაჭრო სამართალიც, სამეწარმეო ურთიერთობების პროცესში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მოწესრიგებულია ასევე სავაჭრო კოდექსის ნორმებითაც. სავაჭრო კოდექსის ნორმებს სამეწარმეო ურთიერთობებთან დაკავშირებით უპირატესობა გააჩნიათ სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან მიმართებით. სამოქალაქო კანონმდებლობით დადგენილი ნორმები სამეწარმეო ურთიერთობის მონაწილეთა მიერ დადებული გარიგებების მიმართ გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არ არსებობს სავაჭრო სამართლის სპეციალური ნორმები.[54]

მიუხედავად იმისა, რომ განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ნასყიდობის ხელშეკრულების მოწესრიგება ხორციელდება ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ჩამოყალიბებული ნორმებით, ამის მიუხედავად, ეს ნორმები მაინც მნიშვნელოვნად იცვლება ბოლო დროს. ასე მაგალითად, 2001 წელს გერმანიაში განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად მნიშვნელოვნად შეიცვალა გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით დადგენილი ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები, რომლის მიზანიც იყო კანონ-

[54] Зеленский В.В, "Основные институты гражданского права зарубежных стран", М., 2000.

მდებლობის სრულყოფა სასამართლო პრაქტიკის გამოცდილების გათვალისწინებით, რომელიც ჩამოყალიბდა გერმანიის სამოქალაქო სჯულდების ასწლიანი არსებობის მანძილზე, ასევე ევროკავშირის ფარგლებში ნაციონალური კანონმდებლობის უნიფიცირება.

ასევე ხანგრძლივი მოსამზადებელი სამუშაოების შემდეგ, რასაც თან ერთვოდა ამერიკელი იურისტების მრავალრიცხოვანი დისკუსიები, 2003 წელს დამტკიცებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მე-2 თავის — ნასყიდობა — მარეგულირებელი ნორმების ახალი რედაქცია, რაც ძირითადად დაკავშირებულია აშშ-ის გავრცელებულ ელექტრონულ ვაჭრობასთან, ანუ ელექტრონული საშუალებით დადებულ ხელშეკრულებებთან.

როდესაც ვსაუბრობთ ნასყიდობის მომწესრიგებელ სამართლებრივ წყაროებზე, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე პირობებში ცალკეული ქვეყნების ეროვნული კანონმდებლობა რეგიონულ დონეზე განიცდის სერიოზულ უნიფიცირებას. ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს ევროკავშირის ფარგლებში სამართლის უნიფიკაცია, კერძოდ, ევროკავშირმა 1998 წელს მიიღო გადაწყვეტილება მასში შემავალი ქვეყნების მიერ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების უნიფიკაციის შესახებ იმ მიზნით, რათა დაცულ იქნეს მომხმარებელთა უფლებები მათ მიერ საქონლის შესაძენად დადებულ გარიგებებში.[55]

პრაქტიკულად თითოეულ ნაციონალურ სამართლებრივ სისტემაში არსებობს ნასყიდობის ხელშეკრულების ლეგალური განმარტება. მიუხედავად იმისა, რომ იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით ეს განმარტებები შეიძლება ერთმანეთისაგან განსხვავდებოდეს, ისინი პრინციპში მაინც გამოხატავენ მოცემული ობიექტური მოვლენის ერთსა და იმავე არსს. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი აზრით, ყველაზე უფრო ლაკონიურ განმარტებას შეიცავს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1582-ე მუხლი, რომლის

[55] Principles of European Contract Law. Parts I and II / Ed. by O. Lando, H. Beale, The Haguem London, Boston, 2000.

თანახმადაც, ნასყიდობა არის შეთანხმება, რომლის ძალითაც ერთი მხარე კისრულობს ვალდებულებას გადასცეს საკუთრებაში ქონება საკუთრებაში, ხოლო მეორე მხარე კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს მისი ღირებულება.[56]

გერმანიაში 2001 წელს განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზაციის უშუალო მიზეზი გახდა ევროკავშირის /999/44-ე დირექტივა სამომხმარებლო საქონლის შეძენისა და მასთან დაკავშირებული გარანტიების ზოგიერთი ასპექტის შესახებ, რომელიც ძალაში 1999 წლის 7 ივლისს შევიდა. წევრ-სახელმწიფოებს მისი იმპლემენტაცია 2002 წლის 1 იანვრამდე უნდა მოეხდინა. ამ დირექტივას ორი ძირითადი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრივ, მას უნდა გაეუმჯობესებინა ევროკავშირის შიდა ბაზარი, განსაკუთრებით კი, თავისუფალი საქონელბრუნვა მომხმარებელთა ინტერესების შესაბამისად; მეორე მხრივ კი, უნდა მომხდარიყო მომხმარებელთა უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ეროვნული შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია.[57]

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 433-ე პარაგრაფის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე და უნდა მიაწოდოს ეს ქონება.[58] ინგლისის კანონი საქონლის ნასყიდობის შესახებ ნასყიდობის ხელშეკრულებას განმარტავს როგორც ხელშეკრულებას, რომლის ძალითაც მყიდველზე უკვე გადადის საკუთრების უფლება ქონებაზე (Sale), ასევე შეთანხმებას გაყიდვის შესახებ, რომლის შესაბამისადაც ქონებაზე საკუთრების უფლება გადავა მომავალში ანდა გარკვეული პირობის დადგომისას (agreement to sall). ამერიკის

---

[56] Французский Гражданский кодекс науч. ред. Лавров Д.Г. СПб., 2004.

[57] Bernard Lukanko, Verbraucherrecht als Sonderprivatrecht: eine Untersuchung am Baispiel der Richtlinie 1999/44/ Eg des Europaisches Parlaments und des Rates vom. 25, Mai 1999 zu bestimmten Aspekten des Verbrauchsgüterkaufs und der Garantien für Verbrauchsgüter, Berlin, Humboldt – Univ. Diss, 2007.

[58] Dr. Hans – Werner Eckert, Dr. Ian Meifeld, Dr. Michael Matthiessen. Handbuch des Kaufrechts: der Kaufvertrag nach Bürgerlichem Recht, Handelsrecht und UN – Kaufrecht. Verlag C. H. Beck München. 2007. S. 86-99.

შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-106-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავს როგორც უკვე განხორციელებულ გაყიდვას, რაც გამოიხატება მყიდველზე გამყიდველისათვის გარკვეული თანხის გადახდის სანაცვლოდ ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლაში, ასევე ხელშეკრულებას ქონების მომავალში გაყიდვის შესახებ (მომავალ ქონებაზე დადებული ხელშეკრულება).

ამგვარად, ნასყიდობის ხელშეკრულება ზოგადად შეიძლება განიმარტოს შემდეგნაირად: ნასყიდობის ხელშეკრულებით ერთი მხარე (გამყიდველი) კისრულობს ვალდებულებას, გადასცეს მეორე მხარეს (მყიდველს) საკუთრების უფლება ნაყიდ ნივთზე და მიაწოდოს ნივთი, ხოლო მყიდველი კი კისრულობს ვალდებულებას, მიიღოს ნაყიდი ნივთი და გადაიხადოს მისი ღირებულება.

განვითარებული ქვეყნების დოქტრინისა და სამოქალაქო-სამართლებრივი მეცნიერების თვალსაზრისით ნასყიდობის ხელშეკრულება განიხილება როგორც ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება.

საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში ნასყიდობის მომწესრიგებელ წესებს შორის დიდი მნიშვნელობა ეთმობა ასევე სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისა და შესრულების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს.

სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები წარმოიშობა ამა თუ იმ სამეწარმეო საქმიანობის წარმომადგენელთა მიერ ურთიერთშეთანხმებული და ხანგრძლივი გამოყენების შედეგად. იმისათვის, რომ ესა თუ ის წესი სავაჭრო ჩვეულებად და ტრადიციად ჩაითვალოს, აუცილებელია, რომ იგი გამოიყენებოდეს დროის განსაზღვრულ პერიოდში, აღიარებული უნდა იყოს ყველა მონაწილის მიერ და ფაქტობრივად ხორციელდებოდეს კიდეც. სავაჭრო ჩვეულების თუ ტრადიციის მოქმედება შეიძლება პირთა კონკრეტული წრით შემოიფარგლებოდეს. სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები შეიძლება გარკვეული ტერიტორიითაც იყოს შემოფარგლული და მხოლოდ ამ

ტერიტორიაზე მყოფი პირების მიმართ ატარებდეს სავალდებულო ხასიათს (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბირჟებზე, ბაზრობებზე ან აუქციონებზე მოქმედი ჩვეულებები).

სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები, მართალია, სამართლის ნორმებს არ წარმოადგენენ, მაგრამ ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობის განსაზღვრისას შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული.[59]

ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართლის წაროების მიმოხილვის შემდეგ სხვადასხვა სამართლებრივი სისტემის ქვეყნებში, უნდა აღვნიშნოთ, რომ საერთაშორისო კომერციული ვაჭრობის მომწესრიგებელი სამართლის უნიფიკაციის შედეგად საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულება მრავალ ქვეყანაში წესრიგდება არა ეროვნული სამართლის ნორმებით, არამედ საერთაშორისო კონვენციების ნორმებით, რომელთა შორისაც ყველაზე მნიშვნელოვანია გაეროს 1980 წლის ვენის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ".

§2. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი ძირითადი პირობები

თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუკი მისი მონაწილე მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას ყველა არსებით პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. როგორც წესი, ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობად ითვლება საგანი და გასაყიდი ფასი. რაც შეეხება სხვა პირობებს, ისინი ჩაითვლებიან არსებითად, თუკი მათზე ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება ანდა რომლებიც ასეთად

[59] ზ. ძლიერიშვილი, სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების როლი საქოლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების განმარტებისას, „პროფესია ადვოკატი" №2, 2008, გვ. 16.

მიჩნეულია კანონის მიერ დასადები გარიგების განსაკუთრებული ხასიათიდან გამომდინარე. ასეთ პირობათა რიცხვს მიეკუთვნება, მაგალითად, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულების დრო, საქონლის მიწოდების ადგილი და წესი, ფასის გადახდის ადგილი და დრო, საკუთრების უფლებისა და ნივთის შემთხვევითი დაღუპვის რისკის გადასვლის მომენტი გამყიდველიდან მყიდველზე, გადასაცემი საქონლის ხარისხის შემოწმება და ა.შ.[60]

ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს, უპირველეს ყოვლისა, წარმოადგენს ნივთები, ანუ მატერიალური ქონებრივი სიკეთეები. გერმანიის სამოქალაქო სჯულდებისა და საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის ის ნორმები, რომლებიც ნასყიდობის ხელშეკრულებას აწესრიგებენ, თანაბრად გამოიყენება იმ როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთების მიმართ, რომლებიც შეიძლება იყოს ხელშეკრულების საგანი. რაც შეეხება ინგლისის კანონის „საქონლის გაყიდვის შესახებ" 61.1 მუხლს, მისი დებულებები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ ხელშეკრულებათა მიმართ, რომელთა საგანსაც წარმოადგენს მოძრავი ნივთები (personal chattels) და არ ეხება უძრავ ნივთებთან, პირველ რიგში კი, მიწის ნაკვეთების გადაცემასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებს. ანალოგიური ნორმები, რომლებიც მოცემულია აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მე-3 თავში მუხლი 2-105, გამოიყენება მხოლოდ მოძრავი ნივთების ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ.

ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში უძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებების მარეგულირებელი ნორმები ტრადიციულად შეადგენს სამართლის დამოუკიდებელ დარგს. შესაბამისად, მოძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებები და უძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებები მოწესრიგებულია სამართლის სხვადასხვა წყაროს საშუალებით. ინგლისში ეს ნორმები თავმოყრილია კანონში „ქონების შესახებ" (Law of Property Act),

---

[60] Dr. Hans – Werner Eckert. Dr. Ian Meifeld, Dr. Michael Matthiessen. Handbuch des Kaufrechts: der Kaufvertrag nach Bürgerlichem Recht, Handelsrecht und UN _ Kaufrecht. Verlag C. H. Beck München. 2007. S. 45-73.

რომელიც მოქმედი რედაქციით მიღებულ იქნა 1989 წელს. აშშ-ში უძრავ ნივთებთან დაკავშირებული გარიგებები მოწესრიგებულია ცალკეულ შტატებში მოქმედი სამართლის მიხედვით. ამასთან ერთად, ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის მე-2 თავი შეიცავს მთელ რიგ დებულებებს, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამა თუ იმ ქონების კვალიფიკაციისათვის, მისი როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის სამართლებრივი რეჟიმის განსაზღვრის თვალსაზრისით. „საქონლის“ ცნებაში იგულისხმება ჯერ კიდევ არდაბადებული ცხოველის ნაყოფი, მიწის მოსავალი და სხვა უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნივთები, რომლებიც გამოცალკევებულ უნდა იქნეს უძრავი ქონებისაგან. უფრო ზუსტად კი აღნიშნულია, რომ სასარგებლო წიაღისეულის (გაზის, ნავთობის და ა.შ.) ანდა შენობა-ნაგებობების, ანდა მასალების, რომლებიც უძრავი ქონებისგან უნდა იქნეს გამოყოფილი, ნასყიდობა განიხილება როგორც საქონლის ნასყიდობა, თუკი ისინი გამოყოფილნი უნდა იქნეს გამყიდველის მიერ.[61]

უნდა აღინიშნოს ასევე, რომ ინგლისის კანონში „საქონლის გაყიდვის შესახებ“, პირდაპირაა აღნიშნული, რომ მისი ნორმები არ გამოიყენება იმ გარიგებების მიმართ, რომელთა საგანსაც შეადგენს ფულადი თანხა. ამასთან ერთად, კანონის ნორმები გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა საგანსაც წარმოადგენს ფულადი მონეტების გაყიდვა კოლექციის მიზნით. ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის შესაბამისად მისი ნორმები არ გამოიყენება იმ ფულის ნიშნების ნასყიდობის ხელშეკრულებათა მიმართ, რომელ ფულად ერთეულშიც უნდა მოხდეს (გადახდის ვალუტა) გადახდა, 2003 წელს განხორციელებულმა ცვლილებებმა და დამატებებმა ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსში, მისი რეგულირების სფეროს გარეთ დატოვა ასევე ვალუტის გაცვლასთან დაკავშირებული გარიგებები, გარდა იმ გარიგებებისა, რომელთა საგანსაც წარმოადგენს ერთი ვალუ-

[61] Единообразный торговый кодекс (ЕТК) США. М., 2004. см. 2-105. 2-107.

ტის მეორე სახის ვალუტაზე ფიზიკურად გადაცვლა. ამგვარად, გამორიცხულ იქნა ვალუტის ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელიც ხორციელდება მხოლოდ საბუღალტრო ჩანაწერების გზით, ანუ ატარებს წმინდა სპეკულაციკურ ხასიათს, მაგალითად, ფორვარდული ან ფიუჩერსული გარიგებები, რომელიც იდება სავალუტო რისკებისაგან დაზღვევის მიზნით.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ყველა ქვეყნის სამართალში, ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სამართალი შეიცავს ნორმებს, რომლებიც გამოიყენება ან მხოლოდ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთების, ანდა მხოლოდ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების მიმართ. ამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ისეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტისათვის, როგორიცაა ნაყიდ ნივთზე გამყიდველისაგან მყიდველზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტი.

ინგლისურ-ამერიკულ სამართალში მოცემულია ნივთების სხვაგვარი კლასიფიკაცია, რომელსაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია ხელშეკრულების დადების დროს მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობისა და შინაარსის განსაზღვრისათვის. იმ ნივთს, რომელიც ზუსტად არის იდენტიფიცირებული და შეთანხმებული ორივე მხარის მიერ ხელშეკრულების დადების მომენტში, ეწოდება „კონკრეტული“ (specific), ანუ კონტინენტური სამართლის ტერმინოლოგიით ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი. თუკი ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეების მიერ ნივთი ზუსტად არ არის იდენტიფიცირებული ან შეთანხმებული, მაშინ მას ეწოდება არაინდივიდუალური (unascerytained). ასეთი ნივთი შემდგომში შეიძლება გახდეს ინდივიდუალური, მაგალითად, თუკი გამოყოფილ იქნება მისი მსგავსი ერთგვაროვანი ნივთების საერთო მასიდან. თუმცა კი ასეთი ნივთები ვერასდროს ვერ მიიღებენ ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთების კვალიფიკაციას აქედან გამომდინარე ყველა სამართლებრივი შედეგებით.[62]

[62] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елисеев И. В., СПб., 2005.

თითქმის ყველა ეროვნული სამართლის სისტემა ითვალისწინებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს არა მარტო ის ნივთები, რომლებიც რეალურად არსებობენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, არამედ მომავალი ქონებაც, რომელიც ჯერ კიდევ არ არსებობს რეალურად ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტისათვის. ეს წესი დადგენილია, მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1130-ე მუხლში, ინგლისის კანონის „საქონლის გაყიდვის შესახებ" მე-5 მუხლში, აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-105-ე მუხლით.

ბევრ განვითარებულ ქვეყანაში ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც, როგორიცაა მოთხოვნის უფლება, ინტელექტუალური საკუთრება, ფასიანი ქაღალდები. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 453-ე პარაგრაფი ითვალისწინებს, რომ ნივთის ნასყიდობის მარეგულირებელი ნორმები ასევე გამოიყენება უფლებების ნასყიდობის მიმართ.[63]

ფრანგული სამართლებრივი დოქტრინა ასევე მიიჩნევს, რომ ფრანგულ სამოქალაქო კოდექსში არსებული ნასყიდობის მარეგულირებელ ნორმებში აღნიშნულია ტერმინი „ნივთი" (chose), მაგრამ ნასყიდობის საგანი შეიძლება იყოს არამატერიალური ქონებრივი სიკეთეც, კერძოდ, მოთხოვნის უფლება.[64] ამასთან ერთად, აღსანიშნავია, რომ არამატერიალური ქონებრივი სიკეთეების თაობაზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების რეგულირება ხდება სპეციალური ნორმებით ანდა სპეციალური ნორმატიული აქტებით.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა, ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებში „საქონლის" ცნების განსაზღვრისას უარი თქვა მასში ისეთი ცნების ჩართვაზე, როგორიცაა „ინფორმაცია".

---

[63] Гражданский Кодекс Германии в 2-х томах, науч. ред. Елисеев И.В., СПб, 2005.

[64] Годэмэ Е. `Общая теория обязательств~ пер. с французского, 1948. с. 74.

ამ დებულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ე.წ. „ჭკვიანი საქონლით“ ვაჭრობისათვის (smart goods), აქ იგულისხმება ისეთი საქონელი, რომლის შემადგენელ ნაწილსაც წარმოადგენს კომპიუტერული პროგრამა. ამგვარად გაგებული „ინფორმაცია“ მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით გათვალისწინებული ნასყიდობის ნორმების რეგულირების საგანი, თუკი იგი წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის განუყოფელ ინტეგრალურ ნაწილს, ანუ როდესაც საქონლის მატერიალური და პროგრამული ნაწილები შეადგენს ერთ მთლიანობას.[65]

ნასყიდობის ხელშეკრულების განსაზღვრა გულისხმობს არა მარტო გასაყიდი საქონლის ზუსტად დადგენას, არამედ ასევე მისი ხარისხისა და რაოდენობის განსაზღვრასაც. განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა იცნობს გასაყიდი საქონლის ხარისხის განსაზღვრის სხვადასხვა წესს, რომელთაგანაც აღსანიშნავია სახელშეკრულებო მეთოდი და სტანდარტული მეთოდი. სტანდარტი ეს არის კომპეტენტური სახელმწიფო ორგანოს მიერ დადგენილი ტექნიკური ნორმატივი, რომელიც წაეყენება ამა თუ იმ საქონელს.

საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში გასაყიდი საქონლის რაოდენობა განისაზღვრება ან პირდაპირ (რაოდენობის აღმნიშვნელი ერთეულის მითითებით – ტონა, ცენტნერი, ბარელი და ა.შ.), ან არაპირდაპირ (მისაწოდებელი საქონლის რაოდენობის განსაზღვრის საშუალების მითითება, მაგალითად, მოთხოვნილების მიხედვით ან წარმოების მოცულობის მიხედვით).

ისეთი საქონლის მიწოდებისას, როგორიცაა ნავთობი, ლითონი, ქვანახშირი, ქიმიური ნივთიერებები, ხორბალი და ა.შ. სხვა ნედლეული, რომლის მიწოდებაც ხდება ათასობით და ათეულ ათასობით ტონობით, საერთაშორისო კომერციულ პრაქტიკაში გამოიყენება მისაწოდებელი საქონლის მიახლოებითი რაოდენო-

[65] Гражданское и торговое право зарубежных стран, под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского, М, 2004. с. 326.

ბის აღნიშვნა. ნასყიდობის ხელშეკრულებაში ამ დროს ემატება სიტყვა „დაახლოებით“ (circa). მიახლოებითი რაოდენობიდან გადახვევა დამოკიდებულია იმ პრაქტიკაზე, რაც ჩამოყალიბებულია ვაჭრობის კონკრეტულ სფეროში და როგორც წესი, მერყეობს ხელშეკრულებაში აღნიშნული რაოდენობის 1,5%-დან 10%-მდე ფარგლებში. საქონლის რაოდენობის ასეთი აღნიშვნა გულისხმობს იმას, რომ აღნიშნული ცდომილების ფარგლებში საქონლის მიწოდება ჩაითვლება როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ჯეროვანი შესრულება.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, ყველა განვითარებულ ქვეყნებში ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას წარმოადგენს გასაყიდი საქონლის ფასი. საბაზრო მეურნეობის ქვეყნების სამართლის პრინციპულ დებულებას წარმოადგენს ის, რომ ფასი განისაზღვრება პირდაპირ ხელშეკრულებაში ანდა მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებაზე. ხელშეკრულებაში აღნიშნული საქონლის გასაყიდი ფასი, როგორც წესი, გამოხატულ უნდა იქნეს განსაზღვრულ ფულად ერთეულში (ვალის ვალუტა). გასაყიდი ფასი შეიძლება გამოხატულ იქნეს უცხოური ვალუტის ფულადი ერთეულითაც, განსაკუთრებით საგარეო-ეკონომიკურ სავაჭრო ხელშეკრულებებში.

როგორც წესი, ბარტერული გარიგებები ანუ გარიგებები, რომელშიც გადახდა ხდება არა ფულით, არამედ საქონლით, არ განიხილება როგორც ნასყიდობის ხელშეკრულება და მათ მიმართ არ მოქმედებს ნასყიდობის ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმები. ამის საფუძველს გვაძლევს ინგლისის კანონი „საქონლის გაყიდვის შესახებ“ (მუხლი მე-2, პუნქტი 1-ლი). მეორე მხრივ, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს საქონლის ღირებულების გადახდას არა მარტო ფულის მეშვეობით, არამედ სხვა საქონლითაც, თუმცა, ამასთან ერთად, მიუთითებს, რომ ბარტერული გარიგების შემთხვევაში ორივე მხარე განიხილება როგორც გამყიდველი.

საბაზრო მეურნეობის მქონე ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო

სამართალი არ შეიცავს რაიმე ნორმებს, რომლებიც დაადგენდნენ გასაყიდი საქონლის ფასს, რამეთუ ამას განსაზღვრავს ბაზარი, თუმცა კი ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა უფლებას აძლევს სამთავრობო ორგანოებს განსაკუთრებულ შემთხვევებში დაარეგულირონ გარკვეული სახის საქონლის საბაზრო ფასები, როგორც წესი, ისეთი საქონლის საბაზრო ფასები, რომელთაც ამა თუ იმ სახელმწიფოს ეკონომიკისათვის ანდა რეგიონული სახელმწიფოთაშორისი გაერთიანების ეკონომიკური პოლიტიკისათვის სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნიათ. ამის მაგალითია, ევროპის კავშირი.

გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გადასაცემი საქონლის ღირებულების ტოლი (ეკვივალენტი) ფასის გადახდის საკითხი პირდაპირ არ არის რეგულირებული კანონმდებლობით. მაგალითად, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკით დადგენილია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფასი უნდა იყოს „სერიოზული“ (serieux) და ნასყიდობის ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად, თუკი მასში აღნიშნულია ფიქციური ფასი ანდა ფასი მხოლოდ მოსაჩვენებლად არის აღნიშნული და არ შეესაბამება ობიექტურ სტანდარტებს. მხარეები თავისუფლად განსაზღვრავენ, თუ რას მოიცავს მათი უფლება და მოვალეობა იმ პირობით, რომ ეს არ დაარღვევს საჯარო წესრიგს.[66]

ინგლისურ-ამერიკულ სამართალშიც არ არსებობს რაიმე საერთო ნორმა, რომელიც ადგენს შემხვედრი დაკმაყოფილების (consideration) ეკვივალენტურობას. ამასთან ერთად, თუკი გადასახდელი თანხის მნიშვნელოვანი შეუსაბამობა გამოწვეულია კონტრაჰენტის მხრიდან თავისი უფლების ბოროტად გამოყენებით, მაშინ ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება შეცილებულ იქნეს გარიგების ბათილობის შესახებ ზოგადი ნორმების შესაბამისად.

საქონლის გაყიდვა საშუალო საბაზრო ფასსზე ბევრად უფრო ნაკლებ ფასად, შეიძლება გახდეს გამყიდველის მიმართ დემპინ-

---

[66] Delebecque Philipe, Pansier Frederic Jerome, Droit de obligations, Responsabilite civile _ contract, 2-em edition corrigee, Litec, Paris, 1998.

გური ფასით საქონლის გაყიდვაში ბრალის წაყენების საფუძველი. ასეთი გარემოებების გამოძიების სპეციალური ადმინისტრაციული პროცედურების შედეგად, გამყიდველს შეიძლება დაეკისროს ეკონომიკური სანქციები. ასეთი სახის სანქციები შეიძლება დადგენილ იქნეს როგორც ეროვნული კანონმდებლობით, ასევე გარკვეული რეგიონულ ეკონომიკური გაერთიანების, მაგალითად, ევროკავშირის კანონმდებლობითაც, რათა ხელი შეუწყოს ბაზარზე კეთილსინდისიერ კონკურენციას.

იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებაში გასაყიდი საქონლის ფასი პირდაპირ არ არის გათვალისწინებული (მაგალითად, 1000 ევრო, 500 აშშ-ის დოლარი), მაშინ მხარეებმა სხვა რაიმე საშუალებით უნდა განსაზღვრონ იგი (მაგალითად, გადახდა მოხდება მიწოდების დღისათვის ანალოგიურ საქონელზე ბაზარზე არსებული ფასის მიხედვით). წინააღმდეგ შემთხვევაში ნასყიდობის ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად.

ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ ფასის განსაზღვრის ისეთ საშუალებაზე, როგორიცაა პრეისკურანტები, სპეციალური საინფორმაციო ბიულეტენები, სადაც ქვეყნდება ფასები კონკრეტულ საქონელზე. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 315-ე და 317-ე პარაგრაფების თანახმად, მხარეთა შეთანხმებით ფასის განსაზღვრა შეიძლება დაევალოს ერთ-ერთ მხარეს ანდა მესამე პირს. ასეთ შემთხვევაში ფასის განსაზღვრა უნდა მოხდეს სამართლიანობის საფუძველზე.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1592-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ გასაყიდი ნივთის ფასი შეიძლება განისაზღვროს მესამე პირის მიერ, ამასთან თუკი მესამე პირს არ შეუძლია ანდა არ სურს შეფასების განხორციელება, მაშინ გაყიდვა არშემდგარად ითვლება.[67]

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-305-ე მუხლის თანახმად, თუკი ფასის განსაზღვრა მინდობილი აქვს ან გამყიდ-

[67] Французский Гражданский колекс науч. ред. Гонгало Ю. Грялов Л. М., 2008.

ველს ან მყიდველს, მაშინ ისინი ვალდებულნი არიან იმოქმედონ კეთილსინდისიერად. ინგლისის კანონი საქონლის ნასყიდობის შესახებ (მე-8 მუხლის 1-ლი პუნქტი), პირდაპირ ადგენს, რომ ფასი განისაზღვრება ხელშეკრულების მხარეთა ორმხრივი ურთიერთობებით დადგენილი წესის შესაბამისად (course of dealing).

განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა, გამონაკლისის სახით, დასაშვებად მიიჩნევს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებას ფასის განსაზღვრის გარეშეც, ანუ როდესაც ხელშეკრულების მხარეები შეგნებულად ტოვებენ ღიად ფასის განსაზღვრის საკითხს, მაგრამ ეს ხდება ისეთ შემთხვევებში, როდესაც იდება ნასყიდობის ხელშეკრულება ისეთ ნივთებზე, რომლებიც ბაზარზე გამოირჩევიან დიდი თავისუფალ ბრუნვაუნარიანობით და საკმაოდ კარგადაა ცნობილი მომავალი ხელშეკრულების მხარეების მიერ. სასამართლო პრაქტიკა ასეთ შემთხვევებს აძლევს ისეთ კვალიფიკაციას, რომ ამ დროს არსებობს ფასის განსაზღვრის ობიექტურად არსებული შესაძლებლობა.

ინგლისის კანონი „საქონლის ნასყიდობის შესახებ" ითვალისწინებს, რომ თუკი მხარეთა მიერ დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასი არ შეიძლება განსაზღვრულ იქნეს კანონით დადგენილი რომელიმე მეთოდით, მაშინ მყიდველმა უნდა გადაიხადოს გონივრული (reasonable) თანხა, რომლის ოდენობაც განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით (მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი).[68]

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-305-ე მუხლის თანახმად, თუკი მხარეებმა დადეს ნასყიდობის ხელშეკრულება მასში გასაყიდი ნივთის ფასის მითითების გარეშე, ასეთ შემთხვევაში ფასი განისაზღვრება საქონლის მიწოდების მომენტისათვის გონივრული ფასის მიხედვით.

მაშასადამე, განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, თუკი თავისუფალ ბაზარზე კოტირებული

[68] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елисеев И. В., СПб., 2005.

საქონლის ფასი ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის აღნიშნული, მაშინ ფასი განისაზღვრება ამ საქონელზე მოქმედი საბაზრო ფასის შესაბამისად.

გასაყიდი ნივთის ხარისხის შესახებ პირობა არ წარმოადგენს ნასყიდობის ხელშეკრულების არსებით პირობას და შესაბამისად ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც მხარეები არ შეთანხმებულან გასაყიდი ნივთის ხარისხზე. თუმცა თუ გადავავლებთ თვალს განვითარებული ქვეყნების პრაქტიკას, თვალნათელი ხდება, რომ ხელშეკრულების მხარეები უმრავლეს შემთხვევაში თავიდანვე თანხმდებიან ნივთის ხარისხის შესახებ, ასეთ შემთხვევაში გადასაცემი საქონლის ხარისხი სრულად უნდა შეესაბამებოდეს მხარეთა შეთანხმებას.

გასაყიდი საქონლის ხარისხის განსაზღვრის მეთოდები მრავალგვარია და უპირატესად დამოკიდებულია საქონლის ხასიათსა და ვაჭრობის კონკრეტულ სფეროში დამკვიდრებულ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებზე. ხელშეკრულების მხარეები ხშირად საქონლის ხარისხის კონკრეტული მითითების ნაცვლად უპირატესობას ანიჭებენ ხარისხის განსაზღვრის ფართოდ გავრცელებულ კრიტერიუმებს, როგორიცაა „კარგი საშუალო ხარისხი", ანდა საქონლის გადაცემა „ისეთი, როგორიც არის" (asis) ანდა „ყველა თავისი ნაკლით" (with all faults) და ა.შ.[69]

იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებაში მხარეებმა არ გაითვალისწინეს გასაყიდი ნივთის ხარისხი, მაშინ გამოიყენება კანონმდებლობით დადგენილი წესები. მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 434-ე პარაგრაფის თანახმად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებაში არ არის განსაზღვრული ნივთის ხარისხი, მაგრამ განსაზღვრულია მისი დანიშნულება, მაშინ გამყიდველმა უნდა გადასცეს ისეთი ხარისხის ნივთი, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულებაში გათვალისწინებული ნივთის (საქონლის) დანიშნულებას. თუკი ხელშეკრულებაში არ არის არც ერთი

[69] Гражданское и торговое право зарубежных стран, под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского, М. 2004. с. 328-329.

პირობა, მაშინ გასაყიდი ნივთის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ასეთი სახის საქონლისათვის ჩვეულებრივად წაყენებულ მოთხოვნებს და რომელსაც ელოდება მყიდველი, მხედველობაში აქვს რა მოცემული საქონლის ხასიათი.[70]

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1246-ე მუხლის თანახმად, როდესაც საქონელი განსაზღვრულია მხოლოდ გვაროვნული ნიშნით, გამყიდველი არ არის ვალდებული გადასცეს მყიდველს საუკეთესო ხარისხის ნივთი, მაგრამ არ შეუძლია გადასცეს უარესი ხარისხის ნივთი.

„საქონლის ნასყიდობის შესახებ“ ინგლისის კანონში 1994 წლის კანონით „საქონლის მიწოდებისა და მომსახურების შესახებ“ შეტანილი ცვლილებებით, რომლებიც გასაყიდი ნივთის ხარისხს ეხება, გამომდინარეობს, რომ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში გადასაცემი საქონლის მიმართ მყიდველს უფლება აქვს ივარაუდოს, რომ საქონელს ექნება დამაკმაყოფილებელი (satisfactory) ხარისხი. ადრე ინგლისურ სამართალში ამ კონტექსტში გამოიყენებოდა ტერმინი „საბაზრო“ ხარისხი (merchantability), რომელიც ასევე გაიგებოდა როგორც გაყიდვისათვის ვარგისი. „საქონლის გაყიდვის შესახებ“ ინგლისის კანონის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქონლის ხარისხი ითვლება „დამაკმაყოფილებლად“, თუკი იგი შეესაბამება ხარისხის სტანდარტს, რომელსაც გონიერი ადამიანი თვლის დამაკმაყოფილებლად მხედველობაში ღებულობს რა მის აღწერას, ფასს და ყველა სხვა მნიშვნელობის მქონე გარემოებებს. გარდა ამისა, კანონი ითვალისწინებს, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი პირდაპირი ან ირიბი ფორმით ატყობინებს გამყიდველს, რომ საქონელი გამოყენებულ უნდა იქნეს კონკრეტული მიზნისათვის, მაშინ გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს ისეთი საქონელი, რომელიც დააკმაყოფილებს ამ მოთხოვნას.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი დეტალურად აწესრიგებს გასაყიდი ნივთის ხარისხის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს,

---

[70] Гражданское и торговое право зарубежных стран, под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского, М. 2004. с. 329.

თუკი მხარეებს არ გაუთვალისწინებიათ იგი ხელშეკრულებით, კერძოდ, 2-314-ე მუხლის თანახმად, თუკი გამყიდველი არის განსაზღვრული სახის საქონლით მოვაჭრე კომერსანტი, მაშინ მის მიერ გასაყიდ საქონელს უნდა გააჩნდეს „საბაზრო“ ხარისხი, ანუ ვარგისი უნდა იყოს გასაყიდად (merchanrable). საქონლის ვარგისიანობა გასაყიდად გულისხმობს სულ ცოტა, შემდეგს:

ა) საქონელი შეიძლება იყოს ვაჭრობის საგანი იმ აღწერის მიხედვით, რომელსაც შეიცავს ხელშეკრულება;

ბ) თუ საქონელი განსაზღვრულია გვარეობითი ნიშნით, მას უნდა გააჩნდეს სამართლიანი საშუალო ხარისხი აღწერის ფარგლებში;

გ) ის ვარგისი უნდა იყოს ჩვეულებრივი გამოყენებისათვის;

დ) ის შესაბამისად უნდა იყოს შეფუთული და მარკირებული, როგორც ეს შეთანხმებითაა განსაზღვრული;

ე) ის უნდა შეესაბამებოდეს შეფუთვაზე ან იარლიყზე, თუკი ასეთი არსებობს, არსებულ მონაცემებს.

გარდა ამისა, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-315-ე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ თუკი გამყიდველმა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის იცის, თუ რა სპეციალური მიზნისათვის არის საჭირო გასაყიდი საქონელი და ასევე იმის შესახებ, რომ მყიდველი ეყრდნობა გამყიდველის გამოცდილებას საგნის შერჩევისა და გადაცემისას, ასეთ შემთხვევაში გამყიდველი ვალდებულია გადასცეს ისეთი საქონელი, რომელიც შეესაბამება ასეთ დანიშნულებას (ანუ მიზნის მიღწევას).[71]

რაც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულების ფორმას, განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა, კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, უპირატესობას ანიჭებს თავისუფალ ფორმას. ეს ნიშნავს იმას, რომ სავაჭრო ურთიერთობებში ნასყიდობის ხელშეკრულებათა უმეტესობა იდება ზეპირი ფორმით. ამასთან, ინგლისურ-ამერიკული სამართალი ით-

[71] Единообразный торговый кодекс (ЕТК) США. М., 2004.

ვალისწინებს ზოგიერთ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულება იდება ზეპირად, კერძოდ, დავისას მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპის შეზღუდვას. ასე, მაგალითად, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი ასეთ თანხად მიიჩნევს ორმოცდაათი ათას დოლარს[1] კანონის 2003 წლის რედაქციით.

თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ელექტრონულმა ვაჭრობამ, ამან ასახვა პოვა კანონმდებლობაში სპეციალური ნორმების დადგენის ფორმით. ასე, მაგალითად, ამერიკის ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსის ახალ რედაქციაში, მთელ მეორე თავში, ტერმინი „წერილობითი ფორმა“ (writing) შეიცვალა ტერმინით „ჩანაწერი“ (record), რომელსაც უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. „ჩანაწერი“ განიმარტება როგორც ინფორმაცია, ჩაწერილი მატერიალური სახის მქონე რაიმე საშუალებით ანდა შენახული ელექტრონული სახით, რომელიც შეიძლება ამოღებულ იქნეს მისაღები ფორმით.

გარდა ამისა, ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსში ჩამატებულ იქნა ისეთი ახალი ცნებები, როგორიცაა „ელექტრონული აგენტი“, „ელექტრონული ჩანაწერი“ და ა.შ. კოდექსის ახალი რედაქცია ასევე ითვალისწინებს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება შეიძლება დადებულ იქნეს „ელექტრონული აგენტების ურთიერთქმედების შედეგად ანდა ფიზიკური პირისა და „ელექტრონული აგენტის“ ურთიერთქმედების შედეგად. გათვალისწინებულია, რომ ჩანაწერი, ხელმოწერა ანდა ხელშეკრულება არ შეიძლება ბათილად იქნეს ცნობილი ანდა იძულებით არ აღსრულდეს მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი განხორციელებულია ელექტრონული ფორმით.

რაც შეეხება კანონით დადგენილ სპეციალურ ფორმას, ის გამოიყენება ცალკეული სახის ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ, კერძოდ, როდესაც ხელშეკრულების საგანია უძრავი ქონება ანდა უძრავ ნივთებთან იურიდიულად გათანაბრებული ისეთი ნივთები, როგორიცაა საზღვაო ხომალდები, თვითმფრინავები, და სხვა დიდი ღირებულების მქონე ნივთები, ასეთი სახის ნასყიდო-

ბის ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დაიდოს კვალიფიციური წერილობითი ფორმით, რათა მოხდეს მათი შემდგომი სახელმწიფოებრივი რეგისტრაცია, რაც ხელს უწყობს ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობის უზრუნველყოფას.[72]

§3. გამყიდველისა და მყიდველის უფლება-მოვალეობები

როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების ცნებიდან გამომდინარეობს, გამყიდველის ძირითადი მოვალეობაა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ნაყიდ ნივთზე და მიაწოდოს ნივთი (საქონელი). გამყიდველის ამ ვალდებულებას შეესაბამება მყიდველის განსაზღვრული უფლებები.

ნივთის გადაცემის ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როდესაც საქონელი გადავიდა მყიდველის ფაქტობრივ განკარგვაში, რომელიც ამით ახორციელებს ნივთის მფლობელობას. მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს (მუხლი 1604-ე), რომ გამყიდველი გადასცემს მყიდველს ნივთის მფლობელობასა და განკარგვაში.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ნაყიდ ნივთზე მყიდველის საკუთრების უფლების შეძენის ისეთ საშუალებებს, როგორიცაა: მყიდველისათვის ნივთის გადაცემა პირდაპირ მფლობელობაში; მყიდველისათვის ნივთის გადაცემა არაპირდაპირ მფლობელობაში, როდესაც გამყიდველი რჩება პირდაპირ მფლობელად; მყიდველისათვის მესამე პირისაგან ნივთის გამოთხოვის უფლების მინიჭება; ნივთის გადაცემა გადამზიდველისათვის მყიდველისათვის მისატანად; ნივთის გადაცემა არა უშუალოდ მყიდველისათვის, არამედ მყიდველის მიერ მითითებული მესამე პირისათვის; მყიდველის სახელზე ნივთის შესანახად ჩაბარება საწყობში.

სამეწარმეო (კომერციულ) ურთიერთობებში ფართოდაა გავრ-

[72] Ян Шапп, Система Германского гражданского права, М. 2006. С. 268.

ცელებული, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს მხოლოდ ნაყიდი ნივთის განმკარგავი დოკუმენტები (საქონელგანმკარგავი დოკუმენტები), მაგალითად, კონოსამენტი, რომელიც ადასტურებს მყიდველისათვის გასაგზავნი ტვირთის ჩაბარებას საზღვაო ტრანსპორტისათვის გადასაზიდად, საწყობში შესანახად ჩაბარებული საქონლის განმკარგავი სასაქონლო მოწმობა. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც მყიდველი იხდის ნაყიდი ნივთის ღირებულებას, მანამ ნაყიდი ნივთი მოხვდება მის ფაქტობრივ მფლობელობაში.

ინგლისის კანონი „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ იყენებს ტერმინს „მიწოდება“, რომლის განხორციელებაც შეადგენს ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გამყიდველის ვალდებულებას. მიწოდება სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში განიმარტება არა მარტო როგორც მყიდველისათვის ნივთის რეალურად გადაცემა, არამედ ასევე საქონლის საგულისხმო გადაცემაც (constructive delivery). საქონლის საგულისხმო გადაცემას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველს გადაეცემა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას მიიღოს საქონელი მფლობელობაში (document of title) ანდა მყიდველს გადაეცემა საგანი, რომელიც მას აძლევს საქონლის ფიზიკური კონტროლის უფლებას (მაგალითად, იმ შენობის გასაღების გადაცემა, სადაც იმყოფება ნაყიდი საქონელი). საქონლის გადაცემა იგულისხმება ასევე იმ შემთხვევაშიც, როდესაც გამყიდველი აღიარებს, რომ მის მფლობელობაში ანდა მესამე პირის მფლობელობაში არსებული ნივთები, უკვე მყიდველის საკუთრებაა (by attorment). თუკი გასაყიდი საქონელი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე იმყოფება მყიდველის ფიზიკურ მფლობელობაში, ასეთ შემთხვევაში მყიდველის მიერ მათზე მფლობელობის გაგრძელება განიხილება როგორც გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გაყიდული ნივთის გადაცემა.

ინგლისის კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ მუხლი 32-ე, პუნქტი 1-ლი ითვალისწინებს ასევე, რომ, თუკი ხელშეკრულების თანახმად, გამყიდველმა უნდა გაუგზავნოს მყ-

იდველს ნაყიდი ნივთი, მაშინ გადამზიდველისათვის გადასაზიდად ნივთის ჩაბარება (მიუხედავად იმისა, მყიდველის მიერ არის თუ არა იგი მითითებული) ითვლება როგორც ფიზიკურად ნივთის ჩაბარება მყიდველისათვის (prima facie).

რაც შეეხება საქონლის აწონას, გაზომვას, შეფუთვას, მარკირებას, წინასაგადასაზიდო ინსპექტირებას და ა.შ. ეს წარმოადგენს გამყიდველის ვალდებულებაა, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემის ვალდებულება შესრულებულად ითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს განხორციელდა ჯეროვნად, დათქმულ დროსა და დათქმულ ადგილას. განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო და სავაჭრო კანონმდებლობა ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს ანიჭებს უფლებას, თვითონ განსაზღვრონ თავიანთი შეთანხმებით საქონლის გადაცემის დრო, ადგილი და საშუალება.

უმრავლეს შემთხვევებში ხელშეკრულების მხარეები იყენებენ სამართლებრივი რეგულირების დისპოზიციურ ხასიათს და ხელშეკრულებაში ითვალისწინებენ შესაბამის დებულებებს, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება მხარეთა კონკრეტულ ინტერესებსა და მათ მიერ დადებული გარიგების ხასიათს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს საკითხები ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მაშინ გამოიყენება კანონის ნორმები. აღსანიშნავია ასევე, რომ მხარეთა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად ასევე გამოიყენება სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები. ხელშეკრულების მხარეები ხელშეკრულების დადებისას ასევე იყენებენ სავაჭრო ტერმინებს, რომელიც მიღებულია საერთაშორისო კომერციულ ბრუნვაში (ინკოტერმსი), რითაც ამარტივებენ დასადები ხელშეკრულების პირობების შეთანხმების პროცესს.

გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გაყიდული საქონლის გადაცემის ადგილის განსაზღვრას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ ამ საკითხის გადაჭრა განაპირობებს თუ რომელმე მხარემ უნდა გადაიხადოს ტრანსპორტირების ხარჯები. გამყიდ-

ველისა და მყიდველის ურთიერთობებში ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გასაყიდ ფასში „გადასაზიდ თანხას“ დიდი ადგილი უკავია, მაგალითად, როგორიცაა ნედლეულის მიწოდება.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემის შესრულების ადგილად ითვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 269-ე პარაგრაფი ადგენს ზოგად წესს, კერძოდ, იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ადგილი გათვალისწინებული არ არის და არც ვალდებულების ხასიათიდან და სხვა გარემოებებიდან არ გამომდინარეობს, მაშინ ვალდებულების შესრულების ადგილად ითვლება მოვალის საცხოვრებელი ადგილი ან მისი საწარმოს ადგილსამყოფელი, თუკი ვალდებულება წარმოიშობა მის მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად.[73]

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1609-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს იმ ადგილას, სადაც ნივთი იმყოფებოდა გაყიდვის მომენტში. რადგან უმეტეს შემთხვევებში ნივთი იმყოფება იქ, სადაც ცხოვრობს გამყიდველი, შესაბამისად, ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა შესრულდეს გამყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის, ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.[74]

ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემაში გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემის ადგილის საკითხი მოწესრიგებულია სპეციალური ნორმებით. ინგლისის კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ 29-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები არ შეთ-

---

[73] Гражданский Кодекс Германии в 2-х томах, науч. ред. Елисеев И.В., СПб, 2005.

[74] Гражданское и торговое право зарубежных стран, под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского, М, 2004. с. 329.

ანხმებულან ნივთის გადაცემის ადგილის შესახებ, მაშინ ნივთი გადაცემული უნდა იყოს გამყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით (place of business), ხოლო თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი ადგილსამყოფელის მიხედვით (residence). ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული საქონლის გაყიდვის შემთხვევაში, რომელიც იმყოფება მხარეთათვის ცნობილ სხვა ადგილას, შესრულების ადგილად ითვლება ეს ადგილი. ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-308-ე მუხლის თანახმად, როდესაც გაყიდული საქონლის გადაცემა ხდება არა ფიზიკურად, არამედ საქონელგანმკარგავი დოკუმენტების გადაცემის გზით, ისინი შეიძლება გადაცემულ იქნეს ჩვეულებრივ ბანკის მეშვეობით.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში გაყიდული ნივთის გადაცემის დროის საკითხი მოწესრიგებულია ვალდებულების შესრულების დროს მომწესრიგებელი საერთო ნორმებით. თუკი ხელშეკრულებაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული ნივთის გადაცემის ვადა, მაშინ გამყიდველმა მყიდველს ნივთი უნდა გადასცეს ამ უკანასკნელის მოთხოვნის შემდეგ დაუყოვნებლივ. სახელდობრ, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 271-ე პარაგრაფი ითვალისწინებს, თუკი ვალდებულების შესრულებისათვის ხელშეკრულებით არ არის განსაზღვრული დრო და იგი სხვა გარემოებებიდანაც არ ირკვევა, მაშინ კრედიტორს ნებისმიერ დროს შეუძლია მოითხოვოს მისი შესრულება, ხოლო მოვალემ იგი დაუყოვნებლივ უნდა შეასრულოს. ეს საკითხი ანალოგიურადაა გადაწყვეტილი საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკის მიერ.

ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემაში ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების დრო დაკავშირებულია „გონივრული ვადის" ცნებასთან. ინგლისის კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ" 29-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, თუკი გამყიდველი ვალდებულია ხელშეკრულებით მიაწოდოს საქონელი და მიწოდების ვადა ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მაშინ საქონლის მიწოდება უნდა მოხდეს გონივრულ ვადაში. თუ რა ჩაითვლება „გონივრულ ვადად", უნდა

გადაწყდეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით. დავის შემთხვევაში გადაწყვეტილებას ვადის გონივრულობის შესახებ ღებულობს სასამართლო.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-309-ე მუხლის შესაბამისად, თუკი საქონლის მიწოდების ანდა სხვა რომელიმე მოქმედების შესრულების დრო ხელშეკრულებით ან კანონით არ არის გათვალისწინებული, მაშინ შესრულება უნდა მოხდეს „გონივრულ ვადაში". გარდა ამისა, გათვალისწინებულია გრძელვადიანი ვალდებულებების შესრულების დროის განსაზღვრის განსაკუთრებული წესი. თუკი გრძელვადიან ხელშეკრულებაში არ არის დადგენილი მისი მოქმედების ხანგრძლივობა (განუსაზღვრელი ვადით დადებული ხელშეკრულება), ის მოქმედებს გონივრული ვადის ფარგლებში, თუმცა ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.[75]

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემის ვალდებულების ვადამდე შესრულებას. ამ საკითხში რომანულ-გერმანული და ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემები ერთმანეთისაგან განსხვავდება. რომანულ-გერმანული სამართლის მიხედვით, ვალდებულების შესრულების ვადა დგინდება მოვალის ინტერესებისათვის, რაც იმას გულისხმობს, რომ თუ განსაზღვრულია დრო, მაშინ საეჭვოობისას ივარაუდება, რომ კრედიტორს არ შეუძლია შესრულების მოთხოვნა ამ ვადამდე, ხოლო მოვალეს შეუძლია ვალდებულების შესრულება ვადაზე ადრე.

რაც შეეხება ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემას, ის დაუშვებლად მიიჩნევს გამყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ვადამდე შესრულების შესაძლებლობას.

ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი გამყიდველის მიერ მყ-

[75] Гражданское и торговое право зарубежных стран. под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского. М. 2004. с. 330.

იდველისათვის გადაცემულ უნდა იქნეს სრულად და მყიდველი არ არის ვალდებული მიიღოს იგი ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება). საფრანგეთში ეს დადგენილია სასამართლო პრაქტიკით, გერმანიაში ეს გათვალისწინებულია სამოქალაქო სჯულდების 266-ე პარაგრაფით, ინგლისში „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ კანონის 31-ე მუხლით, ამერიკაში ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-307-ე მუხლით.

გამყიდველს უფლება აქვს მყიდველს ნაყიდი ნივთი გადასცეს არა პირადად, არამედ მესამე პირის მეშვეობით. ასეთი შესრულება ითვლება ვალდებულების ჯეროვან შესრულებად იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველს არ გააჩნია რაიმე განსაკუთრებული ინტერესი იმისა, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება პირადად გამყიდველმა შეასრულოს.

ნივთის გადაცემის გარდა, გამყიდველის ერთ-ერთი ძირითადი ვალდებულებაა, გაყიდულ ნივთზე მყიდველისათვის საკუთრების უფლების გადაცემა. საკუთრების უფლების გადაცემის ფაქტისა და მომენტის დადგენას დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ისე მესამე პირებისათვის. ამ მომენტიდან გამყიდველი კარგავს, ხოლო მყიდველი კი იძენს გაყიდულ ნივთზე საკუთრების უფლებას, ანუ შეუძლია მისი განკარგვა. გარდა ამისა, ნივთის გადაცემის მომენტიდან შემძენზე გადადის მისი შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი. დაბოლოს, ნაყიდი ნივთი ხდება მყიდველის საკუთრება და მასზე შეიძლება კრედიტორების სასარგებლოდ იძულებით გადახდევინების მიქცევა, ხოლო მყიდველი კი პასუხს აგებს მესამე პირების წინაშე ამ ნივთით მიყენებული ზიანისათვის.

ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში მყიდველზე ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტის მომწესრიგებელი ნორმები ძირითადად დისპოზიციის ხასიათს ატარებს, რაც ხელშეკრულების მხარეებს შესაძლებლობას აძლევს თავიანთი შეთანხმებით გადაწყვიტონ საკუთრების უფლების გადავლის მომენტის საკითხი. ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას,

უცხოური ელემენტის მონაწილეობა. ასეთი ხელშეკრულების მხარეები, როგორც წესი, წარმოადგენენ სხვადასხვა სახელმწიფოების ქვეშევრდომებს ანდა მათი საწარმოები იმყოფება სხვადასხვა სახელმწიფოში. საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების საგანს წარმოადგენს საქონლის ექსპორტ-იმპორტის ოპერაციები. გადახდის ვალუტად გამოიყენება ის ფულადი ერთეული, რომელიც ერთ-ერთი მხარისათვის მაინც წარმოადგენს უცხოურ ვალუტას.

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის მომწესრიგებელ საერთაშორისო კონვენციებს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ", რომელიც დაიდო 1980 წლის 11 აპრილს ქალაქ ვენაში და ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიკაცია. საქართველო ამჟამად მიერთებულია აღნიშნულ კონვენციას.

საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებასა და ხელშეკრულებას უპირატესი იურიდიული ძალა გააჩნია შიდა კანონმდებლობასთან მიმართებით იმ პირობით, რომ იგი არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საქართველოს კონსტიტუციას. ამიტომაც უცხოური ელემენტის მონაწილეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ ძირითადად გამოიყენება არა შიდა კანონმდებლობით დადგენილი სამართლებრივი ნორმები, არამედ კონვენციით დადგენილი ნორმები. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე საკითხის გადაწყვეტა ვენის კონვენციის დებულებებით შეუძლებელია, მაშინ გამოსაყენებელი სამართალი განისაზღვრება საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზიური ნორმებით. ვენის კონვენციით განსაზღვრულია იმ საქონლის ჩამონათვალი, რომელთა ნასყიდობის მიმართაც არ გამოიყენება კონვენციის დებულებები, ეს ხელშეკრულებები რეგულირდება შიდა კანონმდებლობით ან საერთაშორისო კერძო სამართლის კოლიზიური ნორმებით.

არცთუ იშვიათად, გამყიდველი იტოვებს უფლებას, დაიტოვოს ნივთზე საკუთრების უფლება მანამ, სანამ მყიდველი სრულად არ გადაიხდის ნაყიდი ნივთის ღირებულებას.

იმისათვის, რომ ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლება გადავიდეს მყიდველზე, ამისათვის გამყიდველმა უნდა განახორციელოს სხვადასხვაგვარი იურიდიული და ფაქტობრივი მოქმედებები, გარკვეული იურიდიული მოქმედებების განხორციელება სავალდებულოა იმ შემთხვევაში, როდესაც ნასყიდობის საგანია ისეთი ნივთები, რომლებიც სპეციალურ სახელმწიფოებრივ რეგისტრაციას საჭიროებენს, მაგალითად, უძრავი ნივთები.

გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლისათვის, საჭიროა მისი ინდივიდუალიზაცია, ეს ნიშნავს იმას, რომ გასაყიდი საქონელი გამოცალკევებულ უნდა იქნეს მისი მსგავსი საქონლის საერთო მასიდან ანდა უნდა მოხდეს მისი როგორც ნასყიდობის ობიექტის ზუსტად აღნიშვნა. ინდივიდუალიზაცია შეიძლება მოხდეს გასაყიდი საქონლის მოთავსებით ცალკე სათავსში, მისი დაფასოება, შეფუთვა და სხვა ისეთი მოქმედებების განხორციელება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა გასაყიდი საქონელი გადაცემულ იქნეს ინდივიდუალური სახით. ასე, მაგალითად, გამყიდველის მიერ საქონლის გადასაზიდად ჩაბარება სატრანსპორტო ორგანიზაციისათვის მისი მყიდველისათვის მისატანად ერთდროულად წარმოადგენს ასევე ინდივიდუალიზების აქტსაც.

თანამედროვე სამოქალაქო სამართლისათვის ცნობილია ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის რეგულირების ორი მიდგომა. ზოგიერთ ქვეყანაში საკუთრების უფლების გადასვლა ნაყიდ ნივთზე ხდება უკვე ხელშეკრულების დადების მომენტში (კონსენსუალური სისტემა), ხოლო სხვა ქვეყნებში ამისათვის საჭიროა არა მარტო ხელშეკრულების დადება, არამედ მყიდველისათვის ნივთის ფაქტობრივი გადაცემაც („ტრადიციის სისტემა“ — ლათინური traditio-საგან, რაც ნიშნავს „გადასვლას“, „გადაცემას“). თუკი კონსენსუალური სისტემა არ მოქმედებს იმ შემთხვევაში, როდესაც ხელშეკრულების საგანია გვაროვნული

ნიშნით განსაზღვრული ნივთები, ანუ მათზე გამყიდველისაგან მყიდველზე საკუთრების უფლება ვერ გადავა მანამ, სანამ არ მოხდება მათი ინდივიდუალიზება, რაც შეეხება „ტრადიციის სისტემას", ის მოქმედებს, მიუხედავად იმისა, ხელშეკრულების საგანი ინდივიდუალურად განსაზღვრული თუ გვაროვნული ნივთია.[76]

კონსენსუალური სისტემა ცნობილია ფრანგულ სამართალში. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1583 და 1585-ე მუხლების თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად ითვლება და კანონის თანახმად მყიდველზე ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლება გამყიდველისაგან გადადის იმ მომენტიდან, როდესაც მიღწეულ იქნა შეთანხმება ხელშეკრულების საგანსა და გასაყიდ ფასზე, მიუხედავად იმისა, რომ ჯერ არც ნივთია გადაცემული და არც ფასია გადახდილი. თუკი საქონელი გაყიდულია არა როგორც ერთი მთლიანი, არამედ წონით, ზომით ან სხვაგვარად, მაშინ გაყიდვა არ ითვლება განხორციელებულად იმ გაგებით, რომ გამყიდველს ეკისრება გაყიდული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი მანამ, სანამ ის არ იქნება აწონილი, დათვლილი ან გაზომილი.

ინგლისის კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ" მე-16 და მე-18 მუხლების შესაბამისად, მყიდველზე ნაყიდ ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთზე საკუთრების უფლება გადადის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხოლო არაინდივიუალიზებულ ნივთზე კი – მისი ინდივიდუალიზაციის მომენტიდან.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 929-ე პარაგრაფი ადგენს ზოგად წესს, რომელსაც საერთო მნიშვნელობა გააჩნია ქონებასთან დაკავშირებული ყველა გარიგებისათვის, კერძოდ: მოძრავ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლისათვის საჭიროა, რომ ამ ნივთის მესაკუთრემ გადასცეს იგი შემძენს და ორივე მხარე თანახმა უნდა იყოს ქონების გადაცემაზე. შემდეგ აღნიშნულია, რომ თუკი შემძენი უკვე ფლობს ნივთს, მაშინ საკუთრების უფლების გადასვლისათვის საკმარისია მხოლოდ შეთანხმება.

---

[76] Гражданское и торговое право зарубежных стран, под редакцией В.В. Безбаха и В.К. Пучинского, М. 2004. с. 332-334.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-401-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ მყიდველზე საკუთრების უფლება (ტიტული) გადადის იმ ადგილას და მომენტში, სადაც და როდესაც გამყიდველი ამთავრებს ნივთის ფიზიკური გადაცემის ვალდებულების შესრულებას.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის განვითარებას, საკუთრების უფლების წარმოშობისათვის სასამართლო პრაქტიკამ გაითვალისწინა ამ მიზნისათვის მყიდველისათვის საქონელგანმკარგავი დოკუმენტების გადაცემა გამყიდველის მიერ, როგორიცაა კონოსამენტი, ზედნადები სასაქონლო მოწმობა და ა.შ.

ეს დებულება ასახულია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 929-ე პარაგრაფში, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-401-ე მუხლში. მყიდველის მიერ აღნიშნული დოკუმენტების მიღებისას, როგორც წესი, ბანკების მეშვეობით, მყიდველი ხდება მესაკუთრე და შეუძლია, თავის მხრივ, გაყიდოს ჯერ კიდევ გზაში მყოფი საქონელი ამ დოკუმენტების მეშვეობით. ეს ყველაზე უფრო გავრცელებულია ნაყიდი საქონლის საზღვაო ტრანსპორტით გადაზიდვის დროს, რასაც პრაქტიკაში უწოდებენ „კონოსამენტებით ვაჭრობას“.

ზოგადი წესის თანახმად, ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის მატარებელია მისი მესაკუთრე. შესაბამისად, გაყიდული ნივთის გადაცემის მომენტიდან, როგორც წესი, მყიდველზე გადადის მისი შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკიც. სავაჭრო ოპერაციებში, როდესაც ტვირთის გადაზიდვა ხდება დიდ მანძილზე და ზოგჯერ ტრანსპორტის რამდენიმე სახის გამოყენებითაც, შესაბამისად მაღალია ამ ტვირთის დაზიანების ან დაღუპვის რისკი საქონლის მყიდველისათვის გადაცემამდე. ამიტომაც დიდი მნიშვნელობა გააჩნია სატრანსპორტო რისკების დაზღვევას.

სარგებლობენ რა რისკის გადასვლის მომწესრიგებელი ნორმების დისპოზიციური ხასიათით, ხელშეკრულების მხარეები თავიანთი შეთანხმებით წყვეტენ ნაყიდ ნივთზე გამყიდველისაგან

მყიდველზე შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების გადასვლის მომენტის საკითხს, იმისათვის, რომ რისკის მატარებელი იყოს ხელშეკრულების ის მხარე, რომელსაც შეუძლია უფრო მეტად დაიცვას გასაყიდი საქონელი, დააზღვიოს იგი ანდა განახორციელოს სხვა საჭირო მოქმედებები.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მყიდველზე ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტი და ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლის მომენტი შეიძლება ერთმანეთს არ დაემთხვეს. მაგალითად, ზოგჯერ მყიდველზე რისკი გადადის იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა გაყიდული საქონელი გადასაზიდად ჩააბარა გადამზიდველს, ხოლო მყიდველი კი საკუთრების უფლებას შეიძენს მხოლოდ საქონელგანმკარგავი დოკუმენტების მიღების შემდეგ.

რისკის გადასვლის მომენტიდან მყიდველს ეკისრება საქონლის დაღუპვის ან დაზიანების სამართლებრივი შედეგები, რომელიც შეიძლება დადგეს საქონლის ტრანსპორტირებისას ანდა სხვა შემთხვევითი გარემოებებისას და არ შეუძლია მათი ანაზღაურება მოსთხოვოს გამყიდველს. იმისათვის, რომ მყიდველმა გამყიდველს დააკისროს პასუხისმგებლობა საქონლის დანაკლისისათვის ანდა ნაკლისათვის, მან უნდა დაამტკიცოს, რომ ნაყიდი საქონლის სრული ან ნაწილობრივი დაზიანება ან განადგურება მოხდა მყიდველზე რისკის გადასვლის მომენტამდე.

სატრანსპორტო გადაზიდვების დროს მოსალოდნელი დაღუპვის ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად ტვირთის დაზღვევას ახდენს, როგორც წესი, მყიდველი, რომელსაც აწევს რისკი. თუმცა კი საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პირობებით ნაყიდი საქონლის დაზღვევა შეიძლება განახორციელოს გამყიდველმა მყიდველის სასარგებლოდ იმ მომენტიდან, როდესაც რისკი უკვე მყიდველზეა გადასული. ასეთ შემთხვევაში დაზღვევის თანხა უნდა გადაიხადოს მყიდველმა ნივთის ღირებულებასთან ერთად.[77]

---

[77] Принципы международных Коммерческих договоров. пар. с. англ. А.С. Комарова. М. 1996. с. 89.

ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის ძირითადი მოვალეობაა მიიღოს ნაყიდი ნივთი და გადაიხადოს მისი ღირებულება. გამომდინარე იქიდან, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არის ორმხრივი ხელშეკრულება, შესაბამისად, მხარეებმა თავიანთი ვალდებულებები უნდა შეასრულონ ერთდროულად. ასე, მაგალითად, ორმხრივი ხელშეკრულების შესრულების მიმართ გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 320-ე პარაგრაფი ზოგადი წესის სახით ადგენს, რომ იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე მეორე მხარის მიერ საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1659-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ, თუ ხელშეკრულებაში განსაზღვრული არ არის. სად და როდის უნდა იქნეს გადახდილი ნაყიდი ნივთის ფასი, მაშინ მყიდველი ვალდებულია ღირებულება გადაიხადოს ნაყიდი ნივთის გადაცემის დროსა და ადგილას.

ინგლისის კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ 28-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ნაყიდი საქონლის გადაცემა და მისი ღირებულების გადახდა ხელშეკრულებით უნდა მოხდეს ერთდროულად (concurrent). ეს იმას ნიშნავს, რომ გამყიდველი მზად უნდა იყოს გადასცეს მყიდველს საქონელი მისი ღირებულების გადახდის სანაცვლოდ, ხოლო მყიდველი კი მზად უნდა იყოს მიღებული საქონლის სანაცვლოდ გადაიხადოს მისი ღირებულება.

თუმცა კი გამომდინარე იქიდან, რომ თითქმის ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში შემხვედრი ვალდებულებების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები დისპოზიციურ ხასიათს ატარებს, ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ როგორ უნდა მოხდეს ნაყიდი საქონლის ღირებულების გადახდა, რაც გამოიხატება ისეთი პირობების დადგენაში, როგორიცაა გადახდის დრო, ადგილი, საშუალება, ფულადი ერთეული (ვალუტას) და ა.შ. იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული

არა აქვთ ფასის გადახდის პირობები, ასეთ შემთხვევაში გადახდის საკითხი წესრიგდება კანონმდებლობით დადგენილი ფულადი ვალდებულებების შესრულების მომწესრიგებელი დისპოზიციური ნორმებით.[78]

თანამედროვე პირობებში ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი ანგარიშსწორება ხდება არა ნაღდი ანგარიშსწორებით, არამედ, ძირითადად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით საბანკო დაწესებულებების მეშვეობით, როდესაც ნაყიდი ნივთის საფასურის გადარიცხვა ხდება გამყიდველის საბანკო ანგარიშზე. მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის საფასურის გადახდის ვალდებულება შესრულებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც თანხა გადარიცხული იქნება გამყიდველის საბანკო ანგარიშზე. ამ მომენტიდან გამყიდველს იმ საბანკო დაწესებულების მიმართ, სადაც მას გახსნილი აქვს ფულადი ანგარიში, წარმოეშობა ვალდებულებითი სამართლებრივი ხასიათის მოთხოვნა მის ანგარიშზე მყიდველის მიერ გადარიცხული ფულადი თანხის ფარგლებში.

უნაღდო ანგარიშსწორებასთან ერთად ფართოდ გამოიყენება ისეთი ფორმები, როგორიცაა აკრედიტივი ანდა საინკასო ოპერაციები. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა ურთიერთობა ბანკების მიმართ საგადამხდელო დავალების შესრულებასთან დაკავშირებით წარმოადგენს დამოუკიდებელ იურიდიულ ქმედებას, ამიტომაც ბანკი საქონლის საფასურის გადარიცხვისას ხელმძღვანელობს და მოქმედებს არა ნასყიდობის ხელშეკრულების პირობებით, არამედ მყიდველთან მის მიერ დადებული ანგარიშსწორების ხელშეკრულებით. ანალოგიურად, თუკი ბანკმა რაიმე მიზეზით არ შეასრულა მყიდველის საგადამხდელო დავალება ნაყიდი ნივთის საფასურის გადარიცხვის შესახებ და თანხა შესაბამისად ვერ გადაირიცხა გამყიდველის ანგარიშზე, შესაბამისად, გამყიდველმა მოთხოვნა უნდა წაუყენოს არა ბანკს, არამედ მყიდველს. ამგვარად, უნდა აღინიშნოს, რომ გადახდად არ ითვლება მყიდველის მიერ

[78] Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте, М., 1999. с. 129.

საბანკო ჩეკის გამოწერის თვით ფაქტი, ან აკრედიტივის გახსნა ანდა გამყიდველისათვის თამასუქის გადაცემა.

ნასყიდობის ხელშეკრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე გადახდის ადგილის განსაზღვრას, რამეთუ ამაზეა ძირითადად დამოკიდებული გადახდის ვალუტის განსაზღვრა, რასაც განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა გააჩნია უცხოური ელემენტის მონაწილეობით დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში. იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები არ შეთანხმებულან სად უნდა გადაიხადოს მყიდველმა ნაყიდი ნივთის საფასური, მაშინ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1651-ე მუხლისა და ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-301-ე მუხლის თანახმად, გადახდა უნდა მოხდეს მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემის ადგილას, ხოლო გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 270-ე პარაგრაფის თანახმად კი, კრედიტორის (გამყიდველის) ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო თუკი გაყიდვა მოხდა მისი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას, მაშინ კრედიტორის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით, თუკი ხელშეკრულების მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან.

ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველის მეორე ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს ნაყიდი ნივთის მიღება. ამ მოქმედების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ გამყიდველი გათავისუფლდეს გაყიდული ნივთის მოვლისა და შენახვის დამატებითი ხარჯების გაღებისაგან. ნაყიდი ნივთის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნისათვის შესაბამისობის დასადგენად (ნივთის რაოდენობა და ხარისხი), განსაკუთრებით კი კომერსანტებს (მეწარმეებს) შორის ურთიერთობებში, საქონლის მიღებას მყიდველის მიერ წინ უსწრებს მისი დათვალიერება და შემოწმება. რადგანაც კანონმდებლობით ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაყიდი ნივთის მიღების პროცედურები, როგორც წესი, გათვალისწინებული არ არის, ამიტომაც ასეთი პროცედურა, მათ შორის ადგილი, დრო და წესი განისაზღვრება მხარეთა სპეციალური შეთანხმებით. ხშირად ეს საკითხები მოწესრიგებულია ნაყიდი ნივთის მიღების ადგილას

მოქმედი სავაჭრო ჩვეულებებითა და ტრადიციებით.

მყიდველის უფლება, დაათვალიეროს და შეამოწმოს ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი, გათვალისწინებულია ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით. კერძოდ, 2-513-ე მუხლის თანახმად, როდესაც საქონელი უკვე მზად არის გადასაცემად და მისაწოდებლად ანდა საქონელი უკვე ინდივიდუალიზებულია კონკრეტული ნასყიდობის ხელშეკრულების შესასრულებლად, მყიდველს საფასურის გადახდამდე ანდა საქონლის მიღებამდე უფლება აქვს გონივრულ ადგილას, გონივრულ დროში და ნებისმიერი გონივრული საშუალებით დაათვალიეროს და შეამოწმოს იგი. თუკი გამყიდველს აქვს უფლება ანდა აკისრია ვალდებულება შემოწმების გარეშე გაუგზავნოს მყიდველს საქონელი, მაშინ მყიდველს მისი შემოწმება შეუძლია ადგილზე მიტანისთანავე. მხარეებს ასევე უფლება აქვთ თავიანთი შეთანხმებით განსაზღვრონ ის მეთოდი (სტანდარტი), რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს საქონლის შემოწმების (ინსპექტირების) დროს.[79]

§4. პასუხისმგებლობა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის

აღსანიშნავია, რომ მყიდველის მიერ ნაყიდი საქონლის მიღების დადგენილი წესების დაცვას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ მასზეა დამოკიდებული უხარისხო საქონლის მიწოდების შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილი გამყიდველის პასუხისმგებლობის მიმართ მყიდველის უფლებების გამოყენების შესაძლებლობა. ყველა განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა დეტალურად აწესრიგებს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში გათვალისწინებული სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხებს.

---

[79] Единообразный торговый кодекс (ETK) США. М., 2004.

იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველი გადასცემს მყიდველს ნაყიდ ნივთს დაგვიანებით, ან ნაკლის მქონეს (რაოდენობრივად ან ხარისხობრივად), ანდა საერთოდ არ მიაწვდის მას დადგენილ ვადაში, მყიდველს წარმოეშობა კანონმდებლობით მინიჭებული უფლებები.

გამყიდველის მიერ მყიდველისათვის გადასაცემი საქონელი უნდა იყოს არა მარტო ნივთობრივად უნაკლო (ნივთი ითვლება ნივთობრივად უნაკლოდ, თუ იგი შეთანხმებული ხარისხისაა. თუ ხარისხი არ არის წინასწარ შეთანხმებული, მაშინ ნივთი უნაკლოდ ჩაითვლება, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის), არამედ უფლებრივადაც უნაკლო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გამყიდველი გადასცემს მყიდველს ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლებას სრული მოცულობით იმისათვის, რომ მყიდველმა ნაყიდი ნივთის მიმართ განახორციელოს მესაკუთრის ყველა უფლებამოსილება რაიმე შეზღუდვის გარეშე. ამიტომაც უფლებრივ ნაკლად, ანუ სხვაგვარად, იურიდიულ ნაკლად ითვლება, თუკი მესამე პირს შეუძლია, რომ მყიდველს განუცხადოს პრეტენზია ნაყიდ ნივთზე თავისი უფლებების გამო. ანუ უფლებრივი ნაკლი, პირველ რიგში, გულისხმობს იმას, რომ გაყიდული ნივთი ეკუთვნის არა გამყიდველს, არამედ მესამე პირს. ასეთ შემთხვევაში მესამე პირს, როგორც გაყიდული ნივთის ნამდვილ მესაკუთრეს, შეუძლია გამოითხოვოს ნივთი მისი შემძენისაგან (მყიდველისაგან), ანუ მოახდინოს ნივთის ე.წ. ევიქცია გამყიდველსა და მყიდველს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველზე. ასეთ შემთხვევაში სხვისი ნივთის გამყიდველმა უნდა აუნაზღაუროს მყიდველს ნივთის გამოთხოვის შედეგად მიყენებული ზიანი. უფლებრივ ნაკლს, ანუ იურიდიულ ნაკლს, მიეკუთვნება ასევე გაყიდულ ნივთზე მესამე პირების გირავნობის, ინტელექტუალური ან სხვა ქონებრივი უფლებების არსებობა, რომელთა შესახებაც მყიდველმა არ იცოდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში. იმ შემთხვევაში, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების საგანია მოთხოვნის უფლება

ანდა სხვა რაიმე არამატერიალური ქონებრივი უფლება, მაშინ გამყიდველი პასუხს აგებს ამ უფლების ნამდვილობისათვის, მაგრამ პასუხს ვერ აგებს ახალი კრედიტორის (მყიდველის) წინაშე მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა შეიძლება დადგეს თვი გადაცემული უფლების ნამდვილობის საკითხი. თუ დათმობილი მოთხოვნის უფლება შემდგომში ბათილად იქნება ცნობილი, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 435-ე პარაგრაფის თანახმად, გაყიდული ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუკი მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია ნაყიდი ნივთის მიმართ თავისი უფლებების გამო, გარდა იმისა, რომელიც მიღებულია ნასყიდობის ხელშეკრულებით. გამყიდველის მიერ უფლებრივად (იურიდიულად) უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევა იწვევს ისეთივე სამართლებრივ შედეგებს, როგორსაც სხვა სახის სახელშეკრულებო ვალდებულებების (ნივთობრივად ნაკლის მქონე ნივთის გადაცემა, მიწოდების დროის გადაცილება და ა.შ.) დარღვევა. გერმანიაში 2001 წელს განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად, გამყიდველის პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმები და დებულებები საგრძნობლად გამარტივდა ადრე მოქმედ ნორმებთან შედარებით, რომელიც ითვალისწინებდა ვალდებულების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმებისაგან განსხვავებულ ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევისათვის გათვალისწინებულ პასუხისმგებლობის სპეციალურ ნორმებს.[80]

გერმანიაში 2002 წლის 1 იანვარს მიღებული „ვალდებულებითი სამართლის მოდერნიზების“ შესახებ კანონის მიღებამდე დიდ პრობლემას წარმოადგენდა ნივთობრივი ნაკლისა და ალიუდის გამი-

[80] Dr. Hans – Werner Eckert, Dr. Ian Meifeld, Dr. Michael Matthiessen. Handbuch des Kaufrechts: der Kaufvertrag nach Bürgerlichem Recht. Handelsrecht und UN _ Kaufrecht. Verlag C. H. Beck München. 2007. S. 422-427. 433.

გარდა ამისა, ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ, განსაკუთრებით კი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ვაჭრობის ამა თუ იმ სფეროში მიღებული და დადგენილი სავაჭრო ჩვეულებები და ტრადიციები. საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობებში ფართო გამოყენება აქვს საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ დადგენილ სავაჭრო ტერმინების (ცნებების) განმარტების საერთაშორისო წესებს – ინკოტერმსი[5].

ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ასევე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებიც.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

აღნიშნული ცნებიდან გამომდინარე, ნასყიდობის ხელშეკრულება არის ორმხრივი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება.

ნასყიდობის ხელშეკრულება კონსენსუალურია იმიტომ, რომ იგი დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მხარეები მიაღწევენ შეთანხმებას მის ყველა არსებით პირობაზე საამისოდ დადგენილი ფორმით. შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლა არ არის დაკავშირებული მყიდველისათვის საქონლის გადაცემასთან. იმ შემთხვევებშიც კი, როდესაც ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტი ფაქტობრივად ემთხვევა საქონლის მყიდველისათვის გადაცემას (მაგალითად, პროდუქციის შეძენა ბაზარში, მაღაზიაში და ა.შ.), ნასყიდობის ხელშეკრულება მაინც არ ჩაითვლება რეალურ ხელშეკრულებად. ვიტრინაში გამოფენილი საქონელი ანდა გასაყიდი საქონლის შესახებ მონაცემების განთავსება მასობრივი ინფორმაციის თუ ტელეკომუნიკაციის საშუალებებში ჩაითვლება საჯარო ოფერტად, ანუ მოლაპარაკებაზე

[5] Internacionale Chamber of Commerce – ICC 2000. http://www.vesce.com// incoterms 2000. htm.

ჯვნა („ალიუდი“ ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „სხვას“, „სხვა ნივთის გადაცემას“). კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 320-ე პარაგრაფის (ძველი რედაქციით) თანახმად, ნივთობრივი ნაკლი არ არის მოცემული, როდესაც გამყიდველი მყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებულის ნაცვლად გადასცემს სულ სხვა ანდა სხვა რაოდენობის ნივთს. ამ შემთხვევაში მყიდველი ინარჩუნებს შესრულების მოთხოვნის უფლებას და გამყიდველი პასუხს აგებს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის.

2002 წლის 1 იანვრიდან კი გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 433-ე პარაგრაფის III ნაწილის მიხედვით, ნივთობრივ ნაკლთან გათანაბრებულია მყიდველისათვის სხვა ან მცირე რაოდენობით ნივთის გადაცემა. ამ ნორმის შემოღების მიზანი იყო ნივთობრივი ნაკლისა და ალიუდის გამიჯვნის სამართლებრივი პრობლემის გადაჭრა. მათ გათანაბრებას იმით ასაბუთებენ, რომ გამყიდველსა და მყიდველს ორივე შემთხვევაში ერთნაირი ინტერესები გააჩნიათ.[81]

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1625-ე მუხლის შესაბამისად, გამყიდველი ვალდებულია მყიდველს მისცეს ნაყიდი ნივთის მშვიდად ფლობის გარანტია. იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას არ იყო მიღწეული არანაირი შეთანხმება ასეთი გარანტიის შესახებ, გამყიდველი კანონის ძალით მაინც ვალდებულია გარანტია მისცეს მყიდველს იმის შესახებ, რომ ნაყიდი ნივთი სასამართლოს მიერ არ ჩამოერთმევა მთლიანად ან ნაწილობრივ იმის გამო, რომ ნივთი უფლებრივად დატვირთულია, თუკი ასეთი დატვირთის შესახებ გამყიდველმა არ აცნობა მყიდველს ხელშეკრულების დადებისას (მუხლი 1626-ე).[82]

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1627-ე მუხლი შესაძლებლობას ანიჭებს ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს თავიანთი შეთანხმებით შეცვალონ ზემოთ აღნიშნული დებულება, კეთილსინდიერებისა და სამართლიანობის შესახებ ზოგადი ნორმები მაინც ადგენენ ასეთი თავისუფლების ფარგლებს.

---

81 Alpmann/Schmidt. Express Reform des Schuldrechts. BT1. 2002. S. 55.

82 Французский Гражданский кодекс науч. ред. Лавров Д.Г. СПб., 2004.

კერძოდ, თუკი შემძენს (მყიდველს) მაინც ჩამოერთმევა ნაყიდი ნივთი სასამართლოს მიერ, მას უფლება აქვს გამყიდველისაგან მოითხოვოს, სულ ცოტა, გადახდილი თანხის უკან დაბრუნება და ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

„საქონლის ნასყიდობის შესახებ“ ინგლისის კანონის მე-12 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებაში არსებობს ისეთი საგულისხმო არსებითი პირობა (condition), რომ გამყიდველს გააჩნია გასაყიდ საქონელზე საკუთრების უფლება ანდა ექნება იგი იმ მომენტისათვის, როდესაც გაყიდულ ნივთზე საკუთრების უფლება უნდა გადავიდეს მყიდველზე. ამ არსებითი პირობის დარღვევა მყიდველს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს როგორც ხელშეკრულების შეწყვეტა, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ხელშეკრულებაში ივარაუდება ასევე ისეთი ჩვეულებრივი პირობის (warranty) არსებობაც, რომ გაყიდული საქონელი უფლებრივად უნაკლოა და არ არის დატვირთული მესამე პირის იმ უფლებებით, რომელთა შესახებაც მყიდველს უნდა სცოდნოდა ხელშეკრულების დადების მომენტში. ასეთი ჩვეულებრივი პირობის დარღვევა, მართალია, მყიდველს არ აძლევს ხელშეკრულების შეწყვეტის უფლებას, მაგრამ მას უფლება აქვს მოსთხოვოს გამყიდველს ამ პირობის დარღვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ინგლისის 1977 წლის კანონი ხელშეკრულების არაკეთილსინდისიერი პირობების შესახებ (Unfair Contract Act) ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეებს უკრძალავს ხელშეკრულებაში თავიანთი შეთანხმებით გამორიცხონ გამყიდველის პასუხისმგებლობა გაყიდული ნივთის უფლებრივი (იურიდიული) ნაკლის გამო.

ამერიკის ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსის 2003 წელს მიღებულ ახალ ოფიციალურ ტექსტში, კერძოდ, მეორე თავის 2-312-ე მუხლში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ძველი რედაქცია, რომელიც ეყრდნობოდა ინგლისურ-საქსონური სამართლის იურიდიულ-ტექნიკურ ტრადიციებს, ითვალისწინებდა, რომ ნებისმიერი ნასყიდობის ხელშეკრულება შეიცავს გამყიდველის სავალდებულო გარანტიას,

რომლის თანახმადაც, მყიდველისათვის ნაყიდ ნივთზე გადასაცემი ტიტული (საკუთრების უფლება) სამართლებრივად ნამდვილია და მისი გადაცემა მართლზომიერია. ახალმა რედაქციამ გაითვალისწინა დამატებით საკანონმდებლო ნორმა, კერძოდ: საკუთრების უფლების (ტიტულის) გადაცემის კანონიერი გარანტიის დარღვევას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუკი ნივთის გაყიდვა არაგონივრული ხარისხით იწვევს მყიდველის ჩართვას სასამართლო დავაში, თუ მესამე პირს გაყიდული ნივთის მიმართ შესაძლოა გააჩნდეს რაიმე მოთხოვნა ანდა ქონებრივი ინტერესი. გაყიდვის მომენტში მყიდველისათვის კანონიერი გარანტიის მიცემა გულისხმობს ასევე, რომ გაყიდული ნივთი უფლებრივად არ არის დატვირთული გირავნობის, დაკავების უფლების ანდა სხვა სახით, რომელთა შესახებაც მყიდველმა არ იცოდა ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში.

ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი, ინგლისური სამართლისაგან განსხვავებით, ითვალისწინებს გაყიდული საქონლის ტიტულის კანონიერი გარანტიის შეცვლის ანდა საერთოდ ამოღების შესაძლებლობას. თუმცა ეს შეიძლება მოხდეს ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში ანდა იმ გარემოებათა ძალით, რომლებიც მყიდველს შესაძლებლობას აძლევს იცოდეს, რომ გამყიდველი თვითონ არ აცხადებს პრეტენზიას ტიტულის ფლობაზე ანდა, რომ მას განზრახული აქვს გაყიდოს მხოლოდ ის უფლებები და ტიტული, რომელიც შეიძლება გააჩნდეს მას ან მესამე პირს. გარდა ამისა, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმებულან, გამყიდველი, რომელიც არის მეწარმე, იძლევა იმის გარანტიას, რომ გადასცემს უფლებრივად (სამართლებრივად) უნაკლო ნივთს.

როდესაც ვსაუბრობთ უფლებრივად ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისათვის გამყიდველის პასუხისმგებლობის გამორიცხვის ანდა შემცირების შესახებ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ასეთი პრაქტიკა ძირითადად არსებობს მანქანებისა და სხვა ტექნიკური მოწყობილობების გაყიდვის დროს, რომელთა მიმართაც მოქ-

მედებენ მესამე პირების საპატენტო უფლებები (ე.წ. „საპატენტო დათქმა“).

განსაკუთრებული წესებია დადგენილი კეთილსინდისიერი შემძენის უფლებების დასაცავად, როდესაც ნივთის გაყიდვას ახორციელებს არამესაკუთრე ანდა არაუფლებამოსილი პირი. ასეთი შემძენი, რომელმაც არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე ანდა არ გააჩნდა ნივთის გასხვისების უფლება, მაინც ითვლება ნაყიდი ნივთის მესაკუთრედ (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 932-935-ე პარაგრაფები, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2279-ე მუხლი, ინგლისის კანონის „საქონლის ნასყიდობის შესახებ“ 22-ე მუხლი, ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-403-ე მუხლი).

აღნიშნული ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისიც, კერძოდ: ნივთის შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოპარეს ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან. ასეთ შემთხვევაში შემძენს შეიძლება ჩამოერთვას ნაყიდი ნივთი. თუმცა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 2280-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან აუქციონზე გასხვისებული ნივთების მიმართ. თავდაპირველ მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მყიდველისაგან ახალი ნივთის დაბრუნება მხოლოდ იმ ფასის გადახდით, რომელიც შემძენმა მისთვის გადაიხადა.

იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველი გადააცილებს მყიდველისათვის ნივთის გადაცემის დროს, დგება მყიდველის უფლებების დასაცავი შესაბამისი მოქმედებების კვალიფიკაციის პრობლემა: ხელშეკრულების დათქმულ დროში შეუსრულებლობის ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისად ეს შეიძლება განხილულ იქნეს როგორც გამყიდველის უარი საერთოდ ხელშეკრულების შესრულებაზე ანდა როგორც მხოლოდ შესრულების ვადის გადაცილება. ამაზეა დამოკიდებული გამყიდველის მიმართ გამოსაყენებელი სამართლებრივი სანქციების ხასიათი.

კონტინენტურ სამართალში გამყიდველის მიერ შესრულების გადაცილების ფაქტის დადგენის შემთხვევაში, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების ნატურით შესრულება, ანუ ნაყიდი ნივთის რეალურად გადაცემა და ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის (მორატორული ზიანი) ანაზღაურება. რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში მიჩნეულია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში მყიდველის ძირითადი ინტერესი მდგომარეობს ნაყიდი ნივთის მიღებაში, ანუ მყიდველი ძირითადად დაინტერესებულია გამყიდველის მხრიდან ვალდებულების შესრულებაში. ამიტომაც მყიდველს ენიჭება უფლება, პირველ რიგში, წარუდგინოს გამყიდველს სარჩელი ვალდებულების რეალურად შესრულებისათვის, ანუ ნაყიდი საქონლის გადაცემასა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ. ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი გამყიდველის მიერ დათქმულ ვადაში მყიდველისათვის ნივთის არგადაცემის შედეგად მყიდველმა ინტერესი დაკარგა ხელშეკრულების მიმართ, მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოსთხოვოს გამყიდველს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ინგლისურ-ამერიკულ სამართალში გამყიდველს ვალდებულების იძულებით ნატურით შესრულება (specific performance) შეიძლება დაეკისროს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში. სანქციების გამოყენების ასეთი მეთოდი და მიდგომა გამომდინარეობს სამოქალაქო ბრუნვის კომერციალიზაციის ბუნებიდან, სადაც ნასყიდობის ძირითადი მიზანია მყიდველის მიერ ნივთის შეძენის შედეგად რაიმე ქონებრივი სარგებლის მიღება, ხოლო სავაჭრო ბრუნვაში კი – მოგების მიღება. ამიტომაც მყიდველის უფლებების დაცვის ძირითად საშუალებას წარმოადგენს გამყიდველის მიმართ წარდგენილი სარჩელი ნაყიდი ნივთის არგადაცემით მიყენებული ყველა ზიანის ფულადი ანაზღაურების შესახებ (დადებითი ზიანი და მიუღებელი შემოსავალი). რაც შეეხება სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებას გამყიდველისათვის ვალდებულების ნატურით შესრულების დაკისრების შესახებ, ეს განიხილება როგორც მყიდველის უფლებების დაცვის შესაძლო საშუალება და

მისი მიღება წარმოადგენს სასამართლოს დისკრეციულ უფლებამოსილებას. ასეთი გადაწყვეტილება სასამართლოს, როგორც წესი, გამოაქვს იმ შემთხვევაში, როდესაც მიიჩნევს, რომ ზიანის ფულადი ანაზღაურება არ შეიძლება იყოს ვალდებულების დარღვევისათვის კომპენსაციის ადეკვატური.

გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით დადგენილ დროში მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაუცემლობა, როგორც წესი, მყიდველს არ აძლევს ხელშეკრულებაზე საერთოდ უარის თქმის უფლებას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულება არ შესრულდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში და შესაბამისად მყიდველმა დაკარგა ინტერესი ხელშეკრულების საგნის მიმართ. ანალოგიურად, თუკი გამყიდველის მიერ გაყიდული ნივთის გადაუცემლობა კვალიფიცირდება, როგორც გამყიდველის უარი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებაზე, ანუ ადგილი აქვს ხელშეკრულების არსებითად დარღვევას, მაშინ მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, აქედან გამომდინარე, მთელი თავისი საპართლებრივი შედეგები.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-712-ე მუხლის თანახმად, მყიდველს, რომელმაც ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში ვერ მიიღო გამყიდველისაგან ნაყიდი საქონელი, უფლება აქვს ასეთი საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება დადოს მესამე პირებთან. შემძენს (მყიდველს) უფლება აქვს მოითხოვოს რეალურად შესრულება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი, მიუხედავად იმისა, რომ მან გამოიყენა ყველა გონივრული საშუალება, ვერ შეძლო შეეძინა შემცვლელი საქონელი მესამე პირებისაგან ანდა ხელშეკრულების საგანი იყო უნიკალური (იშვიათი) თვისებების მქონე საქონელი.[83]

ინგლისურ სასამართლო პრაქტიკაში რეალური შესრულების შესახებ სარჩელი დასაშვებია, თუკი ფულადი კომპენსაცია, ანუ ზიანის ანაზღაურება, სრულად ვერ აკმაყოფილებს მყიდველს.

---

[83] Единообразный торговый кодекс (ЕТК) США. М., 2004.

იმის გამო, რომ გასაყიდი ნივთის ხარისხს გააჩნია უდიდესი სამეურნეო მნიშვნელობა, ამიტომაც კანონმდებლობით დეტალურადაა მოწესრიგებული გამყიდველის პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ანდა კანონით გათვალისწინებული უხარისხო ნივთის გადაცემისათვის.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ქვეყნებში, ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას გამყიდველი ვალდებულია წარუდგინოს მყიდველს გასაყიდი საქონლის ხარისხის გარანტია, მიუხედავად იმისა, მოხსენებულია თუ არა ასეთი გარანტია ხელშეკრულებაში (კანონისმიერი გარანტია). გარდა ამისა, გამყიდველმა შეიძლება მისცეს მყიდველს გარანტია იმის შესახებ, რომ საქონლის ხარისხი შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს (სახელშეკრულებო გარანტია). გამყიდველის მიერ ამ გარანტიების დაუცველობა განიხილება როგორც ხელშეკრულებიდან გამომდინარე მისი ვალდებულების დარღვევა. გაყიდული საქონლის შესაბამისობა საგარანტიო ვალდებულებებთან დადგენილ უნდა იქნეს გამყიდველისაგან მყიდველზე ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლის მომენტისათვის.

გამყიდველის კანონისმიერი გარანტიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაყიდული საქონელი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის, ასევე არ გააჩნია ნაკლი, რომელიც მნიშვნელოვნად ამცირებს მის ღირებულებას ანუ მყიდველს რომ სცოდნოდა ასეთი ნაკლის შესახებ, ან საერთოდ არ დადებდა ხელშეკრულებას, ანდა მოითხოვდა გასაყიდი ფასის შემცირებას (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1641-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 434-ე პარაგრაფი).

მყიდველისათვის უხარისხო ნივთის გადაცემისათვის გამყიდველის პასუხისმგებლობაზე, დიდ გავლენას ახდენს საქონლის ნაკლის ობიექტური ხასიათი. გამყიდველს ეკისრება პასუხისმგებლობა გაყიდული ნივთის ფარული ნაკლისთვისაც, ანუ ისეთი ნაკლისათვის, რომლის აღმოჩენაც მყიდველს არ შეეძლო საქონლის

დათვალიერებისას და მიღებისას. თუკი მყიდველისათვის ნივთის მიღებისას ცნობილია მისი ნაკლის შესახებ და იგი გამყიდველს არ წარუდგენს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოითხოვნის შემდგომში წაყენების უფლება.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 442-ე პარაგრაფის თანახმად, თუკი ნაყიდი ნივთის ნაკლის შესახებ მყიდველისათვის არაფერია ცნობილი მისი უხეში გაუფრთხილებლობის გამო, მას შეუძლია მხოლოდ იმ შემთხვევაში წაუყენოს გამყიდველს პრეტენზია ნივთის ნაკლთან დაკავშირებით, თუკი გამყიდველი ნაკლის შესახებ განზრახ დუმდა ანდა თუკი გამყიდველს მიცემული ჰქონდა საქონლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნის შესაბამისობის გარანტია. რაც შეეხება გერმანიის სავაჭრო კოდექსის 377-ე პარაგრაფით დადგენილ დებულებას, მისი არსი მდგომარეობს შემდგომში: თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი. თუკი იგი ნივთის ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის გონივრულ ვადაში არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1642-ე მუხლის თანახმად, გამყიდველი არ აგებს პასუხს გაყიდული ნივთის იმ ხილული ნაკლისათვის, რომლის შესახებაც მყიდველისათვის ნივთის მიღებისას ცნობილია და იგი არ განაცხადებს პრეტენზიას.

სახელშეკრულებო გარანტიების წარდგენა წარმოადგენს გაყიდული საქონლის ხარისხისთვის გამყიდველის პასუხისმგებლობის გაზრდისა და მყიდველის უფლებების დაცვის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას. სახელშეკრულებო გარანტიით გამყიდველი ნივთის ვარგისიანობის ვადას განსაზღვრავს, რაც იმას გულისხმობს, რომ ამ ვადის განმავლობაში გამოვლენილი ნაკლი მყიდველს აძლევს მოთხოვნის უფლებას, ანუ გამყიდველი კისრულობს ვალდებულებას, ამ დროის განმავლობაში თავისი ხარჯით გამოასწოროს და აღმოფხვრას ყველანაირი ნაკლი ანდა შეცვალოს საქონელი, თუკი ნაკლის გამოსწორება შეუძლებელი იქნება.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-313-ე მუხლის თანახმად, თუკი გამყიდველი კისრულობს გამოასწოროს გაყიდული საქონლის ნაკლი, აღმოფხვრას მისი დეფექტები, შეცვალოს იგი ანდა უკან დააბრუნოს მისი საფასური გარკვეული (განსაზღვრული) გარემოებების დადგომისას, ასეთ შემთხვევაში მყიდველის უფლება ამ დაპირების შესრულების მოთხოვნის შესახებ, ექვემდებარება სამართლებრივ დაცვას (remedial promise).

განვითარებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემები ითვალისწინებენ მთელ რიგ სანქციებს, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს გამყიდველის მიმართ მყიდველისათვის უხარისხო ნივთის გადაცემის შემთხვევაში. ყველაზე უფრო გავრცელებული პასუხისმგებლობის სახეა გამყიდველისათვის ნივთის ნაკლის გამოსწორების დაკისრება.

2001 წელს გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 439-ე პარაგრაფში შეტანილი ცვლილებების თანახმად, თუ გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ან უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი ანდა შეცვალოს ნაკლის მქონე ნივთი უნაკლო ნივთით. მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ასევე გასაყიდი ფასის შემცირება ანდა საერთოდ უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამყიდველი მიცემულ ვადაში არ გამოასწორებს ნაკლს.

მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ასევე ნივთის ნაკლით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუკი ნაყიდ საქონელს აღმოაჩნდება ნაკლი, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გასაყიდი ფასის შემცირება იმ ოდენობით, რა ოდენობითაც შემცირდა ნივთის ვარგისიანობა ნაკლის გამო.

ზოგადი წესის მიხედვით, მყიდველს მხოლოდ იმ შემთხვევაში აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, თუკი საქონელს გააჩნია არსებითი ხასიათის ნაკლი, რაც შეუძლებელს ხდის მის გამოყენებას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის და მყიდველის მიერ მიცემულ ვადაში გამყიდველი არ შეცვლის მას სხვა ხარისხიანი საქონლით. ამ სანქციის გამოყენების სამართლებრივი შედეგი მდგომარეობს იმაში, რომ

ხელშეკრულების ორივე მხარე აღდგენილ უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში, ანუ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (რესტიტუცია), ასევე მყიდველს უნდა აუნაზღაურდეს საქონლის ყიდვასთან დაკავშირებით გაღებული ყველა ხარჯი (ტრანსპორტირების, დაზღვევის, საწყობში შენახვის და ა.შ.) და მიყენებული ზიანი (როგორც წესი, მიუღებელი შემოსავალი). ამას ითვალისწინებს საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1610-1611-ე მუხლები და გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 284-286-ე პარაგრაფები. (ხელშეკრულებიდან გასვლასთან მიმართებით იხილეთ).[84]

ინგლისურ-ამერიკული სამართალი უხარისხო ნივთის გადაცემისათვის გამყიდველის პასუხისმგებლობის საკითხის მოწესრიგებისას გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ გარანტიებს გაყიდული საქონლის ხარისხის შესახებ. ეს გარანტიები შეიძლება ან პირდაპირ იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანდა იგულისხმებოდეს. სწორედ ეს წარმოადგენს უხარისხო საქონლის გადაცემისათვის გამყიდველის მიმართ პასუხისმგებლობის დაკისრების სამართლებრივ საფუძველს („საქონლის ნასყიდობის შესახებ“ ინგლისის კანონის მე-12 და მე-13 მუხლები ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-314-ე, 2-315-ე მუხლები).

პირდაპირ ანდა არაპირდაპირ ასახული გარანტიები დაფუძნებულია ხელშეკრულების იმ დებულებებზე, რომლებიც განსაზღვრავენ გასაყიდი საქონლის თვისებებს, ანუ ამ დებულებებში მოცემულია საქონლის აღწერა ანდა მითითებულია მისი ნიმუში, ანდა გამომდინარეობენ ასეთი თვისებების არსებობის ვარაუდიდან. კანონმდებლობა ადგენს, რომ ასეთ შემთხვევებში ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსებობს სავარაუდო (ნაგულისხმევი) პირობა იმის შესახებ, რომ გადასაცემი საქონელი იქნება აღნიშნული აღწერის, ნიმუშის თუ დაპირების შესაბამისი. ასეთი

[84] Reiner Schulze/Reinhard Zimmerman (Hrsg). Basistexte zum Europäischen Privatrecht. Textsammlung. 2. Auflage. Baden-Baden. 2002. S. 466.

სახელშეკრულებო პირობების არარსებობისას, მოქმედებს გასაყიდი საქონლის ხარისხის კანონისმიერი გარანტია, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ გასაყიდი საქონელი მიიჩნევა უნაკლოდ, თუკი იგი ვარგისია ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

ინგლისურ-ამერიკულ სამართალში მიღებული იურიდიული ტექნიკის თვალსაზრისით, გასაყიდი ნივთის ხარისხის შესახებ პირობა შეიძლება განხილულ იქნეს ხელშეკრულების როგორც არსებითი (condition) ანდა როგორც ჩვეულებრივი (warranty) პირობა. ხარისხის შესახებ პირობა ითვლება არსებითად, როდესაც ხელშეკრულებით ხარისხი პირდაპირ არის გათვალისწინებული ნიმუშის სახით, აღწერის სახით ანდა გამყიდველს აცნობებენ საქონლის სპეციალური დანიშნულების შესახებ. გამყიდველის მიერ აღნიშნული მითითებების დარღვევის შემთხვევაში, მყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს მიყენებული ზიანის ანაზღაურება. თუკი ხარისხის შესახებ პირობა მიჩნეულია ხელშეკრულების მარტივ (ჩვეულებრივ) პირობად, გამყიდველის მიერ აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს არა აქვს უფლება უარი თქვას ხელშეკრულებაზე. მას შეუძლია გამყიდველისაგან მოითხოვოს მხოლოდ მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ხარისხის შესახებ პირობის კვალიფიკაცია არსებით თუ ჩვეულებრივ პირობად ბევრადაა დამოკიდებული ასევე კომერციულ ბრუნვაში დადგენილ სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებზე.

გამოსაყენებელი სანქციების ხასიათი დამოკიდებულია ასევე ნაყიდი საქონლის მიღების ფაქტზეც. ინგლისურ-ამერიკული სამართალი, რომელიც კონტინენტური სამართლისაგან განსხვავებით უფრო მეტად კომერციალიზებულია, ხარისხის დადგენის თვალსაზრისით განასხვავებს „მიწოდების მიღებას“ (taking delivery), რომელსაც შეიძლება ეწოდოს ფიზიკურად მიღება და „საქონლის მიღებას“ (accepting the goods), რომელიც განიხილება როგორც მიწოდების საბოლოო სახით მიღება. ცხადია, რომ ნაყიდი საქონლის ფიზიკურად მიღება წარმოადგენს მისი საბოლოო სახით გასაღებისათვის

გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ზოგიერთ შემთხვევებში მყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ნაყიდ საქონელზე, მიუხედავად იმისა, რომ მან უკვე განახორციელა მათი ფიზიკურად მისაღებად რაიმე მოქმედებები. ამ ორი აქტის სამართლებრივი მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია. ნაყიდი საქონლის ფიზიკურად მიღებისას მყიდველი არ ახორციელებს არაფერს, გარდა იმ უფლებისა, რომ ჩათვალოს გამყიდველის მიერ შეთავაზებული ხელშეკრულების შესრულება არაჯეროვნად. საქონლის ფიზიკურად მიღება არ წარმოადგენს იმის დადასტურებას, რომ მყიდველი კმაყოფილია მიწოდებული საქონლის ხარისხით. ამის საწინააღმდეგოდ, თუკი მყიდველი ნაყიდ საქონელს ღებულობს საბოლოო სახით, მას აღარ აქვს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, მიუხედავად იმისა, საქონელს გააჩნია თუ არა ხილული ნაკლი. იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველმა უარი თქვა უხარისხო საქონლის მიღებაზე ანდა მართლზომიერად დააბრუნა უკან უკვე მიღებული უხარისხო საქონელი, მას შეუძლია ისევე როგორც საქონლის საერთოდ მიუწოდებლობის შემთხვევაში, გამოიყენოს თავისი დარღვეული უფლებების დაცვის ისეთი სამართლებრივი საშუალებები, როგორიცაა უარის თქმა ხელშეკრულებაზე და მიყენებული ზიანის ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველმა მიიღო უხარისხო საქონელი, მას „საქონლის გაყიდვის შესახებ“ ინგლისის კანონის 51-ე და 52-ე მუხლების თანახმად, შეუძლია მოითხოვოს მხოლოდ ზიანის ანაზღაურება.

თანამედროვე პირობებში განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება გაყიდული ნივთის ხარისხისათვის გამყიდველის პასუხისმგებლობას. ამ ტენდენციამ განაპირობა პასუხისმგებლობის ნორმების ჩამოყალიბება, რომელთაც ეწოდებათ პასუხისმგებლობა პროდუქტისათვის. ამ ნორმების ძირითადი მიზანია გაუმარტივოს მომხმარებელს (მყიდველს) შეძენილი უხარისხო პროდუქციით (ნაკეთობებით) მიყენებული ქონებრივი და არაქონებრივი ზიანისათვის კომპენსაციის მიღება.

უხარისხო პროდუქციისათვის დადგენილი პასუხისმგებლობის ნორმები აფართობენ მყიდველის წინაშე უშუალოდ პასუხისმგებელი სუბიექტების წრეს, კერძოდ, მყიდველს (მომხმარებელს) უფლება აქვს სარჩელი წარუდგინოს არა მარტო უშუალოდ გამყიდველს, არამედ დამამზადებელ ფირმასაც (მწარმოებელსაც) და მის შემდგომ ყველა გამყიდველს. პროდუქციის მწარმოებელი და საქონლის გამყიდველი ქსელის ყველა ჯაჭვი, ანუ საბითუმო და საცალო ვაჭრობის ფირმები, პასუხს აგებენ მყიდველის წინაშე, თუმცა კი ისინი არ იმყოფებიან მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობებში. (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხილეთ).[85]

ევროკავშირის ქვეყნებში, სადაც ჯერ კიდევ 1985 წელს განხორციელდა აღნიშნული საკითხის სამართლებრივი რეგულირების რეგიონული უნიფიკაცია, უხარისხო პროდუქტით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა აგებულია დელიქტური სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის მომწესრიგებელი ნორმებით და კონცენტრირდება პროდუქციის მწარმოებლის (დამამზადებლის) მიმართ.

ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით უხარისხო საქონლის მიწოდებისას პასუხისმგებლობა ეკისრება გამყიდველს. კერძოდ, 2-313A და 2-313B მუხლები ადგენენ კანონით გათვალისწინებულ სამართლებრივი დაცვის გარანტიებს (იმ მყიდველსა და გამყიდველს შორის, რომელიც არ არის პროდუქციის უშუალოდ მწარმოებელი (დამამზადებელი).

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით, პროდუქტი ითვლება უხარისხოდ, თუკი იგი არ უზრუნველყოფს იმ საიმედოობას, რომელიც ყველა გარემოების გათვალისწინებით მოსალოდნელი იყო ამ პროდუქტისაგან. პროდუქტი არ მიიჩნევა უხარისხოდ მხოლოდ იმის გამო, რომ მოგვიანებით უფრო უკე-

---

[85] თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, თსუ, 2006.

თესი პროდუქტი იქნა ბრუნვაში შეტანილი. პროდუქტის საიმედოობის შესახებ ინფორმაცია შეიძლება თან ახლდეს პროდუქტს დალუქული სახით, შეიძლება მოცემულ იქნეს სარეკლამო ანდა მსგავსი საჯარო ხასიათის განცხადებებში.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა ითვალისწინებს ასევე, რომ მყიდველმა, რომელსაც მიაწოდეს უხარისხო პროდუქცია, დადგენილ ვადაში გამყიდველს თავდაპირველად უნდა წაუყენოს პრეტენზია. საპრეტენზიო ვადების ხანგრძლივობა არცთუ ისე დიდია.

უხარისხო საქონლის მიწოდების შესახებ მოთხოვნებისათვის მრავალ ქვეყანაში დადგენილია ხანდაზმულობის სპეციალური ვადები. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1648-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ სარჩელი მყიდველმა (შემძენმა) უნდა წარადგინოს მცირე დროის განმავლობაში ხელშეკრულების შეწყვეტის მოთხოვნის საფუძვლისა და ნასყიდობის ადგილას მოქმედი ჩვეულებების მიხედვით, გერმანიაში 2001 წელს განხორციელებული ვალდებულებითი სამართლის რეფორმის შედეგად, საქონლის ნაკლთან დაკავშირებული მოთხოვნის წაყენების საერთო ვადა ექვსი თვიდან გაიზარდა ორ წლამდე.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2003 წლის რედაქციით 2-715-ე მუხლის თანახმად, სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა შეადგენს 1 წელს ხელშეკრულების დარღვევის მომენტიდან ანდა იმ მომენტიდან, როდესაც ცნობილი გახდა მისი დარღვევის შესახებ, მაგრამ არა უმეტეს 5 წლისა სარჩელზე უფლების წარმოშობის მომენტიდან. აღნიშნული დებულება ეხება იმ სიტუაციას, როდესაც ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი აღმოჩენილ იქნა ოთხწლიანი ვადის გასვლამდე, რომელიც გამოიყენება სხვა შემთხვევებში.

განვითარებული ქვეყნების სავაჭრო ურთიერთობების რეგულირების სფეროში, როდესაც გამყიდველი თავის თავზე იღებს განსაზღვრული ვადის განმავლობაში გაყიდული საქონლის ხარისხისათვის დამატებით ვალდებულებებს (საგარანტიო ვადები), გავრცელებუ-

ლია ისეთი შემთხვევები, როდესაც ნასყიდობის ხელშეკრულებაში ხდება იმ პირობების შეტანა, რომლებიც ამცირებენ ან საერთოდ გამორიცხავენ გამყიდველის პასუხისმგებლობას ნივთის ნაკლის გამო, ანუ უხარისხო ნივთის მიწოდებისათვის.

ასეთი პირობების მიმართ განვითარებული ქვეყნების სამართლებრივი სისტემები ყველაზე მკაცრ პოზიციას იკავებენ მომხმარებლებთან დადებულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებით. საფრანგეთში მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური ნორმების გარდა, ხელშეკრულების იმ პირობებთან მიმართებაში, რომლებიც ზღუდავენ პასუხისმგებლობას ხელშეკრულების დარღვევისათვის, გამოიყენება ასევე ვალდებულების დარღვევის მომწესრიგებელი ზოგადი ნორმები, მათ შორის კეთილსინდისიერებისა და სამართლიანობის ნორმები.

გერმანულ სამართალში ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ საკანონმდებლო ნორმებს, რომლებიც აწესრიგებენ ხელშეკრულებების სტანდარტული პირობების დებულებებს, რამეთუ სავაჭრო სფეროში ნასყიდობის ხელშეკრულებების დასადებად ძირითადად გამოიყენება სწორედ ტიპობრივი სახელშეკრულებო ფორმულარები. ეს დებულებები 2001 წელს ცალკე კანონიდან გადატანილ იქნა გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში, სახელდობრ, 305-310-ე პარაგრაფებში. ამ ნორმების შინაარსი იმაში მდგომარეობს, რომ სტანდარტული პირობების შემთავაზებელს არ შეუძლია მათი გამოყენების შედეგად კარდინალურად შეცვალოს ხელშეკრულების მხარეთა იმ სამართლიანი ინტერესების ბალანსი, რომელიც დადგენილია კანონმდებლობით, თავისი კონტრაჰენტის ინტერესების საზიანოდ. ანუ ბათილად ითვლება ისეთი სტანდარტული პირობა, მიუხედავად ხელშეკრულებაში მისი ჩართვისა, თუ იგი ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების საწინააღმდეგოდ საზიანოა ხელშეკრულების მეორე მხარისათვის. ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოებები, რომელთა არსებობისას იქნა ეს პირობები ხელშეკრულებაში შეტანილი, მხარეთა ორმხრივი ინტერესი და

სხვ. გარდა ამისა, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 444-ე პარაგრაფით დადგენილი პასუხისმგებლობის გამომრიცხველი ზოგადი ნორმით გათვალისწინებულია, რომ შეთანხმება გაყიდული ნივთის ნაკლთან დაკავშირებით მყიდველის უფლებების შეზღუდვის ანდა გამოუყენებლობის შესახებ ბათილია, თუკი გამყიდველი განზრახ დუმდა ნივთის ნაკლის შესახებ.[86]

ინგლისური სამართალი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა პასუხისმგებლობის გამორიცხვის ან შეზღუდვის შესახებ შეთანხმებას აფასებს როგორც საქმიანი პრაქტიკისადმი შესაბამისობის, ასევე სამართლიანობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით, ასეთი მიდგომაა განმტკიცებული 1977 წლის კანონში „სამართლიანი (პატიოსანი) სახელშეკრულებო პირობების შესახებ (Unfair Contract erms Act). გონივრულობის მოთხოვნას, ამ კანონის მიხედვით, სახელშეკრულებო პირობა მაშინ პასუხობს, როდესაც ის არის სამართლიანი და გონივრული ხელშეკრულებაში შესატანად, მხარეთათვის ცნობილი იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელთაც ჰქონდათ ადგილი ანდა შეიძლება ჰქონოდათ ხელშეკრულების დადების მომენტში.[87]

სავაჭრო ბრუნვის განვითარების მაღალი ხარისხისა და ინტენსიურობის გათვალისწინებით, ამერიკის შეერთებული შტატების სამართალი დეტალურად არეგულირებს სახელშეკრულებო ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მხარეთა პასუხისმგებლობისაგან განთავისუფლების ან შეზღუდვის საკითხს, კერძოდ, ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-316-ე მუხლი, რომელიც აწესრიგებს სახელშეკრულებო პირობებს (გარანტიების), შეიცავს ნორმებს იმ პირობების შესახებ, რომელთა არსებობისასაც დასაშვებია საქონლის საბაზრო ვარგისიანობის (merchantability) სავარაუდო გარანტიაზე უარის თქმა (dischaimer) ანდა განსაზღვრული მიზ-

---

[86] Гражданский Колекс Германии в 2-х томах. науч. ред. Елисеев И.В., СПб, 2005.

[87] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елисеев И. В., СПб., 2005.

ნით ვარგისიანობის სავარაუდო გარანტიაზე უარის თქმა (fitness for a partucular purpose) კომერსანტსა და მომხმარებელს შორის ხელშეკრულებაში.

იმისათვის, რომ ასეთი უარი მართლზომიერი იყოს, ის უნდა იყოს ჩანაწერში (in a record), უნდა იყოს თვალსაჩინო და შესამჩნევი (conspicuous) და გამოხატულ იქნეს გასაგები ენით, რაც ნიშნავს იმას, რომ გამყიდველი პასუხს არ აგებს გასაყიდი საქონლის ნაკლისათვის, გარდა იმისა, რაც პირდაპირ არის ხელშეკრულებით დადგენილი, ანდა იმას, რომ გამყიდველი პასუხს არ აგებს იმისათვის, ვარგისი იქნება თუ არა საქონელი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის. ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსით ასევე დადგენილია, რომ მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში საქონლის ხარისხზე მითითება „როგორიც არის" (as is), „ყველა თავისი ნაკლით" (with alaa faults), უნდა განხორციელდეს ჩანაწერში შესამჩნევი სახით.[88]

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში დიდი ყურადღება ეთმობა გამყიდველის უფლებების დაცვის სამართლებრივ საშუალებებს იმ შემთხვევაში, როდესაც მყიდველი არ ღებულობს ნაყიდ ნივთს და არ იხდის მის საფასურს. მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის არმიღებისას ისმის კითხვა: 1) არის თუ არა ეს დარღვევა ვადის გადაცილება თუ 2) ეს არის უარი ვალდებულების საერთოდ შესრულებაზე. ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება გაცემულ იქნეს საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით და წარმოადგენს გამყიდველის მხრიდან სამართლებრივი სანქციების გამოყენების საფუძველს.

რომანულ-გერმანული სამართლის სისტემაში მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის მიღების ვადის გადაცილება გამყიდველს უფლებას ანიჭებს მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება (მორატორიული ზიანი ლათინური სიტყვისაგან „mora" – გადაცილება). ასეთ ზიანს მიეკუთვნება, როგორც ხელშეკრულების

---

[88] Единообразный торговый кодекс (ETK) США, М., 2004.

საგნის შენახვის გამო წარმოშობილი ზედმეტი ხარჯები, ასევე ის ხარჯები, რომელიც გამყიდველმა გასწია იმ სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების შედეგად, რომლითაც ხდება საქონლის მიტანა. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 323-ე, 325-ე პარაგრაფების თანახმად, თუ შესრულების ვადის გადაცილება ხანგრძლივი ხასიათისაა, ეს უთანაბრდება როგორც ხელშეკრულების შესრულებაზე უარს და, შესაბამისად, გამყიდველს, მყიდველის მიერ ხელშეკრულების არსებითად დარღვევის გამო, შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება (საკომპენსაციო ზიანი). მაშასადამე, იმისდა მიხედვით, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის მიღების ვალდებულების დარღვევა რა სახით ხდება, განასხვავებენ მორატორიულ ზიანსა და საკომპენსაციო ზიანს. საკომპენსაციო ზიანი შედეგად მოსდევს ვალდებულების საერთოდ შეუსრულებლობას. მორატორიული ზიანი კი მყიდველის მხრიდან შესრულების ვადის გადაცილებას ახლავს ხოლმე. მათ შორის ძირითადი განსხვავება ისაა, რომ, თუკი საკომპენსაიცო ზიანისას გამორიცხულია იმავდროულად ვალდებულების შესრულება, მორატორიული ზიანი ამას არ გამორიცხავს.[89]

აღნიშნულის გარდა, ხელშეკრულების დარღვევისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახის სამართლებრივი სანქციებიც. ასე, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 372-ე, 383-ე, 385-ე პარაგრაფების თანახმად, თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს ან თავის დროზე არ გადაიხდის მის ფასს, გამყიდველს უფლება აქვს მყიდველის ხარჯზე ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს, ანდა მას შემდეგ, რაც გააფრთხილებს მყიდველს და ეს უკანასკნელი დააყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას, გამყიდველს უფლება აქვს გაყიდოს ეს ნივთი საჯარო ვაჭრობის წესების დაცვით, თუკი ნივთს გააჩნია საბაზრო ან საბირჟო ფასი. გერმანიის სავაჭრო კოდექსის

[89] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 455.

373-ე პარაგრაფის თანახმად, გამყიდველის აღნიშნული უფლებები მოქმედებს ნებისმიერი სახის საქონლის მიმართ, ასევე საიმედო ნებისმიერ საწყობში საქონლის შესანახად ჩაბარების მიმართ.

ინგლისური სამართლის მიხედვით, თუკი მყიდველი არ მიიღებს ნაყიდ საქონელს „გონივრულ ვადაში", გამყიდველს უფლება აქვს საქონელი ხელახლა სხვაზე გაყიდოს და მოითხოვოს თავდაპირველი მყიდველისაგან საქონლის მიღების ვადით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ინგლისის კანონის „საქონლის გაყიდვის შესახებ" 50-ე მუხლის თანახმად, თუკი დადგინდება, რომ მყიდველმა თავი აარიდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, გამყიდველს უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე და მოითხოვოს ამით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-703-ე მუხლის თანახმად, თუკი მყიდველი არამართლზომიერად აცხადებს უარს მიიღოს ნაყიდი საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ, გამყიდველს უფლება აქვს საქონელი სხვას მიჰყიდოს და თავდაპირველი მყიდველისაგან მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.

ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობით დადგენილია ასევე გამყიდველის უფლებების დაცვის სამართლებრივი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველი არ გადაიხდის ნაყიდი ნივთის საფასურს.

რომანულ-გერმანული სისტემის ქვეყნების სამართლის შესაბამისად, თუკი მყიდველი არ იხდის ნაყიდი ნივთის საფასურს, გამყიდველს უფლება აქვს წარადგინოს სარჩელი თანხის გადახდევინების შესახებ, ანუ მყიდველის მიერ ნაკისრი ფულადი ვალდებულების შესრულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც, სახელდობრ, გამოიხატება ვალის თანხაზე პროცენტების დარიცხვაში (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 324., 325-ე პარაგრაფები, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1654-ე მუხლი).

ყველა განვითარებულ ქვეყანაში კანონმდებლობა და სასამართ-

ლო პრაქტიკა ითვალისწინებს გამყიდველის მიერ მყიდველისაგან გაყიდული ნივთის საფასურის მიღების უზრუნველყოფის საშუალებებს. აღნიშნულ საშუალებებს მიეკუთვნება:

ა) თუ მყიდველი დროულად არ გადაიხდის ნივთის საფასურს, გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში საზღაურის მიღებამდე (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1612-ე მუხლი, „საქონლის გაყიდვის შესახებ“ ინგლისის კანონის 39-ე, 41-ე მუხლები, ამერიკის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-703-ე მუხლი, გერმანიის სასამართლო პრაქტიკა).

ბ) მყიდველისათვის გადასაცემად გადამზიდველისათვის ჩაბარებული საქონლის მიტანის შეჩერება, თუკი გამყიდველმა შეიტყო მყიდველის გადახდისუუნაროდ (გაკოტრებულად) გამოცხადების შესახებ. „საქონლის გზაში დაკავების უფლება (stoppage in transit)“ ავალდებულებს გადამზიდველს დაუბრუნოს საქონელი უკან გამყიდველს ანდა გამყიდველის დავალებით შეინახოს საქონელი საწყობში მყიდველის მიერ საფასურის გადახდამდე.

გ) მყიდველის წინასწარი გაფრთხილების შემდეგ გამყიდველს უფლება აქვს გაყიდოს საქონელი საჯარო ვაჭრობის წესების დაცვით და ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს. ინგლისურ-ამერიკულ სამართალში ეს უფლება ძირითადად გამოიყენება მალფუჭადი ნივთების მიმართ („საქონლის გაყიდვის შესახებ“ ინგლისის კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი; აშშ-ის ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსის 2-706-ე; 2-709-ე მუხლები).

გარდა კანონით გათვალისწინებული უზრუნველყოფის სისტემებისა, კომერციულ პრაქტიკაში ფართოდ გამოიყენება ასევე მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის ფასის გადახდის ვალდებულების შესრულების სახელშეკრულებო უზრუნველყოფის საშუალებებიც. ასეთ საშუალებებს, სახელდობრ, მიეკუთვნება ხელშეკრულებაში ისეთი პირობის ჩართვა, როგორიცაა: ა) მყიდველისათვის საქონლის ანდა საქონელგანმკარგავი დოკუმენტების გადაცემა მხოლოდ მის მიერ ფასის გადახდის შემდეგ; ბ) გამყიდველისაგან მყიდველზე

ნაყიდ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლა ფასის სრულად ან ნაწილობრივ გადახდის შემდეგ („ნივთზე ტიტულის დაკავება"). გერმანული სამართალში მყიდველის მიერ ფასის გადახდის უზრუნველყოფის ეს საშუალება პირდაპირაა ასევე გათვალისწინებული სამოქალაქო სჯულდებაშიც (449-ე პარაგ.).

განვითარებული საბაზრო მეურნეობის პირობებში ნასყიდობის ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის განსაზღვრის მეთოდებს გარკვეული თავისებურებები გააჩნია. პრაქტიკაში, ხელშეკრულების დარღვევის შედეგად მიყენებული კონკრეტული ზიანის ანაზღაურება რთულდება, როგორც წესი, მისი დამტკიცების სირთულის გამო. სავაჭრო ბრუნვის განვითარებამ, თანდათანობით გამოიწვია ის, რომ გამოჩნდა ანაზღაურების ქვემდებარე ზიანის განსაზღვრის ისეთი საშუალებები, რომლებიც ხელს უწყობენ აღნიშნული პრობლემის სწრაფად და ოპერატიულად გადაჭრას, რითაც სიცხადე შეაქვთ მხარეთა სამართლებრივ ურთიერთობებში. ზიანის ოდენობის განსაზღვრისას უცხოურ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში გამოიყენება ე.წ. „აბსტრაქტული" ზიანის ცნება. იგი გამოითვლება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს შესრულების სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის. მყიდველს, რომელმაც ვერ მიიღო საქონელი, ყოველთვის შეუძლია კომპენსაციის სახით მოითხოთოს სახელშეკრულებო და საბაზრო ფასს შორის სხვაობა.[90]

შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია, რომ, თუკი კომერციული ბრუნვის პროცესში მყიდველმა არ შეასრულა იმ ნაყიდი ნივთის ფასის გადახდის ვალდებულება, რომელსაც გააჩნია საბაზრო ან საბირჟო ფასი, მაშინ გამყიდველს ახალი ხელშეკრულების დადების გარეშეც უფლება აქვს ზიანის ანაზღაურების სახით მოითხოვოს მყიდველისაგან იმ თანხის გადახდა, რომელიც წარმოადგენს სხვაობას ნასყიდობის ხელშეკრულების შესრულების მომენტისათვის ხელშეკრულებით

[90] Комаров А.С. Ответственность в коммерческом обороте. М., 1999. с. 129.

დადგენილ ფასსა და საბაზრო ანდა საბირჟო ფასს შორის.

ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემის ქვეყნებში „აბსტრაქტული“ ზიანის გადახდევინების მარეგულირებელი ნორმები მოცემულია საკანონმდებლო აქტებში. ასე, მაგალითად, „საქონლის გაყიდვის შესახებ“ ინგლისის კანონის 50-ე მუხლის თანახმად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ნივთი, რომელსაც გააჩნია საბაზრო ფასი, მაშინ მყიდველის მიერ ნივთის ფასის გადაუხდელობის შედეგად წარმოშობილი ზიანის ოდენობა, თუკი გარემოებებიდან გამომდინარე სხვა რამ არ დგინდება (prima facie), განისაზღვრება იმ სხვაობის სახით, რომელიც არსებობს სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ან მიმდინარე ფასს შორის იმ მომენტისათვის, როდესაც უნდა შესრულებულიყო მყიდველის მიერ საქონლის მიღების ვალდებულება.

ამერიკის შეერთებული შტატების ერთგვაროვანი სავაჭრო კოდექსი შეიცავს ანალოგიურ წესებს „აბსტრაქტული“ ზიანის ოდენობის განსაზღვრის საშუალებებთან მიმართებაში, სახელდობრ, მუხლი 2-708-ე – გამყიდველისათვის მიყენებული ზიანი და მუხლი 2-713-ე – მყიდველისათვის მიყენებული ზიანი. გარდა ამისა, ერთგვაროვან სავაჭრო კოდექსის 2-723-ე მუხლში მოცემულია სპეციალური ნორმები, რომლებიც განსაზღვრავენ საქონლის საბაზრო ფასს იმ შემთხვევებში, როდესაც ის გამოიყენება ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის. ამ ნორმების შესაბამისად, თუკი ხელშეკრულებაზე წინასწარი უარის თქმის შესახებ სარჩელზე განხილვა იწყება საქონლის მთლიანად ან ნაწილობრივ გადაცემის ვალდებულების შესრულების ვადის დადგომამდე, საბაზრო ფასებზე დამყარებული ზიანის ოდენობა განისაზღვრება იმ სხვაობის სახით, რაც არსებობს გადასაცემ საქონელზე სახელშეკრულებო ფასსა და საბაზრო ფასს შორის იმ მომენტისათვის, როდესაც დაზარალებულმა მხარემ შეიტყო ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესახებ.

იმ შემთხვევაში, როდესაც ზიანის ოდენობის დადგენის აღნიშნული საშუალების გამოყენება შეუძლებელია იმის გამო,

რომ არ არსებობს შესაბამისი საქონლის ბაზარი და საბაზრო ფასები, ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრისათვის ყველა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასა თუ სასამართლო პრაქტიკაში გამოიყენება ვალდებულების დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ოდენობის განსაზღვრის ზოგადი ნორმები.

VII თავი

საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებანი

საერთაშორისო ვაჭრობის მომწესრიგებელი სამართლის უნიფიკაციის განხორციელების შედეგად, ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ სამოქალაქო და სავაჭრო ნორმებზე მაღლა იერარქიით დგას საერთაშორისო სამართლებრივი აქტები, რომელთა შორისაც განსაკუთრებული ადგილი უკავია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის შესახებ 1980 წლის 10 მარტი – 11 აპრილი, ე.წ. „ვენის კონვენცია“[91], რომელსაც მიერთებულია საქართველო 1994 წლიდან. ვენის კონვენცია ძალაში შევიდა 1988 წლის 1 იანვრიდან იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც მოახდინეს მისი რატიფიცირება.

აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს საერთაშორისო-სამართლებრივი უნიფიკაციის ყველაზე წარმატებულ ცდას და მისი მონაწილეთა რიცხოვნობის თვალსაზრისით არ არსებობს სხვა რომელიმე დოკუმენტი, რომელიც აწესრიგებს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ ურთიერთობებს.

[91] United Nations Convention Contracts for the Internacional Sale of Goods – http://www.cisg.ru. /content/ download /cisg.ru.pdf

2005 წლისათვის ვენის კონვენციის მონაწილე წევრ-სახელმწიფოთა რაოდენობა შეადგენდა 65 ქვეყანას მსოფლიოს ყველა კუთხიდან.[92]

კონვენციის პრეამბულაში მოცემულია ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც გათვალისწინებულ იქნა მისი შემუშავებისას. მათ მიეკუთვნება იმის დასაბუთება, რომ თანასწორობისა და ურთიერთსარგებლის მიღებაზე დაფუძნებული საერთაშორისო ვაჭრობა წარმოადგენს სახელმწიფოთა შორის მეგობრული ურთიერთობების განვითარების ხელშემწყობ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს. ასევე იმის დასაბუთება, რომ ერთგვაროვანი სამართლებრივი ნორმების მიღება, რომლებიც არეგულირებენ საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებებს და ითვალისწინებენ სხვადასხვაგვარ საზოგადოებრივ ეკონომიკურ და სამართლებრივ სისტემებს, ხელს შეუწყობენ საერთაშორისო ვაჭრობაში სამართლებრივი ბარიერების აღმოფხვრასა და საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას.

ვენის კონვენცია გამოიყენება იმ შემთხვევებში, როცა: 1) გამყიდველისა და მყიდველის კომერციული საწარმო მდებარეობს სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე, რომლებიც წარმოადგენენ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს. 2) საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად არაა გამოსაყენებელი ხელშემკვრელი მხარის სამართალი, ამიტომაც კონვენციის გამოყენების შემთხვევები უფრო მრავალრიცხოვანია. არც მხარეთა ეროვნული კუთვნილება, არც მათი სამოქალაქო და სავაჭრო სტატუსი, არც ხელშეკრულების სამოქალაქო თუ სავაჭრო ხასიათი არ მიიღება მხედველობაში კონვენციის გამოყენების განსაზღვრისას.

კონვენცია არ გამოიყენება იმ ნასყიდობის ხელშეკრულებების მიმართ, როდესაც: ა) საქონლის შეძენა ხდება პირადი ან საოჯახო გამოყენების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდე-

---

[92] James Pinnels, Arndt Evesberg. Internacionale Kaufverträge optimal gestalten: Leitfaden mit zahlreichen Musterklauseln. 3. Überbeitete Auflage. gabler Verlag CmBH. Wiesbaden, 2009.

საც გამყიდველმა ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს ანდა ხელშეკრულების დადების მომენტში არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ საქონლის შეძენა ხდება ამ მიზნით; ბ) საქონლის შეძენა ხდება აუქციონზე; გ) საქონლის შეძენა ხდება სააღსრულებო წარმოების წესით ანდა სხვაგვარად კანონით ძალით; დ) ხდება საფონდო ქაღალდების, აქციების, უზრუნველმყოფი დოკუმენტების, საქონელგანმკარგავი საბუთების და ფულის შეძენა; ე) ხდება საჰაერო და საწყალოსნო ტრანსპორტის შეძენა; ვ) ხდება ელექტროენერგიის შეძენა.

კონვენციის თანახმად, იმ საქონლის მიწოდების ხელშეკრულება, რომელიც უნდა იქნეს დამზადებული ან წარმოებული, ითვლება ნასყიდობის ხელშეკრულებად, თუკი შემკვეთი მხარე არ კისრულობს ვალდებულებას მიაწოდოს მწარმოებელს იმ მასალის მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც აუცილებელია ასეთი საქონლის დასამზადებლად ან საწარმოებლად. კონვენცია ერთმანეთისაგან მიჯნავს ნასყიდობასა და ნარდობას. კონვენცია არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომელშიც საქონლის მიმწოდებელი მხარის ვალდებულებას ძირითადად წარმოადგენს სამუშაოს შესრულება ანდა სხვაგვარი მომსახურების გაწევა.

კონვენცია აწესრიგებს მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების დადებასა და გამყიდველისა და მყიდველის იმ უფლება-მოვალეობებს, რომლებიც გამომდინარეობენ ასეთი ხელშეკრულებიდან და არ ეხება: ა) თვითონ ხელშეკრულების ანდა მისი რომელიმე დებულების, ანდა რაიმე ჩვეულების ნამდვილობას; ბ) იმ სამართლებრივ შედეგებს, რომლებიც შეიძლება აღმოცენდეს ხელშეკრულებიდან გაყიდულ საქონელზე საკუთრების უფლებასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, კონვენცია არ გამოიყენება გამყიდველის იმ პასუხისმგებლობასთან მიმართებით, რომელიც შეიძლება დადგეს გაყიდული ნივთის მიერ რომელიმე პირის სიცოცხლის მოსპობით ან ჯანმრთელობის დაზიანებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში.

კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს ნასყიდობის ხელშეკრულების

მხარეების მიერ მისი ნებისმიერი დებულებიდან გადახვევას ანდა საერთოდ კონვენციის გამოუყენებლობას, ანდა ხელშეკრულების მოქმედების შეცვლას. ხელშეკრულების დებულებებიდან გადახვევა არ არის შეზღუდული რაიმე ნორმებით, ამიტომაც გამყიდველსა და მყიდველს უფლება აქვთ საერთოდ არ გამოიყენონ კონვენცია კონტრაქტის მიმართ.

ვენის კონვენცია შეიცავს წესებს მისი დანაწესების განმარტების შესახებ კონვენციის საერთაშორისო ხასიათის და საერთაშორისო ვაჭრობაში კეთილსინდისიერების დაცვისა და ერთგვაროვანი გამოყენებისათვის ხელშეწყობის გათვალისწინებით. ხელშეკრულების მხარის განცხადება ანდა სხვაგვარი ქმედება განიმარტება მისი განზრახვის შესაბამისად, თუკი მეორე მხარემ იცოდა და არ შეიძლება რომ არ სცოდნოდა, თუ როგორია ეს განზრახვა. თუკი ეს შეუძლებელია, მაშინ ხელშეკრულების მხარის განცხადება ან სხვაგვარი ქმედება განიმარტება იმგვარი გაგებით, რომელიც ექნებოდა ნებისმიერ ნორმალურ (გონივრულ) პირს, როგორც მეორე მხარეს ანალოგიური გარემოებების არსებობისას. მხარის განზრახვის ანდა იმ გაგების განსაზღვრისას, რომელიც შეიძლება ჰქონდეს ნორმალურ პირს, კონვენცია გამოდის იქიდან, რომ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ყველა შესაბამისი გარემოება, მათ შორის სახელშეკრულებო მოლაპარაკებები, ნებისმიერი პრაქტიკა, რომელიც მხარეებმა დაადგინეს თავიანთ ორმხრივ ურთიერთობებში, ჩვეულება და მხარეთა ნებისმიერი შემდგომი ქცევა.

ვენის კონვენციის დებულებების შევსება ხორციელდება ორი ძირითადი კრიტერიუმის გამოყენებით: კონვენციის რეგულირების საგანთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც მასში პირდაპირ არ არის გადაწყვეტილი, გადაწყვეტილი უნდა იყოს კონვენციის საერთო პრინციპების შესაბამისად, ხოლო ასეთი პრინციპების არარსებობისას — იმ სამართლებრივი ნორმების შესაბამისად, რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების შესაბამისად.

ვენის კონვენციის რეგულირების საგანთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტის მეორე კრიტერიუმს წარმოადგენს საერთაშორისო კერძო სამართლის ნორმების, ანუ კოლიზიური ნორმების შესაბამისად გამოსაყენებელი სამართალი. ასეთი ერთგვაროვანი მიდგომა ხელშეკრულების მხარეებს, ასევე არბიტრებს აძლევს გარკვეულ ორიენტირებას გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრისათვის და ხელს უწყობს შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებების რეალიზაციისას და ამ კონტრაქტებიდან გამომდინარე დავების გადაწყვეტისას ერთნაირ მიდგომას. კონვენციის შესაბამისად, მხარეთა ურთიერთობების მოსაწესრიგებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი სავაჭრო ჩვეულება და ტრადიცია, რომელზეც ისინი შეთანხმდნენ და პრაქტიკა, რომელიც მათ დაადგინეს თავიანთ ორმხრივ ურთიერთობებში. სხვა რამეზე შეთანხმების არარსებობისას, იგულისხმება, რომ მხარეები ითვალისწინებდნენ მათი ხელშეკრულების მიმართ იმ ჩვეულების გამოყენებას, რომლის შესახებაც მათ იცოდნენ ანდა მათთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო და რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში ფართოდაა გავრცელებული და ყოველთვის გამოიყენება ვაჭრობის შესაბამის სფეროში, შესაბამისი სახის ხელშეკრულების მხარეების მიერ.

ვენის კონვენცია სავალდებულოდ არ მიიჩნევს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება აუცილებლად წერილობითი ფორმით იქნეს დადებული ანდა დამტკიცებული, ანუ კონვენცია ხელშეკრულების მიმართ ადგენს ფორმის თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. ხელშეკრულების არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქნეს ნებისმიერი მტკიცების საშუალებით, მათ შორის მოწმეთა ჩვენებითაც. იმავდროულად კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს ხელშემკვრელი მხარის უფლებას, მოითხოვოს ხელშეკრულების სავალდებულო წერილობითი ფორმით დადება. პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებულია საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების, სწორედ რომ, წერილობითი ფორმით დადება.

ვენის კონვენციის მეორე ნაწილი (მუხლი მე-14-24-ე) შეიცავს ნასყიდობის ხელშეკრულების დადების წესებს ოფერტისა

და აქცეპტის მეშვეობით. ოფერტის შესახებ კონვენციის დებულებები შეიცავენ ოფერტის განმარტებას, ოფერტის გაუქმების ან უკან გამოხმობის წესებს, ასევე ოფერტის ძალაში შესვლისა და ოფერტისაგან გადახვევის სამართლებრივ შედეგებს. კონვენცია განასხვავებს ოფერტის ანუ ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადების ორ სახეს: ერთი ან რამდენიმე ზუსტად განსაზღვრული პირისადმი მიმართული წინადადება და განუსაზღვრელი რაოდენობის პირთა წრის მიმართ მიმართული წინადადება, რომელიც ხასიათდება ყველა იმ ნიშან-თვისებით, რომელთა თანახმადაც წინადადება განიხილება ოფერტად.

ერთი ან რამდენიმე ზუსტად განსაზღვრული პირისადმი მიმართული ხელშეკრულების დადების შესახებ წინადადებაში, გამოყოფენ რამდენიმე ნიშანს: წინადადების საკმარისად განსაზღვრულობასა და ოფერენტის მზადყოფნას, თანხმობის შემთხვევაში შეასრულოს მიცემული წინადადება. წინადადება (შეთავაზება) ითვლება საკმარისად განსაზღვრულად, თუკი მასში განსაზღვრულია საგანი (საქონელი) და პირდაპირ ან არაპირდაპირ დადგენილია ფასი და რაოდენობა ანდა დადგენილია მათი განსაზღვრის წესი. პირთა განუსაზღვრელი წრისადმი მიმართული შეთავაზება განიხილება როგორც მხოლოდ მოლაპარაკებაზე მიწვევა, თუკი შემთავაზებლის მიერ სხვა რამ არ არის პირდაპირ აღნიშნული. შეთავაზება (ოფერტი) ძალაში შედის, როდესაც იგი მიღებულ იქნება ოფერტის ადრესატის მიერ.

ოფერტი, თუნდაც ის უკან გამოუხმობადი იყოს, შეიძლება გაუქმებულ იქნეს ოფერენტის მიერ, თუკი ოფერტის გაუქმების შესახებ შეტყობინება ადრესატის მიერ მიღებულია ოფერტაზე ადრე ანდა მასთან ერთად ერთდროულად. ოფერტი შეიძლება გაუქმებულ იქნეს ოფერენტის მიერ ხელშეკრულების დადებამდე, თუკი ოფერტის გაუქმების შესახებ შეტყობინება ადრესატის მიერ მიღებულ იქნება აქცეპტის გაგზავნამდე. ამასთან, ოფერტი არ შეიძლება იქნეს უკან გამოხმობილი: ა) თუკი ოფერტით პირდაპირ არის გათვალისწინებული აქცეპტის მიღების ვადის დადგენით

ან სხვა საშუალებით, რომ არ შეიძლება მისი უკან გამოხმობა; ბ) თუკი აქცეპტანტს შეეძლო ევარაუდა, რომ ოფერტის უკან გამოხმობა არ შეიძლება და ოფერტის ადრესატი იმოქმედებს შესაბამისად. ოფერტი, თუნდაც უკანგამოუხმობადი, კარგავს ძალას, თუკი ოფერენტი მიიღებს ადრესატისაგან შეტყობინებას ოფერტის უარყოფის შესახებ.

კონვენციის შესაბამისი დებულებები აქცეპტის შესახებ შეიცავს შემდეგ წესებს, როგორიცაა: აქცეპტის განსაზღვრა, აქცეპტის მიცემის ვადა, აქცეპტის გაუქმება, ასევე თუ როდის ითვლება ხელშეკრულება დადებულად. აქცეპტად ითვლება ოფერტის ადრესატის თანხმობა ან სხვა რაიმე ქმედება, რომელიც გამოხატავს უპირობო თანხმობას ოფერტზე. დუმილი, როგორც წესი, არ წარმოადგენს აქცეპტს. ოფერტზე აქცეპტი ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც იგი მიუვა ოფერენტს. აქცეპტი ძალას კარგავს, თუ იგი არ იქნება განცხადებული ოფერენტის მიერ დადგენილ ვადაში, ხოლო თუ ვადა დადგენილი არ იყო – მაშინ გონივრულ ვადაში, მხედველობაში უნდა იქნეს რა მიღებული გარიგების ყველა გარემოება, მათ შორის ოფერენტის მიერ გამოყენებული კავშირის დამყარების საშუალებები. ზეპირ ოფერტზე თანხმობა დაუყოვნებლივ უნდა იქნეს მიცემული, თუკი გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

კონვენცია დასაშვებად მიიჩნევს აქცენტის გამოხატვას კონკლუდენტური მოქმედებების სახით: თუკი ოფერტის ძალით ანდა მხარეთა შეთანხმებით დადგენილი პრაქტიკის, ანდა სავაჭრო ჩვეულების შედეგად ოფერტის ადრესატს შეუძლია ოფერენტისათვის შეტყობინების გარეშე გამოხატოს თანხმობა რაიმე მოქმედების განხორციელებით, კერძოდ, ისეთი მოქმედებით, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გაგზავნასთან ან თანხის გადახდასთან, აქცეპტი ძალაში შედის ასეთი მოქმედების განხორციელების მომენტიდან იმ პირობით, რომ იგი განხორციელდა დათქმულ ვადაში.

კონვენციის თანახმად, თუკი ოფერტზე პასუხში გამოთქმულია თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, ოღონდ შეცვლილი

პირობებით, ეს ჩაითვლება უარად შეთავაზებაზე და იმავდროულად ახალ ოფერტად. ამასთან, თუკი ოფერტზე თანხმობა შეიცავს დამატებით ან განსხვავებულ პირობებს, რომელიც არსებითად არ ცვლის ოფერტის პირობებს, ჩაითვლება აქცეპტად, თუკი ოფერენტი დაუყოვნებლივ არ განაცხადებს ზეპირ უარს ხელშეკრულების დადებაზე და არ შეატყობინებს ამის შესახებ აქცეპტანტს. თუკი ოფერენტი ამას არ გააკეთებს, მაშინ ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება აქცეპტანტის მიერ შეთავაზებული განსხვავებული პირობებით.

დამატებითი ან განსხვავებული პირობები საქონლის ფასთან, ხარისხთან, რაოდენობასთან, მიწოდების დროისა და ადგილის, მხარეთა პასუხისმგებლობისა და დავის გადაწყვეტის შესახებ, ითვლებიან ოფერტის პირობების არსებითად შემცვლელად.

ოფერენტის მიერ დეპეშით ანდა წერილში დადგენილ შეთავაზებაზე პასუხის გაცემის ვადა აითვლება ტელეგრამის (დეპეშის) გასაგზავნად ჩაბარების მომენტიდან ანდა წერილში მითითებული თარიღიდან, ხოლო თუ ასეთი მითითებული არ არის, მაშინ კონვერტზე აღნიშნული თარიღიდან, ტელეფონით, ფაქსით ან სხვა მომენტალური კავშირის საშუალებებით გაკეთებული შეთავაზების (ოფერტის) პასუხის ვადა იწყება ოფერტის ადრესატის მიერ მისი მიღების მომენტიდან. დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს ძალას, თუკი ოფერენტი დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ აქცეპტანტს ზეპირად ანდა გაუგზავნის მას შესაბამის შეტყობინებას. თუკი აქცეპტი ოფერენტმა მიიღო დაგვიანებით, მაგრამ არა აქცეპტანტის ბრალით, დაგვიანებული აქცეპტი ინარჩუნებს ძალას, თუკი ოფერენტი დაუყოვნებლივ არ აცნობებს ადრესატს ზეპირი ფორმით, რომ იგი უარს აცხადებს ხელშეკრულების დადებაზე ანდა თუ არ გაუგზავნის მას ამის შესახებ შეტყობინებას.

აქცეპტი შეიძლება გაუქმებულ იქნეს, თუკი გაუქმების შესახებ შეტყობინება ოფერენტმა მიიღო მანამდე ან იმ მომენტისათვის, როდესაც აქცეპტი ძალაში უნდა შესულიყო. ხელშეკრულება დადებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც ოფერტზე აქცეპტი

ძალაში შედის კონვენციის დებულებების შესაბამისად.

კონვენციის მესამე თავი (მუხლი 25-ე-88-ე) არეგულირებს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

კონვენციით დადგენილია, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულება ითვლება არსებითად დარღვეულად, თუკი იგი იწვევს მეორე მხარისათვის ისეთი ზიანის მიყენებას, რომ ეს უკანასკნელი ვერ ღებულობს იმას, რის მიღებასაც ისწრაფვოდა ხელშეკრულების საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ხელშეკრულების დამრღვევი მხარე არ ითვალისწინებდა ასეთი შედეგის დადგომას და ნებისმიერი პირი, რომელიც ანალოგიურ ვითარებაში ასევე იმოქმედებდა, ვერ გაითვალისწინებდა მის დადგომას.

ხელშეკრულებაზე უარი ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუკი ერთ-ერთი მხარე შეატყობინებს ამის შესახებ მეორე მხარეს კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად.

მესამე თავში მოცემულია ვალდებულების ნატურით შესრულების მომწესრიგებელი ნორმები. კონვენციის დებულებების შესაბამისად, თუკი ერთ-ერთ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს მეორე მხარისაგან რომელიმე ვალდებულების ნატურით შესრულება, სასამართლო არ არის ვალდებული გამოიტანოს გადაწყვეტილება ვალდებულების ნატურით შესრულების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც იგი ამას გააკეთებს კონვენციით მოუწესრიგებელი ანალოგიური სახის ნასყიდობის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული თავისი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე.

ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის წესები შეეხება ორგვარ სიტუაციას. პირველ რიგში, ხელშეკრულება შეიძლება შეიცვალოს ან შეწყდეს მხარეთა შეთანხმების გზით. მეორე რიგში, შეთანხმება, რომელიც შეიცავს დებულებას იმის შესახებ, რომ შესაძლებელია ხელშეკრულების შეცვლა ან შეწყვეტა მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით.

კონვენციის მიხედვით, გამყიდველის ძირითადი მოვალეობაა

გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული დოკუმენტები და მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებისა და კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად.

თუკი გამყიდველი არ არის ვალდებული გადასცეს მყიდველს ნაყიდი ნივთი რაიმე განსაზღვრულ ადგილას, მაშინ ნივთის გადაცემა შეიძლება მოხდეს შემდეგნაირად: ა) თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის გადაზიდვა — საქონლის ჩაბარება თავდაპირველად გადამზიდველისათვის მყიდველისათვის მისატანად; ბ) თუ ხელშეკრულების საგანია ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული ანდა გვაროვნული ნივთი, რომელიც უნდა დამზადებულ ან წარმოებულ იქნეს ანდა ამოღებულ იქნეს გარკვეული მარაგიდან და მხარეებმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდნენ, რომ საქონელი იმყოფება განსაზღვრულ ადგილას ანდა იგი დამზადებულ ან წარმოებულ უნდა იქნეს განსაზღვრულ ადგილას, მაშინ საგნის გადაცემა უნდა მოხდეს მყიდველისათვის ამ ადგილას; გ) სხვა შემთხვევებში საგნის გადაცემა უნდა მოხდეს მყიდველისათვის იმ ადგილას, სადაც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის მდებარეობდა მოვალის — გამყიდველის საწარმო (ანუ გამყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით).

თუ გამყიდველი ხელშეკრულებით ანდა კონვენციის დებულებების შესაბამისად გადამზიდველს გადასცემს საქონელს და ეს საქონელი არც ამოსაცნობი ნიშნით, არც გადაზიდვისათვის საჭირო საბუთებით და არც სხვა რაიმე საშუალებით არ არის გამოკვეთილად აღნიშნული, მაშინ გამყიდველმა უნდა შეატყობინოს მყიდველს საქონლის გაგზავნის თაობაზე და, ამასთანავე, გაუგზავნოს ტვირთის დაწვრილებითი ჩამონათვალი. თუ გამყიდველს ევალება საქონლის გაგზავნა, მან უნდა დადოს ხელშეკრულებები, რომლებიც აუცილებელია ტვირთის დათქმულ ადგილზე გადაზიდვისა და ასეთი გადაზიდვისათვის ჩვეული პირობებისათვის. თუ გამყიდველი არ არის ვალდებული დააზღვიოს ტვირთი ტრანსპორტირებისას, მაშინ მან მყიდველის თხოვნით უნდა გადასცეს მას

მის ხელთ არსებული ყველა ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია დაზღვევის ასეთი ხელშეკრულების გაფორმებისათვის.

თუკი ხელშეკრულებით დადგენილია მიწოდების თარიღი (დღე) ანდა ხელშეკრულება იძლევა ასეთი თარიღის განსაზღვრის შესაძლებლობას, ასეთ შემთხვევაში საქონელი მიწოდებულ უნდა იყოს ამ თარიღისათვის (დღისათვის). თუკი ხელშეკრულებით დადგენილია მიწოდების დროის შუალედი, მაშინ საქონელი მიწოდებული უნდა იქნეს დროის ამ პერიოდის ფარგლებში ნებისმიერ დროს, თუკი გარემოებებიდან არ გამომდინარეობს, რომ მიწოდების ვადას განსაზღვრავს მყიდველი; ყველა სხვა შემთხვევაში კი — ხელშეკრულების დადებიდან გონივრულ ვადაში.

გამყიდველმა საქონელი უნდა მიაწოდოს მყიდველს იმ რაოდენობითა და იმ ხარისხით, ასევე იმგვარად შეფუთული, რომელიც შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს. მხარეთა შეთანხმებით დადგენილი შემთხვევების გარდა, საქონელი არ შეესაბამება ხელშეკრულებით დადგენილ მოთხოვნებს, თუკი იგი: ა) არ არის ვარგისი ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიზნით სარგებლობისათვის; ბ) არ არის ვარგისი ნებისმიერი კონკრეტული მიზნისათვის, რომლის შესახებაც გამყიდველს პირდაპირ ან არაპირდაპირ ეცნობა ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, მყიდველი არ ეყრდნობოდა გამყიდველის კომპეტენტურობას; გ) არ შეესაბამება გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნიმუშის ან მოდელის სახით წარდგენილი საქონლის ხარისხს; დ) არ არის შეფუთული ან მარკირებული ასეთი სახის საქონლისათვის ჩვეულებრივი საშუალებით, ხოლო ასეთის არარსებობისას — მოცემული საქონლის ჯეროვანი დაცვისა და შენახვისათვის საჭირო საშუალებით.

ხელშეკრულებითა და კონვენციით გამყიდველი პასუხს აგებს საქონლის ნებისმიერი ნაკლისათვის, რომელიც არსებობს მყიდველზე რისკის გადასვლის მომენტისათვის, თუნდაც ნაკლი იყოს არა ხილული, არამედ ფარული და იგი მოგვიანებით გამოვლინდეს.

გამყიდველი პასუხს აგებს ასევე ნებისმიერი თავისი ვალდებულების დარღვევისათვის მყიდველზე რისკის გადასვლის მომენტისათვის, მათ შორის იმ გარანტიის დარღვევისათვის, რომ განსაზღვრული დროის განმავლობაში საქონელი ვარგისი იქნება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის ანდა შეინარჩუნებს თავის თვისებებსა და ხარისხს.

საქონლის ვადამდე მიწოდების შემთხვევაში, გამყიდველი იტოვებს უფლებას ხელშეკრულებით დადგენილი მიწოდების ვადის დადგომამდე მიაწოდოს საქონლის დანაკლისი, ან ნაწილი ანდა ნაკლის მქონე ნივთის ნაცვლად მიაწოდეს სხვა ხარისხიანი ნივთი, ანდა აღმოფხვრას მიწოდებული საქონლის ნებისმიერი ნაკლი იმ პირობით, რომ ამ უფლების გამოყენება არ გამოიწვევს მყიდველისათვის არათანაზომიერი ხარჯების გაღებას.

მყიდველს უფლება არა აქვს მიუთითოს საქონლის ნაკლზე, თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან გონივრულ ვადაში ანდა იმ ვადაში, რომელშიც მისთვის ცნობილი უნდა ყოფილიყო ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას. ნებისმიერ შემთხვევაში მყიდველი კარგავს ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებას, თუკი საქონლის ფაქტობრივად გადაცემის დღიდან ორი წლის განმავლობაში არ აცნობებს გამყიდველს ნაკლის შესახებ, რამეთუ ეს ვადა არ ეწინააღმდეგება გარანტიის სახელშეკრულებო ვადას. თუმცა კი გამყიდველს არ შეუძლია გამოიყენოს ეს უფლება, თუკი მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა საქონლის ნაკლის შესახებ და დუმდა ამის თაობაზე ანუ არ აცნობა მყიდველს.

გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს ასევე უფლებრივად უნაკლო ნივთი, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც მყიდველი თანახმაა მიიღოს ასეთი უფლებრივად დატვირთული ნივთი. გამყიდველმა უნდა მიაწოდოს მყიდველს ისეთი ნივთი, რომელიც არ არის დატვირთული ინტელექტუალური საკუთრების ან სამრეწველო საკუთრებასთან დაკავშირებული მესამე პირების უფლებებით, რომელთა შესახებაც ხელშეკრულების დადების მომენტში გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ეს უფლებები დაფუძნებუ-

ლია სამრეწველო ან სხვა ინტელექტუალურ საკუთრებაზე:

ა) იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც საქონელი უნდა იქნეს გამოყენებული, თუკი ხელშეკრულების დადების მომენტში მხარეები ითვალისწინებენ, რომ საქონელი რაიმე სახით გამოყენებულ უნდა იქნეს ამ სახელმწიფოში; ბ) ნებისმიერ სხვა შემთხვევაში — იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც მდებარეობს მყიდველის კომერციული საწარმო.

გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის შემთხვევაში მყიდველს გააჩნია შემდეგი უფლებები: პირველ რიგში, მყიდველს შეუძლია მოსთხოვოს გამყიდველს ნაკისრი ვალდებულების შესრულება; მეორე მხრივ, თუ გამყიდველმა მყიდველს მიაწოდა უხარისხო გვაროვნული ნივთი, მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ნივთის გამოცვლა, თუკი ხარისხის შეუსაბამობა წარმოადგენს ხელშეკრულების არსებითად დარღვევას. იმ შემთხვევაში, თუკი უხარისხო საქონლის მიწოდება არ წარმოადგენს ხელშეკრულების არსებით დარღვევას, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს გამყიდველისგან ნაკლის გამოსწორება. გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. მყიდველმა გამყიდველს ვალდებულების შესასრულებლად შეიძლება დაუნიშნოს დამატებითი ვადა. ამგვარად დადგენილი ვადის მოქმედების განმავლობაში, ანუ დამატებითი ვადის გასვლამდე, მყიდველს არა აქვს უფლება გამოიყენოს ხელშეკრულების დარღვევისაგან სამართლებრივი დაცვის საშუალებები, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც გამყიდველი მყიდველს შეატყობინებს, რომ ვალდებულებას ვერ შეასრულებს ვერც დამატებით დადგენილ ვადაში. მყიდველი თუმცაღა არ კარგავს უფლებას მოითხოვოს ვადის გადაცილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

გამყიდველი ვალდებულია თავისი ვალდებულებები შეასრულოს ჯეროვნად. თუ გამყიდველი სთხოვს მყიდველს, რათა ამ უკანასკნელმა შეატყობინოს შესრულების მიღების შესახებ და მყიდველი ამ თხოვნაზე პასუხს არ გასცემს გონივრულ ვადაში,

გამყიდველს უფლება აქვს შესრულება განახორციელოს მის შეკითხვაში აღნიშნული ვადის განმავლობაში.

მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა, თუკი გამყიდველის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა არსებითი ხასიათისაა, ანდა, თუკი გამყიდველი არ მიაწვდის საქონელს მყიდველის მიერ დადგენილ დამატებითი ვადის განმავლობაში, ანდა, თუკი გამყიდველი უარს განაცხადებს საქონლის მიწოდებაზე.

იმ შემთხვევაში, თუკი გაყიდული ნივთი ნაკლის მქონეა, მყიდველს შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად, ამასთან, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს იმას, ფასი უკვე გადახდილია თუ არა.

კონვენციის მიხედვით მყიდველის ძირითადი მოვალეობაა ხელშეკრულებისა და კონვენციის მოთხოვნათა შესაბამისად ნაყიდი ნივთის მიღება და მისი საფასურის (ფასის) გადახდა. იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულება დადებულია სამართლებრივად ნამდვილი ფორმით, მაგრამ მასში პირდაპირ ან არაპირდაპირ არ არის დადგენილი ფასი ანდა არ არის გათვალისწინებული ფასის განსაზღვრის საშუალება, ითვლება, რომ სხვაგვარი შეთანხმების არარსებობისას, მხარეებს მხედველობაში ჰქონდათ ის ფასი, რომელიც ანალოგიური სახის საქონელს ხელშეკრულების დადების მომენტისას გააჩნია ვაჭრობის შესაბამის სფეროში (საბაზრო ან საბირჟო ფასი).

თუკი ფასი დადგენილია საქონლის წონის მიხედვით, მაშინ საეჭვოობისას იგი განისაზღვრება ნეტო წონის მიხედვით. ფასის გადახდის ადგილი განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით დადგენილი გადახდის ადგილის მიხედვით.

თუ მხარეები არ შეთანხმებულან ფასის გადახდის ადგილის შესახებ, მყიდველმა გამყიდველს ფასი უნდა გადაუხადოს: ა) გამყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით; ბ) თუკი გადახდა უნდა მოხდეს საქონლის ან საქონელგანმკარგავი დოკუმენტების გადაცემისას — მათი გადაცემის ადგილას.

თუკი ხელშეკრულებით არ არის დადგენილი მყიდველის მიერ ნაყიდი ნივთის ფასის გადახდის დრო, მაშინ მყიდველმა თანხა უნდა გადაიხადოს, როდესაც გამყიდველი კონვენციისა და ხელშეკრულების შესაბამისად მყიდველს გადასცემს საქონელს ან საქონელგანმკარგავ დოკუმენტებს. გამყიდველმა საქონლის ან საქონელგანმკარგავი დოკუმენტების გადაცემა შეიძლება დააკავშიროს ფასის შემხვედრ გადახდასთან, ანუ ვალდებულებების ერთდროულად შესრულებასთან. თუკი ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გაგზავნას მყიდველისათვის, გამყიდველს უფლება აქვს გაგზავნის პირობებში შეიტანოს დებულება იმის შესახებ, რომ მყიდველს საქონელი ან საქონელგანმკარგავი დოკუმენტები გადაეცემა მხოლოდ მიტანის მომენტისათვის. ფასის გადახდის შემდეგ მყიდველს უფლება აქვს არ გადაიხადოს ფასი მანამ, სანამ მას არ მიეცემა შესაძლებლობა შეამოწმოს და დაათვალიეროს საქონელი.

მყიდველის მიერ ნაყიდი საქონლის მიღების ვალდებულება გამოიხატება: ა) მის მიერ ყველა იმ მოქმედების განხორციელებაში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რათა გამყიდველმა განახორციელოს მიწოდება (მაგალითად, აკრედიტივის გახსნა, ავანსის გადახდა, გემის დაფრახტვა და ა.შ.); ბ) საქონლის მიღებაში.

იმ შემთხვევაში, თუკი მყიდველი დაარღვევს თავის ვალდებულებებს, გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მყიდველისაგან ფასის გადახდა, მიწოდებული საქონლის მიღება ანდა სხვა ვალდებულებების შესრულება. გამყიდველს შეუძლია მყიდველს დაუდგინოს გონივრული ხანგრძლივობის დამატებითი ვადა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. დამატებითი ვადის განმავლობაში გამყიდველს არ შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა. გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მყიდველისაგან მიიღებს შეტყობინებას, რომ ეს უკანასკნელი საერთოდ არ შეასრულებს ვალდებულებას დადგენილ ვადაში.

გამყიდველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ორ სიტუაციაში. პირველი დაკავშირებულია ორ შესაძლო შემთხვევას-

თან, როდესაც, მართალია, გამყიდველმა საქონელი უკვე მიაწოდა, მაგრამ მყიდველმა ფასი არ გადაიხადა: ა) თუკი მყიდველის მიერ ხელშეკრულებით ანდა კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე ვალდებულების დარღვევა არსებითი ხასიათისაა; ბ) მყიდველი გამყიდველის მიერ დადგენილ დამატებით ვადაში არ მიიღებს საქონელს ან არ გადაიხდის ნაყიდი საქონლის საფასურს, ანდა განუცხადებს გამყიდველს, რომ არ შეასრულებს ამ ვალდებულებებს არც დამატებით დადგენილ ვადაში.

მეორე სიტუაცია – როდესაც მყიდველმა გადაუხადა გამყიდველს მიწოდებული საქონლის ფასი. გამყიდველს ეკარგება ხელშეკრულებიდან გასვლის მოთხოვნის უფლება, თუკი იგი ამას არ განახორციელებს: ა) მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებასთან მიმართებით მანამ, სანამ გამყიდველისათვის ცნობილი გახდა განხორციელებული შესრულების შესახებ; ბ) ხელშეკრულების ნებისმიერი სხვა სახის დარღვევის (გარდა ვადის გადაცილებისა) მიმართ – გონივრულ ვადაში; გ) მას შემდეგ, როდესაც გამყიდველმა შეიტყო ან უნდა შეეტყო ასეთი დარღვევის შესახებ; დ) ანდა გამყიდველის მიერ დადგენილი დამატებითი ვადის გასვლის შემდეგ ანდა მას შემდეგ, როდესაც მყიდველი განაცხადებს, რომ არ შეასრულებს თავის ვალდებულებებს არც დამატებით ვადაში.

თუკი ხელშეკრულების საფუძველზე მყიდველმა უნდა განსაზღვროს ნაყიდი საქონლის ზომა, წონა, მოცულობა და სხვა დამახასიათებელი თვისებები და თუ იგი ამას არ განახორციელებს შეთანხმებულ ვადაში ანდა გამყიდველის მოთხოვნის მიღებიდან გონივრულ ვადაში, გამყიდველს უფლება აქვს თვითონ განსაზღვროს ეს სპეციფიკური თვისებები მყიდველის იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომელთა შესახებაც ცნობილია გამყიდველისათვის.

თუკი გამყიდველი თვითონ ადგენს გასაყიდი საქონლის სპეციფიკაციას, მან ამის შესახებ დეტალურად უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მყიდველს და დაადგინოს გონივრული ვადა, რომლის განმავლობაშიც მყიდველს შეუძლია თვითონ შეადგინოს სხვაგვარი

სპეციფიკაცია, თუკი გამყიდველისაგან შეტყობინების მიღების შემდეგ დადგენილ ვადაში მყიდველი ამას არ განახორციელებს, მაშინ გამყიდველის მიერ შედგენილ გასაყიდი საქონლის სპეციფიკაციას ექნება სავალდებულო ძალა.

რაც შეეხება მყიდველზე ნაყიდ ნივთზე შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკის გადასვლას,კონვენცია ითვალისწინებს, რომ პირველ რიგში, საქონლის დაზიანება ან დაღუპვა მას შემდეგ, რაც რისკი გადავიდა მყიდველზე, არ ათავისუფლებს მყიდველს ფასის გადახდის მოვალეობისაგან, თუკი ნივთის დაღუპვა ან დაზიანება გამოწვეული არ არის გამყიდველის ქმედებით, მეორე მხრივ, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია საქონლის გადაზიდვა და გამყიდველი ვალდებული არ არის გადასცეს იგი რომელიმე განსაზღვრულ ადგილას, მყიდველზე რისკი გადადის, როდესაც საქონელი ჩაბადა პირველ გადამზიდველს მყიდველისათვის გადასაცემად ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად. თუკი გამყიდველი ვალდებულია ჩააბაროს გადამზიდველს საქონელი გადასაზიდად რომელიმე განსაზღვრულ ადგილას, მყიდველზე რისკი არ გადადის მანამ, სანამ საქონელი არ გადაეცემა გადამზიდველს ამ ადგილას. ის გარემოება, რომ გამყიდველს უფლება აქვს დააკავოს გზაში საქონელგანმკარგავი დოკუმენტები, გავლენას არ ახდენს რისკის გადასვლაზე.

კონვენციაში განსაკუთრებით ხაზგასმულია, რომ მყიდველზე რისკი არ გადადის მანამ, სანამ საქონელი თვალნათლივ არ არის იდენტიფიცირებული მოცემული ხელშეკრულების მიზნისათვის ამოსაცნობი ნიშნით, გადაზიდვისათვის საჭირო საბუთების, მყიდველისათვის შეტყობინების გაგზავნის ანდა სხვა რაიმე საშუალებით.

კონვენციის თანახმად, თუ გამყიდველი გაყიდულ ნივთს მყიდველის მოთხოვნით გზავნის სხვა ადგილას, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, მაშინ ნივთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი გადადის მყიდველზე იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველმა ნივთი ჩააბარა გადამზიდ-

კელს ან ამის შესრულებისათვის პასუხისმგებელ პირს, და ამ უკანასკნელმა გადასცა გადაზიდვის ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი დოკუმენტები. ამასთან, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების დადების მომენტში გამყიდველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ ნივთი დაზიანებული ან გაფუჭებულია და არ აცნობა ამის შესახებ მყიდველს, მაშინ ასეთი დაზიანების ან გაფუჭების რისკი აწევს გამყიდველს.

მყიდველზე რისკი გადადის საქონლის მიღების მომენტიდან ანდა, თუკი იგი არ მიიღებს საქონელს დათქმულ ვადაში იმ მომენტიდან, როდესაც მას უნდა მიეღო საქონელი. ამასთან, თუკი მყიდველი ვალდებულია ნივთი მიიღოს არა გამყიდველის საწარმოს ადგილსამყოფელის მიხედვით, არამედ სხვა რომელიმე ადგილას, მყიდველზე რისკი გადადის, როდესაც დადგა მიწოდების დრო და გამყიდველმა შეატყობინა მას იმის შესახებ, რომ საქონელი გადაცემულია მის განკარგულებაში ამ ადგილას. თუკი ხელშეკრულება შეეხება ჯერ კიდევ არაიდენტიფიცირებულ საქონელს, ითვლება, რომ საქონელი არ არის გადაცემული მყიდველის განკარგულებაში, მანამ სანამ არ მოხდება ხელშეკრულების მიზნისათვის მისი ნათლად იდენტიფიცირება.

კონვენცია ითვალისწინებს ხელშეკრულების მოსალოდნელი დარღვევის შედეგების სამართლებრივ მოწესრიგებას. ასეთ დარღვევად ჩაითვლება მხარის კრედიტუუნარობა, ანუ ვალდებულების შესრულების უუნარობა, ანდა ვალდებულების შესრულების განხორციელებასთან დაკავშირებული მისი ქმედებები. აღნიშნული საფუძვლების არსებობისას მხარეს უფლება აქვს შეაჩეროს თავისი ვალდებულებების შესრულება, თუკი ხელშეკრულების დადების შემდეგ ნათელი ხდება, რომ მეორე მხარე ვერ შეასრულებს თავისი ვალდებულებების მნიშვნელოვან ნაწილს.

თუკი გამყიდველმა საქონელი უკვე გააგზავნა ზემოთ აღნიშნული გარემოებების გამოვლენამდე, მას უფლება აქვს საქონელი დააკავოს გზაში და ხელი შეუშალოს მყიდველისათვის მის გადაცემას, თუნდაც მყიდველს გააჩნდეს საქონლის მიღების უფლების

დამადასტურებელი დოკუმენტი. მოცემული წესი გამოიყენება მხოლოდ გამყიდველსა და მყიდველს შორის საქონლის შესახებ უფლებებთან დაკავშირებით. მხარემ, რომელმაც შეაჩერა ვალდებულების შესრულება, მიუხედავად იმისა, ეს ხდება საქონლის გაგზავნამდე თუ საქონლის გაგზავნის შემდეგ, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს და უნდა განაგრძოს ვალდებულების შესრულება, თუკი მეორე მხარე წარუდგენს თავისი ვალდებულებების შესრულების საკმარის გარანტიებს.

თუკი ხელშეკრულებით დადგენილი შესრულების ვადის დადგომამდე ცხადი ხდება, რომ ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანი შეადგენს იმ ზიანის ტოლ თანხას (მიუღებელი შემოსავლის ჩათვლით), რომელიც განიცადა მეორე მხარემ ხელშეკრულების დარღვევის შედეგად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც ხელშეკრულების დამრღვევი მხარისათვის წინასწარ იყო სავარაუდო ხელშეკრულების დადების მომენტისათვის და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს.

კონვენცია ითვალისწინებს შემთხვევებს, როდესაც დაზარალებული მხარე იძულებულია დადოს სანაცვლო გარიგება იმის გამო, რომ შეამციროს ზიანი, რომელიც ხელშეკრულების შეუსრულებლობას შეიძლება მოჰყვეს ხოლმე. ამ შემთხვევაში ზიანი იქნება ხელშეკრულების ფასსა და სანაცვლო გარიგების ფასს შორის სხვაობა. ამას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც სანაცვლო გარიგება ნამდვილად იდება და არა მაშინ, როდესაც დაზარალებული თვითონ ასრულებს იმ ვალდებულებას, რომელიც მოვალეს უნდა შეესრულებინა. ამასთან, თუკი დაზარალებულმა მხარემ ხელშეკრულება მოშალა საქონლის მიღების შემდეგ, ხელშეკრულების მოშლის მომენტისათვის საქონლის მიმდინარე საბაზრო ფასის ნაცვლად გამოიყენება საქონლის მიღებისას მიმდინარე ფასი. ამასთან, მიმდინარე საბაზრო ფასად ჩაითვლება ის ფასი, რომელიც მოქმედებს იმ ადგილას, სადაც უნდა მოხდეს საქონლის მიწოდება ანდა თუ ასეთ ადგილას არ არსებობს მიმდინარე საბაზრო ფასი, მაშინ

ფასი სხვა ასეთ ადგილას, რომელიც წარმოადგენს გონივრულ შეცვლას საქონლის ტრანსპორტირების ხარჯებს შორის სხვაობის გათვალისწინებით.

კონვენცია ითვალისწინებს დებულებას, რომლის მიხედვითაც დაზარალებულმა მხარემ უნდა მიიღოს ზიანის ოდენობის შესამცირებლად (მათ შორის მიუღებელი შემოსავალი) ღონისძიებები, რომლებიც გონივრულად მიიჩნევა მოცემულ გარემოებებში. თუკი დაზარალებული მხარე არ განახორციელებს ასეთ ღონისძიებებს, მაშინ ხელშეკრულების დამრღვევ მხარეს შეუძლია მოითხოვოს ასანაზღაურებელი ზიანის ოდენობის შემცირება იმ თანხით, რა თანხითაც ზიანი შემცირდებოდა დაზარალებულს რომ განეხორციელებინა საჭირო ღონისძიებები (შერეული ბრალი).

თუკი ერთმა მხარემ გადააცილა თანხის გადახდის ვადას, მეორე მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებისათვის კანონით დადგენილი პროცენტების გადახდა, რაც მას არ უკარგავს ამ კონვენციის შესაბამისად გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას.

კონვენცია ასევე ითვალისწინებს, რომ ხელშეკრულების მხარე თავისუფლდება ვალდებულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან, თუკი დაამტკიცებს, რომ ეს გამოწვეულ იქნა დაუძლეველი ძალის ანდა ისეთი გარემოებების შედეგად, რომლის გათვალისწინებაც მას არ შეეძლო და რომელთა არსებობაც არ არის მის ნებაზე დამოკიდებული. იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეულ იქნა იმ მესამე პირის მიერ თავისი ვალდებულებების შეუსრულებლობით, რომელსაც მხარე იყენებს ხელშეკრულების მთლიანი ან ნაწილობრივი შესრულებისათვის, ეს მხარე პასუხისმგებლობისაგან თავისუფლდება მხოლოდ მაშინ, თუკი: ა) იგი თავისუფლდება პასუხისმგებლობისაგან ზემოთ აღნიშნული წესის საფუძველზე; ბ) მის მიერ ვალდებულების შესრულებაში ჩართული პირი ასევე გათავისუფლდებოდა პასუხისმგებლობისაგან, თუკი მოყვანილი დებულებები შეიძლებოდა რომ გამოყენებულიყო ამ მესამე პირის მიმართ.

ხელშეკრულების მხარემ, რომელიც არ ასრულებს თავის ვალდებულებებს, უნდა შეატყობინოს მეორე მხარეს იმ წინაღობის შესახებ, რომელიც გავლენას ახდენს მის უნარზე შეასრულოს ვალდებულება. თუკი ეს შეტყობინება არ იქნება მიღებული მეორე მხარის მიერ გონივრულ ვადაში მას შემდეგ, როდესაც ამ წინაღობის (დამაბრკოლებელი გარემოების) არსებობის შესახებ ცნობილი გახდა ანდა ცნობილი უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების იმ მხარისათვის, რომელმაც არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება, ეს უკანასკნელი პასუხს აგებს იმ ზიანისათვის, რომელიც გამოწვეულ იქნა შეუტყობინებლობის შედეგად.

ხელშეკრულებიდან გასვლა ათავისუფლებს ორივე მხარეს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან, მაგრამ უნარჩუნებს მათ შესაძლო ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას. ხელშეკრულებიდან გასვლა არანაირ გავლენას არ ახდენს რომელიმე იმ ხელშეკრულების პირობაზე, რომელიც შეეხება ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში დავის გადაწყვეტის წესს ანდა მხარეთა უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულების მთლიანად ან ნაწილობრივ შემსრულებელ მხარეს, შეუძლია მოითხოვოს მეორე მხარისაგან ხელშეკრულებით გადაცემული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნება. თუკი ორივე მხარემ უნდა დაუბრუნოს ერთმანეთს ხელშეკრულებით მიღებული შესრულება და სარგებელი (ორმხრივი რესტიტუცია), ეს უნდა განახორციელონ ერთდროულად.

მყიდველი კარგავს ხელშეკრულებიდან გასვლისა ანდა გამყიდველისაგან საგნის შეცვლის მოთხოვნის უფლებას, თუკი მყიდველის მიერ შეუძლებელია საგნის უკან დაბრუნება იმ მდგომარეობაში, რომელშიც საქონელი იმყოფებოდა ხელშეკრულების დადების მომენტში. მყიდველი ასეთ შემთხვევაში ინარჩუნებს კონვენციით გათვალისწინებული თავისი უფლებების დაცვის ყველა სხვა სამართლებრივი საშუალებების გამოყენების შესაძლებლობას.

თუკი გამყიდველი ვალდებულია უკან დააბრუნოს ნივთის საფასური, მან ასევე უნდა გადაიხადოს პროცენტები მყიდვე-

ლის მიერ ფასის გადახდის თარიღიდან. მყიდველმა უკან უნდა დაუბრუნოს გამყიდველს მთელი ის შემოსავალი, რომელიც მიიღო ნაყიდი ნივთისაგან ან მისი ნაწილისაგან: ა) თუკი იგი ვალდებულია დააბრუნოს საქონელი მთლიანად ან ნაწილობრივ ანდა ბ) თუ მისთვის შეუძლებელია საქონლის მთლიანად ან ნაწილობრივ უკან დაბრუნება საერთოდ ანდა იმ მდგომარეობაში, რომელშიც საქონელი იმყოფებოდა ხელშეკრულების დადების მომენტში, მაგრამ მან, მიუხედავად ამისა, მოითხოვა ხელშეკრულებიდან გასვლაანდა გამყიდველის მიერ საქონლის შეცვლა.

თუ მყიდველი დროულად არ მიიღებს ნივთს და თავის დროზე არ გადაიხდის მის ფასს, გამყიდველი ვალდებულია შეინახოს ნივთი. გამყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი ან დააკავოს გზაში მანამ, სანამ მყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

თუ მყიდველმა მიიღო ნივთი, მაგრამ კონვენციის ანდა ხელშეკრულების შესაბამისად სურს მართლზომიერად მისი უკან დაბრუნება, მან უნდა იზრუნოს ნივთის შენახვისათვის, მყიდველს უფლება აქვს დაიტოვოს ნივთი მანამდე, ვიდრე გამყიდველი არ აუნაზღაურებს შესაბამის ხარჯებს.

მხარეს, რომელიც ვალდებულია შეინახოს ნივთი, შეუძლია მეორე მხარის ხარჯზე ნივთი შეინახოს მესამე პირის საწყობში, თუ აქედან არ წარმოიშობა არათანაზომიერი ხარჯები. მხარეს, რომელიც კონვენციით დადგენილი წესების მიხედვით ინახავს ნივთს, შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით; თუ მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას, ამის შესახებ მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს. თუ ნივთი მალფუჭადია ან მას გაუფასურება მოელის, ანდა მისი შენახვა დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მხარე ვალდებულია გაყიდოს იგი კონვენციის მოთხოვნათა დაცვით. მხარე, რომელიც ნივთს ყიდის, უფლებამოსილია ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს, დარჩენილი თანხა კი უნდა გადასცეს მეორე მხარეს.

VIII თავი

საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტების წესები

(ინკოტერმსი)

საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების განსაზღვრისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სავაჭრო ჩვეულებებსა და ტრადიციებს. ასეთი ჩვეულებებისა და ტრადიციების განზოგადება და უნიფიკაცია ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს შორის კომერციული კავშირების დამყარებას. ამიტომაც მეწარმეთა (ბიზნესმენთა) ორგანიზაციები, რომლებიც შექმნილია ცალკეულ ქვეყნებში და გააჩნიათ საერთაშორისო ხასიათი, დაინტერესებულნი არიან ასეთი სახის საქმიანობის განხორციელებაში.

საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სფეროში სხვადასხვა ქვეყნის საწარმოებს შორის საქმიანი ურთიერთობების დასამყარებლად ხელსაყრელი პირობების შექმნაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთაშორისო სავაჭრო პალატის საქმიანობას. პალატა, რომელიც შეიქმნა 1919 წელს, თავისი საქმიანობის განხორციელების ძირითად მიზნად ისახავს ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობას და თანამიმდევრულად ახორციელებს ამ მიმართულებით საქმიანობას. დასახული მიზნის მიღწევის უზრუნველყოფის ძირითად საშუალებას წარმოადგენს საერთაშორისო კომერციულ სახელშეკრულებო პრაქტიკაში მეწარმეების მიერ გამოსაყენებელი რეკომენდაციების შემუშავება.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ 1936 წელს მიღებულ პირველ დოკუმენტს წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტების წესები (ინკოტერმსი). „ინკოტერმსი“ წარმოადგენს საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების (ცნებების) შემოკლებას (International Commercial Terms), რომლებსაც დიდი

პრაქტიკული გამოყენება აქვთ ნასყიდობის ხელშეკრულებაში.

ინკოტერმსის შემუშავების ძირითადი მიზეზი გახდა ცალკეულ ქვეყნებში არსებულ სავაჭრო ცნებებს შორის, ასევე ამ საკითხთან დაკავშირებული ცალკეული ქვეყნების კანონმდებლობებს შორის მკვეთრი განსხვავება. ინკოტერმსში საქონლის მიწოდების საბაზისო პირობების სტანდარტიზაციის, ასევე გამყიდველისა და მყიდველის უფლებების თვალსაჩინოდ დადგენის ძირითად მიზანს წარმოადგენს საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების დადებისას მეწარმეების მიერ აღიარებული და ხშირად გამოსაყენებელი ცნებების ერთგვაროვანი გამოყენებისა და გაგების უზრუნველყოფა.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ (მდებარეობს ქ. პარიზში) 1936 წელს მიღებულ საერთაშორისო სავაჭრო ცნებების განმარტების წესებში – ინკოტერმსი (ICC Rules for the Interpretation of Trade Terms – Incoterms), მთელი რიგი ცვლილებები იქნა შეტანილი 1953, 1967, 1976, 1980, 1990, 2000 წლებში. დღესდღეობით მოქმედებს 2000 წლის რედაქციით დადგენილი ინკოტერმსის წესები.[93]

ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისას სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების გამოყენების შესაძლებლობა გათვალისწინებულია ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით. საერთაშორისო სავაჭრო პალატასთან არსებული საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს, რომელიც წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე ავტორიტეტულ საერთაშორისო საარბიტრაჟო ინსტიტუტს და რომელიც ყოველწლიურად იხილავს ასეულობით საერთაშორისო კომერციულ დავებს, რეგლამენტით დადგენილია, რომ ყველა შემთხვევაში არბიტრები მხედველობაში ღებულობენ დავის გადაწყვეტისას კონტრაქტის პირობებსა და შესაბამის სავაჭრო ჩვეულებებს.

ინკოტერმსი წარმოადგენს მიწოდების ტერმინების განმარტების

[93] Internacionalc Chamber of Commerce – ICC 2000. http://www.vesce.com//incoterms 2000. htm.

წესების ერთობლიობას, რომელთაც ეწოდება საქონლის მიწოდების საბაზისო (სტანდარტული) პირობები. პირობითად შეიძლება გამოყოფილ იქნეს საკითხების ორი ჯგუფი, რომელთა შესახებაც ინკოტერმსში მოცემულია ერთგვაროვანი განმარტება: კომერციული და სამართლებრივი. ინკოტერმსით მოწესრიგებულია დიდი კომერციული მნიშვნელობის მქონე შემდეგი შვიდი საკითხი: ა) ფასის განსაზღვრა, რომელიც უშუალოდ დამოკიდებულია ხელშეკრულების მხარეთა მიერ შეთანხმებულ მიწოდების საბაზისო პირობაზე; ბ) საქონლის გადაზიდვასთან დაკავშირებული მოვალეობების მხარეთა შორის განაწილება; გ) მხარეთა მიერ გადასაზიდად საჭირო დოკუმენტების (გადაზიდვის ფასის გადახდის დამადასტურებელი, საბაჟო, სანიტარიული ან სხვა მომსახურების განხორციელებისათვის აუცილებელი) წარდგენის ვალდებულების განაწილება; დ) მხარეთა შორის საქონლის დაზღვევის ვალდებულების განაწილება; ე) მხარეთა შორის საქონლის სათანადოდ შეფუთვის უზრუნველმყოფი ვალდებულებების განაწილება; ვ) მხარეთა შორის საქონლის დათვალიერებისა და შემოწმების (ინსპექტირების) ვალდებულებების განაწილება; ზ) მხარეთა შორის ტვირთის გატანის ან შემოტანისათვის საჭირო საბაჟო ფორმალობების განხორციელების ვალდებულების განაწილება.

მაშასადამე, საქონლის მიწოდების საბაზისო (სტანდარტული) პირობის არჩევა განსაზღვრავს ფასს, გამყიდველსა და მყიდველს შორის საქონლის მიტანისათვის საჭირო ხარჯების განაწილების წესს, ხოლო, საბოლოო ჯამში კი, საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულების კომერციულ ეფექტურობას, რამეთუ გამყიდველისა და მყიდველისათვის თავიდანვე ცნობილია თითოეულის მიერ ნაკისრი ვალდებულებების მოცულობა.

ინკოტერმსით მოწესრიგებული სამართლებრივი საკითხები ეხება მხარეთა შემდეგ ვალდებულებებს: 1) იმ მომენტის განსაზღვრა, როდესაც გამყიდველმა ჯეროვნად შეასრულა მყიდველისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად (რაოდენობა, ზომა, წონა, ხარისხი) ნაყიდი საქონლის გადაცემის

ვალდებულება; 2) ნაყიდ საქონელზე გამყიდველისაგან მყიდველზე ნივთის შემთხვევითი დაზიანების ან განადგურების რისკის გადასვლის მომენტის განსაზღვრა; 3) მხარეთა შორის საექსპორტო და საიმპორტო ლიცენზიების მიღების ვალდებულების განაწილება.

2000 წელს ინკოტერმსში შეტანილ იქნა ოთხ ჯგუფად დაყოფილი 13 სავაჭრო ტერმინის (ცნების) განმარტების წესები. პირველ E ჯგუფში მოცემულია ერთი ტერმინი Ex Works (ფრანკო ქარხანა). მეორე F ჯგუფში მოცემულია სამი ტერმინი FCA, FOB, FAS. მესამე C ჯგუფში მოცემულია ოთხი ტერმინი, რომელთაგანაც ორი გამოიყენება საქონლის საზღვაო ანდა შიდა წყლის ტრანსპორტით გადაზიდვისას: CFR და CIF. რაც შეეხება ორ სხვა ტერმინს, CPT და CIP, ისინი გამოიყენება საქონლის ნებისმიერი სახის ტრანსპორტით გადაზიდვის დროს.

მეოთხე D ჯგუფი შეიცავს ხუთ ტერმინს. მათგან სამი DAF; DDU; DDP შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის ნებისმიერი სახის ტრანსპორტით გადაზიდვისას. დანარჩენი ორი კი DES და DEQ შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის მხოლოდ საზღვაო ანდა შიდა წყლის ტრანსპორტით გადაზიდვისას.

ინკოტერმსის ცალკეული ტერმინების (ცნებების) გამოყენება ნიშნავს არა მარტო მხარეთა შეთანხმებას საქონლის გარკვეული სახის ტრანსპორტით გადაზიდვის შესახებ, არამედ ასევე განაპირობებს გამყიდველის მიერ მყიდველისაგან სხვადასხვა სამართლებრივი ძალის მქონე საგადამზიდავო დოკუმენტების მიღებასაც; კერძოდ, საზღვაო გადაზიდვისას — ისეთი საქონელგანმკარგავი დოკუმენტი, როგორიცაა კონოსამენტი, რომლის გადაცემაც უთანაბრდება მყიდველზე ნაყიდ საქონელზე საკუთრების უფლების (ტიტულის) გადასვლას და შესაძლებლობას აძლევს მას საქონლის რეალურად მიღებამდე კონოსამენტის საფუძველზე განკარგოს იგი. სხვა სახის ტრანსპორტით გადაზიდვისას — ეს, როგორც წესი, არის ზედნადები, რომელიც არის საქონლის თანმხლები დოკუმენტი და რომლის მიხედვითაც საქონელი შეიძლება გადაეცეს მხოლოდ მასში აღნიშნულ მიმღებს და არა სხვა პირს.

განვიხილოთ თითოეული ტერმინის სამართლებრივი მნიშვნელობა:

Ex Works (ქარხანა ფრანკო – „შეთანხმებული ადგილი"). საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულების პირობა, რომლის თანახმადაც გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის მიწოდების ვალდებულება შესრულებულად ითვლება, როდესაც გამყიდველი თავის საწარმოში (ფაბრიკაში, ქარხანაში, საწყობში და ა.შ.) მყიდველს გადასცემს საქონელს ტვირთის გადაზიდვისათვის საჭირო საბაჟო მომსახურებასა და სატრანსპორტო საშუალებაზე საქონლის დატვირთვის გარეშე. მოცემული ტერმინი გამყიდველს აკისრებს მინიმალურ პასუხისმგებლობას, რამეთუ გამყიდველის საწარმოში საქონლის მიღებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და რისკი ეკისრება მყიდველს. თუკი მხარეებს სურთ დააკისრონ გამყიდველს პასუხისმგებლობა არასწორი დატვირთვისათვის გაგზავნის ადგილას, ანდა ასეთ დატვირთვასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და რისკი, მაშინ ამის შესახებ სპეციალურად უნდა იქნეს აღნიშნული ხელშეკრულებაში. გამყიდველი ასევე უნდა დაეხმაროს მყიდველს საექსპორტო ფორმალობების განხორციელებაში, თუკი ტვირთის ექსპორტი იყო ნავარაუდევი.

იმასთან დაკავშირებით, რომ გადასაზიდი საშუალების მოსვლამდე შესაძლებელი გახდა ტვირთის ცალკეული პარტიების მიღება კონტეინერებში ან სხვა საშუალებით, ინკოტერმსში 1980 წელს ჩამოყალიბებული იქნა ტერმინი FCA – Free Carrier (ფრანკო გადამზიდველი). აღნიშნული ტერმინის შეთანხმება გულისხმობს, რომ გამყიდველი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრულ ადგილას გადასცემს მყიდველის მიერ მითითებულ გადამზიდველს გადასაზიდად განბაჟებულ ტვირთს. საქონლის ჩაბარების ასეთი პუნქტი შეიძლება იყოს ან კონტეინერული ტერმინალი ანდა გადასაზიდი საშუალება, რომელიც გამიზნულია საქონლის მისაღებად მას შემდეგ, როდესაც საქონელი მოთავსებულ იქნა კონტეინერებში ერთიანი სატრანსპორტო პარტიების სახით მყიდველის ადგილსამყოფელის მიხედვით მისატანად. ამასთან, დიდი მნიშვნელობა

აქვს იმ საკითხის გადაწყვეტას, თუ ვინ აგებს პასუხს მყიდველის მიერ მიწოდებულ სატრანსპორტო საშუალებაზე საქონლის დატვირთვისათვის, ასევე საქონლის გადმოტვირთვისას იმ ადგილას, სადაც უნდა მოხდეს მისი გადაცემა გადამზიდველისათვის. საქონლის გადაცემის ადგილის არჩევას დიდი მნიშვნელობა გააჩნია ამ ადგილას საქონლის დატვირთვისა და გადმოტვირთვის ვალდებულებებთან მიმართებაში: თუ საქონლის მიწოდება ხდება გამყიდველის შენობა-ნაგებობებში (საწყობში), ის პასუხს აგებს საქონლის დატვირთვისას. სხვა რომელიმე ადგილას საქონლის მიწოდებისას, გამყიდველს არ ეკისრება საქონლის გადმოტვირთვისათვის პასუხისმგებლობა. აღნიშნული ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქონლის ნებისმიერი სახის ტრანსპორტით გადაზიდვისას, მათ შორის შერეული გადაზიდვების დროსაც. „გადამზიდველს“ წარმოადგენს პირი, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულებას კისრულობს განახორციელოს ანდა უზრუნველყოს საქონლის გადაზიდვა საავტომობილო, სარკინიგზო, საჰაერო, საზღვაო ანდა შიდა წყლის ტრანსპორტით. თუკი მყიდველი უფლებას ანიჭებს გამყიდველს მიაწოდოს საქონელი იმ პირს, ვინც არ არის გადამზიდველი, მაშინ გამყიდველის მიერ საქონლის მიწოდების ვალდებულება შესრულებულად ითვლება ასეთი პირისათვის მისი გადაცემის მომენტიდან.

ტერმინი FAS – Free Alongside Ship – ფრანკო გემის გასწვრივ („ფრანკო“ – იტალიურად, free – ინგლისურად ნიშნავს პროდუქციის მომხმარებლამდე მიტანისას სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურების წესს. მის შესაბამისად ტვირთის მოძრაობის გარკვეულ რგოლამდე მყიდველი თავისუფლდება საქონლის დატვირთვისა და ტრანსპორტირების (ზოგ შემთხვევაში დაზღვევის) ხარჯებისაგან, ვინაიდან ეს ხარჯები შესულია საქონლის ფასში), საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომელიც განსაზღვრავს ნასყიდობის ფასს ექსპორტიორსა და იმპორტიორს შორის. ამ პირობის თანახმად, ექსპორტიორი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით შეფუ-

თოს საქონელი ტრანსპორტირების პირობების გათვალისწინებით, გადაიტანოს საზღვაო პორტში და მოათავსოს გემის გასწვრივ მისადგომზე (ეს ხარჯები შედის საქონლის გაყიდვის ფასში). საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი, ასევე საკუთრების უფლება (ტიტული) ამ მომენტიდან გადადის იმპორტიორზე (მყიდველზე), რომელსაც ეკისება გადაზიდვის დანარჩენი ხარჯები (გემის დაფრახტვა, ტვირთის დაზღვევა, გემზე დატვირთვა და სხვა). FAS-ის პირობების შესაბამისად, საქონლის გადასაზიდად საჭირო ყველა საბაჟო ფორმალობები უნდა განახორციელოს გამყიდველმა.

FOR – Free on Board – „ფრანკო გემის ბორტზე", „დატვირთვის შეთანხმებული პორტი" – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი (ექსპორტიორი) იხდის ყველა სატრანსპორტო, სადაზღვევო და საბაჟო დანახარჯებს გემის ბორტზე ტვირთის დადებამდე, დატვირთვის ხარჯებს აანაზღაურებს მყიდველი (იმპორტიორი) ანდა შეთანხმების საფუძველზე ეს ხარჯები შეიძლება განაწილდეს გამყიდველსა და მყიდველს შორის. საქონლის დაზიანების ან დაკარგვის რისკი, ასევე საკუთრების უფლება (ტიტული) ექსპორტიორიდან იმპორტიორზე გადადის იმ მომენტიდან, როგორც კი ტვირთი გადაკვეთს გემის ბორტს.

ტერმინი FOB შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის გადაზიდვა ხდება საზღვაო ან შიდა წყლის სატრანსპორტო საშუალებით.

CFR – Cost and Freigt – „ღირებულება", „დაფრახტვა" საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის დროსაც საქონლის ფასი შეიცავს გაგზავნის ხარჯებს, მაგრამ არ შეიცავს სატრანსპორტო დაზღვევის ხარჯებს. ამასთან, ტვირთის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, ასევე საქონლის გადაცემის შემდეგ წარმოშობილი დამატებითი ხარჯები გამყიდველისაგან გადადის მყიდველზე.

გამყიდველი ასევე ვალდებულია საკუთარი ხარჯებით განახორციელოს საქონლის გადაზიდვისათვის საჭირო საბაჟო ფორმალობები. ტერმინი CFR შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის გადაზიდვა ხდება საზღვაო ან შიდა წყლის ტრანსპორტით.

CIF – Cost, Insurance, Freigt – ღირებულება, დაზღვევა, დაფრახტვა – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვითაც საქონლის ფასები ასახავს არა მარტო მის ღირებულებას, არამედ დაზღვევისა და დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების ხარჯებსაც. ამ პირობით მიწოდებისას გამყიდველი ვალდებულია: საკუთარი ხარჯებით გადაიტანოს საქონელი დასატვირთ პორტში, დაფრახტოს საჭირო ხომალდი ან ადგილი გემზე, მოათავსოს მასზე გადასაგზავნი ტვირთი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გადაიხადოს ტვირთის გადატანისათვის აუცილებელი საბაჟო და სხვა გადასახადები, დააზღვიოს საქონელი, გადასცეს მყიდველს ან მის წარმომადგენელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული კონოსამენტი, დაზღვევის პოლისი ან სადაზღვევო სერტიფიკატი (მოწმობა), ანგარიში და საქონლის წარმოშობის მოწმობა.

CPT – Carriage Pait to – გადაზიდვის ხარჯები გადახდილია დანიშნულების (მიტანის) შეთანხმებულ ადგილამდე – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი გადასცემს საქონელს მის მიერ შერჩეულ გადამზიდველს, ასევე იხდის დანიშნულების (მიტანის) შეთანხმებულ ადგილამდე საქონლის გადაზიდვისათვის საჭირო ხარჯებს, მყიდველზე ყველა დამატებითი ხარჯები და რისკი გადადის საქონლის გადაცემის მომენტიდან. „გადამზიდველად“ ჩაითვლება პირი, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე კისრულობს ვალდებულებას განახორციელოს ან უზრუნველყოს საქონლის გადაზიდვა ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ანდა შერეული გადაზიდვის მეშვეობით.

CIP – Carriage and Insurance Paid to – „გადაზიდვისა და დაზღვევის ხარჯები გადახდილია მიტანის (დანიშნულების) შეთანხმებულ ადგილამდე“ – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი გადასცემს საქონელს მის მიერ შერჩეულ გადამზიდველს, ასევე იხდის დანიშნულების (მიტანის) შეთანხმებულ ადგილამდე გადაზიდვისათვის საჭირო ხარჯებს, მათ შორის დაზღვევის ხარჯებსაც. საქონლის გადაცემის შემდეგ ყველა რისკი და დამატებითი ხარჯები ეკისრება მყიდველს.

CIP-ის თანახმად, გამყიდველმა უნდა დააზღვიოს მყიდველზე ნაყიდ საქონელზე შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი გადაზიდვის მთელი დროის განმავლობაში. შესაბამისად, გამყიდველმა ამ მიზნით უნდა დადოს დაზღვევის ხელშეკრულება და გადაიხადოს სადაზღვევო პრემია. მყიდველმა მხედველობაში უნდა იქონიოს, რომ CIP-ის პირობების მიხედვით გამყიდველი ვალდებულია განახორციელოს მხოლოდ მინიმალური დაკმაყოფილების დაზღვევა. თუკი მყიდველს სურს შემდგომში გააჩნდეს მთელი მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, ის ამის შესახებ უნდა შეუთანხმდეს გამყიდველს ანდა თვითონ დადოს დაზღვევის ხელშეკრულება იმ თანხაზე, რომელიც აღემატება მინიმალური დაკმაყოფილების ოდენობას. „გადამზიდველი“ შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელიც გადაზიდვის ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს ან ორგანიზებას უკეთებს საქონლის გადაზიდვას ნებისმიერი სახის სატრანსპორტო საშუალებით ანდა შერეული გადაზიდვის ფორმით. იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის გადაზიდვა ხორციელდება ერთმანეთის მიმდევარი გადამზიდველების მიერ, შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი მყიდველზე გადადის საქონლის პირველი გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტიდან. საბაჟო მომსახურების ხარჯების გადახდა ეკისრება გამყიდველს.

DAF – Delivered af Frontier – „საქონლის მიწოდება საზღვარზე პუნქტის მითითებით“ – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათ-

ვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვითაც, გამყიდველი ახორციელებს საქონლის მიწოდებას მყიდველის განკარგულებაში იმ სატრანსპორტო საშუალების გადაცემით, რომელზეც იმყოფება საქონლის გადატანისათვის საჭირო საბაჟო პროცედურების გავლილი ტვირთი, მაგრამ, რომელსაც არ გაუვლია საქონლის შესატანად საჭირო საბაჟო შემოწმება, საზღვარზე შეთანხმებულ პუნქტში ან ადგილას, მაგრამ მეზობელი ქვეყნის საბაჟო საზღვრამდე.

ტერმინ „საზღვარში" იგულისხმება ნებისმიერი საზღვარი, მათ შორის საქონლის გატანის ქვეყნის საზღვარი. ამიტომაც DAF-ის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი საზღვრის განსაზღვრას კონკრეტული ადგილის ან პუნქტის მითითების გზით. თუკი მხარეებს სურთ, რომ ჩამოსული სატრანსპორტო საშუალებიდან საქონლის ჩამოტვირთვისათვის პასუხისმგებლობა, ასევე მთელი ჩამოტვირთვის ხარჯები დაეკისროს გამყიდველს, მაშინ ისინი ამის შესახებ უნდა შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებით.

ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერ შემთხვევაში, როდესაც საქონლის გადაცემა ხდება სახმელეთო საზღვარზე. იმ შემთხვევაში კი, თუკი საქონლის გადაცემა ხდება დანიშნულების ნავსადგურში (პორტში) ხომალდის ბორტიდან ან მისადგომიდან, მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს ტერმინი DES.

DES – Delivered ex Ship – „გემიდან (ხომალდიდან) მიწოდება დანიშნულების პორტის (ნავსადგურის) მითითებით" – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც დანიშნულების ნავსადგურში შესული ხომალდის ბორტზე საქონელი გადავა მყიდველის განკარგულებაში. მაგრამ ტვირთი არ არის ჯერ განბაჟებული იმისათვის, რომ მოხდეს შეტანა. დანიშნულების ნავსადგურში ტვირთის მიტანის ყველა ხარჯი (გარდა ტვირთის გადმოტვირთვისა) ეკისრება გამყიდველს. DES გამოიყენება მხ-

ოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის გადაზიდვა ხდება საზღვაო ან შიდა წყლის ტრანსპორტით დანიშნულების ნავსადგურში ტვირთის მიტანისას.

DEQ – Delivered ex Quat – „გემის გასწვრივ მისადგომიდან მიწოდება დანიშნულების ნავსადგურის მითითებით“ – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის თანახმადაც გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველი დანიშნულების ნავსადგურში გემის გასწვრივ სადგომზე მყიდველს გადასცემს ჯერ კიდევ განუბაჟებელ საქონელს. დანიშნულების ნავსადგურში საქონლის მიტანის ყველა ხარჯი, მათ შორის გემის მისადგომის გასწვრივ საქონლის გადმოტვირთვის ხარჯები ეკისრება გამყიდველს. DEQ თანახმად, საქონლის განბაჟებისა და სხვა მსგავსი მომსახურების ხარჯები, რომელიც საჭიროა საქონლის შეტანისათვის, ეკისრება მყიდველს.

თუკი მხარეებს სურთ, რომ განბაჟების ან სხვა მსგავსი მომსახურების ხარჯები დაეკისროს მთლიანად ან ნაწილობრივ გამყიდველს, ისინი ამის შესახებ ცალკე უნდა შეთანხმდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებაში. ეს ტერმინი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი საქონლის გადაზიდვა ხდება საზღვაო ან შიდა წყლის ტრანსპორტით დანიშნულების ნავსადგურში გემის მისადგომის გასწვრივ ტვირთის გადმოტვირთვამდე, თუკი მხარეებს სურთ, რომ გამყიდველს დაეკისროს იმ ხარჯების გადახდაც, რომელიც წარმოიშობა საქონლის გადატანისას ნავსადგურის ფარგლებს გარეთ სხვა ადგილას (საწყობი, ტერმინალი, სადგური და ა.შ.), მაშინ გამოყენებულ უნდა იქნეს ტერმინი DDU ანდა DDP. DDU – Delivered Duty Unpaid – „მიწოდება მოსაკრებლის (გადასახადის) გადახდის გარეშე დანიშნულების ადგილის მითითებით“ – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის მიხედვითაც გამყიდველი ვალდებულია მიაწოდოს

მყიდველს დანიშნულების ადგილას მიტანილი განუბაჟებელი და სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოუტვირთავი საქონელი. გამყიდველმა უნდა გასწიოს როგორც საქონლის გადაცემისათვის საჭირო ხარჯები, ისე საქონლის შემოტანისათვის დადგენილი ყველა საბაჟო ანდა მსგავსი სახის – „any duty“ მოსაკრებელი და გადასახადი. მყიდველზე რისკი და ყველა სხვა დამატებითი ხარჯები გადადის გამყიდველის მიერ მისთვის დანიშნულების ადგილას საქონლის ჩაბარების მომენტიდან.

DDP – Delivered Duty Paid – „მიწოდება დანიშნულების ადგილას მოსაკრებლების (გადასახადის) გადახდით“ – საგარეო ვაჭრობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების პირობა, რომლის თანახმადაც, გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონელი გადაცემულად ჩაითვლება იმ მომენტიდან, როდესაც გამყიდველი მყიდველს დანიშნულების ადგილას გადასცემს განბაჟებულ, მაგრამ სატრანსპორტო საშუალებიდან გადმოუტვირთავ საქონელს. გამყიდველს ეკისრება ასეთ გადაცემასთან დაკავშირებული ყველა ხარჯი და რისკი, მათ შორის დანიშნულების ქვეყანაში საქონლის შეტანისას დადგენილი საბაჟო და სხვა მსგავსი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდა. გამყიდველს ტერმინ DDU დროს ეკისრება მინიმალური ვალდებულებები, ხოლო DDP დროს კი – მაქსიმალური ვალდებულებები.

მოცემული ტერმინი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული, თუკი გამყიდველს პირდაპირ ან არაპირდაპირ არ შეუძლია უზრუნველყოს საიმპორტო ლიცენზიის მიღება. იმ შემთხვევაში, თუკი მხარეებს სურთ, რომ გამყიდველს არ დაეკისროს რომელიმე ხარჯის გადახდა საქონლის შემოტანისას (მაგალითად, დამატებითი ღირებულების გადასახადი), ეს ნათლად უნდა იკვეთებოდეს ნასყიდობის ხელშეკრულებაში შესაბამისი დამატებიდან.

ინკოტერმსის გამიჯვნა 1980 წლის „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“ ვენის კონვენციისაგან

ინკოტერმსის, როგორც საერთაშორისო ნასყიდობის ურთიერთობების არანორმატიული რეგულირების მეთოდის, ფართოდ გავრცელების კიდევ ერთ განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს მისი ურთიერთქმედება მსოფლიოში აღიარებულ სხვადასხვა კონვენციასა და პრინციპებთან, რამდენადაც მასში მოცემული პირობების დამატებითი რეგულირება და ამ პირობების შესრულების გარანტიები მოცემულია აღნიშნულ ნორმატიულ აქტებში. ამდენად, საერთაშორისო კერძო სამართალში რეგულირების ნორმატიული და არანორმატიული მეთოდები გამოიყენება ურთიერთმიმართებით.

მაგალითად განვიხილავთ ინკოტერმსის ურთიერთქმედებას საერთაშორისო ურთიერთობებში აღიარებულ ისეთ მნიშვნელოვან კონვენციასთან, როგორიცაა ვენის 1980 წლის კონვენცია „საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა შესახებ“.

აღნიშნული კონვენციის ცალკეულ მუხლებში რეგულირებული გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებები უფრო ზუსტად და მკაფიოდ წესრიგდება ინკოტერმინების ცალკეული პირობებით. მაგალითად, 1980 წლის კონვენციის 31-ე მუხლით განსაზღვრულია გამყიდველის საქონლის მიწოდების ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის სამი შემთხვევა,[94] ინკოტერმსის გამოყენებით კი

---

[94] "ა) თუ ნასყიდობის ხელშეკრულება ითვალისწინებს საქონლის გადაზიდვას – გადასცეს საქონელი პირველსავე გადამზიდველს მყიდველისათვის ჩასაბარებლად;

ბ) იმ შემთხვევებში, რომლებიც არ ექვემდებარება წინა პუნქტის მოქმედებას, როცა ხელშეკრულება ეხება გარკვეული ინდივიდუალური თვისებების მქონე საქონელს ან ისეთ არაინდივიდუალიზებულ საქონელს, რომელიც აღებული უნდა იყოს გარკვეული მარაგიდან ან დამზადებული ან წარმოებულ უნდა იქნეს და მხარეებმა ხელშეკრულების დადების მომენტში იცოდნენ, რომ საქონელი ინახება ან წარმოებულ, ან დამზადებულ უნდა იქნეს გარკვეულ ადგილზე – მყიდველს მის განკარგულებაში უნდა გადასცეს საქონელი ამ ადგილზე;

გ) სხვა შემთხვევებში იგი ვალდებულია მყიდველს მის განკარგულებაში გად-

მხარეებს შეუძლიათ მათი ურთიერთობის თავისებურებათა გათვალისწინებით, ამოირჩიონ მიწოდების შესაბამისი პირობა, რითაც დააზუსტებენ ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ მთელ რიგ იურიდიულ და კომერციულ საკითხებს.

ამავე კონვენციის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გამყიდველის ვალდებულებები, ინკოტერმსში რეგულირდება ცალ-ცალკე პუნქტებში:

ა) გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის გადაცემის ვალდებულება, ინკოტერმინების შემდეგი პირობებითაა დაზუსტებული – 1. კონვენციის 31-ე მუხლით განსაზღვრულ გამყიდველის საქონლის მიწოდების ვალდებულების შესრულების მომენტად ინკოტერმსში EX Works-ის ა.1 მუხლით მიჩნეულია გამყიდველის მიერ მყიდველისათვის საქონლის გადაცემა თავისსავე საწარმოში, „F“ და „C“ ჯგუფის ტერმინების ა.1 მუხლით – საქონლის გადამზიდველისათვის გადაცემა, ხოლო „D“ ჯგუფის ტერმინების ა.1 მუხლით კი – მყიდველის განკარგულებაში საქონლის შეთანხმებულ დანიშნულების პუნქტში გადაცემა; 2. კონვენციის 32-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებს „C“ ჯგუფის ტერმინების; ა.4. მუხლი აზუსტებს გამყიდველზე საქონლის მყიდველისათვის გადაცემის იურიდიულად უზრუნველყოფის ვალდებულების დაკისრებით, „D“ ჯგუფის ტერმინების; ა.4. მუხლი კი – გამყიდველზე საქონლის შეთანხმებულ ადგილას და შეთანხმებული პირობებით ფაქტობრივად მიწოდების ვალდებულების დაკისრებით; 3. 32-ე მუხლის 1-ლი პუნქტი აისახება ინკოტერმსის განსაზღვრული ტერმინების ა.7. მუხლით, გამყიდველის მყიდველისათვის შესაბამისი შეტყობინების გადაცემის ვალდებულებაზე მითითებით; 4. 33-ე მუხლის წესი მიწოდების ვადასთან დაკავშირებით კონკრეტიზდება ინკოტერმინების ა.4. და ბ.4 მუხლებში, მაგალითად FOB და FAS, ასევე CIF ან CIP ტერმინების თანახმად მიწოდების თარიღად მიიჩნევა კონოსა-

---

ასცეს საქონელი იმ ადგილზე, სადაც ხელშეკრულების დადების მომენტში იმყოფებოდა გამყიდველის კომერციული საწარმო.“

მენტში აღნიშნული თარიღი, DDU და DDP ტერმინებით კი – შეთანხმებული თარიღი ან პერიოდი, რომლის განმავლობაშიც უნდა მოხდეს საქონლის წარდგენა მყიდველის განკარგულებაში დანიშნულების პუნქტში.

ბ) ვენის კონვენციის 30-ე მუხლით გათვალისწინებული გამყიდველის კიდევ ერთი ვალდებულება, რომელიც შეეხება მყიდველისათვის საქონელთან დაკავშირებული დოკუმენტების გადაცემას, ინკოტერმსში მოცემულია ა.2, ა.8 და ა.10 მუხლებში.

დ) რაც შეეხება კონვენციის იმავე მუხლით გათვალისწინებულ გამყიდველის მყიდველისათვის საქონელზე საკუთრების უფლების გადაცემის ვალდებულებას, იგი არც კონვენციით წესრიგდება დეტალურად და არც ინკოტერმსი ეხება მას.

ვენის 1980 წლის კონვენციაში მოცემული მყიდველის ვალდებულებები, გამყიდველის ვალდებულებებისაგან განსხვავებით, ინკოტერმსში არაერთგვაროვნადაა ასახული. მაგალითად, კონვენციის 53-ე-59-ე მუხლებით რეგულირებული ვალდებულება საქონლის ფასის გადახდასთან დაკავშირებით, ინკოტერმსის ბ.1 მუხლში ასახულია ზოგადად. საერთოდ კი, ანგარიშსწორების ცალკეულ ფორმებსა და მათი განხორციელების გარანტიებს ეძღვნება საერთაშორისო სავაჭრო პალატის მიერ შემუშავებული 10 პუბლიკაცია[94!], რომლებიც უზრუნველყოფენ მათ ერთმნიშვნელოვან სამართლებრივ რეგულირებას საერთაშორისო ყიდვა-გაყიდვისას.

ინკოტერმსის ცალკეულ ტერმინებში შედარებით დაწვრილებითაა განსაზღვრული კონვენციის მე-60 მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული აუცილებელი ფაქტობრივი თუ იურიდიული მოქმედებების შესრულების ვალდებულების ცალკეული ასპექტები, რაც გამყიდველს აძლევს მიწოდების განხორციელების საშუალებას: 1. ინკოტერმინების ბ.2 მუხლით მყიდველს ეკისრება ორი ვალდებულება – საიმპორტო ლიცენზიის ან მსგავსი ოფიციალური

[94!] ზ. ძლიერიშვილი, ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, თბ., 2006. გვ. 160.

ნებართვის მიღება და ყველა იმ საბაჟო ფორმალობის შესრულება, რაც აუცილებელია საქონლის შესატანად და მისი მესამე ქვეყნის გავლით ტრანზიტისათვის; 2. ბ.3 მუხლი მყიდველს აკისრებს გადაზიდვის ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებას („E" და „F" ჯგუფის ტერმინებით); 3. ბ.6 მუხლი კი მყიდველს განუსაზღვრავს მთელი რიგი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულებას: – ხარჯები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას საქონლის მისთვის გადაცემის მომენტიდან; ხარჯები, რომლებიც შეიძლება წარმოიშვა უკვე მყიდველის კონტროლის სფეროში წამოჭრილი მიზეზებით, ე.წ. დამატებითი ხარჯები; 4. უნდა აღინიშნოს, რომ ბ.6 მუხლის თანახმად თითქმის ყველა ტერმინში (გარდა DDU-სი) მყიდველის ვალდებულებებში შედის აუცილებელი გადასახადების, ბაჟისა და სხვა ოფიციალური მოსაკრებლების გადახდა, ასევე საქონლის შესატანად და მისი მესამე ქვეყნის გავლით სატრანზიტო გადაზიდვისათვის საჭირო საბაჟო ფორმალობების ხარჯების ანაზღაურებაც; 5. ბ.7 მუხლით მყიდველს ეკისრება გამყიდველისათვის სათანადო შეტყობინების მიწოდების ვალდებულება (მაგალითად, FOB და DAS ტერმინებით); 6. ბ.8 მუხლით – შესაბამისი ტერმინის ა.8 მუხლით განსაზღვრული სატრანსპორტო თუ მიწოდების შესრულების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტის მიღების ვალდებულება; 7. ბ.9 მუხლით – საქონლის დატვირთვისწინა დათვალიერების ხარჯები, მათგან გამონაკლისია ექსპორტის ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ მოთხოვილი დათვალიერების ჩატარების ხარჯები; 8. ბ.10 მუხლით – შესაბამისი ტერმინების ა.10 მუხლში მითითებულ დოკუმენტების მიღებასთან დაკავშირებული ხარჯებისა და მოსაკრებლების გადახდა.

ინკოტერმსის ა.5 და ბ.5 მუხლებში კი ასახულია ამავე კონვენციის 36-ე მუხლით გათვალისწინებული ისეთი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხი, როგორიცაა საქონლის ნებისმიერ შეუსაბამობაზე გამყიდველის პასუხისმგებლობა რისკის მყიდველზე გადასვლის მომენტამდე, სადაც რისკის გადასვლის მომენტი ემთხ-

ვევა გამყიდველის მიერ საქონლის მყიდველისათვის გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტს.

ყურადღება გამახვილებულია ასევე ინკოტერმსისა და ვენის კონვენციის ურთიერთქმედების კიდევ ორ ასპექტზე: პირველ რიგში, აღსანიშნავია, რომ სწორედ კონვენცია განსაზღვრავს ინკოტერმსით გათვალისწინებული გამყიდველისა და მყიდველის ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგებს, მეორეც, იგი არეგულირებს ასეთი შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველსაც. ვენის კონვენციის 72-ე-80-ე მუხლების გამოყენებისას სწორი ორიენტაციისათვის კი სსპ-ის მიერ გამოცემულ იქნას პუბლიკაცია „ფორსმაჟორული გარემოებები“.[95,96]

[95] სსპ-ის პუბლიკაცია №421 E.

[96] Вилкова Н.Г. Договорное право в международном обороте. М., 2002. с. 239-242.

გაცვლის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

I თავი

გაცვლის ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება

გაცვლის ხელშეკრულება არის სამოქალაქო საართლის ერთერთი უძველესი ინსტიტუტი. „ნივთების სამართლებრივ ბრუნვას ადგილი ჰქონდა ფულის, როგორც გაცვლის საყოველთაო საშუალების წარმოშობამდეც და წარმოადგენდა ნივთის ნივთზე უშუალოდ გადაცვლას. (ე.წ. გაცვლა). ეს შეესაბამებოდა იმ საზოგადოების ზოგად ეკონომიკურ პირობებს, რომელიც ეს-ესაა გადავიდა ნატურალური მეურნეობიდან გაცვლით მეურნეობაზე".[97]

გაცვლის ხელშეკრულების (permutatio), როგორც ნასყიდობის ხელშეკრულების (emptio et venditio) წინამორბედის დიდი სამართლებრივი მნიშვნელობა აღინიშნებოდა ჯერ კიდევ ძველი რომაელი იურისტების მიერ. ფულის, როგორც გაცვლის საყოველთაო საშუალების წარმოშობამდე, ხდებოდა საქონლის ურთიერთგაცვლა.

თუმცა კი ფულის, როგორც ნივთის გასაყიდი ფასის (fretium) განმსაზღვრელი საშუალების წარმოშობის შემდეგაც ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებიც ხორციელდებოდა მანციპაციის საშუალებით, არსებითად წარმოადგენდნენ განსაზღვრული ნივთის გაცვლას განსაზღვრული რაოდენობის ლითონზე. ასეთი გარიგებები წარმოადგენდნენ ნივთის რეალურ გადაცემას მისი ფულად ფასზე გაცვლის საშუალებით ხუთი მოწმის თანდასწრებითა და იმ პირის დახმარებით, რომელიც ახორციელებდა ლითონის ზოდების აწონვას. ამასთან თავდაპირველად ერთ-ერთი მხარის მიერ მეორისათვის გადასაცემი ლითონის აწონვა ხდებოდა რეალურად.

---

[97] Новицкий И.Б. Римское право, 4-е изд. М., 1993. с. 176.

მხოლოდ უფრო მოგვიანებით, როდესაც ბრუნვაში შემოვიდა მოჭრილი ლითონის მონეტები და სასაქონლო ბრუნვის განვითარებასთან ერთად აწონვა გახდა სიმბოლური აქტი, მანციპაცია გადაიქცა ფიქტიურ გარიგებად.[98]

როგორც აღნიშნავს ი. პოკროვსკი, რომაელები ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაცვლისა და გადახდის საშუალებად იყენებდნენ საქონელს (პირუტყვს) – pecus, ხოლო უფრო მოგვიანებით კი მათ დაიწყეს ლითონის, უფრო ზუსტად კი სპილენძის (aes) გამოყენება, საიდანაც წარმოიშვა სიტყვა შეფასება (aestimatio). მაგრამ სპილენძი ბრუნვაში ფიგურირებდა ზოდების სახით (aes rude, rauducsculum), რის შედეგადაც ნებისმიერ გარიგებაში საჭირო ხდებოდა როგორც ზოდის შემადგენლობის ხარისხის შემოწმება, აგრეთვე ზოდის წონის დადგენა. ხარისხის განსაზღვრა ხდებოდა იმ ხმის გამოცემით, რომელიც მიიღებოდა სპილენძის ზოდის რომელიმე სხვა ნივთზე დარტყმის შედეგად, ხოლო სპილენძის ზოდის წონის დადგენა კი ხდებოდა აწონის საშუალებით (აქედან წარმოიშვა dependere – გადახდა, expendere – ანაზღაურება, ზმნისაგან pendare – აწონა)[99]. აქედან აღმოცენდა გარიგებები სპილენძისა და სასწორის მეშვეობით (ე.წ. negotia per aes et libram). მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ ჩნდება მონეტები.

მხოლოდ კლასიკური პერიოდის რომის სამართალში შეიძინა ნასყიდობის ხელშეკრულებამ (emptio et venditio) კონსენსუალური ხასიათი. ამასთან ერთად, როცა ფული, როგორც გაცვლის საყოველთაო საშუალება ჯერ კიდევ არ არსებობდა, სამოქალაქო და საჯარო ბრუნვა შემოიფარგლებოდა ნივთის ნივთზე უშუალოდ გაცვლით. „მესამე საუკუნის ცნობილი რომაელი იურისტ პავლიუსს, მოჰყავდა რა მაგალითად საბინიანებისა და პროკულიანსებს[100] შორის დავა იმის შესახებ – „შეიძლება თუ არა რომ

---

[98] Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского. М., 1996. с. 187.

[99] Покровский И. А. „История Римского права“ СПБ. 1998. с. 51.

[100] საბინიანური სკოლის იურისტები (საბინი, კასიუსი) ასეთ ხელშეკრულებას

ნასყიდობის ხელშეკრულება ეწოდოს ხელშეკრულებას, რომლითაც ერთი მხარე ვალდებულებას კისრულობს გადასცეს მეორე მხარეს რაიმე ნივთი არა ფულის მიღების სანაცვლოდ, არამედ სხვა ნივთის სანაცვლოდ, არ საუბრობს უპირობოდ და კატეგორიულად, რომ ასეთი სახის ხელშეკრულება არ არის ნასყიდობის ხელშეკრულება, არამედ აღნიშნავს, რომ საკითხი საკამათოა".

საბოლოო ჯამში გაიმარჯვა იმ მოსაზრებამ, რომ ნივთის გაცვლა არა ფულზე, არამედ სხვა ნივთზე, არ შეესაბამება ნასყიდობის არსს („ერთია გაყიდო, მეორეა – იყიდო; ჩვენ ვანსხვავებთ გამყიდველსა და მყიდველს; ამიტომაც უნდა განვასხვავოთ საქონელი – merx და საფასური – ფასი pretium").[101]

მიუხედავად იმისა, რომ გაცვლის ხელშეკრულება ისტორიულად უფრო ადრე აღმოცენდა, ვიდრე ნასყიდობის ხელშეკრულება, გაცვლის ხელშეკრულებამ, როგორც დამოუკიდებელმა ხელშეკრულებამ კანონმდებლობაში თავისი ადგილი დაიკავა ნასყიდობის ხელშეკრულებასთან შედარებით უფრო მოგვიანებით. ქონების ურთიერთგაცვლა გაცილებით ნაკლებ სამართლებრივ ზეგავლენას განიცდიდა, ვიდრე ფულადი ბრუნვა. აღნიშნული გარემოების შედეგად რომის სამართლის კლასიკურ კონტრაქტებს შორის (ჩვ. წ. აღრ. II საუკუნე), გაცვლის ხელშეკრულებამ (permutatio) ვერ დაიმკვიდრა სათანადო ადგილი, ხოლო მოგვიანებით კი, როდესაც გაცვლის ხელშეკრულება გახდა დამოუკიდებელი ხელშეკრულება, კანონმდებლობა მის მოსაწესრიგებლად ადგენდა მხოლოდ მცირე რაოდენობის სამართლებრივ ნორმებს.

ის გარემოება, რომ გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების წესები, ცნობილია თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაშიც. მაგალითად,

---

მიიჩნევდნენ ნასყიდობის ხელშეკრულებად: ისინი თვლიდნენ, თუკი პირი ყიდის მიწის ნაკვეთს და ნივთის საფასურად ღებულობს მონას, მათ შორის აღმოცენებული ურთიერთობა გულისხმობს ნასყიდობას, რამეთუ გაყიდულია მიწის ნაკვეთი, ხოლო საფასურად მიღებულია მონა. [იხ. 50 სქოლიო, გვ. 139).

[101] Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996. с. 424.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში გაცვლის ხელშეკრულება გამოყოფილია ცალკე ქვეთავად (წიგნი II, „ვალდებულებითი სამართალი“, მეშვიდე თავი „ვალდებულების ცალკეული სახეები“, „ქვეთავი IV „გაცვლა“ თავი I „ნასყიდობა, გაცვლა“), რაც ადასტურებს მის დამოუკიდებელ ბუნებას ნასყიდობის ხელშეკრულებასთან მიმართებით. თუმცა კი გსჯ-ში გაცვლის ხელშეკრულებას ეთმობა მხოლოდ ერთი პარაგრაფი, სახელდობრ გსჯ-ის 515-ე პარაგრაფის თანახმად, „გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის ხელშეკრულების წესები“.[102]

სამოქალაქო სამართლის ბოლო კოდიფიკაციებში გაცვლის ხელშეკრულებასთან მიმართებით გამოკვეთილია ნათლად ის ტენდენციები, რომლებიც მიმართულია: უპირველეს ყოვლისა, გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი სამართლებრივი ბუნების დასამტკიცებლად ნასყიდობასთან მიმართებით; მეორე მხრივ, იმ სპეციალური ნორმების გაზრდისაკენ, რომლებიც გამიზნულია გაცვლის ხელშეკრულების რეგულირებისათვის და რომლებიც გამორიცხავენ ნასყიდობის მომწესრიგებელი შესაბამისი ნორმების მოქმედებას.

აღნიშნულის დასადტურებლად მოვიყვანოთ კვებეკის (კანადის პროვინცია სამოქალაქო სამართლის კონტინენტური სისტემით) და ჰოლანდიის ახალი სამოქალაქო კოდექსების შესაბამისი ნორმები. კვებეკის სამოქალაქო კოდექსში გაცვლის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია მე-5 წიგნში „ვალდებულებების შესახებ“, თავი I „ნასყიდობა“, §1. „გაცვლა“. აღნიშნული ნორმების შესაბამისად, გაცვლის ხელშეკრულება არის დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომლითაც მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე (გარდა ფულისა) საკუთრების ურთიერთგადაცემა (1795-ე მუხლი). თუ გაცვლის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მის მიმართ გამოიყენება ნასყიდობის წესები. ამასთან კვებეკის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულრია ორი შემთხვევა, როცა გაცვლის მიმართ გამოირიცხება ნასყიდობის წესების გამოყენების

---

[102] Германское право. Часть I. Гражданское уложение. М., 2004 г. с. 106.

შესაძლებლობა და ამის ნაცვლად დადგენილია სპეციალური წესები, რომლებიც აწესრიგებენ გაცვლის ხელშეკრულებიდან აღმოცენებულ სამართლებრივ ურთიერთობებს.

პირველი სპეციალური ნორმის არსი იმაში მდგომარეობს, რომ გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ქონების მიღების შემდეგაც კი თუკი დაამტკიცებს, რომ მეორე მხარე არ იყო გადაცემული გასაცვლელი ქონების მესაკუთრე, იგი უფლებამოსილია არ გადასცეს მეორე მხარეს ქონება, თუმცა კი ვალდებულია უკან დააბრუნოს მიღებული ქონება.

მეორე სპეციალური ნორმის არსი ისაა, რომ გაცვლის ხელშეკრულების, ის მხარე, რომლისგანაც მოხდა ევიქციის წესით იმ ქონების ამოღება, რომელიც მიღებული ჰქონდა გაცვლის ხელშეკრულების საფუძველზე, უფლებამოსილია მოითხოვოს ან სანაცვლოდ გადაცემული ქონების უკან დაბრუნება, ან მიყენებული ზიანის ანაზღაურება(1796, 1797-ე მუხლები).[103]

ჰოლანდიის ახალ სამოქალაქო კოდექსში (წიგნი მე-7 „ხელშეკრულების განსაკუთრებული სახეები“) მოცემულია განყოფილება I „ნასყიდობა და გაცვლა“, სადაც გვხვდება სპეციალური თავი, რომელიც ეძღვნება გაცვლის ხელშეკრულებას (თავი 11, „გაცვლა“). ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში არის ორი ნორმა, რომლებიც აწესრიგებენ გაცვლის ხელშეკრულებას; 1) 49-ე მუხლის თანახმად, გაცვლის ხელშეკრულებით მხარეები კისრულობენ ვალდებულებას გადასცენ ერთმანეთს ნივთი მეორე ნივთის ნაცვლად; 2) 50-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის წესები გაცვლის მიმართ გამოიყენება იმის გათვალისწინებით, რომ გაცვლის ხელშეკრულების თითოეული მხარე განიხილება იმ ქონების გამყიდველად, რასაც ცვლის და იმ ქონების მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს.[104]

---

[103] Гражданский кодекс Квебека (пер. с англ. и фр.). М., 1999, Серия "Современное зарубежное и международное частное право" – с. 275.

[104] Гражданский кодекс Нидерландов. Кн. 2, 3, 5, 6 и 7 /отв. ред. Ф. И. Фельдбрюге. Лейден, 1996, с. 348.

II თავი

გაცვლის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე მუხლის შესაბამისად, გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემა. გაცვლის ხელშეკრულებით ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გაცვლის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური ნორმების არსებობა (თუნდაც მცირერიცხოვანი), ადასტურებს იმას, რომ კანონმდებლის დამოკიდებულება გაცვლის მიმართ, როგორც დამოუკიდებელი ხელშეკრულებისა, არის არა მხოლოდ პატივის მიგება მრავალსაუკუნოვანი ცივილისტიკური ტრადიციისადმი, არამედ ასევე გაცვლის ხელშეკრულებიდან აღმოცენებული სამართლებრივი ურთიერთობების დეტალური მოწესრიგება მათი თავისებურებების გათვალისწინებით.

სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებებს შორის გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ხასიათი, შესაძლებლობას გვაძლევს ცალკე გამოვყოთ ამ ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშან-თვისებები, რომლითაც იგი განსხვავდება ყველა სხვა ტიპის სახელშეკრულებო ვალდებულებებისაგან, მათ შორის გაცვლასთან ყველაზე ახლოს მდგომი ნასყიდობის ხელშეკრულებისგან. გაცვლის ხელშეკრულების ძირითადი ნიშნებია:

1) უპირველეს ყოვლისა, გაცვლის ხელშეკრულება მიეკუთვნება ქონების გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებს (ამ ხელშეკრულებებს მიეკუთვნება აგრეთვე ნასყიდობა, ჩუქება, სესხი, სამისდღემჩიო რჩენა, ქირავნობა, იჯარა და სხვა) და ამით განსხვავდება სამუშაოს შესრულების (ნარდობა), მომსახურების გაწევის (დავალება, შუამავლობა და სხვ.) და სადამფუძნებლო ხელშეკრულებებისაგან (ერთობლივი საქმიანობის-ამხანაგობის ხელშეკრულება).

2) მეორე მხრივ, გაცვლის ხელშეკრულებით გარკვეული ქონების გადაცემა ხდება მხარეთა საკუთრებაში. ამით გაცვლის ხელშეკრულება განსხვავდება ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებისაგან (იჯარა, ქირავნობა და სხვ.).

3) მესამე მხრივ, გაცვლის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ ხდება თითოეული მხარის მიერ მეორისათვის შემხვედრი დაკმაყოფილების გადაცემა. ამით გაცვლა განსხვავდება ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულებისაგან (ჩუქება).

4) მეოთხე მხრივ, გაცვლის ხელშეკრულება მართალია, არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, მაგრამ განსხვავდება ქონების საკუთრებაში სასყიდლით გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა ნასყიდობა და სესხი. სსკ-ის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. მაშასადამე, ნასყიდობის ხელშეკრულებით შემხვედრი დაკმაყოფილება ხდება ფულის გადახდის გზით. სსკ-ის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი. მაშასადამე, სესხის ხელშეკრულებით შემხვედრი დაკმაყოფილება ხდება იმავე რაოდენობის ფულადი თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის დაბრუნებით.

რაც შეეხება გაცვლის ხელშეკრულებას, ამ დროს ხდება ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემა. გაცვლის ხელშეკრულებით პრინციპში გამორიცხულია, როგორც უკან ისეთივე ნივთის დაბრუნება, რაც გადაცემული იყო, ასევე ნივთის ღირებულების ანაზღაურება, როგორც ამას ადგილი აქვს შესაბამისად სესხისა და ნასყიდობის დროს. ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემა

წარმოადგენს გაცვლის ხელშეუკრულების საგნის თავისებურებას და წარმოადგენს უპირობო კრიტერიუმს იმისა, რომ მოხდეს გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელი ბუნების გამოყოფა სახელშეკრულებო ვალდებულებებს შორის.

5) მეხუთე მხრივ, გაცვლის ხელშეკრულების კიდევ ერთ ნიშანს, რითაც იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის სხვა ხელშეკრულებებისგან წარმოადგენს გასაცვლელ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტი. როგორც ცნობილია, საერთო წესის მიხედვით მოძრავი ნივთის შემძენზე საკუთრების უფლება გადადის ნივთის გადაცემის მომენტიდან (სსკ-ის 186-ე მუხლი). საკუთრების უფლების გადასვლის მომენტი არაფრით არ არის დაკავშირებული კონტრაგენტის მხრიდან, რომელმაც ნივთი მიიღო საკუთრებაში, ნივთის საფასურის გადახდის ვალდებულების შესრულებასთან.

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სპეციალური წესი, რომელიც განსაზღვრავს გარკვეულ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის მომენტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება არა მხოლოდ ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებისაგან, არამედ ასევე სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების შესახებ ზოგადი დებულებებისაგან. ამ სპეციალური წესის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაცვლის ხელშეკრულებაში მხარეებს გაცვლილ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობათ ერთდროულად მას შემდეგ, რაც ქონებაზე საკუთრების ურთიერთგადაცემის ვალდებულება ორივე მხარემ შეასრულა (სსკ-ის 521-ე მუხლის 1-ლი ნაწილი).

გაცვლის ხელშეკრულება წარმოადგენს კონსესუალურ, სასყიდლიან და ორმხრივ მავალდებულებელ (სინალაგმატურ) ხელშეკრულებას.

გაცვლის ხელშეკრულება კონსენსუალურია, რამეთუ იგი დადებულად ითვლება მას შემდეგ, თუ მხარეები ყველა მის არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ხელშეკრულების ძალაში შესვლა არ არის დაკავშირე-

ბული მხარეების მიერ ქონების ფაქტობრივ გაცვლაზე. მაშინაც კი, როცა ხელშეკრულების ძალაში შესვლა ემთხვევა მხარეების მიერ ერთმანეთისათვის ქონების ფაქტობრივ გადაცემას, ამ შემთხვევაშიც არ შეიძლება საუბარი გაცვლის ხელშეკრულების რეალურ ხასიათზე. ის მოსაზრება, რომ გაცვლის ხელშეკრულება ყოველთვის არის კონსენსუალური ხელშეკრულება, დასტურდება აგრეთვე სსკ-ის 521-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დადგენილი წესის შესაბამისადაც: გაცვლის ხელშეკრულებით მხარეებს ეკისრებათ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემა.

გაცვლის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ თითოეული მხარე უფლებამოსილია გადაცემული ქონების სანაცვლოდ მოითხოვოს მეორე მხარისაგან სხვა ქონების გადაცემა.

გაცვლის ხელშეკრულება არის სინალაგმატური ანუ ორმხრივ მავალდებულებელი ხელშეკრულება, რამეთუ თითოეულ მხარეს გააჩნია ერთდროულად უფლებებიც და ეკისრება მოვალეობებიც. გაცვლის ხელშეკრულების თითოეული მხარე ერთდროულად არის კრედიტორიც და მოვალეც. უფრო მეტიც, გაცვლის ხელშეკრულებაში გვხვდება ორი მკვეთრად გამოხატული შემხვედრი ვალდებულება: თითოეული მხარე მოვალეა გადასცეს კონტრაჰენტს შესაბამისი გასაცვლელი ქონება, რომლებიც ერთმანეთს ურთიერთგანაპირობებენ და პრინციპში არიან თანაბარეკვივალენტურები. ამიტომაც გაცვლის ხელშეკრულება მიეკუთვნება სინალაგმატურ ხელშეკრულებებს.

ამასთან გაცვლის ხელშეკრულების სინალგმატური ხასიათი გაცვლის მომწესრიგებელ ნორმებს შორის უფრო მაღალი ხარისხით ვლინდება, ვიდრე სხვა ორმხრივ ხელშეკრულებათა მომწესრიგებელ სამართლებრივ ნორმებში. აღნიშნული გარემოება გამოიხატება: ა) გასაცვლელ ქონებათა თანაბარეკვივალენტურობის პრეზუმპციის დადგენაში (სკ-ის 522-ე მუხლი); ბ) გასაცვლელ ქონებაზე საკუთრების უფლების გადასვლის მომენტის განსაზღვრაში, რომელიც მიბმულია მხარეთა მიერ გასაცვლელ ქონებაზე საკუთრების უფლების ურთიერთგადაცემის თაობაზე ვალდებ-

ულებების შესრულებასთან (სსკ-ის 521 მუხლი), გ) გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ურთიერთობების მიმართ შემხვედრი ვალდებულებების მომწესრიგებელი ნორმების გამოყენებაში (სსკ-ის 369-ე მუხლი). დ) კეთილსინდისიერი მხარის, მეორე მხარისათვის გადაცემული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლების აღჭურვით, როდესაც კონტრაჰენტი არაჯეროვნად ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას.

ბოლო წლებში ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. „ბარტერულმა გაცვლებმა“, რომელიც პირდაპირ არ არის გათვალისწინებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. როდესაც საუბარია ბარტერულ გარიგებაზე, მხედველობაშია სხვადასხვა სახის გარიგებები, რომლებსაც აერთიანებს ის, რომ ამ გარიგებებში არ ხდება ფულადი ანაზღაურება, არამედ ხდება თავისებური გაცვლა ქონებით, მომსახურებით, სამუშაოთი. ამასთან ერთად, ბარტერის ცნების გამოყენებისას, ხშირად ხდება მისი გაიგივება გაცვლასთან, თუკი ეს ხდება სასაქონლო ურთიერთობებში, ეს გარემოება არ წარმოშობს არანაირ პრობლემებს, რამეთუ „ბარტერული გარიგებები“ წარმოადგენენ გაცვლის ხელშეკრულების ნაირსახეობას. ბარტერული გარიგებები ფართოდ გამოიყენება საგარეო სავაჭრო ურთიერთობებშიც. თუმცა კი გაცვლის ხელშეკრულებად შეიძლება დაკვალიფიცირებული იქნეს ისეთი ბარტერული გარიგებები, რომლებიც ითვალისწინებენ ერთი სახის საქონლის მეორეზე გაცვლას. სხვა შემთხვევებში კი, როცა ქონების, სამუშაოს თუ მომსახურების სანაცვლოდ გათვალისწინებულია სანაცვლო სამუშაოს შესრულება, მომსახურების გაწევა, განსაკუთრებული უფლებების გადაცემა და ა.შ, მაშინ ასეთი გარიგებები დაკვალიფიცირებული უნდა იქნენ, როგორც შერეული ხელშეკრულებები. ასეთი სამართალურთიერთობების მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 340-ე მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ „შერეული ხელშეკრულების განმარტებისას მხედველობაში მიიღება ნორმები იმ ხელშეკრულებათა შესახებ, რომლებიც შესრულების არსთან ყველაზე ახლოს დგანან და მას შეესაბამებიან“.

III თავი

გაცვლის ხელშეკრულების შინაარსი

იმ მიზნით, რათა მოხდეს გაცვლის ხელშეკრულების დამახასიათებელი თავისებურებების გამოვლენა ქონების საკუთრებაში გადაცემის სხვა ტიპის ხელშეკრულებებისაგან, გამოიყენება ისეთი ცნება, როგორიცაა ხელშეკრულების ელემენტები. ხელშეკრულების ელემენტებს წარმოადგენს: ხელშეკრულების სუბიექტები, ხელშეკრულების საგანი, ხელშეკრულების ფორმა, ხელშეკრულების შინაარსი (მხარეთა უფლება-მოვალეობები).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, კერძო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი. ეს წესი გამოიყენება როგორც სამეწარმეო, ისე არასამეწარმეო, საქართველოსა თუ სხვა ქვეყნის პირების მიმართ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 521-ე-523-ე მუხლები (გაცვლა), არ ადგენს რაიმე სპეციალურ მოთხოვნებს გაცვლის ხელშეკრულების სუბიექტების მიმართ. ამასთან ერთად, მხედველობაშია მისაღები, რომ ერთი პირის მიერ მეორისათვის ქონების საკუთრებაში გადაცემა, წარმოადგენს ქონების განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებას. ამიტომაც, გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე უნდა იყოს გადაცვლილი ქონების მესაკუთრე ანდა მოქმედებდეს მესაკუთრისაგან მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში (საკუთრების მინდობა, დავალება).

გაცვლის ხელშეკრულების სუბიექტებთან მიმართებით დაცული უნდა იქნეს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, რომლებიც მხარეთა სამართალსუბიექტურობას (უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა) აწესრიგებენ.

გაცვლის ხელშეკრულების საგანთან მიამართებაში კანონმდებლობით არ არის დადგენილი რაიმე სპეციალური მოთხოვნები. ამიტომაც გაცვლის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს

ნებისმიერი თავისუფალ ბრუნვაუნარიანი ქონება. სსკ-ის 147-ე მუხლის თანახმად, ქონება არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს.

გაცვლის ხელშეკრულების მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების საგანზე, წარმოადგენს გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობას. სხვა პირობებზე შეუთანხმებლობა არ შეიძლება გახდეს იმის საფუძველი, რომ გაცვლის ხელშეკრულება არ იქნეს მიჩნეული დადებულად, რამეთუ ამ შემთხვევაში გამოიყენება სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დისპოზიციური ნორმები (ვადა, შესრულების ადგილი, ხარისხი, სამართლებრივი პასუხისმგებლობა).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, კანონში პირდაპირ გაუთვალისწინებელი ურთიერთობის მოსაწესრიგებლად გამოიყენება ყველაზე უფრო მსგავსი ურთიერთობის მარეგულირებელი სამართლის ნორმა (კანონის ანალოგია).

სსკ-ის 523-ე მუხლის თანახმად, გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები. გაცვლის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მომავალი ქონების ცალკეული ნივთებიც.

გაცვლის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შინაარსი განისაზღვრება ხელშეკრულების საგნის მიხედვით, კერძოდ, გაცვლის ხელშეკრულების თითოეული მხარე მოვალეა გადასცეს მეორე მხარეს სანაცვლო ქონება. გაცვლის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები განისაზღვრება ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად (რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან გაცვლის მომწესრიგებელ სპეციალურ ნორმებს), იმის გათვალისწინებით, რომ „გაცვლის ხელშეკრულების ყოველი მხარე ითვლება იმ ქონების გამყიდველად

რასაც ცვლის, და იმის მყიდველად, რასაც სანაცვლოდ იღებს“ (სსკ-ს 521-ე მუხლის II ნაწილი).

გაცვლის ხელშეკრულების თითოეული მხარე მოვალეა ერთმანეთს გადასცენ ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ნივთის გადაცემა უნდა მოხდეს შეთანხმებულ ვადაში. თუკი გაცვლის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, ნივთთან ერთად უნდა მოხდეს საკუთნევლის გადაცემა, ასევე დოკუმენტაციის გადაცემა (ტექნიკური პასპორტი), რომელიც საჭიროა გადაცემული ნივთის სწორი სამეურნეო გამოყენებისათვის.

ნივთის გადაცემის ვალდებულების შესრულების მომენტი განისაზღვრება სამი ვარიანტიდან ერთ-ერთით:

1) თუ გაცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებულია შესაბამისი მხარის ვალდებულება მიაწოდოს საქონელი — კონტრაჰენტისათვის საქონლის მიწოდების (გადაცემის) მომენტით;

2) თუკი გაცვლის ხელშეკრულების შესაბამისად, კონტრაჰენტს საქონელი უნდა გადაეცეს საქონლის ადგილსამყოფელი ადგილის მიხედვით, კონტრაჰენტისათვის შეთანხმებულ ადგილას საქონლის გადაცემის მომენტით;

3) ყველა სხვა შემთხვევაში გაცვლის ხელშეკრულების საგნის გადამზიდველისათვის გადაცემის მომენტით: ამ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების დროდ განისაზღვრება შესაბამისი დოკუმენტის შედგენის დრო, რომელიც ადასტურებს გადამზიდველის მიერ გაცვლის ხელშეკრულების საგნის გადასაზიდად ჩაბარებას.

გაცვლის ხელშეკრულების საგნის გადაცემის მომენტიდან თითოეულ მხარეზე გადადის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი, თუ მხარეები სხვა რამეზე არ შეთანხმდებიან. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, ნივთის გადაცემის ვალდებულების შესრულება, ჯერ კიდევ არ ნიშნავს კონტრაჰენტზე ამ ნივთზე საკუთრების უფლების გადასვლას. ამისათვის საჭიროა, რომ გაცვლის ხელშეკრულების მეორე მხარემაც

შეასრულოს მიღებული საქონლის სანაცვლოდ სხვა საქონლის გადაცემის ვალდებულება.

თუკი გაცვლის ხელშეკრულების საგანი გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთია, გაცვლის ხელშეკრულების ერთ-ერთ არსებით პირობად ჩაითვლება მხარეთა შეთანხმების მიღწევა გასაცვლელი საქონლის რაოდენობის შესახებ.

გაცვლის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს გასაცვლელი ქონების ხარისხი. თუ ხარისხი განსაზღვრული არ არის, მაშინ მოქმედებს საშუალო ხარისხის პრინციპი, ანუ გასაცვლელი ქონება ვარგისი უნდა იყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის.

გაცვლის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, რომლის თანახმადაც იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო თავისი ვალდებულება წინასწარ შეესრულებინა.

გაცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევა გამოიწვევს სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას, მათ შორის მიყენებული ზიანის ანაზღაურებას სსკ-ის 494-ე, 408-ე-415-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

გაცვლის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობაა კანონით ან ხელშეკრულებით დადგენილი ფორმის დაცვა, წინააღმდეგ შემთხვევაში გაცვლის ხელშეკრულება სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის საფუძველზე ბათილად იქნება ცნობილი. ფორმასთან მიმართებით დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 68-ე, 323-ე, 328-ე, 183-ე მუხლის მოთხოვნები.

IV თავი

გაცვლის ხელშეკრულების სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებანი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პროექტის მომზადებისას გადაწყდა, შენარჩუნებული ყოფილიყო ტრადიცია, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს, რომ მომხდარიყო გაცვლის ხელშეკრულების განმარტება და აგრეთვე გაცვლის ხელშეკრულებიდან აღმოცენებული ურთიერთობების მიმართ გამოყენებულიყო ნასყიდობის წესები. გარდა ამისა, ადრე მოქმედი კანონმდებლობისგან განსხვავებით, ახალმა სამოქალაქო კოდექსმა პირველად დაადგინა სპეციალური ნორმები, რომლებიც გამოხატავენ გაცვლის ხელშეკრულების თავისებურებებს.

ეს სპეციალური ნორმები ადასტურებენ გაცვლის ხელშეკრულების დამოუკიდებელ ხასიათს. საუბარია შემდეგ სპეციალურ ნორმებზე:

1) იმ შემთხვევაში, როდესაც გაცვლის ხელშეკრულებაში არაფერია ნათქვამი გასაცვლელი ქონების არატოლფასოვნობაზე, მოქმედებს პრეზუმფცია, რომ გასაცვლელი ქონება ტოლფასოვანია. გასაცვლელი ქონების გადაცემის, მიღების ხარჯები ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ხელშეკრულებით გააჩნია შესაბამისი ვალდებულებები.

სსკ-ის 522-ე მუხლის თანახმად, თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით. სხვაობის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს ქონების გადაცემამდე ან გადაცემის შემდეგ. გაცვლის ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს გასაცვლელი ქონების ფასებს შორის სხვაობის ანაზღაურების სხვაგვარი წესი.

2) გაცვლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ურთიერთგაცვლის მომენტი შეიძლება არ დაემთხვეს ერთმანეთს. არ არის გამორიცხული შემთხვევები, როცა გაცვლის ხელშეკრულების

შესაბამისად, ქონების გადაცემის ვალდებულება ჯერ უნდა შეასრულოს ერთმა მხარემ, ხოლო მეორემ კი — გარკვეული დროის გასვლის შემდეგ. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება სსკ-ის 369-ე მუხლით დადგენილი დებულებები.

3) გაცვლის ხელშეკრულების მიმართ სამოქალაქო კოდექსი ადგენს სპეციალურ წესს გასაცვლელ ქონებაზე მხარეთა საკუთრების უფლების წარმოშობის მომენტთან მიმართებაში. ამ წესის არსი ისაა, რომ თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, საკუთრების უფლება გაცვლის ხელშეკრულების მხარეებს წარმოეშობათ ერთდროულად გასაცვლელი ქონების გადაცემის ვალდებულებების შესრულების მომენტიდან.

4) გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება გაცვლის ხელშეკრულებასთან მიმართებით, უფლებრივად დატვირთული ქონების გადაცემა, რასაც შეიძლება მოჰყვეს ქონების ამოღება (ევიქცია). როგორც ცნობილია, სსკ-ის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა უნდა გადასცეს მყიდველს ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთი. ეს მოთხოვნა სრული მოცულობით გამოიყენება გაცვლის ხელშეკრულების მიმართაც. ამასთან ერთად, თუ გაცვლის ხელშეკრულების მხარე დაარღვევს კონტრაჰენტისათვის უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულებას, მან კონტრაჰენტს უნდა აუნაზღაუროს არა მხოლოდ ამით მიყენებული ზიანი, როგორც ამას ადგილი აქვს ნასყიდობასთან მიმართებით (სსკ-ის 494-ე მუხლი), არამედ ასევე უნდა დაუბრუნოს კონტრაჰენტს სანაცვლოდ მიღებული ქონებაც.

5) ნასყიდობისგან განსხვავებით, სადაც ერთი მხარე გამყიდველია, ხოლო მეორე კი მყიდველი, გაცვლის ხელშეკრულებაში თითოეული მხარე ერთდროულად არის გამყიდველიცა და მყიდველიც. გამყიდველია იმ ქონებისა, რასაც კონტრაჰენტს გადასცემს, ხოლო მყიდველია იმ ქონების, რასაც სანაცვლოდ იღებს.

6) ნასყიდობის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, სადაც მყიდველი ნაყიდი ნივთისათვის შემხვედრ ანაზღაურებას იხდის ფულადი სახით, გაცვლის ხელშეკრულებაში გადაცემული ქონე-

ბისათვის შემხვედრი ანაზღაურება ხდება არა ფულით, არამედ გასაცვლელი ქონებით, რომელიც როგორც წესი, თანაბარეკვივალენტურია კონტრაჰენტისგან მიღებული გაცვლილი ქონებისა.

7) გაცვლის ხელშეკრულების მიმართ სსკ-ის მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილისა და 523-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, ანალოგიით შეიძლება გამოყენებული იქნეს ნასყიდობის წესები.

ჩუქების სამართლებრივი ბუნება

I თავი

ჩუქების ხელშეკრულება რომის სამართალში

ძველი რომის სამართალში ჩუქების ხელშეკრულება (pactum donationis) წარმოადგენდა არაფორმალურ შეთანმებას, რომლითაც „ერთი მხარე – გამჩუქებელი გადასცემდა მეორე მხარეს – დამსაჩუქრებელს – თავისი ქონების ხარჯზე რაიმე ფასეულობას იმ მიზნით, რათა გამოეჩინა გულუხვობა დასაჩუქრებულის (animus donandi) მიმართ“. ჩუქება შეიძლება მომხდარიყო სხვადასხვა სამართლებრივი ფორმით: ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემის საშუალებით, სახელდობრ, ფულადი თანხის გადახდით, სერვიტუტის გადაცემის გზით და ა.შ. ჩუქების გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენდა ჩუქების დაპირება.[105]

ჩუქების ხელშეკრულებას რომაელი იურისტები არ ცნობდნენ ტიპურ ხელშეკრულებად (contractus), არამედ მიაკუთვნებდნენ შეთანხმებას, რომელიც არც ერთი ტიპის ხელშეკრულებას (pacta) არ შეესაბამებოდა. პროფესორმა პოკროვსკიმ, დაახასიათა რა

[105] Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского. М., 1996. с.499.

კლასიკური რომის სამართალში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებები (obligations a contractus), ისინი ოთხ ჯგუფად დაყო: ა) ხელშეკრულებები, რომელთა სამართლებრივი ძალაც გამომდინარეობს თვით შეთანხმებიდან (consensu), იწოდებიან კონსენსუალურ კონტრაქტებად; ბ) ხელშეკრულებები, რომელთა სამართლებრივი ძალა წარმოიშობა არა უშუალოდ შეთანხმებიდან, არამედ ამ შეთანხმების საფუძველზე ერთი პირის მიერ მეორისათვის შემდგომში ნივთის რეალურად გადაცემის მომენტიდან, იწოდებიან რეალურ კონტრაქტებად; გ) ხელშეკრულებები, რომლებიც წარმოიშობა სიტყვიერი შეთანხმებიდან (verbis), იწოდებიან ვერბალურ კონტრაქტებად; დ) ხელშეკრულებები, რომლებიც იდება განსაზღვრული წერილობითი ფორმით (litteris), იწოდებიან ლიტერალურ ხელშეკრულებებად. ყველა სხვა ხელშეკრულება არის არა contractus, არამედ pacta და, როგორც ასეთი, მათ სასარჩელო ძალა არ გააჩნიათ, თუმცა, ზოგიერთმა pacta-მ დროთა განმავლობაში სასარჩელო ძალა შეიძინა და ამიტომაც ჩვეულებრივი არასასარჩელო ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, მათ გამოსახატავად გამოიყენებოდა pacta vesita. ამ უკანასკნელს მიეკუთვნებოდა სწორედ ჩუქების ხელშეკრულება.[106]

რომ'ში, კანონმდებლობის შემდგომი განვითარების პროცესში, ზოგიერთმა ასეთმა შეთანხმებამ სასარჩელო დაცვის უფლება (pacta legitima) მოიპოვა. ამასთან დაკავშირებით პროფ. პოკროვსკი წერდა: „ასეთი იყო მზითევი, მაგრამ უპირველესად ჩუქების დაპირება (donatio). Donatio შეიძლებოდა განხორციელებულიყო სხვადასხვაგვარად: ნივთის უშუალო გადაცემით, ვალის პატიებით, საჩუქრის დაპირებით. საჩუქრის დაპირება არა მარტო რომის რესპუბლიკის დროს, არამედ ასევე კლასიკური პერიოდის იურისტების სამართალში ნამდვილი იყო მხოლოდ მაშინ, თუკი ის განხორციელდებოდა stipulatio-ს ფორმით. მარტივ pactum donationis სავალდებულო ძალა არ ჰქონდა".[107]

---

[106] Покровский И. А. „История Римского права" СПБ. 1998. с. 395.

[107] იქვე, გვ. 396.

რომის სამართალში სტიპულაციო იყო სიტყვიერი ფორმულა, რომელშიც დასმულ შეკითხვას – თუ რას მისცემდა ანდა გააკეთებდა, რის შესახებაც მას შეეკითხნენ – პირი პასუხს სცემდა.

კლასიკური რომის სამართლის ეპოქაში ჩუქების ხელშეკრულების გამოყენების სფერო, გარდა სავალდებულო სტიპულაციის ფორმისა, კანონმდებლის მიერ შეზღუდულ იქნა ასევე ჩუქების ფარგლების განსაზღვრით. ასეთი საკანონმდებლო შეზღუდვის მაგალითია ცინციას კანონი, რომელიც ჩვ.წ. აღ-მდე 204 წელს იქნა მიღებული. ამ კანონით აიკრძალა განსაზღვრულზე მეტი ოდენობის თანხის ჩუქება. გამონაკლისი იყო მხოლოდ გამჩუქებლის ახლო ნათესავების მიმართ ჩუქება.

ცინციას კანონმა თავისი მნიშვნელობა დაკარგა იმპერიის ეპოქაში, ჩვ. წ. აღ-მდე IV საუკუნეში, ამასთან, სანაცვლოდ შემოღებულ იქნა ჩუქებისათვის ე.წ. სასამართლო insunuatio, რომლის თანახმადაც ყოველგვარი ჩუქება უნდა გაცხადებულიყო სასამართლოში და შეტანილიყო რეესტრში. ეს მოთხოვნა პირველად შემოღებულ იქნა იმპერატორ კონსტანტიუს ქლორუს მიერ და დამტკიცებულ იქნა იმპერატორ კონსტანტინეს მიერ. იუსტინიანემ კი ამ წესის გამოყენება მხოლოდ იმ შემთხვევისათვის დაადგინა, თუკი ნაჩუქრის ღირებულება 500 solidi-ს აღემატებოდა.

ჩუქების დაპირება აღნიშნულ თანხაზე ნაკლები ოდენობით ნამდვილი იყო ამ ფორმალობის გარეშეც. სწორედ ამის მეშვეობით მარტივმა pactum donationis-მა სასარჩელო ფორმა შეიძინა.

ამგვარად, რომის სამართალში ჩუქების ხელშეკრულება, მათ შორის ე.წ. ჩუქების დაპირება, აღიარებულ იქნა ტიპურ ხელშეკრულებად და მას იცავდა კანონმდებლობა, მიუხედავად იმისა, თუ რა ფორმით იყო იგი დადებული; გამონაკლისს წარმოადგენდა ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც საჩუქრის ღირებულება 500 ოქროს აღემატებოდა. ამ თანხის ჩუქებისათვის სავალდებულო იყო სასამართლოს წინაშე განცხადება და შემდგომში, სპეციალურ რეესტრში რეგისტრაცია. რომის სამართალში (როგორც კლასიკურ, ისე იმპერიის) ჩუქების საგანს წარმოადგენდა

არა მხოლოდ ნივთის გადაცემა, არამედ ასევე ვალის პატიებაც და ჩუქების დაპირებაც.

რომის სამართალი მთლიანად იზიარებდა ჩუქების უსასყიდლო ხასიათს, რამაც განაპირობა სპეციალური ნორმების შემოღება. ეს ნორმები განსაზღვრავდა გამჩუქებლის პასუხისმგებლობას, ხოლო სხვა ნორმები გამჩუქებელს ჩუქების გაუქმების უფლებას ანიჭებდა. რომის სამართალში გამჩუქებელს პასუხისმგებლობა ეკისრებოდა გაჩუქებული ქონების ნივთობრივი თუ უფლებრივი ნაკლისათვის, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი მოქმედებდა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით (dolus, cupla, lata).

რაც შეეხება ჩუქების გაუქმებას, პროფ. ნოვიცკის ამის შესახებ მოჰყავს იუსტინიანეს სიტყვები: „ჩვენ საერთოდ დავადგინეთ, რომ ყველა კანონიერი ჩუქების ხელშეკრულება ძალაში რჩება და არ შეიძლება გაუქმდეს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც დადგენილ იქნება დასაჩუქრებულის მხრიდან გამჩუქებლის მიმართ აშკარა უმადურობა“.[108] ასეთი უმადურობის მაგალითებს წარმოადგენდა: დასაჩუქრებულის მიერ გამჩუქებლისათვის მძიმე შეურაცხყოფის მიყენება (iniunice atrioces), მისი სიცოცხლისათვის საფრთხის შექმნა, მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენება. ჩუქების გაუქმების სპეციალურ საფუძველს წარმოადგენდა ასევე ის, რომ მჩუქებელს, რომელსაც თავისუფალი მოქალაქისათვის საჩუქრის გადაცემის დროს არ ჰყავდა შვილები, შეეძლო მოეთხოვა საჩუქრის უკან დაბრუნება, თუკი შემდგომში ისინი შეეძინებოდა.

[108] Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского. М., 1996. с. 500.

II თავი

ჩუქების ხელშეკრულება ძველ ქართულ სამართალში

ქართული სამართლებრივი კულტურა ეროვნული სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის ორგანული შემადგენელი ნაწილია. იგი ისევე ძველია, როგორც ქართული სახელმწიფოებრიობა და ოცდაათ საუკუნეზე მეტს ითვლის. მთელი ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართული სამართალი საქართველოს სახელმწიფოს მყარ საფუძველს, მისი არსებობის ერთ-ერთ გარანტიასა და შემდგომი განვითარების მნიშვნელოვან წინპირობას წარმოადგენდა.

ქართული სამართალი, ძირითადად, ეროვნული ფესვებით საზრდოობდა და საკუთარ ნიადაგზე თავისთავადი სისტემის სახით ყალიბდებოდა. ძველ ქართულ სამართალში განსაკუთრებული ადგილი ეკავა ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებს, რომლის თვალსაჩინო საილუსტრაციო მასალას ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი იძლევა. განსაკუთრებული ყურადღება ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებისადმი განპირობებული იყო იმით, რომ ამ ინსტიტუტების განვითარება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული იყო ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ წინსვლაზე.

ძველი ქართული ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტებს შორის განსაკუთრებული ადგილი ეკავა ნაჩუქრობას. ჩუქებას ეხება ივანე ჯავახიშვილი ნაშრომში „ქართული სამართლის ისტორია“ (წიგნი II, ნაკვ. II). იგი აღნიშნავს, რომ ძველ ქართულში ჩუქებას „ნიჭი“ ეწოდებოდა. ამ ცნების გამოსახატავად, ჩვეულებრივ, ეს ტერმინი იხმარებოდა. მაგრამ მჩუქებლის მდგომარეობისდა მიხედვით საჩუქარსაც და ჩუქებასაც თავისი განსაკუთრებული სახელი ჰქონდა. მაგალითად, სოციალურად მაღლა მდგომისაგან მასზე უფრო დაბალი მდგომისათვის ჩუქებას „წყალობა“ და

„შეწყალება“ ან „ბოძება“ ეწოდებოდა, ხოლო ასეთ ნაჩუქარს — „ნაწყალობევი“ ან „ნაბოძვარი“.[109]

ნაჩუქრობას ეხება აგრეთვე ი. დოლიძე ნაშრომში „ძველი ქართული სამართალი“. ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით იგი ჩუქებას განიხილავს, როგორც საკუთრების უფლების შეძენის ერთ-ერთ საშუალებას.[110]

ი. დოლიძის აზრით, ჩუქების ობიექტი შეიძლება ყოფილიყო როგორც უძრავი, ისე მოძრავი ქონება. ბექა-მანდატურთუხუცესის დადგენილებით, მოყვრობისა და კარგი დამოკიდებულებისათვის ნაჩუქარ ქონებას („გინა სამამულო, გინა სასაქონლო და რა გინდა რაა“) გამჩუქებელი, თუნდაც დროთა განმავლობაში კიდეც გაღარიბებულიყო, უკან ვერ გამოართმევდა. იმ შემთხვევაში კი, როცა მხარეებს შორის მოყვრობა და კეთილი განწყობილება მოიშლებოდა, დასაჩუქრებულს საჩუქარი უკლებლივ უნდა დაებრუნებინა.

ჩუქების ასეთსავე წესს შეიცავდა აღბუღას სამართალიც. ერთგვარი განსხვავება ის იყო, რომ საჩუქარი აქ გაიცემოდა სამაგიერო პატივისცემის ნიშნად, ვითარცა გარკვეული გასამრჯელო „კარგად ყოლისა და საურავისათვის“. ამის შემდეგ ი. დოლიძე ნაჩუქრობის ხელშეკრულებას ეხება, როგორც საკუთრების უფლების შეძენის სამართლებრივ საშუალებას. იგი აღნიშნავს, რომ ბექა-აღბუღას სამართლის წიგნის მიხედვით: „საჩუქრის მიცემა საკუთრების უფლებას წარმოშობს საჩუქრად მიღებულ ქონებაზე“. სამამულო ქონების საჩუქრად მიცემა მხოლოდ მას შეეძლო, ვისაც ადგილმამული ეკუთვნოდა. ე.ი. საკუთარი მამულის სხვაზე გადაცემის უფლება მხოლოდ მიწის პატრონს ჰქონდა. ცხადია, საკუთარების ამ სახით წარმოშობას ადგილი ჰქონდა ფეოდალთა კლასის ზედა ფენის წარმომადგენელთა შორის.

საკუთრების უფლების წარმოშობის საკითხის განხილვისას ივ. სურგულაძე ნაჩუქრობასაც შეეხო. მისი აზრით, „ჩუქების შესახებ ვახტანგის სამართალი თითქმის არაფერს ამბობს; მაგრამ ჩუქება

---

109 ივ. ჯავახიშვილი, თხ'ხ. 12 ტომად. ტ. VI, თბ., 1982.

110 ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953.

უეჭველად წარმოადგენდა საკუთრების უფლების წარმოშობის საფუძველს; როგორც ამაზე მიგვითიებს ბექა-აღბუღას სამართალი". ავტორი იმასაც აღნიშნავს, რომ „ბექა-აღბუღას სამართლის მიხედვით ნაჩუქარის უკან წამოღება მჩუქებელს საერთოდ არ შეუძლია, გამონაკლისია მხოლოდ ის შემთხვევა, როცა მხარეებს შორის ჩუქების მიზეზი მოისპობა".[111]

ნაჩუქრობის ცალკეული საკითხები განხილულია აგრეთვე ქართული სამართლის ისტორიის მკვლევართა სხვა ნაშრომებშიც. ამ საკითხთა შორის საკმაოდ სრულადაა შესწავლილი პროფ. გ. ნადარეიშვილის მიერ ქორწინებასთან დაკავშირებული ნაჩუქრობა.[112]

რაც შეეხება ნაჩუქრობის ინსტიტუტის მომწესრიგებელ ნორმატიულ მასალას, მისი მოპოვება შეიძლება როგორც ქართულ, ისე უცხოურ საკანონმდებლო ძეგლებში. ეს საკითხები თავმოყრილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულში. სახელდობრ, საინტერესო მასალას შეიცავს ბერძნული სამართლის ქართული ვერსია, რომელშიც ნაჩუქრობას ეხება 177-ე-183-ე მუხლები, ნაჩუქრობას განიხილავს აგრეთვე სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის 112-ე მუხლი.

მეტად მნიშვნელოვანია ბექა-აღბუღას სამართლის წიგნში დაცული ცნობები. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ბექა მანდატურთუხუცესის სამართლის 34-ე და 61-ე მუხლები და აღბუღა ათაბაგ-ამირსპასალარის სამართლის 85-ე მუხლი.

ნაჩუქრობის ხელშეკრულების სხვადასხვა მხარის მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნში და ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულში („საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა შემოღებულნი სჯულნი").

მას შემდეგ, რაც შევეხეთ ნაჩუქრობის მომწესრიგებელ ნორმატიულ მასალასა და სხვა წყაროებს, განვიხილოთ მისი ადგილი

---

[111] იე. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ-ს შრომები, 1949.

[112] გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965.

ძველი ქართული სამოქალაქო სამართლის სისტემაში, თუ რომელი ინსტიტუტი შეიცავს ნაჩუქრობას. პეტრიწონის ქართველთა მონასტრის ტიპიკონი ჩუქებას ნასყიდობასთან ერთად ეხება: „მონასტრის ქონების განსყიდასა და განიჭებასა, ვისაცა პირსა არა უწამებთ და ამას ყოველთა სიმტკიცითა ვამცნევთ, რომელი ესე ნუ იყოფიან ყოფად ოდესვე“.[113]

განსახილველი საკითხის გარკვევაში დიდ დახმარებას გვიწევს აგრეთვე „განწესებანი საქართველოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვისთადმი სამეფოისათვის საქართველოისა“. აქ ნაჩუქრობა სესხის ხელშეკრულების გვერდითაა წარმოდგენილი. „კანონად მე დამიდვია ასე“, — აცხადებს მეფე ერეკლე, — „რაც ამ ჩემ შვილებს თავთავისთვის წილი აქვსთ ბოცემული, ის ხომ თავიანთი კერძი არის. იმაში, ვისაც უნდა „აჩუქებენ“ და ვისაც უნდა „ასესხებენ“.[114]

თანამედროვე „ჩუქების“, „ნაჩუქრობის“ უძველეს ქართულ შესატყვისს „მიცემა“ და „ნიჭი“ წარმოადგენდა. „მიცემა“ ძველ ქართულში მრავალი მნიშვნელობით იხმარებოდა და მინიჭება-ჩუქებასაც აღნიშნავდა. თვით საჩუქარი კი ქართულ ოთხთავში „მისაცემლად“ და „საცემლად“ იწოდებოდა. რაც შეეხება მჩუქებელს, მას თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულებაში („ისტორიანი და აზმანი შარავანდედთათანი“) „მიმცემელი“ ეწოდებოდა.[115] ანალოგიურად, ბექა-აღბუღას სამართლის წიგნი ჩუქების გამოსახატავად მარტოოდენ „მიცემას“ ხმარობს, კერძოდ, 61-ე მუხლში აღნიშნულია: „კაცმან კაცსა კარგად და პირწყლიანად ყოფნისათვის სამოყვროდ მისცეს რამე“, ხოლო 85-ე მუხლში კი მითითებულია: „თუ კაცს კაცისადა ან პატრონისა კარგად ყოლისა და საურავისათვის ქრთამად მიეცეს რამე, გინა სამუშლო და გინა სასაქონლო და მას კიდე, რომელმან გამოუაროს იგი მისაცემელი, თხოვასა და წაღებასა არა ემართლების“, „მიცემა“ „ჩუქების“ მნიშვნელობით გვხვდება ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნშიც, რომლის მე-80 მუხლშიც ვკითხულობთ:

---

113 ა. შანიძე. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971.

114 ქართული სამართლის ძეგლები, ი. დოლიძის გამოც. ტ. II, თბ., 1965.

115 ი. აბულაძე. ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973.

„სიცოცხლეში მამამ, რომელსაც შვილს ან იარაღი, ან საქონელი მისცეს“, გაყრისას „ერთიმეორეს ვერ უხსენებს“.

ზემოაღნიშნულის მსგავსი ვითარებაა ბენძნული სამართლის ქართულ ვერსიაშიც. აქ „მისაცემლით“ გადმოცემულია ბერძნული ტექსტის „საჩუქარი“ – „დორეა, ჰე“, რომელიც დემოსთენეს მიხედვით, როგორც იურიდიული ტერმინი, „ნაჩუქრობასა და ანდერძსაც გამოხატავდა მრავალობით რიცხვში“.[116]

ჩუქების აღსანიშნავად ძველ საქართველოში ტერმინი „ნიჭიც“ იხმარებოდა. ამ ტერმინის რამდენიმე შემთხვევაა დამოწმებული პირველსავე ქართულ თარიღიან ხელნაწერში – სინურ მრავალთავში. „ნიჭი“ საჩუქრის აღმნიშვნელი ტერმინია ქართულ ოთხთავში. აქ „მისაცემელი“, „ნიჭი“ და „საცემელი“ ერთმანეთს ენაცვლება, რითაც აშკარად დასტურდება, რომ ისინი ტოლფარდი ცნებებია.

რაც შეეხება „ჩუქებას“, „ნაჩუქრობას“, იგი სამართლებრივ ძეგლებსა და სასამართლო პრაქტიკაში შედარებით გვიან მკვიდრდება. ყოველ შემთხვევაში ეს ტერმინი არ გვხვდება არც ერთ ჩვენს ეროვნულ საკანონმდებლო ძეგლში, რომლებიც ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულშია თავმოყრილი.

„ჩუქება“, „ნაჩუქარი“, „ნაჩუქები“ ხშირად იხმარება XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნაზე შექმნილ სამართლებრივ ძეგლებში, როგორიცაა „სამართალი ბატონიშვილის დავითისა“ და იოანე ბაგრატიონის „სახელმწიფოებრივი რეფორმების პროექტი“.[117] როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდიდან იწყება ტერმინის „ჩუქება“ ფართოდ გამოყენება.

ძველ ქართულ სამართალში ჩუქება სამოქალაქო-სამართლებრივი ნორმებით მოწესრიგებული ხელშეკრულებაა, რომლის მიხედვითაც ნაჩუქრობის ხელშეკრულებით ერთი მხარე უსასყიდლოდ გადასცემდა მეორეს ქონებას საკუთრებაში. ნაჩუქრობის საგნის უშუალო გადაცემის გარდა, ჩუქება შეიძლება განხორციელებულიყო

---

[116] ბერძნული სამართალი ვახტანგ VI-ის სამართალი წიგნთა კრებულიდან, თბ., 1964.

[117] ი. ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957.

ისეთი გზითაც, როგორიც იყო ვალის პატიება. ამგვარი ჩუქების ამსახველი ზოგიერთი ცნობა ქართულ ისტორიულ მასალებშია შემონახული.[118]

ჩუქება გულუხვობის, ხელგაშლილობის აქტს წარმოადგენდა. მჩუქებელს ამოძრავებდა სიკეთის გრძნობა, რომელიც მის მიერ დასაჩუქრებულისათვის ქონების უსასყიდლოდ გადაცემაში ვლინდებოდა. ჩუქება განიხილებოდა როგორც რეალური ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლებოდა დასაჩუქრებულისათვის ქონების გადაცემის მომენტიდან და მის ეკონომიკურ შედეგს წარმოადგენდა, კერძოდ კი, დასაჩუქრებული მხარე მდიდრდებოდა გამჩუქებლის ქონების ხარჯზე. ნაჩუქრობის ხელშეკრულება კი ამ ეკონომიკური შედეგის სამართლებრივ გამოხატულებას წარმოადგენდა.

III თავი

ჩუქების ხელშეკრულება 1917 წლის რევოლუციამდელ სამოქალაქო სამართალში

1917 წლის რევოლუციამდე ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობები ფართო თეორიული დისკუსიის საგანს წარმოადგენდა. იმდროინდელი სამოქალაქო კანონმდებლობა და სამოქალაქო-სამართლებრივი დოქტრინა არ იძლეოდა მკაფიო ერთგვაროვან პასუხებს ისეთ კითხვებზე, როგორიცაა: ჩუქების არსი, სამართლებრივი ბუნება, ადგილი სამოქალაქო სამართლის სისტემაში. საკმარისია ვთქვათ, რომ იმდროინდელ კანონმდებლობაში ჩუქების მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები მოცემული იყო არა სახელშეკრულებო ვალდებულებების შესახებ დებულებებში, არამედ საკუთრების შეძენის საშუალებების თავში, თუმცა კი, როგორც გ. შერშენევიჩი აღნიშნავდა, „ჩუქება ეს არის უსასყიდლო

[118] თ. ენუქიძე, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1964.

ხელშეკრულება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დასაჩუქრებულის ქონების გაზრდისაკენ გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე. ჩუქება წარმოადგენს ურთიერთშეთანხმებაზე და არა ერთი პირის ნებაზე დამყარებულ გარიგებას.

დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქებას აზრი არა აქვს. ამიტომაც ჩუქება წარმოადგენს ხელშეკრულებას.[119]

განსხვავებულ მოსაზრებას გამოთქვამდა რუსული სამოქალაქო ცივილისტიკის ფუძემდებელი დ. მეიერი ჩუქების როგორც სამართლებრივი ბუნების, ასევე სამოქალაქო სამართლის სისტემაში მისი ადგილის შესახებ. დ. მეიერი ჩუქების შესახებ ძირითად დებულებებს განიხილავდა სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, კერძოდ კი, უფლებების შეძენის თავში. იგი აღნიშნავდა, რომ უფლების შეძენა უსასყიდლოდ ხდება სხვადასხვა საშუალებით, მაგალითად, როგორც ხელშეკრულების გზით, ასევე ფაქტობრივი გადაცემით. ამიტომაც იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს მხოლოდ ნივთის ფაქტობრივად გადაცემას საკუთრებაში წინასწარი შეთანხმების გარეშე, ეს არ არის ხელშეკრულება და იგი განხილულ უნდა იქნეს როგორც საკუთრების უფლების წარმოშობის დამოუკიდებელი საშუალება.[120]

სამოქალაქო სჯულდების პროექტის მომზადებისას, ჩუქების სამართლებრივი ბუნების შესახებ ფართო მსჯელობის შედეგად, სარედაქციო კომისია იმ დასკვნამდე მივიდა, რომ ჩუქების ერთერთი არსებითი ნიშანია დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღება, ამიტომაც ჩუქება არ შეიძლება განხორციელდეს მხარეთა ურთიერთშეთანხმების გარეშე, ხოლო აქედან კი გამომდინარეობს, რომ ჩუქება არის ხელშეკრულება, რამეთუ ორი ან მეტი პირის შეთანხმება უფლებების შეძენის, შეცვლის ან შეწყვეტის შესახებ არის ხეშეკრულება.[121]

---

[119] Шершеневич Г.Ф. Учебник русского гражданского права. СПб. 1902. М., 1998. с.365.

[120] Мейер Д.И., Русское гражданское право. в 2-х т. 1902. ч. II, М., 1997. с. 3.

[121] Гражданское уложение, том второй, СПб., 1910. с. 361.

ამასთან დაკავშირებით, სამოქალაქო სჯულდების პროექტში ჩუქების შესახებ ნორმებმა ასახვა პოვა წიგნში – „ვალდებულებითი სამართალი“, წ. V, მეორე ნაწილი, „სახელშეკრულებო ვალდებულებები“, თავი IV „ჩუქება“. აღნიშნული თავის 1782-ე მუხლის თანახმად, „ჩუქების ხელშეკრულებით გამჩუქებელი თავის სიცოცხლეში გადასცემს მეორე პირს საკუთრებაში რაიმე ქონებას. გარდაცვალების შემთხვევაში სხვისთვის რაიმე ქონების გადაცემის მიმართ გამოიყენება ნორმები ანდერძის შესახებ“.

მიუხედავად იმისა, რომ ცივილისტებს განსხვავებული შეხედულებები გააჩნდათ ჩუქების სამართლებრივი ბუნებისა და სამოქალაქო სამართალში ამ სამართლებრივი ინსტიტუტის ადგილის შესახებ, მათ მაინც მაიღწიეს შეთანხმებას იმ ოთხი ნიშანთვისების შესახებ, რაც დამახასიათებელი იყო ჩუქებისათვის: 1) ჩუქების უსასყიდლობა; 2) დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა; 3) გამჩუქებლის ქონების შემცირება; დ) გამჩუქებლის განზრახვა დაასაჩუქროს დასასაჩუქრებელი.

ჩუქების უსასყიდლობა გაგებული არ იყო იმგვარად, რომ ჩუქების დროს დაუშვებელი იყო რაიმე შემხვედრი მოქმედება. ასე მაგალითად, გ. შერშენევიჩი აღნიშნავდა, რომ ჩუქების უსასყიდლობაში უნდა გავიგოთ მხოლოდ ის, რომ გადასაცემ ფასეულობას არ შეესაბამება ეკვივალენტი, სახელდობრ, არ შეიძლება სასყიდლიანად მივიჩნიოთ ჩუქება იმის გამო, რომ ჩეულების მიხედვით ნაჩუქარი დანისათვის დასაჩუქრებული გადასცემს გამჩუქებელს ლითონის მონეტას.[122]

ამასთან, მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ გამჩუქებლის მოტივი და მიზანი, თუნდაც რომ ანგარებითი ხასიათის ყოფილიყო, არ ცვლიდა ჩუქების უსასყიდლო ხასიათს. ასე მაგალითად, დ. მეიერი წერდა: „ძალიან იშვიათია, როცა ჩუქება ხდება უანგაროდ, ჩვეულებრივ იგი წარმოადგენს რაიმე ჯილდოს გაწეული მომსახურებისათვის დასაჩუქრებულის მხრიდან გამჩუქებლის მი-

[122] Шершеневич Г. Ф. Курс гражданского права. т. 2. СПб. 1896. с. 127.

მართ, ანდა გამჩუქებელს სურს მიიღოს რაიმე მატერიალური ან არამატერიალური სარგებელი; მაგალითად, დასაჩუქრებულმა მისი მხარე რომ დაიჭიროს, მაგრამ მიუხედავად ამისა, გარიგება მაინც ითვლება ჩუქებად. ამიტომაც, თუკი პირი სხვას აჩუქებს ქონებას იმ იმედით, რომ დასაჩუქრებული მას რაიმე სამსახურს გაუწევს, ხოლო შემდგომში კი ასე არ მოხდება, ჩუქება მაინც ჩაითვლება ნამდვილად.[123]

დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე ჩუქების უშუალო მიზანია. ამიტომაც წერდა გ. შერშენევიჩი, რომ „არ ჩაითვლება ჩუქებად, როცა მოვალე თავის კრედიტორს მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გადასცემს თავის ქონებას გირაოდ, რამეთუ იგი ამით კი არ ზრდის თავისი კრედიტორის ქონებას, არამედ მხოლოდ უზრუნველყობ მის უფლებას.[124]

ჩუქების დროს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა ხდება გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე. რევოლუციამდელი ცივილისტების აზრით, ეს ნიშანი საშუალებას იძლეოდა მოშორებოდარიყო ჩუქების ანდერძისგან განსხვავება. მაგალითად, დ. მეიერი აღნიშნავდა, რომ „ჩუქება ხდება მხოლოდ პირის სიცოცხლეში, თუკი პირი სხვას აჩუქებს რაიმეს იმ პირობით, რომ საჩუქარი გადაცემულ იქნება გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ, ასეთ შემთხვევაში ადგილი აქვს არა ჩუქებას, არამედ საანდერძო დანაკისრს". ამ მოსაზრებას ეთანხმებოდა გ. შერშენევიჩიც, რომელიც აღნიშნავდა, რომ ამ ნიშნით ჩუქება განსხვავდება ანდერძისაგან. ანდერძით, მოანდერძე უტოვებს მთელ თავის ქონებას ან მის ნაწილს სხვა პირს, მაგრამ ქონება მის სიცოცხლეში არ მცირდება, მხოლოდ მისი სიკვდილის შემდეგ ქონება ეკუთვნის უკვე არა მამკვიდრებელს, არამედ მემკვიდრეს.[125] გ. შერშენევიჩის აზრით, ეს ნიშან-თვისება საშუალებას იძლეოდა, განგვესხვავებინა ჩუქება სხვა საშუალებებისაგან, სახელდობრ, მესამე პირის სასარგებლოდ

---

[123] Мейер Д.И.. Русское гражданское право. в 2-х т. 1902. ч. II. М.. 1997. с. 242.

[124] Шершеневич Г. Ф. Курс гражданского права. т. 2. СПб. 1896. с. 128.

[125] იქვე. გვ. 129.

სიცოცხლის დაზღვევისაგან. იგი წერდა: „არ ჩაითვლება ჩუქებად სიცოცხლის დაზღვევა მესამე პირის სასარგებლოდ, რამეთუ ამ უკანასკნელის ქონების გაზრდა არ ხდება დამზღვევის ქონების შემცირების ხარჯზე“.[126]

ჩუქების საგანთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას ჰქონდა ადგილი რევოლუციამდელ ცივილისტებს შორის. დ. მეიერი აღნიშნავდა, რომ ჩუქების საგანი შეიძლება ყოფილიყოს ყოველგვარი ქონებრივი უფლება და არა მხოლოდ საკუთრების უფლება, თუმცა კი მართებულია, რომ იგი უფრო ხშირად არის ჩუქების საგანი. თუმცა კი ყოველგვარი უფლება, რომელიც შეიძლება გასხვისებული იყოს, შეიძლება, რომ გადაცემულ იქნეს დასაჩუქრებულისათვის“.

გ. შერშენევიჩი ჩუქების ხელშეკრულების საგანს განსაზღვრავდა, როგორც გამჩუქებლის მოქმედებას, რომელიც იწვევს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდას და აღნიშნავდა, რომ დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა ხდება: ა) ნივთის გადაცემით მის საკუთრებაში; ბ) მისთვის სხვა სანივთი უფლებების გადაცემით, რომელთანაც შეერთებულია სარგებლობა; გ) ვალდებულებითი სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებით, რომელშიც დასაჩუქრებულს ეძლევა მოთხოვნის უფლება; დ) დასაჩუქრებულის გათავისუფლება ვალდებულების შესრულებისაგან, ანდა მისი საკუთრების უფლების შეზღუდვის გაუქმება.

რუსეთის სამოქალაქო სჯულდებამ ჩუქების საგანი განსაზღვრა შემდეგნაირად: „ჩუქება შეიძლება დადებულ იქნეს უფლების გასხვისების, ანდა წარმოშობის, ანდა გამჩუქებლის მიერ უფლებაზე უარის თქმის ან თავის თავზე ვალდებულების აღების გზით. მაშასადამე, ჩუქების ხელშეკრულება მოიცავდა გამჩუქებლის ოთხი სახის მოქმედებას: ა) დასაჩუქრებულისათვის ქონების გადაცემა (საკუთრებაში, ანდა სანივთო უფლების გადაცემა); ბ) დასაჩუქრებულის სასარგებლოდ უფლების დადგენა (წარმოშობა);

---

[126] Шершеневич Г. Ф. Курс гражданского права. т. 2, СПб. 1896. с. 131.

გ) გამჩუქებლის უარი თავის უფლებაზე დასაჩუქრებულის სასარგებლოდ; დ) გამჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულის ვალდებულების თავის თავზე აღება".[127]

რევოლუციამდელ რუსულ სამოქალაქო კანონმდებლობაში ჩუქების ხელშეკრულების ფორმა განსხვავებული იყო ჩუქების ხელშეკრულების სახისა და ჩუქების ობიექტის მიხედვით. გ. შერშენევიჩი წერდა, რომ, თუკი ჩუქების ხელშეკრულების დადებისას ხდება ნივთის გადაცემა დაუყოვნებლივ, მაშინ ჩუქების ფორმა დამოკიდებულია იმაზე, ნივთი მოძრავია თუ უძრავი. მოძრავი ნივთების გაჩუქებისათვის კანონი არ ითვალისწინებს წერილობით ფორმას. ჩუქება ხორციელდება ნაჩუქარი ნივთის გადაცემით დასაჩუქრებულისათვის. დასაჩუქრებულს ნივთზე საკუთრების უფლება წარმოეშობა მისი გადაცემის მომენტიდან. უძრავი ქონების გადაცემა ხორციელდება კანონით დადგენილი სავალდებულო წესით. აქტს, რომლითაც ხდება ჩუქების გზით უძრავი ქონების გადაცემა, ეწოდება სასაჩუქრო ჩანაწერი. ის შედგება სხვადასხვა ცალკეული მოქმედებისაგან (აქტის შედგენა ნოტარიუსის მიერ, მისი დამტკიცება უფროსი ნოტარიუსის მიერ).[128]

დ. მეიერი ყურადღებას ამახვილებდა ჩუქების ისეთი სახის შესახებ, როგორიცაა, წყალობა შეწირულობა. იგი წერდა: „წყალობა ხორციელდება უმაღლესი ხელისუფალის ბრძანების აქტით და ამ აქტის საფუძველზე მიწისა და სახელმწიფო ქონების სამინისტრო გამოსცემს განკარგულებას ნაწყალობევი ქონების პირისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ. შეწირულობა კი ჩვეულებრივ ხდება გამჩუქებლის მიერ წერილობითი შეთავაზებისა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოს მიერ მისი მიღების შესახებ წერილობითი თანხმობის განცხადების გზით".[129]

რევოლუციამდელი სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამ-

---

127 Гражданское уложение, т. II, СПб. 1910. с. 361.

128 Шершеневич Г. Ф. Курс гражданского права, т. 2, СПб. 1896. с. 130.

129 Мейер Д.И., Русское гражданское право. в 2-х т. 1902, ч. II, М., 1997. с. 248.

ისად, ჩუქების ხელშეკრულების მარტივი წერილობითი ფორმის დაუცველობა არ იწვევდა მის ბათილად ცნობას. ამ შემთხვევაში მოქმედებდა ზოგადი ნორმა, რომლის თანახმადაც დასაჩუქრებულის სარჩელი გამჩუქებლის მიმართ ჩუქების ვალდებულების იძულებითი შესრულების შესახებ არ შეიძლებოდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ მოწმეთა ჩვენებაზე დაყრდნობით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩუქების ერთ-ერთ არსებით ნიშანს, რომელიც ასაბუთებდა მის სახელშეკრულებო ბუნებას, წარმოადგენდა დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღება. საჩუქრის მიღების ფორმასთან დაკავშირებით სამოქალაქო სჯულდება ითვალისწინებდა შემდეგ წესს: „მოძრავი ქონების საჩუქრად მიღებაზე თანხმობის განცხადებისათვის არ არის საჭირო რაიმე სპეციალური ფორმა. ასეთი თანხმობა შეიძლება გამოხატული იყოს საჩუქრის უსიტყვოდ მიღებით, ანდა სხვა მსგავსი მოქმედებებით“. გარდა ამისა, სჯულდება ითვალისწინებდა, რომ გამჩუქებელს შეეძლო დასაჩუქრებულისათვის დაედგინა ვადა, რომლის განმავლობაშიც ამ უკანასკნელს უნდა გამოეთქვა თანხმობა საჩუქრის მიღებაზე. თუკი დათქმულ ვადაში დასაჩუქრებული თანხმობას არ გამოთქვამდა, მაშინ ჩუქების ხელშეკრულება დადებულად არ ჩაითვლებოდა.

რევოლუციამდელი რუსული სამოქალაქო კანონმდებლობა დეტალურად აწესრიგებდა ჩუქების ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის პასუხისმგებლობის საკითხს. მაგალითად, გ. შერშენევიჩი დასაჩუქრებულისათვის გადასაცემი ნივთის დაღუპვასთან დაკავშირებით გამოთქვამდა შემდეგ მოსაზრებას: „თუკი ჩუქება გამოიხატება გამჩუქებლის ვალდებულებაში – გადასცეს დასაჩუქრებულს ნივთი, ამ ნივთის დაღუპვა, ანდა მისი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღება წარმოადგენს ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის საფუძველს. გამჩუქებლის პასუხისმგებლობა დასაჩუქრებულისათვის ნივთის გადაცემამდე ამ ნივთის დაღუპვისათვის შეიძლება დადგეს მხოლოდ მისი მხრიდან განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში. მაგრამ მისი პასუხისმგებლობა არ შეიძლება იყოს

უსაზღვრო, გამომდინარე გარიგების უსასყიდლო ხასიათიდან".[130] პასუხისმგებლობა არ დგებოდა იმ შემთხვევებში, თუკი გაჩუქებულ ნივთს ფარული ნაკლი აღმოაჩნდებოდა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუკი გამჩუქებელმა იცოდა გაჩუქებული ნივთის ნაკლის შესახებ, ანდა ამ ნივთზე, მესამე პირთა უფლებების შესახებ და განზრახ არ აცნობა ამის შესახებ დასაჩუქრებულს, ასეთ შემთხვევაში იგი ვალდებული იყო დასაჩუქრებულისათვის აენაზღაურებინა გაჩუქებული ნივთის ნაკლის შედეგად მიყენებული ზიანი. მაგალითის სახით მოყვანილი იყო შემთხვევა, როდესაც გაჩუქებულმა ავადმყოფმა ცხენმა დასაჩუქრებულის სხვა ცხენები დაავადა.

ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შესაძლებლობა რევოლუციამდელი ცივილისტების მიერ განიხილებოდა, როგორც ჩუქების დამახასიათებელი სპეციფიკური თავისებურება. ასე მაგალითად, დ. მეიერი აღნიშნავდა: „ჩუქება წყდება სხვადასხვა საშუალებით: ვადის დადგომით, რეზოლუციური პირობით და ა.შ. მაგრამ ჩუქების შეწყვეტის ეს საშუალებები არ არის რაიმე განსაკუთრებული სახის: ისინი იწვევენ ჩუქების შეწყვეტას ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი გარიგების. მხოლოდ ერთი საშუალებაა ჩუქებისათვის განსაკუთრებული ხასიათის – ესაა საჩუქრის უკან დაბრუნება".[131]

გ. შერშენევიჩის აზრით კი, საჩუქრის უკან დაბრუნება არ შეიძლება განხილულიყო როგორც ჩუქების შეწყვეტის საშუალება. იგი წერდა: „ჩუქების ძალით, რომელიც მიმართულია საკუთრების უფლების გადაცემისაკენ, დასაჩუქრებული ხდება ნაჩუქარი ნივთის მესაკუთრე. ამიტომაც ამ შემთხვევაში, ჩუქების შეწყვეტას არ შეიძლება ჰქონდეს ადგილი. ჩუქება შესაძლებელია შეწყდეს მანამ, სანამ იგი იმყოფება ვალდებულებითი ურთიერთობის სტადიაში. ხოლო, როცა დასაჩუქრებულმა უკვე შეიძინა საკუთრების უფლება ნაჩუქარ ქონებაზე, ეს ქონება შედის მისი ქონების აქ-

---

[130] Шершеневич Г. Ф. Курс гражданского права, т. 2. СПб. 1896. с. 131.

[131] Мейер Д.И., Русское гражданское право. в 2-х т. 1902, ч. II. М., 1997. с. 249.

ტივში და გადადის მემკვიდრეებზე“.[132] რაც შეეხება საჩუქრის უკან დაბრუნებას, გ. შერშენევიჩის აზრით, ეს სხვა არაფერია, თუ არა დასაჩუქრებულისათვის საკუთრების უფლების ჩამორთმევა ნაჩუქარ ქონებაზე კანონით გათვალისწინებული საფუძვლით.

ამ მოსაზრებამ ასახვა ჰპოვა სამოქალაქო სჯულდების პროექტში, რომელიც ითვალისწინებდა ჩუქების გაუქმების სამ საფუძველს: 1) დასაჩუქრებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობა; ბ) დასაჩუქრებულის მხრიდან უმადურობის გამოვლენა; გ) თუ გამჩუქებელი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდებოდა.

დასაჩუქრებულის მიერ მასზე დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობა შეიძლება ყოფილიყო ჩუქების გაუქმების საფუძველი მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ასეთი შეუსრულებლობა მოხდებოდა დასაჩუქრებულის ბრალეული ქმედებით. თუკი დასაჩუქრებულ პირს დაკისრებული ჰქონდა ვალდებულების შესრულება მესამე პირის სასარგებლოდ, ასეთი შესრულების მოთხოვნის უფლება გააჩნდა როგორც გამჩუქებელს, ისე მესამე პირს.

რევოლუციამდელ ცივილისტებს შორის აზრთა დიდი სხვადასხვაობა იყო ჩუქების გაუქმების ისეთ საფუძველთან დაკავშირებით, როგორიც იყო დასაჩუქრებულის მხრიდან უმადურობის გამოვლენა. საბოლოოდ მიღწეულ იქნა შეთანხმება იმის თაობაზე, რომ დასაჩუქრებული ითვლებოდა უმადურობის გამომვლენად: 1) თუკი დასაჩუქრებული ჩაიდენს გამჩუქებლის, მისი მეუღლის, ანდა მისი აღმავალი და დამავალი ნათესავების მიმართ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც ხელყოფს მათ სიცოცხლეს, პატივს, ღირსებას, ჯანმრთელობას ან ქონებას; ბ) თუკი გამჩუქებელს მიაყენებს მძიმე შეურაცხყოფას; გ) თუკი ბოროტი განზრახვით მიაყენებს გამჩუქებელს მნიშვნელოვან ქონებრივ ზიანს; დ) თუ კანონით ვალდებულია არჩინოს გამჩუქებელი და ბოროტად თავს არიდებს ამ ვალდებულების შესრულებას.

---

[132] Шершеневич Г. Ф. Курс гражданского права, т. 2, СПб. 1896. с. 131.

დასაჩუქრებულის მხრიდან უმადურობის გამოხატვისას ჩუქების გაუქმების უფლებით აღჭურვილი იყო თვითონ გამჩუქებელი და მხოლოდ დასაჩუქრებულის სიცოცხლეში. იმ შემთხვევაში, თუკი გამჩუქებელმა უკვე წარადგინა ჩუქების გაუქმების სარჩელი დასაჩუქრებულის მიმართ, ასეთი სარჩელიდან გამომდინარე, უფლება-მოვალეობები გადადიოდა როგორც გამჩუქებლის, ისე დასაჩუქრებულის მემკვიდრეებზე. უმადურობის მოტივით ჩუქების გაუქმების შესახებ სარჩელი გამჩუქებელს შეეძლო შეეტანა მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც მან შეიტყო უმადურობის შესახებ.

გამჩუქებლის მემკვიდრეებს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლოთ მოეთხოვათ ჩუქების გაუქმება, თუკი დასაჩუქრებულმა განზრახი ქმედებით სიცოცხლე მოუსპო გამჩუქებელს. სარჩელის შეტანის ერთწლიანი ხანდაზმულობა ითვლებოდა იმ მომენტიდან, როდესაც მემკვიდრეებმა შეიტყვეს მამკვიდრებლის სიკვდილის შესახებ.

ჩუქების გაუქმების შემთხვევაში დასაჩუქრებული კარგავდა უფლებას, მოეთხოვა საჩუქრის გადაცემის ვალდებულების შესრულება. თუკი საჩუქარი უკვე გადაცემული იყო, მაშინ დასაჩუქრებული ან მისი მემკვიდრეები ვალდებული იყვნენ უკან დაებრუნებინათ მიღებული ქონება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების შესაბამისად.

ჩუქების გაუქმების შემთხვევაში ქონებრირვი ბრუნვის სტაბილურობა უზრუნველყოფილი იყო სჯულდებით გათვალისწინებული შემდეგი წესის მიხედვით: ნაჩუქარ ქონებაზე მესამე პირების მიერ მოპოვებული უფლება ჩუქების გაუქმებით არ ირღვეოდა, რამეთუ ასეთ შემთხვევაში გამჩუქებელს შეეძლო მოეთხოვა დასაჩუქრებულისაგან არა ქონების უკან დაბრუნება, არამედ მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

სამოქალაქო სჯულდება განასხვავებდა ისეთ შემთხვევებს, როდესაც გამჩუქებელს განსაზღვრული პირობების არსებობისას უფლება ჰქონდა უარი განეცხადებინა საჩუქრის გადაცემის ვალდებულების შესრულებაზე. ამასთან, ასეთი უარის თქმის სა-

ფუძველი არ იყო დაკავშირებული დასაჩუქრებულის ქცევასთან. სჯულდება ითვალისწინებდა, რომ გამჩუქებელს შეეძლო უარი ეთქვა საჩუქრის გადაცემის ვალდებულების შესრულებაზე: 1) თუკი იგი მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდა; 2) თუკი გამჩუქებელს ჩუქების დადების მომენტში არ ჰყავდა შვილები და ისინი საჩუქრის გადაცემის ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის შეეძინა.

თუკი დადგინდებოდა, რომ გამჩუქებელი ნივთის გაჩუქების შედეგად მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში ჩავარდა და არ გააჩნდა საარსებო წყარო, მას უფლება ჰქონდა მოეთხოვა დასაჩუქრებულისაგან სარჩო ნაჩუქარი ქონების ღირებულების არა უმეტეს ხუთი პროცენტისა, თუ თვითონ დასაჩუქრებულიც არ იმყოფებოდა ისეთივე მძიმე მდგომარეობაში, როგორც გამჩუქებელი. დასაჩუქრებული შეიძლებოდა გათავისუფლებულიყო ამ მოვალეობისაგან, თუ იგი უკან დაუბრუნებდა გამჩუქებელს ნაჩუქარ ქონებას.

1917 წლის რევოლუციამდე მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებდა ჩუქების რამდენიმე სახეს. ეს იყო: წყალობა, შეწირულება, მზითვის გამოყოფა.

წყალობაში იგულისხმებოდა, მისი აღმატებულების ბრძანებით, ვინმესთვის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების საკუთრებაში გადაცემა. გ. შერშენევიჩი გამოყოფდა წყალობის, როგორც ჩუქების ნაირსახეობის დამახასიათებელ ნიშნებს: 1) გამჩუქებელს წარმოადგენდა მეფე, როგორც სახელმწიფოს წარმომადგენელი და არა როგორც კერძო პირი, რომლის სახითაც მას შეეძლო განეხორციელებინა ჩუქება საერთო საწყისებზე; ბ) დასაჩუქრებული იყო კერძო პირი; გ) წყალობის საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება და არა მეფე-იმპერატორის პირადი ქონება. „წყალობა“, „ბოძება“ ხდებოდა მისი უდიდებულესობა მეფე-იმპერატორის უმაღლესი ბრძანებით. ბრძანების საფუძველზე სახელმწიფო ქონების სამინისტრო დასაჩუქრებულს სახელმწიფო მიწებიდან გამოუყოფდა მიწის ნაკვეთს

და გადასცემდა საკუთრებაში. თუმცა კი, დ. მეიერი „წყალობას“ არ განიხილავდა როგორც სამოქალაქო-სამართლებრივ გარიგებას და აღნიშნავდა, რომ ის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს ატარებდა, რამეთუ საჯარო სამართლის ინსტიტუტი იყო.

საერთო-საზოგადოებრივი მიზნისათვის ქონების ნებაყოფლობით გადაცემას შეწირულება ეწოდებოდა. დასაჩუქრებულს წარმოადგენდა საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე იურიდიული პირი. სარგებლობის საერთო მიზანი განაპირობებდა იმას, რომ შეწირული ნივთებით შეეძლოთ ესარგებლათ განსაზღვრული რაოდენობის პირებს. ამიტომაც ჩუქება სახელმწიფოს, ქალაქის, სასწავლო დაწესებულებისა და ა.შ. სასარგებლოდ, შეწირულებად ითვლებოდა.

კანონმდებლობა ჩუქების ნაირსახეობიდან განიხილავდა ასევე მზითევს. მზითვის გამოყოფა გამოიხატებოდა იმაში, რომ მშობლები ქალიშვილს გათხოვების შემდეგ გამოუყოფდნენ თავის წილ ქონებას.

IV თავი

ჩუქების ხელშეკრულება საბჭოთა სამოქალაქო სამართალში

ჩუქებასთან დაკავშირებული ყველა ურთიერთობა 1964 წლის სამოქალაქო კოდექსით რეგულირდებოდა მხოლოდ ორი მუხლით: პირველი მათგანის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით ერთი მხარე უსასყიდლოდ გადასცემდა მეორე მხარეს ქონებას საკუთრებაში. ჩუქების ხელშეკრულება დადებულად ითვლებოდა ნივთის გადაცემის მომენტიდან. მოქალაქის მიერ ქონების ჩუქება სახელმწიფო, კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციისათვის ხორციელდებოდა საზოგადოებრივად სასარგებლო მიზნისათვის. მეორე

მუხლში გათვალისწინებული იყო ჩუქების ხელშეკრულების ფორმის მიმართ წაყენებული მოთხოვნები, სახელდობრ, ჩუქება ხუთას მანეთზე მეტი თანხისა, ანდა ჩუქების ხელშეკრულება 50 მანეთზე მეტი სავალუტო ფასეულობისა, სანოტარო წესით დადასტურებას საჭიროებდა. მოქალაქის მიერ სახელმწიფო, საზოგადოებრივი თუ კოოპერატიული ორგანიზაციისათვის ქონების ჩუქება უნდა გაფორმებულიყო მარტივი წერილობითი ფორმით, საცხოვრებელი სახლის ჩუქება კი იმ ფორმით, რაც დადგენილი იყო საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის.[133]

ჩუქების ხელშეკრულების ცნება უცვლელი დარჩა მთელი საბჭოური პერიოდის სამოქალაქო სამართალში. ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ერთი მხარე უსასყიდლოდ გადასცემდა მეორეს ქონებას საკუთრებაში, ჩუქების ხელშეკრულება ეწოდებოდა. კანონმდებლობა ჩუქებას განიხილავდა როგორც რეალურ ხელშეკრულებას. ჩუქება დადებულად ითვლებოდა ქონების გადაცემის მომენტიდან, ჩუქების ხელშეკრულების დადება ემთხვეოდა მის შესრულებას.

ჩუქების ხელშეკრულების, როგორც რეალური ხელშეკრულების განსაზღვრებამ, მას განსაკუთრებული ადგილი მიუჩინა სამოქალაქო-სამართლებრივ ვალდებულებათა სისტემაში. ასე მაგალითად, პროფ. ო. იოფე აღნიშნავდა: „ასეთი კვალიფიკაციის შედეგად ჩუქება განსაკუთრებულ ვითარებაში აღმოჩნდა სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა სისტემაში. ყველა სხვა ხელშეკრულება წარმოადგენდა მის დამდებ პირებს შორის სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის საფუძვლებს. მაგრამ, რადგან ჩუქების აქტში ნივთის გადაცემა გულისხმობდა გარიგების დადებას, ამიტომაც დადებული ხელშეკრულებიდან გამჩუქებელს არანაირი ვალდებულება არ წარმოეშობოდა, დასაჩუქრებულიც არ იყო ვალდებული პირი ჩუქების ცალმხრივი ხასიათიდან გამომდინარე. სხვაგვარად რომ ითქვას, ჩუქების ხელშეკრულება, როგორც

---

[133] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1964.

რეალური გარიგება, არანაირ ვალდებულებით ურთიერთობებს არ წარმოშობდა, არამედ იდებოდა გარიგების შესრულების გზით, რომელიც დაუყოვნებლივ აქცევდა დასაჩუქრებულს ნაჩუქარი ქონების მესაკუთრედ. იმისათვის, რომ გამოყონ ჩუქების ეს აღნიშნული თავისებურება, მას ზოგჯერ სანივთო გარიგებასაც უწოდებენ.[134]

საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ჩუქების ხელშეკრულების მეორე უდავო ნიშნად ცნობილი იყო მისი უსასყიდლობა. ჩუქების ხელშეკრულების ეს თვისება აერთიანებდა მას თხოვების ხელშეკრულებასთან.[135] ჩუქებისა და თხოვების ხელშეკრულებების მსგავსებას დიდი ყურადღება ეთმობოდა. უფრო მეტიც, გამოთქმული იყო მოსაზრება, რომ თხოვება წარმოადგენდა ჩუქების ნაირსახეობას. ამასთან დაკავშირებით ო. იოფე წერდა: „მართლაც არა მარტო ჩუქების, არამედ თხოვების დროსაც, ერთი პირი ღებულობს ქონებრივ სარგებელს მეორე პირის ხარჯზე, რამეთუ ნივთი მისი სარგებლობის პროცესში განიცდის ცვეთას, ხოლო ამ ცვეთის შედეგები მთლიანად ეკუთვნის გამნათხოვებელს, რომელიც არ ღებულობს არანაირ ფულად კომპენსაციას მონათხოვრისაგან. მაგრამ ამ მსგავსების მიუხედავად, ჩუქებასა და თხოვებას შორის არსებობს არსებითი სხვაობაც: ჩუქების დროს ქონება გადადის დასაჩუქრებულის საკუთრებაში, მაშინ, როდესაც თხოვების დროს ქონება გადადის მონათხოვრის მხოლოდ დროებით სარგებლობაში. ამის გამო ჩუქება მიეკუთვნება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას, მაშინ, როდესაც თხოვება მიეკუთვნება ქონების დროებით სარგებლობაში გადაცემის ხელშეკრულებას“.

ჩუქების ხელშეკრულების უდავო ნიშნად მიჩნეული იყო მისი ცალმხრივი ხასიათიც. ასე მაგალითად, ო. იოფე ჩუქებაზე საუბრისას აღნიშნავდა, რომ უდავოა ასევე მისი ცალმხრივი ხასიათიც: დასაჩუქრებული ხდება ქონების მესაკუთრე ისე, რომ არ კისრულობს რაიმე ვალდებულებას გამჩუქებლის წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, უთმობს ქონებაზე საკუთრების უფლებას

---

134 Иоффе О.С. Обязательственное право, М., 1975.

135 იქვე. გვ. 287.

დასაჩუქრებულს, ისე, რომ არ იძენს რაიმე უფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონში არაფერი იყო პირდაპირ ნათქვამი, იურიდიულ ლიტერატურაში ჩუქების ხელშეკრულების ერთერთ ნიშნად მიღებული იყო დასაჩუქრებულის თანხმობა საჩუქრის მიღებაზე. ასე მაგალითად, ო. იოფე წერდა, რომ ერთი შეხედვით, თითქოსდა საჩუქრის გადაცემა ეს არის გამჩუქებლის ცალმხრივი მოქმედება, მაგრამ უფრო დეტალური ანალიზისას ვრწმუნდებით, რომ ამისათვის საჭიროა დასაჩუქრებულის თანხმობა. თუკი მხედველობაში მივიღებთ იმას, რომ საჩუქრად მიღებული ქონების მოვლას სჭირდება გარკვეული ხარჯები, ყოველგვარი ჩუქება შეიძლება არც კი იყოს მისაღები დასაჩუქრებულისათვის და, მაშასადამე, საჭიროა მისი თანხმობა, გარდა ამისა, თანხმობა მნიშვნელოვანია იმ თვალსაზრისითაც, რომ დასაჩუქრებულისათვის სულერთი არ არის, ვინ არის გამჩუქებელი და რა მოტივები ამოძრავებდა მას.

იურიდიულ ლიტერატურაში, სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, ყურადღება იყო გამახვილებული ასევე ჩუქების ხელშეკრულების თავისებურებებზე ქონების გასხვისების სხვა ხელშეკრულებებთან მიმართებით. აღნიშნული იყო ასევე ჩუქების დაუშვებლობა გარდაცვალების შემთხვევისათვის, რამეთუ ასეთი გარიგება შეიძლებოდა წინააღმდეგობაში მოსულიყო მემკვიდრეობის სამართლის ნორმებთან.

ჩუქების ხელშეკრულების სუბიექტებად, ძირითადად, გამოდიოდნენ მოქალაქეები, თანაც, უფრო ხშირად გამჩუქებლის როლში, რაც შეეხება იურიდიულ პირებს (ორგანიზაციებს), ისინი გამჩუქებლად, როგორც წესი, არ გამოდიოდნენ, რამეთუ ეს ეწინააღმდეგებოდა მათ სპეციალურ სამართალსუბიექტობას (უფლებაუნარიანობას). რადგან ჩუქება იწვევდა გადაცემულ ქონებაზე გამჩუქებლის საკუთრების უფლების შეწყვეტას, ამიტომაც, როგორც წესი, გამჩუქებელი უნდა ყოფილიყო გაჩუქებული ქონების მესაკუთრე, დასაჩუქრებული შეიძლება ყოფილიყო როგორც ქმედუნარიანი, ისე შეზღუდულქმედუნარიანი თუ ქმედუუნარო პირი. ქმედუუნარო პირის სახელით ქონებას ღებულობდა მისი

მეურვე, მზრუნველი კი შეზღუდულქმედუნარიან პირს თანხმობას აძლევდა საჩუქრის მისაღებად, მეურვეს ან მზრუნველს შეეძლო უარი განეცხადებინა საჩუქრის მიღებაზე, თუკი ეს ეწინააღმდეგებოდა დასაჩუქრებულის ინტერესს. თუკი დასაჩუქრებულის სახით გამოდიოდა სახელმწიფო ორგანიზაცია, მაშინ საჩუქრად მიღებული ქონება მათ ოპერატიულ სარგებლობაში გადაეცემოდათ, ხოლო ნაჩუქარი ქონება სახელმწიფოს საკუთრებაში გადადიოდა.

ჩუქების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მოქალაქის პირად საკუთრებაში არსებული ნებისმიერი ქონება: ნივთები, ფასიანი ქაღალდები, სავალუტო ფასეულობები და ა.შ. თუმცა კი, კანონმდებლობის მიხედვით სავალუტო ფასეულობების თავისუფალი ჩუქება შეიძლებოდა მხოლოდ მეულღლისათვის, შვილებისათვის, მშობლებისათვის, შვილიშვილებისათვის, პაპა-ბებიებისა და დაძმებისათვის.

ჩუქების საგნის შეზღუდვა გამომდინარეობდა კანონმდებლის მოთხოვნებიდან, რომლის თანახმადაც დასაჩუქრებულისათვის გადაცემული ქონება უნდა ყოფილიყო გამჩუქებლის პირად საკუთრებაში. საქმე იმაში იყო, რომ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით მოქალაქეებს პირად საკუთრებაში შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ შრომითი შემოსავლები და დანაზოგები, საცხოვრებელი სახლი (ან მისი ნაწილი) და დამხმარე საოჯახო მეურნეობა, პირადი მოხმარებისა და საოჯახო ნივთები. მოქალაქეებს არ ჰქონდათ უფლება პირად საკუთრებაში არსებული ქონება გამოეყენებინათ არაშრომითი შემოსავლების მისაღებად.

ჩუქების ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებაში კანონმდებლობა ითვალისწინებდა შემდეგ მოთხოვნებს: ჩუქება ხუთას მანეთზე მეტი თანხის ოდენობით უნდა გაფორმებულიყო სანოტარო წესით, ასევე სანოტარო წესით უნდა გაფორმებულიყო სავალუტო ფასეულობის ჩუქება 50 მანეთზე მეტი თანხის ოდენობით, ამასთან, ო.იოფე აღნიშნავდა, რომ სასამართლო პრაქტიკა არ იცავდა განუხრელად ამ დანაწესს. იგი წერდა, რომ თუკი ჩუქება ხდებოდა ისეთი სახის ურთიერთობებში, როდესაც სანოტარო ფორმას არ-

სებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა (მაგალითად, ჩუქება მეუღლეებს შორის), მაგრამ, თუკი ერთი მხარე, რომელიც არ უარყოფდა საჩუქრის გადაცემას, მიმართავდა სარჩელით სასამართლოს სანოტარო ფორმის დაუცველობის გამო მისი ბათილად ცნობის შესახებ, ასეთი სარჩელი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო.

რაც შეეხება ქონების ჩუქებას სახელმწიფო, კოოპერატიული თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის, ის აუცილებლად საჭიროებდა მარტივი წერილობითი ფორმით გაფორმებას. ეს ათავისუფლებდა გამჩუქებელს ხელშეკრულების სანოტარო წესით დამოწმებისაგან. ამასთან, ყურადღება მახვილდებოდა იმაზეც, რომ ამ წესის დაუცველობა არ იწვევდა ხელშეკრულების ბათილად ცნობას, არამედ მხარეებს ართმევდა უფლებას დავის შემთხვევაში მისი არსებობა დაემტკიცებინათ მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით. საცხოვრებელი სახლის ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაფორმებულიყო სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარებულიყო შესაბამის მმართველობის ორგანოში.

V თავი

ჩუქების ხელშეკრულება თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში

ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, რომელსაც ეთმობა ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილის პირველი კარის მეორე თავი, 524-530-ე მუხლები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 524-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებაში მისი თანხმობით.[136]

---

136 საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

აღნიშნული განმარტებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩუქება ისეთი გარიგებაა, რომელიც ეფუძნება მხარეთა ურთიერთთანხმობას და არა მხოლოდ მჩუქებლის ნებას. დასაჩუქრებულის მიერ საჩუქრის მიღებამდე ჩუქება არ ჩაითვლება ძალაში შესულად, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა ორი ურთიერთგანპირობებული ნების საფუძველზე წარმოიშობა. მართალია, ჩუქება მიმართულია ერთი პირიდან მეორეზე საკუთრების უფლების გადაცემისაკენ და ეს ხდება მათ შორის შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, რაც საკუთრების შეძენის საშუალებად აქცევს მას. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ, ზოგჯერ, ჩუქებას ასეთი მიზანი არა აქვს ან საკუთრების უფლების გადასვლა მხარეთა შორის შეთანხმებას არ ემთხვევა. ასეთ შემთხვევაში ჩუქება ვალდებულებითი ურთიერთობის ნაირსახეობად მიიჩნევა. ეს მომენტი ჩუქებაში უფრო გამოკვეთილია და სწორედ ამიტომაა, რომ ჩუქება არა სანივთო, არამედ ვალდებულებითი სამართლის ინსტიტუტად იქნა მიჩნეული და მისი ადგილი სახელშეკრულებო სამართალში განისაზღვრა.[137]

ჩუქების ხელშეკრულების ძირითად თავისებურებას მისი უსასყიდლო ხასიათი წარმოადგენს. იურიდიული თვალსაზრისით, უსასყიდლობა იმაში ვლინდება, რომ საჩუქარი არ არის განსაზღვრული ეკვივალენტის მატარებელი, მაგალითად, არ შეიძლება ჩუქება სასყიდლიანად ჩაითვალოს, იმის გამო, რომ ზოგიერთი ნივთის ჩუქებისას (ცხვირსახოცი, ლითონის საგნები და სხვ.), ხალხში გავრცელებული შეხედულების მიხედვით, დასაჩუქრებულმა საჩუქრის სიმბოლური საფასური უნდა გადაიხადოს. ჩუქება სასყიდლიანი მაშინაც არ არის, როცა პირის დასაჩუქრება მოჰყვა ამ უკანასკნელის მიერ გამჩუქებლის მიმართ პირადი ხასიათის სიკეთის (სიცოცხლის გადარჩენა, ავადმყოფობისას დახმარება და სხვა) გამოვლენას. ჩუქების მოტივს, რომელიც ზოგჯერ შეიძლება ანგარებითაც იყოს განპირობებული, იურიდიული თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს. შესაძლებელია მჩუქებელს

[137] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001. გვ. 65.

თავისი საჩუქრებით რომელიმე ცნობილი პირის ნდობის მოპოვება, ანდა მისი მხარდაჭერა სჭირდება მემკვიდრეობის მიღებაში ან სამსახურებრივ დაწინაურებაში. ამგვარად, ჩუქების უსასყიდლობა ნიშნავს იმას, რომ მჩუქებელს არა აქვს უფლება მოითხოვოს დასაჩუქრებულისაგან შემხვედრი დაკმაყოფილება. თუ ჩუქება ასეთ პირობას შეიცავს, იგი თვალთმაქცურ გარიგებად უნდა ჩაითვალოს, მაგალითად, როცა ბაჟის შემცირების მიზნით, ნასყიდობის ხელშეკრულება ფორმდება როგორც ჩუქება.

უსასყიდლოდ ამა თუ იმ საგნის ნებისმიერი გადაცემა სხვა პირისათვის, შეიძლება ჩუქებად არც ჩაითვალოს. მაგალითად, სიგარეტის მიწოდება, სტიპენდიის ან გრანტის გაცემა, პრემიის ან დახმარების მიცემა და ა.შ. ასეთი აქტები სამოქალაქო სამართლის სფეროს სცილდება და ზნეობრივი ნორმებით ან სამართლის სხვა დარგებით რეგულირდება.

ჩუქების დანიშნულებას წარმოადგენს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა და, შესაბამისად, მჩუქებლის ქონების შემცირება. ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს გაცვლის დროსაც. როცა ამ დროს ერთი მხარე უფრო მეტად რჩება მოგებული, ვიდრე მეორე. მაგრამ ამ შემთხვევაში ჩუქება არაა სახეზე, რადგან გაცვლისას ქონებრივი უპირატესობა შემთხვევითი ელემენტია და შეთანხმების მთავარ მიზანს არ წარმოადგენს. ჩუქებას არც მაშინ აქვს ადგილი, როცა მოვალე კრედიტორს გირაოდ გადასცემს თავისი ქონების ნაწილს. ამ შემთხვევაში ქონების გადაცემას კრედიტორის ქონებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება კი არა აქვს მიზნად, არამედ მოთხოვნის უფლების უზრუნველყოფა. დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, მათ შორის ნივთის საკუთრებაში გადაცემით, მოთხოვნის უფლების მიკუთვნებით, საკუთრების უფლების შეზღუდვის მოხსნით და ა.შ.

დასაჩუქრებულის ქონების ზრდას უნდა შეესაბამებოდეს გამჩუქებლის ქონებრივი მდგომარეობის შემცირება. ამით ჩუქება განსხვავდება ანდერძისაგან, რომლის დროსაც მამკვიდრებელი მთელ

თავის ქონებას ან მის ნაწილს უტოვებს სხვა პირს. მაგრამ მისი ქონება არ მცირდება მანამ, სანამ იგი ცოცხალია, მხოლოდ მოანდერძის სიკვდილის შემდეგ გადადის იგი მემკვიდრეზე, სსკ-ის 1306-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. სსკ-ის 1402-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ანდერძი ძალას კარგავს, თუ ნაანდერძევი ქონება მოანდერძემ სიცოცხლეშივე გაასხვისა. აქ არ შეიძლება მამკვიდრებლისა და მემკვიდრის ქონების შესაბამის გაზრდა-შემცირებაზე ვისაუბროთ, რადგან მათი ქონება ერთმანეთს შეერწყმება ფასეულობათა ერთი პირიდან მეორის ხელში გადასვლის მომენტში. ასევე არ შეიძლება ჩუქებად ჩაითვალოს სიცოცხლის დაზღვევა მესამე პირის სასარგებლოდ, რადგან ამ უკანასკნელის ქონების გაზრდა არაა დაკავშირებული დამზღვევის ქონების შემცირებასთან.

ერთი პირის ქონებრივი მდგომარეობის შემცირება და, შესაბამისად, მეორე პირის ქონების გაზრდა, სრულებითაც არ ნიშნავს ჩუქებას. ამასთან, საჭიროა სხვა პირის დასაჩუქრების სურვილიც, სწორედ ასეთი სურვილის გამოვლენის საფუძველზე უნდა მოხდეს მჩუქებლის ქონების შემცირება და დასაჩუქრებულის ქონების გაზრდა. ამიტომ არ შეიძლება საჩუქრად ჩაითვალოს ისეთი შემთხვევა, როცა ერთ პირს სურს დელიკატური ფორმით დაეხმაროს მეორეს და მისგან შეგნებულად ყიდულობს სახლს ან ავტომანქანას შედარებით მაღალ ფასებში. აქ არ არის დასაჩუქრებულის სურვილი და, ბუნებრივია, გამოჩენილი დელიკატობაც ვერ თავსდება ჩუქების შინაარსში.

ჩუქების შინაარსის განმსაზღვრელი ზოგადი დებულებანი შეიძლება გამოვლინდეს სპეციფიკურ სახელწოდებებშიც. მაგალითად, ჩუქებას წარმოადგენს მზითვი, ნიშნობის ან ქორწინების დროს მირთმეული საჩუქრები, შეწირულობა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი მიზნებისათვის და სხვ. ყველა შემთხვევაში სახეზეა ჩუქების ხელშეკრულება.

ჩუქების ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეები შეიძლება იყვნენ როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები. ისინი უნდა იყვნენ აღჭურვილი სამოქალაქო უფლებაუნარიანობითა და ქმედუნარიანობით; მაგალითად, არასრულწლოვანს ან შეზღუდულ

ქმედუნარიან პირს არ შეუძლია გააჩუქოს ქონება, ანდა მიიღოს საჩუქარი მზრუნველის თანხმობის გარეშე, რადგან შესაძლებელია ჩუქება მისი ინტერესების საწინააღმდეგოდ შინაარსს შეიცავდეს (მაგალითად, დაგირავებული ნივთის ჩუქება). შესაბამისად დაცული უნდა იქნეს სსკ-ის მე-15, 63-ე, 65-ე, 1108-ე მუხლის მოთხოვნები სარგებლისა და არასრულწლოვანის ემანსიპაციასთან მიმართებით. კანონმდებლობა კრძალავს ასევე სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადებას. ჩუქების ნამდვილობისათვის საკმარისი არ არის მხოლოდ ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა ურთიერთშეთანხმება. საჭიროა ასევე საჩუქრის რეალურად გადაცემა დასაჩუქრებულისათვის. სწორედ ამ მომენტიდან უნდა ჩაითვალოს ჩუქების ხელშეკრულება დადებულად, მაშასადამე, იგი რეალური ხასიათის ხელშეკრულებაა. ჩუქება არის ასევე ცალმხრივი ხელშეკრულება, რამეთუ ითვალისწინებს მხარეთა შორის ურთიერთგანპირობებულ უფლება-მოვალეობათა განაწილებას.

ჩუქების საგანი შეიძლება მრავალგვარი იყოს. უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ბრუნვაუნარიანი ნივთები. ის ნივთები, რომლებიც შეზღუდული ბრუნვაუნარიანობით გამოირჩევა, შეიძლება საჩუქრად იქნეს გადაცემული ასეთი ნივთის სამართლებრივი რეჟიმისათვის დამახასიათებელ თავისებურებათა გათვალისწინებით. მაგალითად, თუ ასეთი ნივთის შესაძენად (მაგ. ცეცხლსასროლი იარაღი) საჭიროა სპეციალური ნებართვა, იგი აუცილებლად უნდა გააჩნდეს დამსაჩუქრებელს. ჩუქების ობიექტის ღირებულებას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, თუმცა ამ მხრივ კანონით გარკვეული შეზღუდვებიც შეიძლება იქნეს გათვალისწინებული. ჩუქების ობიექტი შეიძლება იყოს ცალკეული უფლებებიც. ისეთ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების საგანი უფლებაა, ჩვეულებრივ, ხდება მისი დათმობა. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ვალდებულებით ურთიერთობებში, როცა კრედიტორის შეცვლა ხდება, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს კრედიტორის მოთხოვნის უფლების სხვისთვის გადაცემის აკრძალვა. ასეთ შემთხვევაში მოვალის ნებართვის გარეშე დასაჩუქრებულზე მოთხ-

ოვნის უფლების გადაცემა შეიძლება ჩუქების ხელშეკრულების გაბათილების საფუძველი გახდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 199-ე მუხლის პირველი ნაწილისა და 58-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად. როცა ჩუქების ობიექტი მოთხოვნის უფლებაა, ყველა შემთხვევაში მოვალე გაფრთხილებული უნდა იქნეს ამის თაობაზე. ჩუქების ობიექტად არ შეიძლება ჩაითვალოს ზოგიერთი პირადი ხასიათის უფლება, მაგალითად, ალიმენტის მიღების უფლება, ავტორობა, მემკვიდრედ ყოფნის უფლება და სხვ.

მოთხოვნის უფლების დათმობა მესამე პირისაგან ქონებრივი დაკმაყოფილების მიღების შესაძლებლობას ქმნის დასაჩუქრებულისათვის. ამასთან, შესაძლებელია ჩუქების ობიექტად ისეთი უფლებების ჩათვლა, რომელიც თვით მჩუქებელთანაა დაკავშირებული, მაგალითად, ისეთ ურთიერთობებში, რომლებშიც დასაჩუქრებული მოვალედ გამოდის, მჩუქებელს უფლება აქვს დასაჩუქრებული გაათავისუფლოს მის წინაშე წარმოშობილი ქონებრივი ვალდებულებისაგან (ვალის პატიება) ან მესამე პირის წინაშე არსებული ვალის გადახდა მჩუქებელმა თავის თავზე აიღოს. უკანასკნელ შემთხვევაში აუცილებელია დასაჩუქრებულის კრედიტორის თანხმობა სსკ-ის 203-ე-204-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც ზეპირად, ისე წერილობით, კონკრეტული ფორმა მხარეთა შეთანხმებით განისაზღვრება. ჩვეულებრივ, მოძრავი ნივთების ჩუქება ხდება ზეპირი ფორმით, ხოლო უძრავი ქონებისა — წერილობით. კანონის მიერ ჩუქების ხელშეკრულების ფორმის განსაზღვრის ზოგად საფუძვლად აღიარებულია კონკრეტულ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის წესი. შესაბამისად დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 525, 68, 328, 183, 186-ე მუხლების მოთხოვნები ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებით. თუ ჩუქების საგანს ისეთი ქონება წარმოადგენს, რომელზეც საკუთრების უფლება წარმოიშობა მხოლოდ კანონით დადგენილი ფორმის დაცვით, მაშინ ასეთი ქონების საჩუქრად გადაცემის ხელშეკრულებაც იმავე ფორმის დაცვით უნდა მოხდეს.

მაგალითად, თუ ჩუქების საგანი იქნება მიწის ნაკვეთი ან საცხოვრებელი სახლი, ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს უძრავი ნივთების შეძენისათვის კანონით დადგენილი წესით. კერძოდ, ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით და რეგისტრირებულ იქნეს საჯარო რეესტრში. იგივე შეიძლება ითქვას ავტომანქანაზე, რომლის შეძენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი მოძრავი ნივთია, წერილობითი დოკუმენტების შედგენის გარეშე შეუძლებელია. ბუნებრივია, ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულება წერილობითი ფორმით უნდა იქნეს დადებული და რეგისტრირებული. ამ წესის დარღვევა ავტომანქანის ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას გამოიწვევს. სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება.

ჩუქების ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს საჩუქრის გადაცემას დასაჩუქრებულისათვის. ეს შეიძლება მოხდეს საჩუქრის ჩაბარებით, უფლების წარმომშობი დოკუმენტის გადაცემით (სასაწყობო მოწმობის ან ვარანტის გადაცემა) და სხვ. რაც შეეხება დასაჩუქრებულის ნებართვას საჩუქრის მიღებაზე, იგი შეიძლება გამოიხატოს კონკლუდენტური მოქმედებით ან ხელშეკრულების წერილობითი გაფორმებისას მასზე ხელმოწერით.

საქართველოს ახალმა სამოქალაქო კოდექსმა გაითვალისწინა სიახლე, რასაც ჩუქების დაპირება ეწოდება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 525-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითი ფორმითაა დადებული.[138]

ჩუქების დაპირება წინარე ხელშეკრულების ნაირსახეობაა და იგი მომავალში ჩუქების ხელშეკრულების დადების საფუძველი ხდება. ამ გაგებით იგი წინასწარ შეთანხმებას წარმოადგენს, ამიტომ ჯერ კიდევ არ შეიძლება მისი დამოუკიდებელი ჩუქების ხელშეკრულებად მიჩნევა. საჩუქრის დაპირება კონსენსუალურ

---

[138] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს. ეს შესაძლებელია ჩუქების შინაარსის მხოლოდ ფართოდ გაგების შემთხვევაში, მაგალითად, თუ ერთი პირი მეორეს წერილობით დაჰპირდა, რომ დაბადების დღეზე აჩუქებს ავტომანქანას, ეს წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას. მართალია, შემპირებელს შეუძლია უარი თქვას ჩუქებაზე, მაგრამ მასვე დაეკისრება ამ ზიანის ანაზღაურება, რომელიც უარის თქმას მოჰყვა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არაფერს ამბობს იმის შესახებ, შეუძლია თუ არა შემპირებელს უარი განაცხადოს დაპირებული საჩუქრის გადაცემაზე ისე, რომ მას არ დაეკისროს პირობის შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება. ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია ეს, თუკი დადგინდება, რომ შეპირებული ქონების გაჩუქება დამპირებელს უსპობს საარსებო წყაროს და მას აღარ აქვს შესაძლებლობა, რომ არჩინოს თავისი თავი ან თავის კმაყოფაზე მყოფი პირები სსკ-ის 526-ე მუხლის ანალოგიით.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან.

1997 წლის 10 დეკემბერს დემურ კახიძემ მემკვიდრეობით მიიღო გარდაცვლილი დეიდის სამკვიდრო ქონება, რომელშიც შედიოდა საცხოვრებელი სახლიც. დეკემბრის ბოლოს დემური თავის მეზობელს, კახა აბესაძეს დაჰპირდა, რომ მის შვილს აჩუქებდა მემკვიდრეობით მიღებულ სახლს, როცა იგი საშუალო სკოლას დაამთავრებდა. ჩუქების დაპირება 1998 წლის 10 იანვარს გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით. ჩუქების დაპირებიდან ორი წლის შემდეგ კახას შვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ დემურ კახიძემ უარი განაცხადა საცხოვრებელი სახლის კახას შვილისათვის საჩუქრად გადაცემაზე იმ მოტივით, რომ მას (დამპირებელს) შეეძინა მესამე შვილი, რის გამოც შეიცვალა მისი მისი ოჯახური მდგომარეობა და ამიტომ აღარ შეუძლია სახლის გაჩუქება. კახა აბესაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დემურ კახიძისაგან შეპირებული საჩუქრის გადაცემა, ასევე მისთვის და მისი შვილისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. კახა აბესაძე თავის

მოთხოვნებს იმით ასაბუთებდა, რომ, მართალია, დამპირებელს შეეძინა მესამე შვილი, მაგრამ შეპირებული საცხოვრებელი სახლი სრულებით არ სჭირდება, რადგან მის გარდა კიდევ აქვს ორი საცხოვრებელი სახლი და, შესაბამისად, დამპირებლის ქონებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა, ხოლო თვითონ იგი კი განიცდის საცხოვრებელი ფართის სივიწროვეს, რამეთუ მრავალშვილიანია და თანაც შრომისუუნარო.

საქმის განმხილველმა სასამართლომ მოსარჩელის არგუმენტები დასაბუთებულად მიიჩნია და სარჩელი ნაწილობრივ დააკმაყოფილა: დამპირებელს დააკისრა შეპირებული სახლის საჩუქრად გადაცემა, ხოლო მოსარჩელეს უარი უთხრა მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არაფერს ამბობს ასევე დამპირებლის მხრიდან საჩუქრის დაპირების ცალმხრივად გაუქმების შესახებ. თუმცა პრაქტიკაში არის ამის შემთხვევებიც. ასე მაგალითად, დ. ღონღაძე დაჰპირდა თავის შვილიშვილს, რომ ქორწილის დღეს საჩუქრად გადასცემდა საცხოვრებელ სახლს. საჩუქრის დაპირების ხელშეკრულებას ხელი მოაწერა ორივე მხარემ და დაადასტურებინეს ნოტარიუსს სანოტარო წესით. პაპამ და შვილიშვილმა გადაწყვიტეს, რომ ხელშეკრულების დადება ოჯახში პატარა წვეულებით აღენიშნათ. წვეულებაზე მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი. შემთვრალმა პაპამ შვილიშვილს ჰკითხა, თუ რატომ არ ჰყავდა 25 წლის ახალგაზრდას მეგობარი გოგონა და ხომ არ ჰქონდა მას რაიმე ბიოლოგიური პრობლემა. შვილიშვილი ამ კითხვაზე გაბრაზდა, დაავლო დანას ხელი და პაპას მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება, ასევე სიტყვიერი შეურაცხყოფა სხვადასხვა უცენზურო სიტყვებით. გამოჯანმრთელების შემდეგ პაპამ ცალმხრივად გააუქმა ჩუქების დაპირება და უარი განაცხადა შეპირებული სახლის საჩუქრად გადაცემაზე.

იბადება კითხვა: აქვს თუ არა პაპას ასეთი მოქმედების განხორციელების უფლება? მიგვაჩნია, რომ აქვს და ამ შემთხვევაში შეიძლება ანალოგიით გამოვიყენოთ სსკ-ის 529-ე მუხლით გათ-

ვალისწინებული ჩუქების გაუქმების საფუძვლები.

მნიშვნელოვანია, თუ რა ბედი ეწევა საჩუქრის დაპირებას, თუკი დამპირებელი გარდაიცვლება საჩუქრის გადაცემის მომენტის დადგომამდე. თუმცა პრაქტიკაში არის ასეთი შემთხვევებიც. ასე მაგალითად, 80 წლის მოხუცი თ. გიორგაძე ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც იძახებდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისათვის მედპერსონალს. თ. გიორგაძის მეზობლად ცხოვრობდა მედდა ნ. კიკნაძე, რომელიც ყოველ საღამოს სახლში შეუვლიდა ხოლმე მოხუც მეზობელს და მას სამედიცინო დახმარებას უწევდა. მადლიერების ნიშნად, თ. გიორგაძემ ნ. კიკნაძეს განუცხადა, რომ გადაწყვიტა მისთვის ზამთარში ეჩუქებინა ძვირფასი ბეწვის ქურქი, რადგან თვითონ ავად იყო და ქურქი აღარ დასჭირდებოდა, ხოლო იმისათვის, რომ დაერწმუნებინა თავისი სიტყვების გულწრფელობაში, თ. გიორგაძემ 2000 წლის 10 აგვისტოს ჩუქების დაპირება გააფორმა კანონით დადგენილი წესით.

2000 წლის 15 ნოემბერს თ. გიორგაძე გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ნ. კიკნაძისათვის დაპირებული ბეწვის ქურქის საჩუქრად გადაცემა. თ. გიორგაძის შვილმა უარი განუცხადა ნ. კიკნაძეს ქურქის გადაცემაზე. ნ. კიკნაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს თ. გიორგაძის შვილის მიმართ და მოითხოვა მისგან დედის მიერ დაპირებული ქურქის საჩუქრად გადაცემა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმ მოტივით, რომ დამპირებლის გარდაცვალების შემთხვევაში საჩუქრის დაპირება ძალას კარგავს. ვფიქრობთ, არასწორია სასამართლოს გადაწყვეტილება. იმ შემთხვევაში, თუკი დაპირებული საჩუქარი ატარებს მატერიალურ ხასიათს (მაგ. ნივთი), დამპირებლის საჩუქრის გადაცემამდე გარდაცვალების შემთხვევაშიც, დაპირებული საჩუქრის გადაცემის ვალდებულება უნდა გადავიდეს მემკვიდრეზე, ხოლო თუკი დაპირებული საჩუქარი პირადი ხასიათისაა და მისი შესრულება დაკავშირებულია უშუალოდ დამპირებლის პიროვნებასთან (მაგ. დამპირებელი დაჰპირდა დასასაჩუქრებელ პირს, რომ იგი, როგორც ცნობილია პოეტი, დაუწერდა მას პოემას და გადასცემდა

საჩუქრად), მაშინ დამპირებლის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების დაპირება ძალას დაკარგავს სამოქალაქო კოდექსის 453-ე I, 1306-ე, 1328-ე, 1484-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი გარკვეულ შემთხვევებში ზღუდავს მჩუქებელს თავისი უფლებების განხორციელებაში. ეს ძირითადად დაკავშირებულია გასაჩუქებელი ქონების სამართლებრივ სტატუსთან. მაგალითად, თუ ჩუქების ობიექტია ისეთი ქონება, რომელიც საერთო თანაზიარ საკუთრებაშია, მისი გასაჩუქრება შესაძლებელია თანამესაკუთრის ნებართვით ან კიდევ, თუ ხდება მოთხოვნის უფლების გაჩუქება, საჭიროა იმ წესების დაცვა, რაც ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლასთანაა დაკავშირებული (ცესია ანუ მოთხოვნის დათმობა სსკ-ის 198-ე-201-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად). იგივე შეიძლება ითქვას მესამე პირებთან ურთიერთობისას დასაჩუქრებულის ვალის მჩუქებლის მიერ თავის თავზე აღების შემთხვევაში. ამ დროს ვალდებულებაში მოვალის შეცვლა ხდება და გათვალისწინებულ უნდა იქნეს დასაჩუქრებულის კრედიტორის ინტერესები. განსაზღვრული შეზღუდვა საჩუქრის ობიექტის ოდენობასთან დაკავშირებით არსებობს აგრეთვე საქართველოს კანონში „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“.

ჩუქების შეზღუდვასთან ერთად კანონმდებლობა ითვალისწინებს ჩუქების დაუშვებლობას. ასეთი ნორმა მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 526-ე მუხლში, რომლის თანახმადაც, პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს. მაშასადამე, ჩუქების აკრძალვის საფუძველს წარმოადგენს მჩუქებლის ოჯახის მძიმე მატერიალური მდგომარეობა. ამგვარად, თუ ჩუქების შეზღუდვა ძირითადად დასაჩუქრებულისა და მესამე პირის ინტერესების დაცვას გულისხმობს, ჩუქების დაუშვებლობა მჩუქებლის ინტერესებითაა განპირობებული.[139]

---

[139] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001. გვ. 157.

მიუხედავად იმისა, რომ ჩუქების ხელშეკრულება უსასყიდლო ხასიათისაა, სამოქალაქო კანონმდებლობა გამჩუქებელს გარკვეულ პასუხისმგებლობას აკისრებს გაჩუქებულ ქონებასთან დაკავშირებით. ეს, უპირველეს ყოვლისა, ეხება ჩუქების ობიექტის ხარისხობრივ მხარეს. ქონების ყოველგვარი გადაცემა სხვა პირისათვის გულისხმობს ასეთი შემთხვევებისთვის კანონის მოთხოვნათა დაცვის აუცილებლობას. აქედან გამომდინარე, საჩუქარი უნდა იყოს ხარისხიანი და დასაჩუქრებულისათვის გარკვეული სარგებლის მომტანი, მისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების საფუძველი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება პასუხისმგებლობის საკითხი. კერძოდ, თუ ნაჩუქარმა ნივთმა ზიანი მიაყენა დასაჩუქრებულის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან მის საკუთრებაში არსებულ ქონებას, მჩუქებელს დაეკისრება მისი ანაზღაურება. მჩუქებლის ქონებრივი პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით დადგენილი საფუძვლების არსებობა, რომლებიც ვალდებულების დარღვევისათვის პასუხისმგებლობას ითვალისწინებენ. მჩუქებელი პასუხს აგებს თავისი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებისათვის, ამასთან, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ აქ არ მოქმედებს ის ზოგადი წესი, რომ ბრალის ფორმას ზიანის ანაზღაურებისათვის სამოქალაქო სამართალში, განსხვავებით სისხლის სამართლისაგან, არანაირი მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ კანონი გამჩუქებელს ნაჩუქარი ნივთის ნაკლით მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი იგი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ნივთის ნაკლს, ანუ ადგილი უნდა ჰქონდეს მჩუქებლის მხრიდან განზრახ ბრალს და არა გაუფრთხილებლობას. მჩუქებელს აწევს იმის მტკიცების ფაქტი, რომ მან არ იცოდა ასეთი ნაკლის შესახებ. მჩუქებლის პასუხისმგებლობის გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საზიანო შხამ-ქიმიკატების, ავი და მოუთვინიერებელი ცხოველების, ადვილად აალებადი ნივთებისა და ა.შ. ჩუქება. მოვიყვანოთ სასამართლო პრაქტიკიდან მაგალითი:

ნ. მჭედლიძემ ბაზრობაზე შეიძინა იმპორტული წარმოების ძვირფასი ქსოვილის კაბა ლამაზი ნაქარგებით, რომელიც იქვე მოიზომა, ჩაიცვა და წავიდა სახლში. სახლში მისვლისას მან გაიხადა კაბა და აღმოაჩინა, რომ კანი გაწითლებული ჰქონდა. ნ. მჭედლიძემ ჩათვალა, რომ მას ალერგია სჭირდა ნაყიდი კაბის ქსოვილის მიმართ, ამიტომაც შემდგომში მას ნაყიდი კაბა აღარ ჩაუცვამს. ორი დღის შემდეგ ნ. მჭედლიძემ ბაზრობაზე შეძენილი კაბა საჩუქრად მიუტანა დაბადების დღეზე თავის მეგობარს – ანას. ანამ კაბა ჩაიცვა, ძალიან მოეწონა და დიდი მადლობა გადაუხადა ნ. მჭედლიძეს. ანა რამდენიმე დღე ნაჩუქარი კაბით დადიოდა სამსახურში, იგი საღამოთი კაბის გახდისას ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ კისერი გაწითლებული ჰქონდა. მალე ანამ მთელ ტანზე შენიშნა წითელი გამონაყარი. ანამ მიმართა პოლიკლინიკას, საიდანაც იგი გააგზავნეს ინფექციურ საავადმყოფოში მუნის დიაგნოზით. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ ანამ სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნ. მჭედლიძის მიმართ და მოითხოვა მისგან დაავადებული ქსოვილის შქონე ნაჩუქარი კაბით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ მთლიანად დააკმაყოფილა დასაჩუქრებულის სასარჩელო მოთხოვნა.

ვფიქრობთ, რომ აღნიშნულ შემთხვევაში მოსამართლემ არასწორად განმარტა სსკ-ის 527-ე მუხლი. გამჩუქებლის მხრიდან ბოროტ განზრახვას ადგილი არ ჰქონია. მისი ქმედება შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ გაუფრთხილებლობად, რაც არ არის საკმარისი საფუძველი იმისათვის, რომ მას დაეკისროს გაჩუქებული ნივთის ნაკლის გამო დასაჩუქრებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

ჩუქება, როგორც უსასყიდლო ხელშეკრულება, არ უნდა შეიცავდეს ისეთ პირობას, რომელიც დასაჩუქრებულის მხრივ ქონებრივი ვალდებულებების შესრულებასთან იქნება დაკავშირებული. მაგალითად, ბინის გაჩუქებისას არ შეიძლება დასაჩუქრებულისაგან ბინაში ჩატარებული ახალი რემონტის ღირებულების მოთხოვნა. ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულება უსასყიდლო ხასიათს კარ-

გავს. მაგრამ ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩუქების ხელშეკრულებით არ შეიძლება რაიმე პირობის გათვალისწინება. ეს შესაძლებელია, თუმცა იგი მჩუქებლისათვის რაიმე ეკვივალენტის მიღებას არ უნდა ითვალისწინებდეს. ამის საფუძველს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 528-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსი, რომლის მიხედვითაც მხარეებს შეუძლიათ შეთანხმდნენ იმაზე, რომ ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობა დამოკიდებული იყოს რომელიმე კონკრეტული პირობის შესრულებაზე ან განსაზღვრული მიზნის მიღწევაზე; პირობა შეიძლება ეხებოდეს საჩუქრად მიღებული ქონების სარგებლობის ან მართვის წესს. ჩუქების ხელშეკრულების დადება ისეთი პირობით, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს — დაუშვებელია. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: ი. პატარავამ თავის ინვალიდ მეგობარს ბ. ნემსაძეს საჩუქრად გადასცა ავტომანქანა. ჩუქების ხელშეკრულებაში მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით ჩაწერეს, რომ ბ. ნემსაძის გარდაცვალების შემთხვევაში მისი მემკვიდრეები ნაჩუქარ მანქანას უკან დაუბრუნებდნენ გამჩუქებელს. ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ ბ. ნემსაძე გარდაიცვალა, ხოლო მისმა შვილმა კი უარი განუცხადა ი. პატარავას გაჩუქებული ავტომანქანის უკან დაბრუნებაზე. ი. პატარავამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნემსაძის მემკვიდრისაგან გაჩუქებული ავტომანქანის უკან დაბრუნება ნაჩუქრობის ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი სსკ-ის 524, 91-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად.

ზოგიერთ შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულების მიზანი შეიძლება იყოს საერთო-სასარგებლოც. ასეთ ჩუქებას შეწირულობა ეწოდება. მის მაკვალიფიცირებელ თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ დასაჩუქრებული არის პირთა გარკვეული ჯგუფი, ჩვეულებრივ, იურიდიული პირი, რომელსაც საზოგადოებრივი მნიშვნელობა გააჩნია. ჩუქების მიზანია კეთილი საქმის, საზოგადებრივად სასარგებლო საქმის წახალისება, ქველმოქმედების განხორციელება. ამიტომ ქონების ჩუქება სახელმწიფოსათვის, ქალაქ-

ისათვის, სასწავლო ან სამედიცინო დაწესებულებისათვის, ბავშვთა და ინვალიდთა სახლისათვის, რელიგიური დაწესებულებისათვის და ა.შ. ჩაითვლება შეწირულობად. აქედან გამომდინარე, არ იქნება სახეზე შეწირულობა იმ შემთხვევაში, როცა ჩუქება, მართალია, ხდება პირთა წრის მიმართ, მაგრამ მათ კერძო ინტერესი გააჩნიათ. ასეთია, მაგალითად, ნათესაური კავშირი ან მეგობართა წრე.

შეწირულობის გაკეთება შეუძლია ნებისმიერ ქმედუნარიან პირს. სასურველია ასეთი პირი იყოს დადებითი რეპუტაციის მქონე და არა ისეთი, რომელიც მხოლოდ მსგავსი აქტით ცდილობს ღირსეული ადგილის დაკავებას საზოგადოებაში. შეწირულობის საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონება, რომლის განკარგვა თავისუფლადაა შესაძლებელი. შეწირულობისთვისაც საჭიროა იმათი თანხმობა, ვის მიმართაც კეთდება იგი. შეწირულობით სარგებლობა უნდა შეესაბამებოდეს იმ მიზნებს, რისთვისაც გაკეთდა იგი. შეწირულობის მიზნობრივი პრინციპის დარღვევით გამოყენება ხელშეკრულების გაბათილების საფუძველია. გამონაკლისია ისეთი შემთხვევა, როცა შეწირულობის მიმღები ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან რეორგანიზაცია მოხდა და ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი ქონების გამოყენების ალტერნატიულ მიზანზე. ასეთ შემთხვევებში ქონების შემწირველი განსაზღვრავს მისი გამოყენების კონკრეტულ მიზანს, ხოლო, თუ იგი ცოცხალი არ არის, მაშინ ორგანიზაციის სალიკვიდაციო ან სხვა კომპეტენტური სტრუქტურა. პირობის შესრულება, ჩვეულებრივ, გამჩუქებელმა უნდა მოითხოვოს და მისი მიმდინარეობა გააკონტროლოს. ასევე შეიძლება იმ პირმაც განახორციელოს ეს უფლება, რომლის ინტერესებშიც იქნა იგი დათქმული. მჩუქებლის ან დაინტერესებული პირის კონტრაჰენტად ყოველთვის გამოდის დასაჩუქრებული. სწორედ მან უნდა უზრუნველყოს პირობის შესრულება. თუ დასაჩუქრებული პირობას არ შეასრულებს, ეს ჩაითვლება ხელშეკრულების დარღვევად და მისი გაუქმების მნიშვნელოვან საფუძვლად.

მოვიყვანოთ ორი მაგალითი პრაქტიკიდან:

1) ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ უსახლკარო პირთა ღამის

გასათენებელ სახლს საქველმოქმედო მიზნით გამოუყო 5000 ლარი 100 ცალი მატყლის საბნის შესაძენად, იქიდან გამომდინარე, რომ ბავშვებს უფრო სჭირდებოდათ ახალი საბნები, ვიდრე უსახლკარო, ქუჩაში მაწანწალა პირებს, ღამის გასათენებელი სახლის ადმინისტრაციამ ხელშეკრულება დადო ბავშვთა საავადმყოფოსთან, რომლის მიხედვითაც ბავშვთა საავადმყოფოს გადაეცემოდა შემოწირული თანხით ნაყიდი 100 ახალი მატყლის საბანი, ხოლო ბავშვთა საავადმყოფო კი ღამის გასათენებელ სახლს გადასცემდა 100 ცალ, ოღონდ უკვე გაცვეთილ საბნებს. ორი თვის შემდეგ ჰუმანიტარულმა ორგანიზაციამ შეამოწმა შეწირული თანხის დახარჯვის მიზნობრიობა და როდესაც შეიტყო, რომ თანხა არამიზნობრივად დაიხარჯა, მოითხოვა პირობის შესრულება, რაზედაც ღამის გასათენებელი სახლის ხელმძღვანელობამ თანხების არქონის გამო უარი განაცხადა.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ შემთხვევაში, მართალია, დაირღვა ნაწილობრივ ჩუქების (შეწირულობის) მიზანი, მაგრამ ჩუქების გაუქმება არამართებული იქნებოდა.

2) ინდივიდუალურმა მეწარმემ — დ. რაზმაძემ საავადმყოფოს შეწირულობის სახით გადასცა მიკროავტობუსი იმ მიზნით, რომ ექიმებს შესაძლებლობა ჰქონოდათ გამოძახების შემთხვევაში სახლში მისულიყვნენ ავადმყოფებთან. ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში ჩაწერილ იქნა შეწირულობის მიზანი. მაგრამ საავადმყოფოს მედპერსონალმა მიკროავტობუსი პირადი მიზნებისათვის გამოიყენა. დ. რაზმაძემ მოითხოვა ჩუქების გაუქმება და მიკროავტობუსის უკან დაბრუნება.

ჩუქების გაუქმება არა მარტო მაშინაა შესაძლებელი, როცა იგი პირობითია და პირობა არ სრულდება, არამედ მაშინაც, როცა ჩუქების ხელშეკრულება რაიმე პირობას არ ითვალისწინებს. ერთერთი სპეციფიკური საფუძველი ჩუქების გასაუქმებლად შეიძლება იყოს დასაჩუქრებულის უმადურობა, რომელიც სხვადასხვა კონკრეტულ ფორმებში გამოიხატება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ჩუქება შეიძლება

გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ.[140]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა იმის განმარტებას, თუ რა შედის უმადურობის ცნებაში ან ვინ წარმოადგენს მჩუქებლის ახლო ნათესავს. სასამართლო პრაქტიკაში კი მიღებულია, რომ დასაჩუქრებულის უმადურობად ითვლება: ა) არამართლზომიერი მოქმედება, რომელიც მიმართულია მჩუქებლის, მისი ოჯახის წევრის ან ახლო ნათესავის სიცოცხლის, ჯანმრთელობის, თავისუფლების, პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის წინააღმდეგ; ბ) განზრახი მოქმედება, რომელიც მიზნად ისახავს მჩუქებლისათვის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის მიყენებას; გ) კანონით განსაზღვრულ მოვალეობაზე – არჩინოს ან იზრუნოს იმაზე, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილ იქნეს მჩუქებელი – უარის თქმა და სხვ. სასამართლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ვალდებულია განსაზღვროს დასაჩუქრებულის უმადურობის ხარისხი მჩუქებლის ქცევის გათვალისწინებით; მანვე უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, საბოლოოდ წარმოადგენს თუ არა გამოვლენილი უმადურობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს. სსკ-ის 529-ე მუხლთან მიმართებით მნიშვნელოვანია საქართველოს უზენაესი სასამართლოს რეკომენდაციები.

[140] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

რეკომენდაციები

სამოქალაქო სამართლის სასამართლო პრაქტიკის პრობლემატურ საკითხებზე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთგვაროვანი პრაქტიკა სამოქალაქო საქმეებთან დაკავშირებით

ჩუქება

„მუხლი 524. ცნება

ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით.

მუხლი 529. ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო

1. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

2. თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ.

3. ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მაგალითი 1

ჩუქების ხელშეკრულებით ა-მ საჩუქრად გადასცა ბ-ს ბინა. ჩუქების ხელშეკრულებას საფუძვლად დაედო ა-სა და ბ-ს შორის დადებული ზეპირი შეთანხმება, იმასთან დაკავშირებით, რომ აღნიშნული ბინის სანაცვლოდ ბ. მთელი სიცოცხლის მანძილზე მოუვლიდა ა-ს. ა-ს გარდაცვალების შემდეგ ბ-ს წინააღმდეგ სარჩელი აღძრა გ-მ (გ იყო ა-ს ახლო ნათესავი) და მოითხოვა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ მოტივით, რომ ბ-მ ა-ს მიმართ დიდი უმადურობა გამოიჩინა და მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა. სასამართლომ არ დააკმაყოფილა გ-ს მოთხოვნა და მიუთითა, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლება გააჩნია მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, რადგან ჩუქების გაუქმება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს გამჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ხოლო რა შეიძლება ჩაითვალოს

შეურაცხყოფად და უმადურობად, ამის განსაზღვრა მხოლოდ მჩუქებელს შეუძლია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე მოსარჩელეებს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება არა აქვთ.

მაგალითი 2

ა-მ სარჩელი აღძრა ბ-ს მიმართ და მოითხოვა 1996 წელს დადებული ბინის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება, იმ მოტივით, რომ ბ, ბინის დაუფლების შემდეგ დიდ უმადურობას იჩენდა ა-ს მიმართ და არ პატრონობდა უმწეო მდგომარეობაში მყოფ ა-ს. I ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს ა-ს გარდაცვალების გამო, სასამართლომ დანიშნა მისი უფლებამონაცვლე -გ, რომელმაც დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება მოითხოვა, როგორც თვალთმაქცური გარიგების, ვინაიდან აღნიშნული გარიგება დადებული იყო სამიდღეშიო რჩენის უზრუნველსაყოფად. სასამართლომ დაზუსტებული სასარჩელო განცხადება არ მიიღო, ვინაიდან იგი დავის საფუძვლის შეცვლად მიიჩნია. სასამართლომ ჩუქების ხელშეკრულების ბათილობის საკითხი მოაწესრიგა სამოქალაქო საპართლის კოდექსით (1964 წ.), რომელიც დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ხელშეკრულების ბათილობას არ იცნობს და არა სამოქალაქო კოდექსით (1997).

კომენტარი:

529-ე მუხლის პირველ პუნქტში მოცემულია უღირსი საქციელის ამომწურავი ჩამონათვალი, რომელიც საშუალებას იძლევა ჩუქების გაუქმების საკითხი დაისვას, კერძოდ, მჩუქებელის ან მისი ახლო ნათესავისადმი დასაჩუქრებულის ძიერ მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა. თუ ვის გააჩნია ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება, აღნიშნულზე ნათლად მეტყველებს როგორც კანონით გათვალისწინებული წესები, ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამ-

კვიდრებული პრაქტიკა. ქართული სამოქალაქო კანონმდებლობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლებას მხოლოდ მჩუქებელს ანიჭებს.

თუ დასაჩუქრებული სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ჩაიდენს განზრახ ქმედებას, რომლის შედეგადაც შეუძლებელი ხდება გადაწყვეტილების აღსრულება და ნაჩუქარი ნივთის ამოღება (ნივთის გასხვისება, განადგურება, მოხმარება და ა.შ.), მისი ღირებულება შეიძლება ამოღებულ იქნას დასაჩუქრებულისაგან უსაფუძვლო გამდიდრების შედეგად წარმოშობილი ვალდებულებითი ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად ანუ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ დასაჩუქრებულის ზემოაღნიშნული ქმედება განიხილება როგორც უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც მესაკუთრის უფლებამოსილების რეალიზაციის სამართლებრივი საფუძველი დასაჩუქრებულს უკვე აღარ გააჩნდა. რაც შეეხება არაბრალეულ, ანუ გაუფრთხილებელ ქმედებებს დასაჩუქრებულის მხრიდან, რომელთა შედეგადაც შეუძლებელია ნაჩუქრობის საგნის ნატურით დაბრუნება, ვერ გახდება მისგან საგნის ღირებულების ამოღების საფუძველი.

ჩუქების ხელშეკრულების ზემოაღნიშნულ საკითხებთან მიმართებით საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ მჩუქებლის კანონისმიერ მემკვიდრეებს სსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩუქების გაუქმების მოთხოვნა არ შეუძლიათ. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს მითითებული ნორმით წარმოადგენს დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილით, თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ, ამავე ნორმის მესამე ნაწილით კი ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს ზემოხსენებული მატერიალურ-სამართლებრივი საფუძვლის შესახებ. აღნიშნული ნორმა ყველაზე ნათლად ასახავს

რა სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირს, მჩუქებლისაგან ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ მიღების სანაცვლოდ დასაჩუქრებულს აკისრებს ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ზნეობრივ ფასეულობათა დაცვა მოცემულ შემთხვევაში ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით, რასაც თან ახლავს სათანადო სამართლებრივი შედეგი – მჩუქებლისათვის გაჩუქებული ნივთის საკუთრებაში დაბრუნება.

სსკ-ის 529-ე მუხლის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელის შემფასებელი თვითონ მჩუქებელია, რაზედაც მეტყველებს ნორმაში არსებული გამონათქვამები: „ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ“, „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს“.

ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედება, არამედ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა, თუ რა სახის შეურაცხყოფაა პირისათვის მძიმე ან რას მიიჩნევს დიდ უმადურობად, ეს მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის – მჩუქებლის შეფასების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს. სსკ-ის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმების საფუძვლად მიჩნეულია, როგორც მჩუქებლის, ისე მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. ამ დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ასეთი მჩუქებლის მიერ იქნება მოთხოვილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავისებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასსა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართალურთიერთობას“.

საქართველოს უზენაესი სასამართლო

განჩინება

საქართველოს სახელით

N ას-332-1005-03 — 9 მარტი 2004 წ.
II. ას-332 — ქ. თბილისი

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატა, შემადგენლობა:
მაია ახალაძე (თავმჯდომარე),
ნუნუ კვანტალიანი (მომხსენებელი), **მარიამ ცისკაძე**.

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე.
კასატორები – **ლავრენტი ბარბაქაძე, ეკატერინე ენუქიძე** (მოსარჩელე).
მოწინააღმდეგე მხარე – **ცისანა ჩადუნელი** (მოპასუხე).

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება.
კასატორის მოთხოვნა – გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.
დავის საგანი – ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება.

აღწერილობითი ნაწილი:

2002 წლის 30 აგვისტოს ლავრენტი ბარბაქაძემ და ეკატერინე ენუქიძემ გარდაბნის რაიონულ სასამართლოში სარჩელი აღძრეს ცისანა ჩადუნელის წინააღმდეგ.

მოსარჩელეებმა მიუთითეს, რომ 2001 წლის 6 თებერვალს შურა ბარბაქაძესა და ცისანა ჩადუნელს შორის გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების თანახმად, ჩადუნელს გადაეცა ბარბაქაძის სახლი და მიწის ნაკვეთი. აღნიშნული ხელშეკრულების დადების საფუძველს კი წარმოადგენს სიტყვიერი შეთანხმება, რომლის თანახმადაც ჩადუნელი იღებდა ვალდებულებას, სიცოცხლის ბოლომდე მოევლო ბარბაქაძისთვის.

მოსარჩელეების განმარტებით, აღნიშნული ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ დასაჩუქრებულმა დიდი უმადურობა გამოიჩინა გამჩუქებლის მიმართ და ასევე მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მათ მოითხოვეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ლავრენტი ბარბაქაძისა და ეკატერინე ენუქიძის სარჩელი, გაუქმდა აწ გარდაცვლილი შურა ბარბაქაძესა და ცისანა ჩადუნელს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულება.

გადაწყვეტილებაში მოსამართლემ მიუთითა, რომ ჩუქების ხელშეკრულება უნდა გაუქმებულიყო, რადგან დასაჩუქრებულმა გამოიჩინა უმადურობა დამსაჩუქრებლის მიმართ და მიაყენა მძიმე შეურაცხყოფა. მოსამართლემ ასევე მიუთითა,რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიმართ უნდა გამოყენებულიყო დაფარული გარიგების მიმართ მოქმედი წესები, რადგან მხარეთა შორის ფაქტობრივად, დაიდო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, ხოლო ნოტარიულად კი დადასტურდა ჩუქების ხელშეკრულება. ე.ი. ეს იყო შემთხვევა, როდესაც ერთი

ხელშეკრულების დადებითი მხარეები მიზნად ისახავდნენ ძირითადი ხელშეკრულების დაფარვას.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ცისანა ჩადუნელმა და მოითხოვა აღნიშნული გადაწყვეტილების გაუქმება, ხელახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

აპელანტმა მიუთითა, რომ ჩუქების ხელშეკრულებაში მხარეებს წარმოადგენენ გამჩუქებელი და დასაჩუქრებული. აქედან გამომდინარე, ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნა შეუძლია მხოლოდ გამჩუქებელს. მითითებული გარემოებიდან გამომდინარე, აპელანტი თვლიდა, რომ ვინაიდან მოსარჩელეები არ წარმოადგენენ ხელშეკრულების მხარეებს, შესაბამისად, მათ არც ჰქონდათ ხელშეკრულების გაუქმების მოთხოვნის უფლება.

გარდა ამისა, ცისანა ჩადუნელმა განმარტა, რომ მოსამართლემ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებანი, რადგან აპელანტის აზრით, არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდება, რომ მან დიდი უმადურობა გამოიჩინა ან შეურაცხყოფა მიაყენა დამსაჩუქრებელს.

სააპელაციო საჩივარზე შეპასუხება შეიტანეს მოწინააღმდეგე მხარეებმა, სადაც მათ აღნიშნეს, რომ სააპელაციო საჩივარი უსაფუძვლო იყო და იგი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ძალაში უნდა დარჩენილიყო გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ცისანა ჩადუნელის სააპელაციო საჩივარი, გაუქმდა გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2002 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილება და მოსარჩელეებს უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე, შემდეგი საფუძვლით – სააპელაციო პალატის მითითებით, საქმეში წარმოდგენილი არც ერთი მტკიცებულებით არ დასტურდებოდა, რომ დამსაჩუქრებელმა მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა ან უმადურობა

გამოიჩინა დამსაჩუქრებლის მიმართ. საქმეში მოწმედ დაკითხული შურა ბარბაქაძის დისა და დისშვილის ჩვენებებით პალატამ დაადგინა, რომ ცისანა ჩადუნელი შურა ბარბაქაძეს კარგად უვლიდა და აწ გარდაცვლილი კმაყოფილი იყო დასაჩუქრებულის მოქმედებით. დადგენილია, რომ შურა ბარბაქაძე გარდაიცვალა 2002 წლის 30 ივლისს. საქმეში წარმოდგენილ თბილისის მერიის ჯანმრთელობის დაცვის საქალაქო სამსახურის ენდოკრინოლოგიური ცენტრის მიერ გაცემული ცნობიდან ირკვევა, რომ შურა ბარბაქაძე საკონსულტაციოდ უკანასკნელად იმყოფებოდა 2002 წლის 23 ივლისს, აწ გარდაცვლილი ყოველთვიურად იღებდა ინსულინს. მოსარჩელე მხარემ თავად დაადასტურა, რომ სიკვდილამდე რამდენიმე დღით ადრე ციალა ჩადუნელმა შურა ბარბაქაძე მიიყვანა ექიმთან.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების უფლება გააჩნია მხოლოდ ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს, რადგან ჩუქების გაუქმება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს გამჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ხოლო რა შეიძლება ჩაითვალოს შეურაცხყოფად და უმადურობად, ამის განსაზღვრა მხოლოდ მჩუქებელს შეუძლია. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული მუხლის საფუძველზე მოსარჩელეებს ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება არა აქვთ.

რაც შეეხება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას იმ საფუძვლით, რომ იგი წარმოადგენს თვალთმაქცურ გარიგებას, ამ საკითხზე პალატამ მიიჩნია, რომ ვერ იმსჯელებდა, რადგან მოსარჩელეებმა პირველ ინსტანციაში არ დააყენეს აღნიშნული მოთხოვნა.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ლავრენტი ბარბაქაძემ და ეკატერინე ენუქიძემ.

კასატორები მოითხოვენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების

გაუქმებას და გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2003 წლის 25 თებერვლის გადაწყვეტილების ძალაში დატოვებას შემდეგ გარემოებათა გამო:

ისინი მიუთითებენ, რომ ცისანა ჩადუნელის მიერ შურა ბარბაქაძისათვის შეურაცხყოფის მიყენება დასტურდება 2002 წლის 27 ივლისის ახსნა-განმარტებით, რომელიც დაწერილი იყო დიდი ლილოს პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის სახელზე. მითითებულ ახსნა-განმარტებაში შურა ბარბაქაძე გარდა იმისა, რომ მიუთითებდა ცისანა ჩადუნელის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების შესახებ, ასევე მოითხოვდა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას.

კასატორები ასევე მიუთითებენ, რომ სააპელაციო პალატამ არასწორი ინტერპრეტაცია მისცა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლს, რადგან, მათი აზრით, უსაფუძვლოა იმის მითითება, თითქოს ჩუქების ხელშეკრულების გასაჩივრების უფლება აქვთ მხოლოდ მხარეებს, ისინი თვლიან, რომ ვინაიდან წარმოადგენენ გარდაცვლილის ახლო ნათესავებს, აქვთ მითითებული ხელშეკრულების გასაჩივრების უფლება.

კასატორები თვლიან, რომ სასამართლოს ბათილად უნდა ჩაეთვალა ჩუქების ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ იგი ფაქტობრივად წარმოადგენდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას და აქედან გამომდინარე, ჩუქების ხელშეკრულება უნდა ჩათვლილიყო თვალთმაქცურ გარიგებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლისა და განსაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

დადგენილია, რომ 2001 წლის 6 თებერვლის სანოტარო

წესით დამოწმებული ჩუქების ხელშეკრულებით შურა ბარბაქაძემ ცისანა ჩადუნელს აჩუქა მის საკუთრებაში არსებული გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალაში მდებარე ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი.

შურა ბარბაქაძე გარდაიცვალა 2002 წლის 30 ივლისს.

2002 წლის 10 სექტემბერს შურა ბარბაქაძის და-ძმამ – ლავრენტი ბარბაქაძემ და ეკატერინე ჩადუნელმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს 2001 წლის 6 თებერვლის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ დასაჩუქრებულმა – ცისანა ჩადუნელმა დიდი უმადურობა გამოიჩინა შ. ბარბაქაძის მიმართ.

ზემოხსენებული ფაქტობრივი გარემოებები სავსებით სწორად შეაფასა საოლქო სასამართლომ და სასარჩელო მოთხოვნა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ მჩუქებლის კანონისმიერ მემკვიდრეებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლებით ჩუქების გაუქმების მოთხოვნა არ შეუძლიათ. ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველს მითითებული ნორმით წარმოადგენს დასაჩუქრებულის მიერ მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ დიდი უმადურობის გამოჩენა ან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. აღნიშნული ნორმის მეორე ნაწილით, თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, ამავე ნორმის მესამე ნაწილით კი ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ზემოხსენებული მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობა ყველაზე ნათლად ასახავს რა სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირს, მჩუქებლისაგან ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ მიღების სანაცვლოდ დასაჩუქრებულს აკისრებს ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, ზნეობრივ ფასეულობათა დაცვა

მოცემულ შემთხვევაში ხდება ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებით, რასაც თან ახლავს სათანადო სამართლებრივი შედეგი – მჩუქებლისათვის გაჩუქებული ნივთის საკუთრებაში დაბრუნება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის შინაარსიდან აშკარად ჩანს, რომ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელის შემფასებელი თვითონ მჩუქებელია, რაზედაც მეტყველებს ნორმაში არსებული გამონათქვამები: „ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ“, „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს“.

ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედება, არამედ მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობა. თუ რა სახის შეურაცხყოფაა პირისათვის მძიმე ან რას მიიჩნევს დიდ უმადურობად, ეს მხოლოდ კონკრეტული სუბიექტის – მჩუქებლის შეფასების საგანს შეიძლება წარმოადგენდეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს კასატორის მოსაზრებას, რომ ვინაიდან ჩუქება შეიძლება გაუქმდეს მაშინაც, თუკი მძიმე შეურაცხყოფა და დიდი უმადურობის გამოჩენა ეხება მჩუქებლის ახლო ნათესავს, ხოლო რადგანაც კასატორები არიან მჩუქებლის და-ძმა, მათ აქვთ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ჩუქების გაუქმების საფუძვლად მიჩნეულია, როგორც მჩუქებლის, ისე მისი ახლო ნათესავის მიმართ გამოჩენილი დიდი უმადურობა და მძიმე შეურაცხყოფის მიყენება. ამ დანაწესის ანალიზი ცხადყოფს, რომ ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის არაზნეობრივი საქციელი მხოლოდ იმ შემთხვევაში იწვევს ჩუქების გაუქმებას, თუკი ასეთი მჩუქებლის მიერ იქნება მოთხოვილი, ანუ მჩუქებელი მისი ახლო ნათესავის მიმართ დასაჩუქრებულის ზნეობრივად გასაკიცხ ქმედებას იმდენად უნდა ითავისებდეს, რომ თვითონვე უნდა ხდიდეს სადავოდ მასსა და დასაჩუქრებულს შორის არსებულ ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობას.

ვინაიდან შურა ბარბაქაძეს კონსტიტუციით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მეორე მუხლის პირველი ნაწილით გარანტირებული უფლების დაცვა სასამართლო წესით არ მოუთხოვია, უნდა მივიჩნიოთ, რომ შურა ბარბაქაძეს დასაჩუქრებულის მიმართ რაიმე პრეტენზია არ ჰქონდა. კასატორებს კი სარჩელში მითითებული საფუძვლით ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებაზე უფლებამოსილება არ გააჩნიათ ზემოთ მითითებული დასაბუთების გამო.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება კანონის დარღვევის გარეშეა მიღებული და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

დაადგინა:

ლავრენტი ბარბაქაძისა და ეკატერინე ენუქიძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის საოლქო სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა სააპელაციო პალატის 2003 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელი.

საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

თავმჯდომარე **მ. ახალაძე**

მოსამართლეები: **ნ. კვანტალიანი, მ. ცისკაძე**

თუ ჩუქება გაუქმებულ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე, მჩუქებელი უფლებამოსილია მოითხოვოს გაჩუქებული

ქონების უკან დაბრუნება. ეს პროცესი გაცილებით მარტივია, როცა სახეზეა გაჩუქებული ქონება. ამ დროს მოხდება ქონების ნატურით უკან დაბრუნება. სხვა შემთხვევაში, დასაჩუქრებულს არ დაეკისრება ფულადი კომპენსაცია. გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნება შესაძლებელია სასამართლოს მიერ ჩუქების გაუქმების შესახებ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან. რაც შეეხება თვით ჩუქების გაუქმებას, იგი შესაძლებელია მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა მჩუქებელს წარმოეშობა ჩუქების გაუქმების საფუძველი. ნაჩუქარი ქონების დაბრუნებისას დასაჩუქრებულს არა აქვს უფლება მჩუქებლისაგან მოითხოვოს იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნების გამო. ვერ დავეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ თუ გაჩუქებული ქონება დასაჩუქრებულის მიერ უკვე გასხვისებულია ანდა ფიზიკურად აღარ არსებობს, ჩუქების გაუქმების შემთხვევაში დასაჩუქრებულს დავაკისროთ მჩუქებლის მიმართ ფულადი კომპენსაცია.

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან:

1) მ. ბადრიძემ თავის შვილიშვილს არჩილს აჩუქა ანტიკვარული გიტარა, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული თავისი პაპისაგან. ნაჩუქრობის ხელშეკრულება გაფორმებული იქნა წერილობითი ფორმით, ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ და შვილიშვილმა მიიღო საჩუქარი. საჩუქრის გადაცემიდან დიდი ხანი არც კი იყო გასული, გამჩუქებელმა შეამჩნია რომ არჩილი, ანუ დასაჩუქრებული, უგულისყუროდ ეკიდებოდა ნაჩუქარ გიტარას, დაკვრის შემდეგ უდიერად მიაგდებდა ხოლმე, პაპის შენიშვნებს არავითარ ყურადღებას არ აქცევდა. ერთხელ გიტარა ხუმრობით თავში ჩაარტყა მეგობარს, რის შემდეგაც ინსტრუმენტი დაზიანდა. გამჩუქებელმა ჩათვალა, რომ ასეთი მოპყრობით გიტარა მნიშვნელოვნად დაზიანდებოდა, არადა იგი ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენდა, ამიტომაც მან სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილიშვილთან დადებული ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული გიტარის უკან დაბრუნება.

სასამართლომ მიაჩნია, რომ დასაჩუქრებულის მხრიდან ადგილი აქვს გამჩუქებლის მიმართ უმადურობის გამოვლენას, გააუქმა ჩუქების ხელშეკრულება და დასაჩუქრებულს დააკისრა გამჩუქებლისათვის ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნება.

2) ქეთევან სირბილაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გელა კიკნაძესთან დადებული ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის ნაჩუქრობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების დადებისას იგი შეცდომაში იქნა შეყვანილი მის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. სასარჩელო განცხადებაში ქეთევანმა აღნიშნა, რომ 1999 წლის 20 ივნისს აჩუქა გელა კიკნაძეს თავის საკუთრებაში არსებული ოროთახიანი ბინა იმ პირობით, რომ გელა კიკნაძე აცხოვრებდა მას ამ ბინაში, მოუვლიდა და მატერიალურ დახმარებას გაუწევდა სიცოცხლის ბოლომდე. ეს შეთანხმება მოხდა ზეპირი ფორმით, მაგრამ დასაჩუქრებულმა დაარღვია შეთანხმება და არ მოუარა მას და არც მატერიალური დახმარება გაუწია, თანაც მჩუქებელს არ გააჩნდა სხვა თავშესაფარი.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ქეთევან სირბილაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას ადგილი არ ჰქონია ზეწოლასა და შეცდომაში შეყვანას, მოსარჩელე სრულიად აცნობიერებდა თავის მოქმედებას და, გარდა ამისა, მან ვერ შეძლო სასამართლოსათვის წერილობითი სახის მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ ხელშეკრულება დაიდო მოსარჩელის სამისდღეშიო რჩენის პირობით.

მოსარჩელემ სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა. სააპელაციო საჩივარში მან აღნიშნა, რომ ჩუქების ხელშეკრულება დადებულ იქნა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული გაუწევდა მას მატერიალურ და სხვა სახის დახმარებას, გადაიხდიდა კომუნალური მომსახურების ხარჯებს და რომ მას სურდა გაეფორმებინა ბინა ანდერძით დასაჩუქრებულის სახელზე, მაგრამ დასაჩუქრებულმა მას შესთავაზა, რომ ეჩუქებინა ბინა.

სასამართლოს მიერ დაკითხულმა მოწმეებმა თავიანთ ჩვენებებში განმარტეს, რომ მოსარჩელის სიტყვებიდან მათთვის ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულებით დასაჩუქრებულმა იკისრა ვალდებულება მატერიალური დახმარება გაეწია მოსარჩელისათვის სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ არ ასრულებს თავის დაპირებას. გელა კიკნაძემ უარყო მასსა და გამჩუქებელს შორის სხვა რაიმეზე შეთანხმება და აღნიშნა, რომ ქეთევან სირბილაძემ ყოველგვარი დამატებითი ვალდებულების შესრულების პირობის გარეშე გადასცა მას საჩუქრად საცხოვრებელი ბინა.

ამის საპასუხოდ ქეთევან სირბილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ გაჩუქებული ბინა მისი ერთადერთი ძვირფასი ქონებაა, რომლის ხარჯზეც უნდა იარსებოს მან, რადგან შრომისუუნაროა და არანაირი სხვა შემოსავლის წყარო მას არ გააჩნია, ამიტომაც იგი ვერავის გადასცემდა მას უსასყიდლოდ საკუთრებაში სამისდღეშიო რჩენის პირობის გარეშე.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი იმასთან დაკავშირებით, რომ გამჩუქებელმა ვერ შეძლო წარედგინა სასამართლოსათვის რაიმე წერილობითი მტკიცებულება, რომლითაც დაადასტურებდა დასაჩუქრებულის მხრიდან დამატებითი ვალდებულების თავის თავზე აღებას, ხოლო სანოტარო წესით გაფორმებულ ჩუქების ხელშეკრულებაში კი გამჩუქებლისათვის მატერიალური დახმარების გაწევისა და რჩენის ვალდებულების შესახებ არაფერი იყო აღნიშნული. აპელანტმა სასამართლო გადაწყვეტილება გაასაჩივრა კასაციის წესით. უზენაესმა სასამართლომ ქეთევან სირბილაძესა და გელა კიკნაძეს შორის დადებული ხელშეკრულება მიიჩნია თვალთმაქცურ გარიგებად, ბათილად ცნო იგი და საქმე განსახილველად დაუბრუნა სააპელაციო სასამართლოს.

სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევასაც, როცა ჩუქების გაუქმება გამოწვეულია არა დასაჩუქრებულის უმადურობით, არამედ თვით მჩუქებლის მძიმე მატერიალური მდგომარეობით. დასაჩუქრებულის ბრალი ამ დროს გამორიცხულია. მჩუქებელს ხელშეკრულების დადების დროს არავითარი მატე-

რიალური ხასიათის პრობლემა არ გააჩნია. იგი ნებაყოფლობით გადასცემს სხვა პირს ქონებას, რომელსაც ნივთის სახე აქვს. გაჩუქების შემდეგ, განსაზღვრული დროის განმავლობაში, თუკი მჩუქებელი აღმოჩნდა ისეთ მდგომარეობაში, როცა არ შეუძლია საკუთარი თავის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა, მას უფლება აქვს დასაჩუქრებულს მოსთხოვოს გაჩუქებული ნივთი. იგულისხმება, რომ საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება მჩუქებელს გააჩნია იმ დროის განმავლობაში, ვიდრე გაჩუქებული ნივთი რეალურად არსებობს დასაჩუქრებულის საკუთრებაში. თუ დასაჩუქრებულმა ნაჩუქარი ნივთი უკვე გაასხვისა ან სხვაგვარად გამოიყენა, მაშინ მჩუქებელს მისი მესამე პირისაგან გამოთხოვის ან დასაჩუქრებულისაგან მისი ღირებულების კომპენსაციის მიღების უფლება არ გააჩნია. გარდა აღნიშნულისა, მჩუქებელს ეს უფლება მხოლოდ მაშინ წარმოეშობა, თუ საჩუქრის დაბრუნება დასაჩუქრებულს არ ჩააყენებს მძიმე მდგომარეობაში. ე.ი. დასაჩუქრებულთან ნაჩუქარი ნივთის რეალურად არსებობის მარტო ფაქტი საკმარისი არ არის. აუცილებელია კანონის უმნიშვნელოვანესი მოთხოვნის დაცვაც – დასაჩუქრებული არ უნდა ჩავარდეს დაახლოებით იმავე მდგომარეობაში, რამაც მჩუქებელს წარმოუშვა საჩუქრის უკან მოთხოვნის უფლება. ამით კანონი იცავს დასაჩუქრებული პირის ინტერესებს. ამგვარად, მძიმე მატერიალური მდგომარეობა, რომელიც მჩუქებელს საფუძველს უქმნის მოითხოვოს გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება, უფლებას აძლევს დასაჩუქრებულს უარი თქვას საჩუქრის უკან დაბრუნებაზე. ორ ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულ და მძიმე მდგომარეობაში აღმოჩენილ პირს შორის კანონი უპირატესობას მაინც დასაჩუქრებულს ანიჭებს და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ჩუქება აუნაზღაურებელი და რეალური გარიგებაა. საჩუქრის უკან გამოთხოვა ასეთ შემთხვევაში ზნეობრივადაც გაუმართლებელია.

გამჩუქებელს უფლება არა აქვს დასაჩუქრებულს უკან მოსთხოვოს ნაჩუქარი ნივთი, თუ ასეთი მოთხოვნის საფუძველი მან ხელოვნურად შექმნა. კერძოდ, თუ მძიმე მდგომარეობა, რომელშიც

იგი აღმოჩნდა, გამოწვეულია მისი განზრახი მოქმედებით ან უხეში გაუფრთხილებლობით, მაგალითად, ალკოჰოლური სასმელების ბოროტად გამოყენებით, აზარტული თამაშებით და ა.შ. მძიმე მდგომარეობის ხარისხი, რამაც სხვადასხვა შემთხვევაში შეიძლება შეცვალოს ჩუქებასთან დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი, ყველა შემთხვევაში უნდა განსაზღვროს სასამართლომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით.

ჩუქების გაუქმებასთან მიმარებით მნიშვნელოვანი საკითხია, თუ ვის შეუძლია მოითხოვოს ჩუქების გაუქმება. ამ საკითხს არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ პროცესუალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც გააჩნია.

ამ საკითხის გარკვევისათვის შედარება მოვახდინოთ გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 530-ე პარაგრაფთან, რომელიც ორი ნაწილისგან შედგება: 1) ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან გამოიჩენს აშკარა უმადურობას მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ. 2) ჩუქების გაუქმების უფლება მჩუქებლის მემკვიდრეებს გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა ანდა ხელი შეუშალა მჩუქებელს ჩუქების გაუქმებაში.[141]

სამწუხაროდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში არ გვაქვს შესაბამისი დებულება მჩუქებლის მემკვიდრეების უფლებების შესახებ ჩუქების გაუქმებასთან მიმართებით. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „A“ და „B“ არიან ბიზნეს პარტნიორები. „A“-მ „B“-ს დაბადების დღეზე საჩუქრად გადასცა 100000 (ასი ათას) ლარად ღირებული ავტომანქანა. მოგვიანებით „A“ და „B“-ს შორის დაიძაბა საქმიანი ურთიერთობა და „B“-მ „A“-ს ერთ შემთხვევაში მიაყენა სხეულის დაზიანება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი გამოიწვია „A“-ს სიცოცხლის მოსპობა. ისმის შეკითხვა:

ა) „A“-მ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა

[141] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. Verlag "Wolterskluwer", 2004. S. 129.

„B“-ს დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და ნაჩუქარი ავტომანქანის უკან დაბრუნება, რომელიც სარჩელის განხილვის პროცესში კვლავ დასაჩუქრებულის საკუთრებაში იყო. მაგრამ სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე მჩუქებელი – მოსარჩელე „A“ გარდაიცვალა. „A“-ს დარჩა პირველი რიგის მემკვიდრე შვილი „D“. აქვს თუ არა „D“-ს უფლება ჩაებას პროცესში გარდაცვლილი მჩუქებლის უფლებამონაცვლედ?

ბ) გარდაცვლილ მჩუქებელ „A“-ს დარჩა მემკვიდრე, შვილი „D“. აქვს თუ არა „D“-ს უფლება გარდაცვლილი მშობლის-მჩუქებლის ნაცვლად შეიტანოს სასამართლოში სარჩელი და მოითხოვოს „B“-სთან გარდაცვლილი მჩუქებლის მიერ დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული ავტომანქანის უკან დაბრუნება, რომელიც სარჩელის შეტანის მომენტისათვის კვლავ იმყოფება დასაჩუქრებული „B“-ს საკუთრებაში? (ამ საკითხებთან მიმართებით ჩვენს ინტერესს არ წარმოადგენს „B“-ს მიმართ რა სახით დადგა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა).

ჩვენს მიერ დასმულ პირველ საკითხთან მიმართებით პრობლემას წარმოადგენს საპროცესო უფლებამონაცვლეობის შესაძლებლობა. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის თანახმად, სადავო ან სასამართლოს გადაწყვეტილებით დადგენილი სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლის შემთხვევაში სასამართლო დაუშვებს ამ მხარის შეცვლას მისი უფლებამონაცვლით. უფლებამონაცვლეობა შესაძლებელია პროცესის ყოველ სტადიაზე.

მაშასადამე, უფლებამონაცვლეობის საფუძველია არა საქმიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა, არამედ სამართლებრივი ურთიერთობიდან ერთ-ერთი მხარის გასვლა.

საპროცესო უფლებამონაცვლეობის ერთ-ერთი საფუძველია მოქალაქის გარდაცვალება. საპროცესო უფლებამონაცვლეობა მთლიანად დამოკიდებულია მატერიალურ სამოქალაქო სამართალზე. თუ უფლებამონაცვლეობა მატერიალური სამართლის მიხედვით დაუშვებელია, მაშინ დაუშვებელია საპროცესო უფლებამონაცვ-

ლეობაც. მატერიალური სამოაქალაქო სამართალი უფლებამონაცვლეობას ითვალისწინებს სსკ-ის 453-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში. კერძოდ, კრედიტორის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება გათვალისწინებული იყო პირადად კრედიტორისათვის.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 92-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და 279-ე მუხლის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლო ვალდებულია შეაჩეროს საქმის წარმოება მოქალაქის გარდაცვალებისას, თუ სადავო-სამართლებრივი ურთიერთობა დასაშვებად თვლის უფლებამონაცვლეობას, ხოლო საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის „ე" ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო შეწყვეტს საქმის წარმოებას, თუ საქმის ერთ-ერთ მხარედ მყოფი მოქალაქის გარდაცვალების შემდეგ, სადავო სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, დაუშვებელია უფლებამონაცვლეობა.

მაშასადამე, სსკ-ის 529-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუკი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე (გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე) მჩუქებელი გარდაიცვალა, საპროცესო უფლებამონაცვლეობა დაუშვებელია და სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება.

რაც შეეხება მეორე შემთხვევას, როდესაც დასაჩუქრებულის დანაშაულებრივმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოხლის მოსპობა, აქვს თუ არა მჩუქებლის მემკვიდრეს უფლება სარჩელით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს გარდაცვლილ მჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება?

ამ საკითხთან მიმართებით მნიშვნელოვანია საპროცესო სამართლის ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა სათანადო მხარე. სსსკ მე-2 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

სამოქალაქო უფლების შესახებ დავის გამო საქმის სასამართლოში აღძვრის საწყის ეტაპზე სასამართლოსათვის ჯერ კიდევ არაა ცნობილი და არც შეიძლება იყოს ცნობილი, რომ მოსარჩელე ნამდვილად ფლობს იმ უფლებას, რომლის დაცვასაც იგი მოითხოვს, რომ ეს უფლება ნამდვილად დარღვეულია ან სადავოდაა გამხდარი და ამიტომ საჭიროებს დაცვას და, რომ მოპასუხე, ე.ი. პირი, რომელზეც მიუთითებს მოსარჩელე, მართლაც ის პირია, რომელმაც ნამდვილად დაარღვია მოსარჩელის უფლება. ეს არის საკითხები, რომლებიც სასამართლომ უნდა გაარკვიოს არა სარჩელის მიღების წინ, არამედ საქმის განხილვის შედეგად.

ამასთან ერთად, სარჩელის წარმოებაში მიღების შემდეგ, ზოგჯერ კი საქმის არსებითად განხილვის პროცესში ირკვევა, რომ მოსარჩელე არაა ის პირი, რომელსაც ეკუთვნის სადავო უფლება, ან კიდევ, მოპასუხე არაა ის პირი, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე.

როგორ უნდა მოიქცეს სასამართლო ამ შემთხვევაში? არსებობს ამ საკითხის გადაწყვეტის ორი გზა: 1) სასამართლომ უნდა შეცვალოს არასათანადო მხარე სათანადო მხარით; 2) როცა მოსარჩელეს არა აქვს მოთხოვნის უფლება, თუ სასამართლო მიიღებს ასეთი არასათანადო მოსარჩელისგან სარჩელს და მხოლოდ ამის შემდეგ გაირკვევა, რომ მოსარჩელეს არა აქვს მოთხოვნის უფლება, – მაშინ სასამართლომ უნდა შეწყვიტოს საქმის წარმოება სსსკ-ის 272-ე მუხლის ანალოგიით.

სასამართლომ თუ რომელი გზა უნდა აირჩიოს, დამოკიდებულია მატერიალურ სამართალზე, ანუ არის თუ არა სარჩელის აღმძვრელი პირი სათანადო მოსარჩელე, განისაზღვრება მატერიალურ-სამართლებრივი ნორმების საფუძველზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის ანალიზის საფუძველზე, ვასკვნით, რომ ჩუქების გაუქმების მოთხოვნის უფლება აქვს მხოლოდ მჩუქებელს და ეს უფლება არ გადადის მემკვიდრეობით და სსკ-ის 1330-ე მუხლის თანახმად, ეს უფლება არ შედის სამკვიდროს მასაში. კერძოდ, სამკვიდროში არ შედის

ის ქონებრივი უფლებები და მოვალეობები, რომლებიც პირადი ხასიათისაა და მხოლოდ მამკვიდრებელს შეიძლება ეკუთვნოდეს, ასევე კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები და მოვალეობები, რომლებიც მოქმედებს მხოლოდ კრედიტორისა და მოვალის სიცოცხლეში და წყდება მათი სიკვდილით.

ზემოთ აღნიშნული პრობლემის გადაწყვეტის საშუალებად მიგვაჩნია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის მე-2 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის ნორმა: „ჩუქების გაუქმებისა და გაჩუქებული ქონების გამოთხოვის უფლება მჩუქებლის მემკვიდრეებს გააჩნიათ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულის მართლსაწინააღმდეგო და განზრახმა ქმედებამ გამოიწვია მჩუქებლის სიცოცხლის მოსპობა ანდა ხელი შეუშალა მჩუქებელს ჩუქების გაუქმებაში“.

პრაქტიკისათვის პრობლემურია საკითხი – შეიძლება თუ არა ჩუქების გაუქმება სსკ-ის 529-ე, 530-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძვლებით დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემდეგ. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „A“-ს და „B“-ს შორის დადებული იქნა ჩუქების ხელშეკრულება. დასაჩუქრებულმა მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა მჩუქებელს. მჩუქებელმა გადაწყვიტა სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის ჩუქების გაუქმებისა და გაჩუქებული ქონების უკან დაბრუნების მოთხოვნით, მაგრამ სარჩელის შეტანამდე დასაჩუქრებული გარდაიცვალა (ან მეორე შემთხვევა – სარჩელის შეტანის შემდეგ დასაჩუქრებული გარდაიცვალა).

მოვიყვანოთ პრაქტიკიდან მეორე მაგალითი: „D“-ს და „C“-ს შორის დადებული იქნა ჩუქების ხელშეკრულება. მჩუქებელმა დასაჩუქრებულს საკუთრებაში გადასცა ძვირადღირებული როიალი. ჩუქებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მჩუქებელი მისგან დამოუკიდებელი პატივსადები მიზეზებით აღმოჩნდა მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში (ავადმყოფობა) და ვეღარ შესძლო თავის კმაყოფაზე მყოფი მცირეწლოვანი ბავშვების რჩენა. მჩუქებელმა სსკ-ის 530-ე მუხლის საფუძველზე გადაწყვიტა დასაჩუქრე-

ბულისაგან უკან გამოეთხოვა გაჩუქებული როიალი, რაზედაც დასაჩუქრებულმა უარი განუცხადა. მჩუქებელმა გადაწყვიტა სარჩელით მიემართა სასამართლოსათვის, მაგრამ სარჩელის შეტანამდე დასაჩუქრებული გარდაიცვალა (ან მეორე შემთხვევა – სარჩელის შეტანის შემდეგ გარდაიცვალა დასაჩუქრებული).

დასაშვებია თუ არა სსკ-ის 530-ე მუხლით გათვალისწინებული გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვის უფლების განხორციელება დასაჩუქრებულის მემკვიდრეების მიმართ. ვფიქრობთ, რომ არა. ამგვარი დასკვნის საფუძველს გვაძლევს სსკ-ის 453-ე, 1306-ე, 530-ე, 1328-ე, 1330-ე მუხლების ანალიზი. თუმცა კი ამ პრობლემის ცალსახად გადაწყვეტის მიზნით უმჯობესი იქნება, თუკი საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ჩუქების ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს დაემატება გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 532-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ანალოგიური შინაარსის მქონე ნორმა: „დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლით გათვალისწინებულ ჩუქების გაუქმების სამართლებრივ საფუძველთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის 2003 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებას საქმეზე N 1/2/155.

საქართველოს სახელით საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო

ასლი

პირველი კოლეგია

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

N1/2/155 თბილისი, 2003 წლის 1 აპრილი

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ ბესარიონ ზოიძის (თავმჯდომარე, მომხსენებელი), იაკობ ფუტკარაძისა და ნიკოლოზ შაშკინის შემადგენლობით (სხდომის მდივანი დარეჯან ჩალიგავა), –

ღია სასამართლო სხდომაზე, რომელშიც მონაწილეობდნენ მოსარჩელე აკაკი საღირაშვილი და მოპასუხე – საქართველოს პარლამენტის წარმომადგენელი შორენა ჯანხოთელი, სპეციალისტი – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიურ ინსტიტუტის ეთიკის განყოფილების გამგე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გერონტი შუშანაშვილი,

განიხილა საქმე – „საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

დავის საგანია: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის კონსტიტუციურობა საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით.

საქართველოს მოქალაქე აკაკი საღირაშვილის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოში შემოტანილია 2001 წლის 26 მარტს. არსებითად განსახილველად მიღების საკითხის გადაწყვეტის მიზნით საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიას იგი გადმოეცა 2002 წლის 12 სექტემბერს. კოლეგიის განმწესრიგებელი სხდომის 2002 წლის

25 სექტემბერს საოქმო ჩანაწერით მოქალაქე აკაკი საღირაშკალის კონსტიტუციური სარჩელი მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

კონსტიტუციური სარჩელის შემოტანის საფუძველია საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი, ამავე კანონის 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-2 პუნქტი.

მოსარჩელის აზრით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლი – „ჩუქების გაუქმება დასაჩუქრებულის უმადურობის გამო“ არაკონსტიტუციურია და ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს.

სადავო მუხლის მიხედვით, ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ; თუ ჩუქება გაუქმდა, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილი იქნეს მჩუქებლის მიერ; ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

მოსარჩელის აზრით, მას შემდეგ, რაც მჩუქებელი დასაჩუქრებულს გადასცემს ქონებას, დასაჩუქრებული ხდება ამ ქონების მესაკუთრე და მხარეებს შორის ყველანაირი ურთიერთობა წყდება. სადავო მუხლი კი ითვალისწინებს შემთხვევას, როდესაც ჩუქება შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისათვის დასაშვებია საკუთრების უფლების შეზღუდვა კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით. სა-

კუთრების ჩამორთმევა ყოველთვის განპირობებული უნდა იყოს „საზოგადოებრივი საჭიროებით“. რაც შეეხება „მძიმე შეურაცხყოფასა და დიდ უმადურობას“, ეს პირადი ურთიერთობის სფეროა და მას არა აქვს კავშირი საზოგადოებრივ საჭიროებასთან. ამიტომაც ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმება კონსტიტუციის საწინააღმდეგოა.

მოპასუხის წარმომადგენელმა შორენა ჯანხოთელმა აღნიშნა, რომ დასაჩუქრებულს ქონება საკუთრებაში გადაეცემა მისი თანხმობით, შესაბამისად ყველა თანამდევ შედეგზე დასაჩუქრებული თავისი ნებით გამოთქვამს თანხმობას. ამდენად, იგი წინასწარვე აცნობიერებს, რომ შესაძლებელია კანონით განსაზღვრული პირობების არსებობისას მოხდეს ნაჩუქარი ნივთის უკან გამოთხოვა და ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათი, რაც განპირობებულია მხარეთა შორის არსებული განსაკუთრებული ურთიერთობით. სწორედ ეს წარმოადგენს კიდეც ჩუქების მოტივს. ჩუქების გაუქმების შემთხვევები, კერძოდ კი, დასაჩუქრებულის მხრიდან მძიმე შეურაცხყოფის მიყენება ან დიდი უმადურობის გამოჩენა მჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავის მიმართ, სპობს იმ საფუძველს, რამაც ჩუქება წარმოშვა და ამდენად გამართლებულია. დასაჩუქრებულის მხრიდან ზნეობრივი ვალდებულების იგნორირება საკმაოდ სამართლიანად იწვევს მჩუქებლის მხრიდან ჩუქების გაუქმების შესაძლებლობას.

მოპასუხის აზრით კი საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც მხარეთა ნების საწინააღმდეგოდ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისას შეიძლება მოხდეს საკუთრების შეზღუდვა ან ჩამორთმევა. სადავო ურთიერთობა კი არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობა და საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, მით უფრო, რომ მსგავს დანაწესებს შეიცავს სხვა ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც.

სპეციალისტის აზრით, სამართალი ყოველთვის დაკავშირებული იყო ზნეობასთან. ზნეობა სამართლის ფუნდამენტია და უზ-

ნეო სამართალი თავის თავს აუქმებს. ჩუქება ქონების უსასყიდლო გადაცემას გულისხმობს, რაც ზნეობრივი მხარეა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სადავო მუხლის სახით, სამართალი ზნეობის მხარდამჭერად გვევლინება, რადგან უმადურობა არის სიკეთეზე ბოროტებით პასუხის გაცემა. უმადურობა ზნეობრივი მოთხოვნების დარღვევაა. სპეციალისტის დასკვნით საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის გაუქმება სრულიად მიზანშეუწონელი და გაუმართლებელია.

საკონსტიტუციო სასამართლოს პირველმა კოლეგიამ საქმის არსებითად განხილვის შედეგად, – კონსტიტუციური სარჩელის მონაცემების, საკონსტიტუციო სამართალწარმოების მონაწილეთა გამოსვლების, სპეციალისტის დასკვნისა და საქმეში არსებული წერილობითი მტკიცებულებების გაანალიზების საფუძველზე დაადგინა გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო გარემოებანი.

I. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის სადავო ნორმა ნაჩუქრობის შინაარსის ერთ-ერთ გამოვლინებას წარმოადგენს. მჩუქებლის უფლება, უკან დაიბრუნოს გაჩუქებული ქონება, ჩუქების ურთიერთობის მაღალი ზნეობრივი ხასიათითაა განპირობებული. ნაჩუქრობა ისტორიულად ჩამოყალიბდა, როგორც ზნეობრივ საძირკველზე დაფუძნებული ურთიერთობა. როგორც თავის დასკვნაში კიდეც აღნიშნა საქმეზე მოწვეულმა სპეციალისტმა, „სამართალში და განსაკუთრებით სამოქალაქო სამართალში ყოველთვის აუცილებელია სამართალსა და ზნეობას შორის ფუნდამენტური ურთიერთობის გათვალისწინება. აუცილებელია იმ მსგავსებისა და განსხვავების გათვალისწინება, რომელიც არსებობს სამართლებრივ შეფასებასა და ზნეობრივ შეფასებას, სამართლებრივ ღირებულებასა და ზნეობრივ ღირებულებას შორის“. ნაჩუქრობა სამართლისა და ზნეობის ურთიერთკავშირის იდეალური გამოვლინებაა. აქ ის შემთხვევა გვაქვს, როდესაც ეთიკურ-ზნეობრივი იმპერატივებითაა დატვირთული მთელი ურთიერთობა, მისი წარმოშობიდან გაუქმების მომენტის ჩათვლით. ამიტომაცაა, რომ მჩუქებლის მიერ ქონებრივი სიკეთის უსასყიდლოდ გაცემა პირდაპირ ენასკვება დასაჩუქრებულის

მხრიდან, მართალია, არა სამაგიერო, მაგრამ ზნეობრივად ქცევის ვალდებულებას. ზნეობრივად სავალდებულო მოქმედების შესრულება კი არ შეიძლება განვიხილოთ თავისუფლების შეზღუდვად. სწორედ ასეთი ვალდებულება უნდა დაუპირისპირდეს მჩუქებლის მიერ გაღებულ ქონებრივ სიკეთეს. ნაჩუქრობის ეს იდეალურ-სამართლებრივი ნიშან-თვისება აუცილებლად გასათვალისწინებელია სსკ 529-ე მუხლის კონსტიტუციურობის შეფასებისას.

მხედველობაშია მისაღები ის თავისებურებანი, რაც დამახასიათებელია უსასყიდლობის ნიადაგზე წარმოშობილი საკუთრებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც საკუთრების უფლება როგორც წესი, სახეზეა ყველა მისი ნიშან-თვისებით, ზოგჯერ იგი ნაკლები მოუდევრობითა და სიმტკიცით ხასიათდება, ვიდრე ამას ადგილი აქვს საკუთრების სასყიდლიანი გზით შეძენისას. ამიტომაცაა, რომ ისტორიულად ერთ-ერთ ყველაზე მტკიცე და მოუშლელ საკუთრებად „ნასყიდი“ ითვლებოდა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 529-ე მუხლის გარდა, იცნობს სხვა შემთხვევებსაც, როცა უსასყიდლოდ შეძენილი ქონება გარკვეული საფუძვლით მისი თავდაპირველი მესაკუთრის ხელში ბრუნდება. კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით „პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს“. 1455-ე მუხლის ძალით კი, მამკვიდრებლისაგან საჩუქრის სახით მიღებული ქონება მემკვიდრეს თავის სამკვიდრო წილში ეთვლება, რაც იმის შთაბეჭდილებას ტოვებს, თითქოს ეს ქონება მისი საკუთრება არც კი ყოფილიყოს. ამიტომაცაა, რომ კოდექსის 529-ე მუხლი საზოგადოდ უსასყიდლობის საფუძველზე წარმოშობილი საკუთრების მოშლის ერთ-ერთ გამოვლინებად უნდა მივიჩნიოთ.

II. მხედველობაშია მისაღები ის განსხვავება, რაც შეიძლება არსებობდეს საკუთრების წარმოშობის სანივთო და ვალდებულებით-სამართლებრივ საშუალებებს შორის. სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება მოსარჩელეს იმაში, რომ თითქოს სანივთო უფლებებზე არ შეიძლება გავლენას ახდენდნენ ვალდებულებითი, იგივე შე-

ფარდებითი უფლებები. როგორც ნაჩუქრობის შემთხვევიდან გამოჩნდა, საკუთრების უფლება სხვადასხვა სამართლებრივად ანგარიშგასაწევი საფუძვლით შეიძლება დაკავშირებული (მიბმული) იყოს იმ სახელშეკრულებო ურთიერთობასთან, რომლის საფუძველზეც იგი წარმოიშვა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახელშეკრულებო თავისუფლების შინაარსიდან გამომდინარე შესაძლებელია ახალი საკუთრების შემდგომი სამართლებრივი კავშირ-ურთიერთობა მისი წარმოშობის წყაროსთან. სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე ნაჩუქრობისას. ნაჩუქრობა, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობა ავალდებულებს დასაჩუქრებულს. ეს ვალდებულება 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული პირობის სახით კი არაა მოცემული, არამედ ზნეობრივ-სამართლებრივი ვალდებულების სახით არსებობს და გარდა საზოგადო ხასიათისა, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ნაჩუქრობის სუბსტანციის იმანენტურ ნიშან-თვისებას წარმოადგენს. ეს ვალდებულება, სადავო მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მჩუქებლის მიმართ მძიმე შეურაცხყოფის მიყენებისა და დიდი უმადურობის გამოჩენისაგან თავის შეკავებაში მდგომარეობს და ვადით შეზღუდული არაა.

III. 529-ე მუხლის შინაარსიდან ჩანს, რომ იგი ეხება მხარეთა შორის არსებული ნაჩუქრობის ურთიერთობის გაუქმებას, რაზეც მეტყველებს გამოთქმები – „ჩუქება შეიძლება გაუქმდეს“, „თუ ჩუქება გაუქმდება“. ჩუქების ფაქტის შემდეგ მხარეთა შორის ურთიერთობა დამთავრებული რომ ყოფილიყო, მაშინ, არც ჩუქების გაუქმებაზე იქნებოდა საუბარი, ვინაიდან შეუძლებელია გაუქმდეს ის, რაც არ არსებობს. საჩუქრის დაბრუნება სწორედ რომ ნაჩუქრობის გაუქმების შედეგია. 529-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად „თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ“. აქედან ჩანს, რომ ნაჩუქარზე საკუთრების უფლების შეწყვეტა ჩუქების გაუქმებას მოსდევს და ნაჩუქრობის სახელშეკრულებო ურთიერთობისათვის დამახასიათებელი მოვლენაა. ამიტომაცაა, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახელშეკრულებო ურთიერთობის ერთი მხარის მიერ

თავისი უფლების განხორციელება, რასაც დასაჩუქრებულისაგან საკუთრების დაბრუნება მოსდევს შედეგად, არ შეიძლება განვიხილოთ საკუთრების უფლების დარღვევად. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გათვალისწინებული საკუთრების უფლების ჩამორთმევის წესი ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც ამას ადგილი აქვს საამისოდ უფლებამოსილი სუბიექტების (სახელმწიფო ორგანოების) მხრიდან საჯარო ამოცანების შესასრულებლად. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად საკუთრების ჩამორთმევა აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებით უნდა იყოს განპირობებული. 529-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში შეუძლებელია ვილაპარაკოთ საკუთრების ჩამორთმევაზე. არ შეიძლება საკუთრების ჩამორთმევად განვიხილოთ ის შემთხვევა, როდესაც ქონების უკან დაბრუნების სახელშეკრულებო ურთიერთობა განაპირობებს.

IV. სასამართლო კოლეგია აღნიშნავს, რომ ჩუქების მოშლას იწვევს არა ყოველგვარი შეურაცხყოფა და უმადურობა, რაც თავისთავად ზნეობის საწინააღმდეგო მოქმედებად ითვლება, არამედ დასაჩუქრებულის ისეთი ქცევა, რაც სერიოზულ საფრთხეს უქმნის საზოგადოების არსებობის ზნეობრივ საფუძვლებს. ასეთად კი 529-ე მუხლის პირველი ნაწილი მიიჩნევს მძიმე შერაცხყოფასა და დიდ უმადურობას. ამიტომაც არ შეიძლება გაზიარებულ იქნეს მოსარჩელის პოზიცია, რომლის თანახმადაც საკუთრება როგორც სიკეთე მეტ ფასეულობას წარმოადგენს, ვიდრე ზნეობრივი ქცევა როგორც ღირებულება. უნდა დავეთანხმოთ სპეციალისტის პოზიციას, რომ ჩუქების გაუქმებით ამ შემთხვევაში სასამართლო ასრულებს ზნეობრივ ფასეულობათა მხარდაჭერისა და დაცვის ფუნქციას. ამ საფუძვლით ჩუქების გაუქმება ერთობ მიღებული წესია სამართლის სხვადასხვა სისტემებში. ის, თუ კონკრეტულად რითი გამოიხატება დასაჩუქრებულის მხრიდან სამართლებრივად მნიშვნელოვანი გასაკიცხი მოქმედების განხორციელება, ეს კონკრეტული ფაქტის საქმეა და სასამართლო პრაქტიკის საფუძველზე უნდა დადგინდეს.

V. მხედველობაშია მისაღები ის ფაქტი, რომ ვინაიდან ნაჩუქრობა სახელშეკრულებო ურთიერთობაა, დასაჩუქრებულისათვის წინასწარვეა ცნობილი 529-ე მუხლით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები. რადგანაც დასაჩუქრებული თანახმაა მიიღოს საჩუქარი, ივარაუდება, რომ ჩუქების გაუქმების შედეგებიც მისთვის მოულოდნელი არაა. მისი ნება ფორმალურად თანხმობაშია ხელშეკრულების შინაარსთან. ამიტომაც, ულოგიკო და უსაფუძვლოა იმისი მტკიცება, რომ 529-ე მუხლით ილახება დასაჩუქრებულის, როგორც მესაკუთრის, ინტერესები.

VI. სასამართლო კოლეგია მიუთითებს სადავო მუხლის იმ ნაწილზე, რომლის მიხედვითაც დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმებისა და, აქედან გამომდინარე, გაჩუქებული ქონების მჩუქებლის მიერ გამოთხოვის შესაძლებლობა (უფლება) არ არის შემოფარგლული ჩუქების აქტის განხორციელების დროიდან გასული განსაზღვრული ვადით. კოლეგია აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს და მოპასუხე მხარის წარმომადგენელსაც, აგრეთვე სპეციალისტს არსებითად არ უმსჯელიათ და სასამართლოსთვის არ წარმოუდგენიათ სათანადო არგუმენტები აღნიშნული დებულების კონსტიტუციურობის თაობაზე. ამიტომ ამ კერძო საკითხს სასამართლო კოლეგია ვერ გადაწყვეტს განსახილველი საქმის ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ხელმძღვანელობს რა საქართველოს კონსტიტუციის 89-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტითა და მეორე პუნქტით, „საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შესახებ“ ორგანული კანონის მე-19 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტით, 21-ე მუხლის მე-2 პუნქტით, 39-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-2 პუნქტით, 43-ე მუხლის მე-2, მე-4, მე-7 და მე-8 პუნქტებით, „საკონსტიტუციო სამართალწარმოების შესახებ“ კანონის 32-ე და 33-ე მუხლებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო ადგენს:

I. არ დაკმაყოფილდეს საქართველოს მოქალაქის აკაკი

საღირაშვილის კონსტიტუციური სარჩელი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 529-ე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით;

II. ეს გადაწყვეტილება ძალაშია საკონსტიტუციო სასამართლოს სხდომაზე მისი საჯაროდ გამოცხადების მომენტიდან;

III. გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას ან გადასინჯვას არ ექვემდებარება.

VI თავი

ჩუქების ხელშეკრულების შედარებითი დახასიათება განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით

თანამედროვე ევროპული კერძო სამართლის საფუძველს რომის სამართალი წარმოადგენს.[141] განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაში ჩუქების ხელშეკრულებას ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია. ნაშრომში განვიხილავთ ჩუქების ხელშეკრულების დამახასიათებელ თავისებურებებს რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ქვეყნებში გერმანიის სამოქალაქო სჯულდებისა და კვებეკის სამოქალაქო კოდექსების შედარებითი ანალიზის საფუძველზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერმანიის სამოქალაქო სჯულდება, რომელიც თავისი არსებობის საუკუნოვან ისტორიას ითვლის, სამოქალაქო სამართლის კოდიფიკაციის საუკეთესო მაგალითია კონტინენტური სამართლებრივი სისტემის ფარგლებში. გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნორმები, ბევრ შემთხვევაში, შეესაბამება გერმანიის სამოქალაქო

[141] Reinhard Zimmermann, Europa und des romische Recht, Archiv für zivilistische Praxis Bd. I 2002. S.245.

სჯულდების ნორმებს, რომლებიც ჩუქებასთან დაკავშირებულ საკითხებს არეგულირებენ. რაც შეეხება კვებეკის სამოქალაქო კოდექსს, მას არცთუ დიდი ხნის ისტორია აქვს, იგი მიღებულ იქნა 1994 წელს, თუმცა მისთვის დამახასიათებელია საერთო სამართლის ძირითადი თავისებურებები.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში ჩუქებას ცალკე თავი ეთმობა „ვალდებულებითი სამართლის" მეორე წიგნის, მეშვიდე ნაწილი, „ვალდებულების ცალკეული სახეები" – მეორე თავი და მოიცავს 19 პარაგრაფს – 516-534-ე პარაგრაფებს.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 516 პარაგრაფის პირველი პუნქტის თანახმად, „ჩუქებას წარმოადგენს ერთი პირის მიერ მეორე პირისათვის გარკვეული სახის ქონების გადაცემა საკუთრებაში, თუკი ორივე მხარე თანახმაა, რომ ასეთი გადაცემა ხდება უსასყიდლოდ და ეს იწვევს დასაჩუქრებულის ქონების გაზრდას გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე".[142]

აღნიშნული განმარტებიდან ჩანს, რომ ჩუქებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, გერმანიის სამოქალაქო სჯულდება განიხილავს როგორც სახელშეკრულებო ვალდებულებას, რომლის განუყოფელი დამახასიათებელი თვისებაა ორივე მხარის ურთიერთთანხმობა, ასევე მისი უსასყიდლობა და დასაჩუქრებულის ქონებრივი მდგომარეობის გაზრდა გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდება განასხვავებს ჩუქებას, როგორც რეალურ ხელშეკრულებას და ჩუქების დაპირებას, როგორც კონსენსუალურ ხელშეკრულებას. პირველ შემთხვევაში გათვალისწინებულია ხელშეკრულების დადების გამარტივებული წესი, რომელიც ითვალისწინებს ასევე დასაჩუქრებულის თანხმობის გარეშე მისთვის საჩუქრის გადაცემას, როცა გამჩუქებელი განსაზღვრავს გონივრულ ვადას, რომლის განმავლობაშიც დასაჩუქრებულმა უნდა განაცხადოს თანხმობა საჩუქრის მიღების შესახებ.

[142] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, Verlag "Wolterskluwer", 2004. S. 130.

ამასთან, თუკი დათქმულ ვადაში არ იქნება დასაჩუქრებულისაგან პასუხი მიღებული, ითვლება, რომ მან საჩუქარი მიიღო. საჩუქარი ასევე მიღებულად ჩაითვლება, თუკი დასაჩუქრებული პირდაპირ არ განაცხადებს უარს მის მიღებაზე. თუ იგი უარს განაცხადებს, მაშინ ჩუქების ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად და საჩუქრად გადაცემული ქონება უკან დაუბრუნდება გამჩუქებელს უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად.[143]

ჩუქების შეპირება მაშინ წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, თუ იგი დადასტურებულია სანოტარო ფორმით. თუმცა სანოტარო ფორმის დაუცველობა არ იწვევს ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობას, თუ დაპირება რეალურად განხორციელდა და დასაჩუქრებულს გადაეცა დაპირებული საჩუქარი.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში მკაფიოდ არის განსაზღვრული ჩუქების ხელშეკრულების მოქმედების სფერო იმ მსგავს სამართლებრივ ურთიერთობებთან მიმართებით, რომელთა მიმართაც არ გამოიყენება ჩუქების მომწესრიგებელი ნორმები. სახელდობრ, ჩუქებას არა აქვს ადგილი იმ შემთხვევაში, თუკი ვინმე სხვა პირის სასარგებლოდ თავს იკავებს რაიმე ქონების შეძენისგან ან უარს აცხადებს სამკვიდროს მიღებაზე, ანდა საანდერძო დანაკისრზე.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდება ჩუქების ობიექტად განიხილავს არა მარტო იმ ნივთებს, რომლებიც წარმოადგენენ გამჩუქებლის საკუთრებას, არამედ ასევე გამჩუქებლის მომავალ ქონებას, ანუ იმ ნივთებს, რომლებიც გამჩუქებელს ჯერ კიდევ არ შეუძენია და არ იმყოფება მის საკუთრებაში ჩუქების ხელშეკრულების დადების მომენტში. გარდა ამისა, ჩუქება შეიძლება განხორციელდეს ასევე მოთხოვნის დათმობის, ანდა ვალის აღიარების გზით.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდება სრულად ითვალისწინებს გამჩუქებლის განსაკუთრებულ მდგომარეობას, რომელიც ზრდის დასაჩუქრებულის ქონებას თავისი ქონების შემცირების ხარჯზე ისე, რომ სანაცვლოდ არაფერს ღებულობს. ეს გარემოება თავის

[143] Bürgerliches gesetzbuch Deutschlands. Verlag "Wolterskluwer", 2004. S. 131.

ასახვას პოულობს იმ ნორმებში, რომლებიც გამჩუქებელს უფლებას ანიჭებენ სათანადო პირობების არსებობისას, უარი თქვას ჩუქების დაპირების შესრულებაზე ან მოითხოვოს ჩუქების გაუქმება. სახელდობრ, 519-ე პარაგრაფის 1-ლი პუნქტის თანახმად, გამჩუქებელს უფლება აქვს უარი განაცხადოს დაპირებული საჩუქრის გადაცემაზე, თუკი ეს გამოიწვევს მისი ქონებრივი მდგომარეობის მნიშვნელოვან გაუარესებას და მას აღარ ექნება შესაძლებლობა არჩინოს თავისი თავი, ანდა შეასრულოს კანონით დაკისრებული მოვალეობა თავის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენისა.

ჩუქების გაუქმება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულმა ჩაიდინა გამჩუქებლის ან მისი ახლო ნათესავების მიმართ უღირსი საქციელი, რითაც გამოაკლინა აშკარა უმადურობა. ამასთან, თუკი დასაჩუქრებულმა განზრახ ქმედებით მოუსპო სიცოცხლე გამჩუქებელს, ანდა ხელი შეუშალა მას და წინააღმდეგობა გაუწია ჩუქების გაუქმებაში, ასეთ შემთხვევაში ჩუქების გაუქმების უფლება გადადის გამჩუქებლის მემკვიდრეებზე.[144] ჩუქების გაუქმება ხდება გამჩუქებლის მიერ დასაჩუქრებულისათვის შესაბამისი განცხადებით მიმართვის გზით. ჩუქების გაუქმების სამართლებრივი შედეგია დასაჩუქრებულის მიერ გამჩუქებლისათვის ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად. თუმცა ჩუქების გაუქმების უფლება არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ გამჩუქებელმა აპატია დასაჩუქრებულს უღირსი საქციელი, ანდა გავიდა ერთი წელი იმ დღიდან, როდესაც ჩუქების გაუქმების უფლების მქონე პირმა შეიტყო ამ უფლების გამოყენების გარემოების დადგომის შესახებ. არ შეიძლება იმ ჩუქების გაუქმება, რომელიც დადებულ იქნა მორალური ვალდებულების გამო.

გარდა ამისა, გამჩუქებელს უფლება აქვს მოითხოვოს დასაჩუქრებულისაგან ნაჩუქარი ქონების უკან დაბრუნება, თუკი ქონების გაჩუქებამ მისი მატერიალური მდგომარეობის გაუარე-

[144] Marc Szydlik, Reich durch Erbschaft und Schenkung? – In: Reichtum und Vermögen, Wisbaden 2009., S. 135-145.

სება გამოიწვია და მას აღარ შეუძლია არჩინოს თავისი თავი, ანდა ჯეროვნად შეასრულოს კანონით დაკისრებული მოვალეობა არჩინოს თავის კმაყოფაზე მყოფი პირები. ასეთ შემთხვევაში ასევე გამოიყენება უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ არსებული სამართლებრივი ნორმები, მაგრამ იმ სპეციფიკით, რომ დასაჩუქრებულს აქვს მინიჭებული უფლება, უარი თქვას საჩუქრის უკან დაბრუნებაზე იმ პირობით, რომ გადაუხდის გამჩუქებელს იმ ოდენობის ფულად თანხას, რომელიც საჭიროა გამჩუქებლის ან მის კმაყოფაზე მყოფი პირების სარჩენად.

გამჩუქებლის, როგორც ცალმხრივი ვალდებულების სუბიექტის განსაკუთრებული მდგომარეობა იმაშიც გამოიხატება, რომ ის გათავისუფლებულია გაჩუქებული ქონების გადაცემის გადაცილებისათვის რაიმე პროცენტის გადახდისაგან. გამჩუქებელს მხოლოდ მაშინ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა ჩუქების ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, თუკი მის ქმედებაში ადგილი აქვს განზრახვას ან უხეშ გაუფრთხილებლობას, რაც გათვალისწინებულია 521-ე პარაგრაფში.[145]

ასე მაგალითად, თუკი გამჩუქებელი განზრახ დამალავს დასაჩუქრებულისათვის გადაცემული ქონების ნაკლს, მაშინ მან უნდა აუნაზღაუროს დასაჩუქრებულს აქედან წარმოშობილი ზიანი. თუკი გამჩუქებელი დასაჩუქრებულს შეჰპირდა იმ გვაროვნული ნივთის ჩუქებას, რომელიც მას უნდა შეეძინა ჩუქების დაპირების შემდეგ, და აღმოჩნდება, რომ ნივთს აქვს ნაკლი, მაშინ დასაჩუქრებულს უფლება აქვს მოითხოვოს ამ ნაკლის მქონე ნივთის გამოცვლა სათანადო ხარისხის ნივთით. თუკი დადგინდება, რომ გამჩუქებელმა განზრახ დამალა ნივთის ნაკლი, რომლის არსებობის შესახებაც მან იცოდა ნივთის დასაჩუქრებულისათვის გადაცემის დროს, დასაჩუქრებულს უფლება აქვს ნივთის გამოცვლის ნაცვლად, მიყენებული ზიანის ანაზღაურება მოითხოვოს.[146]

გერმანიის სამოქალაქო სჯულდება დასაშვებად მიიჩნევს

---

[145] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands. Verlag "Wolterskluwer". 2004. S. 132.

[146] იქვე. გვ. 133.

ისეთი სახის ჩუქებასაც, რომლითაც დასაჩუქრებულს ეკისრება გარკვეული მოქმედების შესრულების ვალდებულება. გარდა ამისა, ის სამართლებრივი ნორმები, რომლებიც ასეთ ჩუქებას აწესრიგებენ, ზრუნავენ თვით ჩუქების არსის შენარჩუნებაზე, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული დასაჩუქრებულის ქონების გაზრდასთან გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე. ამ მიზნის მისაღწევად სამოქალაქო სჯულდება ითვალისწინებს ნორმებს იმის შესახებ, რომ გამჩუქებელს უფლება აქვს მოითხოვოს დასაჩუქრებულისაგან მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულება მხოლოდ შესაბამისი საჩუქრის გადაცემის შემდეგ, ასევე დასაჩუქრებულს უფლება აქვს უარი განაცხადოს მისთვის დაკისრებული მოვალეობის შესრულებაზე, თუკი ნაჩუქარი ნივთის ნაკლის გამო მისი ღირებულება უფრო ნაკლები იქნება იმ ხარჯებთან შედარებით, რომელიც აუცილებელია დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად.

დასაჩუქრებულის მიერ მასზე დაკისრებული მოვალეობის შეუსრულებლობის სამართლებრივი შედეგები იმაში მდგომარეობს, რომ გამჩუქებელს უფლება აქვს მოითხოვოს ნაჩუქარის უკან დაბრუნება იმ პირობით, რომ ნაჩუქარი დასაჩუქრებულს უნდა გამოეყენებინა მასზე დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად. ასეთ შემთხვევაში საჩუქრის უკან დაბრუნება ხდება უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებულს ევალება რაიმე მოქმედების შესრულება საზოგადოებრივი ინტერესებისათვის, აღნიშნული მოქმედების შესრულების მოთხოვნის უფლება გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ გადადის ხელისუფლების შესაბამის ორგანოზე.[147]

აღსანიშნავია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 532-ე პარაგრაფის დებულება იმის შესახებ, რომ დასაჩუქრებულის გარდაცვალების შემთხვევაში ჩუქების გაუქმება დაუშვებელია.

---

[147] Bürgerliches Gesetzbuch Deutschlands, Verlag "Wolterskluwer", 2004. S. 133.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსში ჩუქების ხელშეკრულებას ასევე ცალკე თავი ეთმობა – წიგნის მეხუთე, ვალდებულებების შესახებ, თავი მეორე; „ჩუქება“, რომელიც მოიცავს 36 მუხლს – 1806-1841-ე.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 1806-ე მუხლის თანახმად, ჩუქების ხელშეკრულებით ერთი პირი – გამჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს ქონებას საკუთრებაში მეორე პირს – დასაჩუქრებულს. ჩუქების გზით შეიძლება ასევე კონკრეტული პირის კუთვნილი უფლების სხვა პირისათვის გადაცემა.[148]

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთისაგან განასხვავებს ჩუქების ორ სახეს: ჩუქება ცოცხალ პირებს შორის და ჩუქება სიკვდილის შემთხვევაში, რომელთა მიმართაც შემდგომში უზრუნველყოფილია დიფერენციალური მოწესრიგება. ცოცხალ პირთა შორის ჩუქებად ჩაითვლება ისეთი ჩუქება, რომელიც იწვევს გამჩუქებლის საკუთრების უფლების დაკარგვას იმ გაგებით, რომ ის ფაქტობრივად დასაჩუქრებულის მოვალე ხდება. ჩუქებად სიკვდილის შემთხვევაში ითვლება ისეთი ჩუქება, რომლითაც გამჩუქებლისათვის ქონებაზე საკუთრების უფლების დაკარგვა დაკავშირებულია მის სიკვდილთან და დგება მხოლოდ ამ მომენტიდან.

ერთი შეხედვით, კონტინენტური სამართლის სისტემის მიხედვით ჩუქება სიკვდილის შემთხვევაში წინააღმდეგობაში მოდის მემკვიდრეობის სამართლის ნორმებთან. თუმცა კვებეკის სამოქალაქო კოდექსი ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს იმ ნორმით, რომლის მიხედვითაც ჩუქება სიკვდილის შემთხვევაში ჩაითვლება ბათილად, თუკი ის არ არის გაფორმებული საქორწინო კონტრაქტით, ანდა დამოწმებული არ არის ლეგატით. უფრო მეტიც, ჩუქება განხორციელებული გამჩუქებლის სავარაუდო სასიკვდილო ავადმყოფობის დროს, ბათილია, როგორც ჩუქება სიკვდილის შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, გარდაიცვალა თუ არა გამჩუქებელი. იმ შემთხვევაში, თუკი გამჩუქებელი გამოჯანმრთელდა და არ ასაჩივრებს

[148] Гражданский кодекс Квебека (пер. с англ. и фр.), М., 1999, Серия "Современное зарубежное и международное частное право".

დასაჩუქრებულის მიერ ნაჩუქარი ქონების ფლობას სამი წლის განმავლობაში, მაშინ აღარ არსებობს ხელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძველი 1820-ე მიუხლის შესაბამისად.

მრავალფეროვნებით გამოირჩევა ჩუქების ხელშეკრულების მოქმედების სფერო. განსხვავებით გერმანული სამოქალაქო სამართლისაგან, ჩუქების დაპირება კვებეკის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით არ ითვლება ჩუქების ხელშეკრულებად, არამედ განიხილება როგორც ცალმხრივი ვალდებულება, რომელიც სარგებლის მიმღებ პირს ანიჭებს უფლებას მოითხოვოს დამპირებლისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა დაპირების შეუსრულებლობის შედეგად.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია ჩუქების დადების მრავალრიცხოვანი შეზღუდვები და აკრძალვები. ასე მაგალითად, არასრულწლოვნებს, ასევე სრულწლოვან, მაგრამ შეზღუდულქმედუნარიან პირებს, მზრუნველის თანხმობის მიუხედავად, არა აქვთ უფლება დადონ ჩუქების ხელშეკრულება, უმნიშვნელო ღირებულების ქონების, ანდა ჩვეულებრივი საჩუქრების გარდა. ჩუქება, განხორციელებული სამკურნალო დაწესებულების ან სოციალური დახმარების დაწესებულების მესაკუთრის, დირექტორის ან მოსამსახურის მიმართ, თუ იგი არ წარმოადგენს გამჩუქებლის მეუღლეს ან ახლო ნათესავს, ბათილია, თუკი იგი განხორციელებულია იმ დროს, როდესაც გამჩუქებელი მკურნალობდა, ანდა ღებულობდა სოციალურ დახმარებას ასეთ დაწესებულებაში. ბათილია ასევე ჩუქება, განხორციელებული მიმღები ოჯახის წევრის მიმართ იმ დროს, როდესაც დასაჩუქრებული ცხოვრობდა მიმღებ ოჯახში.

ცოცხალ პირთა შორის (ჩვენი გაგებით ჩვეულებრივი ჩუქებისას) ჩუქების ხელშეკრულების ობიექტებიდან კვებეკის სამოქალაქო კოდექსი გამორიცხავს მომავალ ქონებას. ცოცხალ პირთა შორის ჩუქება ნამდვილდია მხოლოდ რეალურად არსებული ქონების მიმართ. რაც შეეხება მომავალი ქონების ჩუქებას, ის დაიშვება მხოლოდ სიკვდილის შემთხვევაში ჩუქების ხელშეკრულებით.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი მკაცრ მოთხოვნებს შეიცავს ჩუქების ხელშეკრულების ფორმის მიმართ: ნებისმიერი უძრავი ქონების ჩუქება უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით, რომლის დედანიც რჩება ნოტარიუსთან. უფრო მეტიც, ჩუქება უნდა გამოცხადდეს საჯაროდ. გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ ის შემთხვევები, როდესაც მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ხდება მოძრავი ქონების გაჩუქება, რომელიც დასტურდება საჩუქრის ფაქტობრივად გადაცემითა და დასაჩუქრებულის მხრიდან მისი უშუალო ფლობით.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსი დასაშვებად მიიჩნევს ჩუქების ხელშეკრულების დადებას მესამე პირის სასარგებლოდ. ჩუქების ხელშეკრულების შესრულება ხდება დასაჩუქრებულის საკუთრებაში ნაჩუქარი ქონების გადაცემით. ამასთან, დასაჩუქრებულს არა აქვს უფლება მოითხოვოს იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია ქონების მესამე პირისაგან უფლებრივი დატვირთვისაგან გასათავისუფლებლად. გამონაკლისია, თუკი ხარჯები აღემატება იმ სარგებელს, რომელიც მან საჩუქრად გადაცემული ქონებიდან მიიღო. ასეთ შემთხვევაში მას უფლება აქვს გამჩუქებლისაგან მოითხოვოს სხვაობის ანაზღაურება. ამასთან ერთად, თუკი ევიქციის (მთლიანად ან ნაწილობრივ) შედეგად დასაჩუქრებული დაკარგავს ნაჩუქარ ქონებაზე უფლებას, მას წარმოეშობა უფლება მოითხოვოს გამჩუქებლისაგან იმ ხარჯების ანაზღაურება, რომელიც მან გასწია ჩუქებასთან დაკავშირებით, თუ გამჩუქებელმა ნივთის გაჩუქების მომენტში იცოდა მისი უფლებრივი ნაკლის შესახებ, მაგრამ არაფერი აცნობა ამის შესახებ დასაჩუქრებულს. ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრება გამჩუქებელს გაჩუქებული ქონების ნივთობრივი ნაკლის შემთხვევაშიც იმ პირობით, რომ მან ნივთის გაჩუქების მომენტში იცოდა მისი ნაკლის შესახებ, მაგრამ განზრახ დამალა იგი.

კვებეკის სამოქალაქო კოდექსის 1836-ე მუხლი ითვალისწინებს გამჩუქებლის უფლებას, მოითხოვოს ჩუქების გაუქმება. იმ შემთხვევაში, თუკი დასაჩუქრებული გამოიჩენს აშკარა უმადურობას. აშკარა უმადურობაში იგულისხმება დასაჩუქრებულის მხრიდან გამჩუქებ-

ლის მიმართ ისეთი მოქმედება, რომელიც იმსახურებს გაკიცხვას და მხედველობაში მიიღება ჩუქების ხასიათი, მხარეთა სუბიექტური თავისებურებები და შესაბამისი ვალდებულებები. განსხვავებით გერმანული კანონმდებლობისაგან, რომელიც ითვალისწინებს გამჩუქებლის განცხადების საფუძველზე ჩუქების ცალმხრივად გაუქმების შესაძლებლობას, კვებეკის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ჩუქება შეიძლება გაუქმებულ იქნეს მხოლოდ სასამართლო წესით. სარჩელი ჩუქების გაუქმების შესახებ შეიძლება წარდგენილ იქნეს მხოლოდ გამჩუქებლის სიცოცხლეში და ერთი წლის განმავლობაში იმ დღიდან, როდესაც გამჩუქებელმა შეიტყო დასაჩუქრებულის მხრიდან აშკარა უმადურობის გამოვლენის შესახებ. გამჩუქებლის გარდაცვალება იმ დროს, როდესაც შესაძლებელი იყო ჩუქების გაუქმების შესახებ სარჩელის წარდგენა, არ უსპობს მის მემკვიდრეებს სასამართლოსათვის სარჩელით მიმართვის უფლებას, მაგრამ მემკვიდრეებს ასეთი სარჩელის სასამართლოში შეტანის უფლება გააჩნიათ გამჩუქებლის გარდაცვალებიდან მხოლოდ ერთი წლის განმავლობაში. სასამართლოს მიერ ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების შემთხვევაში დასაჩუქრებული ვალდებულია უკან დააბრუნოს ხელშეკრულებით მიღებული ქონება.[149]

განსხვავებულად არის მოწესრიგებული საქორწინო კონტრაქტით განხორციელებული ჩუქება. ნებისმიერ პირს უფლება აქვს გადასცეს საჩუქარი საქორწინო კონტრაქტით გაფორმებულ ქორწინებაში მყოფ ცოცხალ მეუღლეებს, მათ შვილებს, რომ ისინი ცოცხლები დაიბადებიან.

ამგვარად, ჩვენ მიერ განხილულ იქნა ის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ ჩუქების საკითხებს გერმანიის სამოქალაქო სჯულდებისა და კვებეკის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით. მათ შორის არსებული უამრავი განსხვავების მიუხედავად, ჩვენ შეგვიძლია გამოვყოთ მათი საერთო დამახასიათებელი ნიშნები ჩუქებასთან მიმართებით:

---

[149] Гражданский кодекс Квебека (пер. с англ. и фр.,) М., 1999, „Серия Современное зарубежное и международное частное право" – с. 275.

1) პირველ რიგში, ორივე შემთხვევაში, ჩუქებასთან დაკავშირებული ურთიერთობები განიხილება არა მხოლოდ იურიდიულ ფაქტად, რომელიც იწვევს დასაჩუქრებულისათვის ნაჩუქარ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობას, არამედ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად, რომელიც იდება გამჩუქებელსა და დასაჩუქრებულს შორის;

2) მეორე რიგში, უსასყიდლობასთან ერთად, ჩუქების დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ისიც, რომ ჩუქება ხორციელდება დასაჩუქრებულის ქონების გაზრდის გზით გამჩუქებლის ქონების შემცირების ხარჯზე;

3) მესამე რიგში, ორივე შემთხვევაში მხედველობაში მიიღება ჩუქების ხელშეკრულებაში გამჩუქებლის განსაკუთრებული მდგომარეობა, რომელიც კარგავს თავის ქონებას ისე, რომ სანაცვლოდ არ ღებულობს არაფერს; გამჩუქებელი აღჭურვილია დამატებითი უფლებამოსილებით, რომელიც არ არის დამახასიათებელი სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულების მოვალისათვის, სახელდობრ, იგი აღჭურვილია უფლებით, გააუქმოს ჩუქება, თუკი დასაჩუქრებული გამოავლენს აშკარა უმადურობას მისი ან მისი ახლო ნათესავის მიმართ. ჩუქების გაუქმების შემთხვევაში დასაჩუქრებული ვალდებულია დაუბრუნოს გამჩუქებელს ყველაფერი, რაც მან ჩუქების ხელშეკრულებით მიიღო;

4) მეოთხე რიგში, გამჩუქებლის პასუხისმგებლობა დასაჩუქრებულის წინაშე თავისი მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, ასევე ნაჩუქარი ქონებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დგება, თუკი გამჩუქებელი მოქმედებდა განზრახ.

5) მეხუთე რიგში, ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს როგორც რეალური ხელშეკრულება.

განვიხილოთ ჩუქებასთან დაკავშირებული სხვა ნორმებიც, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსში გვხვდება.

ჩუქების მომწესრიგებელი ნორმა გვხვდება პირის გარდაცვლილად გამოცხადებასთან მიმართებით. როგორც ცნობილია,

სამოქალაქო სამართალში დიდი როლი უკავია პრეზუმფციებს. პრეზუმპცია ლათინური წარმოშობის სიტყვაა და ნიშნავს ვარაუდს. სამართალში მას დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. დაუდასტურებელი მოვლენა ან ფაქტი მიიჩნევა, ივარაუდება არსებულად, დადასტურებულად და მას სამართლებრივი შედეგები უკავშირდება.

სამართლებრივი პრეზუმფცია შეიძლება იყოს ფორმულირებული პოზიტიურად ან ნეგატიურად. მაგალითად. სსკ-ის 361-ე მუხლის პირველი ნაწილით განმტკიცებული პრეზუმფცია პოზიტიურად არის ფორმულირებული: „ყოველი შესრულება გულისხმობს ვალდებულების არსებობას". სსკ-ის 1141-ე მუხლში კი პრეზუმფცია ჩამოყალიბებულია უარყოფითი პირობის სახით: „თუ მეუღლეებმა დაქორწინებისას არ იცოდნენ ქორწინების დამაბრკოლებელი იმ გარემოებების შესახებ, რომელიც მათი ქორწინების ბათილობის საფუძველია, ქორწინება წყდება სასამართლოში ამ გარემოების დადგენის მომენტიდან, მაგრამ ამ დრომდე ქორწინება წარმოშობს ყველა იმ სამართლებრივ შედეგს, რასაც ნამდვილი ქორწინება". ამ განსხვავების მიუხედავად, სამართლებრივი შედეგი ყველა შემთხვევაში მსგავსია: სამოქალაქო სამართალი არსებულად მიიჩნევს რაღაცას მანამდე, სანამ მისი საპირისპირო არ დამტკიცებულა. ასეთი ერთ-ერთი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობის პრეზუმფციას წარმოადგენს პირის გარდაცვლილად გამოცხადების ინსტიტუტი.[150]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, პირი შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად, თუ მის საცხოვრებელ ადგილას ხუთი წლის განმავლობაში არ მოიპოვება ცნობები ამ პირის ადგილსამყოფელის შესახებ, აგრეთვე თუ იგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა ისეთ გარემოებაში, რომელიც მას სიკვდილის საფრთხეს უქადდა, ანდა სავარაუდოა მისი დაღუპვა რაიმე უბედური შემთხვევის გამო და ასეთი ცნობები ექვსი თვის განმავლობაში არ მოიპოვება.

---

[150] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997. გვ. 160.

სამხედრო მოსამსახურე ან სხვა პირი, რომელიც უგზო-უკვლოდ დაიკარგა საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, შეიძლება სასამართლო წესით გამოცხადდეს გარდაცვლილად არა უადრეს ორი წლის გასვლისა საომარი მოქმედების დამთავრების დღიდან.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, გარდაცვლილად გამოცხადებული პირის დაბრუნების ან მისი ადგილსამყოფელის აღმოჩენის შემთხვევაში სასამართლო აუქმებს შესაბამის გადაწყვეტილებას.

ჩუქებასთან მიმართებით ჩვენთვის მნიშვნელოვანია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 23-ე მუხლის მე-2 ნაწილის დებულება, კერძოდ, „დაბრუნების დროის მიხედვით, პირს უფლება აქვს მოითხოვოს ის შენარჩუნებული ქონება, რომელიც მისი გარდაცვლილად გამოცხადების შემდეგ უსასყიდლოდ გადაეცა სხვა პირს“.

უსასყიდლობა ამ შემთხვევაში გულისხმობს სწორედ ჩუქებას, როგორც ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობის ერთ-ერთ ნაწარმოებ საშუალებას. „სხვა პირში“ იგულისხმებიან მემკვიდრეებიც.

ჩუქებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია აგრეთვე სამოქალაქო სამართლის ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტი, როგორიცაა კეთილსინდისიერი შემძენი. შეძენილ ნივთზე შემძენის მესაკუთრედ გახდომას კანონი შეძენის ფაქტის მიმართ მის კეთილსინდისიერებას უკავშირებს. სსკ-ის 187-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, შემძენი ხდება ნივთის მესაკუთრე მაშინაც, როცა გამსხვისებელი არ იყო ნივთის მესაკუთრე, მაგრამ შემძენი ამ ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია. კეთილსინდისიერად არ ჩაითვლება შემძენი, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გამსხვისებელი არ იყო მესაკუთრე. კეთილსინდისიერების ფაქტი უნდა არსებობდეს ნივთის გადაცემამდე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 187-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოძრავი ნივთის შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ მესაკუთრემ ეს ნივთები დაკარგა, მოპარეს ან მისი ნების წინააღმდეგ სხვაგვარად გავიდა მისი მფლობელობიდან

ანდა თუ შემძენმა ისინი **უსასყიდლოდ** მიიღო. ეს შეზღუდვები არ მოქმედებს ფულის, ფასიანი ქაღალდებისა და/ან აუქციონზე განსხვისებული ნივთების მიმართ.

მაშასადამე, მიუხედავად იმისა, რომ შემძენმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რომ მოძრავი ნივთის გამსხვისებელი არ იყო მისი მესაკუთრე, შემძენი მაინც ვერ ჩაითვლება კეთილსინდისიერად, თუ მან ნივთი უსასყიდლოდ (საჩუქრად) მიიღო.

ჩუქებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია ვალის პატიების სამართლებრივი ინსტიტუტი. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 448-ე მუხლის თანახმად, ვალის პატიება მხარეთა შორის შეთანხმებით იწვევს ვალდებულების შეწყვეტას.

ვალდებულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა შორის ვალის პატიების შეთანხმებით. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი უარს ამბობს თავის მოთხოვნაზე ანუ ხდება ვალდებული პირის ქონების გაზრდა კრედიტორის ქონების შემცირების ხარჯზე ისე, რომ სანაცვლოდ კრედიტორი არაფერს ღებულობს. ამასთან ვალის პატიებისათვის აუცილებელია მხარეებს შორის შეთანხმება. ამის მიზეზი ისაა, რომ შესაძლოა მოვალე სხვადასხვა საფუძვლით (მაგალითად, ვალის პატიება ლახავს მის ღირსებას, ან დავალებულად იგრძნობს თავს მომავალში ვალის მპატიებელთან მიმართებით) არ იყოს თანახმა მიიღოს კრედიტორის შეთავაზება ვალის პატიების შესახებ. ამიტომ კანონი სავალდებულოდ მიიჩნევს კრედიტორსა და მოვალეს შორის შეთანხმების არსებობას.

ვალის პატიება ერთ-ერთი სოლიდარული მოვალისათვის ათავისუფლებს სხვა სოლიდარულ მოვალეებსაც, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი მათ მიმართ მოთხოვნას იტოვებს. ამ შემთხვევაში კრედიტორს შეუძლია დარჩენილი სოლიდარული მოვალეების მიმართ მხოლოდ ერთი მოთხოვნა გამოიყენოს განთავისუფლებული მოვალის წილის გამოკლებით.

ვალის პატიება ძირითადი მოვალისათვის ათავისუფლებს თავდებ პირსაც. თავდების განთავისუფლება ვალის გადახდისაგან არ ათავისუფლებს ძირითად მოვალეს ვალდებულების შესრულები-

საგან. ერთ-ერთი თავდების გათავისუფლება ვალის გადახდისაგან ათავისუფლებს სხვა თავდებ პირებსაც.

ვალის პატიებისაგან უნდა განვასხვავოთ კრედიტორის შეპირება მოვალის მიმართ, რომ იგი მოთხოვნას არ გამოიყენებს. ამ შემთხვევაში მოვალე კი არ თავისუფლდება ვალდებულების შესრულებისაგან, არამედ იღებს შესაძლებლობას, რომ შეედავოს კრედიტორს, თუკი იგი მოინდომებს მოთხოვნის შესრულებას იძულებით, სასამართლოს მეშვეობით ე.ი. ვალი რჩება, მაგრამ მისი შესრულების მოთხოვნა იძულებით შეუძლებელი ხდება. ამ ინსტიტუტს ეწოდება pactum de non petendo.

თავისი ბუნებით ვალის პატიება ძალიან ჰგავს ჩუქებას, რადგან ურთიერთობის ერთი მხარე ამ შემთხვევაში უსასყიდლოდ ღებულობს სარგებელს მეორე მხარისაგან.[151]

ჩუქებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია აგრეთვე უსაფუძვლო გამდიდრების სამართლებრივი ინსტიტუტი. სსკ-ის 317-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების წარმოშობისათვის აუცილებელია მონაწილეთა შორის ხელშეკრულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებულება წარმოიშობა ზიანის მიყენების (დელიქტის), უსაფუძვლო გამდიდრების ან კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებიდან.

უსაფუძვლო გამდიდრების მომწესრიგებელი ნორმები მოცემულია სსკ-ის 976-991-ე მუხლში. ჩუქებასთან მიმართებით აღსანიშნავია სსკ-ის 989-ე და 990-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევები. კერძოდ, სსკ-ის 989-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, „თუ 976-ე და 988-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიმღები, რომელიც მოვალეა დააბრუნოს მიღებული, უსასყიდლოდ გადასცემს მას მესამე პირს, მაშინ მესამე პირი ასევე მოვალეა დააბრუნოს მიღებული ისე, თითქოს მას კრედიტორისაგან კანონიერი საფუძვლის გარეშე მოეღოს რაიმე, თუკი მიმღებისაგან დაკმაყოფილება შეუძლებელია“.

[151] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 559

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 990-ე მუხლის I-ლი ნაწილის თანახმად, თუ არაუფლებამოსილი პირი რაიმე საგანს უსასყიდლოდ განკარგავს და ეს განკარგვა ნამდვილია უფლებამოსილი პირის მიმართ, მაშინ ის პირი, რომელმაც ამ განკარგვის შედეგად უშუალო სამართლებრივი სარგებელი მიიღო, მოვალეა მიღებული გადასცეს უფლებამოსილ პირს".

ამდენად, აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე არაუფლებამოსილი პირის ქმედება უნდა გულისხმობდეს სხვისი ქონების გაჩუქებას ან ჩუქების დაპირებით გამოწვეული თავისი ვალდებულების სხვისი ქონებით შესრულებას (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო დაწვრილებით იხილეთ).[152]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი ეძღვნება საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებს. საოჯახო სამართლებრივი ურთიერთობების წარმოშობის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ საფუძველს წარმოადგენს ქორწინება. სსკ-ის 1106-ე მუხლის თანახმად, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში.

ჩუქებასთან მიმართებით ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნიშნობის ინსტიტუტი. სსკ-ის 1109-ე მუხლი ითვალისწინებს დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობის – ნიშნობის ინსტიტუტს, კერძოდ: „დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი; ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ".

ქორწინებისათვის აუცილებელ და გადამწყვეტ პირობას წარ-

---

[152] თ. ჩიტოშვილი, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველი, ჟურნ. „მართლმსაჯულება", №2, 2008. გვ. 91-100.

მოადგენს მომავალ მეუღლეთა ურთიერთთანხმობა. ამ პირობაში თავის გამოხატულებას პოულობს დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპი. ნების თავისუფალი გამოვლინება მარტო დაქორწინების კი არა, არამედ მთელი საოჯახო ურთიერთობის სიმტკიცის ამოსავალი პრინციპია. ქალიცა და მამაკაციც თანაბრად თავისუფალნი არიან საოჯახო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობისას. მართალია, დაქორწინების საკითხის გადაწყვეტისას გარკვეულ როლს ასრულებს მშობლების, მეგობრებისა და ნათესავების რჩევა-დარიგებები, მაგრამ ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. სრულწლოვან პირთა დაქორწინებისას მთავარია თვითონ მექორწინეთა სურვილი. ისეთ შემთხვევებში, როცა დაქორწინებაზე თანხმობა მიღებულია მოტყუებით, დაშინებით, ფსიქიკური ან ფიზიკური ძალადობით, კანონი ასეთ ქორწინებას ბათილად აცხადებს. დაქორწინების ნებაყოფლობის პრინციპის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რომ მისი დარღვევა ზოგჯერ სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობასთან არის დაკავშირებული.

კანონში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული დასაქორწინებელ პირთა წინასწარ თანხმობაზე ანუ ნიშნობაზე. ეს ინსტიტუტი საქართველოსთვის არასდროს არ ყოფილა უცხო. ოღონდ ადრე, მასში სხვა შინაარსი იყო ჩადებული. ნიშნობა ანუ საცოლის დაწინდვა ძველისძველი ჩვეულება იყო. მისი შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ ქალ-ვაჟის მშობლები თანხმდებოდნენ მომავალი ქორწინების შესახებ. ნიშნობა, ჩვეულებრივ, დიდი ხნით უსწრებდა ქორწინებას. ნიშნობის დროს ქალ-ვაჟის ნება-სურვილს არ ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი იყო მშობლების შეთანხმება, რასაც მათ შორის შესაბამისი ხელშეკრულების დადება მოჰყვებოდა. დასაქორწინებელ პირთა ურთიერთთანხმობის აუცილებლობას გამორიცხავდა ის გარემოება, რომ დანიშვნა ხდებოდა მცირე ასაკიდან. 8-12 წლის ქალ-ვაჟთა დანიშვნა ჩვეულებრივი მოვლენა იყო. საქართველოში ქორწინების ქრისტიანული წესის დამკვიდრების შემდეგ დანიშვნას ქორწინებასთან თითქმის

გათანაბრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მოგვიანებით საერო კანონმდებლობამაც იგივე პოზიცია გაიზიარა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ნიშნობა და ქორწინება დროში უფრო უნდა დაახლოებოდნენ ერთმანეთს. ნიშნობა განსაზღვრულ საქორწინო ვალდებულებებს წარმოშობდა მხარეთათვის. მაგალითად, ერთ საცოლესთან დანიშნული პირი თუ მეორეს შეირთავდა, იგი განიხილებოდა როგორც ორცოლიანი. ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაში მეორის დაქორწინება, მისთვის მეორე ქორწინებად ითვლებოდა. ორცოლიანობა ან მეორე დაქორწინება კი გასაკიცხად ცხადდებოდა. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებამ დღის წესრიგში მომავალ მექორწინეთა ნების გამოვლენისადმი სამართლებრივი მნიშვნელობის მიცემისა და დანიშნულთა აუცილებელი დაქორწინების ვალდებულების შინაარსი შეასუსტა.[153]

ნიშნობის ინსტიტუტის ლოგიკური განვითარების შედეგს წარმოადგენს განსახილველი მუხლის პოზიცია, რომელიც აღნიშნული საკითხისადმი ცივილიზებული მიდგომის საუკეთესო ნიმუშია. კანონი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ: 1. ნიშნობის დროს მთავარი და გადამწყვეტია არა მშობლებისა და სხვა ნათესავების თანხმობა, არამედ დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა; 2. ნიშნობა დანიშნულ პირთა შორის არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას; 3. რადგან ნიშნობა არ იწვევს მომავალში აუცილებელი დაქორწინების მოვალეობას, იგი არ შეიძლება იძულებითი დაქორწინების შესახებ სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის საფუძველი გახდეს; 4. ნიშნობა არავითარ ქონებრივ ვალდებულებას არ წარმოშობს იმ პირთა შორის, რომელთაც წინასწარი თანხმობა განაცხადეს ქორწინებაზე; 5. ნიშნობასთან დაკავშირებით ერთმანეთისადმი მირთმეული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ. საჩუქრის უკან დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს მომავალ მექორწინეთაგან ერთ-ერთის მიერ უარის თქმა დაქორწინებაზე

[153] გ. ნადარეიშვილი. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996.

ან სხვა პირზე დაქორწინება. აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი დაუქორწინებლობის შემთხვევაში ითვალისწინებს ნიშნობასთან დაკავშირებით მხოლოდ საჩუქრების უკან დაბრუნებას და სხვა ქვეყნების კანონმდებლობისაგან განსხვავებით არ ითვალისწინებს საქორწინო სამზადისის ხარჯების ან კეთილსინდისიერი მექორწინისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას.

პრაქტიკისათვის მნიშვნელოვანია, თუ ვინ ითვლებიან ჩუქების ხელშეკრულების მხარეებად ნიშნობასთან დაკავშირებულ ჩუქებაში. მჩუქებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, მათ შორის მექორწინეებიც, ხოლო დასაჩუქრებული (დასაჩუქრებლები) კი არიან მექორწინეები ანუ დანიშნული მომავალი მეუღლეები. მაგალითად, საპატარძლოს დეიდამ სასიძოს აჩუქა ნიშნობასთან დაკავშირებით ძვირფასი საათი. თუკი ნიშნობა არ დამთავრდა ქორწინების რეგისტრაციით, გამჩუქებელს უფლება აქვს ყოფილი სასიძოსაგან მოითხოვოს ნაჩუქარი საათის უკან დაბრუნება. თუ დასაჩუქრებული ნებაყოფლობით არ აბრუნებს ნიშნობასთან დაკავშირებით მიღებულ საჩუქარს, მჩუქებელს შეუძლია სარჩელით მიმართოს სასამართლოს. ამ შემთხვევაში ვფიქრობთ გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის 129-ე მუხლით დადგენილი ხანდაზმულობის ვადები და არა სსკ-ის 529-ე მუხლით გათვალისწინებული დასაჩუქრებულის უმადურობის გამო ჩუქების გაუქმების სპეციალური შემცირებული ერთწლიანი ვადა.

მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან. „A“ და „B“ შორის შედგა ნიშნობა. ნიშნობიდან ერთი კვირის შემდეგ „A-მ თავის მომავალ მეუღლეს დაბადების დღეზე საჩუქრად მიართვა 7000 ლარად ღირებული ოქროს ბეჭედი ბრილიანტის ქვით. „A“ და „B“-ს შორის ნიშნობა არ დამთავრდა ქორწინების რეგისტრაციით. „A“-მ სსკ-ის 1109-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე – დაუქორწინებლობის შემთხვევაში ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები მხარეებს უკან უბრუნდებათ – მოითხოვა „B“-საგან ნაჩუქარი ოქროს ბეჭდის უკან დაბრუნება. თავის მოთხოვნას „A“

იმით ასაბუთებდა, რომ საჩუქრის გადაცემის მომენტში „B“ რომ არ ყოფილიყო მისი დანიშნული, იგი ასეთ ძვირფას საჩუქარს არ მიუტანდა.სასამართლომ არ გაითვალისწინა „A“-ს ეს არგუმენტი სრულიად სამართლიანად და რადგან ოქროს ბეჭედი იყო დაბადების დღის საჩუქარი და არა ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქარი, მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნი ეძღვნება საოჯახო სამართალს. საოჯახო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს მეურვეობა და მზრუნველობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1275-ე მუხლის თანახმად, არასრულწლოვან ბავშვებს, რომლებიც მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლების ქმედუუნაროდ ცნობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დარჩნენ მშობლის მზრუნველობის გარეშე, უწესდებათ მეურვეობა და მზრუნველობა მათი აღზრდის მიზნით, პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.

მეურვეობა და მზრუნველობა წესდება აგრეთვე იმ სრულწლოვანი პირის პირადი და ქონებრივი უფლებებისა და ინტერესების დასაცავად, რომელსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

მეურვეობა წესდება ბავშვზე, რომელსაც არ მიუღწევია შვიდი წლის ასაკისათვის ან პირზე, რომელიც სასამართლოს მიერ აღიარებულია ქმედუუნაროდ სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო.

მზრუნველობა წესდება არასრულწლოვანზე, შვიდი წლის ასაკიდან თვრამეტ წლამდე. მზრუნველობა წესდება აგრეთვე, სრულწლოვან ქმედუნარიან პირზე მისი თხოვნით, თუ მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო არ შეუძლია დამოუკიდებლად განახორციელოს თავისი უფლებები და შეასრულოს თავისი მოვალეობები.

სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს

სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას (სსკ 16-ე მუხლი).

ჩუქებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია სსკ-ის 1296-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – ჩუქების დაუშვებლობა სამეურვეო პირის სახელით, კერძოდ სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ დაიშვება.

მაშასადამე, დღეს მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი კანონმდებლობა სამეურვეო (სამზრუნველო) პირის სახელით დაუშვებლად მიიჩნევს ერთადერთი ხელშეკრულების, როგორიცაა ჩუქების ხელშეკრულება – დადებას, სხვა შემთხვევაში გამოიყენება სსკ-ის 1294-ე მუხლით გათვალისწინებული მეურვისა და მზრუნველის უფლებამოსილებათა შეზღუდვის მომწესრიგებელი ნორმები.

მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან. რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ მეუღლეებს „A“ და „D“-ს ათწლიანი თანაცხოვრების შემდეგ შეეძინათ შვილი. ამ ფაქტით გახარებულმა პაპამ შვილიშვილის დაბადებიდან ერთ კვირაში საჯარო რეესტრში შვილიშვილის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხა სამოთახიანი საცხოვრებელი ბინა. როდესაც ბავშვს შეუსრულდა ექვსი წელი, იგი მდინარეში ბანაობისას დახრჩობას გადაარჩინა შემთხვევითმა გამვლელმა „B“-მ. გახარებულმა მშობლებმა მადლიერების ნიშნად გადაწყვიტეს ბავშვის გადამრჩენლისათვის ბავშვის სახელზე რიცხული სამოთახიანი საცხოვრებელი ბინის საჩუქრად გადაცემა. საჯარო რეესტრის სამსახურმა უარი განუცხადა ექვსი წლის მცირეწლოვანი ბავშვის მშობლებს ბავშვის საკუთრებაში არსებული სამოთახიანი ბინის „B“-ს სახელზე რეგისტრაციაზე

სსკ-ის 1296-ე, 1276-ე მუხლების საფუძველზე, ანუ ექვსი წლის ბავშვი არის სამეურვეო პირი და რომ სამეურვეო პირის სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადება არ შეიძლება.

ვერ დავეთანხმებით საჯარო რეესტრის სამსახურის ამ გადაწყვეტილებას, რამეთუ სსკ-ის 1286-ე და 1296-ე მუხლები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ადგილი აქვს სსკ-ის 1275-ე მუხლით გათვალისწინებულ საფუძვლებს. სსკ-ის 1275-ე-1305-ე მუხლები არის სპეციალური მუხლები და გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ადგილი აქვს სსკ-ის 1275-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებს ანუ თუ არასრულწლოვანი ბავშვები მშობლების გარდაცვალების, მშობლებისათვის მშობლის უფლების ჩამორთმევის, მშობლების ქმედუუნაროდ ცნობის, ავადმყოფობის ან სხვა მიზეზით დარჩნენ მშობელთა მზრუნველობის გარეშე და მათი აღზრდის, პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად დაენიშნათ მეურვეობა და მზრუნველობა.

განსახილველი შემთხვევის მიმართ გამოყენებულ უნდა იქნეს სსკ-ის ზოგადი ნორმები, კერძოდ სსკ-ის 12-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, შვიდ წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) არის ქმედუუნარო. სსკ-ის 1197-ე მუხლის თანახმად, შვილების მიმართ მშობლებს თანაბარი უფლება-მოვალეობები აქვთ. ბავშვს აქვს უფლება ცხოვრობდეს და იზრდებოდეს ოჯახში ასევე გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის 1198-ე და 1198[1] მუხლები.

მაშასადამე, მცირეწლოვანის (სამეურვეო პირი) სახელით ჩუქების ხელშეკრულების დადებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება იმ ფაქტს, სახეზე გვყავს ბუნებრივი მეურვე – მშობელი, თუ სსკ-ის 1275-1305-ე მუხლების საფუძველზე დანიშნული მეურვე (კანონიერი წარმომადგენელი, ოღონდ არა მშობელი).

თუ კანონიერი წარმომადგენელი არის მშობელი (ბუნებრივი მეურვე და არ არსებობს სსკ-ის 1275-ე მუხლის გამოყენების საჭიროება), ასეთ შემთხვევაში არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მცირეწლოვანის სახელით დადებული ჩუქების ხელშეკრულების

მიმართ სსკ-ის 1296-ე მუხლით დადგენილი აკრძალვის ინსტიტუტი.

ჩუქებასთან მიმართებაში ვფიქრობთ საინტერესო საკითხია ერთ-ერთი მეუღლის მიერ თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1158-ე მუხლის თანახმად, მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება წარმოადგენს მათ საერთო ქონებას (თანასაკუთრებას), თუ მათ შორის საქორწინო ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი. ასეთ ქონებაზე მეუღლეთა თანასაკუთრების უფლება წარმოიშობა მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი ეწეოდა საოჯახო საქმიანობას, უვლიდა შვილებს ან სხვა საპატიო მიზეზის გამო არ ჰქონია დამოუკიდებელი შემოსავალი.

სსკ 1159-ე მუხლის თანახმად, თანასაკუთრებაში არსებულ ქონებაზე მეუღლეებს აქვთ თანაბარი უფლებები. ამ ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა ხორციელდება მეუღლეთა ურთიერთშეთანხმებით.

2007 წლის 29 ივნისს სამოქალაქო კოდექსის 1160-ე მუხლი — თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვა ურთიერთშეთანხმებით — ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

1. იმ ქონების განკარგვა, რომელიც მეუღლეთა თანასაკუთრებაშია, ხდება მეუღლეთა შეთანხმებით, მიუხედავად იმისა, თუ რომელი მეუღლე განკარგავს ამ ქონებას.

2. მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასთან დაკავშირებით ერთის მიერ დადებული გარიგება ვერ იქნება ბათილად ცნობილი მეორის მოთხოვნით იმ საფუძველზე, რომ:

ა) მან არ იცოდა გარიგების შესახებ;

ბ) ის არ ეთანხმებოდა გარიგებას.

3. მეუღლეს, როგორც თანამესაკუთრეს, უფლება აქვს, მოითხოვოს ქონების განკარგვით მიღებული სარგებელი.

ვფიქრობთ, სსკ-ის 1160-ე მუხლი შეეხება თანასაკუთრებაში

არსებული ქონების სასყიდლიან განკარგვას ერთ-ერთი მეუღლის მიერ და არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს უსასყიდლო განკარგვის (ჩუქებასთან) მიმართებაში სსკ-ის 1160-ე მუხლის მე-3 ნაწილის მოთხოვნიდან გამომდინარე. ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის თანხმობის გარეშე თანასაკუთრებაში არსებული ქონების უსასყიდლო განკარგვის შემთხვევაში შემძენი (მესამე პირი) ვერ იქნება კეთილსინდისიერი და ანალოგიით უნდა იქნეს გამოყენებული სსკ-ის 187-ე მუხლის II ნაწილის დებულება იმის შესახებ, რომ მოძრავი ნივთის (მეუღლეთა თანასაკუთრებაში არსებული მოძრავი ნივთი, რომელსაც განკარგავს ერთ-ერთი მეუღლე სსკ-ის 1160-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად) შემძენი ვერ იქნება კეთილსინდისიერი, თუ შემძენმა იგი უსასყიდლოდ მიიღო.

სამოქალაქო კოდექსის მეექვსე წიგნი ეძღვნება მემკვიდრეობის სამართალს. სამოქალაქო კოდექსის 1306-ე მუხლის თანახმად, გარდაცვლილი პირის (მამკვიდრებლის) ქონების გადასვლა სხვა პირებზე (მემკვიდრეებზე) ხორციელდება კანონით ან ანდერძით, ანდა ორივე საფუძვლით. კანონით მემკვიდრეობა — გარდაცვლილის ქონების გადასვლა კანონში მითითებულ პირებზე — მოქმედებს, თუ მამკვიდრებელს არ დაუტოვებია ანდერძი, ან თუ ანდერძი მოიცავს სამკვიდროს ნაწილს, ან თუ ანდერძი მთლიანად ან ნაწილობრივ ბათილად იქნება ცნობილი.

სამოქალაქო კოდექსის 1336-ე მუხლის თანახმად, კანონით მემკვიდრეობის დროს თანასწორი წილის უფლების მემკვიდრეებად ითვლებიან:

I. პირველ რიგში — გარდაცვლილის შვილები, გარდაცვლილის შვილი, რომელიც მისი სიკვდილის შემდეგ დაიბადა, მეუღლე, მშობლები (მშვილებლები). ნაშვილები და მისი შთამომავლები, როგორც მშვილებლის ან მისი ნათესავების მემკვიდრეები, გათანაბრებულები არიან მშვილებლის შვილებთან და მათ შთამომავლებთან. ნაშვილები აღარ მიიჩნევა კანონით მემკვიდრედ მისი მშობლებისა და აღმავალი ხაზის სხვა ღვიძლი ნათესავების, აგრეთვე დებისა და ძმების გარდაცვალების შემდეგ.

II მეორე რიგში — გარდაცვლილის ძმები და დები

III მესამე რიგში — ბებია და პაპა, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან.

IV მეოთხე რიგში — ბიძები (დედის ძმა და მამის ძმა), დეიდები და მამიდები

V მეხუთე რიგში — ბიძაშვილები, დეიდაშვილები და მამიდაშვილები, ხოლო თუ ეს უკანასკნელნი არ არიან, — მათი შვილები.

სსკ-ის 1336-ე მუხლში მოცემულია აგრეთვე წარმომადგენლობითი მემკვიდრეობის ინსტიტუტიც, რომელიც მოქმედებს მამკვიდრებლის შვილიშვილების, შვილიშვილის შვილებისა და ამ უკანასკნელთა შვილების, დისწულებისა და ძმისწულების, ბებიის დედ-მამისა და პაპის დედ-მამის, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან მიმართებით ხოლო სსკ-ის 1343-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში კი უმკვიდრო ქონების გადასვლა ხდება ხაზინაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1344-ე მუხლის თანახმად, ფიზიკურ პირს შეუძლია სიკვდილის შემთხვევისათვის თავისი ქონება ან მისი ნაწილი ანდერძით დაუტოვოს ერთ ან რამდენიმე პირს, როგორც მემკვიდრეთა წრიდან, ისე გარეშე პირებსაც.

მოანდერძე შეიძლება იყოს სრულწლოვანი, ქმედუნარიანი პირი, რომელსაც ანდერძის შედგენის მომენტში შეუძლია გონივრულად განსაჯოს საკუთარი მოქმედება და ნათლად გამოხატოს თავისი ნება. ანდერძი უნდა შეადგინოს პირადად მოანდერძემ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით არ დაიშვება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1371-ე მუხლის თანახმად, მამკვიდრებლის შვილებს, მშობლებსა და მეუღლეს, ანდერძის შინაარსის მიუხედავად, ეკუთვნით სავალდებულო წილი, რომელიც უნდა იყოს იმ წილის ნახევარი, რაც თითოეულ მათგანს კანონით მემკვიდრეობის დროს ერგებოდა (სავალდებულო წილი).

ჩუქებასთან მიმართებით აღსანიშნავია სსკ-ის 1378-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როგორიცაა სავალდებულო წილის გაზრდა გაჩუქებული ქონების ხარჯზე. კერძოდ, თუ

მამკვიდრებელმა აჩუქა ნივთი მესამე პირს, მაშინ სავალდებულო წილზე უფლების მქონე პირს შეუძლია მოითხოვოს მისი შევსება იმ თანხით, რომლითაც გაიზრდება მისი სავალდებულო წილი, თუკი გაჩუქებული ნივთი სამკვიდროში შევა. საჩუქარი ანგარიშში არ ჩაითვლება, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის საჩუქრის გადაცემიდან ათი წელია გასული.

მემკვიდრეობითი სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს წარმოადგენს სამკვიდროს გაყოფა. სამკვიდროს გაყოფა ხდება სამკვიდროს მიმღები მემკვიდრეების შეთანხმებით იმ წილის კვალობაზე, რაც თითოეულ მათგანს კანონით ან ანდერძით ერგებათ.

ჩუქებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია სსკ-ის 1455-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, როგორიცაა საჩუქრის ჩათვლა მემკვიდრის წილში, კერძოდ, სამკვიდროს გაყოფისას თითოეული მემკვიდრის წილში ჩაითვლება იმ ქონების ღირებულება, რომელიც მან საჩუქრის სახით მიიღო მამკვიდრებლისაგან სამკვიდროს გახსნამდე ხუთი წლის განმავლობაში.

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

I თავი

ფულადი ვალდებულებების ზოგადი დახასიათება

სანამ უშუალოდ განვიხილავთ სესხის ხელშეკრულებას, განვიხილოთ იგი ფულად ვალდებულებების ჭრილში.

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის გადახდა. ფული სამოქალაქო ბრუნვაში გაცვლის საყოველთაო საშუალებაა.[154] სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე თითოეულ სუბიექტს შეუძლია ფულის გადახდის სანაცვლოდ მიიღოს რაიმე ქონებრივი სიკეთე, რომელსაც ურთიერთობის სხვა სუბიექტი გადასცემს მას გადახდილი ფულის სანაცვლოდ. მაგრამ ეს შესაძლებლობა ატარებს ფაქტობრივ და არა იურიდიულ ხასიათს: ფულადი ნიშანი არ არის საქონლის შესახებ ორდერი, არ ანიჭებს მის მფლობელს უფლებას, მოსთხოვოს სახელმწიფოს ანდა კერძო პირს მისთვის რაიმე ქონებრივი ფასეულობის გადაცემა. საყოველთაო გაცვლის საშუალების ფუნქცია ფულს ენიჭება მისადმი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობის გამო, რამეთუ სამოქალაქო ბრუნვის თითოეული მონაწილე დარწმუნებულია, რომ მოცემული ფულადი ნიშანი დაუბრკოლებლად მიიღება მეორე პირის მიერ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ, რომ ეს ფულადი ნიშანი მას ანიჭებს მატერიალური სიკეთეების თავისუფლად არჩევის შესაძლებლობას. თუკი ფულის მსყიდველობითი შესაძლებლობა დაფუძნებული და დამყარებულია მისადმი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა ნდობაზე, ამაზეცაა დამყარებული მისი მსყიდველუნარიანობის ხარისხიც: ფულადი

[154] Palandt – Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Tomas, 67. neubearbeitete Auflage. Verlag C. H. Beck München, 2008. S. 256.

ნიშნის ღირებულება, ისევე როგორც საქონლის ღირებულება განისაზღვრება მოთხოვნისა და მიწოდების თანაფარდობით და არასდროს არ წარმოადგენს აბსოლუტურ სიმყარეს[154].

კანონს უშუალოდ არ შეუძლია, რომ შექმნას გაცვლის საყოველთაო საშუალება, რამეთუ მას არ შეუძლია დაადგინოს, თუ რა შეიძლება იყოს ნებაყოფლობით დადებული გარიგებების საგანი (ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი). კანონს ასევე არ შეუძლია არსებულ გაცვლის საშუალებას მიანიჭოს განსაზღვრული მსყიდველუნარიანობა, რამეთუ ფულის მსყიდველუნარიანობის ძალა არის სამოქალაქო ბრუნვის ყველა მონაწილის ინდივიდუალური შეფასებების რთული ურთიერთკავშირის შედეგი. ის ფაქტი, რომ განსაზღვრული ნივთი წარმოადგენს გაცვლის საყოველთაო საშუალებას, დამყარებულია სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა საყოველთაოდ ცნობილ ჩვეულებებზე. მაგრამ ეს ჩვეულებები მაინც ყალიბდება სახელმწიფოს მხრიდან თუმცა არაპირდაპირი, მაგრამ მაინც ძლიერი ზემოქმედებით.

სამოქალაქო ბრუნვაში კრედიტის არსებობის, ასევე ისეთი გარიგებების არსებობისას, რომლებითაც ხდება შესრულების გადადება, სახელმწიფოს ეძლევა შესაძლებლობა განსაზღვროს ის საგანი, რომელიც იქნება ვალდებულების შესრულების უკიდურესი და იძულებითი საშუალება: უკიდურესი იგულისხმება იმ გაგებით, რომ ეს საგანი ცვლის ვალდებულების ნამდვილ საგანს, თუკი ამ უკანასკნელის გადაცემა რეალურად შეუძლებელია; იძულებითი იგულისხმება იმ გაგებით, რომ მოვალე თავისუფლდება ამ საგნის გადაცემის ვალდებულებისაგან, ხოლო კრედიტორი კი ვალდებულია მიიღოს იგი იმისათვის, რომ არ ჩაითვალოს ვადის გადამცილებლად.

სახელმწიფო მთელ რიგ ვალდებულებებში (მაგალითად, გადასახადები, მოსაკრებლები, ბაჟები) წარმოადგენს კრედიტორს. კერძო პირთა შორის გარიგებები ხშირად იდება კრედიტით, რაც განაპირობებს იმას, რომ ხელშეკრულების დადებისა და

---

[154] J.G. Hoffman. Die Lehrevon Gelde. Berlin. 1838. S. 12.

მისი შესრულების მომენტები ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა შეიძლება იყოს მოვალის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველი მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში. ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება კრედიტორს აძლევს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, ხოლო დაუშვებელი საშუალებით შესრულების იძულება დაზარალებულს აძლევს მიყენებული ზიანის ანაზღაურების უფლებას.

ყველა ამ შემთხვევაში კანონმდებელმა აუცილებლად უნდა განსაზღვროს ის საგნები, რომელთა გადაცემაც სავალდებულოა ვალდებული პირისათვის, ხოლო მიღება კი სავალდებულოა უფლებამოსილი პირისათვის. ქონებრივი ვალდებულებების შესრულების უნივერსალურ სუროგატს ეწოდება კანონიერი საგადამხდელო საშუალება. მაშასადამე, სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვა ქმნის გაცვლის საშუალებას, ხოლო სახელმწიფო კი — გადახდის კანონიერ საშუალებას. როგორია ამ ორი ცნების თანაფარდობა?

სახელმწიფო ბრუნვაში უშვებს ქაღალდის ნიშნებს და აცხადებს, რომ ამ ქაღალდის ნიშნებით შეიძლება ვალების გადახდა. სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვა იყენებს ამ ნიშნებს ახალი გარიგებების დასადებად. ასეთ შემთხვევებში კანონიერი გადახდის საშუალება ხდება გაცვლის საყოველთაო საშუალება. ზოგჯერ სახელმწიფო ჭრის ოქროს მონეტებს და აცხადებს მას კანონიერი გადახდის საშუალებად.

ორივე შემთხვევაში ეს ცნებები საგნობრივად ემთხვევა. ასეთი დამთხვევა სამეურნეო თვალსაზრისით გარდუვალი და ნორმალურია, რამეთუ სახელმწიფოს არ შეუძლია, რომ მუდმივად რომელიმე საგანს მიანიჭოს გადახდის საშუალების ძალა, თუკი სამოქალაქო ბრუნვა უარს აცხადებს გამოიყენოს ეს საგანი ახალი გარიგებების დასადებად. მაგრამ ეს დამთხვევა არ ატარებს ლოგიკურ ხასიათს, არ გამომდინარეობს თვითონ ამ ცნებების არსიდან: „მიმოქცევის საშუალება“ და „გადახდის კანონიერი საშუალება“ წარმოადგენს თავისი შინაარსით ურთიერთგანსხვავებულ ცნებებს. „მიმოქცევის

საშუალებისა“ და „გადახდის კანონიერი საშუალების“ ცნებების აღნიშნულ თანაფარდობიდან გამომდინარე, შეუძლებელია ფულის ერთიანი იურიდიული ცნების განსაზღვრა. ფულის შესახებ ეკონომიკური ცნება წარმოადგენს ძირითად საფუძველს იმისა, რომ სამოქალაქო ბრუნვის ობიექტების ერთობლიობაში გამოყოფილ იქნეს ისეთი საგნები, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში ფაქტობრივად ასრულებენ გაცვლის საყოველთაო საშუალების ფუნქციას. ასეთი საგნები წარმოადგენენ ფულად ნიშნებს იურიდიული გაგებით. ამასთან ერთად, ფულად ნიშნებს უნდა მიეკუთვნოს ის საგნებიც, რომლებსაც გააჩნიათ კანონიერი გადახდის საშუალების ძალა. სახელმწიფოს მიერ ფულადი მიმოქცევის სფეროში განხორციელებული საქმიანობა თავის ფორმალურ დასასრულს იმაში პოულობს, რომ მთავრობის მიერ ანდა მთავრობის თანხმობით გამოშვებული ყველა ფულადი ნიშანი ერთიანდება ფულად სისტემაში.

ფულადი სისტემის ცნებას აქვს ორგვარი ასპექტი: იურიდიული და ეკონომიკური. იურიდიული თვალსაზრისით, თითოეული ქვეყნის ფულადი სისტემა შეიძლება განისაზღვროს როგორც სხვადასხვა სახის ფულადი ნიშნების ერთობლიობა, რომელიც გამოხატულია იმ ერთსა და იმავე ფულად ერთეულში, რომელიც განაპირობებს მათ საგადამხდელო ძალას. იურიდიული თვალსაზრისით, ფულადი სისტემა რჩება უცვლელი, რამეთუ არ იცვლება ის ფულის ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ამ სისტემას: ამ სისტემის ზოგიერთი ელემენტის (მაგალითად, ბრუნვიდან ლითონის მონეტების ამოღება) ამოღება, ასევე ამ სისტემაში დარჩენილი ფულადი ნიშნების მსყიდველუნარიანობის შეცვლა, არ იწვევს ფულადი სისტემის იგივეობრიობის დარღვევას.

აღნიშნული თვალსაზრისით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ფულადი მოწყობის ორი სახე: ა) მოცემული ქვეყნის ფარგლებში ერთი ფულადი სისტემის, ერთი ფულადი ერთეულის არსებობა, რომელიც განაპირობებს ყველა ფულადი ნიშნის საგადამხდელო ძალას; ბ) მოცემული ქვეყნის ფარგლებში ორი ფულადი სისტემის არსებობა, რომელთაგანაც თითოეული და-

ფუძნებულია თავის ფულად ერთეულზე: ამ ფულადი ერთეულების საგადამხდელო თანაფარდობა განისაზღვრება ყოველი კონკრეტული შემთხვევისათვის ერთი ფულადი სისტემის ფულადი ნიშნების მეორე ფულადი სისტემის ფულის ნიშნების კურსთან შეფარდებით. ასეთი ფულადი მოწყობა ატარებს პარალელური ფულადი მიმოქცევის სახელწოდებას. ეს სახელწოდება წარმოიშვა ინგლისური მიმოქცევის ისტორიის საფუძველზე. 1663 წელს, როცა მიმოქცევა აგებული და დამყარებული იყო ვერცხლის ფულად ნიშნებზე, ბრიტანეთის მთავრობამ გამოუშვა ოქროს მონეტა – გინეა, რომელსაც სახელმწიფო ღებულობდა გადასახდელად ვერცხლის კურსის მიხედვით გადახდის დღისათვის.[155]

ეკონომიკური თვალსაზრისით, ფულადი სისტემა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც ფულადი ნიშნების მსყიდველუნარიანობის სახელმწიფოებრივი რეგულირების ისტორიულად ჩამოყალიბებული ერთერთი განსაზღვრული ტიპი. სხვადასხვა სახის ფულად სისტემებს შორის ძირითადად განასხვავებენ: 1) ოქროს მიმოქცევის სისტემას, რომელსაც გაბატონებული მდგომარეობა ეკავა ევროპის ქვეყნების უმრავლესობაში მსოფლიო ომამდე. კანონიერი გადახდის საშუალების ძალა მინიჭებული ჰქონდა განსაზღვრული სინჯისა და წონის ოქროს მონეტებს. ოქროს მონეტების მიმართ დადგენილი იყო თავისუფლად მოჭრის პრინციპი, რაც იმას ნიშნავდა, რომ კერძო პირები სახელმწიფოსათვის გადაცემული ოქროს ზოდების სანაცვლოდ, ჯამში ღებულობდნენ შესაბამის ოქროს მონეტებს. ვერცხლისა და სპილენძის ფულს ჰქონდათ შეზღუდული ბრუნვაუნარიანობის ძალა. ამ სისტემის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ ფულის ღირებულება დაეკავშირებინა ოქროს ღირებულებასთან. ამისათვის მთავრობა ბრუნვაში უშვებდა ოქროს მონეტებს, თავისუფალი მოჭრის პრინციპის წესით ღებულობდა ზომებს, რომ არ მომხდარიყო ოქროს მონეტისა და ოქროს ზოდის ღირებულებების განსხვავება, ზღუდავდა სხვა სახის ფულად ნიშნებს, რათა ოქროს მონეტები მიმოქცევიდან არ

[155] Л. А. Лунц. Деньги и денежные обязательства в гражданском праве, М., 2004, ст. 61.

გამოძევებულიყო სხვა უფრო „დაბალღირებულებიანი“ ფულადი ნიშნების საშუალებით. ყველა ეს ღონისძიება დამყარებული იყო კანონზე; 2) ქაღალდის ფულის მიმოქცევის სისტემა; ფულის ნიშნების ემისიის (ანუ ბრუნვაში გაშვება) უფლება ასეთ სისტემის ქვეყნებში გააჩნია მხოლოდ სახელმწიფოს შესაბამის კომპეტენტურ დაწესებულებას (როგორც წესი, სახელმწიფო ბანკს). სახელმწიფო საკანონმდებლო და ადმინისტრაციული წესით ღებულობს მთელ რიგ ღონისძიებებს მიმოქცევაში არსებული ფულადი ნიშნების მსყიდველუნარიანობის განსამტკიცებლად.

ფულადი ნიშნების სპეციფიკურ სახეს (ე.წ. „ფულის სუროგატი“), წარმოადგენს ჩეკი და თამასუქი, რომელთა მეშვეობითაც სავაჭრო ბრუნვაში ჩვეულებრივ ხორციელდება ანგარიშსწორება. ახალი ფულადი ნიშნების გამოშვებისას, სახელმწიფო მასზე აღნიშნავს ფულადი ერთეულების ჯამს და ამით შესაბამისად განსაზღვრავს ამ ფულადი ნიშნის საგადამხდელო ბაზას. იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფო უშვებს ახალ ფულის ნიშნებს, ის ადგენს ნორმატული წესით ახალი და ძველი ერთეულების თანაფარდობას. თუკი ფულადი ნიშნის საგადამხდელო ძალა, ანუ გადამხდელუნარიანობა განისაზღვრება კანონით, მაშინ ის არ შეიძლება, რომ შეიცვალოს ფაქტობრივი ხასიათის მქონე გარემოებებით, ანუ ფულის იურიდიულ ძალაზე ზეგავლენას არ ახდენს ფასების მერყეობა. თუმცა კი გადახდის საშუალება წარმოადგენს ასევე მიმოქცევის იარაღსაც. ამიტომაც ფულადი ერთეული ეს არის არა მარტო დათვლადი ერთეული, რომელიც წარმოადგენს ფულადი ნიშნების საგადამხდელო ძალის საზომს, არამედ ასევე საქონლის საბაზრო ფასების განმსაზღვრელი საზომიცაა, რამეთუ საქონლის ფულზე გაცვლისას საქონლის ფასი საჭიროების შემთხვევაში გამოიხატება ფულადი ერთეულების განსაზღვრული ჯამით. აქედან გამომდინარეობს ფულის ერთეულის კიდევ ერთი ფუნქცია: რადგან იგი წარმოადგენს ყველა სახის საქონლის ღირებულების საზომს, მაშინ იგი ასევე შეიძლება იყოს აბსტრაქტული ღირებულების გამოხატვის საშუალებაც. ფულის ერთეულის ამ უკანასკნელ ფუნ-

ქციას სწორედ მაშინ იყენებს კანონმდებელი, როდესაც ის მიზანშეწონილად თვლის განსაზღვრულ აბსტრაქტულ ფასეულობას დაუკავშიროს გარკვეული იურიდიული შედეგები (მაგალითად, დაადგინოს მინიმალური საწესდებო კაპიტალი კაპიტალური ტიპის იურიდიული პირებისთვის; განსაზღვროს სავალდებულო წილის მაქსიმუმი ანდერძით მემკვიდრეობისას და ა.შ.).

განვიხილოთ ფულის შესახებ ზოგიერთი სამართლებრივი თეორია: ფულის შესახებ მოძღვრების ძირითად ელემენტს წარმოადგენს ორი ცნების გამიჯვნა: 1) ფულის ცნება, რომელიც საერთოა იურიდიული და ეკონომიკური მეცნიერებისთვის; 2) ფულის ცნება სპეციალური იურიდიული გაგებით. ამ თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია გერმანელი ცივილისტის გ. ჰარტმანის „ნომინალისტური თეორია“ (Nennwert). ჰარტმანმა შეისწავლა ყველა იმ სამართლებრივი ნორმის ერთობლიობა, რომელიც დადგენილია ფულის, როგორც სამოქალაქო სამართლის განსაკუთრებული სახის ობიექტის მიმართ (ფულადი ნიშნების კეთილსინდისიერი მფლობელობის დამცავი ნორმები; ფულადი ვალდებულებების მიმართ კანონით გათვალისწინებული პროცენტები; ფულის ცნების, როგორც ნასყიდობისა და გაცვლის ხელშეკრულებების გამიჯვნის საფუძვლის შესახებ და ა.შ) და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ამ ნორმების ობიექტს წარმოადგენს ნივთები, რომლებსაც გააჩნიათ შესაძლებლობა ყველა სხვა მატერიალური ფასეულობის ეკვივალენტი იყოს და ამის ძალით სამოქალაქო სამართალში წარმოადგენს მატერიალური ფასეულობების შეძენისა და დაგროვების საშუალებას. აქ შედის არა მარტო ის ფულადი ნიშნები, რომლებიც კანონიერი საგადამხდელო საშუალებაა, არამედ ასევე ქვეყნის ბრუნვაში ფაქტობრივად არსებული უცხოური ვალუტაც. ფულის ამ ზოგად ცნებასთან ერთად ჰარტმანი აყალიბებს ფულის, როგორც ვალდებულების საყოველთაო შესრულების საშუალების სპეციალურ ცნებასაც, მაშინაც კი, როცა ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელია.[156] ეს უკანასკნელი განმარტება

[156] G. Hartmann, Uber den rechtlichen Begruff des Gelds und den Inhalt von geldschulden. Braunschweig, 1868.

წარმოადგენს ფულადი ვალდებულებების შინაარსის შესახებ საკითხის გადაწყვეტის საშუალებას: ფულადი ვალდებულებების შესრულებისას მხედველობაში მიიღება არა „ფულის კურსის ძალა“ (ფულის მსყიდველუნარიანობა Courswert), არა „ღირითონის ძალა“ (მონეტის ძვირფასი ლითონის შემცველობა), არამედ „ნომინალური ფასი“, ანუ ფულად ნიშნებზე გამოხატული ფულის ერთეულების რაოდენობა, ამასთან ერთად, აქ საუბარია არა ფულის მსყიდველუნარიანობის შესაძლებლობის განსაზღვრის სამართლებრივი ფიქციის ჩამოყალიბებაზე, არამედ ფულის საგადამხდელო ძალის განსაზღვრაზე. ფულადი ნიშნების გამოშვებისას სახელმწიფო ადგენს მათ სავალდებულო მიღებას როგორც გადახდის საშუალებისა და თითოეულ მათგანზე გამოხატავს იმ ფულადი ერთეულების განსაზღვრულ ჯამს, რომელშიც გამოხატულია არსებული ვალები. ასეთი გზით სახელმწიფო ფულს არა მარტო ანიჭებს საგადამხდელო ძალას (გადახდის საშუალებას), არამედ ასევე განსაზღვრავს ამ საგადასახდელო ძალის ხარისხსაც. სახელმწიფო ფულადი ერთეული ნორმალურ პირობებში ხდება გადავადებული ვალების გამოთვლის ერთეული. მაგრამ ეს გარემოებაც კი არ აძლევს სახელმწიფოს შესაძლებლობას საკანონმდებლო წესით დაადგინოს ფულის ღირებულება, რამეთუ დეცენტრალიზებული მეურნეობის ბატონობის პირობებში (საბაზრო მეურნეობის), ფულადი ვალდებულებების შინაარსი ხელშეკრულების მხარეების მიერ განისაზღვრება ნებისმიერი ფულადი ერთეულების ჯამით. ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჰარტმანის „ნომინალისტიკურ თეორიას“ გააჩნია წმინდა იურიდიული ხასიათი: ის საერთოდ არაფერს ამბობს ფულის ღირებულების საკითხზე, რომელიც თავისი არსით წმინდა ეკონომიკური პრობლემაა და შესაბამისად არ შეიძლება იყოს იურიდიული კვლევის საგანი.

გ. ჰარტმანის თეორიის მიმდევრად ითვლება ჯ. ჰელფერიხი, რომელმაც თავის გამოკვლევაში ფულის შესახებ დიდი ადგილი დაუთმო ფულის სამართლებრივი არსის საკითხის განხილვას.[157]

[157] J. Helfferich. Von den periodischen Schwankungen im Werth der edlen Metalle. Nürnberg. 1843. S. 8.

აღსანიშნავია, ასევე იტალიელი მეცნიერის სკადეტოს შეხედულებები, რომელიც ერთმანეთისაგან განასხვავებს ფულს ეკონომიკური გაგებით, როგორც მიმოქცევის საშუალებას (mezzo di scambio), და ფულს იურიდიული გაგებით, როგორც ვალდებულების შესრულების საშუალებას (mezzo di esitinzione delle obligazione). სახელმწიფოს შეუძლია არ მიანიჭოს ფულის თვისებები იმ ნივთებს, რომლებიც წარმოადგენენ ფულს ეკონომიკური გაგებით.

გ. ჰარტმანის თეორიისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება XVIII საუკუნის ფრანგული იურიდიული მოძღვრება ფულის შესახებ, რომელმაც თავისი კვალი დატოვა საფრანგეთის მოქმედ სამოქალაქო კოდექსში და გ. კნაპის „ფულის შესახებ სახელმწიფო თეორია“, რომელმაც ზეგავლენა მოახდინა გერმანულ სამართლებრივ მეცნიერებაზე ფულის შესახებ.

ლითონის მონეტების გამოშვებასა და ბრუნვაში გაშვებაზე მეფის განსაკუთრებული უფლების პრინციპმა XVII-XVIII საუკუნეების საფრანგეთში ფართო აღიარება პოვა. ასე, მაგალითად, ფრანგი იურისტი ლე ბრეტი XVIII საუკუნეში წერდა: „მეფეს აქვს უფლება, როცა ამას მოითხოვს გარემოებები, გაზარდოს ან შეამციროს მონეტის ფასი“. ასევე, მონტესკიე აღნიშნავდა, რომ „მონეტაში ვერცხლს გააჩნია ზუსტად ის ფასი, რომელსაც ადგენს მეფე: ის განსაზღვრავს თანაფარდობას ზოდში განსაზღვრული რაოდენობის ვერცხლსა და მონეტაში იმავე რაოდენობის ვერცხლს შორის. ის განსაზღვრავს თანაფარდობას სხვადასხვა ლითონებს შორის, რომლებიდანაც იჭრება ფულის მონეტა; და მეფე განსაზღვრავს თითოეული მონეტის იდეალურ ფასს“. იმავე ეპოქაში ცნობილი მეცნიერი პოტიერი წერდა: „მონეტა წარმოადგენს კერძო პირის საკუთრებას როგორც განსაზღვრული ღირებულების მქონე ნიშნის სახით, რომელიც მას მიანიჭა მეფემ და თუ მეფე მოისურვებს, რომ არა ეს, არამედ სხვა მონეტები წარმოადგენდნენ ამ ნივთების ღირებულების შეფასების ნიშანს, მაშინ კერძო პირები კარგავენ თავიანთ უფლებებს ამ მონეტების მიმართ“.

ამ თეორიამ ასახა იმჟამინდელი სამართლებრივი სინამდვილე:

მთავრობის ფისკალური ღონისძიებები მონეტის წონის შესამცირებლად, მონეტის გადნობისათვის დაწესებული სისხლისსამართლებრივი რეპრესიები, ასევე პასუხისმგებლობა მონეტის გადასახდელად მიღებაზე უარის თქმისათვის და ა.შ., ყველაფერმა ამან პოვა სრულიად ადეკვატური იურიდიული გამოხატულება[157[1]].

თუკი XVIII საუკუნის ფრანგული თეორია გამოდის ფულის ღირებულების სახელმწიფოს მიერ განსაზღვრის იდეიდან, კნაპისა და მისი მიმდევრების „სახელმწიფოს თეორია ფულის შესახებ" სრულიად უარყოფს ფულის ღირებულების არსებობას და ფულს განიხილავს მხოლოდ როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მიერ დადგენილ საგადამხდელო საშუალებად.[158]

„ფულის შესახებ სახელმწიფო თეორია, – აღნიშნავდა კნაპი, – არის მთელი რიგი ისტორიულ-სამართლებრივი ფაქტების დოგმატიკური გამოხატულება, რომელიც XIX საუკუნის განმავლობაში გამოვლინდა მნიშვნელოვანი კულტურული ქვეყნების ფულადი მიმოქცევის სფეროში. თანამედროვე პირობებში, გადახდის მექანიზმი ყველგან რეგულირდება ადმინისტრაციული სამართლის ნორმებით, რაც წარმოადგენს სწორედ რომ გამოკვლევის ძირითად მასალას". დღეს მოქმედი წესი ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგია. ოდესღაც გადახდა ხდებოდა ლითონის აწონვის მეშვეობით – იმ დროს ღირებულების ერთეული განისაზღვრებოდა ამ ლითონის ერთეულის მეშვეობით. ფულის მოჭრა ხდება სახელმწიფოს პრეროგატივა.

სახელმწიფომ დაადგინა: ვერცხლის ფუნტის ოდენობის ვალი გადახდილ უნდა იქნეს არა ლითონის აწონვით, არამედ 240 პფენინგის ოდენობის მონეტების გადაცემით. ამ მომენტიდან თითოეული მონეტა ხდება გადახდის საშუალება. შემდგომში სახელმწიფო ამცირებს მონეტის წონას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონეტები მხოლოდ უნდა დაითვალოს და არა აიწონოს. თითოეული ფულადი

[157[1]] Ф.К. Савиньи Обязательственное право пер. с. немецкого, СПб., 2004., ст. 356-360.

[158] Knapp. Statliche teorie des Geldes. München und Leipzig. 1913. S. 20.

ნიშნის საგადამხდელო ძალა (geltung) უკვე განისაზღვრება მართლწესრიგით და არ არის დამოკიდებული იმ მასალაზე, რომლიდანაც დამზადებულია ფულადი ნიშანი (ამიტომაც დასაშვებია ქაღალდის ფულის ნიშნებიც). ფულის ერთეული, რომელიც გამოხატავს ფულის მსყიდველუნარიანობას, გახდა „ნომინალური“.[159] მარკა, კრონი, არ შეიძლება განისაზღვროს როგორც ლითონის რაოდენობა: ყველაფერი ეს უკვე წარსულია. თანამედროვე გერმანული ფულადი ერთეულის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ მისი უკუკავშირის დადგენის გზით წინამორბედ ფულად ერთეულთან (rekurrenter Anschluss); მარკა არის მის შემოღებამდე არსებული ტალერის ერთი მესამედი ნაწილი. ფულადი ნიშნების დამზადების მასალის შერჩევისას, სახელმწიფო არაფრით არ არის შეზღუდული; თუკი ხდება მონეტების წონის შემცირება, ამას შიდასახელმწიფოებრივი მიმოქცევისათვის არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია, რამეთუ მოცემული ქვეყნის თითოეული მოქალაქე გამოდის როგორც მიმღების, ისე გადამხდელის როლში და ვინც ვალდებულია, რომ მიიღოს უფრო მსუბუქი მონეტები, მას ასევე უფლება აქვს გადაიხადოს ასეთივე მონეტებით.

სახელმწიფო დაინტერესებულია იმით, რომ მისი ფული გადაიცვალოს სხვა ქვეყნის ფულზე განსაზღვრული პარიტეტის გზით. ამ პარიტეტის მისაღწევად მთავრობა კანონით ან ადმინისტრაციული წესით ახორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს: ასე, მაგალითად, ომამდე გერმანიაში მოვალის მოთხოვნით ნებისმიერი რაოდენობის ოქრო შეიძლება მოჭრილიყო მონეტებად (თავისუფალი მოჭრა), რის გამოც ფულად ერთეულში გამოხატული ოქროს ფასი მყარი და მუდმივი იყო. ასეთ შემთხვევაში, რჩება ისეთი შთაბეჭდილება, რომ ფულად ერთეულს წარმოადგენს თითქოსდა განსაზღვრული რაოდენობის წონის ოქრო. მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ ფულის ერთეულის (მარკის) წინამორბედის (ტალერის) მიმართ კურსის დადგენასთან ერთად არსებობს ასევე

[159] Knapp. Statliche teorie des Geldes. München und Leipzig, 1913. S.22.

კანონი თავისუფალი მოჭრის შესახებ. თუკი ეს უკანასკნელი კანონი გაუქმდება, მაშინ აღმოჩნდება, რომ ფულადი ერთეული დიდი ხანია, რაც უკვე ნომინალური გახდა.[160]

ფულის ნომინალური ხასიათი იმაშიც გამოიხატება, რომ, გარდა „ნაღდი ფულისა“ (კნაპი ასე უწოდებს იმ ლითონისაგან დამზადებულ მონეტებს, რომლისთვისაც დადგენილი იყო თავისუფალი მოჭრა), არსებობს „ნოტალური“ ფულიც, რომელთა მიმართაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს თავისუფალი მოჭრის პრინციპი (არასრულფასოვანი ვერცხლი, სპილენძი, ქაღალდის ფული). ნოტალური ფული თანაბრად ბრუნვაუნარიანია ნაღდი ფულისა, მაგრამ მათ მიმართ დადგენილია „ლიტრიკული მმართველობის“ განსაკუთრებული ზომები“ (ლიტრიკულ მმართველობაში კნაპი მოიაზრებს სახელმწიფოს იმ საქმიანობის მრავალმხრივობას, რომელიც მიმართულია საგადამხდელო აპარატის მოსაწესრიგებლად). სახელმწიფო ზღუდავს მათ საგადამხდელო ძალას შედარებით უმნიშვნელო თანხის განსაზღვრით, ადგენს მათი გამოშვების კონტინგენტს, მოვალის მოთხოვნით ცვლის მათ „ნაღდ“ ფულზე (რისთვისაც ცენტრალურ ბანკში იქმნება განსაკუთრებული გადაცვლითი ფონდი), თვითონ ანგარიშსწორებას აწარმოებს „ნაღდი“ ფულის მეშვეობით. ეს უკანასკნელი ყველაზე არსებითია: ფულის ნიშნების იმ სახეს, რომლითაც სახელმწიფო აწარმოებს გადახდას სხვა რომელიმე ფულად ნიშნებზე გადაცვლის გარეშე, კნაპი უწოდებს ვალუტარულ ფულად ნიშნებს, რომელიც დამახასიათებელია ქვეყნის მთელი ფულადი სისტემისათვის. გერმანია ომამდე ცდილობდა, შეენარჩუნებინა „ნაღდი“ ფული „ვალუტარულ“ მდგომარეობაში, იმისათვის, რომ გაემყარებინა თავისი ფულადი ნიშნების პარიტეტი უცხოური ვალუტის მიმართ.

მაშასადამე, კნაპის თანახმად, ფულის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფოს საქმიანობა გამოიხატება იმაში, რომ სახელმწიფო განსაზღვრულ საგნებს აცხადებს გადახდის საშუალებად, ადგენს

[160] Knapp. Statliche teorie des Geldes. München und Leipzig. 1913. S. 24.

მათი საგადამხდელო ძალის ხარისხს, გამოხატავს რა მას „ნომინალური ხასიათის განსაზღვრულ დათვლად ერთეულებში“, ამ საგნებით ახორციელებს გადახდას თავისი კრედიტორების მიმართ და ღებულობს მათ თავისი მოვალეების ვალების დასაფარავად. ამის შედეგად ეს საგნები მიმოქცევის საშუალება ხდება.

კნაპის ფულის შესახებ სახელმწიფო თეორიას ჰყავს როგორც მიმდევრები, ისე მოწინააღმდეგეებიც. მოწინააღმდეგეთა ძირითადი შეხედულებები შეიძლება შემდეგნაირად იყოს ჩამოყალიბებული: ის საგნები, რომლებსაც სახელმწიფო აცხადებს გადახდის საშუალებად და რომლებითაც ის ფაქტობრივად აწარმოებს გადახდას, სამოქალაქო ბრუნვის მიერ შეიძლება მიღებულ იქნეს როგორც მიმოქცევის საშუალება, მაგრამ ეს გარდა თვითონ საგნის ხარისხისა, საბოლოო ჯამში, მაინც დამოკიდებულია იმ ფაქტობრივ ზეგავლენაზე, რომლითაც სახელმწიფო ხელისუფლება სარგებლობს სამოქალაქო ბრუნვაში. შესაბამისად, სახელმწიფოს მიერ მიმოქცევის საშუალების დადგენის საკითხი განიხილება ფაქტობრივ და არა სამართლებრივ ჭრილში. მართალია, კნაპი თავის წიგნს იწყებს სიტყვებით: „ფული ეს არის მართლწესრიგის მიერ შექმნილი“, მაგრამ მისი სახელმწიფო თეორია ფულის შესახებ, საბოლოო ჯამში, მაინც გამოდის სამართლის ფარგლებიდან: კნაპის მიხედვით არა კანონით, არამედ ადმინისტრაციული წესით განისაზღვრება ქვეყნის ფულადი მიმოქცევის ხასიათი. მაგრამ ეს მოქმედებები (მონეტების მოჭრა, ქაღალდის ფულადი ნიშნების დაბეჭდვა, მათი ბრუნვაში გაშვება) ქმნის კანონიერი გადახდის საშუალებას არა თავისთავად, არამედ მხოლოდ იმიტომ, რამეთუ კანონი ადგენს სახელმწიფოს მიერ გამოშვებული ფულადი ნიშნების ვალების გადასახდელად მიღების მოვალეობას. მეორე მხრივ, ეს მოქმედებები თავისთავად სამოქალაქო ბრუნვის დახმარების გარეშე ვერ ქმნის მიმოქცევის საშუალებას. ამგვარად, კნაპის მოძღვრება ვალუტარული ფულის შესახებ და მისი მოძღვრება სამართალზე, როგორც ფულის ძირითადი წყაროს შესახებ შეიძლება ითქვას, ერთმანეთს ეწინააღმდეგება.

ამის მიუხედავად, კნაპის სახელმწიფო თეორიას ფულის შესახ-

ებ მაინც დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რამეთუ მან მოახდინა ფულადი მიმოქცევის სფეროში სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ღონისძიებების სისტემური აღწერა და იურიდიულ-დოგმატიკური დამუშავება, ასევე შექმნა ამ ღონისძიებათა კლასიფიკაციისათვის შესაბამისი ცნებები და ტერმინოლოგია. თანამედროვე მეცნიერება და პრაქტიკა ამ მონაპოვარს გვერდს ვერ აუვლის.

კნაპის მოძღვრებამ ფულადი ერთეულის არსის შესახებ შემდგომში ხელი შეუწყო ფულის სამართლებრივი ბუნების უფრო ღრმად შესწავლას: განსაზღვრული ფულადი სისტემის ფარგლებში ფულის ერთეული განსაზღვრავს საგადამხდელო ძალას (Geltung) და არა ფულადი ნიშნების ღირებულებას. ამ თვისებით ის მოკლებულია არა მარტო ფიზიკურ, არამედ ღირებულებით თვისებებსაც და მისი განსაზღვრა ხდება მხოლოდ იურიდიულ-ისტორიულად, მის წინამორბედ ფულად ერთეულთან კავშირის დადგენის გზით.

კნაპის თეორიის მიმდევრებს შორის აღსანიშნავია ბენდიქსენი, რომელიც საერთოდ უარყოფს ფულის ღირებულების პრობლემის არსებობას და ფულის ეკონომიკურ ფუნქციას განიხილავს როგორც კანონით განსაზღვრულ საგადამხდელო ძალის შედეგს. მისი აზრით, ფული წარმოადგენს საქონლის გაცვლის საშუალებას და გაცვლის პროცესში ის არ იძენს სხვა რაიმე თვისებებს. ფულადი ნიშნები არ იცვლება საქონელზე როგორც რაიმე მის ერთგვაროვანზე, ფულადი ნიშნები ეს არის საქონლის მიღების შესახებ ორდერი (Anweisung). როგორც ასეთი, ისინი მოკლებულნი არიან ღირებულებით თვისებებს და მხოლოდ გამოხატავენ მატერიალური სიკეთეების ღირებულებას და რადგანაც ფული ეს არის საქონლის მისაღები დოკუმენტი, ამიტომაც არანაირი საჭიროება და საფუძველი არ არის მათი ძვირფასი ლითონებისაგან დამზადებისათვის. ხომ არც არავის მოუვა თავში, რომ თეატრის ბილეთები ძვირფასი ოქროსაგან დაამზადოს.

ბენდიქსენი თავის თეორიას თვლის კნაპის „სამართლებრივი“ მოძღვრების „ეკონომიკურ დამატებად“. კრედიტორმა მოვალისაგან ფულადი ნიშნების მიღებით, გადახდა მიიღო კერძო სამართლის

თვალსაზრისით, მაგრამ ეკონომიკური თვალსაზრისით მან მიიღო მხოლოდ დოკუმენტი, რომელიც მას შესაძლებლობას ანიჭებს მონაწილეობა მიიღოს მატერიალური დოვლათის დაგროვებაში.ფულის არსს შეადგენს მასში იმ უფლებების დაფიქსირება გარკვეული მომსახურების შესახებ, რომელიც მათმა მფლობელმა უკვე განახორციელა ვალდებული პირების მიმართ.

„ნომინალისტური“ თეორიის შესახებ მოძღვრებაზე საუბრისას, უნდა აღინიშნოს ასევე ა. ნუსბაუმის შეხედულებები. ნუსბაუმი იძლევა ფულის ისეთ კონსტრუქციას, რომლითაც იგი ფულს განიხილავს როგორც გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების ერთ-ერთ სახეს. სხვა შეცვლადი ნივთებისაგან განსხვავებით, მისი აზრით, ფულადი ნიშნები განსხვავდება ერთი თავისებურებით: მათი გადაცემის ან მიღების დროს მხედველობაში მიიღება მხოლოდ ფულადი ნიშნის ურთიერთკავშირი განსაზღვრულ იდეალურ ერთეულთან, რის შედეგადაც ფულადი ნიშნის მატერიალური და ღირებულებითი სუბსტრატი არ არის ფულის ცნების განმსაზღვრელი მომენტი. ლოგიკურად განსაზღვრული სახელწოდების მქონე იდეალური ერთეული წარმოადგენს პრიმატს ფულად ნიშანთან მიმართებაში, მაგრამ მისი განივთება ამ უკანასკნელში ხდება ისე, რომ თითოეული ფულადი ნიშანი გამოხატავს მასთან გარკვეულ რიცხობრივ კავშირს.

ნუსბაუმის თეორიას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება დღესდღეობითაც. იმ გარემოებას, რომ სამოქალაქო ბრუნვა ფულად ნიშნებს განასხვავებს არა მათი ფიზიკური თვისებების მიხედვით, არამედ მათი განსაზღვრული ფულადი ერთეულის მიმართ თანაფარდობის მიხედვით, დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს თანამედროვე ფულადი ანგარიშსწორების მთელი ტექნიკისათვის. თანამედროვე სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვა ვერანაირად ვერ შეეგუებოდა ისეთ ფულად ნიშნებს, რომლებსაც ექნებოდათ „ფიზიკური თვისებები“, ანუ ისეთ ფულად ნიშნებს, რომლებიც კი არ უნდა დათვლილიყო, არამედ აწონილიყო. ომის პერიოდში ფულადი მიმოქცევის გამოცდილებამ, ცხადყო, რომ ბრუნვიდან გამქრალი

მონეტები სამოქალაქო ბრუნვაში თავიდანვე განისაზღვრებოდა მათი ფიზიკური თვისებებით და, ამგვარად, ნუსბაუმის აზრით, ისინი კარგავდნენ იმ ძირითად თვისებას, რაც დამახასიათებელია ფულისათვის ზოგადად.

მაგრამ იბადება კითხვა, აღნიშნული თვისება მხოლოდ ფულადი ნიშნების თავისებურებას წარმოადგენს? ნუსბაუმი ამ კითხვას სვამს ფასიანი ქაღალდების მიმართ: საწარმდგენლო ფასიანი ქაღალდები და ობლიგაციები მიეკუთვნება შეცვლად ნივთებს, ასევე გამოხატულია ფულად ერთეულში, მაგრამ მათდამი დამოკიდებულება არ არის უშუალო, რამეთუ შესაბამისი დოკუმენტებით უშუალოდ დასტურდება მოთხოვნის უფლება და მხოლოდ ეს უფლება არის უშუალოდ გამოხატული ფულად ერთეულებში. ნუსბაუმის ამ მოსაზრებას არ ეთანხმება პროფესორი ლუნცი, რომელიც აღნიშნავს: ეს განსხვავება მეტად ხელოვნურია. განსაზღვრული აქციები, ობლიგაციები ერთმანეთისაგან განსხვავდება, ისევე როგორც ფულადი ნიშნები, განსაზღვრული ფულადი ერთეულისადმი რიცხობრივი და ციფრობრივი დამოკიდებულებით, რაც ანიჭებს როგორც აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს, ასევე ფულად ნიშნების დიდ ბრუნვაუნარიანობას, ზოგიერთი სახის ფასიანი ქაღალდი თავისი ბრუნვაუნარიანობის ხარისხით ახლოს არის ფულად ნიშნებთან, რის გამოც ორივე მათგანის მიმოქცევის ტექნიკური წესი ერთმანეთის მსგავსია. ეს მსგავსება ფულად ნიშნებსა და აღნიშნულ ფასიან ქაღალდებს აერთიანებს ნივთების განსაკუთრებულ ჯგუფად, რომლებიც სამოქალაქო ბრუნვის თვალსაზრისით, მოკლებულია რაიმე ფიზიკურ თვისებებს; ფულისათვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რომლებიც მას განასხვავებს სხვა ჩამოთვლილი ფასიანი ქაღალდებისაგან, ვლინდება მხოლოდ იმ ფუნქციის ანალიზის შედეგად, რომელსაც ფულადი ნიშნები ასრულებენ სამოქალაქო ბრუნვაში.[161]

ფულის შესახებ „ნომინალისტური“ თეორიის ზემოთ აღნიშ-

[161] Л. А. Лунц, Деньги и денежные обязательства в гражданском праве, М., 2004, ст. 44.

ნული დებულებებიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ისინი ერთმანეთისაგან ძირითადად განსხვავდება ფულის ღირებულების პრობლემისა და ფულის მიმოქცევის სფეროში სახელმწიფოს სამართლებრივი რეგულირების საჭიროების საკითხებისადმი დამოკიდებულებით. მათი საერთო დამახასიათებელი თავისებურებაა ფულადი ერთეულის არსისა და ფულადი ვალდებულებების შინაარსის ერთგვაროვანი გაგება.[162]

„ნომინალისტური" თეორიისაგან მკვეთრად განსხვავდება „მეტალისტური" თეორია (Metallwert). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნომინალისტებისათვის ფულად ერთეულს თავისთავად არანაირი ფასეულობა არ გააჩნია: ეს არის მხოლოდ აბსტრაქტული ფულადი ერთეული, რომელშიც გამოხატულია ყველა საქონლის ფასი და მათ შორის იმ კეთილშობილი ლითონის ფასიც, რომელიც საფუძვლად უდევს ფულად სისტემას. მეტალისტებისათვის კი, პირიქით, ოქრო ან ვერცხლი ფულადი ნიშნების ფასეულობის გაზომვის ერთადერთი საშუალებაა. ფულადი ერთეული კი წარმოადგენს ნივთს, რომელსაც გააჩნია, განსაზღვრული რაოდენობის ოქროთი ან ვერცხლით გამოხატული ღირებულება.[163]

„მეტალისტური" თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ბეკერი, რომელიც თვლიდა, რომ ფულადი ვალდებულების შინაარსს შეადგენს განსაზღვრული რაოდენობის კეთილშობილი ლითონი, სახელმწიფოს მიერ კანონიერი საგადამხდელო საშუალების ძალით აღჭურვილი მონეტების სახით. თუკი გარიგება დაიდო იმ დროს, როდესაც ფულადი სისტემა დაფუძნებული იყო ვერცხლზე, მაშინ ოქროს მიმოქცევაზე გადასვლის შემდეგ (რაც გამოწვეულია ბრუნვიდან ვერცხლის მონეტების ამოღებით), მკაცრად რომ ვთქვათ, დგება ვალდებულების შესრულების შეუძლებლობა. თუმცა ბეკერი აქ ითვალისწინებს თავისებურ კონვერსიას: ვალის საგანი, ნაცვლად ვერცხლის მონეტებისა, ხდება ამ მონეტების ოქროთი

---

[162] Л. А. Лунц, Деньги и денежные обязательства в гражданском праве, М., 2004, ст. 45.

[163] Ф. К. Савиньи, Обязательственное право, пер. с немецкого, СПб., 2004, ст. 304.

გამოხატული ღირებულება. ბეკერის თეორიას მისი ხელოვნურობისა და თანამედროვე ფულადი ანგარიშსწორებების პრინციპებთან წინააღმდეგობის გამო არ მოუხდენია რაიმე მნიშვნელოვანი ზეგავლენა იურიდიულ დოქტრინაზე თუ სასამართლო პრაქტიკაზე.

ფართო გავრცელება პოვა სავინის „კურსის" თეორიამ. ფულის ცნებას სავინი უკავშირებს ქონების, ანუ როგორც პირის ბატონობა გარე სამყაროს ნაწილებზე ცნებასთან: Pecuniam habenshabet omnem rem, guam vult habere – „ფულადი ნიშნები არის ფასეულობების გაზომვის საშუალება, მაგრამ ისინი თავისთავში არ მოიცავენ იმ ღირებულებას, რომელსაც ზომავენ". ფულის ეს თვისება დაფუძნებულია მის ღირებულების საყოველთაოდ აღიარების პრინციპზე. ფულის ნიშნები იქმნება მთავრობის გადაწყვეტილებით, საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, ანუ საზოგადოებრივი აზრი წყვეტს არა მარტო იმას, თუ რა არის ფული, არამედ იმასაც, ამა თუ იმ საგანს რა ხარისხით აქვს ფულად გადაქცევისათვის საჭირო თვისებები. კეთილშობილი ლითონები თავისი ბუნებრივი თვისებების გათვალისწინებით წარმოადგენენ ფულის მასალას. სახელმწიფო განსაზღვრავს მონეტების სინჯსა და წონას მოჭრის დროს, მაგრამ ამით არ იცვლება მათი თვისებები. მონეტა რჩება ლითონის ზოდად, რომელსაც არტყია სახელმწიფოს შტამპი: ein staatlich legaubigter Barren".[164] ქაღალდის ფულის ნიშნები კი გამოდის ნაღდი ფულის (მონეტების) წარმომადგენლად და შეადგენს სახელმწიფოს უპროცენტო სესხს.

ფულადი ვალდებულებების შინაარსის განსაზღვრისას სავინი ერთმანეთისაგან განასხვავებს: ა) მონეტის ნომინალურ ფასს, ანუ სახელმწიფოს მიერ მონეტისათვის მინიჭებულ ფასს; ბ) მონეტის მეტალურ ფასს, რომელიც განისაზღვრება მასში სუფთა ვერცხლის ან სუფთა ოქროს შემცველობით; გ) საკურსო ფასს, რომელიც რომელიმე სახის ფულად ნიშნებს ეძლევა მათ

[164] Ф. К. Савиньи, Обязательственное право, пер. с немецкого. СПб., 2004. ст. 307-310.

მიმართ საყოველთაო ნდობის შედეგად.[165]

კურსის ფასის შეუცვლელ საფუძვლად სავინი მიიჩნევს მონეტაში კეთილშობილი ლითონის შემცველობას, იმისდა მიხედვით, თუ რომელი ლითონი უდევს საფუძვლად ფულად სისტემას – ოქრო თუ ვერცხლი. რა შეადგენს ფულადი ვალდებულების ნამდვილ საგანს? ეს საკითხი, სავინის აზრით, არ შეიძლება გადაწყდეს იმ ვალდებულებების წესებით, რომელთა საგანსაც შეადგენს გვაროვნული ნივთები, არამედ უნდა გადაწყდეს მხოლოდ მხარეთა იმ ნების განმარტებით, რომელიც შეიძლება გამოვლენილ იქნეს ფულადი ვალდებულებიდან, რადგანაც საკურსო ფასში გამოიხატება (ფულის კურსი) საზოგადოებრივი აზრის დამოკიდებულება ფულის მიმართ, ამიტომაც იგი უნდა იქნეს ფულადი ვალდებულების საგნის განმსაზღვრელიც: მოვალემ უნდა დაუბრუნოს კრედიტორს მისგან მიღებული ეკონომიკური ძალაუფლება.[166]

სავინისათვის, განსხვავებით ბეკერისგან, ლითონი წარმოადგენს არა ვალდებულების შინაარსის, არამედ ფულის მსყიდველუნარიანობის განსაზღვრის საზომს, რომელიც ვალდებულების შინაარსია. სავინისათვის ფულადი ვალდებულება – geldschuld არის განსაზღვრული ღირებულების მქონე ვალდებულება – რომელიც გამოხატულია განსაზღვრული რაოდენობის ფულად ერთეულში. მაშასადამე, სახელმწიფო ფულად მიმოქცევასთან დაკავშირებით განსაზღვრავს, თუ რომელი ფულადი ნიშნებით შეუძლია შეასრულოს მოვალემ კრედიტორის წინაშე ვალდებულება, ხოლო ამ ფულადი ნიშნების რაოდენობა კი განისაზღვრება თითოეულ ცალკეულ შემთხვევაში მათი მსყიდველუნარიანობის მიხედვით. ფულადი სისტემა აგებულია ნომინალისტიკურ პრინციპზე. ფულის ღირებულების მკვეთრი ცვალებადობის პირობებში ხდება ფულადი ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი გაუქმება. კანონი და სასამართლოები იღებენ

---

[165] Ф. К. Савиньи. Обязательственное право. пер. с немецкого, СПб., 2004. ст. 311-315.

[166] იქვე. ст. 316-328.

ზომებს მათ შესაფასებლად. მაგრამ ეს ვალორიზაცია არ არის დაფუძნებული ფულის კურსის თეორიაზე.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია, თუ რა ჩაითვლება ფულის ნიშნად. როგორც ცნობილია, ყველა ქვეყნის საჯარო სამართლის ერთ-ერთი ძირითად საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფოს სუვერენიტეტი ფულის მიმოქცევის სფეროში. სახელმწიფოს ყოველთვის გააჩნია ფულის მოჭრისა და ბრუნვაში გაშვების ექსკლუზიური უფლებამოსილება. მთავრობა განსაზღვრავს მის მიერ გამოშვებული ფულის ნიშნების გადახდისუნარიანობას განსაზღვრულ ფულად სისტემაში გაერთიანებით და ღებულობს მთელ რიგ ადმინისტრაციულ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ფულის მსყიდველუნარიანობის გარკვეულ დონეზე შესანარჩუნებლად. სახელმწიფოს მიერ გამოშვებულ ლითონის მონეტებსა და ქაღალდის კუპიურებს, რომლებსაც გააჩნიათ საყოველთაო საგადამხდელო მნიშვნელობა, „სახელმწიფო ფული“ ეწოდებათ. მათ მიეკუთვნება ასევე ის ფულადი ნიშნები, რომლებსაც უშვებენ საემისიო ბანკები სახელმწიფოს სპეციალური კონცესიის ძალით, ანუ საბანკო ბილეთები ანდა ბანკნოტები. მათ რიცხვს არ მიეკუთვნება უცხოური ვალუტა და სხვადასხვა სახის ფასიანი ქაღალდი(ჩეკები, თამასუქები, სასაქონლო ორდერები). თუკი უცხოური ვალუტის გამოყენებას ფართო ხასიათი აქვს, მაშინ შესაბამისი უცხოური ვალუტა ითვლება ფულის ნიშნად (მაგრამ არა „სახელმწიფო“ ფულად ნიშნად).

სახელმწიფო ფულის ძირითად სახეს წარმოადგენს ის ფულადი ნიშნები, რომლებსაც კანონით მინიჭებული აქვს საგადამხდელო ძალა. კანონიერი საგადამხდელო საშუალება ცვლის ვალდებულების ნებისმიერ საგანს იმ შემთხვევაშიც კი, როცა ვალდებულების ნატურით შესრულება შეუძლებელია და არ ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორისათვის შესაბამისი ფულადი კომპენსაციის გადახდის მოვალეობისაგან. კანონიერი საგადამხდელო საშუალება წარმოადგენს ნებისმიერი სახის ფულადი ვალდებულების საგანს, თუკი მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული სხვა რამ არ არის.

კანონიერი საგადამხდელო საშუალების თვისებას ფულადი

ნიშანი ღებულობს კანონის ძალით: მხოლოდ ის ფაქტი, რომ სახელმწიფო ბრუნვაში უშვებს განსაზღვრულ ფულად ნიშნებს, არ წარმოშობს კანონიერი გადახდის საშუალებას. ფულადი ნიშნის საგადამხდელო ძალას (გადახდისუნარიანობას) სახელმწიფო, როგორც წესი, ადგენს ნომინალის მიხედვით, ანუ განსაზღვრული რაოდენობის ფულადი ერთეულით. ამასთან, სახელმწიფოს უფლება აქვს ფულის ნიშნის მსყიდველუნარიანობა დაადგინოს სხვა რომელიმე სახის ფულის კურსთან შესაბამისობის მიხედვით.

ფულადი ნიშნებისათვის მინიჭებული ლეგალური საგადამხდელო საშუალების სტატუსის სამართლებრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის მიერ კანონიერი საგადამხდელო საშუალების, რომელიც წარმოადგენს ვალდებულების შესრულების საგანს, მიღებაზე უარის თქმა, იწვევს იმ სამართლებრივ შედეგებს, რაც დაკავშირებულია კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებასთან (mora creditoris). ამით, თანამედროვე სამართლის მიხედვით, ამოიწურება კანონიერი საგადამხდელო საშუალების სამართლებრივი მნიშვნელობა. ასეთი სახის ფულის ნიშნების მიუღებლობა არ ითვლება სისხლისსამართლებრივ დანაშაულად და არ წარმოადგენს მოვალის ვალდებულების შეუსრულებლობისათვის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს. მოვალეს ყოველთვის შეუძლია შეიტანოს ფულადი თანხა ნოტარიუსთან დეპოზიტზე კრედიტორის სახელზე.

რომელიმე ფულადი ნიშნისათვის (ვერცხლი, ოქრო, სპილენძი, ქაღალდის კუპიურები) კანონიერი საგადამხდელო ძალის მინიჭება, მოვალეს შესაძლებლობას აძლევს ამოირჩიოს ნებისმიერი მათგანი ვალდებულების შესასრულებლად. თუმცა კი, ასეთი ამორჩევა სულაც არ ნიშნავს იმას, რომ სახეზეა პასიური — ალტერნატიული ვალდებულება, რამეთუ ფულადი ვალდებულებების შესრულებისას ფულადი ნიშნები, რომლებსაც ნომინალის მიხედვით გააჩნიათ კანონიერი საგადამხდელო საშუალების ძალა, თავისი სხვადასხვა ფიზიკური თვისების მიუხედავად, სამართლებრივი თვალსაზრისით

ერთმანეთისაგან არ განსხვავდება – წარმოადგენს ერთსა და იმავე სახის საგნებს.

ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება ადგილი ჰქონდეს ფულადი ნიშნების გადაცვლას. განსხვავებული სამართლებრივი მნიშვნელობა გააჩნია ბანკნოტების გადაცვლას. ბანკნოტი (საბანკო ბილეთი) არის ბანკის მიერ გამოშვებული საწარმდგენლო ფულადი ფასიანი ქაღალდი, ანუ დოკუმენტი, რომლის წარდგენისას ბანკი ვალდებულია გადაუხადოს მის წარმომდგენს განსაზღვრული სახის (მაგალითად, ოქროს მონეტები) ფულადი ნიშნების ოდენობა. კანონით გათვალისწინებული პირობების არსებობისას შესაძლებელია ასეთი ფასიანი ქაღალდის სხვა პირისათვის გადაცემაც იმისათვის, რომ ბანკის მიმართ მოთხოვნა როდესმე მაინც იქნეს წაყენებული. ასეთ შემთხვევაში ეს დოკუმენტი თვითონ ხდება უკვე ფულადი ნიშანი და ცვლის იმ საგანს, რომლის მისაღებადაც არის იგი მიმართული. ასეთი ფუნქციონალური შეცვლის შესაძლებლობა აიხსნება ფულის ეკონომიკური თვისებებით, რამეთუ ფული იძლევა მატერიალური სიკეთეების მიღების შესაძლებლობას. ამიტომაც ფულის მოთხოვნის დოკუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ მათდამი წაყენებულ მოთხოვნებს, შეიძლება თვითონვე გადაიქცნენ ფულად ნიშნებად. ამგვარად ბანკნოტი ერთდროულად არის როგორც ფულადი ფასიანი ქაღალდი, ასევე ქაღალდის ფულადი ნიშანი (კუპიურა). მაგრამ ფასიანი ქაღალდის თვისება უკანა პლანზე იწევს; აქ მაინც მთავარი მნიშვნელობა ენიჭება მიმოქცევის საშუალების ფუნქციას. ეკონომიკური თვალსაზრისით, ბანკნოტის მიღება არ წარმოშობს ბანკსა და მიმღებს შორის საკრედიტო ურთიერთობას, რამეთუ ეს უკანასკნელი, წარდგენილი ბანკნოტის სანაცვლოდ, ღებულობს ნაღდ ფულს, რაც მას შესაძლებლობას აძლევს დაფაროს თავისი ვალები ფულის გადახდის გზით.

ბანკნოტების გადაცვლა სხვა სახის ფულად ნიშნებზე, შეიძლება შეჩერებულ იქნეს სახელმწიფოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მისთვის კანონით მინიჭებული ფულის მიმოქცევის მოწესრიგების უფლების შესაბამისად. ასეთი გადაცვლის

შეჩერება ხშირად ღებულობს უვადო მორატორიუმის ფორმას და ყოველთვის ხასიათდება ბანკნოტისათვის კანონიერ საგადამხდელო ძალის მინიჭებით. აღნიშნული ორი მომენტის შერწყმას (გადაცვლის შეჩერება და კანონიერი საგადამხდელო ძალას) ქაღალდის ფულის იძულებითი კურსი ეწოდება.

აღნიშნული შემთხვევისაგან განსხვავდება სახელმწიფოს მიერ ბრუნვიდან ამოღებული ფულადი ნიშნების გადაცვლა ახალ ფულად ნიშნებზე. გადაცვლას, როგორც წესი, წინ უსწრებს შესაბამისი ნიშნებისათვის კანონის მიერ საგადამხდელო ფუნქციის გაუქმება. ამის შემდეგ გაუქმებული ფულადი ნიშნების მფლობელები უფლებამოსილნი არიან დათქმულ ვადაში ჩააბარონ ეს ფული სახელმწიფოს, ახალი ფულადი ნიშნების მისაღებად სახელმწიფოს მიერ დადგენილ ვადაში, რომლის გასვლის შემდეგაც ფული კარგავს საკასო კურსსაც და სამართლებრივი თვალსაზრისით, აღარ განიხილება როგორც ფული (დემონეტიზაცია). გადაცვლა ყოველთვის ხდება ნომინალის მიხედვით. სახელმწიფო, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის პასუხისმგებელი ფულადი ნიშნების გაუფასურებისათვის.[167]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 383-ე მუხლის თანახმად, ფულადი ვალდებულება გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში, მხარეებს შეუძლიათ ფულადი ვალდებულება დაადგინონ უცხოურ ვალუტაშიც, თუ კანონით ეს აკრძალული არ არის.

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხა. ფულად ვალდებულებებს არ მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომელთა საგანსაც წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ფულადი კუპიურა. ასეთ შემთხვევაში ფულადი კუპიურა გამოდის როგორც „საქონელი“. ფულად ვალდებულებებს არ მიეკუთვნება ასევე ვალუტების გადაცვლითი ურთიერთობები. ფულადი ვალდებულების ძირითად სახეს წარმოადგენს ვალი (განსაზღვრული ოდენობის ფულის

---

[167] Ф. К. Савиньи. Обязательственное право. пер. с немецкого. СПб., 2004. ст. 335.

ნიშნები). ფულის გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას კანონიდან ან ხელშეკრულებიდან (მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 408-ე მუხლი დაზარალებულს უფლებას აძლევს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება – მკურნალობის ხარჯები, ყოველთვიური სარჩო; ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებულია გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი. ფულად ვალდებულებას შეიძლება ჰქონდეს ძირითადი (მაგალითად, სესხის გადახდის მოვალეობა) ან დამატებითი ხასიათი (მაგალითად, ვალდებულების ნატურით შესრულების შეუძლებლობისას ფულადი კომპენსაცია). ფულადი ვალდებულებების ეს მეორე სახე გამომდინარეობს იქიდან, რომ ფული წარმოადგენს ყოველგვარი ფასეულობის განსაზღვრის საყოველთაო საშუალებას. აქედან გამომდინარეობს ნებისმიერი საგნის ფულადი კომპენსაციით შეცვლის ეკონომიკური შესაძლებლობა. ფულადი ვალდებულება, როგორც წესი, გამოიხატება ეროვნულ ვალუტაში. ვალუტა არის ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეული, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას. საქართველოში, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა ლარი. უცხოური ვალუტა საზღვარგარეთის ქვეყნების ფულადი ნიშნებია (მაგალითად, ევრო, აშშ-ის დოლარი, ინგლისური ფუნტი სტერლინგი და ა.შ.). უცხოური ვალუტა საქართველოში არ წარმოადგენს პირდაპირ საგადამხდელო საშუალებას. მაშასადამე, საქართველოში უცხო ქვეყნის ფულადი ნიშნები არ ასრულებს გადახდის საყოველთაო საშუალების ფუნქციას და ჩვენი კანონმდებლობით არ გააჩნია საგადმხდელო ძალა. უცხოურ ვალუტად ითვლება ზოგადად ისეთი ვალუტა, რომელიც არ არის მოცემული ქვეყნის ფულის მიმოქცევაში. აქედან გამომდინარე, საქართველოს სამოქალაქო სამართლის ის ნორმები, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის შიდა ფულის მიმოქცევასთან, არ გამოიყენება უცხოური ვალუტის მიმართ. მეორე მხრივ, ყოველგვარი უცხოური ვალუტა პოტენციურად ასრულებს საგადამხდელო ფუნქციას ე.წ. საერთა-

შორისო ანგარიშსწორებებში, ანუ სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ პირთა შორის ანგარიშსწორების სფეროში. უცხოური ვალუტის ეს პოტენციური შესაძლებლობა გამომდინარეობს იქიდან, რომ საგარეო ვაჭრობის ანდა საზღვარგარეთული საკრედიტო ოპერაციებიდან წარმოშობილი ფულადი ვალდებულება ყოველთვის გამოიხატება იმ ვალუტაში, რომელიც გარიგების სულ ცოტა ერთი მხარისათვის მაინც იქნება უცხოური ვალუტა. აქედან გამომდინარე, ყველა ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა აღიარებს, რომ საქონლის ფასის გამოხატვა უცხოურ ვალუტაში ნასყიდობის ხელშეკრულებას არ გადააქცევს ფულად ვალდებულებად. აქედან გამომდინარეობს ასევე, რომ თამასუქი და ჩეკი შეიძლება გამოხატულ იქნეს უცხოური ვალუტით, მაგრამ ამით იგი არ კარგავს თამასუქის ან ჩეკის თვისებებს. საერთო წესის მიხედვით, უცხოურ ვალუტაში დადგენილი ფულადი ვალდებულების მიმართ (თუკი კანონით დაშვებულია) გამოიყენება ნორმები პროცენტის ან ნორმები ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილის შესახებ და მრავალი სხვა ნორმა, რომელიც ფულად ვალდებულებებს ეხება.

უცხოურ ვალუტაში დადგენილი ფულადი ვალდებულებებისაგან უნდა განვასხვაოთ უცხოური ვალუტის ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომლებშიც ვალუტა ასრულებს არა ფულის ფუნქციას, არამედ გამოდის როგოც „საქონელი“. ასეთ გარიგებებს ეწოდებათ სავალუტო გარიგებები. ისინი მიმართულია არა უცხოური ფულადი ნიშნებით გადახდისაკენ, არამედ ამ ფულადი ნიშნების მიწოდებისაკენ. სავალუტო გარიგებების მიმართ გამოიყენება არა ფულადი ვალდებულებების მიმართ დადგენილი სპეციალური სამართლებრივი ნორმები, არამედ გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების ნასყიდობის მომწესრიგებელი ნორმები. ამიტომაც ასეთი გარიგებების მიმართ შესრულების შეუძლებლობის საკითხი რეგულირდება იმ ნორმებით, რომლებიც გამოიყენება ისეთი გარიგებების მიმართ, რომელთა საგანიც გვაროვნული ნივთებია. მოვალის მიერ ვადის გადაცილება იწვევს არა პროცენტების დარიცხვას, როგორც ამას ადგილი აქვს ფულად ვალდებულებებში, არამედ წარმოშობს ზიანის

ანაზღაურების უფლებას: კრედიტორს მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაში შეუძლია უცხოური ფულადი ნიშნების შეძენის შესახებ გარიგება დადოს მესამე პირთან და ვადის გადამცილებელი მოვალისაგან მოითხოვოს კურსებს შორის (ანუ ხელშეკრულებით თავდაპირველად დადგენილ კურსსა და მესამე პირისაგან უცხოური ვალუტის შეძენისას კურსებს შორის) სხვაობის ანაზღაურება. უფრო მეტიც, საერთო სამართლის სისტემის ქვეყნებში კრედიტორი არათუ უფლებამოსილი, არამედ ვალდებულიცაა ასეთ შემთხვევაში მესამე პირთან დადოს გარიგება: აქ მოქმედებს საერთო წესი იმის შესახებ, რომ ხელშეკრულების მხარემ უნდა მიიღოს გონივრული ზომები იმ დანაკარგების შესამცირებლად, რაც გამოწვეულია ხელშეკრულების მეორე მხარის მიერ თავისი ვალდებულების დარღვევით.

მაშასადამე, საქართველოში უცხოური ვალუტა, ანუ სხვა ქვეყნის ფულადი ნიშნები, არ წარმოადგენენ გადახდის საშუალებას, თუმცა ხელშეკრულების მხარეებს ფულადი ვალდებულება შეუძლიათ განსაზღვრონ უცხოურ ვალუტაში, მაგრამ გადახდა აუცილებლად უნდა მოხდეს ქართულ ეროვნულ ვალუტაში – ლარში, გადახდის დღისათვის ლარსა და შესაბამისი უცხოური ვალუტის კურსის შესაბამისად.

ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ვალის ვალუტა და გადახდის ვალუტა. ვალის ვალუტა ის ფულადი ერთეულია, რომელშიც გამოიხატება ფულადი ვალდებულების თანხა. გადახდის ვალუტა ის ფულადი ნიშნებია, რომელიც წარმოადგენს ფულადი ვალდებულების შესრულების საშუალებას. ეს განსხვავება ძირითადად გამოიყენება უცხოურ ვალუტაში დადგენილი ფულადი ვალდებულებების მიმართ. მაშასადამე, იმის გამო, რომ კანონით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ერთადერთ საგადმხდელო საშუალებად აღიარებულია ეროვნული ვალუტა – ლარი, შესაბამისად, გადახდის ვალუტაც ყოველთვის ლარია, ხოლო ვალის ვალუტა კი შეიძლება იყოს როგორც ლარი, ისე ნებისმიერი უცხო ქვეყნის ფულადი ნიშნები.

ფულადი ვალდებულება შეიძლება იყოს როგორც უპროცენტო, ისე პროცენტიანი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იძლევა პროცენტის რაიმე განმარტებას. პრაქტიკაში მიღებული განმარტებით პროცენტი ესაა პერიოდული საზღაური კაპიტალის სარგებლობისათვის, რომლის სიდიდეც განისაზღვრება ამ კაპიტალში არსებული წილით. პროცენტისგან განსხვავდება დივიდენდი. დივიდენდი არის მოგებიდან მიღებული წილი (მაგალითად, სააქციო საზოგადოებაში აქციონერს შეუძლია მიიღოს დივიდენდი თავისი წილი აქციების შესაბამისად). დივიდენდი შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ მაშინ, თუკი სახეზე იქნება რეალური მოგება. პროცენტის გადახდა კი არ არის დამოკიდებული მოგებაზე. საამისოდ საკმარისია კაპიტალით სარგებლობა. პროცენტი არის საზღაური კაპიტალით სარგებლობისათვის, იმის მიუხედავად, თუ როგორი იქნება ამ სარგებლობის შედეგები. საპროცენტო ვალდებულება ყოველთვის დამატებითი ვალდებულებაა. თუ ძირითადი ვალდებულება არ წარმოშობილა ანდა ბათილად იქნა ცნობილი, არც საპროცენტო ვალდებულება წარმოიშობა. მთავარი ვალდებულების გაქარწყლება იწვევს პროცენტის გადახდის ვალდებულების შეწყვეტას.[168]

იმ შემთხვევაში, თუკი გადახდა ხდება ვალდებულების გარეშე, ანუ მხარეთა შორის საერთოდ არ არსებობს ვალდებულებითი ურთიერთობა, ანდა შეიძლება არსებობდეს კიდევაც, მაგრამ შემძენის სასარგებლოდ გადახდილი სცილდებოდეს მოცემული ვალდებულების ფარგლებს, ასეთ შემთხვევაში დასაშვებია გადახდილის უკან გამოთხოვა უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ წესების შესაბამისად.

ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილთან მიმართებით გარკვეული თავისებურებები შეინიშნება. ასე, მაგალითად, თუკი არაფულადი ვალდებულების შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულებითი ურთიერთობის არსიდან გამომდინარეობს, მაშინ საგნის მიწოდება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: ინდივიდუალურად განსაზღვრული საგნის შემთხვევაში იმ

---

[168] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 333.

ადგილას, სადაც იგი ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა; გვარეობით განსაზღვრული საგნის შემთხვევაში — იმ ადგილას, სადაც იმყოფება მოვალის საწარმო, თუ ასეთი არ არის, მაშინ მისი საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

სხვაგვარად წყდება საკითხი ფულადი ვალდებულების შესრულების ადგილთან დაკავშირებით. კერძოდ, შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის) მიხედვით. შესრულების ადგილის საეჭვოობაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც შესრულების ადგილი არც კანონით და არც ხელშეკრულებითაა განსაზღვრული და არც გარემოებებიდან გამომდინარეობს.

კანონმდებლობა მოვალეს ანიჭებს დამატებით შესაძლებლობას, რომ ფულადი ვალდებულება შეასრულოს არა კრედიტორის საცხოვრებელი ადგილის ან იურიდიული მისამართის მიხედვით, არამედ თუ კრედიტორს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა კრედიტორი ამის წინააღმდეგია. მაგალითად, მოქალაქე ივანიძესა და მოქალაქე ნემსაძეს შორის დაიდო ფორთოხლის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ივანიძეს ნემსაძისათვის უნდა გადაეცა 10 ტონა ფორთოხალი, ხოლო ნემსაძეს კი უნდა გადაეხადა მისთვის 2000 ლარი. ნემსაძე ცხოვრობს თბილისში, ივანიძე — ქუთაისში. ხელშეკრულებით ფორთოხლის გადაცემა უნდა მომხდარიყო ოზურგეთში. ნემსაძემ შეიტყო, რომ ივანიძეს ოზურგეთში N ბანკში ჰქონდა ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული ანგარიში. ნემსაძეს შეუძლია ბანკში ივანიძის ანგარიშზე ჩარიცხოს 2000 ლარი და შეასრულოს ფულადი ვალდებულება, თუკი ივანიძე ამის შესახებ თანხმობას განაცხადებს.

პრაქტიკაში არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევებიც,

როდესაც მოვალეს ერთი და იმავე კრედიტორის მიმართ სხვადასხვა ვალდებულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე ვალდებულების შესრულება ეკისრება. შესრულების ერთგვაროვნება გულისხმობს შესრულების საგნის ერთგვაროვნებას (მაგალითად, „A“-ს „B“-სთვის გადასახდელი აქვს 200 ლარი ბინის ქირა, 300 ლარი – სესხი, 400 ლარი – ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაყიდი ნივთის საფასური). ამ ვალდებულებების სპეციფიკურობა იმაში მდგომარეობს, რომ მოვალის მიერ განხორციელებული შესრულება არ არის საკმარისი ყველა ვალდებულების დასაფარავად (მაგალითად, „A“-მ „B“-ს გადაუხადა 400 ლარი), ასეთ შემთხვევაში, თუ რომელი ვალდებულება ჩაითვალოს შესრულებულად, უნდა გადაწყდეს მოვალის შეხედულებისამებრ. ასეთი მიდგომა ემყარება იმ გარემოებას, რომ მოვალემ უკეთ იცის, რომელი ვალია მისთვის ყველაზე მძიმე, ანუ საეჭვო გარემოებებისას უპირატესობა ენიჭება სამართლებრივი ტვირთის მატარებელ მხარეს. მაშასადამე, იმ შემთხვევაში, თუკი მოვალის მხრიდან განხორციელებული შესრულება მთლიანად ვერ ფარავს ყველა ვალდებულებას, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე ამოარჩევს. თუ მოვალე არ გამოიყენებს კანონით მინიჭებულ ამორჩევის შესაძლებლობას, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომლის შესრულების ვადაც უფრო ადრე დადგა (ჩვენს შემთხვევაში, ვთქვათ, ჯერ დგება ბინის ქირის გადახდის ვადა). არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევაც, როცა ყველა შესრულების ვადა ერთდროულად დგება (ჩვენ მაგალითში, ბინის ქირაც, სესხიცა და ნასყიდობის საზღაურიც ერთად უნდა იქნეს გადახდილი). ასეთ შემთხვევებში დაიფარება ის ვალდებულება, რომელიც მოვალისათვის შესასრულებლად უფრო მძიმეა (მაგალითად, „A“-ს მიერ „B“-სთვის გადახდილი 400 ლარით შეწყდება ნასყიდობიდან გამომდინარე საზღაურის გადახდის ვალდებულება). პრაქტიკულად არ არის გამორიცხული ისეთი შემთხვევის არსებობაც, როდესაც ყველა მოთხოვნა თანაბრად მძიმეა. ასეთ შემთხვევაში მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა, უპირველეს

ყოლისა, იცავს არა მოვალის, არამედ კრედიტორის ინტერესებს, რაც იმაში გამოიხატება, რომ, პირველ რიგში, უნდა შესრულდეს ის ვალდებულება, რომელიც ყველაზე ნაკლებად არის უზრუნველყოფილი (მაგალითად, „A“-მ „B“-ს უნდა გადაუხადოს სესხი 300 ლარის ოდენობით, რომელიც უზრუნველყოფილია გირაოთი და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნაყიდი ნივთის საზღაური 300 ლარის ოდენობით, რომელიც არ არის უზრუნველყოფილი. ასეთ შემთხვევაში „A“-მ, პირველ რიგში, უნდა შეასრულოს ნასყიდობიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულება, რამეთუ კრედიტორის ინტერესები სესხთან მიმართებაში დაცულია გირაოთი, როგორც უზრუნველყოფის საშუალებით).

იმ შემთხვევაში, თუ მოვალემ ვერ შეასრულა მთლიანად ყველა ვადამოსული ფულადი ვალდებულება და კრედიტორმა მიმართა სასამართლოს, რათა მოვალისათვის დაეკისრებინა ვალდებულების იძულებითი შესრულება, ამ დროს, პირველ რიგში, დაიფარება სასამართლო ხარჯები, შემდგომში ძირითადი ვალი, დაბოლოს, ვალზე დარიცხული პროცენტები (მაგალითად, „A“-ს „B“-სთვის უნდა გადაეხადა სასამართლო გადაწყვეტილებით 5000 ლარი ძირითადი ვალი და 500 ლარი პროცენტი. სასამართლოში საქმისწარმოებისას „A“-ს დაეკისრა 500 ლარის ხარჯების გადახდა; გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის „A“-ს აღმოაჩნდა მხოლოდ 3000 ლარი. ასეთ შემთხვევაში 500 ლარი გადახდევინებულ იქნება სასამართლო ხარჯებისათვის, ხოლო დანარჩენ 2500 ლარს კი მიიღებს „B“ კრედიტორი. იბადება კითხვა, რა ბედი ეწევა დანარჩენ ვალს – 2500 ძირითადი ვალი და 500 ლარი პროცენტი, როდესაც მოვალე „A“-ს არანაირი სხვა ქონება არ გააჩნია გადაწყვეტილების აღსრულების მომენტისათვის. ასეთი შემთხვევების მიმართ გამოიყენება სამოქალაქო კოდექსის 142-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დებულება, რომლის თანახმადაც, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადასტურებული მოთხოვნის ხანდაზმულობის ვადაა 10 წელი, მაშინაც კი, როცა ეს მოთხოვნა უფრო ნაკლებ ხანდაზმულობას ექვემდებარება.

პრაქტიკულად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფულადი ვალდებულებების შესრულებასთან მიმართებით ისეთ საკითხს, როგორიცაა ფულადი ვალდებულებების წარმოშობის მომენტიდან მისი შესრულების მომენტამდე ფულის კურსის (მსყიდველუნარიანობის) შეცვლა, ანუ ფულის მსყიდველუნარიანობაში მომხდარი ცვლილება იწვევს თუ არა პარალელურად გადასახდელი ფულადი ნიშნების რაოდენობაში ცვლილებას? (მაგალითად, „A“-მ 3 წლის ვადით „B“-ს ასესხა 1000 ლარი. ხელშეკრულების დადების მომენტში 1000 ლარად შეიძლებოდა 1000 კილოგრამი შაქრის შეძენა, ხოლო სესხის დაბრუნების მომენტისათვის, ანუ სამი წლის შემდეგ კი შეიძლება მხოლოდ 500 კილოგრამი შაქრის შეძენა. „B“-მ რა ოდენობის თანხა უნდა დაუბრუნდეს უკან „A“-ს, 1000 ლარი თუ 2000 ლარი). მოვალე ვალდებულია ვალი დააბრუნოს ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს (ანუ ჩვენს მაგალითში, „B“-მ უნდა დაუბრუნოს „A“-ს 1000 ლარი და არა 2000 ლარი). ფულადი ვალდებულების ამ პრინციპს ნომინალიზმის პრინციპი ეწოდება და იგი აღიარებულია ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკით. „ნომინალი“ გულისხმობს ფულზე აღნიშნული ფულადი ერთეულის რაოდენობას (10 ლარი, 50 ლარი და ა.შ.). ამდენად, ვალიც ამ ერთეულით უნდა დაბრუნდეს. მაშასადამე, ვალდებულების საგანია ფულადი ერთეულის ესა თუ ის რაოდენობა და არა ამ ერთეულთა მსყიდველობითუნარიანობა.

ნომინალიზმის პრინციპი შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ სხვადასხვა დათქმებით თავი დაიზღვიონ უარყოფითი შედეგებისაგან, თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით, სავარაუდო პირობა იქნება და, შესაბამისად, მხარეებიც თავიანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკსაც: ვალის გადახდის მომენტში, თუკი გაზრდილია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, ეს კრედიტორის

სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს არავითარი უფლება არა აქვს ვალის დაბრუნებისას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს ამ გარემოებას (მაგალითად, ჩვენ მიერ განხილულ შემთხვევაში, თუკი 3 წლის შემდეგ 1000 ლარად მოდის არა 1000 კილოგრამი, არამედ 1500 კილოგრამი შაქარი, „B" ვალდებულია, „A"-ს დაუბრუნოს უკან 1000 ლარი და არა 650 ლარი). თუ ვალის გადახდის მომენტში შემცირებულია ფულის მსყიდველობითუნარიანობა, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად ხდება კრედიტორი და მასაც არა აქვს უფლება ეს გარემოება გამოიყენოს მოვალის საწინააღმდეგოდ[169] (ჩვენს მაგალითში, თუკი 3 წლის შემდეგ 1000 კილოგრამ შაქრის შესაძენად საჭიროა არა 1000 ლარი, არამედ 2000 ლარი, მოვალე B-მ A-ს უნდა დაუბრუნოს 1000 ლარი და არა 2000 ლარი).

ფულის მსყიდველობითუნარიანობის შეცვლისაგან განსხვავდება ისეთი შემთხვევები, როდესაც ხდება ვალუტის შეცვლა, ანუ ძველი ფულადი ერთეული იცვლება ახალი ფულადი ერთეულით (მაგალითად, კუპონი შეიცვალა ლარით). ამ შემთხვევაში დღის წესრიგში დგება, თუ რა კურსით არის ვალდებული გადაიხადოს მოვალემ ვალი. ფულის ნიშნების შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის (მაგალითად, „A"-ს B-სთვის უნდა გადაეხადა ათი მილიონი კუპონი. ვალდებულების შესრულებამდე ერთი წლით ადრე კუპონი შეიცვალა ლარით. კუპონის ლარით შეცვლის დროს მოქმედებდა, ვთქვათ, შემდეგი კურსი: ასი ათასი კუპონი უდრის 10 ლარს. ასეთ შემთხვევაში „A"-მ „B"-ს უნდა გადაუხადოს 1000 ლარი – ერთი მილიონი კუპონი უდრის 100 ლარს).

რაც შეეხება უცხოური ვალუტის მიმართ ლარის გადაცვლით კურსს, იგი განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ.

---

[169] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 349.

თუკი ეროვნული ბანკი არ გამოიყენებს ამ უფლებამოსილებას, მაშინ კურსი განისაზღვრება ბაზარზე თავისუფალი მოთხოვნისა და მიწოდების საფუძველზე.[170]

ფულადი ვალდებულებები განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაში

ფულადია ისეთი ვალდებულება, რომლის ობიექტია მოვალის მიერ კრედიტორის სასარგებლოდ განსაზღვრული რაოდენობის ფულადი თანხის გადახდა. ასე გაიგება ფულადი ვალდებულება განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში, სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში.

ფული — ეს არის სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სპეციფიკური ობიექტი. ფული ხელს უწყობს საქონლის გაცვლას. ფულადი ნიშნები უნდა იყოს მაქსიმალურად ბრუნვაუნარიანი, ხოლო ის ფულადი ნიშნები, რომელთაც დაკარგული აქვთ ეს თვისება, წარმოადგენს მხოლოდ კოლექციონერების ინტერესის სფეროს. ვალდებულების საგნის სწორედ ეს სპეციფიკურობა განაპირობებს იმას, რომ ფულადი ვალდებულებები ყველა განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობაში, დოქტრინასა თუ სასამართლო პრაქტიკაში გამყოფილია ცალკე და რეგულირდება სპეციალური ნორმებით, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ ასეთი სახის ვალდებულებების მიმართ. გარდა ამისა, ფულადი ვალდებულებების მიმართ შესაძლებელია გამოყენებული იყოს სამოქალაქო და სავაჭრო სამართლის ზოგიერთი სხვა ნორმაც. ასე, მაგალითად, ფულადი ვალდებულება, როგორც წესი, გვაროვნული ნიშნით განისაზღვრება. მაგრამ, თუკი ვალდებულების საგანს წარმოადგენს განსაზღვრული ნომრის მქონე ფულადი კუპიურის გადაცემა, მაშინ სახეზეა ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის გადაცემის ვალდებულება. ფულადი ნიშნები,

---

[170] იქვე. გვ. 350.

რომლებიც სამოქალაქო ბრუნვაში გამოიყენება როგორც გადახდის საშუალება, წარმოადგენს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულ მოხმარებად და შეცვლად ნივთებს.

ფულადი ვალდებულებები წარმოიშობა იმავე საფუძვლებიდან, რომლიდანაც წარმოიშობა სხვა ვალდებულებები, რასთანაც დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ, თუკი ნებისმიერი სხვა ვალდებულება მისი დარღვევის შედეგად შეიძლება ტრანსფორმირებულ იქნეს ფულად ვალდებულებად ფულადი კომპენსაციის დაკისრების გზით, ფულადი ვალდებულება კი მოვალის მიერ ვადის გადაცილების შემთხვევაშიც მაინც რჩება ფულადად, რამეთუ ვადის გადაცილებისათვის პროცენტის თუ სხვა დამატებითი ხარჯების გადახდევინება წარმოადგენს დამატებით ფულად ვალდებულებას.

ფულადი ვალდებულების შინაარსს წარმოადგენს მოვალის ვალდებულება – გადასცეს კრედიტორს საკუთრებაში განსაზღვრული ოდენობის ფულადი ნიშნები (თანხა), როდესაც ვალდებულების მოცულობა ზუსტად არის განსაზღვრული მისი წარმოშობის მომენტისათვის (მაგალითად, ასი ევრო, ხუთასი ამერიკული დოლარი), ანდა ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის ფულადი ვალდებულების ოდენობა არითმეტიკულად მართალია, ზუსტად არ არის განსაზღვრული, მაგრამ აღნიშნულია, მისი გამოთვლის საშუალება (მაგალითად, ნივთის მიტანის დღეს ბაზარზე არსებული ფასის მიხედვით). ანალოგიურ დებულებას შეიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც. მაგალითად, 477-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.

თუკი ის ფულადი ერთეული, რომელშიც გამოხატულია ვალდებულება, მოქმედების მთელი დროის მანძილზე ინარჩუნებს თავის სტაბილურობასა და მსყიდველუნარიანობას, მაშინ რაიმე სირთულე მხარეთა მოვალეობების მოცულობის განსაზღვრისას არ წარმოიშობა. მაგრამ, თუკი ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან ვალდებულების შეწყვეტის მომენტამდე ფულის ერთეული,

რომელშიც გამოხატულია ვალდებულება დევალვაციის შედეგად იცვლის ოქროს შემცველობას, ანუ იცვლება ფულის კურსი, მაშინ წარმოიშობა პრობლემა, რომელსაც დიდი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია: იცვლება თუ არა ამ შემთხვევაში ფულადი ვალდებულების მოცულობაც ანუ რა ოდენობის ფულადი ნიშნები უნდა იქნეს გადაცემული. შესაბამისად საკითხი ასე დგება: თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), მაშინ მოვალე რა კურსით არის ვალდებული გადაიხადოს: იმ კურსით რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა თუ იმ კურსით, რომელიც ვალდებულების შეწყვეტის დღისათვის არსებობს?

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობითა და სასამართლო პრაქტიკის მიერ ეს საკითხი ერთმნიშვნელოვნად და ცალსახად არის გადაწყვეტილი. ფულის კურსის ცვლილებას სამართალი იგნორირებას უკეთებს და მის მიმართ იყენებს ნომინალიზმის პრინციპს. პირველად ეს პრინციპი დადგენილ იქნა ინგლისური სამართლით ჯერ კიდევ 1604 წელს Gilbert v Brett-ის საქმეზე: ვალი გადახდილი უნდა ყოფილიყო ინგლისში „Current and lawful money of England"-ის ფულადი ერთეულით. გადახდის ვადის დადგომამდე დედოფალ ელისაბედის განკარგულებით გაუარესდა მონეტის მეტალის (ლითონის) შემცველობა. თუმცა კი სასამართლომ კრედიტორი დაავალდებულა მიეღო გაუარესებული მონეტები ნომინალის მიხედვით, ანუ იმ კურსით, რომელიც მათ ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის ჰქონდათ. ამან საფუძველი დაუდო ინგლისის სასამართლოების მიერ სხვა შემთხვევებშიც ანალოგიური გადაწყვეტილებების მიღებას. ასე, მაგალითად, 1797 წლის „Bank Restiction Act"-ის საქმეზე გადაწყვეტილებით 40% გაუფასურებული ფულადი მონეტები კრედიტორის მიერ მიღებული უნდა ყოფილიყო იმ ნომინალით, რაც ვალდებულების წარმოშობის დროს იქნა დადგენილი. ინგლისურ სამართალში „ნომინალიზმის" პრინციპის თანახმად, ფულის ერთეულის ოქროს შემცველობის შეცვლის მიუხედავად, მოვალე მაინც ვალდებულია გადაიხადოს

იმ რაოდენობის ფულადი თანხა, რომელიც შეადგენს ვალის ნომინალურ ოდენობას. აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ სამართლის თვალსაზრისით ფუნტი არის ყოველთვის ფუნტი, მიუხედავად მისი ღირებულებისა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ნომინალიზმის პრინციპი ასევე დადგინდა სასამართლო პრაქტიკით ძირითადად იმ საქმეებზე, რომლებიც დაკავშირებული იყო სამოქალაქო ომით (1861-1865 წწ.) გამოწვეულ ინფლაციასთან. უფრო ზოგვიანებით, 1933 წელს, ნომინალიზმის პრინციპი განმტკიცებულ იქნა ამერიკის კონგრესის ორივე პალატის მიერ დამტკიცებულ ფედერალურ კანონში. ამ კანონის თანახმად, ყოველგვარი ფულადი ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს – დოლარი ტოლია დოლარის პრინციპის მიხედვით, მიუხედავად მისი კურსის გაუფასურებისა. 1977 წლის 28 ოქტომბრის აქტით ერთობლივი რეზოლუცია გაუქმებულ იქნა, თუმცა ეს არ ნიშნავს იმას, რომ აშშ-ში უარი თქვეს ფულადი ვალდებულებების ნომინალიზმის კონცეფციაზე, რამეთუ მოქმედებს ის წესები, რომლებიც დადგენილია ადრე გამოტანილი სასამართლო გადაწყვეტილებებით.

საფრანგეთში ნომინალიზმის პრინციპი პირველად დადგინდა სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით. თუმცა კი მოგვიანებით სასამართლო პრაქტიკამ ეს პრინციპი გაავრცელა სხვა გარიგებების მიმართაც, მისცა რა აღნიშნულ ნორმას უნივერსალური ხასიათი.[171]

გერმანიის სამოქალაქო სჯულდება და შვეიცარიის ვალდებულებითი კანონი არ შეიცავს პირდაპირ მითითებებს ეროვნულ ვალუტაში გამოხატული ფულადი ვალდებულებების ნომინალიზმის პრინციპთან მიმართებით, რაც იმის საფუძველი გახდა, რომ გერმანიის სასამართლოებმა უარი თქვეს მის გამოყენებაზე XX საუკუნის ოციან წლებში.

ჰოლანდიის უახლესი კანონმდებლობა, სახელდობრ კი, სამო-

[171] Французский Гражданский кодекс науч. ред. Лавров Д.Г. СПб., 2004.

ქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 111-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ფულადი ვალდებულება უნდა შესრულდეს მისი ნომინალური ღირებულებით, თუკი კანონით, ხელშეკრულებით ან ჩვეულებით არ არის დადგენილი, რომ მოვალემ გადახდა განახორციელოს სხვა საშუალებით.

გამორიცხული არ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფულადი ვალდებულება გამოხატულია არა ეროვნულ, არამედ უცხოურ ვალუტაში, ხოლო გადახდა კი უნდა მოხდეს ეროვნულ ვალუტაში. ასეთ შემთხვევებში საჭიროა ერთმანეთისაგან განვასხვაოთ ვალის ვალუტა (Schuld wahrung) და გადახდის ვალუტა (Zahlungswahrung). ვალის ვალუტა ის ფულადი ერთეულია, რომელშიც გამოხატულია მისი ეკონომიკური ღირებულება (ანუ გამოითვლება ფულადი ვალდებულების თანხა), ხოლო გადახდის ვალუტა ის ფულადი ნიშნებია, რომელთა გადახდითაც წყდება ფულადი ვალდებულება (ანუ გადახდის ვალუტა ითვლება ვალდებულების შესრულების საშუალებად).

იმასთან დაკავშირებით, რომ შემოღებულ იქნა ერთიანი ვალუტის ერთეული – ევრო, იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც შეუერთდნენ ახალ სავალუტო სისტემას, სავაჭრო ურთიერთობებში ვალის ვალუტისა და გადახდის ვალუტის განსაზღვრის პრობლემამ დაკარგა თავისი პრაქტიკული აზრი, რადგან ასეთ ვალდებულებებში ვალის ვალუტა და გადახდის ვალუტა ერთმანეთს ემთხვევა.

ამასთან, ჯერ კიდევ მრავალ ქვეყანას გააჩნია განსხვავებული ფულადი სისტემები, რომელთა ფულადი ერთეულების სახელწოდებაც ერთმანეთს არ ემთხვევა, ამიტომაც დევალვაციის ან რევალვაციის შემთხვევაში მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რომელი ქვეყნის ვალუტა წარმოადგენს ვალის ვალუტას და რომელი ქვეყნის კი – გადახდის ვალუტას, რამეთუ ნომინალიზმის პრინციპი გამოიყენება სწორედ ვალის ვალუტის მიმართ, ხოლო გადახდის ვალუტის ღირებულების შეცვლა კი არანაირ გავლენას არ ახდენს ვალდებულების ეკონომიკურ შინაარსზე. თუკი ფულადი ვალდებულების მოცულობა განსაზღვრულია უცხოურ ვალუტაში,

მოვალეს უფლება აქვს გადაიხადოს იმ ქვეყნის ვალუტით, სადაც ხდება გადახდა (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 244-ე პარაგრაფის 1-ლი ნაწილი; შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 84-ე მუხლი, ინგლისის და აშშ-ის სასამართლო პრაქტიკა), გადახდის დღისათვის არსებული კურსის მიხედვით, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი.

როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფულად ვალდებულებებში, ფული ასრულებს გადახდის საშუალების ფუნქციას. საერთაშორისო სავაჭრო და საბანკო პრაქტიკაში ვალუტა ზოგჯერ განიხილება არა გადახდის საშუალება, არამედ, როგორც ნივთი (საქონელი) განსაზღვრული გვაროვნული ნიშნით, რომლის შეძენაც შეიძლება. ასეთი ურთიერთობების საფუძველს წარმოადგენს ვალუტის გადაცვლითი გარიგებები. ამიტომაც საჭიროა ერთმანეთისგან ფულადი ვალდებულებისა და ვალუტის გადაცვლითი გარიგებების განსხვავება, რამეთუ ფულადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, ვალუტის გაცვლითი გარიგებების მიმართ ნომინალიზმის პრინციპი არ გამოიყენება. ეს დებულება ასახულია საერთაშორისო სავალუტო ფონდის წესდების XXV მუხლის მე-8 ნაწილში, რომლის შესაბამისად, ვალუტების გადაცვლითი გარიგებების დროს გაცვლითი კურსი უნდა იყოს ისეთი, რომ გარიგების მხარემ მიიღოს იგივე ღირებულება.

განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ, ასევე სამართლებრივმა დოქტრინამ, ნომინალიზმის პრინციპის არსებობის 300 წელზე მეტი ხნის ისტორიის მანძილზე შექმნეს მეტად მოქნილი სამართლებრივი კონსტრუქცია, რომლებიც ხელშეკრულების მხარეებს აძლევს შესაძლებლობას ზოგიერთ შემთხვევაში გადაუხვიონ ნომინალიზმის პრინციპს და სასამართლოებს აძლევს შესაძლებლობას თანამიმდევრობით განახორციელონ ცხოვრებაში აღნიშნული პრინციპი იმ გზით, რომ კრედიტორებს დააკისრონ მტკიცების ტვირთი ვალუტის გაუფასურების შემთხვევაში, ხოლო შრომითი ხელშეკრულებების მიმართ კი — მუშა-მოსამსახურეებს, იცავენ რა ფულადი ნიშნების არა მსყიდველუ-

ნარიანობას, არამედ გადახდისუნარიანობას და ამით ხელს უწყობენ მთავრობების მიერ განხორციელებულ დევალვაციურ პოლიტიკას.

საფრანგეთში, გერმანიასა და შვეიცარიაში ნომინალიზმის დადგენილი ნორმები, სასამართლოს პრაქტიკის მიერ გამოიყენება როგორც დისპოზიციური ნორმები. ინგლისისა და აშშ-ის სასამართლო პრაქტიკით აღიარებულია, რომ ნომინალიზმის პრინციპი წარმოადგენს ხელშეკრულებით ნაგულისხმებ პირობას და სხვაგვარი დათქმების არარსებობისას ყოველთვის გამოიყენება სადავო სამართლებრივი ურთიერთობების მიმართ.

განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ სასამართლოები განუხრელად და თანამიმდევრულად მკაცრად იცავენ ნომინალიზმის პრინციპს ფულად ვალდებულებებთან მიმართებით. ეს აიხსნება იმით, რომ ფულის მსყიდველობითუნარიანობის რყევა შედარებით არცთუ დიდი მოცულობისაა. ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება ხელს უწყობს სამოქალაქო და სავაჭრო ურთიერთობების სტაბილურობას, რაც იმაშიც გამოიხატება, რომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ღებულობენ რა გადასახდელად გაუფასურებულ ვალუტას ნომინალის ოდენობით, თავიანთ ზარალს ინაზღაურებენ იმით, რომ სხვა გარიგებებით შეძენილი საქონლისათვის იხდიან ასეთივე გაუფასურებულ ფულის ერთეულს.

ამასთან, ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ სავალუტო სისტემების მნიშვნელოვანი რყევებისას, რასაც თან სდევს ფულის მსყიდველობითუნარიანობის მნიშვნელოვანი შემცირება დევალვაციის გამო, ნომინალიზმის პრინციპი არ გამოიყენება. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს გერმანიაში განხორციელებული რევალორიზაცია, როდესაც 1923 წელს განხორციელებული რეფორმით მოხდა კატასტროფულად გაუარესებული მარკის სტაბილურობის მიღწევა: 1000 მილიარდი მარკა გაუთანაბრდა 1 ოქროს მარკას. ასეთ შემთხვევებში ძალიან მიუღებელი გახდა გრძელვადიანი ვალდებულებითი ურთიერთობების მიმართ მხარეთა ინტერესები, ამიტომაც სასამართლოებმა უარი თქვეს ნომინალ-

იზმის პრინციპის გამოყენებაზე და მოახდინეს საერთო პრინციპების დადგენის გარეშე ფულადი ვალების გადაფასება. ვალების გადაფასება ხდებოდა ყოველი კონკრეტული შემთხვევის მიმართ ცალ-ცალკე; თუმცა კი ვალების გადაფასების შესახებ არცერთი გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული მუშა-მოსამსახურეთა ხელფასებთან მიმართებით. შესაბამისად უმძიმესი ინფლაციის ტვირთმა გადაიარა მუშა-მოსამსახურეების მხრებზე.[172]

ინგლისში Gilbert v. Brett-ის საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ სასამართლოებს არასდროს ეჭვქვეშ არ დაუყენებიათ ნომინალიზმის პრინციპის გამოყენება. მაგრამ 1967 წელს ფუნტი სტერლინგის დევალვაციის შემდეგ The Teh Hu-ს საქმეზე სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილ იქნა ნომინალიზმის პრინციპის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილება. თუმცა კი ამ საქმემ არ შექმნა მნიშვნელოვანი პრეცედენტი, რამეთუ ქვეყნის ფულად სისტემაში მიმდინარე რყევები არ იყო იმ სიდიდის, რომ სამართლებრივი რეგულირების საშუალებების შეცვლა გამოეწვია. ვალუტის კურსის შედარებითი სტაბილურობის აღდგენის შემდეგ სასამართლო პრაქტიკა დაბრუნდა ადრინდელ ჩარჩოებში და მკაცრად იცავს ფულადი ვალდებულებების ნომინალიზმის კონცეფციას.[173]

ნომინალიზმის პრინციპის დამდგენი ნორმების დისპოზიციური ხასიათი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს ზოგიერთ შემთხვევებში გამოიყენონ სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის მიერ შემუშავებული სამართლებრივი დაცვის საშუალებები, რომლებიც მიმართულია ვალუტის გაუფასურებისგან დასაცავად. იმისდა მიხედვით, ხელშეკრულებით წინასწარ იყო თუ არა გათვალისწინებული, სამართლებრივი დაცვის საშუალებები იყოფა ორ ჯგუფად: 1) სასამართლოს მიერ გამოიყენება მხარეთა წინასწარი შეთანხმების გამო (დამცავი დათქმები, ანგარიშსწორების ერთეულის ხელოვნური

---

[172] Л. А. Лунц. Деньги и денежные обязательства в гражданском праве, М., 2004, ст. 118.

[173] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елиссеев И. В., СПб., 2005.

შეცვლა); 2) სასამართლოების მიერ გამოიყენება მხარეთა წინასწარი შეთანხმების გარეშე (ვადის გადაცილების დროს ვალუტის გაუფასურების შედეგად წარმო'მობილი ზიანის ანაზღაურება და ა.შ.).

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ ნომინალიზმის პრინციპი შეიძლება ჩაითვალოს სამოქალაქო ბრუნვაში საჯარო წესრიგის გამოხატულებად. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის (მსყიდველობითუნარიანობის) შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ ამ ცვლილებათა უარყოფითი შედეგებისაგან თავი დაიზღვიონ სხვადასხვა დათქმებით. თუ ამას არ ექნება ადგილი, ნომინალიზმი სამართლის ობიექტური ნებით სავარაუდო პირობა იქნება და, შესაბამისად, მხარეები თავიანთ თავზე აიღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკსაც. ვალის გადახდის მომენტში, თუ გაზრდილია ფულის მსყიდველობითი უნარი, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს არავითარი უფლება არა აქვს ვალის დაბრუნებისას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს ამ გარემოებას. თუ ვალდებულების შესრულების მომენტში შემცირებულია ფულის მსყიდველობითი უნარი, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად ხდება კრედიტორი და მასაც არა აქვს უფლება ეს გარემოება გამოიყენოს მოვალის საწინააღმდეგოდ. ნომინალიზმის პრინციპი ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებს კრედიტორს და ერთგვარ შეღავათებს უქმნის მოვალეს.

თავის დროზე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ფართო გამოყენება პოვა ე.წ. „ოქროს დათქმამ", რომლის მასტაბილიზებელი ზემოქმედება ეს იყო, რომ ფულადი ვალდებულების მოცულობა გამოიხატებოდა ან განსაზღვრული წონისა და სინჯის ოქროს მონეტებში, ანდა ქაღალდის ფულად კუპიურებში, მაგრამ განსაზღვრული რაოდენობის ოქროს ეკვივალენტურად. „ოქროს დათქმის" ყველა მრავალრიცხოვანი შემთხვევა შეიძლება დაიყოს ორ სახედ: 1) დებულება, რომლითაც განსაზღვრული ფულადი მონეტა წარმოადგენს „გადახდის ვალუტას" (clause monnaire or), 2) დებულება, რომლითაც განსაზღვრული ოქროს მონეტა ანდა განსაზღვრული ოდენობის ოქრო წარმოადგენს „ვალის ვალუტას",

ანუ ვალის გამოთვლის ერთეულს. ასეთ შემთხვევაში გადასახდელი ფულადი ნიშნების (კუპიურების) ოდენობა ვალდებულების შესრულების მომენტში უნდა განისაზღვროს ამ მომენტისათვის განსაზღვრული რაოდენობის ოქროს ღირებულებით. მოძღვრება „ოქროს დათქმის“ შესახებ შეიძლება დაყვანილ იქნეს შემდეგ საკითხებად: 1) როდის ითვლება ოქროს დათქმა არსებულად და რა ფორმით უნდა იყოს იგი გამოხატული; 2) ოქროს დათქმის განმარტება, ანუ მისი კვალიფიკაცია, როგორც ოქროს მონეტით გადახდის შესახებ პირობა თუ როგორც გადახდის გამოთვლა ოქროს მონეტით ან ოქროს გარკვეული რაოდენობით; 3) ოქროს დათქმის მოქმედების საკითხი სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში.

ფულად ვალდებულებაში „ოქროს დათქმის“ პრინციპის არსებობის საკითხი რთულდება მისი გამოხატვის ფორმების მრავალრიცხოვნობის გამო. კონტინენტურ ევროპაში ყველაზე გავრცელებული იყო ისეთი გამონათქვამები, როგორიცაა „500 ოქროს ფრანკი“, „ოქროთი გადასახდელი 500 ფრანკი“ და ა.შ. მსგავს შემთხვევებში პრაქტიკა ჩვეულებრივ აღიარებდა ოქროს დათქმის არსებობას, მაგალითად, ჰააგის საერთაშორისო მუდმივმოქმედი ტრიბუნალის მიერ საფრანგეთში განთავსებული ბრაზილიური და სერბული სესხების შესახებ 1929 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებები.

გერმანული სასამართლო პრაქტიკა გერმანელი კრედიტორების ინტერესების დასაცავად საგარეო ვაჭრობის გარიგებების მიმართ აღიარებდა ოქროს დათქმის პრინციპს, გამომდინარე კეთილსინდისიერების პოზიციებიდან.

პირველი მსოფლიო ომის შემდეგ დიდი მნიშვნელობა შეიძინა ფულად ვალდებულებებთან მიმართებაში ოქროს დათქმის შესახებ საკითხის კვალიფიკაციამ (როგორც ვალის ვალუტა თუ როგორც გადახდის ვალუტა). პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ოქროს მონეტები ბრუნვიდან გაქრა. ყველა ქვეყანაში სავალუტო ურთიერთობების მოწესიგება დავალებული ჰქონდა მათ ცენტრალურ ბანკს და მოქმედებდა პრინციპი, რომ ოქრო შეიძლება მიყიდულიყო მხოლოდ ამ ბანკისათვის ან ოქრო შეიძლება შესყ-

იდულიყო მხოლოდ ამ ბანკისაგან. ყველაფერმა ამან გამოიწვია ოქროთი გადახდის ფაქტობრივი და სამართლებრივი შეუძლებლობა. ოქროს მონეტებით გადახდის დათქმის შესრულება შეუძლებელი გახდა. აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ, თუკი არაეფექტურია ოქროთი გადახდა, მაშინ გადახდა უნდა მოხდეს ბრუნვაში არსებული ქაღალდის ფულადი ნიშნებით ოქროს მონეტების ღირებულების ოდენობით. ოქროს დათქმის ასეთი განმარტება მოგვიანებით აღიარებულ იქნა ყველა განვითარებული ქვეყნის სასამართლო პრაქტიკით. განვითარებული ქვეყნების სასამართლო პრაქტიკის შესწავლა ცხადყოფს ოქროს დათქმასთან მიმართებით, რომ შიდასახელმწიფოებრივი სამართლით მოწესრიგებული სამოქალაქო-სამართლებრივი ვალდებულებების მიმართ, ოქროს დათქმა არ წარმოადგენს ვალის ვალუტის გაუფასურებისაგან კრედიტორის ინტერესების დაცვის საიმედო საშუალებას. ის ძირითადად გამოიყენებოდა სახელმწიფოთაშორისი ვალდებულებების მოსაწესრიგებლად.

XX საუკუნის დასაწყისში ოქროს მონეტების ბრუნვიდან ამოღებამ, ასევე 70-იან წლებში სავალუტო-საფინანსო კრიზისის გაღრმავებამ, ოქროზე ფიქსირებული ფასების გაუქმებამ და მონეტარულ ლითონზე საბაზრო ფასების მკვეთრმა რყევამ განაპირობა ის, რომ ოქროს დათქმამ, როგორც დაცვის საშუალებამ, თავისი მნიშვნელობა დაკარგა.

ოქროს დათქმასთან ერთად სავაჭრო და სამოქალაქო ბრუნვის მიერ შემუშავებულ იქნა დათქმების ახალი სახე – სავალუტო დათქმა. სავალუტო დათქმა – ეს არის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა, რომელიც მიუთითებს, თუ რომელი ვალუტა არის ვალის ვალუტა, რომელი ვალუტაა გადახდის ვალუტა და როგორი უნდა იყოს აღნიშნული ვალუტების კურსის თანაფარდობა გადახდის განხორციელების მომენტისათვის. პერიოდულად მიმდინარე სავალუტო-ფინანსური კრიზისების გამო არც ერთი ვალუტა არ წარმოადგენს ფულადი ვალდებულებების ღირებულების დაცვის მყარ გარანტირებულ საშუალებას და ამიტომაც მხოლოდ

ვალუტის დათქმების გამოყენება არ იძლევა სასურველ შედეგს.

XX საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისიდან სახელშეკრულებო ურთიერთობებში გავრცელება პოვა საინდექსო დათქმებმა, რომელიც, როგორც წესი გამოიყენებოდა გრძელვადიან ვალდებულებით ურთიერთობებში ვალუტის ინფლაციისგან დაცვის საშუალებებად. საინდექსო დათქმით გათვალისწინებული იყო, რომ მოვალის მთავარი ვალდებულება იცვლება ვალდებულების არსებობის განმავლობაში ხელშეკრულებაში აღნიშნული ინდექსის შესაბამისად. საინდექსო დათქმებმა დიდი გამოყენება პოვეს შრომით ხელშეკრულებებში, რომლებშიც დაფიქსირებული იყო ე.წ. „სიცოცხლის ღირებულების" ინდექსები(„საარსებო მინიმუმი"). მათ პროპორციულ შეცვლას შესაბამისად უნდა მოჰყოლოდა ხელფასის შეცვლაც.

კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნებში ფართო გამოყენება პოვა გადასახდელი თანხის ოდენობის გამოთვლამ საქონლის ფასების ინდექსის მიხედვით. ის გამოიყენებოდა ძირითადად ისეთი ხელშეკრულებების მიმართ, რომელიც იდებოდა ელექტროენერგიის, გაზით მომარეგებისა და კომუნალური მომსახურების გაწევის სფეროში. ეს მეთოდი არ გამოიყენებოდა ჩეკებისა და თამასუქების მიმართ.

საინდექსო დათქმების საკითხი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულად იყო მოწესრიგებული. საფრანგეთში 30-იანი წლების დასაწყისში საინდექსო დათქმები ჩაითვალა ნამდვილად, მაგრამ შემდგომში სასამართლოების მიერ ხდებოდა საწინააღმდეგო შინაარსის მქონე გადაწყვეტილებების გამოტანა და შესაბამისად საკანონმდებლო წესით აიკრძალა საინდექსო დათქმების გამოყენება ფულადი ვალდებულების ღირებულების სტაბილიზების მიზნით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გამოსათვლელ ინდექსსა და ხელშეკრულების საგანს შორის არსებობს პირდაპირი კავშირი. ეს აკრძალვა არ ვრცელდებოდა შრომითი ხელშეკრულებების მიმართ.[174]

---

[174] Л. А. Лунц, Деньги и денежные обязательства в гражданском праве. М., 2004, с.230.

1947-1948 წლებში გერმანიაში საინდექსო დათქმები სპეციალური ნორმებით ბათილად იქნა ცნობილი, მაგრამ შემდგომში სასამართლოების მიერ ეს ნორმები შეზღუდულად იქნა განმარტებული, რის შედეგადაც საინდექსო დათქმები გამოიყენებოდა ურთიერთობათა ფართო წრის მიმართ.[175]

სხვა ქვეყნებში, თუკი ამის შესახებ არ იყო პირდაპირი აკრძალვა, საინდექსო დათქმები გამოიყენებოდა როგორც დაცვის საშუალება. ინგლისში და ამერიკაში საინდექსო დათქმების ნამდვილობა პირდაპირ იყო აღიარებული სასამართლო პრაქტიკის მიერ.

ვალუტის გაუფასურებისაგან დასაცავად, გარდა დათქმებისა, მხარეებს შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ ხელშეკრულებაში ვალის ვალუტის სახით ანგარიშსწორების ხელოვნური ერთეულის გამოყენების პირობა. ამ ერთეულებში ხდებოდა ვალდებულების მოცულობის გამოთვლა, ხოლო გადახდის ვადის დადგომისას ვალდებულების შესრულება ხორციელდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე ვალუტით. ანგარიშსწორების ხელოვნური ერთეულის გამოყენების იდეა ცნობილი იყო ჯერ კიდევ XIV საუკუნეში, როდესაც იტალიელი ვაჭრები თამასუქებს (ტრატას) გამოწერდნენ ხოლმე ერთეულებში, რომელიც სიმბოლურად გამოხატავდა განსაზღვრული რაოდენობის ოქროს. ოქროს ბაზრის სტაბილურობისას ფართოდ იყო გავრცელებული ოქროზე დაფუძნებული ერთეულები, როგორიც იყო პუანკარეს ფრანკი და ჟერმინალის ფრანკი. XX საუკუნის 50-იან წლებში გამოჩნდა ახალი ტიპის ხელოვნური ერთეულები, რომელთა ღირებულებაც არ იყო დაკავშირებული ოქროსთან. ეს ე.წ. რთული ერთეულები, რომელთა შემადგენლობაშიც შედის რამდენიმე სხვადასხვა ვალუტა სხვადასხვა პრორორციით, ქმნის ე.წ. კალათას. საერთო ბაზრის მქონე ქვეყნებს შორის გამოიყენებოდა ეროვნული ვალუტის ერთეული, რომელიც დაფუძნებული იყო ევროპის ეკონომიკური საბჭოს წევრი სახელმწიფოების ვალუტაზე და

[175] Л. А. Лунц, Деньги и денежные обязательства в гражданском праве, М., 2004, ст. 253.

ერქვა ეკიუ (დღესდღეობით – ევრო). საერთაშორისო სავალუტო ფონდის ფარგლებში გავრცელებულია ისეთი რთული ერთეული, როგორიცაა სდპ, რომლის კალათიც თავდაპირველად შედგებოდა 16 ვალუტისაგან, ხოლო 1981 წლიდან მათი რაოდენობა ხუთამდის შემცირდა.[176]

ფულადი ვალდებულების წარმოშობის მომენტიდან მისი შესრულების მომენტამდე ვალის ვალუტის გაუფასურების შედეგად წარმოშობილი ზიანი, ნომინალიზმის პრინციპის თანახმად, ანაზღაურებას არ ექვემდებარება. ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებით წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების საკითხი მჭიდროდაა დაკავშირებული პროცენტების დარიცხვის ნორმებთან.

ფულად ვალდებულებას შეიძლება დაერიცხოს პროცენტები, რომელთა ოდენობაც დგინდება ხელშეკრულებით (სახელშეკრულებო პროცენტი) ანდა კანონით (კანონისმიერი პროცენტი). გერმანიაში ეს არის სამოქალაქო გარიგებების მიმართ წლიური 4%, ხოლო სავაჭრო გარიგებების მიმართ კი – 5%) (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების §246; §252). განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში ფულადი ვალდებულებების მიმართ დიდი ყურადღება ეთმობა ისეთ საკითხს, როგორიცაა მოვალის მიერ ვადის გადაცილება. შეუძლია თუ არა კრედიტორს მოითხოვოს ასეთი გადაცილების შემთხვევაში გადაცილების მომენტიდან ვალის ვალუტის გაუფასურებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება? ამ საკითხების გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას დასაშვებია თუ არა პროცენტების (კანონისმიერი ან სახელშეკრულებო) ზევით ზიანის ანაზღაურება თუ ასანაზღაურებელი ზიანის მოცულობა შემოიფარგლება მხოლოდ პროცენტების დარიცხვით. ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად, პირველ რიგში, უნდა დადგინდეს „პროცენტებისა“ და „ზიანის ანაზღაურების“ ცნებების თანაფარდობა. პროცენტი არის პერიოდული საზღაური კაპიტალის სარგებლობისათვის, რომლის

[176] Гражданское и торговое право зарубежных государств. том I, под ред. Е. А. Васильева и А. С. Комарова, М., 2005. с. 346.

სიდიდეც განისაზღვრება ამ კაპიტალში არსებული წილით, პროცენტის გადახდის ვალდებულება დგინდება კაპიტალის დაბრუნების ვალდებულებასთან ერთად და ამიტომაც, ის ვინც იხდის პროცენტებს, ამით არ ფარავს კაპიტალის გადახდის ვალდებულებას. პროცენტების გადახდის მოვალეობა წარმოიშობა კანონიდან ან ხელშეკრულებიდან. მოვალემ პროცენტი უნდა გადაიხადოს იმისდა მიუხედავად, მიიღო თუ არა სხვისი კაპიტალით სარგებლობიდან რეალური მოგება. ამგვარად, პროცენტების გადახდის ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას ისეთი საფუძვლებიდან, რომელიც საერთოდაც არ წარმოშობს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, მაგრამ ის საფუძვლები, რომლებიც ფულადი ვალდებულებების მიმართ ადგენენ ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, წარმოშობს ასევე პროცენტის გადახდის მოვალეობასაც (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 288-ე პარაგრაფი). შესაბამისად, კონტინენტური სამართლის სისტემის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა, განსხვავებით საერთო სამართლის ქვეყნების სასამართლო პრაქტიკისაგან, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის დაკისრებულ პროცენტებს არ მიიჩნევენ ზიანის ანაზღაურების ფორმად, რამეთუ კრედიტორს ასეთ შემთხვევაში პროცენტის მოთხოვნის უფლება ყოველთვის გააჩნია, მიუხედავად იმისა, მიადგა თუ არა მას რეალურად ზიანი. მაშასადამე, პროცენტის გადახდის ვალდებულება ყოველთვის რჩება სხვისი კაპიტალით სარგებლობისათვის გადასახდელ გასამრჯელოდ. თუმცა კი ამით არ წყდება ისეთი საკითხი, როგორიცაა მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისას პროცენტი გადაიხდევინება ზიანის სანაცვლოდ თუ პროცენტი ითვლება ზიანის ანაზღაურების საერთო ანგარიშში. განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობა ამ საკითხს არაერთგვაროვნად აწესრიგებს. ასე, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდებისა და შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის მიხედვით, პროცენტები ითვლება ზიანის ანაზღაურების საერთო ანგარიშში, ხოლო ფრანგული და

ინგლისურ-ამერიკული სამართლის მიხედვით, პროცენტის გადახდა ხდება ზიანის ანაზღაურების სანაცვლოდ.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 288-ე პარაგრაფის და შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 106-ე მუხლის თანახმად, მოვალის მიერ ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, კრედიტორს ყოველგვარი დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის გარეშე შეუძლია მოითხოვოს პროცენტების გადახდა, ხოლო ის ზიანი, რომელიც ვერ იფარება გადახდილი პროცენტებით, შეიძლება ანაზღაურებულ იქნეს საერთო საფუძვლებით, რომელიც დადგენილია ზოგადად მოვალის მიერ ვადის გადაცილებისათვის.

საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1153-ე მუხლის თანახმად, „განსაზღვრული ოდენობის ფულადი თანხის გადახდის ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებიდან წარმოშობილი ზიანი შეიძლება ანაზღაურებული იყოს მხოლოდ კანონით დადგენილი პროცენტების გადახდით. ეს წესი არ მოქმედებს სავაჭრო და დავალების (მინდობილობის) ურთიერთობების მიმართ. რაც შეეხება სავაჭრო ურთიერთობებს, აქ პროცენტის ოდენობა შეიძლება განისაზღვროს მხარეთა შეთანხმებით. იმავე მუხლის მეოთხე აბზაცში აღნიშნულია: „თუკი კრედიტორს მოვალის მიერ შესრულების ვადის განზრახ გადაცილების გამო მიადგა ზიანი, რომელიც არის დამოკიდებული ამ გადაცილებაზე, მაშინ კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს როგორც პროცენტის გადახდევინება, ისე მიყენებული ზიანის ანაზღაურება საერთო საფუძვლებით.[177] ამგვარად, მოვალის მიერ შესრულების ვადის გაუფრთხილებლობით გადაცილებისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს პროცენტის გადახდა და არ შეუძლია ამის ზევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნაც, კერძოდ, არ შეუძლია მოითხოვოს ვალის ვალუტის გაუფასურებიდან წარმოშობილი ზიანი. ფრანგული სამოქალაქო კოდექსის ეს დებულება, ფულადი ვალდებულებების ნომინალურ ხასიათის საკითხთან დაკავშირებით,

[177] Французский Гражданский кодекс науч. ред. Лавров Д.Г. СПб., 2004.

წარმოადგენს „ფულის ნომინალური ღირებულების“ დოქტრინის გადმონაშთს (valor imprositus): ამ დოქტრინის მიხედვით „ფულის გაუფასურების ყველა შედეგი შეიძლება გამოსწორებულ იქნეს მხოლოდ კანონმდებლის და არა მოსამართლის მიერ“.

აღნიშნული პრინციპის უცხოურ ვალუტაში გამოხატული ვალდებულებების მიმართ გამოყენების შესახებ ფრანგულ სასამართლო პრაქტიკაში არ არის შემუშავებული რაიმე მყარი მიმართულება. პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასამართლო პრაქტიკა, მართალია, პირდაპირ არ უშვებს ზიანის ანაზღაურებას, მაგრამ არაპირდაპირ ასეთი ანაზღაურება მაინც ხდება ვალის ვალუტის ადგილობრივ ვალუტაზე გადაცვლით გადაცვლის დღისათვის არსებული კურსით ანდა უფრო მოგვიანებით არსებული კურსით, იმისდა მიხედვით, თუ კრედიტორის ინტერესების დაკმაყოფილება როდის შეიძლება მოხდეს უფრო სრულად.

ინგლისურ-ამერიკული სასამართლო პრაქტიკაც მთლიანად იზიარებს ფრანგული სასამართლო პრაქტიკის შეხედულებებს ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების სამართლებრივი შედეგების მიმართ და მიუთითებს, რომ ფულის გადაუხდელობისათვის ზიანის ანაზღაურება შეიძლება მოხდეს მხოლოდ პროცენტების გადახდით.[178]

გერმანიაში სპეციალური კანონმდებლობით დადგენილია სამოქალაქო გარიგებების მიმართ 4%, სავაჭრო გარიგებების მიმართ – 5%. შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის მე-3 მუხლის თანახმად, პროცენტი განისაზღვრება სესხის სახისა და ადგილის მიხედვით, ინგლისური და აშშ-ის სამართლისათვის უცხოა კანონით დადგენილი პროცენტების ცნება. გადასახდელი პროცენტების ოდენობა განისაზღვრება სასამართლოს მიერ.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით მოქალაქეებს შორის ურთიერთობებში აკრძალული და დაუშვებელია პროცენტის

---

[178] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елисеев И. В., СПб., 2005.

პროცენტის გადახდევინება. მაგრამ ბანკებსა და სხვა საკრედიტო დაწესებულებებზე ეს აკრძალვა არ მოქმედებს.

ფულადი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში ხდება ზემოთ აღნიშნული ოდენობით პროცენტების გადახდევინება, რომელიც ითვლება ზიანის ანაზღაურების ანგარიშში. კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული იმ ზიანის ანაზღაურებაც, რომელიც ვერ დაიფარა პროცენტით.

II თავი

სესხის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები

მას შემდეგ, რაც ზოგადად დავახასიათეთ ფულადი ვალდებულებები, განვიხილოთ სესხის ხელშეკრულება, როგორც ერთ-ერთი სახის ფულადი ვალდებულება, რამეთუ სესხის ხელშეკრულების საგანს ძირითადად წარმოადგენს ფული, უფრო იშვიათად კი სხვა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი სასესხო ურთიერთობას განიხილავს ვალდებულებითი სამართლის (წიგნი მესამე) კერძო ნაწილის — სახელშეკრულებო სამართალი — ნაწილი მეორე ორ სხვადასხვა თავში: მეცხრე თავი ეძღვნება სესხს, ხოლო ოცდამეერთე თავში ლაპარაკია საბანკო კრედიტზე და ანაბარზე. პირველ შემთხვევაში ყურადღება მახვილდება საყოფაცხოვრებო ხასიათის სასესხო ურთიერთობათა მარეგულირებელ ნორმებზე, რომლებიც ამავე დროს შეიძლება გამოყენებულ იქნეს ყველა სახის სასესხო ურთიერთობათა მიმართ, მიუხედავად მასში მონაწილე სუბიექტებისა და წარმოშობის საფუძვლებისა. მეორე შემთხვევაში კი სესხის სპეციფიკურ სახესთან გვაქვს საქმე — სასესხო ოპერაციებს ახორციელებს საკრედიტო დაწესებულება (ძირითადად კომერციული ბანკი), რომლისთვისაც

სესხის გაცემა (საბანკო კრედიტი) ან აღება (ანაბარი) წარმოადგენს საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად სფეროს.

ნაშრომში დეტალურად განვიხილავთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-628-ე მუხლებით გათვალისწინებულ სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელ ნორმებს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

ამ განმარტებიდან ნათლად ჩანს სესხის ხელშეკრულების რამდენიმე ძირითადი თავისებურება, კერძოდ:

1. სესხის ხელშეკრულება არის ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულება, თუმცა იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ისეთი ხელშეკრულებებისაგან, როგორიცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება, სამისდღეშიო რჩენა.

2. სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია ცალმხრივ და ორმხრივ ხელშეკრულებებად დამოკიდებულია არა იმაზე, თუ რამდენი პირის ნებაა გამოვლენილი (რამეთუ ხელშეკრულება ზოგადად გულისხმობს ორი ან მეტი პირის გამოვლენას), არამედ იმაზე, თუ როგორაა განაწილებული უფლება-მოვალეობები ხელშეკრულების მხარეებს შორის. ორმხრივ მავალდებულებელი ანუ სინალაგმატურია ხელშეკრულება, რომელშიც თითოეულ მხარეს ერთდროულად გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც. ცალმხრივია ხელშეკრულება, რომელშიც ერთ მხარეს გააჩნია უფლებები, მეორე მხარეს კი აკისრია მხოლოდ მოვალეობები. სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი უფლებაიძოსილია მოითხოვოს სესხად გადაცემული ნივთის დაბრუნება, ხოლო მსესხებელი კი ვალდებულია დააბრუნოს უკან სესხად მიღებული იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი.

3. სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება.

ჯერ კიდევ რომის სამართალში, ძალაში შესვლის მომენტის მიხედვით ხდებოდა ხელშეკრულებათა კლასიფიკაცია კონსენსუალურ და რეალურ ხელშეკრულებებად. კონსენსუალური ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როდესაც მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით (მაგალითად, ნასყიდობა), რეალურად კი მიიჩნევა ხელშეკრულება, რომელიც დადებულად ითვლება არა შეთანხმების მიღწევის მომენტიდან, არამედ ნივთის რეალურად გადაცემიდან.

შესაბამისად, სესხის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როცა გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ხელშეკრულების საგანს. მარტო შეთანხმება სესხის თაობაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს ხელშეკრულების დადებას.

4. სესხის ხელშეკრულება, როგორც წესი, არის უსასყიდლო (უპროცენტო) ხელშეკრულება, განსხვავებით საბანკო კრედიტის ხელშეკრულებისაგან, რომელიც ყოველთვის არის სასყიდლიანი (პროცენტთან) ხელშეკრულება. (სესხის ხელშეკრულებაში პროცენტიდან მიმართებით დეტალურად ვისაუბრებთ სსკ-ის 625-ე მუხლთან მიმართებით).

5. სესხის ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ფულის ან გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული სხვა ნივთის საკუთრებაში გადაცემა. პრაქტიკაში სესხის ყველაზე უფრო გავრცელებულ ობიექტს წარმოადგენს ფული. ქვეყნის წიგნით წარმოშობილ სასესხო ურთიერთობებში იგი ძირითადად ეროვნული ვალუტის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. შესაძლებელია უცხოური ვალუტის სესხება, თუ ეს კანონით არ არის აკრძალული. ვალუტა ამა თუ იმ ქვეყნის ფულადი ერთეულია, რომელიც საფუძვლად უდევს ქვეყნის ფულად სისტემას. საქართველოში ასეთ ვალუტას წარმოადგენს ლარი. იგი ერთადერთი საგადამხდელო საშუალებაა ქვეყნის მთელს ტერიტორიაზე. უცხოური ვალუტა საქართველოში არ წარმოადგენს გადახდის საშუალებას. თუმცა სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს საზღვარგარეთის

ქვეყნების ფულადი ნიშნებიც, როგორიცაა დოლარი, ევრო და ა.შ. თუ ეს აკრძალული არ არის კანონით. ამდენად, ვალის ვალუტაა ის ფულადი ერთეული, რომელშიც გამოიხატება სესხის თანხა, ხოლო გადახდის ვალუტაა ის ფულადი ერთეული, რომელიც ითვლება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ფულადი ვალდებულების შესრულების საშუალებად. მაშასადამე, სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს როგორც ეროვნული, ისე უცხოური ვალუტა, ხოლო გადახდა უნდა მოხდეს შესაბამისი კურსით ეროვნულ ვალუტაში (ლარებში).

გარდა ფულისა, სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული მოხმარებადი და შეცვლადი ნივთები, რამეთუ მსესხებელი უკან აბრუნებს არა იგივე ნივთს, არამედ იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთს. მაგალითად, „A“-მ D-გან ისესხა 10 კილოგრამი შაქარი, რომელიც გამოიყენა კაკლის მურაბის მოსახარშად. „A“ (მსესხებელი) „D“-ს დაუბრუნებს არა იგივე შაქარს (რაც შეუძლებელია იქიდან გამომდინარე, რომ „A“-მ შაქარი უკვე მოიხმარა), არამედ იმავე ხარისხის, თვისებისა და რაოდენობის სხვა შაქარს. ამიტომაც სესხის ხელშეკრულების საგანი არც ერთ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი (მაგალითად, ფიროსმანის ნახატი).

ის გარემოება, რომ მსესხებელმა უკან უნდა დააბრუნოს არა იგივე ნივთი, რომელიც სესხად მიიღო, არამედ მსგავსი – იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის, გამომდინარეობს იქიდან, რომ სესხის ხელშეკრულებით გვაროვნული ნივთის გაცემა ხდება საკუთრების უფლებით, რაც ლოგიკურად მის მოხმარებას, განკარგვას გულისხმობს.[179] გვაროვნული ნიშნით განსაზღვრულად ითვლება ისეთი ნივთები, რომელთა ოდენობა გამოიხატება ზომით, წონით, მოცულობით (მაგალითად, 1 ტ ფქვილი, 100 ლიტრი რძე, ხუთი კუბური მეტრი შეშა და ა.შ.), ამიტომაც ფულის ზუსტად იმ კუ-

[179] რ. შენგელია, „თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება“, თბ., 1999. გვ. 29.

პიურის ან გვაროვნული ნივთის, რომელიც გაცემულ იქნა სესხად, უკან დაბრუნება შეუძლებელიცაა. სესხის ხელშეკრულებისათვის არ არის დამახასიათებელი სესხად გადაცემული გვაროვნული ნივთის ნაცვლად, მისი ფულადი ღირებულების დაბრუნება. მაგალითად, თუ „A“-მ „B“-ს ასესხა 10 კგ შაქარი, ხოლო „B“-მ „A“-ს უკან შაქრის ნაცვლად დაუბრუნა 10 კგ შაქრის შესაძენი ფულადი თანხა, ასეთ შემთხვევაში, თუ „A“ მიიღებს შაქრის ნაცვლად მის საფასურს, სესხის ხელშეკრულება გადაიქცევა ნასყიდობის ხელშეკრულებად.

რადგან სესხის ხელშეკრულებით მსესხებელს ეკისრება ვალდებულება უკან დააბრუნოს სესხის საგანი, ბუნებრივია არ შეიძლება სესხზე საუბარი, თუ ფული ან გვაროვნული ნივთი მსესხებელს არ ჰქონდა მიღებული. ამიტომაც არარა გარიგებად უნდა ჩაითვალოს სესხის ხელშეკრულება, თუ დასტურდება მისი უფულობა ანუ თუ მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას დაუბრუნოს გამსესხებელს ის, რაც მისგან არ მიუღია. ამ დებულებას არა მარტო თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს ისეთ შემთხვევებში, როცა დღის წესრიგში დგება მესამე პირთა ქონებრივი ინტერესების დაცვის საჭიროება. მაგალითად, ვალაუვალობის შემთხვევაში მოვალე თავის ახლობლებთან აფორმებს სასესხო შეთანხმებას იმ მიზნით, რომ თავის ქონებაზე იძულებითი გადახდევინების მიქცევისას სხვა კრედიტორებთან ერთად „ვითომ“ გამსესხებელმაც მიიღო მოვალის ქონების გარკვეული ნაწილი, რომ შემდეგში დაუბრუნონ მოვალეს. ამიტომ თუ დადგინდება სესხის უფულობა, ეს უნდა ჩაითვალოს სსკ-ის 56-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ მოჩვენებით გარიგებად და ცნობილი იქნეს ბათილად, კერძოდ: „ბათილია გარიგება, რომელიც დადებულია მხოლოდ მოსაჩვენებლად, იმ განზრახვის გარეშე, რომ შესაბამისი იურიდიული შედეგები მოჰყვეს (მოჩვენებითი გარიგება)“.

სესხის ხელშეკრულებისაგან უნდა განვასხვაოთ სესხის შეპირება. სსკ-ის 628-ე მუხლის თანახმად, სესხის შეპირებისას

დამპირებელს შეუძლია უარი თქვას სესხის მიცემაზე, თუ მეორე მხარის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ საფრთხე შეიძლება შეექმნას ვალის დაბრუნებას. სესხის შეპირება უნდა გაფორმდეს წერილობით.

მაშასადამე, სესხის ხელშეკრულებისგან განსხვავებით, რომელიც დადებულად ითვლება სესხის საგნის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემის მომენტიდან, სესხის შეპირება ჯერ კიდევ არ ნიშნავს სესხის ხელშეკრულების დადებას. სესხის შეპირება წარმოადგენს სსკ-ის 327-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ წინარე ხელშეკრულებას, კერძოდ: „ხელშეკრულებით შეიძლება წარმოიშვას მომავალი ხელშეკრულების დადების ვალდებულება. ხელშეკრულებისათვის გათვალისწინებული ფორმა ვრცელდება ასევე წინარე ხელშეკრულებაზეც“.

სესხის შეპირების ხელშეკრულება მიეკუთვნება ფორმასავალდებულო შეთანხმებათა რიცხვს, რამეთუ ასეთი შეთანხმება უნდა მოხდეს წერილობითი ფორმით. თუ შემპირებელი უარს განაცხადებს გადასცეს დაპირებულს შეპირებული თანხა ან სხვა გვაროვნული ნივთი, დაპირებულს წარმოეშობა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. ერთადერთი სამართლებრივი საფუძველი, რომლითაც სესხის შემპირებელი შეიძლება გათავისუფლდეს დაპირების შეუსრულებლობის შემთხვევაში სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან შეპირებულის მიმართ, არის, თუკი შეპირებულის ქონებრივი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა, რომ შეიძლება საფრთხე შეექმნას ვალის დაბრუნებას. მტკიცების ტვირთი აწევს სესხის შემპირებელს.

III თავი

სესხის ხელშეკრულების შინაარსი

სესხის ხელშეკრულება იდება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის თავისუფალი შეთანხმების საფუძველზე. სასესხო ხელშეკრულებაში გამოხატული უნდა იქნეს მასში მონაწილე სუბიექტთა ნება. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის ერთერთ აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს მასში მონაწილეთა სამართალსუბიექტურობა ანუ უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა. უფლებაუნარიანობა, როგორც პირის უნარი ჰქონდეს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, კონკრეტულ უფლებათა განხორციელების წინაპირობაა. უფლებაუნარიანობა ახასიათებს ყველა ცოცხალ ადამიანს. იგი წარმოიშობა ადამიანის დაბადების მომენტიდან. ქმედუნარიანობა კი როგორც უნარი, თავისი მოქმედებით შეიძინოს სამოქალაქო უფლებები და იკისროს შესაბამისი ვალდებულებანი, სრული მოცულობით მოქალაქეს წარმოეშობა სრულწლოვანებიდან ანუ 18 წლის ასაკიდან. 7 წლამდე პირები ქმედუუნარონი არიან, ხოლო 7-დან 18 წლამდე კი – შეზღუდულქმედუნარიანნი. ქმედუუნაროდ ითვლებიან აგრეთვე ის სრულწლოვანი პირები, რომლებსაც ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო (ჭკუასუსტები და სულით ავადმყოფები) არ შეუძლიათ ანგარიში გაუწიონ თავიანთ მოქმედებას და ისინი სასამართლოს მიერ აღიარებული არიან ქმედუუნაროდ. სასამართლოსვე შეუძლია შეზღუდულქმედუნარიანად ცნოს ის პირები, რომლებსაც ოჯახის ინტერესების შესაბამისად არ შეუძლიათ საფინანსო მეურნეობის წარმართვა (ალკოჰოლიკები და ნარკომანები). ქმედუუნარო პირები, რადგან სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობების უშუალო სუბიექტებად არ ითვლებიან, სესხის ხელშეკრულებაშიც ვერ ღებულობენ მონაწილეობას. მათ ნაცვლად, მათი სახელით და მათი ინტერესებიდან გამომდინარე ხელშეკრულების დადება შეუძლიათ მათ კანონიერ წარმომადგენლებს (მშობლები ან სპეციალურად

დანიშნული პირი-მეურვე). რაც შეეხება შეზღუდულქმედუნარიან პირებს, რომლებსაც შეიძლება ჰქონდეთ დამოუკიდებელი შემოსავალი (სტიპენდია, ხელფასი) მათ შეუძლიათ თავიანთი შემოსავლების ფარგლებში დადონ წვრილმანი, ყოფითი ხასიათის ხელშეკრულებანი და პასუხისმგებლობაც თავადვე ეკისრებათ. მნიშვნელოვანი ხასიათის ხელშეკრულებებს ისინი დებენ მზრუნველების თანხმობით და ვალდებულების შეუსრულებლობისას პასუხისმგებლობა შეიძლება მათთან ერთად მზრუნველებსაც დაეკისროთ სუბსიდიალურად. მზრუნველის თანხმობის გარეშე დადებული გარიგება სამოქალაქო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე არ გაბათილდება იმ შემთხვევაში, თუ შეზღუდულ ქმედუნარიანი პირი გარიგებით სარგებელს იღებს. მხედველობაშია მისაღები აგრეთვე ის გარემოებაც, რომ არასრულწლოვანის ემანსიპაციის საფუძველზე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 65-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში, არასრულწლოვანს შეიძლება სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში შეუზღუდავად მიეცეს მონაწილეობის უფლება. ემანსიპირებულად ითვლებიან აგრეთვე სსკ-ის 1108-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად დაქორწინებული არასრულწლოვანი პირებიც. ასევე შეიძლება არასრულწლოვანის მიერ კანონიერი წარმომადგენლის აუცილებელი თანხმობის გარეშე დადებული გარიგება ნამდვილად ჩაითვალოს თუ შემდგომში მოიწონებს წარმომადგენელი მის მოქმედებას. ამგვარად, სასესხო ურთიერთობებში მონაწილეობას ნაწილობრივ ღებულობენ — შეზღუდულქმედუნარიანები, ხოლო სრულად კი — სრული ქმედუნარიანები, მოქალაქეთა როგორც ერთი, ისე მეორე კატეგორია სამართალსუბიექტურად ითვლებიან.

ზოგჯერ, შესაძლებელია ამა თუ იმ სასესხო ურთიერთობას არ მიეცეს იურიდიული მნიშვნელობა, ეს უპირველეს ყოვლისა განპირობებულია სესხის რომელიმე კონკრეტული სახის არაზნეობრივი და მიუღებელი ხასიათით. ამასთან ასეთი რამ გათვალისწინებული უნდა იყოს კანონითაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის (ვალდებულებითი სამართალი) კერძო

ნაწილის (სახელშეკრულებო სამართალი) ოცდამეშვიდე თავში მოცემულია ისეთ ურთიერთობათა სამართლებრივი რეგულირება, როგორიცაა თამაშობა და სანაძლეო, რომელთა რეგულირება საზოგადოების ინტერესების შესაბამისადაა გათვალისწინებული. სსკ 951-ე მუხლის თანახმად, „თამაშობა ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. ეს წესი ვრცელდება სესხსა და ავანსზე, რომელიც განზრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის, ასევე საბირჟო ან ამის მსგავს გარიგებებზე საქონლის ან საბირჟო ქაღალდების მიწოდების შესახებ, რომელსაც თამაშის ან სანაძლეოს ხასიათი აქვს". დაახლოებით იგივე შინაარსის ნორმაა გადმოცემული გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 762-ე პარაგრაფში და რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1062-ე მუხლში. თამაშობათა და სანაძლეოთა ორგანიზაციის მიმართ, ჯერ კიდევ ძველი რომიდან მოყოლებული, თითქმის ყველა საზოგადოებაში სახელმწიფოს მხრივ ნეგატიური დამოკიდებულება იყო გამოკვეთილი, რაც სხვადასხვა შეზღუდვებში გამოიხატებოდა. მაგალითად, ასეთი გზით მიღებული მოგება განიხილებოდა როგორც ბათილი გარიგების შედეგად მიღებულ ქონებად. სხვადასხვა შეზღუდვა არსებობს თანამედროვე პირობებშიც. ამის დადასტურებაა კანონის კატეგორიული დებულება იმის შესახებ, რომ თამაშობა ან სანაძლეო მოთხოვნის უფლებას არ წარმოშობს. აქედან გამომდინარე, თუ სასესხო შეთანხმება მოხდა იმ მიზნით, რომ დაიფაროს თამაშობასთან ან სანაძლეოსთან დაკავშირებული ვალი, იგი იურიდიული ძალის მქონედ არ უნდა ჩაითვალოს.[180]

ამ მხრივ დამახასიათებელია ორი ვარიანტი: პირველი — თამაშის ან სანაძლეოს წაგების შედეგად წაგებულის ვალი, რომელიც პირობითად უნდა ჩაითვალოს სესხად, შეიძლება გადახდილ იქნეს მხოლოდ ზნეობრივი ნორმების საფუძველზე. იურიდიულად ასეთი ვალი ბათილი იქნება და სასამართლო დაცვა მასზე არ გავრცელდება, მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე თანახმა იყო ვალდებ-

[180] რ. შენგელია, „თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება". თბ., 1999. გვ. 34-35.

ულების დადგენაზე. ის გარემოება, რომ ერთ-ერთმა მოთამაშემ არ იცოდა ის, რომ მეორეს არ ქონდა წაგებულის გადასახდელი ნაღდი ფული, არ შეიძლება საფუძვლად დაედოს თამაშისას გაცემულ სავალალო ვალდებულებას. არა აქვს მნიშვნელობა იმასაც, რომ ნებადართული იყო თუ არა ის თამაში, მაგალითად, ტოტალიზატორი, რის შედეგადაც მოხდა ვალის წარმოშობა.

მეორე — სესხის აღება წაგებული თანხის გადასახდელად ბათილად უნდა ჩაითვალოს. მაგალითად, როცა რამოდენიმე პირი თამაშობს ბანქოს და ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც წააგო იმაზე მეტი ოდენობით, ვიდრე მას ჰქონდა, თამაშის გასაგრძელებლად სესხად თხოვს ფულს სხვა მოთამაშეს ან თუნდაც თამაშზე დამსწრე რომელიმე პირს, ასეთ შემთხვევაში გამსესხებელმა იცოდა რისთვისაც სჭირდებოდა მსესხებელს ფული, ამიტომ მის მოთხოვნას მსესხებლის მიმართ არ ექნება იურიდიული ძალა. თუკი წაგებულმა ვალდებულება იკისრა, რომ ვალს გადაიხდიდა მეორე დღეს და ამის შემდეგ ფული ისესხა თავისი მეგობრისაგან, რომელმაც არ იცოდა თუ რისთვის სჭირდებოდა მას სესხი, ეს უკვე სამართლებრივად უხარვეზო ხელშეკრულება იქნება და ბუნებრივია ასეთ შემთხვევაში გამსესხებელს უდავოდ ექნება მოთხოვნის უფლება.

მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ კანონი ყურადღებას ამახვილებს იმ სესხზე, რომელიც პირს განზრახ მიეცა თამაშის ან სანაძლეოსათვის. ასეთი სესხი უნდა ჩაითვალოს ბათილად, თორემ თვით თამაშის პროცესში გადახდილი თანხა კანონიერად ითვლება და არ შეიძლება იმ თანხის უკან გამოთხოვა, რომელიც წაგებულმა გადაიხადა. ამას ადასტურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 951-ე მუხლის მეორე ნაწილი, რომლის მიხედვითაც „თამაშის ან სანაძლეოს საფუძველზე განხორციელებული შესრულების უკან გამოთხოვა არ შეიძლება.

სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის წინაპირობას წარმოადგენს კანონით განსაზღვრული ფორმის დაცვა. საერთო წესის მიხედვით, სსკ 69-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, გარიგება

შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობითი ფორმით. გარიგებათა უმეტესობა იდება ზეპირად. წერილობითი ფორმით გარიგება შეიძლება დაიდოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით. წერილობითი ფორმა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს მარტივი ან რთული. მარტივი წერილობითი ფორმის არსებობისას გარიგებრის ნამდვილობისათვის საკმარისია გარიგებაში მონაწილე პირთა ხელმოწერა. თუ გარიგება რთული წერილობითი ფორმითაა დადებული, ასეთ შემთხვევაში გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერის ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

სესხის ხელშეკრულების ფორმასთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება სსკ-ის 624-ე მუხლის დებულებას. კერძოდ, სესხის ხელშეკრულება იდება ზეპირად. მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გამოყენებულ იქნეს წერილობითი ფორმაც. ზეპირი ხელშეკრულების დროს მისი ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

მაშასადამე, სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს ფორმის თავისუფლების პრინციპს. ანუ მიუხედავად სესხის ხელშეკრულების საგნის ღირებულებისა, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირად ან წერილობით. სესხის ხელშეკრულების ზეპირად დადება ნდობის ფაქტორზეა დამოკიდებული. ის ძირითადად გამოიყენება ფიზიკურ პირებს შორის წარმოშობილ სასესხო ურთიერთობებში.

თუ სესხის ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით, ხელშეკრულების მხარეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული ხელშეკრულება დადონ მარტივი წერილობითი ფორმით, თუ იგი ამასთან ერთად დაამოწმონ სანოტარო წესით. იურიდიული ძალის მიხედვით, სანოტარო წესით დამოწმებული სესხის ხელშეკრულება აღმატებული არ იქნება მარტივი წერილობითი ფორმით დადებულ ხელშეკრულებაზე. სსკ-ის 69-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად,

სესხის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის არსებობისას საკმარისია გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერა. თუმცა სსკ-ის 70-ე მუხლი ითვალისწინებს სესხის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის გადანდობას სხვა პირისათვის.

მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ არ ითვალისწინებს სასესხო ურთიერთობებთან მიმართებაში წერილობითი ფორმის უპირატესობას ზეპირ ფორმასთან მიმართებაში, მაგრამ ეს დასტურდება პრაქტიკით. ზეპირთან შედარებით წერილობითი ფორმისათვის კანონმდებლის მიერ განსაზღვრულ უპირატესობათა მინიჭება იმაშიც ვლინდება, რომ სესხის ხელშეკრულების სადაოდ გახდომისას, მხარეთა ინტერესების დაცვა უფრო მეტადაა გარანტირებული. თუ წარმოიშვა სესხის ხელშეკრულებიდან დავა, ზეპირი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობის დასადასტურებლად არ არის საკმარისი მხოლოდ მოწმეთა ჩვენება. საჭიროა სხვა მტკიცებულებებიც, რომლითაც დადასტურებულ იქნება მსესხებლისათვის განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა გვაროვნული ნივთის გადაცემის ფაქტი. თუმცა ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მოწმეთა ჩვენებას თითქოსდა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც ცნობილია, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ყოველი პირისათვის უზრუნველყოფილია უფლების სასამართლო წესით დაცვა. საქმის განხილვას სასამართლო შეუდგება იმ პირის განცხადებით, რომელიც მიმართავს მას თავისი უფლების ან კანონით გათვალისწინებული ინტერესების დასაცავად.

ყოველი კონკრეტული სამოქალაქო საქმის გადაწყვეტა სასამართლოში დაკავშირებულია გარკვეული ფაქტების დადგენასთან. ფაქტების დადგენის აუცილებლობა განპირობებულია იმით, რომ სასამართლო იხილავს და წყვეტს მხარეთა შორის წარმოშობილ დავებს, რომლებიც მატერიალური სამართლით რეგულირებული ურთიერთობებიდან წარმოიშობიან. სასამართლო ვერ გადაწყვეტს ვერც ერთ სამოქალაქო საქმეს, თუ მან წინასწარ არ დაადგინა

გარკვეული ფაქტები. ამ ფაქტების დადგენა ხორციელდება უმთავრესად დამტკიცების გზით, შესაბამისი მტკიცებულებების გამოყენებით. სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების საპროცესო სამართლით მოწესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა.[181]

მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმების, გამოკვლევის და შეფასების საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესი განაპირობებს იმას, რომ მართლმსაჯულების განხორციელების მიზნებისათვის გამოყენებულ ყოველგვარ ფაქტობრივ მონაცემს, რომელთა საფუძველზე სასამართლო დაადგენს საქმისათვის მნიშვნელოვან გარემოებებს, სასამართლო მტკიცებულებებს უწოდებენ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მე-2 ნაწილი ამომწურავად განსაზღვრავს მტკიცებულებათა სახეებს, ესენია: მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტება; მოწმის ჩვენება; წერილობითი მტკიცებულება; ნივთიერი მტკიცებულება; ექსპერტის დასკვნა.

სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი მტკიცებულებები მხარეს შეუძლია წარუდგინოს სასამართლოს თავისი მოთხოვნის (შესაგებლის) ფაქტობრივი საფუძვლის არსებობის დამტკიცების მიზნით. ასეთია დასაშვებობის პროცესუალური პრინციპი, აზრი და შინაარსი. მაგრამ ამ ზოგადი წესიდან არსებობს გამონაკლისი, რასაც მტკიცებულებათა დასაშვებობა ეწოდება. კერძოდ, სსსკ-ის 102-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონით უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით.

მაშასადამე, როდესაც სესხის ხელშეკრულება დადებულია ზეპირი ფორმით და წარმოიშვა დავა მისი არსებობა-არარსებობის

---

[181] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005. გვ. 208

შესახებ, ასეთ შემთხვევაში მისი ნამდვილობა ვერ დადგინდება მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით, საჭიროა სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულებებიც, მაგალითად, სავალო ხელწერილი ან რაიმე წერილობითი დოკუმენტის წარდგენა, რომლითაც დადასტურებული იქნება ვალის არსებობა (ვალის აღიარება).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 137-ე მუხლი, ხანდაზმულობის ვადის შეწყვეტას უკავშირებს მსესხებელის (ვალდებული პირი) მიერ გამსესხებლის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიით მიცემით ან სხვაგვარად მოთხოვნის აღიარების არსებობას.

ზეპირი სესხის ნამდვილობის დასადგენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ „ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება) რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნას თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლოს გადაწყვეტილებას“.

მაშასადამე, აღიარება, როგორც მხარის ახსნა-განმარტების ნაწილი, ითვლება უტყუარ მტკიცებულებად, რადგან იგი გაკეთებულია მოწინააღმდეგე მხარის ინტერესების სასარგებლოდ და ამღიარებლის ინტერესების საწინააღმდეგოდ. აღიარებას ზოგჯერ „მტკიცებულებათა მეფესაც“ უწოდებენ.[182] მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „A“-ს და „B“-ს შორის ზეპირი ფორმით დაიდო სესხის ხელშეკრულება. „A“-მ „B“-ს სესხად გადასცა 1000 ლარის ოდენობის ფულადი თანხა. შეთანხმებულ დროს „B“-მ არ დაუბრუნა გამსესხებელს ვალი. „A“-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს. მოპასუხე „B“-მ სასამართლოს განუცხადა, რომ მან მართალია ისესხა მოსარჩელისგან სადავო თანხა, მაგრამ იგი უკვე დიდი ხანია რაც

[182] Давтян А.Г. Гражданское працессуальнос право зарубежных стран, М. 2009.

უკან დაუბრუნა. მიუხედავად იმისა, რომ საქმეში არ იყო არანაირი წერილობითი დოკუმენტი, რითაც დადასტურდებოდა მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის ზეპირი ფორმით დადებული სესხის ხელშეკრულების არსებობა, სასამართლომ მოპასუხის აღიარება (რომ მან თანხა ისესხა) საკმარის მტკიცებულებად ჩათვალა და დააკისრა გამსესხებლის სასარგებლოდ სადავო თანხის დაბრუნების ვალდებულება (მაშასადამე, რადგან „B“-მ აღიარა სესხის არსებობა, „A“ გათავისუფლდა სესხის არსებობის დამტკიცების მოვალეობისაგან, ხოლო ვალის დაბრუნების დამტკიცების ვალდებულება უკვე გადავიდა მოპასუხე „B“-ზე, რომელმაც ეს ვერ შესძლო სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მოთხოვნათა შესაბამისად).

მაშასადამე, მხარის ახსნა-განმარტების ის ნაწილი, რომელიც მოწინააღმდეგე მხარის სასარგებლოდაა გაკეთებული, კერძოდ, რომ მან მართლაც აიღო სესხი მოსარჩელისგან არის აღიარება. რაც შეეხება ახსნა-განმარტების იმ ნაწილს, რომელიც თავის სასარგებლოდაა გაკეთებული, კერძოდ, რომ დაუბრუნა ნასესხები თანხა მოსარჩელეს, იგი არაა აღიარება, რადგან გაკეთებულია ამღიარებლის სასარგებლოდ. ამ ფაქტს სჭირდება დადასტურება სხვა მტკიცებულებებით.[183]

აღსანიშნავია, რომ ფაქტის აღიარება უნდა გამოხატავდეს ამღიარებლის თავისუფალ ნებას და თუ ამღიარებელი დაამტკიცებს, რომ ასეთი ნება სინამდვილეში გამორიცხულ იყო, აღიარება გაქარწყლდება.[184]

მოვიყვანოთ მაგალითი სასამართლო პრაქტიკიდან, როდესაც მოწმის ჩვენებას დიდი მნიშვნელობა აქვს ზეპირი სესხის არსებობის დასადასტურებლად. „C“-ს და „D“-ს შორის ზეპირი ფორმით დაიდო სესხის ხელშეკრულება. გამსესხებელმა მსესხებელ „D“-ს საკუთრებაში გადასცა 3000 ლარი. სესხის ხელშეკრულების დადებას მოწმის სახით ესწრებოდა „S“. მსესხებელმა შეთანხმე-

[183] თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბილისი, 2005. გვ.244.

[184] იქვე. გვ.245.

ბულ ვადაში არ დაუბრუნა ვალი გამსესხებელს. „C“-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე „D“-სგან 3000 ლარის უკან დაბრუნება. მოსარჩელეს თხოვნით სასამართლომ პროცესზე მოწმის სახით გამოიძახა „S“. მოსარჩელემ სასამართლოს წარუდგინა მოპასუხის მიერ მისთვის გაგზავნილი მისალოცი ბარათი. ბარათში მოპასუხე მოსარჩელეს ულოცავდა დაბადების დღეს. მისალოც ბარათში ეწერა აგრეთვე, რომ მოპასუხე ბოდიშს უხდიდა მოსარჩელეს ვალის დაბრუნების დაგვიანებისათვის და პირობას დებდა, რომ ვალს უმოკლეს პერიოდში დააბრუნებდა. თუ რა სახის ვალზე და რა ოდენობის თანხაზე იყო საუბარი, მისალოც ბარათში არ ეწერა. სასამართლომ მოწმის სახით დაკითხა „S“, რომელმაც დაადასტურა მოსარჩელე „C“-სა და მოპასუხე „D“-ს შორის ზეპირი ფორმით 3000 ლარის ოდენობის თანხაზე სესხის ხელშეკრულების დადებისა და მოპასუხისათვის თანხის გადაცემის ფაქტი. სასამართლომ მისალოც ბარათში მოპასუხის მიერ სესხის აღნიშვნა მიიჩნია აღიარებად. მოწმის ჩვენებასთან ერთად საკმარის მტკიცებულებად ჩათვალა და დააკისრა მოპასუხე „D“-ს მოსარჩელის სასარგებლოდ 3000 ლარის ვალის გადახდა.

აღნიშნული მაგალითი ნათლად ადასტურებს, რომ ზეპირი ფორმით დადებული სესხის ნამდვილობის დასამტკიცებლად მოწმის ჩვენებასაც მნიშვნელობა ენიჭება (არაპირდაპირ აღიარებასთან მიმართებით კი განსაკუთრებულიც).

პრაქტიკაში არის შემთხვევებიც, როცა მოვალე სადავოდ ხდის იმ ფაქტს, რომ წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულებიდან თითქოსდა არ დასტურდება სესხის ხელშეკრულების არსებობის ფაქტი.[185]

სასესხო ურთიერთობიდან წარმოშობილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საკმარისი არ არის მხოლოდ მისი არსებობის დადასტურება. მართალია, გამსესხებელს შეუძლია სასამართლო გზით დაიკმაყოფილოს თავისი მოთხოვნა, მაგრამ კანონი არ

[185] ზ. ძლიერიშვილი, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა – სესხის ხელშეკრულება, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, №3-4, 2005. გვ. 382-388.

ითვალისწინებს ყველა მოთხოვნის რეალურად დაკმაყოფილების შესაძლებლობას, თუმცა არაა გამორიცხული, რომ მოთხოვნა რეალურად არსებობდეს. იმისათვის, რომ მოთხოვნა დაკმაყოფილდეს, აუცილებელია იგი იყოს ნამდვილი, ე.ი. იურიდიულად ვარგისი.

არანამდვილი მოთხოვნების კატეგორიას განეკუთვნება ე.წ.ხანდაზმული მოთხოვნები. კანონი სახელშეკრულებო ურთიერთობების მოწესრიგებისას ადგენს ვადას, რომლის განმავლობაშიაც კრედიტორს შეუძლია მოვალისაგან სასამართლოს მეშვეობით შესრულების იძულებითი განხორციელება მოითხოვოს. ამ ვადის გასვლის შემდეგ მართალია მოთხოვნა რჩება, მაგრამ კრედიტორს აღარ შეუძლია მოსთხოვოს მოვალეს იძულებითი შესრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნების მიმართ დადგენილია ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 132-ე, 136-ე მუხლები ითვალისწინებენ ხანდაზმულობის ვადის შეჩერების შესაძლებლობას, ხოლო 137-ე მუხლით დადგენილია ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტის ინსტიტუტი.

სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით მნიშვნელოვანია სსკ-ის 144-ე მუხლით გათვალისწინებული დებულება, კერძოდ: „ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ ვალდებული პირი უფლებამოსილია უარი თქვას მოქმედების შესრულებაზე. თუ ვალდებულმა პირმა მოვალეობა შეასრულა ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას არა აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების უკან დაბრუნება, თუნდაც მოვალეობის შესრულების მომენტში მას არ სცოდნოდა, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო. იგივე წესი გამოიყენება ვალდებული პირის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც“.

ხანდაზმულობის ვადის გაშვება გამსესხებელს ართმევს უფლების იძულებით დაცვის საშუალებას. ამიტომაა, რომ კანონი მსესხებელს უფლებას აძლევს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ უარი თქვას ვალის გადახდაზე. ამ საკითხთან მიმართებით

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის დებულებას იმის შესახებ, რომ მხარეები თვითონ განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებსა თუ შესაგებელს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „B“-ს „A“-სთვის 2004 წლის 10 ნოემბერს უნდა დაებრუნებინა წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე სესხად მიღებული 2000 ლარი. „B“-მ არ შეასრულა ვალის დაბრუნების ვალდებულება. გამსესხებელმა „A“-მ 2008 წლის 10 ივლისს სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მოპასუხე მსესხებლისაგან 2000 ლარის უკან დაბრუნება. „B“-მ თავის შესაგებელში არაფერი მიუთითა ხანდაზმულობის 3-წლიანი ვადის გასვლის შესახებ. სასამართლომ თავისი ინიციატივით იმსჯელა ხანდაზმულობის შესახებ და არ დააკმაყოფილა სარჩელი. სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის მე-4 მუხლის მოთხოვნა იმის შესახებ, რომ მოპასუხეს თავად უნდა მიეთითებინა ხანდაზმულობის გასვლის შესახებ თავის შესაგებელში. სასამართლოს არა აქვს უფლება თვითონ იმსჯელოს იმ ფაქტებზე, რომლებიც არ არის მოცემული სარჩელსა თუ შესაგებელში.

აშკარად არ შეესაბამება კანონს ფართოდ გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც საქართველოს საერთო სასამართლოებს გამოაქვთ გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ მოთხოვნის ხანდაზმულობის გამო, მაშინ როდესაც არც მოპასუხეს, არც პროცესში მონაწილე სხვა პირს ასეთი შესაგებელი არ წამოუყენებია.[186]

გამორიცხული არ არის მსესხებლის მიერ ვალის ნებაყოფლობითი დაბრუნება ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგაც. თუ მსესხებელი ვალს დააბრუნებს ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ, მას აღარ აქვს უფლება მოითხოვოს შესრულების უკანვე დაბრუნება. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, მსესხებელმა ვალის

[186] ჯ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია „სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა“, თბ., 2003 წ. გვ. 170.

დაბრუნების მომენტში იცოდა თუ არა იმის შესახებ, რომ ხანდაზმულობის ვადა გასული იყო.

თუ მსესხებელი ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ გამსესხებლის წინაშე ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს ვალის არსებობას, ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა თავიდან დაიწყება და გამსესხებელს კვლავ წარმოეშობა ვალის იძულებით უკან დაბრუნების შესახებ მოთხოვნის უფლება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სესხის ხელშეკრულება არის ძირითადად უსასყიდლო (უპროცენტო) ხელშეკრულება. თუმცა ეს არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ სესხის ხელშეკრულება იყოს სასყიდლიანიც (პროცენტიანი). ევროპულ სასამართლო პრაქტიკასა და დოქტრინაში მიღებული განმარტებით, პროცენტი ეს არის პერიოდული საზღაური კაპიტალის სარგებლობისათვის, რომლის სიდიდეც განისაზღვრება ამ კაპიტალ'ში არსებული წილით.[187] პროცენტი არის შემოსავლის ნაირსახეობა. სსკ-ის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, უფლების ნაყოფი არის ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად.

საპროცენტო ვალდებულება დამატებითი ვალდებულებაა და იგი ეფუძნება მთავარ ვალდებულებას, როგორიცაა კაპიტალთან დაკავშირებული ვალდებულება. თუ არ წარმოშობილა მთავარი ვალდებულება ანდა იგი ბათილად იქნება ცნობილი, არც საპროცენტო ვალდებულება წარმოიშობა. ამიტომაც, საპროცენტო ვალდებულება აქცესორული ხასიათისაა წარმოშობის თვალსაზრისით. მთავარი ვალდებულების გაქარწყლება იწვევს პროცენტის გადახდის ვალდებულების შეწყვეტას. ასევე, მთავარი მოთხოვნის ხანდაზმულობა იწვევს პროცენტზე მოთხოვნის ხანდაზმულობასაც (სსკ-ის 145-ე მუხლი).

საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 29 ივნისს ფულად

[187] Münch Komm – Maydell § 246, Rn. 1-4.

ვალდებულებებთან მიმართებით, განსაკუთრებით კი სესხთან მიმართებით, საქართველოს სამოქალაქო კოდექსში განახორციელა გარკვეული ცვლილებები და დამატებები. კერძოდ ცვლილებები შეეხო სამოქალაქო კოდექსის მე-300, 384-ე, 403-ე, 625-ე მუხლებს. აღნიშნული ცვლილებების განხორციელებამდე, სესხის ხელშეკრულებაში პროცენტი შეიძლება დადგენილიყო კანონით ან ხელშეკრულებით. კერძოდ, სსკ-ის 384-ე მუხლის თანახმად, თუ კანონით ან ხელშეკრულებით ვალდებულება პროცენტიანია, წლიური პროცენტის ზღვრული ოდენობა განისაზღვრება სპეციალური ნორმატიული აქტით. ამჟამად აღნიშნული ნორმა ამოღებულია. ანუ სესხთან მიმართებაში აღარ არსებობს კანონით დადგენილი პროცენტის ინსტიტუტი.

2007 წლის 29 ივნისის ცვლილებებამდე სსკ-ის 625-ე მუხლი შემდეგი შინაარსის იყო: სესხისათვის მხარეებმა შეიძლება გაითვალისწინონ პროცენტი, რაც გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან. ამ წესის დარღვევით პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმება ბათილია.

უნდა ვიფიქროთ, რომ პროცენტი, ნორმალური და სამართლიანი უნდა იყოს. პროცენტი, რომლითაც დაირღვა გონივრული შესაბამისობის მოთხოვნა, შეიძლება ბათილად გამოცხადდეს, როგორც ზნეობის, ისე საჯარო წესრიგისადმი წინააღმდეგობის საფუძველზე. ამიტომაცაა, რომ საპროცენტო ვალდებულებებში „სახელშეკრულებო თავისუფლების პრინცი“ შეცვლილია „სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპით“.[188]

ამჟამად სსკ-ის 625-ე მუხლი ჩამოყალიბებულია სხვა შინაარსით, კერძოდ: სესხისათვის მხარეთა შეთანხმებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს პროცენტი. მაშასადამე, დღეს საქართველოს რეალობაში აღარ არსებობს არც ერთი საკანონმდებლო ნორმა, რომელიც სასესხო ურთიერთობებში პროცენტის მინიმალურ ან

[188] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 335-336.

მაქსიმალურ ოდენობას დაადგენდა. პროცენტის ოდენობის განსაზღვრა მთლიანად ხელშეკრულების მხარეებზეა დამოკიდებული. სამწუხაროდ უნდა აღვნიშნოთ, რომ სასესხო ურთიერთობებში პროცენტთან მიმართებით „სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპი“ შეიცვალა „სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით“, რამაც შეიძლება მსესხებელი მაღალი საპროცენტო განაკვეთის შემთხვევაში მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩააყენოს.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე მუხლით გათვალისწინებულმა დებულებებმაც. კერძოდ, სსკ-ის 403-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით: მოვალე, რომელიც ფულადი თანხის გადახდის ვადას გადააცილებს, ვალდებულია გადაცილებული დროისათვის გადაიხადოს მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტი, თუ კრედიტორს სხვა საფუძვლიდან გამომდინარე, უფრო მეტის მოთხოვნა არ შეუძლია (სხვა საფუძველი შეიძლება იყოს თუნდაც თავდებობის ხელშეკრულება).

პროცენტის გადახდევინება დაკავშირებულია არა მარტო ვალდებულებითი ურთიერთობის იმ ტიპთან, როდესაც სესხის ხელშეკრულება ნორმალურად ვითარდება, არამედ მისი დარღვევის, კერძოდ ვალის დაბრუნების ვადის გადაცილების ფაქტთან. თუ პირველ შემთხვევაში პროცენტი კაპიტალით სარგებლობისათვის დგინდება, მეორე შემთხვევაში სულერთია, მისი გადახდევინებისათვის მოვალე ისარგებლებს ამ კაპიტალით თუ არა. საამისოდ საკმარისია ვადის გადაცილების ფაქტი. ამიტომაც ვადის გადაცილებისათვის დაწესებული პროცენტი ვალდებულების დროული შესრულების პრევენციული ფუნქციის მატარებელია. გერმანულ სამართალში იგი „მინიმალური ზიანის“ (Mindestschaden) სახელწოდებითაა ცნობილი.[189] პროცენტის მოთხოვნა არაა დამოკიდებული ზიანის არსებობის მტკიცებაზე. ამდენად, თვით ვადის გადაცილების ფაქტი იძლევა იმის ვარაუდს, რომ აღნიშნული

[189] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 427.

„მინიმალური ზიანი“ სახეზეა.[190] ვადის გადაცილებისათვის პროცენტის გადახდევინება იწყება იმ დღის შემდგომი დღიდან, რა დღესაც დგება შესრულების ვადა, ანდა წარმოიშობა სარჩელის შეტანის უფლება.

2007 წლის 29 ივნისის ცვლილებამდე სსკ-ის 403-ე მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული იყო დებულება იმის შესახებ, რომ „დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა“. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ რომის სამართალი კრძალავდა პროცენტზე პროცენტის დარიცხვას. ამ მოვლენას იგი „ანატოციზმს“ უწოდებდა.

ამდენად, მხარეთა შეთანხმება აღნიშნულის თაობაზე ბათილად ჩაითვლება, როგორც საჯარო წესრიგის ხელმყოფი გარიგება. ეს დანაწესი მოვალეს იცავს გეომეტრიულად მზარდი დატვირთვისაგან. პროცენტი, როგორც წესი, შეიძლება დაერიცხოს ძირითად ვალდებულებას და არა თვით პროცენტს.[191]

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 289-ე პარაგრაფის თანახმად, ვადის გადაცილების შემთხვევაში დაუშვებელია პროცენტიდან პროცენტის გადახდა. კრედიტორს აქვს უფლება, მოითხოვოს ვადის გადაცილებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება.[192]

საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, ამჟამად საქართველოში ნებადართულია პროცენტიდან პროცენტის გადახდის შესაძლებლობა. კერძოდ, სსკ-ის 403-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ფულადი თანხის გადახდის ვადის გადაცილებისას პროცენტიდან პროცენტის გადახდევინება დასაშვებია მხოლოდ ხელშეკრულებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევებში.

თუ მსესხებელი გადააცილებს ვალის დაბრუნების ვადას, გამსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს ვადის გადაცილებით

---

[190] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 428.

[191] Diter Medicus. Schuldrecht, / Allgemeiner Teil. 14. neubearbaitete Auflage. Verlag C.H. Beck. Munchen. 2003. S. 149.

[192] Burgerliches Gesetzbuch Deutschlands. Wolterkluwer. 2004. S. 59.

გამოწვეული ზიანის ანაზღაურება სსკ-ის 404-ე მუხლის შესაბამისად.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განიცადა აგრეთვე სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულმა იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის საკუთრებაში გადასვლის ინსტიტუტმა. თუ 2007 წლის 29 ივნისამდე მოქმედი რედაქციით, ბათილი იყო შეთანხმება, რომლითაც იპოთეკით დატვირთული ნივთი პირდაპირ გადადიოდა კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, დღეს მოქმედებს აღნიშნული ნორმის სხვაგვარი რედაქცია. კერძოდ, სსკ-ის მე-300 მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთი ამ კოდექსით გათვალისწინებულ საფუძველზე შეიძლება პირდაპირ გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული იპოთეკის ხელშეკრულებით“. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „A“-მ „B“-ს წერილობითი ფორმის სესხის ხელშეკრულებით საკუთრებაში გადასცა 10.000 ლარის ოდენობის ფულადი თანხა. სესხის უკან თავისდროული დაბრუნების უზრუნველყოფის მიზნით, მსესხებელმა „B“-მ გამსესხებლის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთა თავის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი, რომლის საბაზრო ღირებულებაც იპოთეკის ხელშეკრულებით განისაზღვრა 50000 ლარის ოდენობით. იპოთეკის ხელშეკრულებაში გათვალისწინებული იქნა, რომ თუკი მსესხებელი დროულად ვერ დააბრუნებდა ვალს, იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთი პირდაპირ გადავიდოდა იპოთეკარის – გამსესხებელ „A“-ს საკუთრებაში. მსესხებელმა ვერ შესძლდო შეთანხმებულ ვადაში ვალის დაბრუნება. გამსესხებელმა იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შესაბამისად მოითხოვა დატვირთული მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემა.

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ მაგალითში, სესხის თანხა არის 10.000 ლარი, ხოლო უზრუნველყოფის საშუალების – იპოთეკით დატვირთული მიწის ნაკვეთის ღირებულება კი 50.000 ლარია, მიწის ნაკვეთი იპოთეკის ხელშეკრულების თანახმად

გადავა გამსესხებლის საკუთრებაში და ეს არ ჩაითვლება უსაფუძვლო გამდიდრებად სსკ-ის 300-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად.

იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის გამსესხებლის საკუთრებაში გადასვლასთან მიმართებით დაცული უნდა იქნეს სსკ-ის მე-300 მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნაც: თუ მოვალე გააჭიანურებს იპოთეკით უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, იპოთეკით დატვირვული უძრავი ნივთი შეიძლება გადავიდეს კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში, თუ კრედიტორი და მოვალე ამის თაობაზე ერთობლივი განცხადებით მიმართავენ საჯარო რეესტრს.

სსკ მე-300 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის კრედიტორის (იპოთეკარის) საკუთრებაში გადასვლისას მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იპოთეკით დატვირთული უძრავი ნივთის ღირებულება მთლიანად არ ფარავს ამ მოთხოვნის ოდენობას, თუ მხარეთა შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

სასესხო ხელშეკრულების ანაზღაურებით ხასიათთან დაკავშირებულია სასესხო შუამავლის ანუ მაკლერის ანაზღაურების საკითხი. სამოქალაქო კანონმდებლობით შესაძლებელია ნებისმიერი სახის ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის გასამრჯელოს გადახდა. ყველაზე მეტად ასეთი სამაკლერო საქმიანობა მიღებულია სავაჭრო ურთიერთობებში, ბინის ქირავნობისას და სესხებისას. სავაჭრო მაკლერის საქმიანობა რეგულირდება მეწარმეთა შესახებ კანონით, ხოლო საბინაო მაკლერისა და სასესხო მაკლერის საშუამავლო საქმიანობა რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის წიგნი მესამე – ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, კარი პირველი, სახელშეკრულებო სამართალი – ნაწილი მეორე მეთექვსმეტე თავის ნორმებით. სასესხო ურთიერთობებში მაკლერის მომსახურება შეიძლება დაჭირდეს როგორც გამსესხებელს, ისე მსესხებელს. მსესხებელი მაკლერს მაშინ უხდის გასამრჯელოს თუ მისი მომსახურებით ისარგებლა. ყველა შემთხვევაში სასესხო

მაკლერისათვის ანაზღაურების გადახდის საკითხი მხოლოდ მაშინ დადგება, თუ ეს გათვალისწინებული იყო სასესხო ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარესა და მაკლერს შორის დადებული ხელშეკრულებით და მიღწეულ იქნა შეთანხმების მიზანი – დაიდო სესხის ხელშეკრულება. ეს ყველაზე რეალური და ლოგიკური საფუძველია ამ დროს წარმოშობილი ანაზღაურების გადახდისა. გამონაკლის შემთხვევებში, შესაძლებელია სესხის ხელშეკრულება არ დაიდოს, მაგრამ მაკლერის საქმიანობა იმდენად გამოკვეთილი და მიზანსწრაფული იყო, რომ არავითარი საფუძველი არ არსებობდეს მისთვის გასამრჯელოზე უარის თქმისათვის, მით უმეტეს თუ სესხის ხელშეკრულება ვერ დაიდო შემკვეთის მიზეზით.

ეს უმეტესად ისეთ შემთხვევებშია დასაშვები, როცა შემკვეთის როლში გამსესხებელი გამოდის. ამ დროს სახეზეა მაკლერისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი. რაც შეეხება მსესხებლის ვალდებულებას, მის შესახებ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 753-ე მუხლის იმპერატიული ნორმით დადგენილია, რომ „შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ მან შუამავლობის შედეგად მიიღო სესხი“. შემკვეთსა და სასესხო მაკლერს შორის შუამავლობის ხელშეკრულება წერილობით უნდა დაიდოს. არა აქვს მნიშვნელობა თვითონ სესხის ხელშეკრულება წერილობით იდება თუ ზეპირად. ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს სასესხო მაკლერის გასამრჯელოს ოდენობა სესხიდან განსაზღვრული პროცენტის მითითებით. გარდა ამისა საშუამავლო ხელშეკრულებაში უნდა აღინიშნოს საკუთრივ სესხის ოდენობა, მისი მოქმედების ვადა გადახდის დროის მითითებით, სესხისათვის განსაზღვრული პროცენტის ოდენობა, დამატებითი ხარჯები, სესხის მიმცემის ვინაობა და მისამართი და სხვა. საშუამავლო ხელშეკრულების ასეთი, დეტალურად სავალდებულო რეგულირებადი წესები არ გამოიყენება ისეთ შემთხვევებში, როცა შეკვეთა ეხება მიწის გირავნობით (იპოთეკით) უზრუნველყოფილ სესხს ან მიწის ნაკვეთის შესაძენად გაცემულ სესხს. ასევე სესხს, რომელიც შემკვეთმა უნდა გამოიყენოს თავისი დამოუკიდებელი

პროფესიული ან სამეწარმეო ანდა საუწყებო თუ სამსახურეობრივი საქმიანობისათვის. ხელშეკრულების ტექსტი არ უნდა იყოს დაკავშირებული სესხის გაცემის შუამდგომლობასთან. მაკლერის როლში შეიძლება გამოვიდეს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი ან საზოგადოება. კანონი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებსაც, როცა მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა დაუშვებელია. ეს ისეთი შემთხვევებია, როცა განსაკუთრებული გარემოებების გამო შეიძლება წარმოიშვას საფრთხე, რაც ხელს შეუშლის მაკლერს შემკვეთის ინტერესების განხორციელებაში. (სსკ-ის 750-ე მუხლი). ასეთი წესი მიმართულია შემკვეთის სასესხო ინტერესების დასაცავად.[193]

IV თავი

სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა

სასესხო ვალდებულების შეწყვეტა ნიშნავს გამსესხებელსა და მსესხებელს შორის სამართლებრივი ურთიერთობის მოსპობას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით. იმისათვის, რომ შესრულებამ გამოიწვიოს მხარეთა შორის სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობების შეწყვეტა, დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნები, კერძოდ „ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას“. იმ შემთხვევაში, თუკი სასესხო ვალდებულებები არაჯეროვნად შესრულდა, შეიძლება დადგეს დამატებითი სამართლებრივი პასუხისმგებლობა (ვადის გადაცილების შედეგად დამდგარი ზიანი, პროცენტი, პირგასამტეხლო და სხვა).

---

[193] რ. შენგელია, „თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება“, თბილისი, 1999. გვ. 42-43.

სესხის ხელშეკრულების ჯეროვანი შესრულება ძირითადად დაკავშირებულია კანონმდებლობით გათვალისწინებულ ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა შესრულების ვადა, შესრულების ადგილი და ა.შ.

სესხის დაბრუნების ვადა შეიძლება ზუსტად იყოს განსაზღვრული ხელშეკრულებით. შესრულების დროს ორგვარი მნიშვნელობა აქვს: კრედიტორისათვის მნიშვნელოვანია იმ აზრით, თუ როდიდანაა იგი უფლებამოსილი მოითხოვოს შესრულება, ხოლო მოვალისათვის მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც თუ როდიდანაა იგი ვალდებული განახორციელოს შესრულება. შესრულების დრო შეიძლება განისაზღვროს კანონით, მხარეთა შეთანხმებით, გამონაკლის შემთხვევაში ცალმხრივი ნების გამოვლენით, ანდა გამომდინარეობდეს სხვა გარემოებებიდან.

იმ შემთხვევაში, თუ სესხის დაბრუნების ვადა ზუსტადაა გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, მაშინ მსესხებელი ვალდებულია აღნიშნულ ვადაში დააბრუნოს სესხად მიღებული ფული ან სხვა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთი. თუ სესხის ხელშეკრულებით ვალის დაბრუნების ვადა განსაზღვრული არ არის, მაშინ ვალი დაბრუნებული უნდა იქნეს გამსესხებლის ან მსესხებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტისას. ასეთ შემთხვევებში ადგილი აქვს სესხის ხელშეკრულების ცალმხრივ შეწყვეტას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 626-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, განუსაზღვრელი ვადით დადებული სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის ვადად აღიარებულია სამი თვე. მაშასადამე, თუ სესხის ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ვალის დაბრუნების კონკრეტული კალენდარული თარიღი ან დროის მონაკვეთი (ვთქვათ, დეკემბრის თვეში ან იანვრის თვის ბოლოს და ა.შ.), გამსესხებელს შეუძლია ნებისმიერ დროს მოსთხოვოს მსესხებელს ვალის დაბრუნება. მსესხებელი კი ვალდებულია მოთხოვნიდან სამი თვის განმავლობაში დააბრუნოს ვალი. იგივე შეიძლება ითქვას მაშინაც, როცა მოვალეს თავისი ინიციატივით სურს ვალის დაბრუნება.

რაც შეეხება ვადიან ანუ განსაზღვრული ვადით დადებულ სესხის ხელშეკრულებას, შეიძლება დადგეს მისი ვადამდე შეწყვეტის საჭიროება გამსესხებლის ან მსესხებლის მხრიდან. ვადიანი სესხის ხელშეკრულებაში მოვალეს ვადის გასვლამდე ნებისმიერ დროს შეუძლია დააბრუნოს უპროცენტო სესხი. პროცენტიანი ვალის ვადაზე ადრე დაბრუნება კი შესაძლებელია მხარეთა წინასწარი შეთანხმებით. თუ გამსესხებელსა და მსესხებელს შორის არ არსებობს ასეთი შეთანხმება, მაშინ პროცენტიანი ვალის დაბრუნება ვადაზე ადრე მსესხებელს შეუძლია მხოლოდ გამსესხებლის თანხმობით, რადგან პროცენტიანი ვალის ადრე დაბრუნება, გამსესხებლისათვის პროცენტის სახით მისაღები შემოსავლის დაკლებას გამოიწვევს. სსკ-ის 154-ე მუხლის თანახმად, „ნივთის ნაყოფი არის ის შემოსავალი, ნამატი ან/და უპირატესობა, რომელსაც ეს ნივთი იძლევა. უფლების ნაყოფი არის ის შემოსავალი ან/და უპირატესობა, რაც მიიღება ამ უფლების გამოყენების შედეგად. ნივთის ან უფლების ნაყოფს წარმოადგენს აგრეთვე ის შემოსავალი და უპირატესობა, რომელთა მიღებასაც ეს ნივთი ან უფლება უზრუნველყოფს სამართლებრივი ურთიერთობის მეშვეობით“.

მაშასადამე, პროცენტი არის შემოსავლის ნაირსახეობა და თუკი მსესხებელი გამსესხებლის თანხმობის გარეშე ვადაზე ადრე დააბრუნებს პროცენტიან სესხს, გამსესხებელს სსკ-ის 411-ე მუხლის საფუძველზე წარმოეშვება მიუღებელი შემოსავლისათვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.[194]

თუ სესხი პროცენტიანია, პროცენტები გადახდილი უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. თუ სესხი წინასწარ არის ვადით განსაზღვრული, მაშინ ვალიც და პროცენტიც გადახდილი უნდა იქნეს ვადის დადგომისას (სსკ-ის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილი). სესხისათვის სარგებლის ოდენობა განისაზღვრება სასესხო თანხის განსაზღვრული პროცენტის სახით მთელი წლის მანძილზე გამოყენებისათვის. შესაძლებელია დადგენილი იქნეს ყოველთვიურად

[194] ზ. ახულედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001. გვ. 66.

გადასახდელი პროცენტის ოდენობაც, პროცენტის გადახდის წესის განსაზღვრა, ჩვეულებრივ ხდება გამსესხებელსა და მსესხებელს შორის შეთანხმებით. თუკი სესხის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის დადგენილი, მაშინ, სსკ-ის 626-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სესხის სარგებლობისათვის დადგენილი პროცენტი გადახდილ უნდა იქნეს ყოველი წლის გასვლის შემდეგ. იგულისხმება, რომ სესხის ხელშეკრულება დადებულია ერთ წელზე მეტი ხნის ვადით ან განუსაზღვრელი ვადით.

სესხის დაბრუნების დაყოვნება შეიძლება როგორც ვადიან, ისე უვადო ხელშეკრულებაშიც, რა თქმა უნდა, თუკი კრედიტორმა მოითხოვა სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა ან გავიდა ხელშეკრულების ვადა. სესხის დაბრუნების ვადის გადაცილება მოვალისათვის განსაზღვრულ უარყოფით შედეგებთანაა დაკავშირებული (სსკ-ის 403-ე, 404-ე, 417-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებები).

სესხის ხელშეკრულების შეწყვეტის კანონით დადგენილი სამთვიანი ვადა ყოველთვის სრულყოფილად ვერ გამოხატავს გამსესხებლის ინტერესებს, რადგან ამ ვადის დაცვის შემთხვევაში გამსესხებლისათვის სესხის დაბრუნება შეიძლება უპერსპექტივო გახდეს. ამიტომ სსკ-ის 627-ე მუხლი ითვალისწინებს ვალის დაუყოვნებლივ მოთხოვნის საფუძვლებს, კერძოდ: გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას. ეს უფლება მაშინაც არსებობს, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას, ხოლო გამსესხებლისათვის იგი ცნობილი გახდა მხოლოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ.

გამსესხებლის უფლებასთან — მოითხოვოს ვალის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება, მიმართებით მნიშვნელოვანია სსკ-ის 327 და 627-ე მუხლებით გათვალისწინებულ დებულებათა შედარებითი ანალიზი. სსკ-ის 327-ე მუხლის თანახმად, თუ ვალდე-

ბულების შესრულებისათვის მოვალის სასარგებლოდ დადგენილია რაიმე ვადა, კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს შესრულება, თუ მოვალე გადახდისუუნარო გახდა, ან შეპირებული უზრუნველყოფა შეამცირა, ანდა იგი საერთოდ ვერ წარმოადგინა".

მაშასადამე, როგორც სსკ-ის 627-ე, ისე სსკ-ის 367-ე მუხლში მოცემულია ვალდებულების ვადაზე ადრე შესრულების მოთხოვნის ისეთი სამართლებრივი საფუძველი, როგორიცაა მოვალის გადახდისუუნარობა, მაგრამ შესაძლებელია თუ არა, სესხთან მიმართებით გამოყენებული იქნეს ვადაზე ადრე ვალდებულების შესრულების ისეთი საფუძვლები, როგორიცაა მსესხებლის მიერ გამსესხებლისათვის შეპირებული უზრუნველყოფის საშუალების წარუდგენლობა ანდა უზრუნველყოფის საშუალების შემცირება? მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „A"-მ „B"-ს წერილობითი ხელშეკრულების საფუძველზე სესხად გადასცა 5000 ლარი ერთი წლის ვადით. შეთანხმების თანახმად, „B"-ს „A"-სთვის თანხის მიღებიდან 10 დღის ვადაში მფლობელობითი გირავნობის წესების შესაბამისად უნდა გადაეცა 8000 ლარად ღირებული საათი. „B"-მ სესხის მიღების შემდეგ აღარ გადასცა „A"-ს უზრუნველყოფის შეპირებული საშუალება. მიუხედავად იმისა, რომ მსესხებელი „B" არ არის გადახდისუუნარო, „A"-მ დაუყოვნებლივ მოითხოვა ვალის დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ მსესხებელმა აღარ გადასცა გირაოდ შეპირებული საათი. აქვს თუ არა გამსესხებელს ამ შემთხვევაში სესხის ვადაზე ადრე დაბრუნების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ მსესხებელი არ არის გადახდისუუნარო? აღნიშნული შემთხვევის სწორი გადაწყვეტისათვის საჭიროა განვსაზღვროთ, სსკ-ის 627-ე მუხლი არის სპეციალური ნორმა ანუ სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით ვადაზე ადრე დაბრუნების მოთხოვნა გამოიყენება მხოლოდ მსესხებლის გადახდისუუნარობის შემთხვევაში, თუ შესაძლებელია გამოვიყენოთ აგრეთვე სსკ-ის 367-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ორი საფუძველიც? ვფიქრობთ, რომ სსკ-ის 627-ე მუხლი არ არის სპეციალური ნორმა, ამიტომაც გამსესხებლის მიერ სესხის ხელშეკრულების

ვადაზე ადრე შეწყვეტასთან მიმართებით შესაძლებლად მიგვაჩნია გამოყენებულ იქნეს როგორც სსკ-ის 627-ე,ისე სსკ-ის 367-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლები. ჩვენი მოსაზრება ემყარება შემდეგ გარემოებებს: მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებები ვალდებულების ჯეროვანი შესრულების საშუალებებია, განსაკუთრებით კი გირავნობა და იპოთეკა. მათი თავისებურება იმაშია, რომ ისინი გარანტირებულს ხდიან ვალდებულების შესრულებას მისი დარღვევის შემთხვევაში და სწორედ ამ მიზანმიმართულებით ხასიათდებიან. ისინი მთლიანად შესრულების ფუნქციით არიან დაკავებულნი და არ წარმოადგენენ რაიმე დამატებით საჯარიმო ხასიათის დატვირთვებს მოვალისათვის. ჩვენს მაგალითში, მოვალეს – „B"-ს უნდა წარედგინა გირაოს სახით 8000 ლარად ღირებული საათი. მსესხებელმა არ შეასრულა ვალდებულება. მართალია, მსესხებელი ამ დროისათვის არ არის გადახდისუუნარო, მაგრამ 12 თვის შემდეგ, როდესაც დადგება სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის დაბრუნების მომენტი, გამსესხებელს არანაირი გარანტია არა აქვს იმისა, რომ ამ დროისათვის მსესხებელი „B" კვლავ გადახდისუნარიანი იქნება. გამსესხებელს იმიტომაც სჭირდებოდა დაგირავებული საათის მფლობელობაში მიღება, რომ გარანტირებული გაეხადა მსესხებლის მიმართ ვალის დაბრუნების მოთხოვნა, თუკი მომავალში მსესხებელი გადახდისუუნარო გახდებოდა. ამიტომაც, თუკი მსესხებელი არ გადასცემს გამსესხებელს შეპირებულ უზრუნველყოფის საშუალებას, მიუხედავად იმისა, რომ მსესხებელი არ არის გადახდისუუნარო, გამსესხებელს უნდა მიენიჭოს მსესხებლის მიმართ სესხის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება, მიუხედავად იმისა, რომ სსკ-ის 623-628-ე მუხლებით ეს პირდაპირ გათვალისწინებული არ არის.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ჯეროვან შესრულებაში განსაზღვრული მოვალეობები გამსესხებელსაც ეკისრება. იგი ვალდებულია ხელი შეუწყოს მოვალეს თავისი ვალდებულების შესრულებაში. გამსესხებლის უპირველესი მოვალეობაა დროულად მიიღოს შესრულება. სსკ-ის 390-ე მუხლის

თანახმად, კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად ითვლება, თუ იგი არ იღებს მისთვის შემოთავაზებულ შესრულებას, რომლის ვადაც დამდგარია. თუ კრედიტორი გადააცილებს შესრულების მიღების ვადას დადგება სსკ-ის 391-ე, 393-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები.

იმ შემთხვევაში, თუკი გამსესხებელი აყოვნებს შესრულების მიღებას ან უცნობია მისი ადგილსამყოფელი, მსესხებელი უფლებამოსილია სსკ-ის 434-ე მუხლის თანახმად, შესრულების საგანი შეინახოს სასამართლოსა ან ნოტარიატში. ხოლო ფული ან ფასიანი ქაღალდები შეიტანოს ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე. დეპონირებით მოვალე თავისუფლდება კრედიტორის წინაშე ვალდებულებებისაგან.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალის უკან დაბრუნების ვალდებულება უნდა შესრულდეს სათანადო ადგილას. ვალდებულების შესრულების ადგილია ის ადგილი, სადაც მოვალე ახორციელებს ვალდებულების შესასრულებელ ბოლო მოქმედებას. სესხის დაბრუნება ხდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადგილას, რადგან სესხის ხელშეკრულების საგანს ძირითადად წარმოადგენს ფული, ამიტომაც შესრულების ადგილის საეჭვოობისას გამოიყენება არა სსკ-ის 362-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნები, არამედ სსკ-ის 386-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები, კერძოდ, შესრულების ადგილის საეჭვოობისას ვალი დაბრუნებული უნდა იქნეს გამსესხებლის ადგილსამყოფელის (საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამაროთი) მიხედვით. თუ გამსესხებელს აქვს ფულის ჩარიცხვისათვის გამიზნული საბანკო ანგარიში იმ ადგილას ან იმ ქვეყანაში, სადაც გადახდა უნდა მოხდეს, მაშინ მოვალეს შეუძლია ამ ანგარიშზე ჩარიცხვით შეასრულოს თავისი ფულადი ვალდებულება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა გამსესხებელი ამის წინააღმდეგია. ვალდებულება შესრულების გზით შეწყვეტილად ითვლება მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა ფული ჯდება კრედიტორის ანგარიშზე და მას შესაძლებლობა ექნება განკარგოს ეს თანხა.

სესხის ხელშეკრულების დადებიდან ვალის დაბრუნებამდე პერიოდში კრედიტორმა ან მოვალემ შეიძლება შეიცვალონ ადგილსამყოფელი. თუ ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულების წინ იცვლება მსესხებლის საცხოვრებელი ადგილი ან საწარმოს ადგილსამყოფელი და გამსესხებელს ამის გამო წარმოეშობა დამატებითი ხარჯები, მსესხებელმა ეს ხარჯები უნდა აუნაზღაუროს გამსესხებელს. თუ ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულებამდე იცვლება გამსესხებლის საცხოვრებელი ადგილი ან იურიდიული მისამართი, და ამის გამო იზრდება ხარჯები ან საფრთხე ექმნება შესრულებას, მაშინ გამსესხებელს ეკისრება როგორც გაზრდილი ხარჯების ანაზღაურება, ასევე საგნის გადაცემის მოსალოდნელი საფრთხის რისკიც.

სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების ადგილს დიდი მნიშვნელობა ენიჭება საპროცესო სამართალშიც. ასე მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულება შეიძლება მოხდეს არა მხოლოდ გამსესხებლის, არამედ მესამე პირის მიმართაც (ახალი კრედიტორი). ასევე მსესხებლის ნაცვლად ვალის დაბრუნების ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც.

V თავი

პირთა შეცვლა სასისხო ვალდებულებებში

ვალდებულების შესრულების სუბიექტები არიან ის პირები, რომლებიც ასრულებენ ვალდებულებას ან იღებენ შესრულებას. ვალდებულების შესრულების სუბიექტები შეიძლება არ დაემთხვეს ვალდებულების სუბიექტებს. ვალდებულების სუბიექტები ყოველთვის არიან კრედიტორი და მოვალე, ვალდებულება კი მოვალის ნაცვლად შეიძლება შეასრულოს სხვა პირმა და შესრულება მიიღოს არა კრედიტორმა, არამედ სხვამ.[195] როგორც წესი, მოვალე თვითონ ასრულებს ვალდებულებას, მაგრამ კრედიტორს შეიძლება შესრულება შესთავაზოს სხვა, მესამე პირმაც, რომელიც არ არის მოცემული ვალდებულებითი ურთიერთობის მონაწილე.[196]

სამოქალაქო სამართალი, კერძოდ, ვალდებულებითი სამართალი ითვალისწინებს იმის შესაძლებლობასაც, რომ ზოგჯერ კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეუსრულებს მას მოვალეობას – მოვალე თუ სხვა, მესამე პირი. მისთვის მთავარია მიიღოს შესაბამისი დაკმაყოფილება (მაგ., დაუბრუნდეს ვალი). გარდა ამისა, არ შეიძლება იმის უარყოფაც, რომ სულ უფრო და უფრო მეტად წარმოიშობა ისეთი ვალდებულებები, რომლის ჯეროვნად შესრულება ერთი პირის ძალით შეუძლებელია. ამა თუ იმ სამეურნეო ამოცანების გადასაწყვეტად ზოგჯერ საჭიროა მოვალის მხრიდან მრავალრიცხოვანი და სხვადასხვაგვარი მოქმედებების შესრულება, ამიტომაც თვითონ კრედიტორია დაინტერესებული, რომ ეს მოქმედებები შეასრულოს სხვადასხვა პირმა, რომლებსაც ამისათვის საკმარისი პროფესიული თვისებები გააჩნიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, თუ კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალ-

---

[195] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001. გვ. 40.

[196] Diter Medicus – Schuldrecht. / Allgemeiner Teil. 14. neubearbaitete Auflage. Verlag C.H. Beck. München, 2003. S. 208-209.

დებულების ბუნებიდან არ გამომდინარეობს, რომ მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ეს ვალდებულება შეიძლება შეასრულოს მესამე პირმაც. ასეთ შემთხვევაში კრედიტორი ვალდებულია მიიღოს მოვალის ნაცვლად მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება.

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი მოიცავს სამი სახის სამართალურთიერთობას. პირველ ჯგუფში შედის მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევები; მეორე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება ნებაყოფლობით; მესამე ჯგუფში შედის მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შემთხვევები ნორმატიული აქტების ძალით.

მესამე პირისათვის მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების დაკისრების საფუძველს შეიძლება წარმოადგენდეს სხვადასხვა იურიდიული ფაქტი. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ იურიდიულ ფაქტებს შორის გაბატონებული მდგომარეობა უკავია გარიგებას და, პირველ რიგში, ხელშეკრულებას. ყველაზე ტიპური შემთხვევებია, როცა მესამე პირი თვითონ არის კრედიტორის მოვალის მოვალე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მესამე პირი თვითონ არის მოვალის მოვალე, ანუ დებიტორი სხვა სამართალურთიერთობაში. რისთვის სჭირდება მოვალეს მიიღოს შესრულება თავისი დებიტორისაგან (მოვალისაგან), თუ შემდეგ თვითონ უნდა გადასცეს ეს შესრულება კრედიტორს? უფრო მარტივია, რომ მან მისცეს მითითება თავის დებიტორს, ანუ მესამე პირს, რომ მან შესრულება განახორციელოს კრედიტორის მიმართ. სწორედ აქ ვლინდება მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების ერთ-ერთი მთავარი საფუძველი — ხელშეკრულება.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მესამე პირის მხრიდან მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება დაიშვება, თუკი კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ასე, მაგალითად, სსკ-ის 711-ე მუხლის 1-ლი

ნაწილის თანახმად, რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის ანდა იძულებულია ასე მოიქცეს შექმნილი ვითარების გამო. თუ ხელშეკრულებაში საგანგებოდ იქნება დათქმული, რომ მხოლოდ მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება, ასეთ შემთხვევებში მან შესრულება პირადად უნდა განახორციელოს. ზოგჯერ ხელშეკრულებაში შეიძლება ასეთი დათქმა არც კი იყოს, მაგრამ ეს გამომდინარეობდეს თვით ვალდებულების ბუნებიდან (მაგ., სურათის დახატვა ცნობილი მხატვრის მიერ). კრედიტორს შეუძლია ასევე არ მიიღოს მესამე პირისაგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია.

მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულება ხდება, როგორც წესი, მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმებით. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, ასეთი შეთანხმებისათვის კრედიტორის თანხმობა საჭირო არ არის, რამეთუ მოვალესა და მესამე პირს შორის შესრულების დაკისრების შესახებ შეთანხმების ფაქტი არ ხელყოფს კრედიტორის ინტერესებს, მისი მოთხოვნის უფლება განისაზღვრება არა ამ შეთანხმებით, არამედ მისი მოვალესთან შეთანხმებით. თუნდაც, თუკი მესამე პირი შეუდგება მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულებას, ეს არ უსპობს კრედიტორს არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში დააკისროს პასუხისმგებლობა მოვალეს. თუკი მოვალის მიერ შესასრულებელი ვალდებულება ატარებს პირად ხასიათს, ასეთი სახის ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ კრედიტორის თანხმობის გარეშე, ჩაითვლება როგორც ვალდებულების არაჯეროვანი შესრულება.

იურიდიულ ლიტერატურაში მოყვანილია მაგალითები, როდესაც არ დაიშვება მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება.[197] მაგალითის სახით შეიძლება

[197] Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право. Книга первая, М., 2000. С. 377.

მოვიყვანოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 766-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევა, კერძოდ, „შემნახველს არა აქვს უფლება ნივთი შესანახად გადასცეს მესამე პირს მიმბარებლის თანხმობის გარეშე“. ერთი შეხედვით, თუკი არ არსებობს მიმბარებლის თანხმობა ნივთის მესამე პირისათვის შესანახად გადაცემის შესახებ, ეს უნდა ჩაითვალოს მიბარების ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შემნახველის ვალდებულების უხეშ დარღვევად. თუმცა ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ შემნახველი არღვევს რა მიმბარებლის წინაშე ვალდებულებას, ამით ავტომატურად წყდება შემნახველსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულება? ხომ არ დაირღვევა ასეთი მიდგომით მესამე პირის უფლებები მოვალის მიმართ? ხომ არ ერთმევა ამით კეთილსინდისიერ მესამე პირს თავისი უფლებების დაცვის კანონით მინიჭებული შესაძლებლობები მასა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულების ავტომატურად შეწყვეტით იმის გამო, რომ მოვალემ დაარღვია კრედიტორის წინაშე თავისი ვალდებულებები? ჩაითვლება თუ არა მართლზომიერად მიმბარებლის უარი მიბარების ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკან მიიღოს ჯეროვან მდგომარეობაში არსებული შესანახად ჩაბარებული საქონელი მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ მისთვის მხოლოდ ახლაღა გახდა ცნობილი მესამე პირისათვის მისი თანხმობის გარეშე შემნახველის მხრიდან საქონლის შესანახად გადაცემის ფაქტი? რა გავლენას ახდენს კრედიტორის მიერ შემდგომი მოწონება მესამე პირისათვის მოვალის მხრიდან შესრულების დაკისრებაზე, როცა შესრულება უნდა განეხორციელებინა პირადად მოვალეს? ყველა ეს კითხვა პასუხის გაცემას საჭიროებს. სწორი პასუხის საფუძვლად უნდა მივიჩნიოთ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან ერთად აგრეთვე ის პრინციპიც, რომ შესრულების პოტენციური შესაძლებლობა თავისთავად არ წარმოადგენს მოვალესა და მესამე პირს შორის შეთანხმების კანონიერების სავალდებულო მოთხოვნას (გარდა აბსოლუტური შეუძლებლობისა, რომელიც ყველასათვის გამორიცხავს ზოგადად ვალდებულების

შესრულების შესაძლებლობას),[198] ანუ მოვალეს უფლება აქვს ნებისმიერ შემთხვევაში შეუთანხმდეს მესამე პირს ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. ამასთან, კრედიტორის ინტერესი, რომ მოვალემ პირადად შეასრულოს ვალდებულება, დაცულ უნდა იქნეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კრედიტორსა და მოვალეს შორის დადებული ხელშეკრულების მიზანი ვერ იქნება მიღწეული. მაგრამ კეთილსინდისიერი მესამე პირის ინტერესიც უნდა იქნეს დაცული. ამიტომაც მიგვაჩნია, რომ ავტომატურად არ უნდა შეწყდეს მოვალის მიერ თავისი ვალდებულების მესამე პირისათვის შესრულების დაკისრების ხელშეკრულება მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვალდებულება მოვალეს პირადად უნდა შეესრულებინა. ერთი და მეორე ხელშეკრულების შენარჩუნების შემთხვევაში როგორც კრედიტორს, ისე მესამე პირს შეუძლიათ გამოიყენონ კანონით მინიჭებული ხელშეკრულების დარღვევასთან დაკავშირებული დაცვის საშუალებები. კრედიტორს უფლება აქვს არ მიიღოს არაჯეროვანი შესრულება, ხოლო მესამე პირსაც მოვალესთან დადებული ხელშეკრულებით თავისი უფლებების დარღვევის შემთხვევაში შეუძლია მოითხოვოს უფლებების დაცვა.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები შესაბამის მუხლში, რომელიც შეეხება მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, აწესრიგებენ მხოლოდ იმ შემთხვევებს, როდესაც კრედიტორს არა აქვს მესამე პირისაგან შემოთავაზებულ შესრულების მიღებაზე უარის თქმის უფლება, მაგრამ არაფერს ამბობენ მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესაძლებლობის თუ დაუშვებლობის შესახებ.[199]

მესამე პირისათვის მოვალის მხრიდან ვალდებულების შესრულების საკითხთან დაკავშირებული კიდევ ერთი პრობლემა შეეხება რეალურ ხელშეკრულებებს. მაგალითის სახით მოვიყვანოთ

---

[198] Towards European Civil Code / Ed by M.W. Hesselnik, E.H. Hondius, J.R.M. Vranken. Dordrecht. Boston. London, 1994. p. 169-170.

[199] Principles of European Contract Law. Parts I and II / Ed. by Ole Lando, Hugh Beale. The Haque, London, Boston, 2000, P. 338.

სესხის ხელშეკრულების კონსტრუქცია, რომელიც წარმოადგენს ცალმხრივ მავალდებულებელ რეალურ ხელშეკრულებას. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლის თანახმად, „სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემ მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი".

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სამოქალაქო ბრუნვის ორ მონაწილეს სურს ერთმანეთთან დადოს სესხის ხელშეკრულება, მიაღწიეს შეთანხმებას ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე, თუმცა კი ფაქტობრივად მსესხებელს ფულად თანხას გადასცემს არა გამსესხებელი, არამედ მისი დავალებით მესამე პირი. ამასთან, სესხის ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ერთიანი დოკუმენტის სახით წერილობითი ფორმით და ხელმოწერილია მხარეების მიერ, ნათლად ადასტურებს სესხის ხელშეკრულების დადების განზრახვას ზუსტად იმ პირებს შორის, ვინც გააფორმა და ხელი მოაწერა მას.

იქიდან გამომდინარე, რომ სესხის ხელშეკრულება რეალური სახისაა, ამიტომაც ფულის ან ნივთის მსესხებლის საკუთრებაში გადაცემამდე გამსესხებელს არანაირი უფლებები არ გააჩნია და მსესხებელთან არ იმყოფება ვალდებულებით ურთიერთობებში. რამეთუ სესხის ხელშეკრულება არის ცალმხრივი ხასიათის, ამიტომაც გამსესხებელს მსესხებლის წინაშე არანაირი ვალდებულებები არ ეკისრება. ამიტომაც, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 371-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შინაარსიდან გამომდინარე, ამ შემთხვევაში გამსესხებლის მიერ მესამე პირისათვის მსესხებლისათვის სესხის გადაცემის ვალდებულების დაკისრება შეუძლებელია, რამეთუ არანაირი ვალდებულება, რომლის შესრულებაც შეიძლება დაეკისროს მესამე პირს, არ არსებობს, ხოლო გამსესხებელი კი არ წარმოადგენს მსესხებლის მოვალეს.

სამოქალაქო ბრუნვაში მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება კრედიტორისათვის შეიძლება

ცნობილი გახდეს სხვადასხვაგვარი ფორმით. ყველაზე უფრო გავრცელებული შემთხვევებია, როდესაც მესამე პირი შესაბამის დოკუმენტებში (საგადასახადო დავალება, ზედნადები, მიღება-ჩაბარების აქტი და ა.შ.) მიუთითებს იმის შესახებ, რომ შესრულება ხდება მოვალის ნაცვლად. გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მესამე პირი ან თვითონ მოვალე წერილობით ატყობინებენ კრედიტორს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შესახებ. შეთანხმების არაჯეროვანი გაფორმება ხშირად ხდება დავის საფუძველი. ამიტომაც დავის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილი იქნება, თუკი სამოქალაქო ბრუნვის მონაწილენი მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების შემთხვევაში კრედიტორს გაუგზავნიან წერილობით შეტყობინებას, სადაც მითითებულ იქნება ზუსტად და ამომწურავად იმ ვალდებულების შესახებ, რომელიც დაეკისრა მესამე პირს, ასევე მესამე პირის ზუსტი სახელი, იურიდიული ფაქტი (გარიგება, დელიქტი, უსაფუძვლო გამდიდრება და ა.შ.), რომლიდანაც წარმოიშვა შესაბამისი ვალდებულება და სხვა მონაცემები. ამით შემდგომში თავიდან იქნებოდა აცილებული ყოველგვარი გაურკვევლობა. იბადება კითხვა: ვალდებულია თუ არა კრედიტორი, შეამოწმოს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების ფაქტი?

ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე, კეთილსინდისიერი კრედიტორი არ არის ვალდებული შეამოწმოს მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების ფაქტის სისწორე. ამასთან, მხედველობაშია მისაღები, რომ, თუკი შესრულების მიღებისას კრედიტორმა არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა მოვალის მიერ მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრების ფაქტის არარსებობა, კრედიტორის მიერ ასეთი შესრულების მიღებამ არ შეიძლება მისთვის გამოიწვიოს ნეგატიური შედეგები და მას მაინც რჩება არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში მოვალის მიმართ თავისი უფლებების დაცვის კანონით მინიჭებული საშუალებების გამოყენების შესაძლებლობა.

საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა ერთადერთ შემთხვევაში აძლევს მესამე პირს უფლებას საკუთარი სურვილით საკუთარი ინტერესების დასაცავად (proprio motu) შეასრულოს ვალდებულება მოვალის ნაცვლად. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, „თუ კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის კუთვნილ ნივთზე, მაშინ ყოველი პირი, რომელსაც ექმნება საფრთხე, რომ იძულებითი აღსრულებით შეიძლება დაკარგოს უფლება ამ ნივთზე, უფლებამოსილია დააკმაყოფილოს კრედიტორი. თუ მესამე პირი დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე“.[200]

მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება, თეორიული თვალსაზრისით, შეიძლება დაშვებულ იქნეს კანონმდებლობით რაიმე შეზღუდვის გარეშე, ანდა შეიზღუდოს გარკვეული პირობებით. არ შეიძლება, რომ იურიდიული მნიშვნელობა არ მიენიჭოს მესამე პირის მიერ განხორციელებული შესრულების მიმართ მოვალის დამოკიდებულებას.

ვალდებულების შესრულებაში კრედიტორის დაინტერესების პრეზუმფციიდან გამომდინარე, შეიძლება გამოვყოთ მოვალის თანხმობის არსებობის ან არარსებობის შესაბამისად მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების შესაძლებლობის სამი კონცეფცია: ა) პროკრედიტორული; ბ) პრომოვალური; გ) მაბალანსირებელი.

ვალდებულებით სამართალში პროკრედიტორულ კონცეფციას იზიარებს მრავალი განვითარებული ქვეყნის კანონმდებლობა. ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებაზე საჭირო არ არის. უფრო მეტიც, მესამე პირს შეუძლია შეასრულოს მოვალის ნაცვლად ვალდებულება იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მოვალე ამის წინააღმდეგია ანდა უცნობია მისი ადგილსამყოფელი. შესაბამისად, კრედიტორს უფლება აქვს მიიღოს ასეთი შესრულება, რომელიც იწვევს მოვალის მი-

[200] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

მართ ვალდებულების შეწყვეტას. ამგვარად, პროკრედიტორული კონცეფცია სრულ იგნორირებას უკეთებს მოვალის ნება-სურვილს, რომლის უარიც, მესამე პირის მიერ მის ნაცვლად ვალდებულების შესრულებაზე, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს მხოლოდ კრედიტორის მიერ. კრედიტორს შეუძლია არ მიიღოს მესამე პირისგან შემოთავაზებული შესრულება, თუ მოვალე ამის წინააღმდეგია, ასეთ შემთხვევაში კრედიტორი არ ჩაითვლება ვადის გადამცილებლად. ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად პროკრედიტორული პოზიცია უკავია ლატვიის სამოქალაქო კოდექსს, კერძოდ, 1815-ე მუხლში აღნიშნულია, რომ, თუკი ვალდებულების შესრულება ატარებს მკაცრად განსაზღვრულ პირად ხასიათს, მაშინ ვალდებულება უნდა შესრულდეს უშუალოდ მოვალის მიერ. ყველა სხვა შემთხვევაში ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ. ავსტრიის სამოქალაქო კოდექსის 1423-ე მუხლის თანახმად, მოვალის თანხმობა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო არ არის. კრედიტორის უფლებაზე, არ მიიღოს მესამე პირის მიერ შეთავაზებული შესრულება, თუკი მოვალე ამის წინააღმდეგია, არაფერია ნათქვამი. გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 267-ე პარაგრაფი განსაზღვრავს, რომ, თუკი მოვალე ვალდებული არ არის პირადად შეასრულოს ვალდებულება, მაშინ ვალდებულება შეიძლება შესრულდეს მესამე პირის მიერ. მოვალის თანხმობა საჭირო არ არის. აქვე დადგენილია, რომ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას შესრულების მიღებაზე, თუკი მოვალე ამის წინააღმდეგია. ანალოგიური პრინციპია განმტკიცებული ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსში. კერძოდ, მე-6 წიგნის 30-ე მუხლში აღნიშნულია, რომ კრედიტორის მიერ ვადის გადაცილებად არ ჩაითვლება მესამე პირის მიერ შეთავაზებული შესრულების მიღებაზე უარის თქმა, თუკი მოვალე ამის წინააღმდეგია. თუმცა ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 73-ე მუხლის თანახმად, ჰოლანდიის სამართლებრივი სისტემა მიეკუთვნება იმ ქვეყნების რიცხვს, რომლებიც იზიარებენ მაბალანსირებელ კონცეფციას, რამეთუ ზემოთ აღნიშნული

წესი არ გამოიყენება, თუკი მესამე პირს გააჩნია მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი. პროკრედიტორულ კონცეფციას იზიარებს თითქმის ყველა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის სამოქალაქო კოდექსი.[201]

პრომოვალური კონცეფცია ძირითადად იცავს მოვალის ინტერესებს, მოითხოვს რა მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის მოვალის აუცილებელ თანხმობას ან მოწონებას. ეს მიდგომა ზოგიერთი გამონაკლისის გათვალისწინებით ყველაზე გავრცელებულია საერთო სამართლის ქვეყნებში. ინგლისურ სამართალში მოვალის თანხმობის გარეშე შესრულება არ დაიშვება. მესამე პირის მიერ თანხის გადახდა მხოლოდ იმ შემთხვევაში ათავისუფლებს მოვალეს ვალდებულებისაგან, თუკი მესამე პირს ამის შესახებ ჰქონდა მოვალისაგან წინასწარი თანხმობა ანდა გადახდა შემდგომში მოწონებულ იქნება.[202]

მაბალანსირებელი კონცეფცია მიზნად ისახავს შესაბამის სამართალურთიერთობაში მონაწილე სამივე პირის ინტერესების დაცვას და აგებულია გარკვეულ კომპრომისზე. ის შეიძლება ზოგადად დაყოფილ იქნეს სამ ძირითად მიდგომად:

პირველი მიდგომის არსი მდგომარეობს იმაში, რომ მესამე პირს შეუძლია შეასრულს მოვალის ნაცვლად ვალდებულება, ხოლო კრედიტორი ვალდებულია მიიღოს შესრულება, თუკი მესამე პირს აქვს სხვისი ვალდებულების შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი. ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები (მუხლი 7:106) ავალდებულებენ კრედიტორს მიიღოს მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე ვალდებულების ჯეროვანი შესრულება იმის მიხედვით, გააჩნია თუ არა მესამე პირს შესრულების მიმართ კანონიერი ინტერესი, შეასრულებდა თუ არა მოვალე ვალდებულებას ანდა, ცხადია, რომ იგი ვერ

---

[201] Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право. Книга первая. М., 2000. С. 379.

[202] Principles of European Contract Law. Parts I and II / Ed. by O. Lando, H. Beale. The Haguem London, Boston, 2000. P. 340.

შეასრულებდა ვალდებულებას დათქმულ ვადაში.

მეორე მიდგომა მდგომარეობს იმაში, რომ მოვალეს შეუძლია შეეწინააღმდეგოს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, თუკი მოვალე დაამტკიცებს, რომ ასეთი შესრულებით მას ზიანი ადგება.

მესამე მიდგომა დაკავშირებულია სუბროგაციის[203] არარსებობასთან, თუკი შესრულება განხორციელდა მესამე პირის მიერ მოვალის თანხმობის გარეშე (ბელგიის სამოქალაქო კოდექსის 1236-ე მუხლი). დამზღვევის უფლების გადასვლა ზიანის ანაზღაურების შესახებ მზღვეველზე გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 832-ე მუხლით.

მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების განსაკუთრებულ შემთხვევებს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დავალების გარეშე სხვისი საქმეების შესრულება, კერძოდ, სსკ 969-ე მუხლის თანახმად, პირი (შემსრულებელი), რომელიც დავალების ან სხვა საფუძვლის გარეშე ასრულებს სხვა პირის (მეპატრონის) საქმეებს, ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა – კრედიტორის დაკმაყოფილება მესამე პირის მიერ – წარმოადგენს სპეციალურ ნორმას, რამეთუ ამ შემთხვევაში მოვალის თანხმობა (არც წინასწარი და არც შემდგომი) საჭირო არ არის, იწვევს განსაკუთრებულ სამართლებრივ შედეგებს. კერძოდ, მესამე პირის მხრიდან კრედიტორის დაკმაყოფილების შედეგად წყდება მოვალესა და კრედიტორს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა. სამაგიეროდ კანონის ძალით, კრედიტორის მოთხოვნის უფლება გადადის მესამე პირზე, მოვალე კი არ თავისუფლდება, არამედ ახალი კრედიტორის წინაშე აღმოჩნდება ვალდებული. ამიტომაცაა, რომ კანონმდებელი ლაპარაკობს „კრედიტორის დაკმაყოფილებაზე“ და არა „ვალის გადახდის

[203] სუბროგაცია – დამზღვევის უფლების გადასვლა ზიანის ანაზღაურების შესახებ მზღვეველზე.

მიზნით შესრულებაზე". ანალოგიური მოსაზრებაა გამოხატული გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 268-ე პარაგრაფში.[204]

უფრო ფართო მიდგომაა ამ საკითხთან დაკავშირებით ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში, სადაც აღნიშნულია, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად განხორციელებული შესრულების მიღება კრედიტორისათვის სავალდებულოა, თუკი მესამე პირს ამ შესრულების მიმართ გააჩნია თავისი კანონიერი ინტერესი და მოვალე ვერ შეასრულებდა ვალდებულებას საერთოდ ანდა დათქმულ ვადაში. აქ არ არის საუბარი მხოლოდ ისეთ გარემოებაზე, როგორიცაა მოვალის ქონებაზე იძულებითი აღსრულების მიქცევა. აქ საუბარია ზოგადად მესამე პირის კანონიერ ინტერესებზე. ასეთი ინტერესი ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით შეიძლება გამოიხატოს შემდეგ შემთხვევებშიც:

ა) თავდების მიერ ძირითადი მოვალის ნაცვლად ვალის გადახდა, რათა თავიდან აიცილოს ზედმეტი სასამართლო ხარჯები, რომელიც შეიძლება წარმოიშვას მოვალის ქონების იძულებითი რეალიზაციისას.

ბ) ოჯახის ინტერესებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მეუღლის მიერ მეორე მეუღლის ვალის გადახდა.

გ) ძირითადი საწარმოს მიერ შვილობილი საწარმოს ვალის გადახდა ამ უკანასკნელის გადახდისუნარიანობის შესანარჩუნებლად.[205]

მაშასადამე, ჩვენ მიერ ზემოთ განხილული მესამე პირის კანონიერი ინტერესის ცნება გაცილებით უფრო ფართოა, ვიდრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომელიც შეეხება მხოლოდ იძულებით აღსრულებასთან დაკავშირებულ მესამე პირის ინტერესს.

---

[204] Гражданский Кодекс Германии в 2-х томах, науч. ред. Елиссев И.В., СПб, 2005.

[205] Principles of European Contract Law. Parts I and II / Ed. by O. Lando, H. Beale, The Haguem London, Boston, 2000. P. 342.

პრაქტიკული თვალსაზრისით მეტად მნიშვნელოვანია, თუ რა მომენტიდან დგება მესამე პირისათვის იძულებითი აღსრულების შემთხვევაში მოვალის ნივთზე თავისი უფლებების დაკარგვის საფრთხე. ქონებაზე უფლებების დაკარგვა ხდება მაშინ, როდესაც იძულებითი აღსრულების შედეგად შემძენი შეიძენს ქონებაზე საკუთრების უფლებას. როგორც წესი, იძულებითი აღსრულება ხდება აუქციონის გზით. აუქციონზე ქონების შეძენა კი წარმოშობს სამოქალაქო კოდექსის 285-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ შედეგს, კერძოდ: „გირაოს მართლზომიერი გასხვისებით და გადაცემით შემძენზე გადადის დაუტვირთავი საკუთრება“.[206] იძულებითი აღსრულების შედეგად ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობა წარმოადგენს საკუთრების უფლების წარმოშობის თავდაპირველ და არა წარმოებულ საშუალებას.

მოვალის ქონებაზე უფლების დაკარგვის საფრთხე, თუკი კრედიტორი მიმართავს იძულებით აღსრულებას, მესამე პირისათვის ყოველთვის არსებობს, რამეთუ მოვალეს შეიძლება ჰქონდეს რაიმე ვალი. მოვალე კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მთელი თავისი ქონებით, გარდა იმისა, რომელზეც საქართველოს კანონის „აღსრულების შესახებ“, 45-ე მუხლის თანახმად, არ შეიძლება გადახდევინების მიქცევა. იმის გამო, რომ სამოქალაქო და განსაკუთრებით სავაჭრო ბრუნვაში ესა თუ ის სუბიექტი პერმანენტულად არის დაკავშირებული ვალდებულებებით სხვა სუბიექტთან, თითქოს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მოვალის ქონებაზე მესამე პირის უფლების წარმოშობის მომენტშივე წარმოიქმნება საფრთხე, რომ მოვალე თავის კრედიტორს არ შეუსრულებს რაიმე ვალდებულებას და კრედიტორიც მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის იმ ქონებაზე, რომელიც დატვირთულია მესამე პირის უფლებებით. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა სწორი არ იქნება. შესაბამისად, მოვალის ქონებაზე მესამე პირის უფლებების დაკარგვის საფრთხის წარმოშობის მომენტი განისაზღვრება სხვა საფუძვლებით.

---

[206] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

შეიძლება თუ არა, რომ საფრთხის წარმოშობის მომენტი განისაზღვროს მოვალის მიერ შესრულების ვადის გადაცილების მომენტით? ვფიქრობთ, ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხი უნდა გავცეთ, რამეთუ საფრთხის საშიშროების ხარისხი არცთუ ისე დიდია, რომ უკვე ვისაუბროთ მესამე პირის მიერ მოვალის ქონებაზე უფლებების დაკარგვის შესახებ. მოვალის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა დათქმულ ვადაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ კრედიტორი აუცილებლად მიმართავს იძულებით აღსრულებას მოვალის იმ ქონებაზე, რომელზეც უფლებები მესამე პირს ეკუთვნის.

მოვალის ქონებაზე გადახდევინების მიქცევა და იძულებითი აღსრულების საკითხები მოწესრიგებულია სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, სააღსრულებო წარმოებით. ჩვენი აზრით, მესამე პირის მოვალის ნივთზე უფლებების დაკარგვის საფრთხის წარმოშობის მომენტად უნდა ჩაითვალოს არა სააღსრულებო წარმოების აღძვრა, არამედ სასამართლო აღმსრულებლის მიერ მოვალის კუთვნილი იმ ნივთების აღწერა და დაყადაღება, რომლის მიმართაც მესამე პირს გარკვეული უფლებები გააჩნია.

სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლის თანახმად, როდესაც მესამე პირი მოვალის ნაცვლად დააკმაყოფილებს კრედიტორს, მაშინ მოთხოვნის უფლება გადადის ამ პირზე. ამ შემთხვევაში თეორიული თვალსაზრისით, კრედიტორის უფლებების გადასვლა მესამე პირზე წარმოადგენს გარკვეულ ანომალიას, რამეთუ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 427-ე მუხლის თანახმად, „ვალდებულებითი ურთიერთობა წყდება კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით (შესრულება)“.[207] მაშინ იბადება კითხვა, თუ რა უფლება გადადის მესამე პირზე კრედიტორისაგან, რომლის მოთხოვნაც დაკმაყოფილებულია? შესაბამისად სსკ-ის 372-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა წარმოადგენს Lex specialis და მიზნად ისახავს იმ მესამე პირის უფლებე-

[207] საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.

ბის რეალურ დაცვას, რომელმაც მოვალის ნაცვლად შეასრულა ვალდებულება. მესამე პირზე მოთხოვნის უფლების გადასვლა არ იწვევს კრედიტორის სასარგებლოდ დადგენილი უზრუნველყოფის საშუალებების გაუქმებას, რაც წარმოადგენს მესამე პირის უფლებების დაცვის ერთ-ერთ რეალურ გარანტიას.[208]

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 372-ე მუხლს არ შემოაქვს რაიმე სპეციალური ტერმინები ამ ნორმით გათვალისწინებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა აღსანიშნავად.

კრედიტორისა და მოვალის მიმართ ეს საჭირო მართლაც არ არის, ხოლო სპეციალური ტერმინის შემოღება იმ მესამე პირის აღსანიშნავად, რომელმაც მოვალის ნაცვლად შეასრულა ვალდებულება, ვფიქრობთ, საჭიროა, რამეთუ მისმა აღნიშვნამ მხოლოდ იმით, რომ იგი არის მესამე პირი, შეიძლება გამოიწვიოს ასეთი პირის აღრევა სხვა სუბიექტებთან, რომლებსაც ასევე ეწოდებათ მესამე პირები (მაგალითად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება). იურიდიული ლიტერატურაში ასეთ მესამე პირებს უწოდებენ ფაქტობრივ შემსრულებლებს, ნამდვილ შემსრულებლებს, სუბშემსრულებლებს. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 396-ე მუხლის თანახმად, „მოვალემ თავისი კანონიერი წარმომადგენლის ან იმ პირთა მოქმედებებისათვის, რომელთაც იგი იყენებს საკუთარი ვალდებულებების შესასრულებლად, ისეთივე მოცულობით უნდა აგოს პასუხი, როგორც საკუთარი ბრალეული ქმედების დროს“. ასეთ პირებს იურიდიულ ლიტერატურაში უწოდებენ უშუალო შემსრულებლებს.[209]

მესამე პირებად, რომლებიც მოვალის ნაცვლად ასრულებენ ვალდებულებას, შეიძლება გამოვიდნენ ფიზიკური პირები, მათ შორის ინდივიდუალური მეწარმეები, იურიდიული პირები, ორგანიზაციები, რომლებიც არ არიან იურიდიული პირები და

---

[208] Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное право. Книга первая. М., 2000. С. 374.

[209] Е.А. Суханов. Гражданское право, учебник в 2 т., М., 1998, с. 192.

ა.შ. მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად სამართლებრივი ურთიერთობა წარმოიშობა სამ პირს: კრედიტორს, მოვალესა და მესამე პირს შორის. კრედიტორი და მოვალე ერთმანეთთან იმყოფებიან იმ ვალდებულებით ურთიერთობებში, რომლებიც მოწესრიგებულია შესაბამისი სამართლებრივი ნორმებით. მაგალითად, თუ საუბარია სესხზე, მაშინ გამსესხებლისა და მსესხებლის ურთიერთობები რეგულირდება სამოქალაქო კოდექსის იმ ნორმებით, რომლებიც სესხის ხელშეკრულებას არეგულირებენ. მოვალის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება მესამე პირის მიერ უნდა შეესაბამებოდეს იმ კონკრეტული სამართლებრივი ნორმების მოთხოვნებს, რომელიც მოცემული სახის ვალდებულებებისათვის არის დადგენილი. ამიტომაც, თუკი კანონით ან ვალდებულების პირობებით დადგენილია მოვალის სამართლებრივი სტატუსისადმი გარკვეული მოთხოვნები, შესაბამისად მესამე პირიც უნდა აკმაყოფილებდეს ასეთ მოთხოვნებს. მაგალითად, თუკი მენარდემ ამა თუ იმ სამუშაოს შესასრულებლად უნდა მიიღოს სპეციალური ლიცენზია (ნებართვა), ამიტომაც მესამე პირსაც (სუბმენარდეს), რომელსაც დაეკისრება მენარდის ნაცვლად ასეთი სამუშაოს შესრულების ვალდებულება, უნდა გააჩნდეს შესაბამისი ლიცენზია (ნებართვა).

ამრიგად, მესამე პირის მიერ ვალდებულების ჯეროვანი შესრულება დამოკიდებულია როგორც ვალდებულების სამართლებრივ ბუნებაზე, ასევე ასეთი სახის ვალდებულებისათვის კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვაზე. სწორედ აქედან შეიძლება გამომდინარეობდეს ვალდებულების შესრულების სუბიექტის მიმართ წაყენებული განსაკუთრებული მოთხოვნები და მათი დაცვის საჭიროება.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ისეთი საკითხის გადაწყვეტაც, როგორიცაა, უნდა იყოს თუ არა მესამე პირი, რომელიც მოვალის ნაცვლად ასრულებს ვალდებულებას, სრულქმედუნარიანი. იურიდიულ ლიტერატურაში ამ საკითხის ირგვლივ არ არის ერთიანი მოსაზრება. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ ვალდებულების

შესრულება არის იურიდიული მოქმედება, რომელიც შეიძლება იყოს ცალმხრივი გარიგება, ორმხრივი გარიგება ანდა იურიდიული ქცევა. მეცნიერთა უმრავლესობა ემხრობა იმ მოსაზრებას, რომ ვალდებულების შესრულება არის ცალმხრივი გარიგება. ზოგიერთი მეცნიერი კი პირიქით მიიჩნევს, რომ ვალდებულების შესრულება არის არა იურიდიული მოქმედება, არამედ ფაქტობრივი მოქმედება. იმ მეცნიერთა აზრით, რომლებიც ვალდებულების შესრულებას მიიჩნევენ იურიდიულ მოქმედებებად, მესამე პირის, რომელიც მოვალის ნაცვლად ასრულებს ვალდებულებას, ქმედუნარიანობის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული გარიგების მომწესრიგებელი ნორმები, ხოლო იმ მეცნიერთა აზრით, რომლებიც ვალდებულების შესრულებას მიიჩნევენ ფაქტობრივ მოქმედებად, მესამე პირის ქმედუნარიანობას არავითარი მნიშვნელობა არ გააჩნია.[210]

ვფიქრობთ, რომ ვალდებულების შესრულება არის იურიდიული და არა ფაქტობრივი მოქმედება და მის მიმართ უნდა იქნეს გამოყენებული კანონის ის ნორმები, რომლებიც მხარეთა ქმედუნარიანობას აწესრიგებენ.

პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხია ასევე, შეიძლება თუ არა მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ისეთი ვალდებულების შესრულება, რომელსაც გააჩნია უარყოფითი შინაარსი, ანუ ვალდებულება, რომლის შესრულებაც ხდება მოქმედებისაგან თავის შეკავებით. იქიდან გამომდინარე, რომ ასეთ ვალდებულებებში მოვალე ვალდებულია მხოლოდ თავი შეიკავოს რაიმე მოქმედების შესრულებისაგან და კრედიტორის მხრიდან არ არის საჭირო რაიმე მოქმედება მის მისაღებად, შესაბამისად შეუძლებელია მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად უარყოფითი შინაარსის მქონე რომელიმე ვალდებულების შესრულება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის თანახმად, „მოვალე ვალდებულია შეუსრულოს ვალდებულება კრედიტორს ან იმ პირს, რომელიც კანონით ან სასამართლოს გადაწყვეტილებით

---

[210] Нерсесов Н.О. Избранные труды по представительсву и ценным бумагам в гражданском праве. М., 1998. с. 30.

უფლებამოსილია მიიღოს შესრულება“. კანონის აღნიშნულ ნორმას მხედველობაში აქვს, თუ ვის მიმართ უნდა განხორციელდეს შესრულება. ასეთად, უპირველეს ყოვლისა, ითვლება კრედიტორი. ერთადერთი პრობლემა, რაც ამ შემთხვევაში ხაზგასმულია იურიდიულ ლიტერატურაში, არის კრედიტორის ქმედუნარიანობა ვალდებულების შესრულების მიღების მომენტში, ანუ კრედიტორი უნდა იყოს ქმედუნარიანი ანდა დაცული იყოს კანონის მოთხოვნები. კრედიტორს, რომელმაც მიიღო ჯეროვანი შესრულება, ესპობა შესაძლებლობა მოითხოვოს ახალი ან სხვაგვარი შესრულება.

ზოგჯერ შესრულება შეიძლება განხორციელდეს კრედიტორის ნაცვლად სხვა პირის მიმართ, რომელსაც კანონმა ანდა სასამართლოს გადაწყვეტილებამ მიანიჭა შესრულების მიღების უფლება. ასეთი შეიძლება იყოს კრედიტორის მეურვე, მზრუნველი, მშობელი, ანუ ზოგადად კანონიერი ან სახელშეკრულებო წარმომადგენელი. შესრულების მიღებაზე უფლებამოსილი პირი სასამართლოს გადაწყვეტილებითაც შეიძლება განისაზღვროს, მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 21-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, რომლის თანახმადაც, თუ სასამართლომ პირი ცნო უგზო-უკვლოდ დაკარგულად, სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ კანონით მემკვიდრეები მოიპოვებენ უფლებამოსილებას, უკვალოდ დაკარგულის ქონება მართონ მინდობილი საკუთრების სახით, მათ შორის მიიღონ მისგან სარგებელი. სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე კანონით მემკვიდრეები უფლებამოსილნი ხდებიან მიიღონ მოვალის მიერ შემოთავაზებული შესრულება.

კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების სპეციალურ შემთხვევად შეიძლება იქნეს განხილული, როდესაც იგი აყოვნებს ვალდებულების შესრულების მიღებას. ასეთ შემთხვევაში მოვალის მიერ შესრულების საგნის სასამართლოში ან ნოტარიუსთან დეპონირება გულისხმობს იმას, რომ მოვალემ ვალდებულება შეასრულა.

მაშასადამე, სამოქალაქო კანონმდებლობა ერთმანეთისაგან

განასხვავებს ისეთი შემთხვევებს, როდესაც მოვალის ნაცვლად ვალდებულებას ასრულებს მესამე პირი და როდესაც კრედიტორის ნაცვლად შესრულებას ღებულობს მესამე პირი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 373-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ვალდებულების შესრულება მიიღო იმ პირმა, რომელიც უფლებამოსილი არ იყო, ვალდებულება ჩაითვლება შესრულებულად მაშინ, როცა კრედიტორმა მისცა ამის თანხმობა ან ამ შესრულებისაგან მიიღო სარგებელი.

მაშასადამე, მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა ითვალისწინებს ისეთი შემთხვევის არსებობის შესაძლებლობასაც, როდესაც შესრულებას ღებულობს არაუფლებამოსილი პირი, ოღონდ ამისთვის აუცილებელია კრედიტორის თანხმობა. თანხმობა შეიძლება იყოს წინასწარი (ნებართვა) ან შემდგომი (მოწონება). თანხმობით სწორდება არაუფლებამოსილების ნაკლი. ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევებში გამოყენებულ უნდა იქნეს ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ წარმომადგენლობას გარიგებებში.

იმისათვის, რომ არაუფლებამოსილი პირის მიერ მიღებული შესრულება ჩაითვალოს კრედიტორის მიმართ შესრულებად, ყოველთვის არ არის საჭირო კრედიტორის წინასწარი თანხმობა. იმ შემთხვევაში, თუ არაუფლებამოსილი პირის მიმართ მოვალის მხრიდან განხორციელებული ვალდებულების შესრულებით კრედიტორმა მიიღო სარგებელი, ეს ჩაითვლება ასევე კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულებად. ამ შემთხვევაში არაუფლებამოსილების ხარვეზს სარგებლის მიღება ასწორებს.

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების სამართლებრივი ინსტიტუტი ძირითადად მიზნად ისახავს ისეთი ვალდებულებების შესრულებას, როგორიცაა რაიმეს (მაგალითად, ნივთის, ფულის, სამუშაოს შედეგის და ა.შ.) გადაცემა. თუმცა ეს არ არის შესრულების ერთადერთი ფორმა. ვალდებულებით სამართალში დიდი ადგილი უკავია ისეთ ვალდებულებით სამართალურთიერთობებს, რომლებიც მოვალეს აკისრებენ არა ერთ, არამედ რამდენიმე მოვალეობას. მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო

კოდექსის 477-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. ამგვარად, მოვალის მიერ ვალდებულების შესრულება ბევრ შემთხვევაში იურიდიული თვალსაზრისით შეადგენს არა ერთ, არამედ რამდენიმე მოქმედების შესრულებას. პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც შესრულდა ერთი მოქმედება (მაგალითად, გადაეცა მყიდველს ნივთი), მაგრამ არ შესრულდა მეორე მოქმედება (არ გადაეცა მყიდველს საბუთები — ტექნიკური პასპორტი და ა.შ.). შეიძლება ასევე, რომ ერთი მოვალეობა შეასრულა მოვალემ, ხოლო მეორე კი — მესამე პირმა. მაშასადამე, ამ შემთხვევებშიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების მომწესრიგებელი ნორმები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 378-ე მუხლის თანახმად, „მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ (ვალდებულების ნაწილობრივი შესრულება), თუკი კრედიტორი ამაზე თანახმაა“. ვფიქრობთ, იმ შემთხვევაში, თუკი მოვალეს უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს ნაწილ-ნაწილ, ასეთივე უფლება უნდა მიეცეს მესამე პირსაც, როდესაც იგი მოვალის ნაცვლად ასრულებს ვალდებულებას.

მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების შედეგად წარმოშობილი სამართალურთიერთობის თითოეულ მონაწილეს გააჩნია შესაბამისი უფლებები და მოვალეობები. მიზანშეწონილია მათი უფრო დეტალური და სისტემური განხილვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით, კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. შესრულება შეიძლება გამოიხატოს მოქმედების შესრულებისაგან თავის შეკავებაშიც. ვალდებულებითი სამართალურთიერთობის თავისებურებას წარმოადგენს მისი შეფარდებითი ხასიათი, რაც ზოგადად გულისხმობს იმას, რომ კრედიტორმა შესრულება შეუ-

ძლია მოსთხოვოს კონკრეტულ მოვალეს და არა სხვა რომელიმე ნებისმიერ მესამე პირს. ანუ, ზოგადი წესის მიხედვით, კრედიტორს ვალდებულება უნდა შეუსრულოს პირადად კონკრეტულმა მოვალემ. მკაცრად რომ ვთქვათ, თეორიული თვალსაზრისით, მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება უნდა ჩაითვალოს არაჯეროვან შესრულებად, რამეთუ ვალდებულება სრულდება არა იმ პირის მიერ, ვის მიმართაც კრედიტორს გააჩნია კანონით მინიჭებული მოთხოვნის უფლება. ამიტომაც კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ასეთი შესრულების მიღებაზე. თუმცა კი მრავალ შემთხვევაში ეკონომიკური თვალსაზრისი კრედიტორისათვის სულერთია, თუ ვინ შეასრულებს მოვალის ვალდებულებას (გადასცემს ნივთს, გადაიხდის ვალს და ა.შ.), ამიტომაც მისი უარი შესრულების მიღებაზე მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ვალდებულების შესრულებას ახდენს არა მოვალე, არამედ მესამე პირი, ეწინააღმდეგება სამოქალაქო სამართალში დამკვიდრებულ კეთილსინდისიერებისა და გულისხმიერების პრინციპებს. კრედიტორის ასეთი ქმედება მეტისმეტად ფორმალური და არასამართლიანი იქნებოდა. ამიტომაც ვალდებულებითი სამართლის ნორმები ავალდებულებს კრედიტორს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში მიიღოს მოვალის ნაცვლად მესამე პირისგან შეთავაზებული ვალდებულების შესრულება. ამაში გამოიხატება კრედიტორის ძირითადი მოვალეობა მოცემულ სამართალურთიერთობებში. ამასთან, კრედიტორის ეს მოვალეობა ვალდებულებითი ურთიერთობების შეფარდებითი ხასიათიდან გამომდინარე, წარმოადგენს კრედიტორის ვალდებულებების მოვალის წინაშე და არა მესამე პირის წინაშე. მესამე პირს არა აქვს უფლება მოსთხოვოს კრედიტორს შესრულების მიღება. ასეთი უფლება აქვს მხოლოდ მოვალეს. კრედიტორის მოვალეობა, მიიღოს მესამე პირისაგან მოვალის ნაცვლად შეთავაზებული ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ვალდებულებით სამართალში დადგენილია კრედიტორის ინტერესების გათვალისწინებით. კრედიტორის ინტერესები სრულიად დაცულია ისეთ შემთხვევებში, როდესაც კანონიდან, ხელშეკრულებიდან ან ვალდებულების ბუნებიდან ნათ-

ლად და ცალსახად გამომდინარეობს, რომ ვალდებულება შეიძლება შეასრულოს პირადად მოვალემ. ასეთ შემთხვევებში კრედიტორის ინტერესების დასაცავად, კანონმდებელი მას ანიჭებს უფლებას, უარი თქვას მოვალის ნაცვლად ნებისმიერი სხვა პირისაგან შეთავაზებული შესრულების მიღებაზე. ამაში გამოიხატება სწორედ კრედიტორის ძირითადი უფლება – განაცხადოს მართლზომიერი უარი ვალდებულების შესრულების მიღებაზე.

იქიდან გამომდინარე, რომ მესამე პირის მხრიდან ვალდებულების შესრულების შეზღუდვა დადგენილია კრედიტორის ინტერესების დასაცავად, ამიტომაც იმ შემთხვევებშიც, როდესაც ვალდებულების შესრულება უნდა მოხდეს უშუალოდ მოვალის მიერ და არა მესამე პირის მიერ, ნების თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, კრედიტორმა თვითონ უნდა გადაწყვიტოს, მიიღოს თუ არა მესამე პირის მიერ შეთავაზებული შესრულება. კრედიტორის ნამდვილი ინტერესი თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურია. ამიტომაც არ შეიძლება გამოვრიცხოთ ისეთი შემთხვევებიც, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ ვალდებულება ატარებს პირად ხასიათს, კრედიტორმა მაინც ჩათვალოს მიზანშეწონილად მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ შეთავაზებული ვალდებულების შესრულების მიღება. ამიტომაც, ვფიქრობთ, არ შეიძლება, რომ პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულება მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ, ჩაითვალოს ავტომატურად ბათილად, ისე, რომ მხარეებს არ მიეცეთ სხვა რაიმე შესაძლებლობა. კერძოდ, კრედიტორს უნდა მიენიჭოს შესაძლებლობა საკუთარი სურვილით გადაწყვიტოს, მოიწონოს თუ არა ასეთი შესრულება. თუკი მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულებაზე კრედიტორი თავიდანვე გასცემს თანხმობას (ნებართვას), მაშინ ასეთი ვალდებულება დაკარგავს პირად ხასიათს. მაშასადამე, კრედიტორს თავისი ნების გამოვლენით შეუძლია, რომ თანხმობა მისცეს მესამე პირს მოვალის ნაცვლად პირადი ხასიათის ვალდებულების შესრულებაზე წინასწარი ნებართვის ან შემდგომი მოწონების გზით. იმის

გამო, რომ კანონი ასეთი შემთხვევებისათვის არ ითვალისწინებს კრედიტორის ნების გამოვლენისათვის რაიმე ფორმას, დასაშვებია ნების გამოვლენა ნებისმიერი ფორმით – ზეპირად, წერილობით, კონკლიდენტური მოქმედებით – შესრულების მიღებით და სხვ.

თუკი მესამე პირი ვალდებულებას ასრულებს მოვალის თანხმობის გარეშე, ანდა მოვალის ნების საწინააღმდეგოდ, ეს წარმოადგენს რისკს თვითონ მესამე პირისათვის. იმ შემთხვევებში, თუკი მოვალის თანხმობის გარეშე მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის განხორციელებული შესრულება არაჯეროვანი სახისაა და ზიანს აყენებს კრედიტორს (მაგალითად, მესამე პირმა მოვალის ნაცვლად კრედიტორს მიაწოდა კარტოფილი, რომელიც აღმოჩნდა დაავადებული, კრედიტორმა შეურია ეს კარტოფილი თავის კარტოფილში, რამაც გამოიწვია მთელი კარტოფილის დაზიანება), ასეთ შემთხვევაში მოვალეს არ შეიძლება დაეკისროს კრედიტორის წინაშე რაიმე პასუხისმგებლობა, რამეთუ კრედიტორის წინაშე პასუხს აგებს მესამე პირი, რომელმაც მოვალის თანხმობის გარეშე არაჯეროვად შეასრულა მისი ვალდებულება. იმ შემთხვევაში, თუკი ვალდებულების დარღვევაში ნაწილობრივ ბრალი მოვალესაც მიუძღვის, ორივეს დაეკისრება პასუხისმგებლობა კრედიტორის წინაშე.

მესამე პირისათვის ვალდებულების შესრულების დაკისრება მოვალეს არ უსპობს უფლებას თვითონ შეასრულოს ვალდებულება კრედიტორის მიმართ. ოღონდ ეს შეიძლება მოხდეს მანამ, სანამ მესამე პირს რეალურად ჯერ არ შეუსრულებია კრედიტორის წინაშე ვალდებულება მოვალის ნაცვლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს გამოიწვევდა კრედიტორის უსაფუძვლოდ გამდიდრებას.

მესამე პირისათვის მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების დაკისრება არ წარმოადგენს იმის საფუძველს, რომ მას დაეკისროს პასუხისმგებლობა ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის. ასე, მაგალითად, სასამართლო პრაქტიკამ ჩამოაყალიბა შემდეგი წესი: თუკი მესამე პირი, რომელსაც მოვალის ნაცვლად დაეკისრა ფულადი ვალდე-

ბულების შესრულება, გადააცილებს მისი გადახდის ვადას, მაშინ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 403-ე და 396-ე მუხლების თანახმად, ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული პროცენტები უნდა გადაიხადოს მოვალემ და არა მესამე პირმა.

მესამე პირისათვის მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულების დაკისრებისას პასუხისმგებელი რჩება ვალდებულებითი ურთიერთობის მოვალე. ამიტომაც კრედიტორს არ გააჩნია მესამე პირის მიმართ მოთხოვნის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, მოვალე ვალდებულია კრედიტორის სასარგებლოდ შეასრულოს რაიმე მოქმედება ან თავი შეიკავოს მოქმედების შესრულებისაგან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მოვალეს უფლება აქვს თავისი ვალდებულების შესრულება დააკისროს მესამე პირს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ვალდებულება ატარებს მკაცრად განსაზღვრულ პირად ხასიათს და არ არსებობს კრედიტორის თანხმობა ასეთი ვალდებულების მესამე პირისათვის შესრულების დაკისრების შესახებ. იმ შემთხვევებში, როდესაც კანონი არ ითვალისწინებს მოვალის თანხმობის გარეშე მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულებას, მოვალემ პირადად უნდა შეასრულოს ვალდებულება. თუკი მესამე პირი მოვალის თანხმობის გარეშე და მისი ნების საწინააღმდეგოდ შეასრულებს ვალდებულებას, მოვალეს უფლება აქვს მოითხოვოს მესამე პირისაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება (როგორც ქონებრივი, ისე არაქონებრივი ზიანი). ბუნებრივია, რომ ასეთ შემთხვევებში ზიანის მიყენების ფაქტის მტკიცების მოვალეობა მოვალეს ეკისრება.

მხოლოდ მოვალეს გააჩნია უფლება, მოითხოვოს კრედიტორისაგან შესრულების მიღება. მესამე პირს კრედიტორის მიმართ ასეთი უფლება არ გააჩნია, რამეთუ იგი კრედიტორსა და მოვალეს შორის წარმოშობილი ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მხარეს არ წარმოადგენს. კრედიტორის მიერ ვალდებულების შესრულების მიღების შესახებ მესამე პირისგან განხორციელებული

ყველა ქმედება ჩაითვლება, როგორც მოვალის ინტერესების დასაცავად განხორციელებული ქმედება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ კრედიტორისათვის ვალდებულების ჯეროვანი შესრულება, ათავისუფლებს მოვალეს კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან. მესამე პირის მიმართ მოვალის ვალდებულებები განისაზღვრება მასა და მესამე პირს შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობით. ასეთი სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი (მაგალითად, ვალის გადახდა, ზიანის ანაზღაურება და ა.შ.).

დიდი მნიშვნელობა ენიჭება ასევე ისეთ შემთხვევას, როდესაც მოვალესა და მესამე პირს შორის არ არის რაიმე სამართლებრივი ურთიერთობა ანდა იგი ბათილად იქნა ცნობილი. ასეთ შემთხვევაში, თუკი მესამე პირმა უკვე განახორციელა მოვალის ნაცვლად კრედიტორის მიმართ შესრულება, მას აღარ აქვს კრედიტორისგან შესრულების უკან გამოთხოვის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად. მესამე პირს შეუძლია მხოლოდ წარადგინოს მოვალის მიმართ მოთხოვნა უსაფუძვლო გამდიდრებიდან გამომდინარე.

დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა ენიჭება ასევე მოვალის ნაცვლად მესამე პირის მიერ ვალდებულების შესრულების ინსტიტუტის გამიჯვნას ვალდებულებითი სამართლის სხვა ინსტიტუტებისაგან. იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება განსხვავდება ვალის გადაკისრებისაგან. ვალის გადაკისრება წარმოადგენს სანივთო-სამართლებრივ გარიგებას, რომელიც აბსოლუტურად ცვლის სამართლებრივი ურთიერთობის თავდაპირველ სუბიექტებს. გარდა ამისა, ვალის გადაკისრებისთანავე წყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუკი თავდები ან დამგირავებელი უარს არ განაცხადებენ ამ ურთიერთობის გაგრძელებაზე. მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულებისას, უზრუნველყოფის საშუალებები ძალას არ კარგავენ

და ისინი წარმოადგენენ მოვალის მიმართ მესამე პირის მოთხოვნის უფლების დაცვის რეალურ გარანტიებს.

მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება განსხვავდება ასევე მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებისაგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 349-ე მუხლის თანახმად, მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულების შესრულება შეიძლება მოითხოვოს როგორც კრედიტორმა, ასევე მესამე პირმა, თუ კანონით ან ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული ანდა თვით ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამ ორ სამართლებრივ ინსტიტუტს შორის ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებით უფლებამოსილ პირს უფლება აქვს მოითხოვოს თავის სასარგებლოდ მოვალისაგან შესრულება ანდა უარი თქვას მის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მოთხოვნის უფლებაზე. მაშინ, როდესაც, მესამე პირს მოვალე დააკისრებს კრედიტორისათვის თავის ნაცვლად ვალდებულების შესრულებას, კრედიტორს არა აქვს უფლება (გამონაკლისის გარდა) მოითხოვოს შესრულება უშუალოდ მოვალისაგან ანდა უარი თქვას შესრულების მიღებაზე.

მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად ვალდებულების შესრულება განსხვავდება შესრულების გადამისამართების ინსტიტუტისაგან, თუმცა კი იურიდიულ ლიტერატურაში ზოგჯერ ხდება ამ ორი სამართლებრივი ინსტიტუტის აღრევა, რაც, რა თქმა უნდა, არასწორია.[211] მესამე პირისათვის შესრულება (შესრულების გადამისამართება) და ვალდებულების შესრულება მესამე პირის მიერ პასუხობს სრულიად სხვადასხვა კითხვაზე: პირველ შემთხვევაში — ვისთვის ხდება შესრულება; მეორე შემთხვევაში — ვინ ასრულებს ვალდებულებას.

შესრულების გადამისამართება ზოგადად გამოიხატება იმაში,

[211] Толстой В.С. Исполнение обязательств. М., 1973. с. 81.

რომ კრედიტორი უთანხმდება მოვალეს, რათა ამ უკანასკნელმა შესრულება განახორციელოს არა კრედიტორის, არამედ მესამე პირის მიმართ (მაგალითად, სამოქალაქო კოდექსის 680-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, მიმღებს უფლება აქვს განკარგვის უფლებამოსილების განხორციელებისას გასცეს მითითება ტვირთის მიწოდების შესახებ მესამე პირისათვის). შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობა აქ ყალიბდება კრედიტორსა და მოვალეს შორის. ამასთან, შესრულების მიმღები, როგორც წესი, წარმოადგენს იმ კრედიტორის კრედიტორს, რომელიც ახორციელებს შესრულების გადამისამართებას.

განვიხილოთ სასესხო ვალდებულებაში პირთა შეცვლის საკითხი მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრებასთან მიმართებით. სამოქალაქო სამართლის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ვალდებულებაში პირთა შეცვლის საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი დამოკიდებულება იყო. ზოგიერთ სამართლებრივ სისტემაში გაბატონებული იყო მოსაზრება, რომ უფლებები და ვალდებულებები არ გადაეცემოდა და არც შეიძლებოდა რომ სხვას გადასცემოდა. მაგრამ შემდგომში სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვის განვითარებამ განაპირობა ის, რომ შესაძლებელი გახდა გარიგებით უფლებებისა და მოვალეობების სხვა პირებისათვის გადაცემის შესაძლებლობა. ვალდებულებაში პირთა შეცვლას ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში თავისი მოტივაცია გააჩნია.

ვალდებულების თავდაპირველი მხარეები შეიძლება შეიცვალონ სხვა პირებით. ვალდებულებაში შეიძლება შეიცვალოს როგორც კრედიტორი, ასევე მოვალეც. კრედიტორის შეცვლას ეწოდება მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია, ხოლო ვალდებული პირის შეცვლას კი, ვალის გადაკისრება. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემას ახასიათებს მთელი რიგი თავისებურებები, რომლებიც დაკავშირებულია ვალდებულებაში პირთა შეცვლასთან. განსაკუთრებით ეს თვალნათლივ ჩანს კონტინენტური სამართლისა და ინგლისურ-ამერიკული სამართლის სისტემების შედარებითი დახასიათებისას.

ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის შესაძლებლობა ცნობილი იყო ჯერ კიდევ რომის სამართლისათვის. ვალდებულებაში კრედიტორის შეცვლის კლასიკურ საშუალებას წარმოადგენდა მოთხოვნის დათმობა, ანუ ცესია. მოთხოვნის დათმობა ჩვეულებრივ ხდებოდა მოთხოვნის მფლობელსა (ძველ კრედიტორსა) და მესამე პირს (ახალ კრედიტორს) შორის დადებული ხელშეკრულებით. ამ ხელშეკრულებით კრედიტორი მოთხოვნის უფლებას გადასცემდა მესამე პირს. თავდაპირველი კრედიტორის ადგილს იჭერდა მესამე პირი. პირს, რომელიც თავის მოთხოვნის უფლებას გადასცემდა, ეწოდებოდა ცენდენტი, ხოლო იმ პირს, რომელიც ღებულობდა მოთხოვნის უფლებას (ახალი კრედიტორი), ეწოდებოდა – ცესიონერი.[212]

ცესია (Uvetragung der Forderung) თანამედროვე განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობაში განიმარტება, როგორც ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც თავდაპირველი კრედიტორი (ცენდენტი) თავის მოთხოვნის უფლებას გადასცემს ახალ კრედიტორს (ცესიონერს).

საფრანგეთში მოთხოვნის დათმობის საკითხი მოწესრიგებულია სამოქალაქო კოდექსის მე-6 ტიტულით – „ნასყიდობა“ (მუხლები 1689-ე-1701-ე), ფრანგული სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ცენდენტის მიერ ცესიონერისათვის მოთხოვნის დათმობის სამართლებრივი რეგულირების თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ცესიის საფუძვლად ყოველთვის გამოდის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელშიც ცენდენტი გამოდის გამყიდველის სახით, ხოლო ცესიონერი კი – მყიდველის სახით. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ მოთხოვნის დათმობა ყოველთვის სასყიდლიანია. საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა გამონაკლისის სახით დასაშვებად მიიჩნევს ცესიის უსასყიდლოდ განხორციელების შესაძლებლობასაც ჩუქების საფუძველზე.[213]

---

212 Новицкий И.Б. Основы Римского права, И-е изд. М., 1993. с. 274.

213 Французский Гражданский кодекс науч. ред. Лавров Д.Г. СПб., 2004.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში მოთხოვნის დათმობას ეძღვნება 398-ე-413-ე პარაგრაფები. ჰოლანდიის ახალი სამოქალაქო კანონმდებლობაც ასევე დეტალურად აწესრიგებს მოთხოვნის დათმობასთან დაკავშირებულ შემთხვევებს სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 142-ე-149-ე მუხლებით. გერმანიისა და ჰოლანდიის სამოქალაქო სამართალი, განსხვავებით საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობისაგან, არ ადგენენ ცესიის სამართლებრივ საფუძველს და მხარეებს შესაძლებლობას ანიჭებენ ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტონ ეს საკითხი.[214] ამასთან ერთად, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების იმ თავში, რომელიც შეეხება ნასყიდობის ხელშეკრულებას, არის ნორმები, რომლებიც აწესრიგებენ უფლებათა გაყიდვის საკითხებს.

ცესიონერისათვის, ანუ მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობისას, ცენდენტი შეიძლება ხელმძღვანელობდეს სხვადასხვა პირადი თუ კომერციული მოსაზრებით და შეუძლია გადასცეს მესამე პირს თავისი კუთვნილი უფლება ან სასყიდლით (გაყიდოს, გაცვალოს) ანდა უსასყიდლოდ (მაგალითად, აჩუქოს). ცესია წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლის მიმართაც ვრცელდება კანონმდებლობით დადგენილი ყველა ის მოთხოვნა, რომელიც გამოიყენება სხვა სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებების მიმართ, სახელდობრ, მოთხოვნები ფორმის, შინაარსისა და ნამდვილობის შესახებ.

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 398-ე პარაგრაფის თანახმად, ცესიონერს ცენდენტის მოთხოვნის უფლება გადაეცემა ან ხელშეკრულების დადებისთანავე, ანდა სავალო დოკუმენტის გადაცემის მომენტიდან. მოთხოვნის დათმობისათვის მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, მაგრამ მოვალისათვის ცესია ძალაში შედის იმ მომენტიდან, როდესაც მას აცნობენ მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობის ანდა იმ მესამე პირის შესახებ, ვის მიმართაც მოვალემ უნდა შეასრულოს ვალდებულება. კრედიტორის

[214] Гражданский Кодекс Германии в 2-х томах, науч. ред. Елисеев И.В., СПб. 2005.

ვალდებულება, აცნობოს მოვალეს მესამე პირისათვის მოთხოვნის დათმობის შესახებ, გათვალისწინებულია საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1690-ე მუხლით, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 409-ე პარაგრაფით, ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 143-ე მუხლით.

საფრანგეთის სამოქალაქო კანონმდებლობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ კრედიტორის მიერ მოვალისათვის ოფიციალური შეტყობინება მოთხოვნის დათმობის შესახებ საჭირო არ არის, თუკი მოვალემ დამადასტურებელი აქტით თავიდანვე თანხმობა განაცხადა მოთხოვნის დათმობის შესახებ. ეს დამადასტურებელი აქტი წარმოადგენს უმთავრეს მტკიცებულებას მოვალისათვის ახალი კრედიტორის მიმართ ვალდებულების შესრულების შეტყობინების შესახებ. მოვალის უარი თანხმობის მიცემაზე არ იწვევს ცესიის ხელშეკრულების ბათილობას. თავდაპირველი კრედიტორის მიერ მოვალისათვის მოთხოვნის დათმობის შესახებ შეტყობინების ვალდებულების შესრულებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა გააჩნია ახალი კრედიტორისათვის, ანუ ცესიონერისათვის, რამეთუ, ვიდრე მოვალეს ეცნობება მოთხოვნის დათმობის შესახებ, მას უფლება აქვს ვალდებულება შეასრულოს თავდაპირველი კრედიტორის წინაშე. ამიტომაც, თუკი თავდაპირველი კრედიტორი არ შეატყობინებს დროულად მოვალეს მოთხოვნის დათმობის შესახებ და მოვალე ჯეროვნად შეასრულებს ვალდებულებას თავდაპირველი კრედიტორის წინაშე, მაშინ ახალი კრედიტორი მოვალის მიმართ აღმოჩნდება დაუცველ მდგომარეობაში (გამონაკლისს წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 296-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა, რომლის თანახმადაც იპოთეკის დროს, თუ ახალ კრედიტორზე მოთხოვნის გადასვლის შემდეგ მოვალე უხდის კრედიტორს, ეს გადახდა არ ათავისუფლებს მას ახალი კრედიტორის წინაშე ვალდებულებისაგან მაშინაც კი, როცა მან გადასვლის შესახებ არაფერი იცოდა).

ცესიონერს მოთხოვნა გადაეცემა ყველა აქცესორული უზრუნველყოფის საშუალებებთან ერთად (გირავნობა, თავდებობა,

შეთანხმება პირგასამტეხლოზე და ა.შ.). ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 143-ე მუხლის თანახმად, ცენდენტი ვალდებულია ასევე გადასცეს ცესიონერს მოვალის ან მესამე პირის ყველა ის ქონება, რომელიც ცესიის ხელშეკრულების დადების დროს იმყოფება ცენდენტთან მოვალის ვალდებულების უზრუნველსაყოფად. მოთხოვნის დათმობამ არ უნდა გააუარესოს მოვალის მდგომარეობა. მოვალეს უფლება აქვს ახალ კრედიტორს წაუყენოს ყველა ის შესაგებელი (მაგალითად, ხანდაზმულობის ვადის გაშვება, მოვალის პასუხისმგებლობის საფუძვლების არარსებობა და სხვა), რაც მას ჰქონდა თავდაპირველი კრედიტორის მიმართ მოთხოვნის დათმობის ცნობის მიღების მომენტისათვის.

განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით, მოთხოვნის დათმობის დროს მოვალის თანხმობა საჭირო არ არის, რამდენადაც კრედიტორის პიროვნებას საერთოდ არ შეუძლია რაიმე გავლენა მოახდინოს მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებაზე. თუმცა შეიძლება, რომ კრედიტორის პიროვნებას არსებითი მნიშვნელობა ჰქონდეს მოვალისათვის. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა არ დაიშვება. ამიტომაცაა, რომ მოთხოვნის მფლობელს შეუძლია მოვალის თანხმობის გარეშე მოთხოვნა მესამე პირს დაუთმოს, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ვალდებულების არსს, მოვალესთან მის შეთანხმებას ან კანონს. მოვალის პატივსადები მიზეზების არსებობისას შესაძლებელია შეთანხმება მოთხოვნის დათმობის დაუშვებლობის შესახებ.

მას შემდეგ, რაც კრედიტორი სხვას დაუთმობს მოთხოვნის უფლებას, ის პასუხს აღარ აგებს ახალი კრედიტორის წინაშე მოვალის მიერ ვალდებულების შესრულებისათვის, მაგრამ შეიძლება დადგეს თვით გადაცემული უფლების ნამდვილობის საკითხი. მოთხოვნის დათმობისას ცენდენტი პასუხს აგებს მხოლოდ მისი არსებობისა და ნამდვილობის შესახებ ცესიის განხორციელების მომენტისათვის (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1693-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 437-ე პარაგრაფი, შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 171-ე მუხლი) და პასუხს

არ აგებს მოვალის გადახდისუნარიანობისათვის, თუკი მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებაში ამის შესახებ არ იყო რაიმე სპეციალური დათქმა (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1695-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 438-ე პარაგრაფი).

ინგლისურ სამართალში დღევანდლამდე ვალდებულებაში პირთა შეცვლის საკითხი საერთო სამართლის პრინციპის ზემოქმედების ქვეშაა, ანუ ხელშეკრულებიდან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები არსებობს მხოლოდ ხელშეკრულების მხარეებს შორის, თუმცა ამ წესმა სასამართლოების საქმიანობაში მიიღო ისეთი განმარტებაც, რომ შესაძლებელია ხელშეკრულების თავდაპირველი მხარეები შეიცვალონ სხვა მხარეებით. შემუშავებულ იქნა ვალდებულებაში პირთა შეცვლის სხვადასხვა საშუალება, რომელთაგანაც აღსანიშნავია ნოვაცია, იგი გამოიყენება არა მხოლოდ როგორც ვალდებულების შეწყვეტის საფუძველი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ვალდებულებაში პირთა შეცვლის საფუძველი.

ინგლისურ სამართალში ცესია (assignment), როგორც ვალდებულებაში პირთა შეცვლის საშუალება, გაგებულია უფრო ფართოდ, ვიდრე კონტინენტური ევროპის სამართლის ქვეყნებში. ტერმინი „ცესია“ მოიცავს ყველა იმ სამართლებრივ აქტს, რომელიც საფუძვლად უდევს სახელშეკრულებო ხასიათის უფლებებისა და მოვალეობების უფლებამონაცვლეობას (გარდა გარდაცვალების შემთხვევაში უფლებამონაცვლეობისა), მათ შორის ვალის გადაკისრება, ასევე უძრავ ქონებაზე არსებული სანივთო უფლებები. ინგლისური სამართლის მიხედვით, ცესია არის ხელშეკრულების მონაწილე ერთ-ერთი მხარის ცალმხრივი მოქმედება, რომლითაც იგი იცვლება სხვა გარეშე პირით ხელშეკრულების მეორე მხარის თანხმობის გარეშე ანდა მისი თანხმობის მიუხედავად.[215]

თანამედროვე პირობებში კანონმდებლობით შესაძლებელია ცესიის განხორციელება სამართლიანობის სამართლისა და საერთო სამართლის მიხედვით.

---

[215] Гражданское законодательство Великобритании науч. ред. Елисеев И. В., СПб., 2005.

განსხვავებას ცესიას საერთო სამართლის მიხედვით და ცესიას სამართლიანობის სამართლის მიხედვით აქვს თავისი ისტორიული ფესვები და მდგომარეობს იმაში, რომ ცესია დაფუძნებული საერთო სამართალში, ითვალისწინებს ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა უფლებამოსილების გადაცემას. სამართლიანობის სამართალზე დაფუძნებული ცესია ითვალისწინებს მხოლოდ იმ უფლებების გადასვლას, რომლებიც დაფუძნებულია სამართლიანობის სამართალზე, ხოლო საერთო სამართალზე დაფუძნებული უფლებები რჩება ცენდენტს, ანუ თავდაპირველ კრედიტორს.

დღევანდლამდე ასევე შენარჩუნებულია პროცესუალური ხასიათის მნიშვნელოვანი განსხვავებებიც. საერთო სამართალზე დაფუძნებული მოთხოვნის კრედიტორი, ანუ ცენდენტი, ვალდებულია ცესია განახორციელოს წერილობითი ფორმით და ამის შესახებ მოვალეს აცნობოს ასევე წერილობითი ფორმით, რათა თავიდან აიცილოს ფორმის დაუცველობის გამო ცესიის ბათილობა. დადგენილი ფორმალობების დაცვისას ცესია გადაიქცევა კანონით მოთხოვნის დათმობად (statutory assignment). ცესიონერს უფლება აქვს დამოუკიდებლად გამოვიდეს სასამართლოში მოსარჩელედ. დადგენილი მოთხოვნების დარღვევისას ცესია საერთო სამართლის მიხედვით ჩაითვლება ბათილად, მაგრამ, თუკი გადასაცემ მოთხოვნას გააჩნია სამართლებრივი დაცვის საშუალებები სამართლიანობის სამართალში, მაშინ ცესია შეიძლება იძულებით განხორციელდეს სამართლიანობის სამართლის მიხედვით, რომლის ნორმებიც აღიარებენ ზეპირად და მოვალისათვის შეტყობინების გარეშე განხორციელებულ ცესიას. მაგრამ იძულებითი განხორციელებისათვის საჭიროა, რომ ცენდენტი ჩაერთოს პროცესში მოსარჩელედ ან მოპასუხედ.[216]

ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობამ და სასამართლო პრაქტიკამ ბევრად უფრო გაამარტივა მოთხოვნის დათმობის განხორციელების პირობები, უარი თქვა რა ბევრ ისეთ

[216] Гражданское и торговое право зарубежных стран. Т. I, под. ред. Е.А. Васильева и А.С. Комарова. М., 2005. с. 446.

შუასაუკუნეობრივ ნორმებზე, რომლებიც დღესდღეობით კიდევ მოქმედებენ ინგლისურ სამართალში. ამერიკის ერთიანი სავაჭრო კოდექსი გამოდის ცესიის იმ სახით აღიარებიდან, როგორც ეს არის გაგებული კონტინენტური ევროპის სამართლის სისტემის ქვეყნებში. ამერიკის ერთიანი სავაჭრო კოდექსის მე-2-210-ე მუხლებით დადგენილია, რომ გამყიდველის ან მყიდველის ყველა უფლებების დათმობა დაიშვება, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთი დათმობა იწვევს მეორე მხარის ვალდებულებების არსებით შეცვლას ანდა რისკის მნიშვნელოვნად გაზრდას.

რაც შეეხება ვალის გადაკისრების სამართლებრივ ინსტიტუტს, იგი ცნობილი არ არის ფრანგული სამართლისათვის. ეს ხარვეზი იმით აიხსნება, რომ ფრანგული სამართლებრივი კონცეფცია ვალდებულებას განიხილავს, როგორც კრედიტორსა და მოვალეს შორის პირად კავშირს. მოვალის შეცვლა შეიძლება მოხდეს დელეგაციის (delegation) განხორციელების გზით (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1275-ე-1278-ე მუხლები).

ვალის გადაკისრება, როგორც დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტი, სრულყოფილადაა მოწესრიგებული გერმანული სამართლით (გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 414-ე-415-ე პარაგრაფები), ჰოლანდიის სამოქალაქო სამართლით (ჰოლანდიის სამოქალაქო კოდექსის მე-6 წიგნის 155-ე-159-ე მუხლები) და შვეიცარიის სამოქალაქო სამართლით (შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 175-ე-177-ე მუხლები).

ვალის გადაკისრება შეიძლება მოხდეს როგორც კრედიტორსა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით, ასევე მოვალესა და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. პირველ შემთხვევაში, კრედიტორთან დადებული ხელშეკრულებით ვალი თავის თავზე შეიძლება აიღოს მესამე პირმა (ეს განსხვავდება მესამე პირის მიერ მოვალის ნაცვლად კრედიტორისათვის ვალდებულების შესრულებისაგან, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ). ასეთ შემთხვევაში, მესამე პირი დაიკავებს თავდაპირველი მოვალის ადგილს. თავდაპირველ მოვალეს უფლება აქვს არ დაეთანხმოს

კრედიტორისა და მესამე პირის აღნიშნულ შეთანხმებას და თვითონ გადაიხადოს ვალი.

მეორე შემთხვევაში, ანუ როცა ვალის გადაკისრების შეთანხმება ხდება მოვალესა და მესამე პირს შორის, აუცილებელია კრედიტორის თანხმობა. კრედიტორისათვის სულერთი არ არის, თუ ვინ იქნება მოვალე. ის ყოველთვის დაინტერესებულია მისი მოვალის პიროვნებით. ამით აიხსნება ის გარემოება, რომ მოვალესა და მესამე პირს შორის ვალის გადაკისრების შესახებ შეთანხმების ნამდვილობა დამოკიდებულია კრედიტორის თანხმობაზე.

ახალ მოვალეს შეუძლია კრედიტორის წინააღმდეგ წამოაყენოს ყველა ის შესაგებელი, რომელიც გამომდინარეობს კრედიტორსა და თავდაპირველ მოვალეს შორის ურთიერთობიდან. ეს გათვალისწინებულია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 417-ე პარაგრაფით, შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 179-ე მუხლით და სხვა. ვალის გადაკისრებისთანავე, განსხვავებით მოთხოვნის დათმობისაგან, შეწყდება მოთხოვნის უზრუნველსაყოფად გათვალისწინებული თავდებობა და გირავნობა, თუ თავდები ან დამგირავებელი უარს არ იტყვის ურთიერთობის გაგრძელებაზე.[217]

საქართველოში მოთხოვნის დათმობისა და ვალის გადაკისრების სამართლებრივი ინსტიტუტები დეტალურადაა მოწესრიგებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 198-ე-206-ე მუხლებით. აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონმდებლობა ძირითადად იმეორებს გერმანიის სამოქალაქო სჯულდებით გათვალისწინებულ სამართლებრივ დებულებებს მოთხოვნის დათმობასა და ვალის გადაკისრებასთან დაკავშირებით.

---

[217] Brox/Walker – Allgemeines Schuldrecht, 32. Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2007, S 383.

VI თავი

სასესხო ურთიერთობების მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი ნორმები

სასესხო-სამართლებრივ ურთიერთობებში ხელშეკრულების გარდა განსაზღვრულ ფუნქციას ასრულებს კიდევ ორი დოკუმენტი – სავალო საბუთი და ვალის მიღების დოკუმენტი. პირველი გაიცემა მსესხებლის მიერ იმის დასტურად, რომ მან ნამდვილად მიიღო სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფული ან ნივთი, ხოლო მეორეს კი გასცემს გამსესხებელი ვალის დაბრუნების დასტურად.

სსკ-ის 429-ე მუხლის თანახმად, გამსესხებელმა მსესხებლის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი. ვალის მიღების შესახებ დოკუმენტი, რომელშიც არაფერია ნათქვამი პროცენტის შესახებ, გულისხმობს, რომ პროცენტიც გადახდილია და ფულადი ვალდებულებაც მთლიანად შეწყვეტილია. როდესაც ვალის გადახდა ხდება პერიოდულად, ნაწილ-ნაწილ, მაშინ დოკუმენტი მისი ბოლო ნაწილის გადახდის შესახებ, ვიდრე სხვა რამ არ იქნება დადასტურებული, იძლევა იმის ვარაუდს, რომ გადახდილია წინა ნაწილიც.

აღნიშნულ დებულებებს აქვთ არა მხოლოდ მატერიალურ-სამართლებრივი, არამედ პროცესუალურ-სამართლებრივი მნიშვნელობაც სსსკ-ის 102-ე მუხლის 1-ლ ნაწილთან მიმართებაში (ფაქტების დამტკიცების ტვირთი – Onus probandi), კერძოდ: „თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს".

ვალის დაბრუნების შესახებ დოკუმენტს პრაქტიკაში ხშირად ქვითარს უწოდებენ. ქვითარი არის დოკუმენტი, რომლითაც გამსესხებელი ადასტურებს, რომ მან შესრულება მიიღო.[218]

---

[218] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 523.

გამსესხებლის ან საამისოდ უფლებამოსილი პირის მიერ შედგენილი დოკუმენტი ვალის მიღების შესახებ უნდა შეიცავდეს მონაცემებს ვალის მოცულობისა და სახეობის შესახებ, მოვალის ან იმ პირის გვარსა და სახელს, რომელიც იხდის ვალს, შესრულების დროსა და ადგილს. სსკ-ის 430-ე მუხლით გათვალისწინებული რეკვიზიტების ასახვა ვალის მიღების დამადასტურებელ დოკუმენტში აუცილებელია, რამეთუ ქვითარს ერთ-ერთი ძირითადი მტკიცებულების ფუნქცია აკისრია და ის უნდა იყოს იმ ინფორმაციის მატარებელი, რომელიც აუცილებელია სესხის დაბრუნების შესრულების ფაქტის დასამტკიცებლად.[219]

ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემის ხარჯები ეკისრება მსესხებელს, თუკი მასა და გამსესხებელს შორის შეთანხმებით სხვა რამ არ არის დადგენილი.

თუკი გამსესხებელი შეიცვლის საცხოვრებელ ადგილს ან გარდაიცვლება და დატოვებს მემკვიდრეებს სხვა საცხოვრებელ ადგილას, მაშინ შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემასთან დაკავშირებული გაზრდილი ხარჯები ეკისრებათ გამსესხებელს ან მის მემკვიდრეებს.

როგორც აღვნიშნეთ, სასესხო ურთიერთობებთან მიმართებით მნიშვნელოვანია სავალო საბუთი. სავალო საბუთად ჩაითვლება ნებისმიერი წერილობითი დოკუმენტი, რომლის საფუძველზე წარმოიშობა ვალდებულებითი ურთიერთობა, ან რომელიც ადასტურებს მოთხოვნის არსებობას და რომელიც მსესხებელმა გასცა იმის დასადასტურებლად, რომ მას ეკისრება ვალდებულება, მაგალითად, ხელწერილი სესხის მიღების შესახებ.[220]

სავალო საბუთის მესაკუთრე არის გამსესხებელი. მას უფლება აქვს ეს სავალო საბუთი სხვა პირს გადასცეს (მოთხოვნის დათმობა). ცალ-ცალკე გაცემული, მაგრამ ერთმანეთთან დაკავშირე-

---

[219] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001. გვ. 525.

[220] ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, II გამოცემა, 1999. გვ. 83.

ბული დოკუმენტები ჩაითვლება ერთ სავალო საბუთად.[221]

სსკ-ის 431-ე მუხლი მსესხებელს უფლებას ანიჭებს, რომ ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულებისთანავე მოითხოვოს გამსესხებლისაგან სავალო საბუთის დაბრუნება. სავალო საბუთი ძირითად მტკიცებულებას წარმოადგენს ვალის არსებობის დასამტკიცებლად. თუ სავალო საბუთი აქვს კრედიტორს, ეს იმას ნიშნავს, რომ ვალდებულება არსებობს, და პირიქით, თუ ეს სავალო საბუთი აქვს მოვალეს, ნიშნავს, რომ ვალდებულება არ არსებობს.

მსესხებელს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემასთან ერთად, შეუძლია მოითხოვოს სავალო საბუთის უკან დაბრუნება ან მისი გაუქმება. თუ გამსესხებელს რაიმე მიზეზით არ შეუძლია ამ საბუთის დაბრუნება (მაგალითად, დაკარგა სავალო საბუთი ან დაზიანდა და ა.შ.), მაშინ მსესხებელს უფლება აქვს მოითხოვოს ოფიციალურად დამოწმებული ცნობა იმის თაობაზე, რომ ვალდებულება შეწყვეტილია. კანონი არ აზუსტებს, თუ რა იგულისხმება, „ოფიციალურად დამოწმებულ ცნობაში“. ეს შეიძლება იყოს როგორც სანოტარო წესით, ისე ნოტარიუსთან გათანაბრებული პირების მიერ დამოწმებული საბუთი.

სსკ-ის 433-ე მუხლის თანახმად, თუ გამსესხებელი უარს აცხადებს შესრულების შესახებ დოკუმენტის გაცემაზე, სავალო საბუთის დაბრუნებაზე ან მის გაუქმებაზე, ანდა შესრულების შესახებ დოკუმენტში მისი დაბრუნების შეუძლებლობის აღნიშვნაზე ან იმის აღიარებაზე, რომ ვალი გაქარწყლებულია, მაშინ მოვალეს უფლება აქვს უარი თქვას შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში გამსესხებელი ჩაითვლება ვადის გადამცილებლად, რაც გამოიწვევს სსკ-ის 390-ე-393-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგების დადგომას.

სასესხო ვალდებულება, მისი შესრულების გარდა, შეიძლება შეწყდეს სხვა საფუძვლებითაც, როგორიცაა: ნოვაცია, დეპონი-

[221] Münch Komm – Heinrichs § 372, Rn. 14.

რება, ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა, ვალის პატიება.

სასესხო ვალდებულებების შეწყვეტასთან მიმართებაში, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სსკ-ის 453-ე მუხლით გათვალისწინებულ სამართლებრივ საფუძვლებს, კერძოდ: მოვალის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე.

მაშასადამე, ვალის დაბრუნებამდე მსესხებლის გარდაცვალება არ იწვევს სასესხო ვალდებულების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში ვალის დაბრუნების ვალდებულება შევა სამკვიდროს პასივში სსკ-ის 1328-ე მუხლის შესაბამისად, ხოლო სსკ-ის 1484-ე მუხლის თანახმად კი, მსესხებლის მემკვიდრეები ვალდებულნი არიან მთლიანად დააკმაყოფილონ გარდაცვლილი მსესხებლის (მამკვიდრებლის) კრედიტორთა ინტერესები (ჩვენს შემთხვევაში გამსესხებელი), მაგრამ მიღებული აქტივის ფარგლებში თითოეულის წილის შესაბამისად, უფრო მეტიც, სსკ-ის 1493-ე მუხლის თანახმად, თუ მსესხებელმა (მამკვიდრებელმა) ქონება თავის კრედიტორს (გამსესხებელს) უანდერძა, ეს არ ჩაითვლება გამსესხებლის მოთხოვნის უფლების გაქვითვად. მოთხოვნების დაკმაყოფილებისას მამკვიდრებლის კრედიტორებს უპირატესობა აქვთ მემკვიდრის კრედიტორებთან.

თუ გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მსესხებლისაგან ვალის იძულებით დაბრუნება, ხოლო მსესხებელი სასამართლოში საქმის განხილვის პროცესში გარდაიცვალა, მაშინ სსსკ-ის 92-ე მუხლის თანახმად, წარმოიშობა საპროცესო უფლებამონაცვლეობის საჭიროება.

თუკი გამსესხებელი ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულებამდე გარდაიცვალა, ვალის დაბრუნების მოთხოვნის უფლება მსესხებლის მიმართ გადადის გამსესხებლის მემკვიდრეებზე სსკ-ის 453-ე მუხლის II-ე ნაწილის, 1306-ე მუხლისა და 1328-ე მუხლების მორთხოვნათა შესაბამისად.

სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ვალის დაბრუნების ვალდებულების შესრულებამდე

ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას, აგრეთვე ვალუტის ერთეულის შეცვლას.

სსკ-ის 389-ე მუხლის თანახმად, თუ გადახდის ვადის დადგომამდე გაიზარდა ან შემცირდა ფულის ერთეული (კურსი), მოვალე ვალდებულია გადაიხადოს იმ კურსით, რომელიც შეესაბამება ვალდებულების წარმოშობის დროს. ამ პრინციპს ეწოდება „ნომინალიზმის პრინციპი". ნომინალი გულისხმობს ფულად კუპიურაზე აღნიშნულ ფულადი ერთეულის რაოდენობას და ვალიც ამ ერთეულით უნდა დაბრუნდეს. მაგალითად, „A"-მ „B"-ს ორი წლის ვადით სესხად გადასცა 5000 ლარი, რომლითაც შეიძლებოდა 5 ტონა ნავთობის შეძენა. ორი წლის შემდეგ, როდესაც „B" ვალს აბრუნებს, 5000 ლარად შეიძლება ვთქვათ 3 ტონა ნავთობის შეძენა. რა რაოდენობის ფულადი ნიშნები უნდა დააბრუნოს უკან „B"-მ? ფულის მსყიდველუნარიანობის შეცვლა იწვევს თუ არა პარალელურად გადასახდელი ფულადი ნიშების რაოდენობაში ცვლილებას? უნდა ითქვას, რომ არა და მსესხებელი მოვალეა დააბრუნოს ვალი ფულადი ნიშნების იმავე რაოდენობით, რომელიც მიიღო სესხად ანუ 5000 ლარი.

ნომინალიზმის პრინციპი ხშირად მძიმე მდგომარეობაში აყენებს გამსესხებელს და ერთგვარ შეღავათებს უქმნის მსესხებელს. თუკი მხარეები ითვალისწინებენ ფულის კურსის შესაძლო ცვლილებებს, მათ შეუძლიათ ამ ცვლილებათა უარყოფითი შედეგებისაგან თავი დაიზღვიონ სხვადასხვა დათქმებით, თუ ამას არ ექნება ადგილი, „ნომინალიზმი" სამართლის ობიექტური ნებით სავარაუდო პირობა იქნება და მხარეები თავიანთ თავზე იღებენ მისგან მოსალოდნელი უარყოფითი შედეგების რისკებსაც. ვალის გადახდის მომენტში თუკი გაზრდილია ფულის მსყიდველობითი უნარი, ეს კრედიტორის სასარგებლოდ მეტყველებს და მოვალეს არავითარი უფლება არა აქვს ვალის დაბრუნებისას თავის სასარგებლოდ დაეყრდნოს ამ გარემოებას. თუ ამ მომენტისათვის შემცირებულია ფულის მსყიდველობითი უნარი, მაშინ ამ რისკის მატარებელი ავტომატურად ხდება გამსესხებელი და მასაც არა აქვს უფლება

ეს გარემოება გამოიყენოს მსესხებლის საწინააღმდეგოდ. ნომინალიზმის პრინციპიდან გადახვევა შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ადგილი აქვს დენომინაციას ანუ ფულის ერთეულის (კურსის) გაზრდას ან შემცირებას, ასევე ვალუტის შეცვლას ან ჰიპერინფლაციას.[222]

რაც შეეხება ისეთ შემთხვევას, როგორიცაა ვალის დაბრუნებამდე იმ ვალუტის შეცვლა, რომელშიც იყო გამოხატული ფულადი ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში, ვალუტის შეცვლისას გადაცვლით ურთიერთობებს საფუძვლად უნდა დაედოს ის კურსი, რომელიც ვალუტის შეცვლის დღეს არსებობდა ფულის ამ ერთეულებს შორის.

ვალუტის კურსი ესაა ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი გამოხატული მეორე ქვეყნის ფულად ერთეულში. ვთქვათ, „A"-მ „B"-საგან 1987 წელს ისესხა 10000 მანეთი, რომლის გადახდის ვადაც დადგა 2007 წელს. ან „D"-მ „C"-საგან 1994 წელს ისესხა ერთი მილიონი კუპონი, რომლის გადახდის ვადაც დადგა 2008 წელს. ვალის დაბრუნების მომენტისათვის აღარ არსებობს არც მანეთი და არც კუპონი. რამდენი ლარი უნდა დააბრუნონ მსესხებლებმა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში? გადაცვლითი კურსი სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალუტასა და გადახდის დროისათვის არსებულ ვალუტას შორის (მანეთი – ლარი, კუპონი – ლარი), განისაზღვრება არა გადახდის დროისათვის არსებული კურსით (2007 წელი, 2008 წელი), არამედ იმ კურსით, რომელიც 1995 წლის სექტემბერში ლარის მიმოქცევაში შემოსვლისას არსებობდა ლარსა და ჩვენს მაგალითებში მანეთთან და კუპონთან მიმართებაში.

სესხის ხელშეკრულების შეუსრულებლობის ან ნაწილობრივი შესრულების შემთხვევაში გამსესხებელს შეუძლია თავისი დარღვეული უფლებების დასაცავად მიმართოს სასამართლოს. ასეთივე უფლება გააჩნია მსესხებელსაც, თუ გამსესხებელი სას-

---

[222] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ/428, 2000 წ. 5 აპრილი.

ესხო ვალდებულების შესრულების პროცესში ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე პრინციპებს ეწინააღმდეგება. სასამართლოსადმი მიმართვა შესაძლებელია არა ნებისმიერ დროს, არამედ ხანდაზმულობის ვადის მოქმედების პერიოდში, ხანდაზმულობის ვადა კი – საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 129-ე მუხლის 1 ნაწილის მიხედვით სახელშეკრულებო მოთხოვნების მიმართ განსაზღვრულია სამი წლით. ხანდაზმულობის ვადა იწყება იმ მომენტიდან, როცა გამსესხებელმა გაიგო, ან უნდა გაეგო, რომ მისი უფლება დარღვეულია ე.ი. მსესხებელმა უარი განაცხადა სესხის დაბრუნებაზე. ამ მომენტიდან სამი წლის განმავლობაში გამსესხებელს ყოველთვის შეუძლია მიმართოს სასამართლოს. სასამართლო კი ვალდებულია განიხილოს დარღვეული უფლების საკითხი და უზრუნველყოს მისი იძულებითი დაცვა. თუ გამსესხებელი სასამართლოში შეიტანს სარჩელს ან მსესხებელი ავანსის, პროცენტის გადახდით, გარანტიის მიცემით ან სხვაგვარად აღიარებს ვალს, მაშინ ხანდაზმულობის დენა წყდება. გამსესხებელის უფლების ხელახალი დარღვევის შემთხვევაში განვლილი დრო ხანდაზმულობის ვადაში არ ჩაითვლება და მისი დენა დაიწყება თავიდან. შესაძლებელია აგრეთვე ხანდაზმულობის ვადის დენის შეჩერება. ეს მაშინ ხდება როცა: ვალდებულების შესრულება გადავადებულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ ანუ მორატორიუმის არსებობისას; სარჩელის წარდგენას აბრკოლებს განსაკუთრებული და მოცემულ პირობებში აუცდენელი დაუძლეველი ძალა; კრედიტორი ან მოვალე იმყოფება შეიარაღებული ძალების იმ ნაწილში, რომელიც გადაყვანილია საომარ მდგომარეობაში. ხანდაზმულობის დენის შეჩერება შესაძლებელია აგრეთვე კანონით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებშიც.

ხანდაზმულობის ვადის შეჩერება მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ აღნიშნული გარემოებები წარმოიშობა ან განაგრძობდა არსებობას ხანდაზმულობის ვადის უკანასკნელი ექვსი თვის ფარგლებში. ხოლო თუ ეს ვადა ექვს თვეზე ნაკლებია – ხანდაზმულობის ვადის განმავლობაში. ხანდაზმულობის ვადის შეჩერების საფუძვლად

მიჩნეული გარემოების არსებობის მთელი პერიოდი არ ჩაითვლება ხანდაზმულობის ვადაში, ე.ი. ეს ვადა შეჩერებულია აღნიშნულ გარემოებათა შეწყვეტამდე. ამ მომენტიდან კი აღდგება შეჩერებული ვადა და გაგრძელდება ექვს თვემდე, ხოლო თუ ხანდაზმულობის ვადა ექვს თვეზე ნაკლებია – ხანდაზმულობის ვადამდე, თუ აღნიშნულ ვადებში გამსესხებელმა არ მიმართა სასამართლოს, დარღვეული უფლების იძულებითი დაცვის გარანტია იკარგება.

ასეთ შემთხვევაში სასამართლო სარჩელს მიიღებს, განიხილავს მას, მაგრამ ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო უარს ეტყვის გამსესხებელს სარჩელის დაკმაყოფილებაზე, თუ არ არსებობს ხანდაზმულობის ვადის აღდგენისათვის საპატიო მიზეზი ან თუ ამის შესახებ მსესხებელი არ მიუთითებს თავის შესაგებელში სსსკ-ის 4-ე და 201-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად. ხანდაზმულობის გასვლის შემდეგ შეიძლება მსესხებელმა ნებაყოფლობით გადაიხადოს ვალი. ეს ვალდებულების შესრულებად ჩაითვლება, მაგრამ მსესხებელს იმ მოტივით, რომ ხანდაზმულობის ვადის გასვლის შემდეგ შეეძლო არ გადაეხადა ვალი და მაინც გადაიხადა, გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნის უფლება არა აქვს. სსკ-ის 144-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, იგივე წესი გამოიყენება გამსესხებლის მიერ ვალის აღიარებისა და უზრუნველყოფის საშუალებათა მიმართაც.

ხანდაზმულობასთან მიმართებით სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის სასამართლოში განხილვისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გამსესხებლისათვის მინიჭებულ უფლებებს – უარი თქვას სარჩელზე ან უკან გამოიხმოს სარჩელი.

სარჩელზე უარის თქმა შეიძლება მოხდეს, როგორც საქმის მომზადების ეტაპზე (სსსკ-ის 205-ე-208-ე მუხლები), ისე საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე. მოსარჩელის მიერ სარჩელზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო სსსკ-ის 272-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად გამოიტანს განჩინებას საქმის – წარმოების შეწყვეტის შესახებ. საქმის წარმოების შეწყვეტის შემთხვევაში

სასამართლოსთვის ხელმეორედ მიმართვა დავაზე იმავე მხარეებს შორის, იმავე საგანზე და იმავე საფუძვლით არ შეიძლება.

მაშასადამე, თუ გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მსესხებლისაგან ვალის დაბრუნების შესახებ მოთხოვნით, მაგრამ შემდგომში საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარს თქვა სარჩელზე, გამსესხებელი დაკარგავს უფლებას შემდგომში კვლავ მიმართოს სარჩელით სასამართლოს იმავე მსესხებლის მიმართ იგივე მოთხოვნითა და იმავე საფუძვლით.

სარჩელზე უარის თქმისაგან განსხვავდება გამსესხებლის უფლება უკან გამოიხმოს სარჩელი. სსსკ-ის 83[1] მუხლი ითვალისწინებს გამსესხებლის უფლებას უკან გამოიხმოს მსესხებლის წინააღმდეგ ვალის დაბრუნების შესახებ შეტანილი სარჩელი ისე, რომ უარი არ თქვას თავის მოთხოვნაზე. თუ სასამართლო დააკმაყოფილებს გამსესხებლის განცხადებას სარჩელის გამოხმობის შესახებ, მას სსსკ-ის 83[1] მუხლის მე-2 ნაწილისა და 275-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. სსსკ-ის 278-ე მუხლის თანახმად, იმ გარემოებათა აღმოფხვრის შემთხვევაში, რომელიც საფუძვლად დაედო სარჩელის განსახილველად დატოვებას, დაინტერესებულ პირს (გამსესხებელს) უფლება აქვს კვლავ მიმართოს სასამართლოს საერთო წესის დაცვით.

მაშასადამე, თუ გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მსესხებლისაგან ვალის დაბრუნების შესახებ მოთხოვნით, ხოლო შემდეგ კი საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე უარს იტყვის სარჩელზე, გამსესხებელი კარგავს შემდგომში იგივე მოთხოვნის მსესხებლისათვის იგივე საფუძვლით წარდგენის შესაძლებლობას. რაც შეეხება გამსესხებლის მიერ მსესხებლის წინააღმდეგ ვალის დაბრუნების შესახებ სარჩელის უკან გამოხმობას, ასეთ შემთხვევაში გამსესხებელი არ კარგავს უფლებას კვლავ მიმართოს სასამართლოს იგივე სასარჩელო მოთხოვნით იმავე მსესხებლის მიმართ იმავე საფუძვლით.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 140-ე მუხლის I ნაწილისა და

სსსკ-ის 277-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში სასარჩელო ხანდაზმულობის ვადა არ წყდება. ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტა ნიშნავს იმას, რომ შეწყვეტამდე განვლილი დრო მხედველობაში არ მიიღება და ვადა დაიწყება თავიდან.

ხანდაზმულობა არის ვადა, რომლის განმავლობაში პირს, რომლის უფლებაც დაირღვა, შეუძლია მოითხოვოს თავისი უფლების იძულებითი განხორციელება და დაცვა, გამსესხებლის მიერ მსესხებლის წინააღმდეგ ვალის დაბრუნების შესახებ სარჩელის უკან გამოხმობის შემთხვევაში განსაკუთრებით პრობლემურია ხანდაზმულობის საკითხი. ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ სესხის ხელშეკრულების მიმართ სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად გამოიყენება სამწლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომელიც აითვლება მოთხოვნის წარმოშობის მომენტიდან. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან: „A“-ს და „B“-ს შორის 2005 წლის 10 თებერვალს ექვსი თვის ვადით დაიდო სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულების თანახმად, „A“-მ „B“-ს გადასცა 5000 ლარი. შეთანხმებულ ვადაში „B“-მ ვერ შესძლო ვალის დაბრუნება. ხანდაზმულობის სამწლიანი ვადა დაიწყო 2005 წლის 11 აგვისტოდან. 2008 წლის 10 ივნისს „A“-მ სარჩელით მიმართა სასამართლოს. საქმის განხილვის მომზადებისას 2008 წლის 20 ივლისს „A“-მ უკან გამოიხმო სარჩელი. 2008 წლის 20 ნოემბერს „A“-მ კვლავ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა „B“-საგან 2005 წლის 10 თებერვალს დადებული სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 5000 ლარის დაბრუნება. „B“-მ სარჩელი არ ცნო და თავის შესაგებელში აღნიშნა, რომ „A“-ს მოთხოვნა ხანდაზმულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს. მსესხებელმა თავის შესაგებელში მიუთითა საქართველოს საპროცესო კოდექსის 83^1 მუხლის I-ლი ნაწილი, 275-ე მუხლის 1 ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტი, 277-ე მუხლი და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დებულებები და აღნიშნა, რომ სარჩელის განუხილველად დაიტოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა

არ წყდება, ამიტომაც გამსესხებლის მოთხოვნა ხანდაზმულია, რამეთუ კანონით დადგენილი სამწლიანი ხანდაზმულობა გავიდა 2008 წლის 11 აგვისტოს, ხოლო გამსესხებელმა კი სარჩელი ხელახლა შეიტანა 2008 წლის 20 ნოემბერს. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო.

ვერ დავეთანხმებით სასამართლოს გადაწყვეტილებას შემდეგი გარემოებების გამო: მართალია, სსკ-ის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსსკ 277-ე მუხლების შესაბამისად, სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში ხანდაზმულობის ვადა არ წყდება და იგი განაგრძობს დენას, მაგრამ მოსამართლეს უნდა გაეთვალისწინებინა საქმის განხილვისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნა, რომლის თანახმადაც: „თუ უფლებამოსილი პირი ექვსი თვის ვადაში შეიტანს ახალ სარჩელს, მაშინ ხანდაზმულობის ვადა შეწყვეტილად ითვლება პირველი სარჩელის შეტანის დროიდან“.

მართალია სარჩელის განუხილველად დატოვება საერთო წესის მიხედვით არ იწვევს ხანდაზმულობის ვადის დენის შეწყვეტას და ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში იგი გავიდა 2008 წლის 11 აგვისტოს, მაგრამ სსკ-ის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დებულება არის სპეციალური ნორმა, რომელიც ითვალისწინებს გამონაკლისს სსკ-ის 140-ე მუხლის 1-ლი ნაწილისა და სსსკ 277-ე მუხლით დადგენილი შემთხვევიდან. ჩვენს მიერ განხილულ მაგალითში, სარჩელი პირველად შეტანილ იქნა 2008 წლის 10 ივნისს (ანუ როცა გასული იყო სამწლიანი ხანდაზმულობიდან 2 წელი და 10 თვე), ხოლო მეორედ შეტანილი იყო 2008 წლის 20 ნოემბერს (ანუ როდესაც გასული იყო სამწლიანი ხანდაზმულობის ვადიდან 3 წელი, სამი თვე და ცხრა დღე). ერთი შეხედვით, მეორედ შეტანილი სარჩელი ხანდაზმულია, მაგრამ სსკ-ის 140-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, რადგან მეორე სარჩელი შეტანილ იქნა პირველი სარჩელის შეტანიდან (2008 წლის 10 ივნისი – 2008 წლის 20 ნოემბერი) 5 თვის ვადაში, ხანდაზმულობის ვადა შეწყდა 2008 წლის 10 ივნისს

და ახალი სამწლიანი ხანდაზმულობის ვადის ათვლა დაიწყება 2008 წლის 11 ივნისიდან. შესაბამისად „A“-ს მოთხოვნა „B“-ს მიმართ სესხის უკან დაბრუნების შესახებ სსკ-ის 140-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად არ არის ხანდაზმული და სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს.

სესხთან მიმართებით მნიშვნელოვანია ერთმანეთისგან იქნეს გამიჯნული შუამავლობა და თავდებობა. სსკ-ის 744-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად გაწეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. სსკ-ის 751-753-ე მუხლები ეხება შუამავლობის ისეთ სპეციფიკურ სახეს, როგორიცაა შუამავლობა სესხებისას. სსკ-ის 752-ე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, სესხის შუამავლობის ხელშეკრულების ტექსტი არ უნდა იყოს დაკავშირებული სესხის გაცემის შუამდგომლობასთან.

სსკ-ის 891-ე მუხლის თანახმად, თავდებობის ხელშეკრულებით თავდება კისრულობს ვალდებულებას, თავდებად დაუდგეს კრედიტორის წინაშე მესამე პირს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

მაშასადამე, შუამავლობა არის მომსახურების ტიპის ხელშეკრულება, მაშინ როდესაც თავდებობა წარმოადგენს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფის სახელშეკრულებო საშუალებას. სასესხო შუამავალსა და თავდებს შორის არის მეტად მნიშვნელოვანი სამართლებრივი განსხვავება. სასესხო შუამავლის (მაკლერის) ვალდებულებას წარმოადგენს ერთმანეთთან დააკავშიროს გამსესხებელი და მსესხებელი. შესაბამისად, შუამავალი პასუხს არ აგებს იმისათვის,თუკი შემდგომში მსესხებელი არ დაუბრუნებს ვალს გამსესხებელს. რაც შეეხება თავდებს, მას ეკისრება სესხის დაბრუნების ვალდებულება გამსესხებლის მიმართ, თუკი ძირითადი მოვალე ვერ შესძლებს სესხის უკან დაბრუნებას. ამიტომაც არასწორია, როდესაც გამ-

სესხებელს სარჩელი შეაქვს არა მსესხებლის, არამედ შუამავლის მიმართ. შუამავალი პროცესუალურად არის არასათანადო მხარე. ასეთ შემთხვევაში სასამართლომ უნდა იმოქმედოს სსსკ 85-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად. თუკი მსესხებლის მხარეზე მონაწილეობს რამდენიმე პირი (თანამსესხებლები) დაცული უნდა იქნეს მათ პასუხისმგებლობასთან მიმართებაში სსკ-ის 463-475-ე მუხლების მოთხოვნები.

მოკლედ მომოვიხილოთ სესხის ხელშეკრულება განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით. ანგარიშსწორების განხორციელება წარმოადგენს სასყიდლიანი ხასიათის მქონე ურთიერთობების არსებით და სავალდებულო ელემენტს, რომელთა განხორციელების შედეგადაც კრედიტორი ღებულობს მის მიერ გადაცემული მატერიალური ფასეულობების ან განცდილი ზიანის შესაბამის ფულად ექვივალენტს. ანგარიშსწორება შეიძლება მოხდეს როგორც ნაღდი, ისე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ზოგჯერ სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვაში წარმოიშობა ფულის სესხად გაცემის საჭიროება. ასეთ ურთიერთობებს ეწოდება საკრედიტო ურთიერთობები (ლათინური სიტყვიდან „creditum – ვალი“). საკრედიტო ხელშეკრულებები ფორმდება ან სესხის ხელშეკრულების სახით, ანდა თამასუქის გაცემის გზით. ასეთივე მსგავსი ურთიერთობები აღმოცენდება ჩეკის გაცემისას ანდა საბანკო ოპერაციების განხორციელებისას.

ჯერ კიდევ რომის სამართალში ცნობილი იყო ორი განსხვავებული შინაარსის მქონე ხელშეკრულებები: თხოვების ხელშეკრულება (comodatum) და სესხის ხელშეკრულება (mutuum). განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობა თავიდან წავიდა იქითკენ, რომ მოახდინა თხოვებისა და სესხის ხელშეკრულებების ერთ სამართლებრივ კატეგორიაში – სესხის ხელშეკრულება – განზოგადება და თხოვების ხელშეკრულებას მიიჩნევდა სესხის ნაირსახეობად. ასე, მაგალითად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1874-ე მუხლში ნათქვამია, რომ არსებობს სესხის ორი სახე: იმ ნივთების, რომელთა სარგებლობაც შეიძლება მათი განადგურების

გარეშე ხელშეკრულება არის სესხი სარგებლობისათვის (pret a usage) ანუ თხოვება (commodat) და მოხმარებადი ნივთების სესხის ხელშეკრულება (pret de consommation). ამასთან ერთად, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით დადგენილია აღნიშნული სახის ხელშეკრულებების დამოუკიდებელი რეგულირება. ამ ტრადიციას მისდევენ ის ქვეყნებიც, რომელთა კანონმდებლობაზეც გავლენა მოახდინა საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსმა.

კანონმდებლობის განვითარების უფრო გვიან ეტაპზე სხვა განვითარებული ქვეყნების კანონმდებლებმა უარი განაცხადეს თხოვებისა და სესხის ხელშეკრულებების ერთ სამართლებრივ კატეგორიად გაერთიანებაზე და უკვე გერმანიის სამოქალაქო სჯულდების პირველივე რედაქციაში მოხდა თხოვების (Leike) (§ 598) და სესხის (Darlehen) (§ 607) ხელშეკრულებების ერთმანეთისაგან ურთიერთგამიჯვნა. თუმცა კი 2002 წლამდე გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში არ ხდებოდა გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთის სესხის ხელშეკრულების გამიჯვნა იმ სესხის ხელშეკრულებისაგან, რომლითაც ხდებოდა გარკვეული ოდენობის თანხის გასესხება.

ევროკავშირის კერძო სამართლის უნიფიკაციამ გამოიწვია გერმანიის სამოქალაქო სჯულდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, რომელიც შეეხება სამომხმარებლო კრედიტს. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების მეორე წიგნს დაემატა მესამე განყოფილება მომხმარებლებისათვის ფინანსური დახმარების შესახებ, რომელიც რეგულირდება ფულადი სესხის ხელშეკრულებით.

ინგლისისა და აშშ-ს სამართლისათვის ცნობილია „ნივთების სესხება სარგებლობისათვის" (loan for use), როგორც გვარეობითი ცნება, რომელიც მოიცავს ფულადი სესხის ხელშეკრულებასაც (loan of money). კანონმდებლობით უფრო დეტალურადაა მოწესრიგებული ურთიერთობები, რომლებიც დაკავშირებულია ფულის სესხების ხელშეკრულებასთან,.

თხოვების ხელშეკრულებით ერთი მხარე, გამნათხოვებელი

უსასყიდლოდ გადასცემს სარგებლობაში მეორე მხარეს — მონათხოვრეს ნივთს, ხოლო მონათხოვრე ვალდებულია ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკან დაუბრუნოს გამნათხოვებელს ნივთი (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1875-ე მუხლი, გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 598-ე პარაგრაფი, შვეიცარიის ვალდებულებითი კანონის 305-ე მუხლი).

თხოვების ხელშეკრულება უნდა გაიმიჯნოს სხვა სახის ხელშეკრულებებისაგან: თხოვება ქონების ქირავნობისაგან განსხვავდება თავისი უსასყიდლო ხასიათით. თხოვება სესხის ხელშეკრულებებისაგან განსხვავდება იმით, რომ მონათხოვრეს ნივთი გადაეცემა არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობაში. თხოვება უსასყიდლო შენახვისაგან (მიბარება) განსხვავდება იმით, რომ შემნახველს მიმბარებლის თანხმობის გარეშე არ შეუძლია ისარგებლოს შესანახად მიბარებული ნივთით. თხოვება ჩუქებისაგან განსხვავდება იმით, რომ დასაჩუქრებულს ნივთი გადაცემა საკუთრებაში, ხოლო მონათხოვრეს კი დროებით სარგებლობაში.

თხოვების ხელშეკრულება არის უსასყიდლო ხელშეკრულება. იგი როგორც წესი არის კონსენსუალური ხელშეკრულება. მის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, რომელიც შეიძლება იყოს თავისუფლად სამოქალაქო ბრუნვაში და არ კარგავს თავის სასარგებლო თვისებებს ერთჯერადი გამოყენების შედეგად (საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1878-ე მუხლი).

რაც შეეხება სესხის ხელშეკრულებას, სესხის ხელშეკრულებით გამსესხებელი საკუთრებაში გადასცემს მსესხებელს ფულს ან სხვა გვაროვნულ ნივთს, ხოლო მსესხებელი კისრულობს დააბრუნოს იმავე სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 623-ე მუხლით გათვალისწინებული სესხის ხელშეკრულების ცნება ზუსტად ამგვარად მოცემულია გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 607 პარაგრაფში. საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსის 1892-ე და 1893-ე მუხლებში).

აღსანიშნავია, რომ გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 607-ე პარაგრაფი ეხება გვაროვნული ნიშნით განსაზღვრული ნივთების

სესხებას, ხოლო ფულადი თანხის სესხებას კი ეხება 488-ე პარაგრაფი.

განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობით, სესხის ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება, თუმცა კი გათვალისწინებულია სესხის შეპირების ინსტიტუტიც.

სესხის ხელშეკრულება შეიძლება იყოს როგორც სასყიდლიანი (პროცენტიანი), ისე უსასყიდლო (უპროცენტო). გამსესხებელს უფლება აქვს არ გადასცეს სესხის საგანი მსესხებელს ან დაუყოვნებლივ მოითხოვოს სესხად გაცემული ნივთის (ფულის) უკან დაბრუნება, თუკი მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვნად უარესდება და საფრთხე შეექმნება სესხის თავისდროულად უკან დაბრუნებას.

აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის 1998 წლის 16 თებერვლის დირექტივის 98/7/Eg „საომომხმარებლო კრედიტის შესახებ წევრი სახელმწიფოების სამართლებრივი და ადმინისტრაციული ნორმების შესაბამისობაში მოყვანის შესახებ“,. მოთხოვნათა გათვალისწინებით გერმანიის სამოქალაქო სჯულდების მეორე წიგნს „ვალდებულებითი სამართალი“ ნაწილი 8 „ვალდებულების ცალკეული სახეები“ დაემატა მესამე განყოფილება: სესხის ხელშეკრულება ფინანსური დახმარება, მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის მიწოდების ხელშეკრულებები (§ 488-587), რომელიც მოიცავს: 1) სესხის ხელშეკრულებას (§ 488-438), ლიზინგის ხელშეკრულებას (§ 499-504), მომხმარებლებს და მეწარმეებს შორის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულებებს (§ 505-5071).

გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 607-609-ე პარაგრაფები კი აწესრიგებენ ქონების (ნივთის) სესხების ხელშეკრულებას. Sachdarlehensvertrag _ ნივთის სესხების ხელშეკრულება. რაც შეეხება ფულადი თანხის სესხებას, ეს ურთიერთობები რეგულირდება გერმანიის სამოქალაქო სჯულდების 488-ე-498-ე პარაგრაფებით.

თუ თვალს გადავავლებთ განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობას სესხის ხელშეკრულებასთან მიმართებით, აგრეთვე

ამ სფეროში არსებულ ევროკავშირის დირექტივებს, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სესხის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები (სსკ 623-628-ე მუხლები), გარდა სსკ-ის 625-ე მუხლისა (პროცენტის განსაზღვრა სესხებისას) სრულ შესაბამისობაშია განვითარებული ქვეყნების კანონმდებლობასთან.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

I თავი

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ზოგადი დახასიათება

ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას წარმოადგენს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაც. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც კისრულობს სამისდღეშიო სარჩოს გადახდას (მარჩენალი), მოვალეა გადაუხადოს იგი სარჩოს მიმღებს (სარჩენს) მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს. სამისდღეშიო სარჩო შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით (ბინით, კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებით).

თავისი სამართლებრივი ბუნებით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ორმხრივი, კონსესუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ მარჩენალი და სარჩენი, რომლებსაც გააჩნიათ როგორც უფლებები, ისე მოვალეობები. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება დადებულად ითვლება, როდესაც მხარეები შეთ-

ანხმდებიან ხელშეკრულების ყველა არსებით პირობაზე საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ყოველთვის არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რამეთუ მარჩენალმა მიღებული ქონების სანაცვლოდ სარჩენს უნდა უხადოს დადგენილი ოდენობის სარჩო ფულადი ან ნატურალური სახით (ანდა კომბინირებული სახის სარჩო).

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, როგორც აღვნიშნეთ, წარმოადგენს ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებას, რომელსაც გააჩნია მისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშნები, რითაც იგი განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის სხვა ხელშეკრულებისაგან, მაგალითად, როგორიცაა ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, პირველ რიგში, განსხვავდება სუბიექტური შემადგენლობის მიხედვით, ასე მაგალითად, თუკი ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები — გამყიდველი და მყიდველი — შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირები, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩენი — შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი.

მეორე რიგში, მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაყიდ ნივთზე წარმოეშობა საკუთრების უფლება და შეუძლია ნაყიდი ნივთი განკარგოს თავისი შეხედულებისამებრ, მაშინ როდესაც მარჩენალს, მართალია, სარჩენის ქონებაზე, რომელიც მას სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაეცემა, წარმოეშობა საკუთრების უფლება, მაგრამ გარკვეული შეზღუდვებით, რამეთუ სარჩენის სიცოცხლეში მას უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე.

მესამე რიგში, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ერთერთი თავისებურება მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ მართალია, იგი არის სასყიდლიანი და მიზნად ისახავს მომავალში სარჩენის ქონების გადასვლას მარჩენალის საკუთრებაში განსაზღვრული შემხვედრი ანაზღაურების გადახდის გზით, მაგრამ იგი არსებითად

არ მოიცავს ისეთ პირობას, როგორიცაა ფასი და, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, არ ხასიათდება გადასაცემი მატერიალური სიკეთის ეკვივალენტურობით. სარჩოს ოდენობა, რომელსაც სარჩენი ღებულობს მარჩენალისაგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით, შეიძლება შეადგენდეს მარჩენალისათვის გადასაცემი ქონების ღირებულების უმნიშვნელო ნაწილს, ხოლო ზოგ შემთხვევაში კი შეიძლება მნიშვნელოვნად გადააჭარბოს კიდევაც ამ ქონების ღირებულებას (ეს გარემოება აიხსნება იმით, რომ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ვადიანი ხელშეკრულება, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ არის განსაზღვრული, არამედ სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით, თუმცა კი ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამეც იყოს გათვალისწინებული, ე.ი. მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ განსაზღვრულ დროზე, რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს სარჩოს გადახდას სარჩენისათვის). სამისდღეშიო რჩენისას შემხვედრი ანაზღაურების ოდენობა წინასწარ არაა ცნობილი და ამიტომაც არ შეიძლება, რომ განსაზღვრული იქნეს ხელშეკრულების დადებისას, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, რომლის ერთ-ერთი არსებითი პირობაც არის გასაყიდი ნივთის ფასი, რომელიც წინასწარაა განსაზღვრული ხელშეკრულების დადებისას. გარდა ამისა,მარჩენალმა შეიძლება სარჩენის სასარგებლოდ განახორციელოს არაქონებრივი ხასიათის მოქმედებებიც, რაც არ ახასიათებს ნასყიდობის ხელშეკრულებას.

მეოთხე რიგში, განსხვავებით ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებიდან გამომდინარე რჩენის მოვალეობა ატარებს განგრძობად, ხანგრძლივ ხასიათს, იგი შეიძლება გაგრძელდეს წლობითაც კი, ამიტომაც ამ ხელშეკრულების ძირითადი შინაარსი განისაზღვრება არა განსაზღვრული ფასით ქონების გადაცემასთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით, არამედ სარჩოს გადახდასთან დაკავშირებით წარმოშობილი უფლება-მოვალეობებით. აქედან გამომდინარეობს სწორედ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სხვა თავისე-

ბურებებიც, როგორიცაა მხარეთა ურთიერთობების მოწესრიგება მომავალში გარემოებების შეცვლასთან დაკავშირებით. მაგალითად, თუკი მხარეთა შორის ერთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა სხვა არსებითი მიზეზები უკიდურესად აძნელებს ანდა შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების გაგრძელებას. ამიტომაც კანონი ადგენს სამიდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის განსაკუთრებულ გარემოებებს, რომლებიც არ შეიძლება, რომ გამოყენებულ იქნეს ნასყიდობის ხელშეკრულების შეწყვეტის მიმართ.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება განსხვავდება ქონების საკუთრებაში გადაცემის ისეთი სახის ხელშეკრულებისაგან, როგორიცაა ჩუქება. როგორც ცნობილია, ჩუქების ხელშეკრულებით მჩუქებელი უსასყიდლოდ გადასცემს დასაჩუქრებულს ქონებას საკუთრებად მისი თანხმობით. მაშასადამე, ჩუქება არის უსასყიდლო ხელშეკრულება, მაშინ როდესაც სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის სასყიდლიანი ხელშეკრულება, რომელშიც ფასი გამოიხატება იმ სარჩოში, რომელიც მარჩენალმა უნდა გადაუხადოს სარჩენს მისგან მიღებული ქონების სანაცვლოდ.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადება შეიძლება განპირობებული იყოს სხვადასხვა გარემოებით, ძირითადად იგი იდება იმ შემთხვევებში, როდესაც სარჩენი არის შრომისუუნარო, ანდა განიცდის მატერიალურ გაჭირვებას ან საჭიროებს მოვლას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო. იგი დებს ხელშეკრულებას მარჩენალთან, რომელსაც ამ მოვლისა და დახმარების სანაცვლოდ გადასცემს თავის ქონებას. მაშასადამე, ხელშეკრულების საგანია ის ქონება, რომელიც არის სარჩენის საკუთრება (უძრავი თუ მოძრავი ნივთები) და რომელსაც იგი ხელშეკრულებით გადასცემს მარჩენალს. თავის მხრივ, მარჩენალმა სარჩენს ამ ქონების სანაცვლოდ უნდა უხადოს სარჩო, რომელიც შეიძლება დადგინდეს ფულადი ან ნატურალური სახით. ფულადი სარჩოს ოდენობა განისაზღვრება ხელშეკრულებით, მაგალითად, ყოველთვე 100 ლარი ანდა ყოველ კვირა 50 ლარი და ა.შ. რაც შეეხება ნატურალურ სარჩოს, იგი შეიძლება გამოიხატოს სარჩენის უზრუნველყოფაში ბინით, მოვ-

ლით, სხვა აუცილებელი დახმარებით (მაგალითად, წამლებით მომარაგება, ოპერაცია, მკურნალობა და ა.შ.). ნატურალური სარჩოს შემთხვევაში საჭიროა, რომ ხელშეკრულებაში დეტალურად იქნეს აღწერილი ყველა პირობა, მაგალითად, დღეში სამჯერადი კვება, მოვლა, სანატორიუმში დასვენება და სხვა. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება მხარეთა უფლება-მოვალეობების განსაზღვრისათვის, როდესაც ხელშეკრულება ვადამდე წყდება სამოქალაქო კოდექსის 949-ე მუხლით გათვალდისწინებული შემთხვევების არსებობისას.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება არის ვადიანი, მაგრამ ვადა, როგორც წესი, კალენდარული თარიღით კი არ განისაზღვრება (მაგალითად, დაიდო 1998 წლის 10 მაისიდან 2001 წლის 10 მაისის ჩათვლით), არამედ სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით, თუმცა ხელშეკრულებით შეიძლება სხვა რამეც იყოს გათვალისწინებული ანუ მარჩენალი და სარჩენი შეთანხმდნენ კონკრეტულად განსაზღვრულ დროზე (მაგალითად, ერთი წელი, 6 თვე), რომლის განმავლობაშიც მარჩენალი კისრულობს ვალდებულებას უხადოს სარჩენს სარჩო.

რაც შეეხება საქართველოს სსრ 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსს, მასში სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას ეწოდებოდა გარდაცვალებამდე რჩენის ხელშეკრულება. აღნიშნული კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, ხელშეკრულებით გარდაცვალებამდე რჩენის შესახებ სახლის განსხვისების პირობით ერთი მხარე, ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არაშრომისუნარიანი პირი (გამსხვისებელი) გადასცემს მეორე მხარეს (შემძენს) საკუთრებად სახლს (ან მის ნაწილს), შემძენი კი ამის სამაგიეროდ კისრულობს გამსხვისებლის გარდაცვალებამდე მატერიალურ უზრუნველყოფას ნატურად ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით.

მაშასადამე, თუკი შევადარებთ 1964 წლის სამოქალაქო კოდექსის 439-ე მუხლსა და 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის 941-ე მუხლებს, ვნახავთ განსხვავებას:

1) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სარჩენი შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ ასაკის ან ჯანმრთელობის გამო არაშრომისუნარიანი პირი, მაშინ როდესაც ახალი სამოქალაქო კოდექსი ამ შეზღუდვებს სარჩენის მიმართ არ აწესებს ანუ სარჩენი შეიძლება იყოს როგორც შრომისუუნარო, ისე შრომისუნარიანი პირი.

2) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების საგანი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ და მხოლოდ უძრავი ქონება, კონკრეტულად კი სარჩენის საკუთრებაში არსებული სახლი ან მისი ნაწილი. ახალი კოდექსის თანახმად კი, ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს სარჩენის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი როგორც მოძრავი, ისე უძრავი ნივთი.

3) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ხელშეკრულების ვადა განისაზღვრებოდა სარჩენის მთელი სიცოცხლით და ამიტომაც ერქვა მას გარდაცვალებამდე რჩენა, მაშინ როდესაც ახალი სამოქალაქო კოდექსი მიიჩნევს, რომ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს არა სარჩენის მთელი სიცოცხლის ვადით, არამედ განსაზღვრული ვადითაც, რომლის განმავლობაში მარჩენალი კისრულობს სარჩოს გადახდას სარჩენისათვის.

4) ძველი სამოქალაქო კოდექსის თანახმად, სარჩო შეიძლება ყოფილიყო მხოლოდ ნატურალური სახის და გამოიხატებოდა სარჩენის უზრუნველყოფაში ბინით, კვებით, მოვლითა და აუცილებელი დახმარებით, რაც შეეხება ახალ სამოქალაქო კოდექსს, იგი ითვალისწინებს, რომ სარჩო შეიძლება დადგინდეს როგორც ფულადი სახით, ისე ნატურით (ნატურალური სარჩო) ანდა კომბინირებული სახით.

II თავი

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 942-ე მუხლის თანახმად, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება მიეკუთვნება ფორმასავალდებულო ხელშეკრულებათა რიცხვს, კერძოდ:

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება უნდა დაიდოს წერილობით. უძრავი ქონების გადაცემის შემთხვევაში ხელშეკრულება უნდა დამოწმდეს სანოტარო წესით.

აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს კანონის იმპერატიულ მოთხოვნას სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ფორმასთან დაკავშირებით. სახელდობრ, ხელშეკრულება უნდა დაიდოს მხოლოდ და მხოლოდ წერილობითი ფორმით ანუ კანონი არ უშვებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების დადებას ზეპირი ფორმით. კანონის ეს მოთხოვნა გამომდინარეობს იმ სპეციფიკიდან, რომელიც ახასიათებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას, რაც იმაში გამოიხატება, რომ ხელშეკრულება ატარებს განგრძობად ხასიათს, ანუ მარჩენალს, სარჩენის ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ და, შესაბამისად, დავის შემთხვევაში კანონი დასაშვებად მიიჩნევს მხოლოდ წერილობით მტკიცებულებებს. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სამოქალაქო საპროცესო სამართლის მიერ დადგენილი მტკიცებულებათა დასაშვებობის პრინციპი, რომლის თანახმადაც, საქმის გარემოებები, რომლებიც შეიძლება დადგენილ იქნეს ერთი სახის მტკიცებულებით, არ შეიძლება დადგენილ იქნეს სხვა სახის მტკიცებულებით, ე.ი. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების არსებობა შეიძლება დადგინდეს მხოლოდ წერილობითი მტკიცებულებებით. (სსსკ-ის 102-ე მუხლის III ნაწილი).

იმ შემთხვევაში, თუკი ხელშეკრულებით ხდება სარჩენის მიერ მარჩენალისათვის უძრავი ქონების გადაცემა, იგი უნდა

დამოწმდეს სანოტარო წესით. უძრავი ნივთის ცნება და სახეები განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 149-ე მუხლით, რომლის თანახმადაც, უძრავ ნივთებს მიეკუთვნება მიწის ნაკვეთი მასში არსებული წიაღისეულით, მიწაზე აღმოცენებული მცენარეები, აგრეთვე შენობა-ნაგებობანი, რომლებიც მყარად დგას მიწაზე.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში წიგნი მეორე, სანივთო (ქონებრივი) სამართალი, კარი მესამე საკუთრება, თავი მესამე: საკუთრების შეძენა და დაკარგვა, 2006 წლის 8 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა განახორციელა ცვლილებები და დამატებები. კერძოდ, სსკ-ის 183-ე მუხლის თანახმად, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენზე ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში (ცვლილება ამოქმედდა 2007 წლის 15 მარტიდან).

მაშასადამე, 2007 წლის 15 მარტამდე მოქმედებდა ზოგადი წესი იმის შესახებ, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საკუთრების შეძენის ყველა ტიპის გარიგებისათვის სავალდებულო იყო სანოტარო წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულება. ამჟამად, სსკ-ის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, წერილობითი ფორმის არსებობისას, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან მხარეთა შეთანხმებით გარიგება ან გარიგების მონაწილე მხარეთა ხელმოწერების ნამდვილობა უნდა დაამოწმოს ნოტარიუსმა ან კანონით გათვალისწინებულმა სხვა პირმა.

სსკ-ის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილში მითითებული დებულება „კანონით გათვალისწინებული შემთხვევა“ გვხვდება სწორედ სსკ-ის 942-ე მუხლში, სადაც მითითებულია, რომ თუკი რჩენის სანაცვლოდ სარჩენი მარჩენალს გადასცემს საკუთრებაში უძრავ ქონებას, ასეთი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება სავალდებულოა რომ დამოწმდეს სანოტარო წესით.

იმ შემთხვევაში, თუკი სამისდღეშიო რჩენასთან მიმართებით დაირღვა სსკ-ის 942-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა

წერილობითი ფორმის შესახებ, მაშინ დადგება სსკ-ის 59-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი, კერძოდ, ბათილია კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება. თუკი მარჩენალმა ნაწილობრივ უკვე განახორციელა სარჩენისათვის სარჩოს გადახდა, ფორმის ნაკლის გამო შემდგომში ხელშეკრულების ბათილობის შემთხვევაში, მარჩენალს წარმოეშობა სსკ-ის 976-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ვითომ-კრედიტორისაგან გადახდილი სარჩოს მოთხოვნის უფლება, გარდა სსკ-ის 976-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, კერძოდ: „უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ შესრულება შეესაბამება ზნეობრივ მოვალეობებს“.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით მარჩენალის მიერ სარჩენისათვის გადასახდელი სარჩო შეიძლება მხარეთა შეთანხმებით გათვალისწინებულ იქნეს ფულადი ან ნატურალური სახით ანდა კომბინირებული სახით. მოქმედი სამოქალაქო კანონმდებლობა არ ადგენს სარჩოს მინიმუმს ან მაქსიმუმს. სარჩოს ოდენობა განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით. ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებული იქნეს დამატებითი ხარჯებიც, რომელიც შეიძლება გამოწვეული იქნეს სარჩენის ავადმყოფობით, ოპერაციის გაკეთებით და ა.შ. და ანაზღაურებული უნდა იქნეს მარჩენალის მიერ.

თუ ხელშეკრულებაში პირდაპირ არ არის გათვალისწინებული მარჩენალის მიერ დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება, ასეთ შემთხვევაში მარჩენალს ეკისრება მხოლოდ შეთანხმებული სარჩოს გადახდა და არ დაეკისრება დამატებითი ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება.

სსკ-ის 947-ე მუხლის თანახმად, ნატურალური სარჩოს გადახდისას ხელშეკრულებაში მხარეებს შეუძლიათ გაითვალისწინონ ნატურალური სარჩოს შეცვლა ფულით.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში დიდი მნიშვნელობა ენიჭება სარჩოს გადახდის ვადებს. სარჩოს გადახდის ვადები დგინდება მხარეთა შეთანხმებით სარჩოს ხასიათიდან და მიზნე-

ბიდან გამომდინარე. სარჩოს გადახდის ვადებზე დიდ ზეგავლენას ახდენს სარჩოს სახე – ფულადი ან ნატურალური. ფულადი სარჩოს გადახდის ვადები მხარეთა შეთანხმებით შეიძლება განისაზღვროს ყოველკვირეული, ყოველთვიური, ყოველკვარტალური გადასახდელის სახით. რაც შეეხება ნატურალურ სარჩოს, იგი როგორც წესი, განისაზღვრება ყოველდღიური სახით, მაგალითად, კვება, მოვლა, ბინა და ა.შ. სარჩოს გადახდის ვადების განსაზღვრაზე დიდ გავლენას ახდენს აგრეთვე, რა მიზნისათვის არის დადგენილი სარჩო – მოსავლელად, სამკურნალოდ თუ სხვა აუცილებელი დახმარების გასაწევად.

III თავი

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით სარჩენი მარჩენალს ქონებას გადასცემს საკუთრებაში, მაგრამ მარჩენალის საკუთრების უფლება ამ ქონებაზე შეზღუდულია, რაც იმაში გამოიხატება, რომ მარჩენალს სარჩენის სიცოცხლეში არა აქვს ამ ქონების გასხვისების, დაგირავების ან სხვაგვარი დატვირთვის უფლება სარჩენის წერილობითი ნებართვის გარეშე (სსკ-ის 945-ე მუხლი). მაგალითად, ხელშეკრულებით სარჩენმა მარჩენალს საკუთრებაში გადასცა კომბაინი. მარჩენალმა გადაწყვიტა კომბაინის გადაცემა იჯარით, ანდა ბანკიდან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად მისი დაგირავება. კანონი იმპერატიულად მიუთითებს, რომ ამისათვის მას აუცილებლად სჭირდება სარჩენის წერილობითი ნებართვა. ეს გარემოება კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს იმ სპეციფიკურობას, რაც ახასიათებს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებას ანუ მარჩენალი სარჩენის მიერ ხელშეკრულებით მისთვის გადაცემული

ქონების მესაკუთრე ხდება სარჩენის გარდაცვალების მომენტიდან ანდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული რჩენის დამთავრების მომენტიდან.

კანონი ასევე კრძალავს მარჩენალის ვალდებულებების გამო გადახდევინების მიქცევას სარჩენის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებაზე. აქ იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც მარჩენალს სასამართლომ დააკისრა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით (განჩინებით) გარკვეული ფულადი თანხის გადახდა კრედიტორის სასარგებლოდ. მარჩენალს არ აღმოაჩნდა საკმარისი რაოდენობის ფულადი თანხა. კრედიტორმა მიმართა სააღსრულებო ბიუროს რათა იძულებითი წესით მომხდარიყო მარჩენალის ქონების რეალიზაცია ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად. თუ მარჩენალს არა აქვს ქონება, რომლის იძულებითი წესით რეალიზაციაც შეიძლება საქართველოს კანონის „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ თანახმად, არ შეიძლება რომ მარჩენალის ვალების გამო რეალიზაცია გაუკეთდეს სარჩენის მიერ მისთვის გადაცემულ ქონებას, სანამ სარჩენი ცოცხალია ანდა არ გასულა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მოქმედების ვადა. სწორედ ამაში მდგომარეობს ქონებაზე გადახდევინების მიქცევის დაუშვებლობა. თუ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საგანი უძრავი ქონებაა, მაშინ, მოთხოვნის უზრუნველსაყოფად სარჩენს აქვს იპოთეკის უფლება ამ ქონებაზე (დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 289-ე მუხლის მოთხოვნებიც).

სამისდღეშიო სარჩენის ხელშეკრულების რეალიზების პროცესში შეიძლება წარმოიშვას ე.წ. „რჩენათა კონკურენციის პრობლემა“, კერძოდ სსკ-ის 946-ე მუხლის თანახმად, „სამისდღეშიო სარჩოს გადახდა შეიძლება საცილო გახადონ სხვა პირებმა, რომელთაც ჰქონდათ კანონიერი უფლება მიეღოთ სარჩო მარჩენალისაგან, მაგრამ ვერ მიიღეს იმის გამო, რომ მარჩენალი იხდის სამიდღეშიო სარჩოს. ხელშეკრულების მოშლის შემთხვევაში ქონება უბრუნდება სარჩენს“.

მაშასადამე, კანონმდებელი უფლებას ანიჭებს გარკვეული

კატეგორიის პირებს, რომ მათ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში საცილო გახადონ სამიდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ გააჩნიათ მარჩენალისაგან სარჩოს მიღების კანონისმიერი მოთხოვნის უფლება და ვერ ღებულობენ სარჩოს იმის გამო, რომ მარჩენალმა დადო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და სარჩოს უხდის სარჩენს. ამ კატეგორიის პირებს მიეკუთვნებიან სამოქალაქო კოდექსის მეხუთე წიგნში ჩამოთვლილი პირები; სახელდობრ, მშობლები მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილები, აგრეთვე სრულწლოვანი შრომისუუნარო შვილები, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ. არასრულწლოვანი და შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილებისათვის გადასახდელი ალიმენტის ოდენობას განსაზღვრავენ მშობლები ურთიერთშეთანხმებით. თუ მშობლები ვერ შეთანხმდნენ ალიმენტის ოდენობაზე, მაშინ დავას წყვეტს სასამართლო. ალიმენტის ოდენობას სასამართლო განსაზღვრავს გონიერული, სამართლიანი შეფასების საფუძველზე შვილის ნორმალური რჩენა-აღზრდისათვის აუცილებელ მოთხოვნათა ფარგლებში. ალიმენტის ოდენობის განსაზღვრისას სასამართლო მხედველობაში მიიღებს როგორც მშობლების, ისე შვილის რეალურ მატერიალურ მდგომარეობას. მშობელს, რომელიც ალიმენტს უხდის არასრულწლოვან შვილებს, შეიძლება დაეკისროს მონაწილეობა დამატებით ხარჯებში, რომლებიც გამოწვეულია განსაკუთრებული გარემოებებით (ბავშვის მძიმე ავადმყოფობით, დასახიჩრებით და სხვა).

სრულწლოვანი შრომისუნარიანი შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ. თითოეული შვილის მონაწილეობას იმ შრომისუუნარო მშობლის რჩენაში, რომელიც დახმარებას საჭიროებს, განსაზღვრავს სასამართლო ყოველთვიურად გადასახდელი მყარი თანხის სახით, მშობლებისა და შვილების მატერიალური და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით.

დები და ძმები, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი დები ან/და ძმები,

რომლებიც დახმარებას საჭიროებენ და არ შეუძლიათ სარჩო მიიღონ მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი დების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი მშობლების, მეუღლის ან შვილებისაგან.

შვილიშვილი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს, მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო პაპა და ბებია, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, თუ მათ არ შეუძლიათ მიიღონ სარჩო თავისი შვილისაგან ან ერთმანეთისაგან.

პაპა და ბებია, რომელთაც საკმარისი სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი შვილიშვილი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია სარჩო მიიღოს თავისი მშობლებისაგან. ასეთივე მოვალეობა ეკისრებათ მათ იმ შრომისუუნარო სრულწლოვანი შვილიშვილის მიმართ, რომელიც დახმარებას საჭიროებს, თუ მას არ შეუძლია მიიღოს სარჩო თავისი მეუღლის, მშობლების ან შვილებისაგან.

მამინაცვალი და დედინაცვალი, რომელთაც საკმაო სახსრები აქვთ, მოვალენი არიან არჩინონ თავიანთი არასრულწლოვანი ან/და შრომისუუნარო გერი, რომელსაც დახმარება ესაჭიროება, თუ იგი იმყოფება მათთან აღსაზრდელად ან სარჩენად და არა ჰყავს მშობლები ან არ შეუძლია მათგან მიიღოს თავისი სარჩენი სახსრები.

გერი, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს მოვალეა არჩინოს თავისი შრომისუუნარო მამინაცვალი ან/და დედინაცვალი, რომელთაც დახმარება ესაჭიროებათ, თუ ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას.

პირი, რომელიც მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად აიყვანს ბავშვს, მაგრამ შემდგომ უარს იტყვის მის აღზრდაზე და რჩენაზე, მოვალეა არჩინოს როგორც შრომისუუნარო სრულწლოვანი, რომელიც დახმარებას საჭიროებს, ისე არასრულწლოვანი აღსაზრდელი, თუ მათ არა ჰყავთ მშობლები ან არ შეუძლიათ მათგან სარჩოს მიღება.

პირი, რომელიც იმყოფებოდა მუდმივ აღსაზრდელად და სარჩენად, მოვალეა მისცეს სარჩო თავის ფაქტობრივ აღმზრდელს, თუ იგი შრომისუუნაროა, საჭიროებს დახმარებას, მაგრამ მისი მიღება არ შეუძლია თავისი შვილების ან მეუღლისაგან.

ზემოთ აღნიშნულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა, თუკი ვერ ღებულობენ კანონით გათვალისწინებულ სარჩოს მარჩენალისაგან იმის გამო, რომ იგი ხელშეკრულებით სარჩოს უხდის სარჩენს. თუკი მოიშლება სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, მარჩენალისათვის გადაცემული ქონება დაუბრუნდება სარჩენს, ხოლო მარჩენალს გაღებული ხარჯები არ აუნაზღაურდება.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ერთ-ერთ სპეციფიკურ ნიშანს წარმოადგენს ისიც, რომ მარჩენალისათვის გადაცემული ქონების შემთხვევითი დაღუპვა ან დაზიანება არ ანთავისუფლებს მას სარჩოს გადახდისაგან.

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით მარჩენალი კისრულობს ვალდებულებას გადაუხადოს სარჩენს სარჩო, ხოლო სარჩენი კი გადასცემს მარჩენალს საკუთრებაში ქონებას. მარჩენალის მიერ სარჩენისათვის სარჩოს გადახდა ხდება სარჩენის მთელი სიცოცხლის მანძილზე ანდა ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში. თუკი ვადის გასვლამდე განადგურდება ის ქონება, რომელიც სარჩენმა გადასცა მარჩენალს რჩენის სანაცვლოდ, ასეთ შემთხვევაში მარჩენალი არ თავისუფლდება სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან. აღნიშნულ შემთხვევაში ივარაუდება ქონების შემთხვევითი დაღუპვა ანდა დაზიანება. ე.ი. როცა არც ერთ მხარეს არ მიუძღვის ბრალი ანუ სახეზეა „ფორს-მაჟორული“ გარემოებები, მაგალითად, მიწისძვრა, წყალდიდობა, მეწყერი და ა.შ. თუ ქონების დაღუპვა ან დაზიანება მოხდა რომელიმე მხარის ბრალით, პასუხისმგებლობა ეკისრება ბრალეულ მხარეს.

მაგალითი:

1999 წლის 10 მაისს „A“-მ კანონის მოთხოვნათა დაცვით დადო „B“-სთან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც „A“ გადასცემდა „B“-ს საკუთრებად საცხოვრებელ სახლს, ხოლო „B“ (მარჩენალი) კი კისრულობდა ერჩინა „A“ (სარჩენი) სიცოცხლის ბოლომდე და უზრუნველეყო იგი სათანადო კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. 1999 წლის 5 სექტემბერს „B“ რამდენიმე დღით სტუმრად გაემგზავრა ქალიშვილთან სხვა ქალაქში. უკან დაბრუნებისას „B“-მ აღმოაჩინა, რომ მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა რამდენიმე სახლთან ერთად დაწვა მისი სახლიც, რომელიც მას მიღებული ჰქონდა სარჩენისაგან. „B“-მ ანუ მარჩენალმა ამ ამბის შეტყობისთანავე უარი განუცხადა „A“-ს ანუ სარჩენს სარჩოს გადახდაზე იმ საფუძვლით, რომ სახლი ხანძრის შედეგად დაიწვა და გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად, ამიტომაც იგი უარს ამბობს სახლზეც და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზეც. „A“-მ ანუ სარჩენმა მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა „B“-საგან ანუ მარჩენალისაგან სარჩოს გადახდა და ხელშეკრულების გაგრძელება; სასამართლომ იხელმძღვანელა რა სამოქალაქო კოდექსის 948-ე მუხლით, „B“-ს ანუ მარჩენალს დააკისრა „A“-ს ანუ სარჩენის სიცოცხლის ბოლომდე სარჩოს გადახდა, დაეყრდნო რა იმ გარემოებას, რომ სახლი დაიწვა არა სარჩენის ბრალით, არამედ დაუძლეველი ძალის ანუ მეხის ჩამოვარდნის შედეგად, რაც არ ანთავისუფლებს მარჩენალს სარჩოს გადახდის მოვალეობისაგან.

IV თავი

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა

როგორც ცნობილია, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს სარჩენის მთელი სიცოცხლის ხანგრძლივობით ანდა განსაზღვრული ვადით. ამასთან ერთად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი შესაძლებლობას აძლევს მხარეებს ანუ მარჩენალსა და სარჩენს, რომ დადგენილი საფუძვლების არსებობისას ცალმხრივად განაცხადონ უარი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზე. უარის თქმის საფუძველი შეიძლება იყოს ისეთი გარემოებები, როგორიცაა: თუკი სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევის შედეგად მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდა, ანდა არსებობს სხვა მიზეზები, რომლებიც უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის მხარეთა შორის ურთიერთობების შემდგომ გაგრძელებას. კანონი კონკრეტულად არ ჩამოთვლის შემთხვევებს, როცა შეიძლება ჩაითვალოს, რომ მხარე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, ე.ი. ეს უნდა დადგინდეს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ყველა გარემოებების გათვალისწინებით. მაგალითად, მოვალეობის შეუსრულებლობად შეიძლება ჩაითვალოს მარჩენალის მიერ სარჩენისათვის სარჩოს დროულად გადაუხდელობა და ა.შ. ეპიზოდური დარღვევები, რომლებიც შემთხვევითი ხასიათისაა, არსებით გავლენას არ ახდენენ მხარეთა ინტერესებზე, მათი აცილება მომავალში შესაძლებელია და ამიტომ მათ არ უნდა გამოიწვიონ ხელშეკრულების მოშლა. სწორედ ეს გამომდინარეობს კანონის მითითებიდან იმის შესახებ, რომ სახელშეკრულებო მოვალეობათა დარღვევა ისეთი უნდა იყოს, რომ მხარეთა შორის ურთიერთობა აუტანელი გახდეს. რაც შეეხება სხვა არსებითი ხასიათის მიზეზებს, რომლებიც უკიდურესად აძნელებს ან შეუძლებელს ხდის ხელშეკრულების გაგრძელებას, ეს შეიძლება იყოს, მაგალითად, მარჩენალის მატერიალური ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება, რის გამოც მას აღარ შეუძლია სარჩო იხადოს და ა.შ.

იმ შემთხვევაში, თუკი სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება ვადამდე შეწყდება, სარჩენს უკან დაუბრუნდება მარჩენალისათვის გადაცემული უძრავი ქონება (მაშასადამე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, კანონი ითვალისწინებს მხოლოდ უძრავი ქონების დაბრუნებას, ხოლო მოძრავი ქონება რჩება მარჩენალს), რაც შეეხება ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეულ ხარჯებს, იგი მარჩენალს არ აუნაზღაურდება, თუკი ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, მაგალითად, ხელშეკრულებაში შეიძლება იქნეს მითითებული, რომ თუკი ხელშეკრულება ვადამდე შეწყდება იმის გამო, რომ სარჩენმა მიაყენა მარჩენალს შეურაცხყოფა ანდა, გამოიჩინა აშკარა უმადურობა, რაც აუტანელს ხდის მათ შორის ურთიერთობას და გამორიცხავს სახელშეკრულებო ურთიერთობათა შემდგომ გაგრძელებას, ასეთ შემთხვევაში მარჩენალს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯების ანაზღაურება (სსკ-ის 949-ე მუხლი). სასამართლო პრაქტიკის გაცნობის შედეგად მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში თვითონ ხელშეკრულებაშივე უნდა იქნეს გათვალისწინებული ვადამდე შეწყვეტის სამართლებრივი შედეგები მხარეთა უფლებების ჯეროვანი დაცვის თვალსაზრისით.

როგორც აღვნიშნეთ, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაში სარჩენი, როგორც წესი არის ჯანმრთელობის მდგომარეობის ან ასაკის გამო შრომისუუნარო პირი. ამიტომაც დიდი ალბათობაა, რომ სარჩენი შეიძლება უფრო ადრე გარდაიცვალოს, ვიდრე მარჩენალი. თუმცა კი სსკ-ის 950-ე მუხლი ითვალისწინებს ისეთ შემთხვევებს, როდესაც მარჩენალი გარდაიცვლება სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გათვალისწინებული რჩენის ვალდებულების შეწყვეტამდე. ასეთ შემთხვევაში სარჩენის რჩენის ვალდებულება გადადის მარჩენალის მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

სსკ-ის 950-ე მუხლის 1-ლი ნაწილის დებულება, კიდევ

ერთხელ თვალნათლივ ადასტურებს, რომ თავისებურებათა მიუხედავად, სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება მიეკუთვნება ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებს. სარჩენის მიერ რჩენის სანაცვლოდ, მარჩენალისათვის გადაცემული ქონება ითვლება მარჩენალის საკუთრებად და მარჩენალის გარდაცვალების შემთხვევაში შედის მარჩენალის სამკვიდროში. კერძოდ, სსკ-ის 1328-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სამკვიდრო შეიცავს მამკვიდრებლის როგორც ქონებრივი უფლებების (სამკვიდროს აქტივი), ისე მოვალეობების (სამკვიდროს პასივი) ერთობლიობას, რომელიც მას ჰქონდა სიკვდილის მომენტისათვის.

სსკ-ის 453-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, ვალდებული პირის გარდაცვალება იწვევს ვალდებულების შეწყვეტას, თუ შესრულება შეუძლებელია მისი პირადი მონაწილეობის გარეშე. მაშასადამე, სსკ-ის 950-ე მუხლის 1-ლი ნაწილის ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მარჩენალის გარდაცვალება არ იწვევს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტას და ეს ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე (კანონით ან ანდერძით), რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

იმ შემთხვევაში, თუკი მარჩენალის მემკვიდრეები უარს განაცხადებენ სარჩენის რჩენის ვალდებულების შესრულებაზე, გარდაცვლილი მარჩენალისათვის სარჩენის მიერ გადაცემული ქონება უკან დაუბრუნდება სარჩენს. ამ დროს ხელშეკრულება შეწყდება სსკ-ის 950-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად. მოვიყვანოთ მაგალითი პრაქტიკიდან:

2000 წლის 15 სექტემბერს პეტრე პეტრიაშვილმა დადო ივანე დიდებულიძესთან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც პეტრე პეტრიაშვილი (სარჩენი) საკუთრებად გადასცემდა ივანე დიდებულიძეს (მარჩენალს) საცხოვრებელ სახლს, ხოლო ივანე კი კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა სარჩო პეტრესთვის სიცოცხლის ბოლომდე. 2000 წლის 30 ოქტომბერს ივანე დიდებულიძე მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო იმავე წლის 20 ნოემბერს კი გარდაიცვალა პეტრე პეტრიაშვილი.

2000 წლის 10 დეკემბერს სანოტარო ბიუროს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად საცხოვრებელ სახლზე განცხადებით მიმართეს მარჩენალის მეუღლემ და სარჩენის ძმამ. მარჩენალის მეუღლე ამტკიცებდა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ იგი არჩენდა სარჩენს სიცოცხლის ბოლომდე და ამიტომაც იგი წარმოადგენს მემკვიდრეს საცხოვრებელ სახლზე. სარჩენის ძმა კი ამტკიცებდა, რომ მარჩენალის გარდაცვალების გამო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეწყვეტილი იქნა და ამიტომაც მხოლოდ იგი წარმოადგენს გარდაცვლილი სარჩენის საცხოვრებელ სახლზე კანონიერ მემკვიდრეს, რამეთუ გარდაცვლილ სარჩენს არ დარჩა არცერთი პირველი რიგის მემკვიდრე. ნოტარიუსმა უარი განაცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე და განმცხადებლებს განუმარტა, რომ მიემართათ სასამართლოსათვის. სასამართლოში საქმის განხილვისას დამტკიცდა, რომ მარჩენალის გარდაცვალების შემდეგ მისი მეუღლე აგრძელებდა სარჩენისათვის სარჩოს გადახდას და ამიტომაც სასამართლომ სამოქალაქო კოდექსის 950-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სადავო საცხოვრებელ სახლზე საკუთრების უფლება მიაკუთვნა გარდაცვლილი მარჩენალის – ივანე დიდებულიძის – მეუღლეს, ხოლო გარდაცვლილი სარჩენის – პეტრე პეტრიაშვილს – ძმას კი უარი უთხრა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უსაფუძვლობის გამო.

* * *

ქონების საკუთრებაში გადაცემის ტიპის ხელშეკრულებებთან მიმართებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება საკუთრების მინდობის სამართლებრივ ინსტიტუტს. სსკ-ის 724-ე მუხლის თანახმად, საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად.

საკუთარი მინდობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს სსკ-ის 147-ე მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი ქონება. სა-

კუთრების მინდობის ინსტიტუტის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ საკუთრების უფლება ამ შემთხვევაში თითქოს გახლეჩილი სახითაა წარმოდგენილი, კერძოდ, მესაკუთრის უფლებამოსილებათა ერთი ნაწილი, სახელდობრ, ქონების მართვა და განკარგვა ეკუთვნის ერთ პირს – მინდობილ მესაკუთრეს, ხოლო მეორე ნაწილი – ქონების ექსპლუატაციისაგან შემოსავლის, ნაყოფის მიღების უფლება – მეორე პირს ანუ საკუთრების მიმნდობს. საკუთრების მინდობა ყველა შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად. ეს ინტერესი კი შეიძლება იყოს არა მხოლოდ სარგებლის მიღება ქონებისაგან, არამედ ქონების გაზრდა, ნივთის შენარჩუნება ჯეროვან მდგომარეობაში და ა.შ.

საკუთრების მინდობის ხელშეკრულების მოტივი შეიძლება იყოს მესაკუთრის სურვილი, გათავისუფლდეს ქონების მართვის ტვირთისაგან, ანდა დაცული იქნეს კანონის მოთხოვნები საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობის შესახებ. საკუთრების მინდობასთან დაკავშირებით დაცული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 724-ე-729-ე მუხლებით დადგენილი მოთხოვნები.

ამოცანები

ამოცანა №1

მიხეილ წირქვაძემ 1999 წლის 10 ივნისს მაღაზიაში შეიძინა პიჯაკი და ფეხსაცმელი, რომლებიც წინასწარ გაიზომა და მოირგო. სახლში მისვლისას მან ჩაიცვა პიჯაკი თეატრში წასასვლელად, მაგრამ მისი მოდელი აღარ მოეწონა. მწარმოებლებთან მოთათბირების შემდეგ მიხეილმა გადაწყვიტა გამოეცვალა პიჯაკი, რომელიც შემდგომ აღარ ჩაუცვამს, 16 ივნისს სამსახურიდან გვიან ღამით სახლში დაბრუნებისას, მიხეილმა ფეხი წამოჰკრა ჩაბნელებულ სადარბაზოში კიბის საფეხურს, ხოლო სახლში ასვლისას კი აღმოაჩინა, რომ ერთ ახალ ფეხსაცმელს ლანჩი ასძვრა, მიხეილმა სამსახურებრივი მოუცლელობის გამო მხოლოდ 28 ივნისს შეძლო მაღაზიაში მისვლა და მოითხოვა პიჯაკის გამოცვლა სხვა მოდელის პიჯაკში, ხოლო ფეხსაცმელის უკან დაბრუნება და გადახდილი თანხის ფარგლებში კი ახალი პერანგის გადაცემა. მაღაზიის ადმინისტრაციამ პიჯაკის გამოცვლაზე უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ მყიდველმა ვერ აღმოაჩინა მასში რაიმე ნაკლი, ამიტომაც არ არსებობდა გამოცვლის მოთხოვნის საფუძველი. რაც შეეხება ფეხსაცმელს, მიხეილს, ანუ მყიდველს, არ ჰქონდა პერანგში მისი გამოცვლის მოთხოვნის უფლება, რამეთუ გამყიდველს არ ჰქონდა დადგენილი საგარანტიო ვადა, ხოლო ასეთი ვადა რომც ყოფილიყო, შეიძლებოდა მხოლოდ ფეხსაცმლის გამოცვლა სხვა ფეხსაცმელში.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ამოცანა №2

გიორგი გორგოძემ მაღაზიაში შეიძინა ფერადი ტელევიზორი. სახლში მიტანისას გიორგიმ ჩართო ტელევიზორი სპორტული შე-

ჯიბრის საყურებლად. ჩართვიდან ორმოცი წუთის განვლის შემდეგ ტელევიზორი აფეთქდა, რის შედეგადაც გიორგიმ მიიღო სხეულის დამწვრობა და ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა საავადმყოფოში სტაციონარულ მკურნალობაზე. გარდა ამისა, აფეთქების შედეგად გაჩენილმა ხანძარმა გამოიწვია აეჯის დაზიანება.

საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ გიორგიმ შეიტყო, რომ ჩატარებულმა ექსპერტიზამ ნაყიდ ტელევიზორში აღმოაჩინა საწარმოო წუნი, რომელმაც გამოიწვია ტელევიზორის აფეთქება, გიორგი გორგოძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ტელევიზორის დამამზადებელი ქარხნისაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელმაც შეადგინა სოლიდური თანხა (მოვლის, კვების, დასვენების ხარჯები). ქარხანამ უარი განაცხადა ზიანის ანაზღაურებაზე იმ მოტივით, რომ იგი არ იმყოფებოდა გიორგისთან არანაირ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ამიტომაც, რადგან ხელშეკრულება დადებული იყო მაღაზიასთან, შესაბამისად, ზიანი მაღაზიას უნდა აენაზღაურებინა.

საქმის განხილვისას სასამართლო დაეთანხმა ქარხნის ადმინისტრაციის არგუმენტებს და უარი განუცხადა გიორგის სარჩელის დაკმაყოფილებაზე. ამასთან, სასამართლომ მიუთითა, რომ გიორგის უფლება აქვს აღძრას სარჩელი მაღაზიის მიმართ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი № 3

დავით ნოზაძემ მაღაზია „მელოდიაში“ განვადებით შეიძინა მუსიკალური ცენტრი 1000 ლარად, ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც მხარეთა შორის დაიდო 1998 წლის 5 ოქტომბერს, ითვალისწინებდა, რომ მყიდველს, ანუ დავითს, ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა გადაეხადა მუსიკალური ცენტრის ღირებ-

ულების 40% (ანუ 400 ლარი), ხოლო დარჩენილი თანხა კი უნდა გადაეხადა ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად ნაწილ-ნაწილ 100 ლარის ოდენობით, ხოლო საბოლოო გადახდის ვადად კი განისაზღვრა 1999 წლის 5 აპრილი.

ხელშეკრულების დადებიდან შემდგომი ორი თვის განმავლობაში მყიდველი კეთილსინდისიერად იხდიდა დადგენილ თანხას – 100 ლარს. 1999 წლის იანვრის თვის დასაწყისში დავით ნოზაძე უბედური შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე დავითს შეუდგენია ანდერძი, რომლითაც მთელი თავისი ქონება უანდერძა ერთადერთ პირველი რიგის მემკვიდრეს – შვილს – კახას და თანაც ანდერძით კახასთვის დაუკისრებია ნაყიდი მუსიკალური ცენტრის გადაცემა გელა კიკნაძისათვის.

თებერვლის თვეში კახამ მიიღო სამკვიდრო და შეასრულა მასზე დაკისრებული საანდერძო ვალდებულება, რითაც მუსიკალური ცენტრი გადასცა გელა კიკნაძეს თებერვლის თვის ბოლო დღეს.

1999 წლის 5 მარტს მაღაზია „მელოდიამ“ მიმართა დავით ნოზაძის მემკვიდრეს – კახას მოთხოვნით, რომ მას გადაეხადა ორი თვის გადაცილებული დროისათვის თანხა – 200 ლარის ოდენობით, ასევე საურავი გადაცილებული თანხის ოდენობის 0,5% ყოველ გადაცილებულ დღეზე 1998 წლის 6 დეკემბრიდან 1999 წლის 5 მარტის ჩათვლით. მაღაზიის ადმინისტრაციამ კახა ნოზაძისაგან შეიტყო რა, რომ მუსიკალური ცენტრი საანდერძო დანაკისრის ძალით გადაეცა გელა კიკნაძეს, 9 მარტს შეიტანა სარჩელი სასამართლოში მემკვიდრისა და ლეგატარის წინააღმდეგ და მოითხოვა:

ა) ბათილად იქნეს ცნობილი საანდერძო დანაკისრი, რადგან მისი დადება მოხდა მაღაზიის ნებართვის გარეშე;

ბ) ამოღებულ იქნეს გელა კიკნაძისაგან მუსიკალური ცენტრი მაღაზიის სასარგებლოდ, როგორც უსაფუძვლოდ შეძენილი;

გ) დაეკისროს მემკვიდრეს – დავით ნოზაძეს ფულადი ვალ-

დებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის საურავის გადახდა 1998 წლის 6 დეკემბრიდან 1999 წლის თებერვლის ჩათვლით, ხოლო გელა კიკნაძეს კი – პირველი მარტიდან ცხრა მარტის ჩათვლით.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №4

2000 წლის 10 თებერვალს ლევან სამხარაძემ მაღაზია „ტექნიკასთან" დადო სამკამერიანი მაცივრის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, ლევანს თანხა უნდა გადაეხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო მაღაზია „ტექნიკა" კი ვალდებულებას კისრულობდა თვითონ მიეტანა ლევანისათვის ნაყიდი მაცივარი სახლში ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის განმავლობაში.

ლევანმა თავისი ვალდებულება ჯეროვნად შეასრულა, მაგრამ მაღაზიამ კი ვერ შეძლო მისთვის მაცივრის მიტანა სახლში დათქმულ ვადაში. მაღაზიის ადმინისტრაციამ ეს იმით ახსნა, რომ გარკვეული პრობლემები შეექმნა საბაჟო სამსახურთან ამ მოდიფიკაციის შემოტანილი მაცივრების განბაჟებისას და სთხოვა ლევანს მიტანის ვადის გაგრძელება კიდევ ათი დღის ვადით. ლევანი დასთანხმდა ამ წინადადებაზე, მაგრამ მაღაზიამ ვერც ამ ვადაში შეძლო ლევანისათვის სახლში მაცივრის მიტანა და მიუტანა იგი მხოლოდ 27 დღის შემდეგ ლევანის მიერ მისი ღირებულების გადახდიდან, ანუ ხელშეკრულების დადების დღიდან.

ამის გამო, ლევან სამხარაძემ პრეტენზიით მიმართა მაღაზია „ტექნიკის" ადმინისტრაციას და მოითხოვა მათგან მაცივრის მიტანის ვადის გადაცილებისათვის საურავის გადახდა ყოველი გადაცილებული დღისათვის მაცივრის ღირებულების 3%-ის ოდენობით, ანუ 17 დღისათვის, რამაც შეადგინა ნაყიდი მაცივრის ღი-

რებულების 51%. მაღაზიის ადმინისტრაცია პრინციპში დათანხმდა ლევანის ამ მოთხოვნას, მაგრამ მოითხოვა საურავის ოდენობის შემცირება, რამეთუ, მათი აზრით, გადაცილებულმა ვადამ შეადგინა მხოლოდ შვიდი დღე და არა ჩვიდმეტი დღე, რადგან ლევანი, ანუ მყიდველი, თვითონ დათანხმდა თავდაპირველი ვადის კიდევ ათი დღით გაგრძელებას. ლევანი დაეთანხმა მაღაზიის ადმინისტრაციის ამ მოსაზრებას, მიიღო მაღაზიისგან შვიდი დღის საურავი, ანუ ნაყიდი მაცივრის ღირებულების 21% და უარი განაცხადა ყველა სხვა მოთხოვნაზე.

თუმცა კი ერთი კვირის გასვლის შემდეგ საზღვაო კრუიზიდან სახლში დაბრუნდა ლევანის მეუღლე ქეთევანი, რომელმაც აღმოაჩინა, რომ მისი თანხმობის გარეშე ლევანის მიერ ნაყიდი მაცივრის ფერი არ შეესაბამება სამზარეულოს ავეჯის გარნიტურს. ლევან სამხარაძე იძულებული გახდა მიემართა მაღაზია „ტექნიკისათვის“ ნაყიდი მაცივრის უფრო მუქი ფერით შეცვლის მოთხოვნით, რომელიც მაღაზიას ჰქონდა საწყობში, რაზედაც მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ ლევანის მიერ ნაყიდი მაცივარი უკვე ერთი კვირის ნამუშევარი იყო და აღარ გაიყიდებოდა ახალი მაცივრის ფასად.

ლევან სამხარაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნაყიდი მაცივრის შეცვლა უფრო მუქი ფერის მაცივრით და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. შემდგომში ლევანმა შეცვალა თავისი მოთხოვნა და მაცივრის გამოცვლის ნაცვლად მოითხოვა ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №5

დავით ფირცხალავამ იკისრა ვალდებულება, გადაეცა სოსო კერესელიძისათვის 100 წყვილი იმპორტული წარმოების მამაკაცის ფეხსაცმელი, ხოლო სოსო კერესელიძემ კი იკისრა ვალდებულება, მიეღო ფეხსაცმელი და გადაეხადა მისი ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის მიხედვით.

რა სახის ხელშეკრულება დაიდო ფირცხალავასა და კერესელიძეს შორის? რომელია ამ ხელშეკრულების არსებითი პირობები, რომლის გარეშეც მოცემული ხელშეკრულება არ ჩაითვლება დადებულად?

კაზუსი №6

თენგიზ ხომერიკმა მეუღლის – თამუნას მიერ მიცემული რწმუნებულებით მისი კუთვნილი ავტომანქანა „მერსედესი“ მიჰყიდა დავით ჭონქაძეს 1999 წლის 20 მაისს 10 000 ლარად. დავით ჭონქაძისათვის ავტომანქანის საკუთრებაში გადაცემიდან ერთი თვის შემდეგ გამოირკვა, რომ გაყიდული ავტომანქანა მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად დაგირავებული ყოფილა ბანკში, კერძოდ, თენგიზ ხომერიკის მეუღლეს – თამუნას ბანკისაგან სესხად აუღია 3000 ამერიკული დოლარი და სესხის უკან თავის დროზე დაბრუნების უზრუნველსაყოფად მან დააგირავა ბანკში ავტომანქანა „მერსედესი“. დავით ჭონქაძემ ამის შესახებ ავტომობილის ყიდვის მომენტში არაფერი იცოდა, მისთვის ამის შესახებ ცნობილი გახდა ბანკისაგან, რომელმაც მოითხოვა მანქანის რეალიზაცია აუქციონზე იმ საფუძვლით, რომ თამუნა ხომერიკმა გადააცილა სესხის დაბრუნების ვადას. დავით ჭონქაძემ ბანკის ამ მოთხოვნაზე უარი განაცხადა. ბანკმა სარჩელით მიმართა სასამართლოს.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №7

დავით ძნელაძემ 2000 წლის 10 ივლისს თემურ ცხადაძესთან დადო 50 ცალი ძვირფასი ბეწვის ქურქის ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, დავითმა თანხა გადაიხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო თემურს კი ქურქები მისთვის უნდა გადაეცა 2000 წლის 5 დეკემბრისათვის, რამეთუ დავითს ქურქები თავის მხრივ უნდა გაეყიდა სხვა ქალაქში უფრო მომეტებულ ფასად მოგების მიღების მიზნით. ხელშეკრულებით შეთანხმებულ ვადაში თემურმა დავითს მიაწოდა მხოლოდ 30 ქურქი, ხოლო დანარჩენი 20 ქურქის მიტანას შეჰპირდა ერთი კვირის შემდეგ, რაზედაც დავითმა თანხმობა განაცხადა. მაგრამ ერთი კვირის შემდეგ თემურმა დარჩენილი 20 ქურქი კვლავ არ მიუტანა დავითს და საერთოდ თავი აარიდა დავითთან შეხვედრას.

რა მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს დავით ძნელაძეს ამ შემთხვევაში?

კაზუსი №8

ინდივიდუალურმა მეწარმემ თევზაძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება გადაეცა ლევან კობალაძისათვის 200 წყვილი ბავშვის საზაფხული ფეხსაცმელი 2000 წლის 15 აპრილისათვის. კობალაძემ წინასწარ გადაიხადა ფეხსაცმლის ღირებულება ხელშეკრულებით განსაზღვრული ფასის მიხედვით, შეთანხმებულ ვადაში თევზაძემ კობალაძეს მიაწოდა 250 წყვილი ბავშვის ფეხსაცმელი.

რა მოქმედებების განხორციელების უფლება აქვს ლევან კობალაძეს ამ შემთხვევაში?

კაზუსი №9

თენგიზ ბოლქვაძემ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება სამკერვალო ატელიესთან 100 ცალი საწვიმარი ლაბადის შესახებ. ხელშეკრულებით მხარეებმა განსაზღვრეს ლაბადების ზომა, ფერი, მაგრამ არ შეთანხმდნენ მის ხარისხზე. თენგიზ ბოლქვაძემ წინასწარ გადიხადა ლაბადის ღირებულება, ხოლო სამკერვალო ატელიემ კი ლაბადები მყიდველს გადასცა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში. ლაბადების გადაცემისას მყიდველმა აღმოაჩინა, რომ ისინი შეკერილი იყო დაბალი ხარისხის ძაფით, მისი სიგრძე არ შეესაბამებოდა მოდას, ამასთან, ნაკერები უსწორმასწორო იყო. თენგიზმა დაუყოვნებლივ განუცხადა ამის შესახებ პრეტენზია სამკერვალო ატელიეს ადმინისტრაციას, რაზედაც მათ უპასუხეს, რომ ლაბადის ხარისხი ხელშეკრულებით არ იყო განსაზღვრული და რომ მისი ხარისხი შეესაბამება ჩვეულებრივი სარგებლობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

რა მოთხოვნების წაყენების უფლება გააჩნია თენგიზ ბოლქვაძეს სამკერვალო ატელიეს მიმართ, თუკი დადგინდება, რომ ლაბადის ხარისხი არ შეესაბამება ხელშეკრულებით ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს?

კაზუსი №10

ქალაქ თბილისში მცხოვრებმა გია აბესაძემ დადო ნასყიდობის ხელშეკრულება ქალაქ ფოთში მცხოვრებ დავით ნოზაძესთან, ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით გიას დავითისთვის უნდა გადაეცა ოცი ცალი წყალსატუმბი მოწყობილობა, რომელიც უნდა ყოფილიყო შეფუთულ მდგომარეობაში და შესაბამის ტარაში. დავით ნოზაძემ წყალსატუმბი მოწყობილობების ღირებულება წინასწარ გადაიხადა მთლიანად.

გია აბესაძემ შეთანხმებულ ვადაში წყალსატუმბი მოწყობილობები გადასაზიდად ჩააბარა რკინიგზას დავითისათვის გადასაცემად. როდესაც დავითმა წყალსატუმბი მოწყობილობები მიიღო, აღმოჩნდა, რომ ორი მათგანი არ იყო შეფუთულ მდგომარეობაში, ხოლო 5 ცალს კი აკლდა ზოგიერთი დეტალი.

რა მომენტიდან ჩაითვლება ნაყიდი ნივთები გადაცემულად? რისი მოთხოვნის უფლება აქვს ნოზაძეს?

კაზუსი №11

ლევან სიხარულიძემ ირაკლი სიჭინავასაგან შეიძინა ტელევიზორი 1000 ლარად. ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, ირაკლი ტელევიზორს გადასცემდა ლევანს ხელშეკრულების დადებისთანავე, ხოლო ლევანს კი ტელევიზორის ღირებულება უნდა გადაეხადა ირაკლის მოთხოვნისთანავე. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ ირაკლიმ ლევანს მოსთხოვა ტელევიზორის ღირებულების გადახდა, რაზედაც ლევანმა არაფერი უპასუხა. მოთხოვნის წაყენებიდან ერთი კვირის გასვლის შემდეგ ირაკლიმ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ლევანისაგან 1000 ლარის გადახდა, ასევე ფულადი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილებისათვის კანონით დადგენილი პროცენტებისა და მორალური ზიანის ანაზღაურება.

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო ირაკლი სიჭინავას მოთხოვნებს?

კაზუსი №12

მაკა ცეცხლაძემ სარეკლამო გაზეთიდან შეიტყო, რომ მაღაზია ,,ედელვაისში“ არის სამრეწველო საქონელზე ფასდაკლება 10-დან 50%-მდე. სარეკლამო განცხადების წაკითხვის შემდეგ მაკა ესტუმ-

რა მაღაზიას და 25%-ის ფასდაკლებით შეიძინა თორმეტსანთლიანი ჩეხური წარმოების ბროლის ჭაღი. მაკა ცეცხლაძემ ჭაღი მიიტანა სახლში, გამოიძახა ელექტრომექანიკოსი და ჩამოაკიდებინა იგი სასტუმრო ოთახში. ჭაღის ჩართვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ორი ნათურა არ ანათებდა. ელექტრომექანიკოსმა შეამოწმა, თუ რა მიზეზით არ ანათებდა ორი ნათურა და დაადგინა, რომ დამწვარი იყო ელექტროსადენი, რის გამოც ნათურებში არ შედიოდა ელექტროდენი. მეორე დღეს მაკა ცეცხლაძემ ჭაღი უკან დააბრუნა და მოითხოვა მისი გამოცვლა სხვა ხარისხიან ჭაღში, რამეთუ ნაყიდი ჭაღის გამოყენება დანიშნულების მიხედვით შეუძლებელი იყო, ასევე მოითხოვა ელექტრომექანიკოსისათვის შესრულებული სამუშაოსთვის გადახდილი გასამრჯელოს ანაზღაურება. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა მაკას მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ ჭაღი მათ მაღაზიას არ ეკუთვნოდა. მაკა ცეცხლაძემ ვერ შეძლო იმის დამტკიცება, რომ ჭაღი სწორედ იმ მაღაზიანი შეიძინა.

ჩაითვლება თუ არა ოფერტად გაზეთში გამოქვეყნებული სარეკლამო განცხადება? როგორ უნდა დაამტკიცოს მაკა ცეცხლაძემ, რომ მან ნაკლის მქონე ჭაღი სწორედ იმ მაღაზიაში შეიძინა? როგორ გადავწყვიტოთ დავა?

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №13

ნელი კიკნაძემ მაღაზია „ტექნიკაში“ თავისი დისშვილისათვის შეიძინა საბეჭდი მანქანა და მიუტანა მას საჩუქრად დაბადების დღეზე, როდესაც ნელის დისშვილმა დაიწყო ბეჭდვა, აღმოჩნდა, რომ საბეჭდ მანქანას ჰქონდა ნაკლი, კერძოდ, ზოგიერთი ასო არ გადაჰქონდა ქაღალდზე, ასევე დაზიანებული აღმოჩნდა კლავიატურაც. ნელი კიკნაძემ მიმართა მაღაზიას და მოითხოვა მისგან ნაყიდი ნივთის გასაყიდი ფასის შემცირება გამოვლენილი ნაკლის

შესაბამისად ანდა ნაკლის გამოსწორება. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ნელი კიკნაძის ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ საფუძვლით, რომ საბეჭდი მანქანის მიმართ არ იყო დადგენილი არანაირი საგარანტიო ვადა.

ნელი კიკნაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №14

2000 წლის 15 მარტს დალი ქავთარაძემ მაღაზია „სამრეწველო საქონელში“ 1000 ლარად შეიძინა მტკერსასრუტი, ხუთი დღის შემდეგ მტკერსასრუტს გადაეწვა ძრავი და მან შეწყვიტა მუშაობა. 2000 წლის 20 მარტს დალი ქავთარაძემ მაღაზიაში უკან მიიტანა ნაკლის მქონე მტკერსასრუტი და მოითხოვა მისი გამოცვლა ახალ ხარისხიან მტკერსასრუტში. აღმოჩნდა, რომ იმ დღიდან, როცა დალიმ უკან მიიტანა მაღაზიაში უხარისხო მტკერსასრუტი, ასეთი მოდელის მტკერსასრუტის გასაყიდი ფასი შემცირდა 15%-ით და გახდა 850 ლარი. ამ საფუძვლით დალიმ მოითხოვა ასევე 150 ლარის უკან დაბრუნება. მაღაზიის ადმინისტრაცია დათანხმდა გამოეცვალა ნაკლის მქონე მტკერსასრუტი ახლით. მაგრამ უარი განაცხადა 150 ლარის გადახდაზე იმ მოტივით, რომ დალისთან ნასყიდობის ხელშეკრულების დადებისას მტკერსასრუტი ღირდა 1000 ლარი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №15

ქეთევან ლომიძემ 2001 წლის 5 მარტს მაღაზია „ელექტრონიკაში“ შეიძინა უცხოური წარმოების ფერადი ტელევზორი. ტელე-

ვიზორის სახლში მიტანის შემდეგ მან წაიკითხა ტელევიზორის სარგებლობის ინსტრუქცია, საიდანაც შეიტყო, რომ ტელევიზორი ისე უნდა დადგმულიყო, რომ ეკრანიდან მაყურებლამდე ყოფილიყო სულ ცოტა სამი მეტრი მანძილი მაინც. ქეთევან ლომიძის საცხოვრებელი ერთოთახიანი ბინის ფართი კი არ იძლეოდა ამის შესაძლებლობას. 10 მარტს ქეთევანმა უკან მიიტანა ტელევიზორი მაღაზია „ელექტრონიკაში“ და მოითხოვა მისი შეცვლა უფრო პატარა ეკრანის მქონე ტელევიზორით, მაგრამ აღმოჩნდა, რომ 10 მარტიდან ყველა ტელევიზორზე ფასები გაიზარდა 20%-ით.

ვალდებულია თუ არა ქეთევან ლომიძე ტელევიზორის შეცვლისას გადაიხადოს დამატებით 20%? როგორ გადავწყვიტოთ დავა იმ შემთხვევაში, თუკი მაღაზიაში არ აღმოჩნდება ისეთი ტელევიზორი, როგორსაც მოითხოვს ქეთევან ლომიძე?

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №16

გიორგი შუბლაძემ მაღაზიაში შეიძინა ორკამერიანი მაცივარი იმ პირობით, რომ მაღაზია მიუტანდა მაცივარს სახლში ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში. მაღაზიამ დაარღვია შეთანხმება და მაცივარი მიუტანა გიორგის ხუთი დღის დაგვიანებით შეთანხმებული ვადის გასვლიდან. გიორგიმ გამოიძახა მაცივრის დასადგმელად და ჩასართავად ელექტრომექანიკოსი, რომელსაც შეუთანხმდა შესრულებული სამუშაოსთვის გასამრჯელოს გადახდას. ელექტრომექანიკოსმა მაცივრის ჩართვისას აღმოაჩინა, რომ ელექტროსადენები მაცივარში არ იყო სწორად შეერთებული, რაც იწვევდა მოკლე ჩართვას. ელექტრომექანიკოსის თანდასწრებით მაცივარს დაეწვა ძრავი და გამოვიდა მწყობრიდან. გიორგიმ დაუყოვნებლივ შეატყობინა ამის შესახებ მაღაზიის ადმინისტრაციას.

მაღაზიის დირექტორმა უარი განაცხადა თავიანთი ტრანსპორტით წაელოთ მაცივარი, გიორგიმ თვითონ დაიქირავა ავტომანქანა

და საკუთარი ხარჯით უკან მიიტანა მაღაზიაში მაცივარი. მაღაზიაში მას განუცხადეს, რომ მაცივარს ვერ გამოცვლიან იმ მიზეზით, რომ გაყიდვაში აღარ აქვთ ასეთი მოდელის მაცივრები, მაგრამ, რადგან მაცივრის მიმართ დადგენილი იყო საგარანტიო ვადა, ამიტომაც მას შეაკეთებენ მაღაზიის ხარჯით და შესაკეთებლად დასჭირდებათ ორი კვირა. გიორგი შუბლაძემ მაღაზიას მოსთხოვა, რომ შეკეთების დროის განმავლობაში მისთვის გადაეცათ სხვა მაცივარი დროებით უსასყიდლო სარგებლობისთვის, რაზედაც მაღაზიის დირექტორმა უარი განაცხადა. შეკეთებული მაცივარი გიორგი შუბლაძეს მაღაზიამ მიუტანა ოცდაათი დღის გასვლის შემდეგ, ანუ შეთანხმებული ვადის გასვლიდან თექვსმეტი დღის დაგვიანებით.

გიორგი შუბლაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მაღაზიის ადმინისტრაციისაგან იმ ზიანის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა მაცივრის მიტანასა და დაბრუნებასთან დაკავშირებით, სახელდობრ: ა) ხუთი სამუშაო დღის ანაზღაურება, რაც დაკავშირებულია მაცივრის სახლში მიტანის თავდაპირველი ვადის გადაცილებასთან; ბ) პირგასამტეხლოს გადახდა მიტანის ვადის ხუთი დღის გადაცილებისათვის ყოველ გადაცილებულ დღეზე მაცივრის ღირებულების 3%-ის ოდენობით; გ) ელექტრომექანიკოსის სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება; დ) გაფუჭებული მაცივრის მაღაზიაში უკან მიტანის ხარჯების ანაზღაურება; ე) შეკეთების ვადის თექვსმეტი დღით გადაცილებისათვის ჯარიმის გადახდა მაცივრის ღირებულების 25%-ით ოდენობით.

გიორგი შუბლაძის მაღაზიის მიმართ მოთხოვნებიდან რომელს დააკმაყოფილებს სასამართლო?

კაზუსი №17

დავით კვიჟინაძემ ოთარ გობეჩიას 5000 ლარად მიჰყიდა ლანჩხუთის რაიონში მდებარე ხის ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლი 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთთან ერთად. ნასყიდობის

ხელშეკრულება დადებულ იქნა წერილობითი ფორმით, დადასტურდა სანოტარო წესით და გატარდა რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში 2000 წლის 25 მაისს. ოთარმა სახლის მოწყობისას აღმოაჩინა, რომ სახურავი გამოცვლას საჭიროებდა. 2000 წლის 5 ივნისს ოთარს ესტუმრა 80 წლის მოხუცი ეთერ ხორბალაძე, რომელმაც ოთარს განუცხადა, რომ 1998 წლის 10 აპრილს მას დავით კვიჟინაძესთან დადებული ჰქონდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება და ამ სახლში ერთი ოთახი მას ეკუთვნოდა. დავითმა თანხმობა განუცხადა ეთერს, მაგრამ მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა დავით კვიჟინაძისაგან გასაყიდი ფასის შემცირება იმ საფუძვლით, რომ სახლს სჭირდება სახურავის გამოცვლა, ასევე მის სახლში ცხოვრობს სრულიად უცხო ადამიანი, რომელსაც დავითთან დადებული ჰქონდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რის შესახებაც დავითმა ოთარს არაფერი შეატყობინა ბინის გაყიდვის მომენტში.

მართლზომიერია თუ არა ოთარ გობეჩიას მოთხოვნა დავით კვიჟინაძის მიმართ გასაყიდი ფასის შემცირების შესახებ? ვალდებული იყო თუ არა დავით კვიჟინაძე, რომ შეეტყობინებინა ოთარ გობეჩიასათვის გაყიდულ სახლზე ეთერ ხორბალაძის უფლებების შესახებ? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №18

ლევან სიხარულიძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით ლაშა ჯანჯღავას გადასცა 2000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, ხელშეკრულება შედგენილ იქნა წერილობით, დადასტურდა სანოტარო წესით და რეგისტრაციაში გატარდა საჯარო რეესტრში 1999 წლის 20 სექტემბერს. 1999 წლის 27 ნოემბერს ლევან სიხარულიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, სადაც მიუთითებდა, რომ იგი პერიოდულად განიცდის გონებრივ დაქვეითებულობას, რითაც

ისარგებლა ლაშა ჯანჯღავამ და აიძულა იგი მიეყიდა მისთვის მიწის ნაკვეთი, ამიტომაც ლევანმა სთხოვა სასამართლოს, რათა მას ბათილად ეცნო მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება და მიწის ნაკვეთი დაებრუნებინა ლევანისათვის, როგორც მისი კანონიერი მესაკუთრისათვის.

ჩაითვლება თუ არა ლევან სიხარულიძესა და ლაშა ჯანჯღავას შორის მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად? როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №19

ალექსანდრე ფუტკარაძემ ნასყიდობის ხელშეკრულებით იკისრა ვალდებულება საკუთრებაში გადაეცა გაიოზ კანდელაკისათვის საცხოვრებელი სახლი. ნასყიდობის ხელშეკრულებასთან ერთად მხარეებმა ცალკე დადეს იჯარის ხელშეკრულებაც, რომლითაც ალექსანდრე გაიოზს იჯარით გადასცემდა მიწის ნაკვეთს სამი წლის ვადით. გაიოზს ალექსანდრესათვის ყოველთვიურად უნდა ეხადა საიჯარო ქირა 200 ლარის ოდენობით. სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება მხარეებმა გააფორმეს წერილობით, მაგრამ არ დაუმოწმებიათ სანოტარო წესით. პირველ თვეს გაიოზმა პირნათლად გადაიხადა მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირა, მაგრამ შემდეგ თვეებში შეწყვიტა ქირის გადახდა. გაიოზი დაჟინებით სთხოვდა ალექსანდრეს, რათა სანოტარო წესით გაეფორმებინათ საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება, რომ შემდგომში მას რეგისტრაციაში გაეტარებინა საჯარო რეესტრში ნაყიდ სახლზე საკუთრების უფლების წარმოსაშობად. ალექსანდრე ამაზე უარს არ ეუბნებოდა, მაგრამ იმ პირობით, თუკი გაიოზი წინასწარ გადაიხდიდა მიწის ნაკვეთისათვის მთელ საიჯარო ქირას.

მოცემულ შემთხვევაში ითვლება თუ არა საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად?

კაზუსი №20

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა მიხეილ და ნელი ღოღობერიძეებმა შეიძინეს 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 1999 წლის 20 მაისს, რომელიც საჯარო რეესტრში გაფორმდა მიხეილ ღოღობერიძის სახელზე, ორი წლის შემდეგ მათ ამ მიწის ნაკვეთზე ააშენეს სამსართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც საჯარო რეესტრში გაფორმდა ნელი ღოღობერიძის სახელზე, ორი წლის შემდეგ მიხეილი მოთავსებულ იქნა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სამკურნალოდ. საავადმყოფოში მკურნალობისას მიხეილის მეუღლემ ქმრის თანხმობის გარეშე გაყიდა საცხოვრებელი სახლი, რომელიც რეგისტრირებული იყო თავის სახელზე და იყიდა სამოთახიანი ბინა მრავალბინიან საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც გააფორმა თავის სახელზე. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა მიხეილ ღოღობერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მისი მეუღლის მიერ ქმრის თანხმობის გარეშე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №21

დოდო თოფურიამ ქ. თბილისში გაყიდა თანასაკუთრებაში არსებული, მის სახელზე რეგისტრირებული ოროთახიანი ბინა და საცხოვრებლად გადავიდა თავის მშობლებთან ზუგდიდში. დოდოს მიერ გაყიდულ ბინაში მასთან ერთად 20 წლის განმავლობაში ცხოვრობდა მისი მეუღლეც – ოთარიც, რომელიც რეგისტრირებული იყო თავისი მშობლების საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მცხეთაში. თოფურიები ერთად ცხოვრების პერიოდში ხშირად კამათობდნენ და კვირების განმავლობაში ერთმანეთს არ

ელაპარაკებოდნენ. სახლის გაყიდვის დროს ოთარი იმყოფებოდა სამსახურებრივ მივლინებაში ქალაქ კიევში.

ჰქონდა თუ არა დოდო თოფურიას უფლება ქმრის თანხმობის გარეშე გაეყიდა საცხოვრებელი ბინა, სადაც ისინი ერთად ცხოვრობდნენ 20 წელი. რა უფლებები გააჩნია გაყიდულ ბინაზე ოთარ თოფურიას? აქვს თუ არა ოთარს უფლება, რომ სასამართლო წესით მოითხოვოს მისი თანხმობის გარეშე დადებული საცხოვრებელი ბინის ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა?

კაზუსი №22

რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფმა სოსო და ნუნუ მახარაძეებმა მათ თანასაკუთრებაში არსებული ორსართულიანი ხის საცხოვრებელი სახლი, მდებარე ონის რაიონში, 5000 ლარად მიჰყიდეს რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ დავით და თეონა კობახიძეებს. ხელშეკრულება შედგენილ იქნა წერილობით 2000 წლის 10 ოქტომბერს. მხარეებმა გადაწყვიტეს, რომ ხელშეკრულება სანოტარო წესით დაედასტურებინათ 15 ოქტომბერს და ამის შემდეგ გაეტარებინათ რეგისტრაციაში საჯარო რეესტრში. კობახიძეებმა მახარაძეებს თანხა გადასცეს ხელშეკრულების დადებისთანავე, ანუ 10 ოქტომბერს. შენაძენის აღსანიშნავად გაშალეს სუფრა და მოაწყვეს წვეულება, მაგრამ წვეულების დროს ხორცის შეწვისას ელექტროღუმელზე მოხდა მოკლე ჩართვა, გაჩნდა ხანძარი, რომელიც დამსწრე პირებმა ვერ ჩააქრეს და სანამ გამოძახებული სახანძრო მანქანები მოვიდნენ, სახლი მთლიანად დაიწვა. აღმოჩნდა, რომ სახლი დაზღვეული იყო მახარაძეების სახელზე.

დავით და ციალა კობახიძეებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს მახარაძეებისაგან გადახდილი თანხის – 5000 ლარის დაბრუნება იმ საფუძვლით, რომ, რადგან ნასყი-

დობის ხელშეკრულება სანოტარო წესით არ იყო დადასტურებული, შესაბამისად არ ითვლებოდა დადებულად. სასამართლოში მახარაძეები ამტკიცებდნენ, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება უნდა ჩათვლილიყო დადებულად, რამეთუ იგი შედგენილ იქნა წერილობით, ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ და, შესაბამისად, კობახიძეებმა წერილობით გამოთქვეს თანხმობა, რომ ხუთ დღეში ხელმოწერიდან დაედასტურებინათ სანოტარო წესით, ამიტომაც კობახიძეები ითვლებიან მესაკუთრეებად და, შესაბამისად, შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკიც მათ აწევთ.

ითვლება თუ არა მახარაძეებსა და კობახიძეებს შორის საცხოვრებელი სახლის ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად? ვის აწევს სახლის შემთხვევითი დაღუპვის ან დაზიანების რისკი? ვის სასარგებლოდ უნდა იქნეს გადახდილი სადაზღვევო ანაზღაურება?

კაზუსი №23

1998 წლის 10 ნოემბერს დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება სააქციო საზოგადოება „თამბაქოსა“ და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „კოლხეთს“ შორის. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, სს შპს-ს საკუთრებაში გადასცემდა თამბაქოს ნაწარმის მწარმოებელ საამქროს, რისთვისაც შპს სს-ს უხდიდა საამქროს ღირებულებას 100 000 ლარის ოდენობით. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონის მოთხოვნათა სრული დაცვით.

1999 წლის 5 დეკემბერს სს „თამბაქოს“ წარმომადგენლებმა სარჩელით მიმართეს სასამართლოს და შპს „კოლხეთისაგან“ მოითხოვეს დამატებით კიდევ 100000 ლარის გადახდა. თავის ამ მოთხოვნას სს „თამბაქო“ იმით ასაბუთებდა, რომ შპს „კოლხეთისათვის“ საამქროს გადაცემის შემდეგ იქ დამონტაჟებული დაზგების ღირებულება ორმაგად გაიზარდა და ამიტომაც შპს-მ

უნდა აანაზღაუროს ფასებს შორის სხვაობა. შპს „კოლხეთის“ წარმომადგენელი არ დაეთანხმა სს „თამბაქოს“ ამ მოთხოვნას იმ საფუძვლით, რომ გასაყიდი ნივთის ფასის შეცვლა ხელშეკრულების დადების შემდეგ დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი ეს გათვალისწინებულია თვით ნასყიდობის ხელშეკრულებით ანდა კანონით დადგენილი წესით. ხოლო ჩვენს შემთხვევაში კი ასეთ რამეს არც ხელშეკრულებით და არც კანონით ადგილი არა აქვს და ამიტომაც უსაფუძვლოა სს „კოლხეთის“ მოთხოვნა დამატებით 100 000 ლარის გადახდის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №24

გელა ბეჟანიშვილმა მაღაზია „ტექნიკაში“ განვადებით შეიძინა ფოტოაპარატი ზენიტი 400 ლარად. ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით, ბეჟანიშვილმა ფოტოაპარატის გადაცემისას გადაიხადა 100 ლარი, ხოლო დარჩენილი 300 ლარი კი უნდა გადაეხადა ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 50 ლარის ოდენობით. ხელშეკრულების დადებიდან ერთი თვის შემდეგ გელა ბეჟანიშვილი საკუთარი განცხადების საფუძველზე გათავისუფლდა სამუშაო ადგილიდან და შემდგომი ორი თვის განმავლობაში არ გადაიხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყოველთვიური 50 ლარი მაღაზიის სასარგებლოდ. ამასთან დაკავშირებით მაღაზიის ადმინისტრაციამ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ბეჟანიშვილისაგან დარჩენილი დავალიანების მთელი თანხის, ანუ 300 ლარის, ერთდროულად გადახდა, მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადახდამდე ჯერ კიდევ სამი თვის ვადა იყო დარჩენილი. სასამართლოში ბეჟანიშვილმა განაცხადა, რომ მისგან მთელი თანხის გადახდა ეწინააღმდეგება ხელშეკრულების შინაარსს, რომელიც ითვალისწინებს მის მიერ ნაყიდი ნივთის

ღირებულების ნაწილ-ნაწილ გადახდას.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №25

ივანე დიდებულიძე და ანზორ ხომასურიძე ზეპირად შეთანხმდნენ იმის თაობაზე, რომ ივანე ანზორს საკუთრებაში გადასცემდა ტელევიზორს ფასის გადახდამდე, ხოლო ანზორი კი ტელევიზორის ფასს გადაიხდიდა ნაწილ-ნაწილ ხელშეკრულებით განსაზღვრული დროის შუალედებში.

ჩაითვლება თუ არა ასეთ შემთხვევაში განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება დადებულად?

კაზუსი №26

პეტრე ფაილოძემ მაღაზია „ტექნიკაში“ შეიძინა მის მიერ მოწონებული მოდელის უკანასკნელი ეგზემპლარი ავტომატური სარეცხი მანქანა, სამუშაო დღის დასასრულს საღამოს ექვს საათზე. გამყიდველებმა სასწრაფოდ შეფუთეს სარეცხი მანქანა და გადასცეს მყიდველს, რომელმაც მეგობრების დახმარებით სარეცხი მანქანა სახლში მიიტანა. სახლში სარეცხი მანქანის მიტანისას პეტრემ აღმოაჩინა, რომ მანქანის ტექნიკურ პასპორტს დარტყმული არ ჰქონდა მაღაზიის შტამპი და არ იყო აღნიშნული გაყიდვის თარიღი. გარდა ამისა, პასპორტს აკლდა რამდენიმე გვერდი და მათ შორის საგარანტიო ტალონიც. ტექნიკური მონაცემების წაკითხვისას, პეტრე ფაილოძე დარწმუნდა, რომ იგი ხელოსნის გარეშე ვერ შეუერთებდა სარეცხ მანქანას წყალგაყვანილობის მილებს, ხოლო ვისთვის მიემართა დახმარებისათვის კი არ იცოდა, რადგან ტექნიკურ პასპორტს გვერდები აკლდა.

მეორე დღეს პეტრემ მიმართა მაღაზიის ადმინისტრაციას მოთხოვნით, რომ გამოეცვალათ სარეცხი მანქანის ტექპასპორტი და მიეთითებინათ მასში გაყიდვის დღე. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა პეტრეს მოთხოვნა იმ საფუძვლით, რომ ქალაქში შემოტანილ იქნა ასეთი მოდელის სარეცხი მანქანების დიდი რაოდენობა და სად შეიძინა პეტრემ ეს სარეცხი მანქანა, ძნელი დასადგენია, და თუნდაც იგი შეეძინა ამ მაღაზიაში, მათ ზედმეტი ტექპასპორტი მაინც არ ჰქონდათ. ვერ მიაღწია რა თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებას, პეტრემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მაღაზია „ტექნიასთან" დადებული სარეცხი მანქანის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №27

ოთარ ბრეგვაძემ მაღაზია „ქსოვილში" შეიძინა ნატურალური შალისაგან დამზადებული ძვირად ღირებული ხალიჩა. ხალიჩის შეძენიდან ორი კვირის შემდეგ, როდესაც ოთარის მეუღლემ — ციალამ მტვერსასრუტით გაწმინდა იგი, აღმოჩნდა, რომ ხალიჩას ზოგ ადგილას ქსოვილი ასძვრა, ხოლო ზოგან კი გახუნდა და თავდაპირველი შეფერილობა დაკარგა. ოთარ ბრეგვაძემ მეორე დღესვე პრეტენზიით მიმართა მაღაზიის ადმინისტრაციას უხარისხო ხალიჩის მიყიდვასთან დაკავშირებით. ჩატარებულმა ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ხალიჩის ზედაპირის ქსოვილის აძრობა გამოიწვია იმან, რომ ქსოვილი დამაგრებული იყო უხარისხო ძაფით, ოთარმა მოითხოვა მაღაზიის ადმინისტრაციისაგან უხარისხო ხალიჩის გამოცვლა ანალოგიური მოდელის ხარისხიანი ხალიჩით. მაღაზიის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა დაეკმაყოფილებინა ოთარის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ მისთვის მიყიდული ხალიჩა მაღა-

ზიამ საკომისიო ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ირაკლი გედენიძისაგან გაყიდვამდე ორი კვირით ადრე, ამიტომაც ოთარის მოთხოვნა უნდა დააკმაყოფილოს ირაკლი გედენიძემ.

ოთარ ბრეგვაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს მაღაზია „ქსოვილის“ წინააღმდეგ.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №28

1999 წლის 10 მაისს დავით სამხარაულმა და ლევან ნოზაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსის მიხედვით ლევანი თავის ერთოთახიან საცხოვრებელ ბინას უცვლიდა დავითს ავტომანქანა „ნივაში“, გარდა ამისა, დავითს ლევანისათვის დამატებით კიდევ უნდა გადაეხადა 2000 ლარი, რამეთუ მხარეთა შეთანხმებით სწორედ ამ თანხით აღემატებოდა საცხოვრებელი ბინის ღირებულება მანქანის ღირებულებას. დავითმა და ლევანმა ხელშეკრულება შეადგინეს წერილობითი ფორმით და გადაწყვიტეს დაედასტურებინათ სანოტარო წესით. ვიდრე ხელშეკრულებას სანოტარო წესით დაადასტურებდნენ, დავითმა დაათვალიერა ლევანის საცხოვრებელი ბინა და დარწმუნდა, რომ იგი საფუძვლიანი კოსმეტიკური გარემონტების გარეშე საცხოვრებლად არ გამოდგებოდა. დავითმა გადაიანგარიშა გარემონტების ხარჯები, რომელმაც ჯამში შეადგინა 2000 ლარი, ამ გარემოებაზე დაყრდნობით დავითმა ლევანს უარი განუცხადა დამატებით 2000 ლარის გადახდაზე. ლევანი არ დაეთანხმა დავითს და მოითხოვა მანქანის გარდა დამატებით 2000 ლარის გადაცემა იმ საფუძვლით, რომ გაცვლის ხელშეკრულებაში არაფერი იყო ნათქვამი გასაცვლელი საცხოვრებელი ბინის ხარისხის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №29

გიორგი გოგოლაძემ და ლევან ნემსაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება, რის მიხედვითაც გიორგი ლევანს გადასცემდა 10 000 ლარს მანქანის შესაძენად, ხოლო ლევანი კი გიორგის სანაცვლოდ გადასცემდა სააქციო საზოგადოებაში თავის კუთვნილ აქციებს 10 000 ლარის ოდენობით.

მართზომიერია თუ არა ასეთი სახის გაცვლის ხელშეკრულება?

კაზუსი №30

თენგიზ ბექაურმა და ბექა დვალიძემ, რომლებიც ერთმანეთის მეზობლად აშენებდნენ საცხოვრებელ სახლებს, მოილაპარაკეს, რომ დახმარება გაეწიათ ერთმანეთისათვის სამშენებლო მასალების შეძენასა და მოტანაში. ამასთან, თენგიზმა იკისრა ვალდებულება შეეძინა და მიეტანა აგური, ხოლო ბექას კი უნდა შეეძინა და მიტანა ხის მასალა, მხარეებმა შეადგინეს გაცვლის ხელშეკრულება, რომლითაც ერთმანეთისათვის გასაცვლელი ქონების ღირებულება შეაფასეს თანაბრად. თუმცა კი აგურის მიტანა გაცილებით ძვირი დაჯდა, ვიდრე ხის მასალის, ამასთან დაკავშირებით თენგიზმა მოსთხოვა ბექას დამატებითი ხარჯების ნახევრის ანაზღაურება, რაზედაც ბექამ უარი განაცხადა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №31

ნიკა ჯანჯღავამ და თამაზ ქარქაშაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ნიკა ვალდებულებას კისრულობდა გადაეცა თამაზისათვის 50 ყუთი არაყი, ხოლო

თამაზი კი კისრულობდა გადაეცა ნიკასთვის იმავე თანხის ოდენობის სამრეწველო საქონელი. მხარეებმა საქონლის გაცვლა მოახდინეს შეთანხმებულ ვადაში. თუმცა კი მაკონტროლებელი ორგანოების მიერ თამაზ ქარქაშაძისაგან ამოღებულ და განადგურებულ იქნა 50 ყუთივე არაყი იმ საფუძვლით, რომ იგი ფალსიფიცირებული იყო და მისი რეალიზაცია მომხმარებლის მოწამვლას გამოიწვევდა. ამის შემდეგ თამაზმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ნიკასაგან მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №32

ორმა ინდივიდუალურმა მეწარმემ – კაშიამ და გიორგაძემ მოილაპარაკეს, რომ საქონლის შესაძენად და ჩამოსატანად წასულიყვნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა ქვეყანაში, ხოლო შემდეგ კი იმ მიზნით, რომ შეემცირებინათ ჩამოტანილი საქონლის რეალიზაციის ვადა, მოახდენდნენ ჩამოტანილი სხვადასხვა სახის საქონლის გაცვლას წინასწარ შეთანხმებულ ფასად. გაცვლის ხელშეკრულებაში, რომელიც წერილობითი ფორმით იქნა შედგენილი, მითითებულ იქნა საქონლის ჩამოტანის ვადა. კაშიასა და გიორგაძის მეუღლეები ვაჭრობდნენ სხვადასხვა ქალაქის ბაზრობებზე. კაშიამ შეთანხმებულ ვადაში ჩამოიტანა საქონელი, მაგრამ გიორგაძის მეუღლეს არ გადასცა საქონლის ნაწილი იმის გამო, რომ გიორგაძემ საზღვარგარეთ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა რესტორანში ატეხა ჩხუბი და იგი საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისათვის დაკავებულ იქნა ადგილობრივი პოლიციის მიერ, როდესაც გიორგაძე სახლში დაბრუნდა, კაშიამ მის წინააღმდეგ სასამართლოში შეიტანა სარჩელი და მოითხოვა მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა ერთგვაროვანი სახის

საქონლის რეალიზაციის ვადის გაჭიმვით, ასევე მოითხოვა იმ მოგების ანაზღაურება, რომელიც მას უნდა მიეღო გიორგაძის მიერ ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში რომ ყოფილიყო საქონელი ჩამოტანილი.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №33

დავით შაშიაშვილმა და შოთა ხარაბაძემ დადეს გაცვლის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით დავითი შოთას გადასცემდა ავტომანქანა „ვოლვოს“, ხოლო შოთა კი დავითს გადასცემდა ავტომანქანა „ვოლგას“ და დამატებით კისრულობდა გადაეხადა 5000 ლარი ანუ ის თანხა, რითაც „ვოლვოს“ ღირებულება აღემატებოდა „ვოლგის“ ღირებულებას.

რა მომენტიდან ხდებიან ხელშეკრულების მხარეები გასაცვლელი ავტომანქანების მესაკუთრეები?

კაზუსი №34

1997 წლის 10 დეკემბერს დემურ კახიძემ მემკვიდრეობით მიიღო გარდაცვლილი დეიდის სახლი ანდერძით. დეკემბრის თვის ბოლოს დემური თავის მეზობელს კახა წიქარიძეს დაჰპირდა, რომ მის შვილს აჩუქებდა მემკვიდრეობით მიღებულ სახლს, როცა კახას შვილი დაამთავრებდა საშუალო სკოლას. 1998 წლის 10 იანვარს ჩუქების დაპირება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესის მიხედვით. ჩუქების დაპირებიდან ორი წლის შემდეგ კახას შვილმა დაამთავრა საშუალო სკოლა, მაგრამ დემურ კახიძემ უარი განაცხადა დაპირებული საცხოვრებელი სახლის კახას შვილისთვის საჩუქრად გადაცემაზე იმ მოტივით, რომ მას

შეეძინა მესამე შვილი, რის გამოც შეიცვალა მისი ოჯახური მდგომარეობა და ამიტომ აღარ შეუძლია სახლის ჩუქება. კახა წიქარიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა დემურ კახიძისაგან დაპირების შესრულება, ასევე მისთვის და მისი შვილისათვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება. კახა წიქარიძე თავის მოთხოვნებს ასაბუთებდა იმით, რომ, მართალია, დამპირებელს შეეძინა მესამე შვილი, მაგრამ მას ეს საცხოვრებელი სახლი სრულებით არ სჭირდება, რადგან მის გარდა აქვს კიდევ ორი საცხოვრებელი სახლი და, შესაბამისად, მისი ქონებრივი მდგომარეობა არ გაუარესებულა, ხოლო თვითონ იგი კი განიცდის საცხოვრებელი ფართის სივიწროვეს, რამეთუ მრავალშვილიანია და თანაც შრომისუუნარო.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №35

მარიამ ხიჯაკაძე თავის შვილთან და შვილიშვილთან ერთად ცხოვრობდა კოოპერატიულ ბინაში. მარიამმა მოახდინა ბინის პრივატიზაცია თავის სახელზე 1997 წელს. 1998 წელს იგი საცხოვრებლად გადავიდა სხვა ქალაქში და გადაწყვიტა შვილისათვის ეჩუქებინა თავის სახელზე პრივატიზებული ბინა. მარიამმა ჩუქების ხელშეკრულების გასაფორმებლად ნოტარიუსს მიმართა, მაგრამ ნოტარიუსმა მას განუცხადა, რომ ჩუქების ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ერთდროულად შვილსა და შვილიშვილზე და არ შეიძლება მხოლოდ შვილზე. მარიამ ხიჯაკაძემ ამაზე უარი განაცხადა და აღნიშნა, რომ მას, მართალია, ძალიან უყვარს თავისი შვილიშვილი, მაგრამ სურს რომ ბინა აჩუქოს თავის შვილს, ხოლო მერე შვილმა თვითონ გადაწყვიტოს თავისი შეხედულებისამებრ, მით უმეტეს, რომ მას კიდევ ჰყავს ერთი შვილი წინა ქორწინებიდან, რომელიც სხვაგან ცხოვრობს. მარიამის პასუხის მოსმენის

შემდეგ ნოტარიუსმა მას ურჩია, რომ დაეწერა ანდერძი შვილის სახელზე და ამგვარად გადაეცა მისთვის ბინა.

მართლზომიერია თუ არა ნოტარიუსის მოქმედებები?

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №36

აკაკი სიხარულიძემ 1998 წლის 10 მაისს თავის საკუთრებაში არსებული ოროთახიანი ბინა საჩუქრად გადასცა გიული პავლიაშვილს. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესით. 1999 წლის 15 აპრილს აკაკი სიხარულიძემ შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა გიული პავლიაშვილთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების დადებისას იყო დროებითი სულიერი მოშლილობის მდგომარეობაში. მართალია, ამჟამად იგი ისევ იმ გაჩუქებულ ბინაში ცხოვრობს, მაგრამ გიული პავლიაშვილი არანაირ ყურადღებას არ აქცევს და არ ეხმარება, რადგან ცხოვრობს სხვა ქალაქში, მას კიდევ შრომისუუნარობის გამო ესაჭიროება მატერიალური დახმარება. გიული პავლიაშვილმა სარჩელი არ ცნო და სასამართლოს განუცხადა, რომ მან ბინაში ჩაატარა კაპიტალური რემონტი, იხდის ყველანაირ კომუნალურ გადასახადებს და, გარდა ამისა, აკაკი სიხარულიძეს ყოველთვიურად უგზავნის 100 ლარს.

ხომ არ არის დადებული ჩუქების ხელშეკრულება იმ მიზნით, რომ შენიღბულ იქნეს ის გარიგება, რომლის დადებაც სურდათ მხარეებს? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №37

ნელი ღოღობერიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავის ძმისშვილთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა. სასარჩელო განცხადებაში ნელი ღოღობერიძე აღნიშნავდა, რომ ერთი წლის წინ შეიტყო, რომ დაავადებული იყო ავთვისებიანი სიმსივნით, რაც ცნობილი გახდა მისი ძმისშვილისათვის, რომელმაც არ მოისვენა მანამ, სანამ არ შეადგენინა ანდერძი თავის სასარგებლოდ, შემდეგ კი წაიყვანა ნოტარიუსთან, სადაც მას ეგონა, რომ ხელს აწერდა ანდერძს, სინამდვილეში კი ხელი მოუწერია ჩუქების ხელშეკრულებისათვის. ნელის ძმისშვილმა სარჩელი არ ცნო და სასამართლოს განუცხადა, რომ მამიდამისმა ხელშეკრულების ხელმოწერისას მშვენივრად იცოდა თუ რას აწერდა ხელს და რა სამართლებრივ შედეგებთან იყო ეს დაკავშირებული, რამეთუ ამის შესახებ ნოტარიუსმა მოწმეების თანდასწრებით რამდენჯერმე განუმარტა. ჩუქების ხელშეკრულების საჯარო რეესტრში გაფორმების შემდეგ დასაჩუქრებულმა ბინაში ჩაატარა უმაღლესი დონის ევრორემონტი და შეიძინა ახალი ავეჯი. ამჟამად გამჩუქებელმა ნახა მყიდველი და სურს რომ მას მიჰყიდოს ბინა.

ცნობს თუ არა სასამართლო საცხოვრებელი ბინის ჩუქების ხელშეკრულებას ბათილად?

კაზუსი №38

ქეთევან სირბილაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა გელა კიკნაძესთან დადებული ოროთახიანი საცხოვრებელი ბინის ნაჩუქრობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების დადებისას იგი შეცდომაში იქნა შეყვანილი მის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. სასარჩელო განცხადებაში ქეთევანმა აღნიშნა, რომ 1999 წლის 20 ივნისს აჩუქა გელა კიკნაძეს თავის საკუთრებაში არსებული

ოროთახიანი ბინა იმ პირობით, რომ გელა კიკნაძე აცხოვრებდა მას ამ ბინაში, მოუვლიდა და მატერიალურ დახმარებას გაუწევდა სიცოცხლის ბოლომდე. მაგრამ დასაჩუქრებულმა დაარღვია შეთანხმება და არ უვლის და არც მატერიალურ დახმარებას უწევს მას.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ქეთევან სირბილაძეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი განუცხადა იმ მოტივით, რომ ხელშეკრულების დადებისას ადგილი არ ჰქონია ზეწოლასა და შეცდომაში შეყვანას, მოსარჩელე სრულად აცნობიერებდა თავის მოქმედებებს და, გარდა ამისა, მან ვერ შეძლო სასამართლოსათვის წერილობითი მტკიცებულებების წარდგენა, რომლითაც დაადასტურებდა, რომ ხელშეკრულება დაიდო მოსარჩელის სამისდღეშიო რჩენის პირობით.

მოსარჩელემ გაასაჩივრა სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით. სააპელაციო საჩივარში მან აღნიშნა, რომ ჩუქების ხელშეკრულება დადებულ იქნა იმ პირობით, რომ დასაჩუქრებული გაუწევდა მას მატერიალურ და სხვა სახის დახმარებას, გადაიხდიდა კომუნალური მომსახურების ხარჯებს და რომ მას სურდა გაეფორმებინა ბინა ანდერძით დასაჩუქრებულის სახელზე, მაგრამ დასაჩუქრებულმა მას შესთავაზა, რომ ეჩუქებინა ბინა ამ პირობებით. სასამართლოს მიერ დაკითხულმა მოწმეებმა თავიანთ ჩვენებაში განმარტეს, რომ მოსარჩელის სიტყვებიდან მათთვის ცნობილი იყო, რომ ხელშეკრულება არ იყო უსასყიდლო, რომ გადაცემული ბინისათვის გელა კიკნაძემ იკისრა ვალდებულება მატერიალური დახმარება გაეწია მოსარჩელისათვის სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ არ ასრულებს თავის დაპირებას. გელა კიკნაძემ უარყო მასსა და გამჩუქებელს შორის სხვა რაიმეზე შეთანხმება და აღნიშნა, რომ ქეთევან სირბილაძემ ყოველგვარი დამატებითი ვალდებულების შესრულების პირობის გარეშე გადასცა მას საჩუქრად საცხოვრებელი ბინა.

ამის საპასუხოდ ქეთევან სირბილაძემ დამატებით აღნიშნა, რომ გაჩუქებული ბინა არის მისი ერთადერთი ძვირფასი ქონება, რომლის ხარჯზეც უნდა იარსებოს მან, რადგან შრომისუუნაროა

და არანაირი სხვა შემოსავლის წყარო მას არ გააჩნია, ამიტომაც იგი ვერავის ვერ გადასცემდა მას უსასყიდლოდ საკუთრებაში სამისდღეშიო რჩენის პირობის გარეშე.

ხომ არ არის ჩუქების ხელშეკრულება თვალთმაქცური? რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №39

მარტოხელა და ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული გ. ჯანჯიბუხაშვილი წერილობითი ფორმით დაჰპირდა თავის დიდი ხნის მეგობარს გ. ქემოკლიძეს, რომ აჩუქებდა თავის საკუთრებაში მყოფ ოროთახიან საცხოვრებელ ბინას, რომელიც დასაჩუქრებულის საკუთრებაში გადავიდოდა გამჩუქებლის გარდაცვალების შემდეგ.

გახდება თუ არა გ. ქემოკლიძე საცხოვრებელი ბინის მესაკუთრე გ. ჯანჯიბუხაშვილის გარდაცვალების შემდეგ?

კაზუსი №40

ომარ თევზაძემ თავის დისშვილს საქორწილო საჩუქრის სახით გადასცა 3000 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი. ჩუქების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობით და დასაჩუქრებულმა თანხმობა განაცხადა მიეღო საჩუქრად მიწის ნაკვეთი. საგაზაფხულო სამუშაოების ჩატარებისას გამოირკვა, რომ ნაჩუქარი მიწის ნაკვეთი დაჭაობებული იყო, რომლის ამოშრობასაც სჭირდებოდა დიდი ხარჯები. რადგან დასაჩუქრებულს ამის მატერიალური შესაძლებლობა არ გააჩნდა, ამიტომაც მან ზეპირი ფორმით უარი განაცხადა ნაჩუქარ მიწის ნაკვეთზე.

ითვლება თუ არა ჩუქების ხელშეკრულება დადებულად?

კაზუსი №41

ზაზა ნეფარიძემ წერილობითი ფორმით შეადგინა ჩუქების ხელშეკრულება, რის მიხედვითაც ზაზა თავისი მეუღლის მკურნალ ექიმს მადლიერების ნიშნად საჩუქრად გადასცემდა ოქროს ბეჭედს ბრილიანტის ქვებით. მკურნალმა ექიმმა თანხმობის ნიშნად ხელი მოაწერა ხელშეკრულებას. ზაზა დაჰპირდა ექიმს, რომ საჩუქარს მიუტანდა ორ დღეში, მაგრამ, როდესაც შეთანხმებულ ვადაში გამჩუქებელმა დასაჩუქრებულს მიუტანა ნაჩუქარი ბეჭედი, დასაჩუქრებულმა წერილობითი ფორმით უარი განაცხადა საჩუქრის მიღებაზე.

მართლზომიერია თუ არა გამჩუქებლისა და დასაჩუქრებულის მოქმედებები? ითვლება თუ არა ჩუქების ხელშეკრულება დადებულად?

კაზუსი №42

ნათია ს-მ თავისი მეუღლის თანხმობის გარეშე მეგობარს საჩუქრად გადასცა მეუღლესთან ერთად შეგროვილი 150 ცალი ძველი წიგნების ბიბლიოთეკა. ჩუქების ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობითი ფორმით, სადაც დასაჩუქრებულმა თანხმობა განაცხადა საჩუქრის მიღებაზე. ხანგრძლივი სამსახურეობრივი მივლინებიდან დაბრუნების შემდეგ ნათიას მეუღლემ აღმოაჩინა, რომ ბიბლიოთეკა მისი თანხმობის გარეშე ნათიას სხვისთვის გადაუცია საჩუქრად. ნათიას მეუღლემ სარჩელით მიმართა სასამართლოს დასაჩუქრებულის წინააღმდეგ და მოითხოვა გაჩუქებული წიგნების უკან დაბრუნება და მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება.

ვალდებული იყო თუ არა ნათია შეეთანხმებინა ჩუქების ხელშეკრულება მეუღლესთან? დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო სარჩელს?

კაზუსი №43

დ. ქათამაძემ თავის მეგობარ ზ. ნავაძეს წერილობითი სახით გაფორმებული ხელშეკრულებით საჩუქრად გადასცა ფულადი დანაზოგი, რომელიც მას ჰქონდა ერთ-ერთ კომერციულ ბანკში. ზ. ნავაძემ მიმართა ბანკს ფულადი დანაზოგის გამოსატანად, თუმცა კი ბანკმა უარი განაცხადა მიეცა ფულადი დანაზოგი დასაჩუქრებულისათვის იმ საფუძვლით, რომ ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე მას არ შეეძლო ფულადი თანხის გაცემა.

მართლზომიერია თუ არა ბანკის მოქმედება? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №44

გიორგი კახაძემ თემურ ცინცაძესთან დადო ხელშეკრულება. რომლითაც იკისრა ვალდებულება თემურ ცინცაძის ნაცვლად გადაეხადა მისი ვალი კომერციული ბანკისათვის, რომელიც წარმოიშვა სესხის თავისდროულად არდაბრუნების შედეგად. გიორგიმ და თემურმა მათ შორის დადებულ ხელშეკრულებას უწოდეს ჩუქების ხელშეკრულება.

ჩაითვლება თუ არა მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ჩუქების ხელშეკრულებად?

კაზუსი №45

ნათია პ-მ თავისი მცირეწლოვანი შვილის პეტრეს სახელით, რომელსაც სხეულის დამბლის გამო მთლიანად წართმეული ჰქონდა მოძრაობისა და მეტყველების უნარი, წერილობით გაფორმებული ხელშეკრულებით საჩუქრად გადასცა მზია დ.-ს უცხოური წარმოე-

ბის იმპორტული ტელევიზორი, რომელიც ადრე აჩუქეს პეტრეს სპონსორებმა საავადმყოფოში მკურნალობისას. დასაჩუქრებულმა მიიღო საჩუქარი. სპონსორმა შეიტყო რა მოგვიანებით ამის შესახებ, სასამართლოში შეიტანა სარჩელი ნათია პ-ს წინააღმდეგ და მოითხოვა ტელევიზორის უკან დაბრუნება, ასევე პეტრესთვის მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც ჩუქების ხელშეკრულების დადების დროს იმყოფებოდა საავადმყოფოში სამკურნალოდ.

მართლზომიერია თუ არა ნათია პ-ს მოქმედებები? დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო სპონსორის სასარჩელო მოთხოვნას?

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №46

გია თვალაძემ თავის ძმასთან დავითთან წერილობითი სახით დადო ჩუქების ხელშეკრულება, რის მიხედვითაც გია დავითს საჩუქრად გადასცემდა საკუთარ ერთოთახიან ბინას, თუმცა დავითმა ზეპირი ფორმით უარი განაცხადა საჩუქარზე და არ გამოართვა ძმას ოთახის გასაღები. მეორე დღეს გია თვალაძის მიერ ძმისთვის ნაჩუქარ ბინაში დაზიანებული ონკანიდან გადმოიღვარა წყალი, რომელმაც დაასველა ოთახში დაგებული პარკეტი და ჩავიდა ქვედა სართულზე მცხოვრებ მეზობელთან, რომელსაც დაუზიანა საცხოვრებელი ბინის ჭერი და იატაკი. დაზარალებულმა მეზობელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში გია თვალაძის წინააღმდეგ და მოითხოვა ბინის შეკეთების ხარჯების ანაზღაურება. გია თვალაძემ ზიანის ანაზღაურებაზე უარი განაცხადა იმ საფუძველით, რომ ბინის მესაკუთრე არის მისი ძმა დავითი, ამიტომაც ზიანი უნდა აანაზღაუროს დავითმა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №47

გ. პეტრიაშვილმა თავის ინვალიდ მეგობარს ო. ნემსაძეს საჩუქრად გადასცა ავტომანქანა. ჩუქების ხელშეკრულებაში მხარეებმა ურთიერთშეთანხმებით ჩაწერეს, რომ ო. ნემსაძის გარდაცვალების შემთხვევაში მისი ნათესავები ნაჩუქარ მანქანას უკან დაუბრუნებდნენ გამჩუქებელს – გ. პეტრიაშვილს. ჩუქების ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ ო. ნემსაძე გარდაიცვალა, ხოლო მისმა მემკვიდრემ – შვილმა კი უარი განაცხადა გ. პეტრიაშვილისათვის მანქანის უკან დაბრუნებაზე. გ. პეტრიაშვილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს ო. ნემსაძის მემკვიდრის წინააღმდეგ და მოითხოვა გაჩუქებული ავტომანქანის უკან დაბრუნება ნაჩუქრობის ხელშეკრულების შინაარსის შესაბამისად.

დააკმაყოფილებს თუ არა სასამართლო გ. პეტრიაშვილის მოთხოვნას?

კაზუსი №48

დ. ღონღაძე წერილობით დაჰპირდა თავის შვილიშვილს, რომ ქორწილის დღეს საჩუქრად გადასცემდა საცხოვრებელ სახლს. ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს ორივე მხარემ და დაადასტურებინეს სანოტარო წესით. პაპამ და შვილიშვილმა გადაწყვიტეს ხელშეკრულების დადება აღენიშნათ პატარა წვეულებით. წვეულებაზე მათ დალიეს ალკოჰოლური სასმელი. შემთვრალმა პაპამ შვილიშვილს ჰკითხა, თუ რატომ არ ჰყავდა 25 წლის ახალგაზრდას მეგობარი გოგონა და ხომ არ ჰქონდა რაიმე ბიოლოგიური პრობლემა. შვილიშვილი ამ კითხვაზე გაბრაზდა, დაავლო დანას ხელი და პაპას მიაყენა სხეულის მსუბუქი დაზიანება. გამოჯანმრთელების შემდეგ პაპამ ცალმხრივად გააუქმა ჩუქების დაპირება და უარი განაცხადა შეპირებული სახლის საჩუქრად გადაცემაზე.

ჰქონდა თუ არა დ. ღონღაძეს ამ მოქმედების განხორციელების უფლება სამოქალაქო კოდექსის მიხედვით?

კაზუსი №49

თამარ დოლიძე სისტემატურად აგვიანებდა სამსახურში მაღვიძარა საათის არქონის გამო. მისმა დეიდამ ნათელამ თამარს საჩუქრად გადასცა ძვირფასი მაღვიძარა საათი იმ მიზნით, რომ თამარს აღარ დაეგვიანა სამსახურში, მიუხედავად იმისა, რომ ახლა უკვე ჰქონდა მაღვიძარა საათი, თამარი ზოგჯერ მაინც იგვიანებდა სამსახურში, სადაც მას არაერთგზის მისცა შენიშვნა ადმინისტრაციამ დაგვიანებისათვის, ხოლო შემდეგ კი გაანთავისუფლეს სამსახურიდან. თამარის დეიდამ მოითხოვა გაჩუქებული საათის უკან დაბრუნება იმ მოტივით, რომ თამარმა არ შეასრულა ის პირობა, რისთვისაც საათი გადაეცა საჩუქრად. თამარმა უარი განაცხადა ნაჩუქარი საათის უკან დაბრუნებაზე. ნათელამ სარჩელით მიმართა სასამართლოს თამარისაგან მაღვიძარა საათის უკან დაბრუნების მოთხოვნით. სასამართლომ უარი განუცხადა მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კაზუსი №50

კომერციული ბანკის დირექტორმა ხელოვნების მუზეუმს საჩუქრად გადასცა ცნობილი მხატვრის ორიგინალი ნახატი, რომელიც შეძენილი იყო ბანკის კუთვნილი სახსრებით. ჩუქების ხელშეკრულება კანონის მოთხოვნათა დაცვით ხელმოწერილ იქნა სამი თვით ადრე ამ კომერციული ბანკის გაკოტრებამდე. ბანკის მეანაბრეებმა როგორც კი შეიტყვეს ჩუქების ხელშეკრულების არსებობის შესახებ, სარჩელით მიმართეს სასამართლოს და მოითხოვეს ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და სურათის რეალიზაცია აუქციონზე თავიანთი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, რამეთუ ბანკს არ ჰქონდა სხვა საკმარისი ქონება მეანაბრეების

მიერ შეტანილი ფულადი თანხების დასაბრუნებლად. სასამართლომ დააკმაყოფილა მეანაბრეების სარჩელი.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კაზუსი №51

მ. ბადრიძემ თავის შვილიშვილს არჩილს აჩუქა ანტიკვარული გიტარა, რომელიც მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული თავისი პაპისაგან. ნაჩუქრობის ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა წერილობითი ფორმით, ხელმოწერილ იქნა ორივე მხარის მიერ და შვილიშვილმა მიიღო საჩუქარი. საჩუქრის გადაცემიდან დიდი ხანი არც კი იყო გასული, რომ მ. ბადრიძემ შეამჩნია არჩილი უგულისყუროდ ეკიდებოდა გიტარას, დაკვრის შემდეგ უდიერად მიაგდებდა ხოლმე, პაპის შენიშვნებზე არავითარ ყურადღებას არ ამახვილებდა, ხოლო ერთხელ კი გიტარა გახუშრების მიზნით თავში ჩაარტყა მეგობარს. მ. ბადრიძე დარწმუნდა, რომ ასეთი მოპყრობით გიტარა დაზიანდებოდა, არადა იგი ოჯახურ რელიკვიას წარმოადგენდა, ამიტომაც მ. ბადრიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა შვილიშვილთან დადებული ჩუქების ხელშეკრულების გაუქმება და გაჩუქებული გიტარის უკან დაბრუნება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №52

ნ. მჭედლიძემ ბაზრობაზე შეიძინა იმპორტული წარმოების ძვირფასი ქსოვილის კაბა ლამაზი ნაქარგებით, რომელიც იქვე მოიზომა და ჩაიცვა. სახლი მისვლისას საღამოთი მან აღმოაჩინა, რომ კანი ხელებსა და კისერზე გაუწითლდა და ჩათვალა, რომ მას ალერგია ჰქონდა ამ სახის ქსოვილზე. ნ. მჭედლიძემ შემდგომში აღარ ჩაიცვა

ნაყიდი კაბა, ხოლო ორი კვირის შემდეგ კი იგი საჩუქრად მიუტანა თავის მეგობარს იას დაბადების დღეზე. იამ ჩაიცვა კაბა, მოეწონა და ატარებდა მას რამდენიმე დღე, თანაც საღამოობით კაბის გახდისას ყურადღებას არ აქცევდა იმას, რომ კისერი გაწითლებული ჰქონდა, მალე მან მთელ ტანზე შენიშნა წითელი გამონაყარი. იამ მიმართა პოლიკლინიკას, საიდანაც იგი გააგზავნეს ინფექციურ საავადმყოფოში დიაგნოზით – მუნი. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ იამ შეიტანა სასამართლოში სარჩელი ნ. მჭედლიძის მიმართ და მოითხოვა მისგან დაავადებული ქსოვილის ნაჩუქარი კაბით მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება. სასამართლომ დააკმაყოფილა იას სასარჩელო მოთხოვნა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №53

80 წლის თ. გიორგაძე ხშირად ავადმყოფობდა, რის გამოც სახლში იძახებდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარებისათვის მედპერსონალს. თ. გიორგაძის მეზობლად ცხოვრობდა მედდა ნ. კიკნაძე, რომელიც ყოველ საღამოს სახლში შეუვლიდა ხოლმე მოხუც მეზობელს და უწევდა სამედიცინო დახმარებას. მადლიერების ნიშნად თ. გიორგაძემ ნ. კიკნაძეს განუცხადა, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა მისთვის ზამთარში ძვირფასი ბეწვის ქურქი ეჩუქებინა, რადგან თვითონ ავად იყო და ქურქი აღარ დასჭირდებოდა, ხოლო იმისთვის, რომ დაერწმუნებინა თავის სიტყვების გულწრფელობაში, თ. გიორგაძემ 1999 წლის 10 ოქტომბერს ჩუქების დაპირება გააფორმა კანონით დადგენილი წესით.

1999 წლის 30 ნოემბერს თ. გიორგაძე გარდაიცვალა ისე, რომ ვერ მოასწრო ნ. კიკნაძისათვის დაპირებული ბეწვის ქურქის საჩუქრად გადაცემა. თ. გიორგაძის შვილმა უარი განუცხადა ნ. კიკნაძეს ქურქის გადაცემაზე. ნ. კიკნაძემ სარჩელით მიმართა

სასამართლოს თ. გიორგაძის შვილის მიმართ და მოითხოვა მისგან დედის მიერ დადებული ჩუქების დაპირების ხელშეკრულების შესრულება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №54

ინდივიდუალურმა მეწარმე დ. რაზმაძემ ონკოლოგიურ საავადმყოფოს შეწირულობის სახით გადასცა მიკროავტობუსი იმ მიზნით, რათა ექიმები სახლში მისულიყვნენ ავადმყოფებთან გამოძახების შემთხვევაში. ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში ჩაწერილ იქნა შეწირულობის მიზანი. მაგრამ ონკოლოგიური საავადმყოფოს მედპერსონალმა დაიწყო მიკროავტობუსის გამოყენება პირადი მიზნებისათვის. დ. რაზმაძე შეწირულობის განხორციელებიდან ერთი თვის გასვლის შემდეგ მოულოდნელად დაიღუპა ავტოკატასტროფაში. მისმა შვილმა შეიტყო რა, რომ ონკოლოგიური საავადმყოფო არ ასრულებს იმ მიზანს, რა მიზნისთვისაც განხორციელდა მისი გარდაცვლილი მამის მიერ მიკროავტობუსის შეწირულობა, შეიტანა სასამართლოში სარჩელი და მოითხოვა შეწირულობის გაუქმება და მიკროავტობუსის მისთვის გადაცემა.

აქვს თუ არა გარდაცვლილი დ. რაზმაძის მემკვიდრეს უფლება მოითხოვოს შეწირულობის გაუქმება? რა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს სასამართლომ?

კაზუსი 55

ი. მინდაძემ ა. ბურკაძისაგან ერთი წლის ვადით ისესხა 1200 ლარი პროცენტიანი სესხის სახით. მსესხებელმა იკისრა ვალდებულება, რომ სესხად აღებული თანხა უკან დაებრუნებინა ნაწილ-ნაწილ ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით. ხელშეკრულებით

განსაზღვრულ პროცენტთან ერთად მსესხებელი სამი თვის განმავლობაში ჯეროვნად ასრულებდა თავის მოვალეობას, მაგრამ შემდგომში ველარ შესძლო თანხის გადახდა იმ მოტივით, რომ გადახდისუუნარო გახდა.

გამსესხებელმა მოსთხოვა მსესხებელს დარჩენილი თანხისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტების ერთდროულად სრულად გადახდა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №56

ინდივიდუალურმა მეწარმე არველაძემ კომერციული ბანკისაგან სამი წლის ვადით აიღო მიზნობრივი სესხი პურის პროდუქტების წარმოების განსავითარებლად. მსესხებელმა პურპროდუქტების წარმოების განვითარების ნაცვლად, ბანკისაგან აღებული სესხით დაიწყო ალკოჰოლური სასმელების წარმოება.

როდესაც ბანკის წარმომადგენლები მსესხებელს ესტუმრნენ, რათა შეემოწმებინათ რამდენად მიზნობრივად დაიხარჯა სესხად აღებული თანხა, აღმოაჩინეს, რომ მსესხებელმა იგი გამოიყენა არამიზნობრივად. ამასთან დაკავშირებით, ბანკმა არველაძეს მოსთხოვა სესხად აღებული ფულადი თანხისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტების ვადამდე უკან დაბრუნება.

მართლზომიერია თუ არა გამსესხებლის მოთხოვნა?
როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №57

ი. მდინარაძემ შპს „ტექნიკისაგან“ იჯარით აღებული ქონება გააუმჯობესა, რაზეც გაწია 2000 ლარის ხარჯი. მოიჯარემ მეიჯარეს მოსთხოვა იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებაზე გაწეული ხარჯების ანაზღაურება. მეიჯარე დასთანხმდა მოიჯარეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მაგრამ განაცხადა, რომ მას არა აქვს ფულადი სახსრები და სთხოვა მოიჯარეს, რომ გაეფორმებინათ ერთწლიანი ვადით სესხის ხელშეკრულება, რომლის გასვლის შემდეგაც კისრულობდა ვალდებულებას გადაეხადა მოიჯარისათვის 2000 ლარი.

მართლზომიერია თუ არა მეიჯარის წინადადება მოიჯარის მიმართ?

კაზუსი №58

ინდივიდუალურმა მეწარმე ბახტაძემ შპს „X“-თან დადო სესხის ხელშეკრულება. როდესაც ბახტაძე ხელშეკრულებით დათქმულ ვადაში გამოცხადდა სესხად აღებული ფულადი თანხის მისაღებად, მან გამსესხებელს განუცხადა, რომ აღარ სჭირდება ამდენი თანხა და თანახმაა წაიღოს სესხის თანხის მხოლოდ ნახევარი. გამსესხებელმა ამაზე უარით უპასუხა და შესთავაზა მსესხებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული მთლიანი ფულადი თანხის წაღება.

ითვლება თუ არა სესხის ხელშეკრულება დადებულად?

კაზუსი №59

ირაკლი კილურაძემ ექვსი თვის ვადით საფინანსო კომპანიას, რომელიც აფინანსებდა სავაჭრო გარიგებებს, სესხად მისცა 20000 ლარი ყოველთვიურად ხუთი პროცენტის დარიცხვით. სამი თვის შემდეგ ირაკლიმ გადაწყვიტა შეემოწმებინა, თუ როგორ იყენებდა საფინანსო კომპანია მის მიერ სესხად მიცემულ თანხას, მაგრამ მსესხებელმა უარი განუცხადა რაიმე ინფორმაციის გაცემაზე იმ მოტივით, რომ იგი კონფიდენციალური ხასიათის იყო და საფინანსო კომპანიის კომერციულ საქმიანობას უკავშირდებოდა.

ირაკლი კილურაძემ მსესხებელს მიმართა თხოვნით სესხად აღებული ფულადი თანხის ვადამდე უკან დაბრუნების შესახებ, რაზედაც მსესხებელმა უარი განაცხადა.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი 60

ი. ნოზაძემ 2008 წლის 10 თებერვალს ერთი წლის ვადით უპროცენტო სესხის ხელშეკრულების საფუძველზე ო. პატარიძეს სესხად გადასცა 3000 ლარი. ხელშეკრულება შედგენილი იქნა წერილობითი ფორმით.

ო. პატარიძემ ოთხი თვით გადააცილა სესხის დაბრუნების ვადას. ი. ნოზაძემ მსესხებელს მოსთხოვა გადაცილებული დროისათვის ეროვნული ბანკის ან ბანკთაშორისი საკრედიტო აუქციონის მიერ დადგენილი პროცენტების გადახდა, აგრეთვე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. მსესხებელმა გამსესხებლის მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე უარი განაცხადა იმ საფუძვლით, რომ სესხის ხელშეკრულება იყო უპროცენტო.

გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მსესხებლისაგან სესხის დაბრუნების ვადის გადაცილებისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი პროცენტის გადახდა, აგრეთვე

მიყენებული მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

ᲙᲐᲖᲣᲡᲘ №61

ა. ნემსაძემ ო. ჩუბინიძესთან დადო სესხის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით ჩუბინიძე ნემსაძეს ერთი წლის ვადით უპროცენტო სესხის სახით გადასცემდა 1000 ლარს, ხოლო მსესხებელი კი ვალდებულებას კისრულობდა ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ უკან დაებრუნებინა გამსესხებლისათვის სესხად აღებული ფულადი თანხა. სესხის ხელშეკრულება დადებულ იქნა ზეპირი ფორმით სამი მოწმის თანდასწრებით.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მსესხებელმა თანხა უკან არ დააბრუნა, ხოლო გამსესხებლის მოთხოვნაზე სესხის დაბრუნების შესახებ უარი განაცხადა იმ მოტივით, რომ მას არავითარი ხელშეკრულება არ დაუდვია და მისთვის გაუგებარია, თუ რა თანხის დაბრუნებას სთხოვენ. გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს მსესხებლისაგან სესხად მიცემული 1000 ლარის დაბრუნების შესახებ და თან მიუთითა, რომ სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტს წერილობითი ფორმით ადასტურებდა სამი სრულწლოვანი მოწმე. სასამართლომ დააკმაყოფილა გამსესხებლის სასარჩელო მოთხოვნა.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ? პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №62

ნათელა კობალაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა თავისი ძმისშვილის – გიორგისაგან 5000 ლარის დაბრუნება. სასარჩელო მოთხოვნას ნ. კობალაძე იმით ასაბუთებდა, რომ ძმისშვილს სახლის მშენებლობის დასამთავრებლად ასესხა აღნიშნული თანხა, რომელიც მსესხებელს უნდა დაებრუნებინა ორი წლის განმავლობაში. სესხის მიცემის შესახებ ხელწერილი მან მსესხებელს არ გამოართვა იმიტომ, რომ ერთმანეთთან ნათესაური კავშირ-ურთიერთობა ჰქონდათ. მიუხედავად იმისა, რომ სესხის მიცემიდან გავიდა სამ წელზე მეტი, მსესხებელი მაინც არ აბრუნებდა თანხას, ამიტომაც გამსესხებელმა მიმართა საჩივრით პოლიციას, სადაც მსესხებელმა მიცემულ ახსნა-განმარტებაში აღიარა ვალის არსებობა და იკისრა მისი გადახდის ვალდებულება, თანაც გამსესხებელს გადასცა 1000 ლარი.

გიორგიმ სასამართლოში სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ არანაირი ვალი მამიდისაგან არ აუღია, ხოლო პოლიციაში მიცემულ ახსნა-განმარტებაში კი მან ვალდებულება იკისრა აენაზღაურებინა მამიდისათვის ის მატერიალური დახმარება, რომელიც მამიდამ მასზე გასწია უნივერსიტეტში სწავლის განმავლობაში.

სასამართლომ იმ მოტივით, რომ მოპასუხემ უარყო სესხის აღების ფაქტი და თანაც სესხის ხელშეკრულება გაფორმებულ არ იქნა წერილობითი სახით, უარი უთხრა მოსარჩელეს თავისი მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

სწორი გადაწყვეტილება მიიღო თუ არა სასამართლომ?

კაზუსი №63

ა. ორაგველიძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს ვ.სიდამონიძის მიმართ და მოითხოვა სესხის ხელშეკრულებით

აღებული ფულადი თანხის დაბრუნება. ორაგველიძემ სასამართლოს წარუდგინა სიდამონიძის მიერ გაცემული სავალო საბუთი, რომელიც დათარიღებული იყო 1997 წლის 30 ნოემბრით. ამ ხელშეკრულებით მსესხებელი კისრულობდა ვალდებულებას დაებრუნებინა გამსესხებლისათვის 5000 ლარი მოთხოვნისთანავე. მოსარჩელემ სასამართლოს განუმარტა, რომ მოსთხოვა მსესხებელს ვალის დაბრუნება 2000 წლის 10 აპრილს, რაზედაც მოპასუხემ უარი განაცხადა, ამიტომაც მოსარჩელე მოითხოვდა ვალის დაბრუნებას იმ კურსით, რომელიც ვალდებულების წარმოშობის დროს არსებობდა.

თავის შესაგებელში მოპასუხემ მიუთითა, რომ, მართალია, მოსარჩელისაგან ისესხა 5000 ლარი, მაგრამ მან იგი დიდი ხნის წინ – 1999 წლის 5 მაისს დააბრუნა, ხოლო გამსესხებლის მიერ გაცემული საბუთი თანხის დაბრუნების შესახებ კი დაკარგა.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №64

ინდივიდუალურმა მეწარმემ – ნიკოლაძემ თხოვნით მიმართა შპს „აგურს“, რომელსაც ჰქონდა აგურის დიდი პარტია, ესესხებინა მისთვის რამდენიმე თვით ოცი ათასი ცალი აგური. ხელშეკრულების პირობების მიხედვით, აგურის ტრანსპორტირება უნდა მომხდარიყო მსესხებლის ხარჯზე. ხელშეკრულების დადებიდან ექვსი თვის გასვლის შემდეგ გამსესხებელმა მსესხებელს მოსთხოვა აგურის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება, რაზედაც მსესხებელმა უპასუხა, რომ იგი აგურს მხოლოდ ორი თვის შემდეგ დააბრუნებდა.

გამსესხებელმა, რომელსაც თვითონ დასჭირდა აგური სარეწველო კომპლექსის მშენებლობის დასამთავრებლად, მსესხებლისაგან უარის მიღების შემდეგ სარჩელით მიმართა სასამართლოს

და მოითხოვა გასესხებული აგურის დაუყოვნებლივ უკან დაბრუნება და ნასესხი ქონების სარგებლობისათვის კანონით დადგენილი პროცენტის გადახდა.

ინდივიდუალურმა მეწარმე ნიკოლაძემ გამსესხებლის მოთხოვნა არ ცნო შემდეგი გარემოებების გამო: ა) სესხის ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული სესხად აღებული ქონების უკან დაბრუნების კონკრეტული თარიღი, ამიტომაც მას უფლება აქვს თვითონ გადაწყვიტოს, თუ როდის დააბრუნებს სესხად აღებულ ქონებას; ბ) სესხის ხელშეკრულება უნდა ჩაითვალოს უსასყიდლოდ, რამეთუ მასში არაფერია მითითებული პროცენტის შესახებ.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №65

შპს „მშენებელსა“ და კომერციულ ბანკს შორის დადებული სესხის ხელშეკრულებით, კომერციული ბანკი „მშენებელს“ 12 თვის ვადით სესხად გადასცემდა 50000 ლარს სახლის მშენებლობისათვის. ხელშეკრულების მიხედვით მსესხებელს უნდა გადაეხადა პროცენტი ყოველთვიურად, თუმცა კი მსესხებელმა თანხის უქონლობის მოტივით ვერ შეძლო პირველი ორი თვეს პროცენტის გადახდა. გამსესხებელმა მსესხებელი გააფრთხილა, რომ მესამე თვეს გადაეხადა სამი თვის პროცენტი, რაზედაც მსესხებელმა თანხმობა განაცხადა.

მსესხებელმა ვერც სამი თვის შემდეგ შეძლო პროცენტის გადახდა. გამსესხებელმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა მსესხებლისაგან ნასესხი თანხის ვადამდე დაბრუნება, თორმეტი თვის პროცენტის ერთდროულად გადახდა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება მიუღებელი შემოსავლისათვის.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №66

ო. მიქაძემ დ. მაჭავარიანისაგან სამი წლის ვადით აიღო პროცენტიანი სესხი კომბაინის შესაძენად. ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ, მსესხებელი მოულოდნელად გარდაიცვალა უბედური შემთხვევის შედეგად. გამსესხებელმა მიმართა მსესხებლის მემკვიდრეებს გარდაცვლილი მამკვიდრებლის მიერ სესხად აღებული თანხის ვადამდე უკან დაბრუნების მოთხოვნით. მსესხებლის მემკვიდრეებმა უარი განაცხადეს გამსესხებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე იმ მოტივით, რომ სესხის უკან დაბრუნების ვადა ჯერ არ იყო დამდგარი.

როგორ გადავწყვიტოთ დავა?

კაზუსი №67

1998 წლის 10 აპრილს პეტრე წიქორიძემ და გია თვალაძემ დადეს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, პეტრე გიას გადასცემდა საკუთრებად საცხოვრებელ სახლს, ხოლო გია კი კისრულობდა ვალდებულებას ერჩინა პეტრე სიცოცხლის ბოლომდე და უზრუნველეყო იგი სათანადო კვებით, მოვლითა და წამლებით.

1998 წლის 20 აგვისტოს პეტრე რამდენიმე დღით სტუმრად გაემგზავრა მეგობართან სხვა ქალაქში. უკან დაბრუნებისას პეტრემ აღმოაჩინა, რომ მეხის ჩამოვარდნის შედეგად გაჩენილმა ხანძარმა რამდენიმე სახლთან ერთად დაწვა პეტრეს სახლიც, რომელიც გამოუსადეგარი გახდა საცხოვრებლად და მის შეკეთებას სჭირდებოდა დიდი რაოდენობის ფულადი სახსრები. გია თვალაძემ ამ ამბის შეტყობინებისთანავე მოითხოვა სამისდღეშიო ხელშეკრულების შეწყვეტა და უარი განაცხადა პეტრესთვის სარჩოს გადახდაზე, რამეთუ სახლი საჭიროებს შესაკეთებლად დიდ

ფულად თანხას, რომელიც მას არ გააჩნია და ამიტომაც იგი უარს ამბობს სახელზეც და სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებაზეც.

მართლზომიერია თუ არა მარჩენალის მოთხოვნა? შეწყდება თუ არა რჩენის ხელშეკრულება?

კაზუსი №68

1998 წლის ნოემბრის თვეში დ. ნემსაძემ და ა. გედენიძემ დადეს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება, რომლითაც გედენიძე ნემსაძეს საკუთრებად გადასცემდა საცხოვრებელ სახლსა და ავტომანქანას, ხოლო ნემსაძე კი კისრულობდა ვალდებულებას, მატერიალურად ერჩინა გედენიძე სიცოცხლის ბოლომდე. ხელშეკრულება გაფორმდა კანონის მოთხოვანთა დაცვით. 1999 წლის იანვარში ნემსაძე ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად მოულოდნელად გარდაიცვალა, ხოლო 1999 წლის ნოემბერში კი გარდაიცვალა ა. გედენიძე. 2000 წლის თებერვალში სანოტარო ბიუროს სამკვიდრო მოწმობის მისაღებად განცხადებით მიმართეს მარჩენალის – ნემსაძის მეუღლემ და სარჩენის – ა. გედენიძის შვილმა. მარჩენალის მეუღლე ამტკიცებდა, რომ ქმრის გარდაცვალების შემდეგ იგი არჩენდა სარჩენს სიცოცხლის ბოლომდე და ამიტომაც იგი წარმოადგენს მემკვიდრეს გარდაცვლილი სარჩენის საცხოვრებელ სახლსა და ავტომანქანაზე. სარჩენის შვილი კი ამტკიცებდა, რომ მარჩენალის გარდაცვალების გამო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეწყდა და ამიტომაც იგი, როგორც ერთადერთი პირველი რიგის კანონიერი მემკვიდრე წარმოადგენს გარდაცვლილი მშობლის ქონების მემკვიდრეს. ნოტარიუსმა უარი განაცხადა სამკვიდრო მოწმობის გაცემაზე და განმცხადებლებს განუმარტა, რომ დავის გადასაწყვეტად მიემართათ სასამართლოსათვის.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №69

ი. მინდაძემ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ო. ბარაბაძეს უსასყიდლოდ გადასცა საკუთრებაში პრივატიზებული ოთხოთახიანი ბინა. ხელშეკრულების მიხედვით მინდაძეს უნდა ეცხოვრა ცალკე, ერთ-ერთ იზოლირებულ ოთახში, გარდა ამისა, მარჩენალს უნდა უზრუნველეყო იგი კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. ხელშეკრულება გაფორმებულ იქნა კანონით დადგენილი წესით. ხელშეკრულების დადების შემდეგ ო. ბარაბაძემ ი. მინდაძის თანხმობის გარეშე ორი ოთახი გააქირავა სტუდენტებზე და იღებდა მათგან დადგენილ ქირას. ორი წლის შემდეგ ბინაში კედლები და ჭერი გაშავდა, იატაკი გაუფერულდა და ზოგ ადგილას ამოიყარა. ი. მინდაძემ მოსთხოვა ო. ბარაბაძეს ბინის რემონტის ჩატარება, რაზედაც ამ უკანასკნელმა უარი განაცხადა. სარჩენმა მიმართა სარჩელით სასამართლოს და მოითხოვა მარჩენალისაგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა, მიყენებული ზიანის ანაზღაურება და გადაცემული საცხოვრებელი ბინის უკან დაბრუნება.

რა გადაწყვეტილებას მიიღებს სასამართლო?

კაზუსი №70

ი. ნატროშვილმა მოხუც ცოლ-ქმართან — ა. და ი. გიორგაძეებთან დადო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით, გიორგაძეები მათ თანასაკუთრებაში არსებულ ორსართულიან საცხოვრებელ სახლს საკუთრებაში გადასცემდნენ ი. ნატროშვილს, ხოლო ნატროშვილი კი კისრულობდა ვალდებულებას, სიცოცხლის ბოლომდე ერჩინა გიორგაძეები და უზრუნველეყო ისინი ბინით, კვებით, მოვლითა და სხვა აუცილებელი დახმარებით, ასევე გაეღო მათი დაკრძალვის ხარჯები. ხელშეკრულების

დადებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ ი. გიორგაძე ავად გახდა და საჭირო გახდა მისთვის ოპერაციის გაკეთება. ა. გიორგაძემ მოსთხოვა მარჩენალს ი. გიორგაძის საავადმყოფოში წაყვანა და ოპერაციის გასაკეთებლად საჭირო ფულადი თანხის გადახდა, რაზეც მარჩენალმა უარი განაცხადა. რამდენიმე დღის გავლის შემდეგ ი. გიორგაძე გარდაიცვალა და მისი დაკრძალვის ხარჯები გაიღო მარჩენალმა. მეუღლის დაკრძალვის შემდეგ ა. გიორგაძემ მოსთხოვა ი. ნატროშვილს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა.

შეწყდება თუ არა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება მოცემულ შემთხვევაში?

კაზუსი №71

ნ. თელიამ ი. ნიკურაძესთან დადო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება. ხელშეკრულების მიხედვით თელია ნიკურაძეს საკუთრებაში გადასცემდა თავის საცხოვრებელ სახლს, ხოლო ნიკურაძე კი კისრულობდა ვალდებულებას, ერჩინა თელია სიცოცხლის ბოლომდე და უზრუნველეყო იგი გადაცემულ სახლში იზოლირებულ ოთახში ცხოვრებით, კვებითა და სხვა აუცილებელი დახმარებით. ხელშეკრულების დადებიდან ერთი წლის შემდეგ კომპეტენტური ორგანოს გადაწყვეტილებით, ის მიწის ნაკვეთი, რომელზეც აშენებული იყო ნიკურაძისათვის სახლი, გადაცემულ იქნა სახელმწიფო საჭიროებისამებრ, რამეთუ მასზე გადიოდა ნავთობ მაგისტრალი. ორგანიზაციამ, რომელსაც გადაეცა მიწის ნაკვეთი, ნიკურაძეს, როგორც სახლის მესაკუთრეს, გადაუხადა დასანგრევი სახლის ღირებულების ნახევარი, ხოლო მეორე ნახევრის გადახდა კი ივალდებულა სახლის ფაქტობრივად დანგრევის შემდეგ. ნ. თელიამ. ჩათვალა რა, რომ სახლის დანგრევის გამო სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება შეწყდებოდა, სარჩელით

მიმართა სასამართლოს და მოითხოვა, რომ ნიკურაძეს მისთვის აეშენებინა სახლი და გადაეცა ის თანხა, რომელიც მან მიიღო იმ ორგანიზაციისაგან, ვისაც გადაეცა მიწის ნაკვეთი. ამასთან ერთად, ნ. თელიამ თანხმობა განაცხადა გადაეხადა ნიკურაძისათვის ის ხარჯები, რომელიც ნიკურაძემ გასწია ერთი წლის განმავლობაში სარჩენის შესანახად. ი. ნიკურაძე არ დაეთანხმა ნ. თელიას მოთხოვნას იმ მოტივით, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა არ არის გამოწვეული მისი ბრალით და შესთავაზა თელიას ცვლილებები შეეტანათ მათ მიერ ადრე დადებულ ხელშეკრულებაში იმის შესახებ, რომ იგი ვალდებულებას კისრულობდა, გადაეცა მოსარჩელისათვის სამისდღეშიო სარგებლობის უფლებით ერთი ოთახი იმ სამოთახიანი ბინიდან, რომელიც მისთვის უნდა გადაეცათ დანგრეული სახლის სანაცვლოდ და უზრუნველეყო სიცოცხლის ბოლომდე მისი მოვლა, კვება და გაეწია სხვა აუცილებელი დახმარება. მოსარჩელე არ დაეთანხმა მოპასუხის მიერ შეთავაზებულ პირობებს და მოითხოვა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა იმ მოტივით, რომ სახელმწიფო საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთის ამოღების გამო, მასზე განლაგებული საცხოვრებელი სახლის დანგრევა არ წარმოადგენდა სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველს, რამეთუ ხელშეკრულების შეწყვეტის ასეთი საფუძველი მოქმედი სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული არ არის. ნ. თელიამ სასამართლოს გადაწყვეტილება ჩათვალა დაუსაბუთებლად და გაასაჩივრა ზემდგომ სასამართლოში.

როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს ზემდგომი სასამართლო?

ტესტები

1. შპს „მერიდიანმა“, სამხრაძესთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელითაც შპს „მერიდიანი“, სამხარაძეს, საკუთრების უფლებით გადასცემდა 5 ცალ უნიკალურ, ძველებურ ხალიჩას. მხარეებმა ხელშეკრულება დადეს წერილობით, 2001 წლის 19 ოქტომბერს. ხელშეკრულებით განისაზღვრა ნასყიდობის ფასი – 1200 ლარის ოდენობით. სამხრაძემ ფასი გადაიხადა ხელშეკრულების დადებისთანავე, რაზეც ასევე შედგა თანხის მიღების ხელწერილი. სამხრაძეს, ხელშეკრულების დადების დღეს, ნივთები არ გადასცემია. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხარაძე ხალიჩებს გაიტანდა, თავისი სატრანსპორტო საშუალებებით 5 დღის შემდეგ – 2001 წლის 24 ოქტომბერს. მაგრამ 22 ოქტომბრის ღამეს, იმ საწყობს, რომელშიც შპს „მერიდიანის“ საქონელთან ერთად ინახებოდა შეძენილი ხალიჩები, დაეცა მეხი და გამოწვეული ხანძრის შედეგად, მთლიანად დაიწვა.

ვის ეკისრება ნაყიდი ნივთების შემთხვევითი დაღუპვის რისკი?

ა. ვინაიდან, სამხრაძე ხელშეკრულების ხელმოწერისა და თანხის გადახდის მომენტიდან, გახდა შეძენილი ნივთების მესაკუთრე, შესაბამისად, მას ეკისრება მათი შემთხვევითი დაღუპვის რისკიც.

ბ. სამხარაძეს გაყიდული ნივთები არ გადასცემია და მათი შემთხვევით დაღუპვის რისკი ეკისრება არა მას, არამედ – გამყიდველს.

გ. სამხარაძე ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან, ვალდებული იყო წაეღო შეძენილი ნივთები და შესაბამისად პასუხისმგებლობაც მას ეკისრება.

დ. მყიდველი უფლებამოსილია განადგურებული ნივთების მაგივრად, მოითხოვოს იგივე სახის სხვა ნივთები.

2. მგალობლიშვილმა, თავისი კერძო საკუთრების სახლი მიჰყიდა გაფრინდაშვილს, ხოლო გაყიდული როიალი გაუგზავნა სიამაშვილს

ვინ გადაიხდის სახლის ნასყიდობისა და როიალის გაგზავნის ხარჯებს, გამყიდველი თუ მყიდველი?

ა. მგალობლიშვილი გადაიხდის სახლის გაყიდვის ხარჯებს, ხოლო როიალის შესყიდვის ხარჯებს – სიამაშვილი.

ბ. მგალობლიშვილი არ გადაიხდის სახლის გაყიდვის ხარჯებს და არც როიალის გაყიდვის ხარჯებს.

გ. გაფრინდაშვილი გადაიხდის სახლის შესყიდვის ხარჯებს, ხოლო სიამაშვილი როიალის გაგზავნის ხარჯებს.

დ. გაფრინდაშვილი არ გადაიხდის სახლის გაყიდვის ხარჯებს და სიამაშვილი არ გადაიხდის როიალის გაყიდვის ხარჯებს.

3. შემდგომი მოგების მიღების მიზნით, ინდ. მეწარმის მიერ ნაყიდი იქნა პროდუქცია. მისი შემოწმების შესაძლებლობა მყიდველს გამყიდველთანვე ჰქონდა. მიუხედავად აღნიშნულისა, ინდ. მეწარმის მიერ შეძენილი საქონელი შემოწმებულ იქნა ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან და შეძენილი პროდუქციის მიღებიდან 2 კვირის გასვლის შემდეგ. განხორციელებული შემოწმების შედეგად, აღმოჩენილ იქნა ნაყიდი პროდუქციის ნაკლოვანებანი, რის თაობაზეც ეცნობა გამყიდველს და წარედგინა პრეტენზია ნაკლის გამოსწორების მოთხოვნით.

კანონიერია თუ არა ინდ. მეწარმის მოთხოვნა?

ა.არა, ვინაიდან მყიდველი არის მეწარმე, ის ვალდებული იყო დაუყოვნებლივ შეემოწმებინა ნივთი, რაც მის მიერ არ იქნა შესრულებული და შესაბამისად გაუშვა გამყიდველისათვის პრეტენზიის წარდგენის ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მყიდველისათვის ნაკლის არსებობა. აღნიშნულის გამო კი მეწარმეს ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

ბ. დიახ, კანონი არ ავალდებულებს მყიდველს ნივთის ყიდვისას დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთის ხარისხი და შესაბამისად, ნაკლის აღმოჩენის გამო, მყიდველს უფლება აქვს რეკლამაციით მიმართოს გამყიდველს.

გ. დიახ, კანონი არ საზღვრავს ნივთის ვარგისიანობის თაო-

ბაზე პრეტენზიის წარდგენის ვადას და შესაბამისად ინდ. მეწარმის მოთხოვნა კანონიერია.

დ. არა, ინდ. მეწარმეს ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება წაერთვა, რადგან მეწარმე ვალდებული იყო, შეძენილი პროდუქცია დაეთვალიერებია დანიშნულების ადგილზე მიტანისთანავე და აღმოჩენილი ნაკლის გამო, მყიდველისათვის პრეტენზიით მიემართა შესაბამის გონივრულ ვადაში.

4. მარშანიასა და თოლორაიას შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც მარშანიას ჰქონდა მის მიერ გაყიდული სახლის გამოსყიდვის უფლება, თოლორაიას სახელზე სახლის საჯარო რეესტრში აღრიცხვიდან 4 წლის მანძილზე. აღნიშნულის მიუხედავად, თოლორაიამ მარშანიასაგან ნაყიდი სახლი, სახლის მის საკუთრებაში გადასვლიდან 3 წლის შემდეგ, მიყიდა ხეცურიანს. მარშანიამ მიმართა სასამართლოს სარჩელით და მოითხოვა თოლორაიასა და ხეცურიანს შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა და სახლის გამოსყიდვის უფლების აღდგენა.

კანონიერია თუ არა მარშანიას მოთხოვნა?

ა. კანონიერია, რადგან თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია.

ბ. უკანონოა, რადგან თოლორაია, მარშანიასთან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან და სახლის მის სახელზე გადაფორმების შემდეგ, ითვლება სახლის მესაკუთრედ, რაც მას აძლევს შესაძლებლობას, თავისი შეხედულებისამებრ განკარგოს ნაყიდი ნივთი (სახლი).

გ. კანონიერია, რადგან თუ გამყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულებით აქვს გამოსყიდვის უფლება, ამ უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე.

დ. უკანონოა, რადგან გამყიდველის გამოსყიდვის უფლების მიუხედავად, მყიდველი შეუზღუდავია ნაყიდი ნივთის გასხვისებისას.

5. გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამოდენიმე პირს მიჰყიდა, მაგრამ ნივთი არც ერთისათვის არ გადაუცია.

რომელ მყიდველს ენიჭება უპირატესობა?

ა. ვინც მეტ ფასს იხდის.

ბ. ვისაც უფრო სჭირდება ნაყიდი საქონელი.

გ. ვინც ამ საქონელს იყენებს პირადი საჭიროებისათვის.

დ. ვისთანაც ხელშეკრულება უფრო ადრე დაიდო.

6. ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველმა მყიდველს გადასცა მიწის ნაკვეთი და მასზე არსებული უძრავი ქონება. მყიდველმა, გამყიდველისაგან მოითხოვა ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისათვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები. გამყიდველმა უარი განუცხადა. რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მყიდველის სასარჩელო განცხადების მოთხოვნა და გამყიდველს გადაწყვეტილებით დაეკისრა აღნიშნული ხარჯების გადახდა.

კანონიერია, თუ არა სასმართლოს გადაწყვეტილება?

ა. კანონიერია, რადგანაც სამოქალაქო კოდექსის სათანადო მუხლის შესაბამისად აღნიშნული ხარჯები გამყიდველმა უნდა გადაიხადოს.

ბ. უკანონოა, რადგან მიწის ნაკვეთისა და სხვა უძრავი ნივთის მყიდველს ეკისრება, ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმების, საკუთრების უფლების გადაცემის, საჯარო რეესტრში რეგისტრაციისა და ამისთვის აუცილებელი საბუთების წარდგენის ხარჯები.

გ. მოქმედი სამოქალაქო კოდექსი, აღნიშნულ ურთიერთობას არ აწესრიგებს. ამიტომ მოსამართლემ, კანონის ანალოგიის გამოყენებით, სწორი გადაწყვეტილება გამოიტანა.

დ. აღნიშნული დავა სასამართლოს განსჯადი არ არის.

7. გივი მიზანდარმა მეგობრისაგან შეიძინა საცხოვრებელი სახლი და 500 მ. მიწის ნაკვეთი, შინაურული ხელწერილით.

მოგვიანებით მან გადაწყვიტა საცხოვრებელი სახლის განხვისება და სათანადო დოკუმენტაციის გასაფორმებლად მიმართა ადვოკატს. ადვოკატმა განუმარტა, რომ გივი მიზანდარი არაა უძრავი ნივთის მესაკუთრე და არა აქვს უფლებამოსილება გაასხვისოს იგი.

კანონიერია თუ არა ადვოკატის კონსულტაცია?

ა. კანონიერია, ვინაიდან უძრავი ნივთის შესაძენად, აუცილებელია გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

ბ. კანონიერია, ვინაიდან უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია გარიგების სანოტარო წესით დამოწმება და შემძენის რეგისტრაცია საჯარო რეესტრში.

გ. არ არის კანონიერი, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საფუძველი, შეიძლება შინაურული ხელწერილი იყოს.

დ. არ არის კანონიერი, ვინაიდან უძრავ ნივთზე საკუთრების შეძენის საკმარისი საფუძველია მისი ფლობა.

8. ბიაძემ გაასხვისა ნივთი გამოსყიდვის უფლებით, რომლის ვადა განისაზღვრა 7 წლით. ვადის დადგომისას გამყიდველმა მოითხოვა ნივთის გამოსყიდვა, რაზეც უარი მიიღო.

კანონიერია თუ არა მყიდველის უარი?

ა. არა, რადგან გამოსყიდვის ვადა არ აღემატება 10 წელს.

ბ. არა, რადგან გამოსყიდვის ვადა არ აღემატება 7 წელს.

გ. დიახ, რადგან გამოსყიდვის უფლების ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

დ. დიახ, რადგან გამოსყიდვის ვადა აღემატება 5 წელს.

9. სს «თავთავმა» შპს «წისქვილკომბინატს» 20 ტონა ხორბლის ნაცვლად მიაწოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ხარისხის 30 ტონა ხორბალი. მყიდველმა მოითხოვა ხელშეკრულებიდან გასვლა, რადგან მოვალემ არ მიაწოდა იმ რაოდენობის ნივთი, რაც ვალდებულებით იყო გათვალისწინებული.

კანონიერია თუ არა მყიდველის მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან ნივთის ნაკლს უთანაბრდება თუ გამყიდ-

ველი მეორე მხარეს გადასცემს არა იმ რაოდენობის ნივთს, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული.

ბ. დიახ, რადგან თუ ხელშეკრულების საგანია გვაროვნული ნივთი, მყიდველს უფლება აქვს ნივთის მიღებისთანავე უარი თქვას ხელშეკრულებაზე.

გ. არა, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლას კანონი არ ითვალისწინებს.

დ. არა, რადგან თუ საქონლის რაოდენობა აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულს, მაშინ მყიდველს შეუძლია მიიღოს ეს რაოდენობა და მოვალეა გადაიხადოს სახელშეკრულებო ფასის პროპორციულად, ან მიიღოს მხოლოდ ის რაოდენობა, რაც ხელშეკრულებითაა გათვალისწინებული, ხოლო ზედმეტი დააბრუნოს უკანვე, გამყიდველის ხარჯზე.

10. შპს «ფერმერმა» სს «ნობათს» მიჰყიდა 50 ტონა კარტოფილი და 10 ტონა კომბოსტო. ხელშეკრულებით შესრულების ადგილი არ ყოფილა განსაზღვრული და არც ვალდებულების არსიდან გამომდინარეობდა.

სად უნდა მოხდეს ნასყიდობის საგნის მიწოდება?

ა. სს «ნობათის» ადგილმდებარეობის მიხედვით.

ბ. პროდუქციის ადგილსამყოფელის მიხედვით.

გ. შპს «ფერმერის» იურიდიული მისამართის მიხედვით.

დ. იმ ადგილას, სადაც პროდუქცია ვალდებულების წარმოშობის მომენტისათვის იმყოფებოდა.

11. დურგალმა წითელაძემ მის მიერ დამზადებული მუხის მაგიდა 2001 წლის 22 ოქტომბერს 500 ლარად მიჰყიდა კაპანაძეს. ნივთის გადაცემა მყიდველისათვის უნდა მომხდარიყო 30 ოქტომბერს. მანამდე, 25 ოქტომბერს წითელაძემ იგივე ნივთი წერეთელს მიჰყიდა და მაგიდა გადასცა. კაპანაძემ მოითხოვა ნივთის მისთვის გადაცემა.

კანონიერია თუ არა მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან კაპანაძემ პირველმა დადო ნასყიდობის

ხელშეკრულება დურგალთან.

ბ. დიახ, რადგან კაპანაძემ სყიდვის ფასი პირველმა გადაიხადა.

გ. არა, რადგან ნივთის გადაცემამდე დურგალი ითვლება ამ ნივთის მესაკუთრედ და შეუძლია თავისუფლად განკარგოს ის.

დ. არა, რადგან თუ გამყიდველმა ერთი და იგივე საქონელი რამდენიმე პირს მიჰყიდა, უპირატესობა ეძლევა იმ მყიდველს, რომლის მფლობელობაშიც პირველად გადავიდა იგი.

12. ივანიძემ ბაკურიძესთან დადო ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის ერთ-ერთი დებულებით გაითვალისწინეს, რომ მყიდველი გადაიხდიდა პროდუქციის ყოველი პარტიის გადაცემის მომენტისათვის საბითუმო ბაზარზე დადგენილ ფასს.

კანონიერია თუ არა მხარეთა ასეთი შეთანხმება?

ა. არა, რადგან ფასი ნასყიდობის ხელშეკრულების ერთ-ერთი არსებითი პირობაა.

ბ. არა, რადგან ხელშეკრულება მსგავსი პირობით ბათილია.

გ. დიახ, რადგან მხარეებს ავტონომიური ნების საფუძველზე შეუძლიათ შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

დ. დიახ, რადგან თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არ არის მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.

13. სს «წისქვილკომბინატმა» შპს «თბილპურს» მიაწოდა 30 ტონა დაბალი ხარისხის ფქვილი, ვიდრე ეს ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. ნივთის ნაკლის გამო მყიდველმა გადაწყვიტა ხელშეკრულებიდან გასვლა და პროდუქციის უკან დაბრუნება, რის თაობაზეც შეატყობინა სს «წისქვილკომბინატს». სააქციო საზოგადოებამ ერთი თვის შემდეგ მოინდომა პროდუქციის საწყობიდან გატანა შენახვის ხარჯების ანაზღაურების გარეშე. ამას წინ აღუდგა შპს «თბილპური» და კონტრაჰენტს მისცა დამატებით ერთი თვის ვადა გადაეხადა შენახვის ხარჯები. ვადის უშედეგოდ

გასვლის შემდეგ შპს «თბილპურმა» რეალიზაცია გაუკეთა ფქვილს და ამის შესახებ აცნობა მეორე მხარეს.

კანონიერია თუ არა შპს «თბილპურის» ქმედება?

ა. არა, რადგან მყიდველი ვალდებულია ნივთის ნაკლის გამო ხელშეკრულებიდან გასვლისას უკან დააბრუნოს ნასყიდობის საგანი.

ბ. არა, რადგან ხელშეკრულებიდან გასვლისას მყიდველი არ არის პროდუქციის მესაკუთრე.

გ. დიახ, რადგან ნივთის ნაკლის გამო ხელშეკრულებიდან გასვლისას მყიდველს ყოველთვის აქვს უფლება გაყიდოს ნივთი და ნავაჭრიდან დაიტოვოს თანხა, რომელიც შეესაბამება ნივთის შენახვისა და გაყიდვის ხარჯებს.

დ. დიახ, რადგან თუ მყიდველს მართლზომიერად სურს ნივთის უკან დაბრუნება მას შეუძლია გაყიდოს ეს ნივთი სათანადო წესების დაცვით, როცა მეორე მხარე აყოვნებს ნივთის მიღებას ან შენახვის ხარჯების ანაზღაურებას. ამის შესახებ მან უნდა აცნობოს მეორე მხარეს.

14. ნიშნიანიძემ თავისი ავტომანქანა მიჰყიდა რომანაძეს. ნასყიდობის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე გამყიდველს სამი წლის განმავლობაში ეძლეოდა ნივთის გამოსყიდვის უფლება. დათქმული ვადის გასვლის შემდეგ მყიდველმა მოსთხოვა ნიშნიანიძეს ავტომანქანის უკან დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო.

კანონიერია თუ არა ნიშნიანიძის უარი?

ა. არა, რადგან ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე ის ვალდებული იყო გამოესყიდა ნივთი.

ბ. არა, რადგან სამი წლის განმავლობაში მოძრავი ნივთის მყიდველს უფლება აქვს დააბრუნოს სყიდვის საგანი.

გ. დიახ, რადგან გამოსყიდვის ვადა არ აღემატება 6 წელს.

დ. დიახ, რადგან გამოსყიდვის უფლების განხორციელება დამოკიდებულია გამყიდველის ნებაზე.

15. ცაკიძემ გამოსყიდვის უფლებით, რომლის ვადად განისაზღვრა 4 წელი, ცეცხლაძეზე გაასხვისა «ფორდის» მარკის მიკროავტობუსი. სამი წლის შემდეგ ცეცხლაძემ მიკროავტობუსი გაასხვისა ქარცივაძეზე.

გამოსყიდვის ვადის დადგომისას ცაკიძემ მოითხოვა ნივთის მასზედ გადაცემა შესაბამისი ფასის გადახდით, ქარცივაძემ უარი განაცხადა.

კანონიერია თუ არა ქარცივაძის უარი?

ა. დიახ, რადგან ის ნივთის კეთილსინდისიერი შემძენია.

ბ. დიახ, რადგან სამი წლის გასვლის შემდეგ ცეცხლაძეს უფლება აქვს გაასხვისოს ნივთი.

გ. არა, რადგან თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, გამყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ვალდებულების შეწყვეტა ხელშეკრულებიდან გასვლით.

დ. არა, რადგან თუ მყიდველმა გამოსყიდვის უფლების განხორციელებამდე გაასხვისა ნაყიდი ნივთი, ასეთი გასხვისება ბათილია.

16. წილოსანი 10 წლის განმავლობაში ოჯახთან ერთად დამქირავებლის უფლებით ცხოვრობს წულუკიძის სამოთახიან ბინაში. ქირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული იყო დამქირავებლის მხრიდან ბინის უპირატესი შესყიდვის უფლება. მესაკუთრემ უძრავი ნივთი გაასხვისა ფერაძეზე იმ პირობით, რომ, მას უფლება რჩება უარი თქვას ნასყიდობის ხელშეკრულებაზე, თუკი წილოსანის მხრიდან გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება.

კანონიერია თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება?

ა. დიახ, რადგან 10 წლის გასვლის შემდეგ დამქირავებლის უპირატესი შესყიდვის უფლება ძალას კარგავს.

ბ. დიახ, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულება დათქმული პირობის გარეშეც კანონიერია.

გ. არა, წულუკიძესა და ფერაძეს შორის არსებული შეთანხმება

ბათილია, რადგან ამ შეთანხმებით ვალდებულ პირს (წულუკიძე) უფლება აქვს უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუკი გამოყენებული იქნება უპირატესი შესყიდვის უფლება.

დ. არა, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების დადება რაიმე პირობით კანონით აკრძალულია.

17. გუთნაიშვილმა შეიძინა ავტომანქანა «ოპელი» იმ პირობით, რომ თუ 3 თვის ვადაში ნივთს არ დაიწუნებდა, ხელშეკრულება ძალაში დარჩებოდა. 2 თვის შემდეგ გუთნიაშვილს ავტომანქანა არ მოეწონა და მოინდომა გამყიდველისათვის მისი დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო.

კანონიერია თუ არა გამყიდველის უარი?

ა. არა, რადგან მყიდველს ერთი წლის განმავლობაში შეუძლია დაწუნების შემთხვევაში მოძრავი ნივთი დაუბრუნოს გამყიდველს.

ბ. არა, რადგან დაწუნების შემთხვევაში მხარეები მოვალენი არიან დაუბრუნონ ერთმანეთს ის, რაც ხელშეკრულებით მიიღეს.

გ. დიახ, რადგან ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების დადება მოწონების პირობით დაუშვებელია.

დ. დიახ, რადგან მოძრავ ნივთზე ხელშეკრულების დადება მოწონების პირობით დაუშვებელია.

18. ცხომელიძემ თავისი ავტომობილი «ფორდი» გაუცვალა 10 ტონა ფქვილში შპს «წისქვილკომბინატს». ფქვილი უხარისხო გამოდგა და ცხომელიძემ მოითხოვა ნივთის შეცვლა, რაც მცირე ხარვეზებთან იყო დაკავშირებული. მოვალემ უარი განაცხადა.

კანონიერია თუ არა შპს «წისქვილკომბინატის» უარი?

ა. დიახ, რადგან გაცვლის ხელშეკრულებით ნივთის შეცვლის შესაძლებლობა არ ყოფილა შეთანხმებული.

ბ. დიახ, რადგან გაცვლის ხელშეკრულების ინსტიტუტი ნივთის შეცვლის შესაძლებლობას არ ცნობს.

გ. არა, რადგან ინდივიდუალური ნივთის მესაკუთრეს ყოვ-

ელთვის შეუძლია გაცვლის ხელშეკრულებით მეორე მხარეს მოსთხოვოს გვაროვნული ნივთის შეცვლა.

დ. არა, რადგან გაცვლის ხელშეკრულების მიმართ გამოიყენება ნასყიდობის შესაბამისი წესები, ხოლო ამ წესების თანახმად თუ გაყიდული გვაროვნული ნივთი ნაკლის მქონეა, გამყიდველმა ეს ნივთი უნდა შეცვალოს.

19. პროფესორმა ცირეკიძემ გაუცვალა 3000 ლარად ღირებული საგვარეულო ყელსაბამი ვაჭარაძეს XIX საუკუნეში გამოცემულ «ვეფხისტყაოსანში», რომელიც შეფასდა 4500 ლარად. სხვაობა ფასში ცირეკიძემ მეორე მხარეს ფულით გადაუხადა. მოგვიანებით ვაჭარაძემ მოითხოვა ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან არატოლფასოვანი ნივთების გაცვლას კანონი კრძალავს.

კანონიერია თუ არა ვაჭარაძის მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან არატოლფასოვანი ნივთების გაცვლა დაუშვებელია.

ბ. დიახ, რადგან მოძრავი ნივთების გაცვლა დაუშვებელია.

გ. არა, რადგან ხელშეკრულების ბათილად ცნობას კანონი არ იცნობს.

დ. არა, რადგან თუ გაცვლისას ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით.

20. გამყიდველმა მყიდველისათვის ნაყიდი ნივთის გადაცემაზე უარი განაცხადა იმის გამო, რომ მყიდველმა არ გადაიხადა ნივთის აწონვისა და შეფუთვის ხარჯები. მყიდველმა უარი განაცხადა აღნიშნული ხარჯების გადახდაზე. რადგან მისი გადახდა ევალება გამყიდველს, ხოლო მათ შორის ხარჯებთან დაკავშირებული სხვა შეთანხმება არ ყოფილა.

კანონიერია თუ არა მყიდველის ქმედება?

ა. არის, ვინაიდან გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ: აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ეკისრება გამყიდველს.

ბ. არის, ვინაიდან გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯები, ეკისრება მხოლოდ გამყიდველს და არ შეიძლება დაეკისროს მყიდველს.

გ. არ არის, ვინაიდან გაყიდული ნივთის გადაცემასთან დაკავშირებული ხარჯები, კერძოდ: აწონის, გაზომვისა და შეფუთვის ხარჯები, ეკისრება მყიდველს.

დ. არ არის, ვინაიდან მყიდველი გახდა მესაკუთრე და გაყიდულ ნივთთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, უნდა გაიღოს მესაკუთრემ.

21. გამოსყიდვის უფლების განხორციელებისას (თავდაპირველმა მესაკუთრემ), გამყიდველმა უარი განაცხადა მყიდველისათვის იმ თანხის გადახდაზე, რომლითაც გაიზარდა ნაყიდი ნივთის საბაზრო ღირებულება, მის გამოსყიდვამდე.

კანონიერია თუ არა გამყიდველის უარი?

ა. არის, ვინაიდან ნივთის გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით, რის გამოც მყიდველი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ნაყიდი ნივთის გაზრდილი საბაზრო ღირებულება.

ბ. არის, ვინაიდან მყიდველს არა აქვს უფლება, გამყიდველისაგან მოითხოვოს ნივთის გაზრდილი ღირებულება.

გ. არ არის, ვინაიდან გამოსყიდვა ხდება თავდაპირველი ფასით, ამასთან მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხა, რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება, გამოსყიდვის მომენტამდე, სასარგებლო დანახარჯების შედეგად.

დ. არ არის, ვინაიდან მყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს ის თანხა რომლითაც გაიზარდა საქონლის ღირებულება გამოსყიდვის მომენტამდე, გამყიდველის თანხმობით.

22. გამყიდველის მოთხოვნა ნივთის გამოსყიდვის შესახებ, მყიდველმა არ დააკმაყოფილა იმ მოტივით, რომ ნივთის გამოსყიდვის უფლებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების დადებიდან, უკვე გასულია 5 წელი, რის გამოც გამყიდველს აღარ აქვს გამოსყიდვის უფლება.

კანონიერია თუ არა მყიდველის ქმედება?

ა. არის, ვინაიდან გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს, ამ ვადის გაგრძელება შეუძლებელია.

ბ. არის, ვინაიდან გამოსყიდვის ვადა არ შეიძლება აღემატებოდეს ხუთ წელს, თუ მხარეთა შორის სხვა შეთანხმება არ არის.

გ. არ არის, ვინაიდან გამოსყიდვის უფლებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, არ შეიძლება ითვალისწინებდეს გამოსყიდვის ვადის მაქსიმუმს.

დ. არ არის, ვინაიდან კანონი ხანდაზმულობის საერთო ვადას განსაზღვრავს 10 წლით.

23. გაცვლის ხელშეკრულების მხარეებს, ნოტარიუსმა უარი განუცხადა სანოტარო მოქმედების შესრულებაზე, იმ მოტივით, რომ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია.

კანონიერია თუ არა ნოტარიუსის ქმედება?

ა. არის, ვინაიდან არატოლფასოვანი ქონების გაცვლა კანონით დაუშვებელია.

ბ. არის, ვინაიდან არატოლფასოვანი ქონების გაცვლა დაუშვებელია, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

გ. არ არის, ვინაიდან თუ გასაცვლელი ქონება არატოლფასოვანია, მხარეთა შეთანხმებით, ქონების ნაწილი შეიძლება ანაზღაურდეს ფულით.

დ. არ არის, ვინაიდან არატოლფასოვანი ქონების გაცვლა დაშვებულია, დამატებითი თანხის ანაზღაურების გარეშეც.

24. ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ მყიდველმა გამყიდველს ნივთის ფასი უნდა გადაუხადოს, გადახდის მომენტისათვის ბაზარზე დამკვიდრებული ფასის მიხედვით.

ნამდვილია თუ არა მხარეთა შეთანხმება ნასყიდობის ფასის განსაზღვრის თაობაზე?

ა. არა, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ უნდა იქნეს მითითებული.

ბ. არა, რადგან მხარეები არ შეიძლება შეთანხმდნენ ხელშეკრულების ფასის განსაზღვრის საშუალებაზე.

გ. დიახ, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულება სასყიდლიანია.

დ. დიახ, რადგან თუ ხელშეკრულებაში ფასი პირდაპირ არაა მითითებული, მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ მისი განსაზღვრის საშუალებებზე.

25. შპს «კოლხმა» იყიდა სატვირთო ავტომანქანა, რომელიც ტექნიკურ დათვალიერებაზე შესამოწმებლად გაატარა შეძენიდან ექვსი თვის შემდეგ. ავტომანქანას აღმოაჩნდა ნაკლი, რის გამოც მან პრეტენზია წაუყენა გამყიდველს, მაგრამ გამყიდველმა უარი განუცხადა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, რადგან მეწარმის პრეტენზია დაგვიანებული იყო.

შპს «კოლხს» აქვს თუ არა მოთხოვნის უფლება ნაყიდი ნივთის ნაკლის გამო გამყიდველის მიმართ?

ა. დიახ, რადგან გამყიდველმა გადასცა ნივთობრივი ნაკლის მქონე ავტომანქანა.

ბ. დიახ, რადგან მეწარმემ ავტომანქანის შეძენიდან ერთი წლის განმავლობაში პრეტენზია წარუდგინა გამყიდველს:

გ. არა, რადგან თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამოწმოს ნივთი.

დ. არა, რადგან თუ მყიდველი მეწარმეა, ის ვალდებულია ორი თვის ვადაში შეამოწმოს ნივთი.

26. ნასყიდობის ხელშეკრულებით მხარეები შეთანხმდნენ, რომ გამყიდველის მიერ სატრანსპორტო ორგანიზაციისათვის ნივთის ჩაბარების მომენტიდან, გაყიდული ნივთი ჩაითვლება მყიდველზე გადაცემულად. მხარეები შეთანხმდნენ იმაზეც, რომ გაყიდული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის, ან გაფუჭების რისკი, ეკისრება გამყიდველს იქამდე, სანამ სატრანსპორტო ორგანიზაცია ნივთს უშუალოდ არ ჩააბარებს მყიდველს.

გაყიდული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის, ან გაფუჭების შემთხვევაში, რომელ მხარეს ეკისრება აღნიშნული რისკი?

ა. მყიდველს, რადგან გაყიდული ნივთის გადაცემასთან ერთად, მასზე გადადის ნივთის შემთხვევითი დაღუპვის, ან გაფუჭების რისკი.

ბ. სატრანსპორტო ორგანიზაციას, რადგან გაყიდული ნივთის ჩაბარების მომენტიდან, იგი აგებს პასუხს ნივთის შემთხვევითი დაღუპვის, ან გაფუჭებისათვის.

გ. მყიდველი და გამყიდველი სოლიდარულად კისრულობენ გაყიდული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის, ან გაფუჭების რისკს.

დ. გამყიდველს, რადგან მხარეები, მოცემულ შემთხვევაში სპეციალურად შეთანხმდნენ იმაზე, რომ გაყიდული ნივთის შემთხვევითი დაღუპვის, ან გაფუჭების რისკი ეკისრება გამყიდველს იქამდე, სანამ სატრანსპორტო ორგანიზაცია ნივთს უშუალოდ არ ჩააბარებს მყიდველს.

27. შპს «მარანმა», ყურძნის ნაწილ-ნაწილ მიწოდების ხელშეკრულება გააფორმა, საგარეჯოს რაიონში მცხოვრებ თედო მეზვრიშვილთან. ამ ხელშეკრულებით, თედო მეზვრიშვილს, სექტემბრიდან ნოემბრის შუა რიცხვებამდე, 5 ტონა ყურძენი, ნაწილ-ნაწილ უნდა მიეწოდებინა მყიდველისათვის. მომწოდებელმა, სექტემბრის დასაწყისში, ვერ შეძლო ყურძნის ნაწილის მიწოდება იმის გამო, რომ საგარეჯოს რაიონში ყურძნის მოსავალი განადგურდა. მყიდველს შეექმნა რეალური საშიშროება, რომ გამყიდველი ყურძნის მომავალი მიწოდების ვალდებულებებსაც ვერ შეასრულებდა, ამიტომ მან უარი განუცხადა თედო მეზვრიშვილს მთელ ხელშეკრულებაზე.

სწორია შპს «მარანის» უარი ხელშეკრულებაზე?

ა. არა, რადგან ერთი მხარის მიერ, მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობა, არ აძლევს მეორე მხარეს უფლებას, უარი თქვას მთელ ხელშეკრულებაზე.

ბ. არა, რადგან ხელშეკრულებით თედო მეზვრიშვილს, ყურძნის მიწოდების ბოლო ვადა ჰქონდა ნოემბრის შუა რიცხვებამდე.

გ. დიახ, რადგან ერთი მხარის მიერ მიწოდების მხოლოდ ერთი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, შეიქმნა რეალური

საშიშროება იმისა, რომ მომავალი მიწოდების ვალდებულებებიც არ შესრულდება.

დ. დიახ, რადგან მხარეებს უფლება აქვთ მოითხოვონ, ვადაზე ადრე ხელშეკრულების შეწყვეტა.

28. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა.ჩუქების ვალდებულების წარმოშობისათვის, აუცილებლობას არ წარმოადგენს ჩუქების დაპირების სანოტარო წესით დადასტურება.

ბ.საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული, ან ჩუქების დაპირება გაფორმდა წერილობითი სახით.

გ.საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, მხოლოდ მაშინ, თუ იგი წერილობითაა გაფორმებული.

დ.საჩუქრის დაპირება წარმოშობს ჩუქების ვალდებულებას, მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

29. ჩუქების ხელშეკრულება:

ა. არ შეიძლება გაუქმდეს, რადგანაც დასაჩუქრებული ნაჩუქარის მესაკუთრეა.

ბ. შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს, ან დიდ უმადურობას გამოიჩენს მჩუქებლის, ან მისი ახლო ნათესავის მიმართ.

გ. ზოგადი სამართლიანობის პრინციპიდან გამომდინარე, მჩუქებელს უფლება არა აქვს გააუქმოს ჩუქების ხელშეკრულება და გაჩუქებული ნივთის დაბრუნება მოითხოვოს.

დ. მოქმედი კანონმდებლობა ჩუქების ხელშეკრულების გაუქმებას არ ითვალისწინებს.

30. ვალიკო ვიბლიანი დაპირდა მეზობელს გოგი გვიშიანს (ნათლულს), რომ ნათლისღების დღესასწაულისათვის, ანტიკვარულ კარადას აჩუქებდა. ამასთან გაუფორმა გ.გვიშიანს მარტივი წერილობითი ფორმის ხელწერილი, რომელიც ხელმოწერით მეზობლებმა

დაადასტურეს. ვალიკო ვიბლიანმა არ შეასრულა დანაპირები. გოგი გვიშიანი დაინტერესდა ჰქონდა თუ არა უფლება მოეთხოვა ვ.ვიბლიანისათვის დანაპირების შესრულება. ადვოკატმა გ.გვიშიანს აუხსნა, რომ ვერ მოითხოვდა დანაპირების შესრულებას.

კანონიერია თუ არა ადვოკატის კონსულტაცია?

ა. კანონიერია, ვინაიდან საჩუქრის დაპირება ჩუქების ვალდებულებას, მხოლოდ მაშინ წარმოშობს, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

ბ. კანონიერია, ვინაიდან საჩუქრის დაპირება ჩუქების ვალდებულებას არ წარმოშობს, მიუხედავად მხარეთა შორის შეთანხმების ფორმისა.

გ. არ არის კანონიერი, ვინაიდან საჩუქრის დაპირება ჩუქების ვალდებულებას წარმოშობს, თუ მხარეები ზეპირად შეთანხმდნენ ჩუქების თაობაზე.

დ. არ არის კანონიერი, ვინაიდან საჩუქრის დაპირება ჩუქების ვალდებულებას წარმოშობს, თუ მხარეები წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ.

31. ლამარა ეგაძემ, რძალს, ნანა კალანდიას, აჩუქა ანტიკვარული საათი. ნანა კალანდიამ მძიმე შეურაცხყოფა მიაყენა დედამთილს, საათის ჩუქებიდან 6 თვის შემდეგ, რძლის უმადურობით შეურაცხყოფილმა დედამთილმა სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ჩუქების გაუქმებას და გაჩუქებული ნივთის უკან დაბრუნება.

კანონიერია თუ არა მჩუქებლის მოთხოვნა?

ა. კანონიერია, ვინაიდან თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, ჩუქება კი შეიძლება გაუქმდეს, თუ დასაჩუქრებული მძიმე შეურაცხყოფას მიაყენებს მჩუქებელს.

ბ. კანონიერია, ვინაიდან თუ ჩუქება გაუქმდება, მაშინ გაჩუქებული ქონება შეიძლება გამოთხოვილ იქნეს მჩუქებლის მიერ, ჩუქება კი შეიძლება გაუქმდეს, თუ მჩუქებელი მოინდომებს ნივთის დაბრუნებას.

გ. არ არის კანონიერი, ვინაიდან ახლო ნათესავის ან ოჯახის წევრისაგან ნაჩუქარი ქონების უკან გამოთხოვის შესაძლებლობას, კანონი არ ითვალისწინებს.

დ. არ არის კანონიერი, ვინაიდან გაჩუქებული ქონების უკან გამოთხოვის შესაძლებლობას, კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

32. გელაშვილმა დააპირა კომპიუტერი ეჩუქებინა კეკენაძისათვის. ამ მიზნით მან შეიძინა კომპიუტერი და მიუტანა ბინაში დასაჩუქრებულს. კეკენაძემ უარი განაცხადა ნაჩუქარი ნივთის მიღებაზე. გელაშვილმა ნივთი უკან არ წაიღო.

ჩაითვლება თუ არა ჩუქების ხელშეკრულება დადებულად?

ა. დიახ, რადგან ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საკმარისია მჩუქებლის ნების გამოვლენა.

ბ. დიახ, რადგან მჩუქებელმა ნივთი უკან აღარ წაიღო.

გ. არა, რადგან ჩუქების ხელშეკრულება წერილობით არ ყოფილა დადებული.

დ. არა, რადგან ჩუქების ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა დასაჩუქრებულის თანხმობა.

33. ქართველაძე უმუშევარი იყო და მისი ოჯახის საარსებო წყაროს წარმოადგენდა ოროთახიანი ბინის გაქირავების შედეგად მიღებული ქირა. ქართველაძემ აღნიშნული ბინა დადგენილი წესით აჩუქა გამგებელს, რომელიც მჩუქებელს სამსახურში მოწყობას დაპირდა.

ქართველაძის კმაყოფაზე მყოფმა მეუღლემ სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რადგან ბინის ქირა ოჯახის ერთადერთი საარსებო წყარო იყო.

სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი.

კანონიერია თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება?

ა. დიახ, რადგან მესაკუთრეს შეუძლია თავისუფლად განკარგოს ნივთი.

ბ. დიახ, რადგან მესაკუთრეს შეუძლია სახელშეკრულებო

შებოჭვის ფარგლებში თავისუფლად განკარგოს ნივთი.

გ. არა, რადგან ჩუქების ხელშეკრულებას ადგილი არ ჰქონია, რამდენადაც მჩუქებელი დასაჩუქრებულიდან შემხვედრ სიკეთეს ელოდა.

დ. არა, რადგან პირს უფლება არა აქვს გააჩუქოს ქონება, თუ ქონების გაჩუქება საარსებო წყაროს უსპობს მჩუქებელს ან მის კმაყოფაზე მყოფ პირებს.

34. შპს «მინერალურმა წყლებმა», 10.000 ბოთლი ბორჯომის მინერალური წყალი, საჩუქრად გადასცა მოხუცებულთა სახლში მყოფ პირებს. დასაჩუქრებულმა მოხუცებულთა სახლის დირექტორმა, იმის ნაცვლად, რომ ეს მინერალური წყალი, ამ სახლში მცხოვრები მოხუცებისათვის დაერიგებინა, გარეშე პირებზე დაიწყო გაყიდვა.

მოხუცებულთა სახლის მობინადრეებს, დირექტორის მიმართ აქვთ მინერალური წყლის გადაცემის მოთხოვნის უფლება?

ა. არა, რადგან მოხუცებულთა სახლის დირექტორს საკუთრებაში გადაეცა მინერალური წყალი.

ბ. არა, რადგან მოხუცებულთა სახლის მობინადრეები არ არიან ჩუქების ხელშეკრულების მხარეები.

გ. დიახ, რადგან შპს «მინერალურმა წყლებმა», ბორჯომის წყალი, მოხუცებულთა სახლს გადასცა განსაზღვრული პირობით და ამ პირობის შესრულება შეუძლიათ მოითხოვონ იმ პირებმაც, ვის ინტერესებშიც იგი იქნა დათქმული.

დ. დიახ, რადგან მოხუცებულთა სახლის დირექტორს, მინერალური წყლის რეალიზაციით მიღებული თანხის ნახევარი, მათთვის უნდა გადაეცა.

35. მჩუქებელმა, დასაჩუქრებულის უმადურობის გამო, მოითხოვა ჩუქების გაუქმება და ნაჩუქარი ქონების დაბრუნება. დასაჩუქრებულმა უარი განაცხადა ნაჩუქარი ნივთის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ უმადურობის ფაქტის გამოვლენიდან გასულიყო უკვე 3 წელი.

კანონიერია თუ არა დასაჩუქრებულის უარი?

ა. არის, ვინაიდან ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც მჩუქებელი შეიტყობს იმ გარემოების შესახებ, რომელიც მას ჩუქების გაუქმების უფლებას აძლევს.

ბ. არის, ვინაიდან ჩუქება შეიძლება გაუქმდეს ჩუქების გაუქმების საფუძვლის შეტყობინებიდან, ორი წლის განმავლობაში.

გ. არ არის, ვინაიდან უმადურობა არ არის ჩუქების ხელშეკრულების გაუქმების საფუძველი.

დ. არ არის, ვინაიდან უმადურობის ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში, ხანდაზმულობის ვადები არ მოქმედებს ხელშეკრულების გაუქმებაზე.

36. ჩუქების ხელშეკრულების დადების შემდეგ, მჩუქებლის ეკონომიური მდგომარეობა არსებითად გაუარესდა. რის გამოც ამ უკანასკნელმა, დასაჩუქრებულისაგან მოითხოვა გაჩუქებული ნივთის დაბრუნება. დასაჩუქრებულმა უარი განაცხადა ნაჩუქარი ნივთის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ მჩუქებელმა უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიყენა თავი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში.

კანონიერია თუ არა დასაჩუქრებულის უარი?

ა. არის, ვინაიდან მჩუქებელს არ შეუძლია გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა, თუ მან გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

ბ. არის, ვინაიდან გაჩუქებული ნივთის გამოთხოვა არ შეიძლება, თუ გამჩუქებელმა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით ჩაიგდო თავი მძიმე მდგომარეობაში.

გ. არ არის, ვინაიდან მჩუქებელს უფლება აქვს გამოითხოვოს გაჩუქებული ნივთი, მიუხედავად იმისა, თუ ვისი ბრალით მოხდა მისი ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესება.

დ. არ არის, ვინაიდან მჩუქებელს ნებისმიერ დროს შეუძლია გამოითხოვოს გაჩუქებული ნივთი.

37. კინწურაშვილმა მეზობელ ბერიძეს თავისი სახლიდან ასესხა 12 ცალი სამზარეულო ოთახის სკამი. ხელშეკრულების

ვადის გასვლის შემდეგ ბერიძემ გამსესხებელს დაუბრუნა იმავე რაოდენობის და იმავე ხარისხის ნივთი.

შეიძლება თუ არა მსგავს ნივთებზე სესხის ხელშეკრულების დადება?

ა. დიახ, რადგან სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი მოძრავი ნივთი.

ბ. დიახ, რადგან სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ნებისმიერი ნივთი.

გ. არა, რადგან სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფული.

დ. არა, რადგან სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს ფული ან სხვა გვაროვნული ნივთი.

38. მოცემულ მსჯელობათაგან რომელია სწორი?

ა. გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას.

ბ. გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება მხოლოდ იმ შემთხვევის არსებობისას, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება, რითაც საფრთხე შეექმნება სესხის დაბრუნების მოთხოვნას.

გ. გამსესხებელს უფლება არა აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება, წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას.

დ. გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება, მხოლოდ სესხის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ.

39. კვესიტაძე კალანდაძეს შეპირდა სესხის მიცემას წერილობითი სახით. როდესაც დათქმულ დროზე კალანდაძემ მოითხოვა დაპირებული თანხის მიცემა, კვესიტაძემ უარი განაცხადა დანაპირების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ სესხის შეპირების

ხელშეკრულება არ იყო დამოწმებული სანოტარო წესით.

მართებულია თუ არა კვესიტაძის უარი?

ა. არა, რადგან სესხის შეპირების ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და მისი სანოტარო წესით დადასტურება ან დამოწმება სავალდებულო არაა.

ბ. დიახ, რადგან სესხის დაპირება წარმოშობს სესხების ვალდებულებას მხოლოდ მაშინ, თუ იგი სანოტარო წესითაა დადასტურებული.

გ. არა, რადგან სესხის დაპირება წარმოშობს სესხების ვალდებულების შეპირებას ფორმის მიუხედავად.

40. მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სესხის დაპირებას. ა-ს და ბ–ს შორის სესხის ხელშეკრულება ზეპირად დაიდო, მოწმეთა თანდასწრებით. იმის გამო, რომ მსესხებელმა სესხის არსებობა უარყო, გამსესხებელმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში, მაგრამ სასამართლომ მოწმეთა ჩვენების გარდა, სხვა მტკიცებულებათა არარსებობის გამო, სარჩელი არ დააკმაყოფილა.

შეიძლება თუ არა სესხის ხელშეკრულების არსებობა დადგინდეს, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებით?

ა. შეიძლება, თუ სესხის თანხა 50 ლარზე ნაკლებია.

ბ. არ შეიძლება, რადგან ზეპირი სესხის ხელშეკრულების ნამდვილობა არ შეიძლება დადგინდეს მხოლოდ მოწმეთა ჩვენებით.

გ. არ შეიძლება, რადგან სესხის ხელშეკრულება მოითხოვს წერილობით ფორმას.

დ. შეიძლება, თუ ორზე მეტი მოწმეა.

41. მოქალაქე ტაბატაძემ შპს „კავკასიონისაგან“ ისესხა 20000 ლარი ერთი წლის ვადით, რაზეც მხარეებმა გააფორმეს წერილობითი ხელშეკრულება და გაითვალისწინეს სესხისთვის ყოველთვიური 12%-ი, რომელიც ტაბატაძეს სესხის თანხასთან ერთად უნდა გადაეხადა. ტაბატაძემ სასამართლოში შეიტანა სარჩელი, რითაც ითხოვდა პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმების

ბათილობას იმ მოტივით, რომ სესხისათვის გათვალისწინებული პროცენტი, ოთხჯერ აღემატებოდა ეროვნული ბანკის მიერ სესხისათვის დადგენილი პროცენტის ზღვრულ ოდენობას.

არის თუ არა ტაბატაძის მიერ დასახელებული არგუმენტი, პროცენტის შესახებ დადებული შეთანხმების ბათილობის საფუძველი?

ა. არა, რადგან მხარეებს, ეროვნული ბანკისაგან დამოუკიდებლად, შეუძლიათ განსაზღვრონ სესხისთვის საპროცენტო განაკვეთი.

ბ. დიახ, რადგანაც მხარეების მიერ გათვალისწინებული პროცენტი გონივრულ შესაბამისობაში უნდა იყოს, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვრულ ოდენობასთან.

გ. არა, რადგანაც ეროვნული ბანკის მიერ სესხისთვის დადგენილ ზღვრულ საპროცენტო განაკვეთს უნდა შეესაბამებოდეს, მხოლოდ ბანკების მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთი.

დ. დიახ, რადგანაც პროცენტიანი სესხის შესახებ დადებული ხელშეკრულება არ იყო ნოტარიულად დამოწმებული.

42. გოგობერიშვილმა, თავის მეზობელ ბაკურაძეს ერთი წლის ვადით ასესხა 2 000 აშშ დოლარი. ვადის გასვლის შემდეგ, ბაკურაძემ უარი განაცხადა თანხის დაბრუნებაზე იმ მოტივით, რომ სესხის ხელშეკრულება დაიდო ზეპირად, მაშინ როცა კანონმდებლობით, სესხის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს მხოლოდ წერილობით. აქედან გამომდინარე კი, ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია. გოგობერიშვილმა სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა გასესხებული თანხის დაბრუნება.

უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მოსარჩელის მოთხოვნა?

ა. არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან ფორმის დაუცველად დადებული გარიგება ბათილია და არანაირ იურიდიულ შედეგებს არ წარმოშობს.

ბ. უნდა დაკმაყოფილდეს, თუ სესხის ხელშეკრულების არსებობა დადასტურდება მოწმეთა ჩვენებით.

გ. არ უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სესხის ხელშეკრულება

დადებული არ იყო ეროვნულ ვალუტაში.

დ. უნდა დაკმაყოფილდეს, რადგან სესხის ხელშეკრულების დასადებად საკმარისია ზეპირი ფორმაც.

43. შპს «ნარინჯმა» მინდობილობა გაუფორმა ადვოკატ ლერი ნიშნიანიძეს, რომლითაც ამ უკანასკნელს მისცა უფლება, მისი სახელით გაეფორმებინა სესხის ხელშეკრულება სს «საქართველოს გაერთიანებულ ბანკთან» და მიეღო მისგან თანხა 100000 ლარის ოდენობით. დ. ნიშნიანიძემ გააფორმა ხელშეკრულება სს «საქართველოს გაერთიანებულ ბანკთან.

კანონიერია თუ არა ეს გარიგება?

ა. არ არის კანონიერი, ვინაიდან სესხის ხელშეკრულების გაფორმება, წარმომადგენლის მეშვეობით, დაუშვებელია.

ბ. არ არის კანონიერი, ვინაიდან გარიგების დადება წარმომადგენლის მეშვეობით, კანონით აკრძალულია.

გ. კანონიერია, ვინაიდან გარიგება შეიძლება დაიდოს წარმომადგენლის მეშვეობით, წარმომადგენლის უფლებამოსილება, ან კანონიდან გამომდინარეობს, ანდა წარმოიშობა დავალების (მინდობილობის) საფუძველზე.

დ. კანონიერია, ვინაიდან საწარმომ, გარიგების დადების მიზნით, შეიძლება მინდობილობა მხოლოდ ადვოკატს გაუფორმოს.

44. ფულაძემ ობოლაძეს ერთი წლის ვადით ასესხა 1500 ლარი. ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 5 თვით ადრე გამსესხებელმა მოითხოვა ვალის დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო. ამასთან ობოლაძემ განმარტა, რომ მას აქვს შესაძლებლობა ვადაზე ადრე დაფაროს ვალი, მაგრამ გადახდის დრო ჯერ არ დამდგარა.

კანონიერია თუ არა ობოლაძის უარი?

ა. არა, რადგან თუ პროცენტები არ არის შეპირებული, გამსესხებელს შეუძლია ვადაზე ადრე მოითხოვოს ვალის გადახდა.

ბ. არა, რადგან მსესხებელს ჰქონდა შესაძლებლობა ვალი ვადაზე ადრე დაებრუნებინა.

გ. დიახ, რადგან თუ ვადა განსაზღვრულია, გამსესხებელს

ამ შემთხვევაში არ შეეძლო ვადაზე ადრე მოეთხოვა ვალის დაბრუნება.

დ. დიახ, რადგან სესხის ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ვალის ვადაზე ადრე დაბრუნებას.

45. გამსესხებელმა შპს «ციტრუსის ალორძინებას» სესხის სახით გადასცა 70000 ლარი. გამსესხებლისათვის ხელშეკრულების დადებისას ცნობილი იყო მოვალის უკიდურესად მძიმე ქონებრივი მდგომარეობის შესახებ, მაგრამ იმედოვნებდა, რომ ვითარება გამოსწორდებოდა. სამწუხაროდ, მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად გაუარესდა და კრედიტორმა მოითხოვა ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო.

კანონიერია თუ არა მოვალის უარი ვალის დაუყოვნებლივ დაბრუნებაზე?

ა. დიახ, რადგან ვალდებულების შესრულების ვადა ჯერ არ დამდგარა.

ბ. დიახ, რადგან კრედიტორმა ხელშეკრულების დადებისას იცოდა მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესების შესახებ.

გ. არა, რადგან გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობა არსებითად უარესდება.

დ. არა, რადგან გამსესხებელს უფლება აქვს დაუყოვნებლივ მოითხოვოს ვალის დაბრუნება მაშინაც, თუ მსესხებლის ქონებრივი მდგომარეობის გაუარესება წინ უსწრებდა ხელშეკრულების დადებას.

46. ირემაძემ საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით, მიწის ნაკვეთი, საცხოვრებელ სახლთან ერთად, სამართავად გადასცა მინდობილ მესაკუთრეს, თაფლაძეს.

სამი წლის შემდეგ მინდობილმა მესაკუთრემ, საცხოვრებელი სახლის მესამე სართულზე, 5 ოთახი გააქირავა თარგამაძეზე. დათქმული ქირა შესაბამისობაში იყო საბაზრო ფასებთან. ირემაძემ

მოითხოვა ქირავნობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა.

კანონიერია თუ არა საკუთრების მიმნდობის მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან ქირავნობის ხელშეკრულება დაიდო საკუთრების მიმნდობის თანხმობის გარეშე.

ბ. დიახ, რადგან მან არ მოიწონა მინდობილი მესაკუთრის მიერ დადებული ქირავნობის ხელშეკრულება.

გ. არა, რადგან სამი წლის შემდეგ მინდობილ მესაკუთრეს შეუძლია მიმნდობი მესაკუთრის თანხმობის გარეშე გააქირავოს მინდობილი საკუთრება.

დ. არა, რადგან საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით საკუთრების მიმნდობი გადასცემს ქონებას მინდობილ მესაკუთრეს, რომელიც იღებს და მართავს მას საკუთრების მიმნდობის ინტერესების შესაბამისად.

47. თორაძემ 5 ჰა მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობებთან ერთად საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით სამართავად გადასცა მოურავიშვილს.

მინდობილმა მესაკუთრემ, თავის მხრივ, 2 ჰა მიწის ნაკვეთი, რომელზეც ვაზი იყო გაშენებული, იჯარით გასცა კახნიაშვილზე. განისაზღვრა ყოველწლიურად გადასახდელი იჯარის ქირა 1500 ლარი.

თორაძემ მოითხოვა ამ თანხის მთლიანად მასზედ გადაცემა, რაზეც უარი მიიღო, იმ მოტივით, რომ ქონების ნაყოფი მინდობილი მესაკუთრის საკუთრებაა.

კანონიერია თუ არა მინდობილი მესაკუთრის უარი?

ა. დიახ, რადგან ქონების ნაყოფი რჩება მინდობილ მესაკუთრეს.

ბ. დიახ, რადგან ქონების ნახევარი რჩება მინდობილ მესაკუთრეს.

გ. არა, რადგან ქონების ნაყოფი რჩება საკუთრების მიმნდობს.

დ. არა, რადგან მოთხოვნის უფლება საკუთრების მინდობის ხელშეკრულებით არ იყო გათვალისწინებული.

48. მაკლერის შუამდგომლობით კახიანმა ნასყიდობის ხელშეკრულებით ფიფიასაგან შეიძინა ოროთახიანი ბინა. კახიანმა გაიგო, რომ ფიფია მაკლერის ძმაა და შუამავლობისათვის დათქმული გასამრჯელო 600 ლარი აღარ გადაიხადა.

კანონიერია თუ არა კახიანის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან დაუშვებელია მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა, თუ მესამე პირი მისი ახლო ნათესავია.

ბ. დიახ, რადგან დაუშვებელია მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა თუ მესამე პირი, ვისთანაც ხელშეკრულება დაიდო მაკლერის ნათესავია.

გ. არა, რადგან კახიანი შუამავლობით დადებული ხელშეკრულებისათვის ყოველთვის ვალდებულია მაკლერს გადაუხადოს გასამრჯელო.

დ. არა, რადგან დაუშვებელია მაკლერისათვის გასამრჯელოს მიცემა მხოლოდ მაშინ თუ მესამე პირი მაკლერის მეუღლეა.

49. სასესხო მაკლერის შუამავლობით სს «ქართულმა ბანკმა» გასცა სესხი 70000 ლარი. მაკლერმა მოითხოვა გასამრჯელო (კურტაჟი). სააქციო საზოგადოებამ უარი განაცხადა ანაზღაურებაზე.

კანონიერია თუ არა შემკვეთის უარი?

ა. არა, რადგან შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო თუ სესხის ხელშეკრულება მაკლერის შუამავლობით დაიდო.

ბ. არა, რადგან შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო თუ სესხის ხელშეკრულება მაკლერის შუამავლობით დაიდო და სესხი მესამე პირმა მიიღო.

გ. დიახ, რადგან შემკვეთი მხოლოდ მაშინ არის ვალდებული გადაუხადოს სასესხო მაკლერს გასამრჯელო, თუ სესხის ოდენობა 100000 ლარზე მეტია.

დ. დიახ, რადგან შემკვეთი ვალდებულია გადაიხადოს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ მან შუამავლობის შედეგად მიიღო სესხი.

50. საგანიძემ გოცირიძისაგან სესხად აიღო 7000 ლარი. კიკნაძე თავდებად დაუდგა მოვალეს ამ უკანასკნელის ვალდებულების შესასრულებლად.

საგანიძემ ვალი დროულად ვერ დააბრუნა. დამატებით მიცემული დროც უშედეგოდ გავიდა. კრედიტორმა თავდებისაგან მოითხოვა ვალდებულების შესრულება, რაზეც უარი მიიღო.

კანონიერია თუ არა თავდების უარი?

ა. დიახ, რადგან თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

ბ. დიახ, რადგან თავდებობის ხელშეკრულება სანოტარო წესით არ ყოფილა დამოწმებული.

გ. არა, რადგან თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა გადახდის ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული, თავდებს შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშეც.

დ. არა, რადგან კრედიტორს ვალდებულების შესრულების ვადის დადგომისას შეუძლია ვალის გადახდა მოსთხოვოს როგორც ძირითად მოვალეს, ისე თავდებს.

51. კეკელიამ ფალავასაგან სესხად აიღო 3500 ლარი. კავაზაშვილი თავდებად დაუდგა მოვალეს და იკისრა პასუხისმგებლობა სოლიდარულად.

კეკელიამ ვალი დროულად ვერ დააბრუნა. დამატებით მიცემული დროც უშედეგოდ გავიდა. კრედიტორმა მოითხოვა თავდებისაგან ვალდებულების შესრულება, რაზეც უარი მიიღო იმ მოტივით, რომ ფალავა ჯერ უნდა შეეცადოს ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

კანონიერია თუ არა თავდების უარი?

ა. არა, რადგან თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებით აღსრულების მცდელობის გარეშეც, თუ ძირითადმა მოვალემ გადააცილა ვადას და უშედეგოდ იქნა გაფრთხილებული.

ბ. არა, რადგან თუ თავდები კისრულობს პასუხისმგებლობას სოლიდარულად, მას შეიძლება წაეყენოს მოთხოვნა იძულებით აღსრულების მცდელობის გარეშეც.

გ. დიახ, რადგან თავდებს შეუძლია უარი თქვას კრედიტორის დაკმაყოფილებაზე, ვიდრე კრედიტორი არ შეეცდება ძირითადი მოვალის მიმართ იძულებით აღსრულებას.

დ. დიახ, რადგან სესხის ხელშეკრულებაში თავდები არ შეიძლება იყოს ფიზიკური პირი.

52. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ბარათაშვილი (მარჩენალი) ვალდებული იყო 10 წლის განმავლობაში ეხადა სარჩო 100 ლარი ყოველთვიურად 60 წლის ობოლაძისათვის.

ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ სარჩენმა მოითხოვა სარჩოს გადახდა მთელი სიცოცხლის ძანძილზე.

კანონიერია თუ არა სარჩენის მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება იდება სარჩენის მთელი სიცოცხლის მანძილზე.

ბ. დიახ, რადგან სარჩენს უფლება აქვს მოთხოვოს ხელშეკრულების მოქმედების განუსაზღვრელი ვადით გაგრძელება.

გ. არა, რადგან მარჩენალი მოვალეა სამისდღეშიო სარჩო გადაუხადოს სარჩენს მთელი სიცოცხლის მანძილზე, თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს.

დ. არა, რადგან 10 წელზე მეტი ვადით დადებული სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება მხარეს შეუძლია მოშალოს ამ ვადის გასვლის შემდეგ ნებისმიერ დროს.

53. შავაძემ (მარჩენალი) სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით ივანოვისაგან (სარჩენი) საკუთრების უფლებით მიიღო ბათუმის გარეუბანში მდებარე მიწის ნაკვეთი. 3 წლის შემდეგ მარჩენალმა მიწის ნაკვეთი მიჰყიდა გადასცა ხიმშიაშვილს.

კანონიერია თუ არა მარჩენალის ქმედება?

ა. დიახ, რადგან მარჩენალი სამისდღეშიო ხელშეკრულებით გადაცემული ქონების მესაკუთრეა.

ბ. დიახ, რადგან მარჩენალი კეთილსინდისიერი მფლობელია და მას შეუძლია უფლებრივად დატვირთოს სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით გადაცემული ქონება.

გ. არა, რადგან სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება.

დ. არა, რადგან სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე.

54. პილოტაძეს სამისდღეშიო ხელშეკრულებით ნინიძისაგან საკუთრების უფლებით გადაეცა სამოთახიანი ბინა. მარჩენალი ვალდებული იყო ყოველ კვირაში სარჩენისათვის ეხადა 150 ლარი. სასამართლოს გადაწყვეტილებით პილოტაძეს სს «ქართული ბანკის» სასარგებლოდ სესხის დაუბრუნებლობის გამო დაეკისრა 35000 ლარის გადახდა. სესხი პილოტაძეს აღებული ჰქონდა სამისდღეშიო ხელშეკრულების გაფორმებამდე. სს «ქართულმა ბანკმა» მოითხოვა გადახდევინების მიქცევა სამოთახიან ბინაზე, რომელიც მარჩენალმა მიიღო სარჩენისაგან და სადაც ორივე ერთად ცხოვრობდა. სხვა ქონება პილოტაძეს არ გააჩნდა.

კანონიერია თუ არა სს «ქართული ბანკის» მოთხოვნა?

ა. დიახ, რადგან პილოტაძე ბინის მესაკუთრეა და მას სხვა ქონება არ გააჩნია.

ბ. დიახ, რადგან კრედიტორს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდევინება მოვალის ნებისმიერ ქონებაზე შეუზღუდავად.

გ. არა, რადგან სარჩენი ცხოვრობს ამ ბინაში.

დ. არა, რადგან სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალის ვალდებულების გამო გადაცემულ ქონებაზე გადახდევინების მიქცევა დაუშვებელია.

55. კიკვიძე სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებული იყო ეხადა სარჩო ბერიძისათვის. ამ უკანასკნელის სიცოცხლის მანძილზე. სარჩოს ოდენობა განისაზღვრა ყოველთვიური 60 ლარით. შეთანხმებით კიკვიძეზე საკუთრების უფლებით გადავიდა სარჩენის «მერსედესის» მარკის ავტობუსი. ერთი წლის შემდეგ კიკვიძემ კომერციული ბანკიდან აიღო სესხი 9000 ლარი და უზრუნველსაყოფად დააპირა ავტომანქანის დაგირავება. ამის შესახებ აცნობა სარჩენს. შემოთავაზებულ წინადადებაზე ბერიძემ დუმილით უპასუხა. ჩათვალა რა კიკვიძემ დუმილი თანხმობად, გააფორმა ავტომანქანაზე გირავნობის ხელშეკრულება.

კანონიერია თუ არა კიკვიძის მოქმედება?

ა. დიახ, რადგან სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება აქვს დააგირაოს გადაცემული ქონება სარჩენის თანხმობით.

ბ. დიახ, რადგან მარჩენალს უფლება აქვს გაასხვისოს, დააგირაოს ან სხვაგვარად დატვირთოს სამისდღეშიო ხელკშეკრულებით გადაცემული ქონება.

გ. არა, რადგან სარჩენის სიცოცხლეში, მარჩენალს უფლება აქვს დააგირავოს გადაცემული ქონება სარჩენის თანხმობით. დუმილი თანხმობას არ ნიშნავს.

დ. არა, რადგან სარჩენის სიცოცხლეში მარჩენალს უფლება არა აქვს გაასხვისოს, დააგირავოს ან სხვაგვარად დატვირთოს გადაცემული ქონება სარჩენის წერილობითი თანხმობის გარეშე.

56. პეტრიძემ სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულებით საკუთრებად გადასცა მესხიძეს საცხოვრებელი სახლი. ი. მესხიძე კი კისრულობდა ვალდებულებას სიცოცხლის ბოლომდე უზრუნველეყო იგი სათანადო კვებით, მოვლით და სხვა აუცილებელი დახმარებებით. მესხიძის გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებელ სახლში ცხოვრება განაგრძეს მისმა მეუღლემ დ. მესხიძემ და სარჩენმა. მემკვიდრემ სანოტარო ბიუროში შეიტანა განცხადება და მოითხოვა სამკვიდრო მოწმობის გაცემა საცხოვრებელ სახლზე. პეტრიძემ თავის მხრივ დ. მესხიძეს მოსთხოვა სარჩოს გადახდა,

წინააღმდეგ შემთხვევაში საცხოვრებელი სადგომის დაბრუნება, რაზეც უარი მიიღო.

კანონიერია თუ არა მესხიძის უარი?

ა. დიახ, რადგან მარჩენალის გარდაცვალებით სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულება წყდება.

ბ. დიახ, რადგან მარჩენალის მოვალეობები მის მემკვიდრეებზე არ გადადის.

გ. არა, რადგან მარჩენალის გარდაცვალებისას რჩენის ვალდებულება გადადის მის იმ მემკვიდრეებზე, რომლებმაც მიიღეს გადაცემული ქონება.

დ. არა, რადგან მარჩენალის მემკვიდრე აგრძელებს სარჩენის საცხოვრებელ სახლში ცხოვრებას.

Zurab Dzlierishvili

AL NATURE OF CONTRACTS OF TRANSFERRING PROPERTY INTO OWNERSHIP

Summary

The present work deals with one of the most important institutes of civil law, the contract of purchase and sale. Contract of purchase and sale belongs to the group of contracts, which clearly expresses transfer of the ownership rights from one person to the other. Namely this conditions the fact that the contract of purchase and sale is widely used in practice.

Transition of Georgia to free market economy greatly contributed to the formation of private legal relations. This is proved by the adoption of a new civil code, in which the specific place is devoted to the will autonomy. Contract of purchase and sale, as the expression of bilateral, mutual will, is signed only when all parties are expecting to gain profit, he who gives money for the good and does it because he attributes to the goods more value than to money, and on the contrary, the seller who sells the goods, because he values the money more than the goods to be sold. After execution of the transaction both parties are in better situation than prior to signing of the contract, both acquired something and none of neither of the parties became poorer.

Contract of purchase and sale occupies the leading role in international relations too. Many international treaties, conventions serve to its regulation. International contract of purchase and sale is the contract the parties of which, as a rule are the entities of different states, of when their companies are located in different countries. Proceeding from international contracts of purchase and

sale, the object of obligation is export-import operations, and as a means of payment the used currency for one of the parties is the foreign currency.

The work considers the important issues such as: a) essence and contents of the contract of purchase and sale; b) rights and responsibilities of the parties to the contract; c) responsibilities for violation of provisions stipulated by the contract of purchase and sale; d) purchase and sale by deferred payment and the property under the deal; e) repurchase and priority right of purchase; f) contract of purchase and sale according to the civil codes of the advanced countries (Germany, France. Switzerland, England, United States of America, Austria); g) United Nations Convention Contract of the International Sale of Goods of April, 11, 1980; Vienna.

h) Rules of Paris International Chamber of Commerce "INCOTERMS".

In the work is discussed the contracts of transferring property into ownership in detail as exchange, present, loan, permanent maintenance contracts. There are given general and differentiated marks of the contracts of transferring property into ownership. In the work is discussed a lot of examples from the court practice.

The work is of great scientific value since it was developed by the use of comparative-legal study method and is annexed with general review of court practice as well as concrete practical cases connected with contracts of purchase and sale.

The work will be of great use for those who are interested in both theoretical and practical activity in this sphere.

გამოყენებული და რეკომენდებული ბიბლიოგრაფია

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, თბ., 1997.
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბ., 2001.
3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I-II, თბ., 2001.
4. ზ. ახვლედიანი, ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2001.
5. ზ. ძლიერიშვილი, ვალდებულებითი სამართალი (პრაქტიკული ამოცანები"), თბ., 2009.
6. ზ. ძლიერიშვილი, ფულადი ვალდებულებების შესრულების თავისებურებანი, თბ., 2005.
7. ზ. ძლიერიშვილი, „ნასყიდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება", თბ., 2006.
8. ზ. ძლიერიშვილი, ვალდებულების შესრულება, თბ., 2006.
9. ზ. ძლიერიშვილი, ჩუქების ხელშეკრულება, თბ. 2004.
10. მანანა მესხიშვილი, ნივთობრივი ნაკლის ცნება გერმანულსა და ქართულ სამართალში, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბ., 2004.
11. სოფიო ჩაჩავა, მყიდველის მეორადი უფლებების შედარებითი სამართლებრივი ანალიზი, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, თბ., 2004.
12. მზია თოდუა, ჰუუბ ვილემსი ვალდებულებითი სამართალი, თბ., 2006.
13. ბ. ზოიძე ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბ., 2005.
14. ბ. ზოიძე, ქართული სანივთო სამართალი, მეორე გამოცემა, თბ., 2003.
15. თ. ზარანდია, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ადგილი და დრო, თბ., 2005.
16. ლ. ნადიბაიძე, საკუთრების შეძენის სამართლებრივი საფუძვლები, თბ., 2001.
17. შ. ჩიკვაშვილი, მორალური ზიანი სამოქალაქო სამართალში, თბ., 2000.

18. რ. შენგელია, თხოვებისა და სესხის სამართლებრივი ბუნება, თბ., 1999.
19. თ. ჩიტოშვილი, ქონების უსასყიდლოდ განკარგვა, როგორც უსაფუძვლო გამდიდრების საფუძველი. ჟურნალი „მართლმსაჯულება“, 2008 წ. N 2, 91-100.
20. ლ. ჭანტურია საკუთრება როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება თბ., 2000წ.
21. ლ. ჭანტურია, უძრავი ნივთების საკუთრება გერმანული სამართლის მაგალითზე, თბ., 1994.
22. სანდრა ჰენშელი. სამოქალაქო კაზუსების დამუშავების მეთოდიკა, თბ., giz, 2009
23. ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997.
24. ივ. ჯავახიშვილი, თხზ. 12 ტომად, ტ VI, თბ., 1982
25. ი. დოლიძე, ძველი ქართული სმართალი, თბ., 1953
26. ივ. სურგულაძე, საკუთრების უფლების ინსტიტუტი ფეოდალური საქართველოს სამართლის ძეგლების მიხედვით, თსუ-ს შრომები, 1949
27. გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965
28. ა.შანიძე, ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971
29. ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი (მასალები), თბ., 1973
30. ბერძნული სამართალი ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებულიდან, თბ., 1964
31. დ. ბაგრატიონი, სჯულდება, თბ., 1957.
32. თ. ენუქიძე, მასალები საქართველოს ეკონომიკური ისტორიისათვის, თბ., 1964
33. გ. ნადარეიშვილი, ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1996
34. ზ. ძლიერიშვილი, სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა – სესხის

ხელშეკრულება, ჟურნალ „ქართული სამართლის მიმოხილვა“ № 3-4, თბ., 2005
35. ზ. ძლიერიშვილი, სავაჭრო ჩვეულებებისა და ტრადიციების როლი საქონლის საერთაშორისო ნასყიდობების ხელშეკრულების განმარტებისას, ჟურნალი „პროფესია ადვოკატი“ №2, თბ., 2008
36. თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სამართალი, თბ., 2005
37. ჰ. ბოელინგი, ლ. ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდიკა, თბ., 2003,
38. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეტა პალატის გადაწყვეტილება საქმეზე 3კ|428, 2004წ. 5 აპრილი.
39. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პირველი კოლეგიის გადაწყვეტილება საქმეზე №1/2|155, თბ., 2003
40. თ. შოთაძე, უხარისხო პროდუქტით გამოწვეული ზიანისათვის პასუხისმგებლობის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი, თსუ, თბ., 2006
41. ქ. ქოჩაშვილი ბრალი, როგორც სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის პირობა (შედარებითი სამართლებრივი კვლევა) თსუ–ს იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №1, 2009.
42. ნ. ჩიტაშვილი. ბრალის მნიშვნელობა სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის განსაზღვრისათვის, თსუ–ს იურიდიული ფაკულტეტი, სამართლის ჟურნალი №1, 2009.
43. Новицкий И.Б. Римское право 4-е изд. М. 1993.
44. Толстой Ю.К., Исполнение обьязательств, М., 1973.
45. Л.А. Лунц, Деньги и денежные обязательства в гражданском праве М., 2004.
46. Е. А. Суханов, Гражданское право, учебник в 2-х. Т. М. 1998
47. Нерсесов Н.О. Избранные труды по представительству и ценным бумагам в гражданская праве, М., 1998

48. Победоносцев К.П. Курс гражданского права, Т.II. СПб, 1896
49. И.А. Покровский, Основные проблемы гражданского права, М., 2000
50. И.А. Покровский, История Римского рпаво, СПб, 1998
51. Гражданский кодекс Квебека (пер. с. Англ. и фр.), М., 1999
52. Гкажданский Кодекс Нидерландов, К. 2,3,5,6 и 7, (отв. Ред. Ф.И. Фелдбрюге), Леиден, 1996
53. Гражданское уложение, том второй, СПб, 1910
54. Гражданское право Германии, под. Ред. А. Савельева, М., 1998
55. Гражданское и торговое право зарубежных государств, Т. I под. Ред. Е.А. Васильева и А.С. Комарова, М., 2005
56. Дернбург Г. "Пандекты. Обязательственное право", М., 1900.
57. Скловский К.И. "Собственность в гражданском праве", М., 1999.
58. Ансон В. "Договорное право", М., 1984.
59. Брагинский М.И., Витрянский В.В. Договорное право. книга первая – книга вторая, М., 2000.
60. Шершеневич Г.Ф. Учебник русского гражданского права, СПб, 1902, М., 1998.
61. Гражданское и торговое право зарубежных государств, под. ред. В.В. Безбаха и В. К. Пучинокого, М., 2004.
62. Зеленский В.В. Основные институты гражданского права зарубежных стран, М., 2000.
63. Савиньи Ф.К. Обязательственное право (пер. с немецкого), СПб, 2004.
64. Жалинский А, Рерихт А., Введение в немецкое право, М., 2001.
65. Ян Шапп Система Германского гражданского права, М., 2006.

66. Давтян А.Г. Гражданское процессуальное право зарубежных стран, М., 2009.
67. А.С. Комаров Ответственность в коммерческом обороте, М., 1999.
68. Принципы международных коммерческих договоров, М., 1999.
69. Сидорова В.Н. Договор купли-продажи изд. дома Питер, СПб, 2004.
70. Толстой Ю.К. Проблемы современного гражданского права, М., 2000.
71. Цвайгерт Л., Кетц Х. Введение в сравнительное правоведение, М., 1998.
72. Шмиттгофф К.М. Экспорт: право и практика международной торговли, М., 1993.
73. Розенберг М.Г. Контракт международной купли-продажи. Современная практика заключения. Разрешение споров, М., 2004.
74. Розееберг М.Г. Международная купля-продажа товаров, М., 2003.
75. Розенберг М.Г. Гражданский кодекс и договор международной купли-продажи, М., 1996.
76. Венская конвенция о договорах международной купли-продажи товаров. Комментарий. М., 1994.
77. Виликова Н.Г. Договорное право в международном обороте, М., 2002.
78. Проблемы гражданского и предпринимательского права Германии, пер. с немецкого, М., изд. "Бек", 2001.
79. Международные правила толкования торговых терминов Инкотермс, М., 2002.
80. Единообразный торговый Кодекс (ЕТК) США, М., 2004.
81. Годэмэ Е. Общая теория обязательств, пер. с франц. М., 1948.
82. Гражданский Кодекс Германии в 2-х томах, науч. ред. Елисеев И.В. СПб., 2004.
83. Французский Гражданский Кодекс, науч. ред. Лавров Д.Г., СПб., 2004.

84. Гражданское законодательство Великобритании, науч. ред. Елисеев И.В., СПб., 2005.
85. Римское частное право: Учебник под ред. И.Б. Новицкого и И.С. Перетерского, М., 1996.
86. Мейер Д.И. "Русское гражданское право в 2-х том. изд. 1902, ч. II. М., 1997.
87. Иоффе О.С. "Обязательственное право", М., 1975.
88. Delebveque Philipe, Pansier Frederic – Jerome. Drout de Obligations Responsabilite civile – contact, 2-em edition corrigee Litec, Paris 1998.
89. Fikentsher, Wolfgang, Schüldrecht, 8, Auflage Berlin, New-York, 1992,
90. Larenz, Lerbuch des Schuldrechts, Bd I Algemeiner Teil, 14, Auflage. 1996.
91. Mario Pellegrino, Postkommuynismus und Zivilrecht: Das Obligacionenrecht Georgiens – Frankfurt an Mainm Berlin, Bern, New-York, Paris, Wien, 1996.
92. Kotz Hein Europaiches Vertragsrecht Bd. I., 1997.
93. Alpmann.Schmidt, Express Reform des Schuldrechts. 2002
94. Zimmer. Zivilrechtswissenshaft und Schuldrechtreforms. 2001
95. Dieter Medicus – Schuldrecht, Algemeiner Teil, 14, neubearb eitete Auflage, Verlag C.H. Beck, München, 2003.
96. Towards European Civil Code Ed, by M. W. Hesselnik, E. N. Hondroiys, J.B.M Branken Dodrecht, Boston, London 1994.
97. Palandt – Bürgerliches Gesetzbuch, bearbeitet von Bassenge, Diederichsen, Edenhofer, Heinrichs, Heldrich, Putzo, Thomas, 67. neubearbeitete auflage, verlag C.H. Beck, München, 2008
98. J,W. Rutgers International Reservation of Title C lanes, Haque 1999.
99. H.I. Beiley Secured Transactions in a Nutshell. West Pub. Co. 1998.
100. Principles of European Contracht Law. Parts I and II.Ed, by O, Lando, H. Beale The Haque London, Boston 2000.
101. James Gordley, Foundations of Private Law: Propety, Tort, Con-

tract, Unjust Enrichment, Oxford, University Press. New York, 2006
102. Martin Schmidt – Kessel (Osnabrück), Remendies for Breach of Contract in European Private Law – Principles of European Contract Law, Acquis Communautaire and Common und Frame of Reference, Reiner Sshulze (ed.) New Features in Contract Law. Sellier. European Law Publishers, 2007
103. Shlechtriem, Unuform Sales Law – The UN – Convention on Contracts for the Internacional Sale of Good, available at www. law. pace. edu/cisg/text/treaty (2008)
104. G.H Treitel, The Law of Contract, Ninth ed., London, Sweet end Maxvell, 1995
105. Sir Basil Markesinis, Hannes Unberath, Angus Johnston, The German Law of Contract Compartive Tteatise, Second ed., Hart Publishing, Oxford end Portland, Oregon, 2006
106. Mathias Reimann, Reinhend Zimmerman (ed.) The Oxford Handbook of comparative Law, Allan Farnsworth, compartative Contract Law, Part III, Published in the United States by Oxford University Press Jnc., New York, 2006
107. Fikentscher, Wolfgang: Schuhdrecht. 9. Auflage. 1997.
108. Ehmann, Horst. Sutschet, Holger. Modernisiertes Schuldrecht, 2002.
109. Einführung in das Bürgerliche Recht von Jan Schapp. 3. Auflage, Verlag Franz Vahlen, München, 2003.
110. Dr. Nans-Werner Eckert, Dr. Jan Maifeld, Dr. Michael Mattiessen. Hadbuch des Kaufrechts: der Kaufvertrag nach Bürgerlichem Recht, Handelsrecht und UN- Kaufrecht. Verlag C.N. Beck, München, 2007.
111. Medicus, Dieter, Burgerliches Recht, 19. naibearbestende Auflage, München, 2002.
112. James Pinnels, Arndt Evesberg, Internacionale Kaufverträge optimal gestalten: Leitfanden mit Zahlreichen Musterklauseln. 3. überbeitete Auflage. Gabler Verlag, Wiesbaden, 2009.

113. Bernard Lukanko, Verbraucherrecht als Sonderprivatrecht: eine Untersuchung am Beispiel der Richtlinie 1999| 44| Eg des Europäischen Parlaments und des Rates vom 25. Mai 1999 zu bestimmten Aspekten des Verbrauchsgüterkaufs und der Garantien für Verbrauchsgüter, Berlin, Humboldt- Univ. Diss., 2007
114. Marc Szydlik. Reich durch Erbshaft und Schenkung? In: Reichtum und Vermögen. Wisbaden; 2009.
115. Reinhard Zimmermann, Europa und das römische Recht. Archiv für zivilistische Praxis Bd. 1, 2002.
116. Reiner Schulze/Reinhard Zimmermann (Nrsg.). Basistexte zum Europäischen Privatrecht. Textsammlung. 2. Auflage, Baden-baden, 2002.
117. I.Von Staudingers, Kommentar zum Bürgerlihem gesetzbuch mit Einführungsgesetze und Nebengesetzen. Büch 2. Recht der Schuldverhältnisse § 315-326. Neubearbeitung von Hansjörg Otto Volker Rieble. Seller – de Gruyter. Berlin., 2004.
118. J.G. Hoffman. Die Lehrevon Gelde. Berlin., 1838
119. Knapp. Statliche teorie des Geldes. München und Leipzig., 1913
120. S. Helfferich. Von den periodischen Schwankungen im Werth der edlen Metalle. Nürnberg., 1843
121. Internacionale Chamber of Commerce – ICC 2000. htlp: // www.vesce.com //incoterms 2000.htm
122. United Nations Convention on Contracts for the Internacionale Sale of Goods – http:// www.cisg. ru./content/ download/ cisg. ru. pdf
123. The Law of Obligations Roman Foundations of the Civilian Tradition. Reinhard Zimmermann. OXFORD Universitu Press. 1996.

შინაარსი

წინათქმა 3

ნასყიდობის ხელშეკრულების
სამართლებრივი ბუნება

I თავი. ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება და მნიშვნელობა ... 7
II თავი. ნასყიდობის ხელშეკრულების მხარეები და მათი
უფლება-მოვალეობანი 30
III თავი. პასუხისმგებლობა ნასყიდობის ხელშეკრულებით
გათვალისწინებული ვალდებულებების
დარღვევისათვის 54
IV თავი. ნასყიდობა გადახდის განვადებით 71
V თავი. გამოსყიდვა. უპირატესი შესყიდვის უფლება 75
VI თავი. ნასყიდობის ხელშეკრულება განვითარებული
ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის
მიხედვით 81
§1. ნასყიდობის ხელშეკრულების ცნება 81
§2. ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და მისი
ძირითადი პირობები 88
§3. გამყიდველისა და მყიდველის უფლება-
მოვალეობები 102
§4. პასუხისმგებლობა ნასყიდობის ხელშეკრულებით
ნაკისრი ვალდებულებების დარღვევისათვის 116
VII თავი. საქონლის საერთაშორისო ნასყიდობის
ხელშეკრულების სამართლებრივი თავისებურებანი .. 141
VIII თავი. საერთაშორისო სავაჭრო ტერმინების განმარტების
წესები (ინკოტერმსი) 163
ინკოტერმსის გამოყენება 1980 წლის „საქონლის
საერთაშორისო ნასყიდობის ხელშეკრულებათა
შესახებ“ ვენის კონვენციისაგან 175

გაცვლის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

I თავი. გაცვლის ხელშეკრულების წარმოშობა და განვითარება 180
II თავი. გაცვლის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები 185
III თავი. გაცვლის ხელშეკრულების შინაარსი 190
IV თავი. გაცვლის ხელშეკრულების სამართლებრივი მოწესრიგების თავისებურებანი 194

ჩუქების სამართლებრივი ბუნება

I თავი. ჩუქების ხელშეკრულება რომის სამართალში 196
II თავი. ჩუქების ხელშეკრულება ძველ ქართულ სამართალში 200
III თავი. ჩუქების ხელშეკრულება 1917 წლის რევოლუციამდელ სამოქალაქო სამართალში 205
IV თავი. ჩუქების ხელშეკრულება საბჭოთა სამოქალაქო სამართალში 216
V თავი. ჩუქების ხელშეკრულება თანამედროვე ქართულ სამოქალაქო სამართალში 221
VI თავი. ჩუქების ხელშეკრულების შედარებითი დახასიათება განვითარებული ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობის მიხედვით 269

სესხის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

I თავი. ფულადი ვალდებულებების ზოგადი დახასიათება 295
II თავი. სესხის ხელშეკრულების ცნება და ძირითადი ნიშნები 344
III თავი. სესხის ხელშეკრულების შინაარსი 350
IV თავი. სესხის ხელშეკრულების შეწყვეტა 369
V თავი. პირთა შეცვლა სასესხო ვალდებულებებში 377

VI თავი. სასესხო ურთიერთობების მომწესრიგებელი სხვა სამართლებრივი ნორმები 412

სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

თავი I. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ზოდაგი დახასიათება 428
თავი II. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების ნამდვილობის პირობები 434
თავი III. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობები 437
IV თავი. სამისდღეშიო რჩენის ხელშეკრულების შეწყვეტა .. 443
კაზუსები 448
ტესტები 498
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) 530
გამოყენებული და რეკომენდებული ბიბლიოგრაფია 532

რედაქტორი მარგო ინასარიძე
ტექ. რედაქტორი ინგა ნავროზაშვილი

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: info@meridianpub.com ☎ 39-15-22